ISSN 0182—599 X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

10

1988

ეროვნული ბიბლიოთეკა


# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 64-ე № 10 ოქტომბერი, 1986 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


## შინაარსი

### პროზა, პოეზია


ნანული გოცვაძე — და იქმნა ერი. რომანი. გაგრძელება . . . 3
რევაზ თვარაძე — ლექსები . . . 45
გივი ალხაზიშვილი — ლექსები . . . 50
გოგი მაისურაძე — შავტუხა. მოთხრობა . . . 53
გიორგი ეკიზაშვილი — ლექსები . . . 65
დავით კვიცარიძე — კახიანაური. მოთხრობა . . . 70
იზა გოცაძე — ლექსები . . . 82
ალექსანდრე ტაბატაძე — ლექსები . . . 84
ბადათერ არაბული — ლექსები . . . 86
ილია რურუა — ზარდახშაში მთვლემარე ლემი. მოთხრობა . . . 88
რობერტ ფროსტი — არყის ხეები. ლექსი. ინგლისურიდან თარგმნა ლია ჭაყელმა 107


### კრიტიკა, პუბლიცისტიკა


ელიზბარ ჯაველიძე — ქართული მოთხრობის ხვალინდელი დღე უფრო ნათელი იქნება . . . 109
ლალი ავალიანი — გალაკტიონი და ოლია ოკუჯავა . . . 123


### 70 – უნივერსიტეტი — 70


სოლომონ ლეკიშვილი — ილია ჭავჭავაძე — ქართული უნივერსიტეტის მესაძირკვლე . . . 132


### მეცნიერება


ვახტანგ გოილაძე — ეგრისის ისტორიის ერთი ფურცელი . . . 141


იხ. მეორე გვერდი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოგონებები, ფაქტები

ამბროსი ხელაია — „მე შევასრულე ჩემი მოვალეობა“ (წინასიტყვა აკაკი მინდიაშვილისა) . . . . . . . . 147
სერგი დურმიშიძე — დაფერფლილი გული . . . . . . . . 162

## წიგნების მიმოხილვა

ნომადი ბართაია — ბაჟანის ახალი თარგმანები . . . . . . . . 173

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასურია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანული ბოცვაძე

# და იქმნა ერი

რომანი

* * *

ეგრისის მთავარი მოწიწებით მიაჩერდა ფარნავაზს და, მის პირველ სიტყვას დაელოდა.

— ჩვალისთვის გადავწყვიტეთ გამგზავრება? — იკითხა, თუმცა არაფერი ავიწყდებოდა იოლად.

— თავად ინებე ზეიმის მეორე დღეს წაბრძანება. მეფეო! მცხეთისკენ უკვე გავისტუმრე შენი მხლებლები და კარის მომსახურენი. ოცი მხედარი და მწერალი დავტოვე მხოლოდ, როგორც მიბრძანე. დედოფლისთვის გადასაცემი წიგნი უკვე გავამზადეთ მე და ეგრისის ქალბატონმა... მწერალი შენს ბრძანებას ელოდება. ისიც გაუდგება გზას, როცა ინებებ. მისთვის კარვიანი ურემი გამოვთხოვე უფროს ქურუმს და საყვედურიც მოვისმინე ღვთაების მსახურისგან, რადგან მართლაც მირჩია კარვების შეძენა ბერძენი ვაჭრისგან და არ დავუჯერე.

— მიხმე მწერალს! — თავი მოაბრუნა ფარნავაზმა და მისი პირადი მსახური, მუდამ მასთან განუშორებელი ბედია სწრაფად გაემართა კარისკენ.

— მამა მაგისი, ადონის მსახური და მასთან თანშეზრდილი კოხტა ფხოველი, ავად ყოფილა. — ჩაილაპარაკა მეფემ.

— ადონმა შემატყობინა ეს ამბავი ამ სამი დღის წინ. არ წავიდა. ადონი ჩემზე უკეთ მიხედავს მოხუცს, ხოლო მე მეფისთვის ვარ საჭირო.

— ატილას ვერ იტანს. ეჭვიანობს შენს გამო, მეფეო, თუ ერთის წასვლა გსურს. ორივე უნდა გაისტუმრო! — ჩაიცინა ეგრისის მთავარმა.

— მასეც იქნება. სოანეთიდან დაბრუნებულს პონტოში მითრიდატესთან გამგზავრება მოგიწევს. ჩვენმა მეზობლებმა უნდა გაიგონ, რომ ფარნავაზი ქვეყნის საკუთრებას არავის შეარჩენს... არიან-პონტოელების მიერ წართმეული მხარეც უნდა შემოვუერთო სამეფოს.

ქუჯიმ თავი დახარა.

— სპასალარი მთხოვს, გაზაფხულზე მაინც დავეხმარო ალანებს. კიდევ ებრძვიან თურმე ისინი მომიჯნავე ხალხებს. დიდძალ ბერძნულ ოქროს დაგვპირდნენ სანაცვლოდ. მეფემ იცის ეს ამბავი მაგრამ მაინც შეახსენეო, — მწერს ლენე.

— პონტოში გაემგზავრები, ხოლო ალანები თვითონ მოუვლიან თავიანთ საქმეს. უგუნურობაა ჩვენი ვაჟკაცების ხარჯზე მეზობელი გავაძლიეროთ. რაც შეეხება მთავარსარდალს, მას იბერიული ოქროს იმედი არა აქვს, როგორც ჩანს, და ბერძნული ფულით ფიქრობს

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი სამხარი იარაღის შეძენას და სარაპანისის კეთილმოწყობას. საშენი მასალა მართლაც გვჭირდება და მცოდნე ოსტატებიც არა გვყავს საკმარისი.

— ვაჟიკაზე უკეთესი მშენებელი ძნელად თუ მოიძებნება სადმე. — შეახსენა მეფეს ეგრისის მთავარმა. — მის მიერ აგებული ეგრისის სასახლე და ხიდი ფაზისზე დიდი ქვეყნების ხელოვანთა ნამუშევარს არ უდებს ტოლს. მას დამხმარეები, ოსტატები სჭირდება. ადონი დამპირდა, ჩემს სკოლაში კირითხუროთა მომზადებაც შეიძლება, თუ კარგ მასწავლებელს დავიქირავებთ ანტიოქიაშიო. ვფიქრობ, ეგრისელი ოსტატი გამოდგება ამ საქმისთვის.

— ჯერ პონტოში, მითრიდატესთან მოგიწევს გამგზავრება. ეს უფრო საშურია, ვიდრე ცხენისწყლის ხიდისა და დუდეს სასახლის მშენებლობა!

— როგორც მიბრძანებ ისე იქნება, მეფეო!

იცოდა ქუჯიმ: რამდენადაც დამთმობი და გულისხმიერი იყო ფარნავაზი პირად ურთიერთობაში, იმდენად მკაცრი და თითქმის მიუდგომელიც კი ხდებოდა, როცა საქმე ქვეყნის სატკივარს შეეხებოდა.

მწერალი მცირე ხანს დააყოვნა მეფემ დარბაზში.

— ხომ არ გეწყინება, ერთი-ორი დღით რომ გადავდო გამგზავრება? — შეეკითხა ფარნავაზი ქუჯის, როცა საქმეებს მორჩა.

— გაგვეხარდება მეც და ანოსაც! — უპასუხა ქუჯიმ და მაინც ვერ დაჰფარა გაკვირვება.

— ანათაზე რას იტყვი? — შესცინა ფარნავაზმა.

— ვერაფერს. იგი შენს მეტს არავის ემორჩილება. ამბობს, ფეხს არ მოვიცვლი, სანამ მეფე ციხე-გოჯს არ დასტოვებსო. არც ანოს ეთმობა დედასავით საყვარელი.

— მახსოვს, ანტიოქიაში დედათა ქურუმს მხოლოდ შენი ეშინოდა, ხოლო მთელს ასურასტანს — დედათა ქურუმისა. ახლა რაღა მოგივიდა, რომ ორ ქალს ვერ მოუარე. — გაიცინა ფარნავაზმა.

— ამბობენ, ერთ უცხო სტუმარს დღეს ბადალი არ ჰყოლია ჯირითობაში. თურმე მისი ნასროლი ყველა ჯირითი მოხვედრია მიზანს და ბოლოს, როცა ცხენთასრბოლაზე მიმდგარა საქმე, უწყალოდ დაუჯაბნავს ეგრისის ახალგაზრდა ერისმთავარი. რადგან ძლიერ გამოცდილი მხედარი ჩანდა და თავისი მერნით ისე მარდად ფრენდა ხის მორებსა და საგანგებო თხრილებზე, როგორც არწივი მთათა წვერზეო, იმწამსვე მივხვდი ვინც იქნებოდა. სხვა დროსაც ბევრჯერ მინახავს მისი ჯირითი... მიხარია, რომ მუდამ გამარჯვების თანაზიარია. ნურც მოშლოდეს პირველობა და გამარჯვება.

— შვილი რომ დაგიჯაბნა, ის არ გწყინს? — ხელი გადაჰხვია მხრებზე, ანოს ოთახისკენ გაიყოლა. — არ უნდა შემერცხვინა ყმაწვილი, მაგრამ მიცნობ შენ, ვერ დავიოკე წყურვილი მცირედით, ვერ დავუთმე პირველობა, თვით დუდესაც კი. — თითქოს მოუბოდიშა. უცებ მოაგონდა ახალგაზრდა მთავრის სიტყვები: — მე ჩემი ახალგაზრდობა მიშველისო, რომ უთხრა, თუმცა ახლა უფრო ემწვავა ნათქვამი, მამას მაინც სიმართლე მოახსენა:

— კარგი ვაჟკაცი გეზრდება. საპირველო ფხა და შემართება ახლავს. მომწონს ასეთი ბუნების კაცი, ჩვენი საქმის გამართლებას და გაგრძელებას ვჭვრეტ თვითეულ ასეთ ახალგაზრდაში. მომავალ გაზაფხულზე მცხეთას წავიყვან, ლენეს მივაბარებ. მსურს საურმაგის მეფობის დროსაც ერთგული და ჭკვიანი მთავარსარდალი ჰყავდეს იბერიას.

— დედისკენაა ხასიათითაც და სახითაც, — ესიამოვნა ვაჟიშვილის შექება ეგრისის მთავარს, რადგან იცოდა, უბრალოდ არ გაიმეტებდა საქებარ სიტყვას ფარნავაზი. — უმცროსი კი...

— უმცროსი შენი ალი-კვალია. შენსავით უცხო ქვეყნების მოყვარული და უცხო გზებზე მოარული. ადონი ამ-

ბობს, სწორედ არტავაზის მსგავსი იყო ქუჯი, პირველად რომ ვნახეო. აქებს ჭაბუკს. ცოდნის დიდი სურვილი აქვს და, თუ ქუჯი ხელს არ შეუშლის, მეცნიერი დადგება მისგანო.

ქუჯიმ არაფერი უპასუხა, თუმცა კი სწავლულის ძნელი ცხოვრებისთვის ენანებოდა თავისი რჩეული შვილი.

— ვფიქრობ, თვითონ არ ისურვებს არტავაზი საერო კაცობას. ძლიერ მიეჯაჭვა უფლისციხელ ბერს. შემოდგომაზე ერთი კვირაც ვერ გავაჩერეთ მცხეთის სასახლეში, ადონის სკოლისკენ მიუწევდა გული. მე თუ მკითხავ, დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია მცოდნე კაცს თავის ქვეყნისთვის, უფრო მეტი სამსახურისა, ვიდრე ალმატებულ ერისმთავარს და, თუ გნებავს, მეფესაც. ადონი და მისი სიბრძნე რომ არა, ვინ იცის, შესძლებდა კი იბერია აზონისგან თავის დახსნას? — თქვა მეფემ.

— იბერიას ფარნავაზის გმირობამ და აზონის სიძულვილმაც გაამარჯვებინა! — გაცხარდა უცებ ეგრისის მთავარი.

— კარგი, კარგი. არც თუ მცირეა ჩვენი წვლილიც, მაგრამ დაე ამაზე ბრძენთა ბჭონ. — შენ ეს მითხარი, ჩემს ცეკვაზე არაფერი თქვეს? გული მეტკინება, კარგ მოთამაშედ თუ არ ჩამთვალეს ეგრისელებმა! — გამოცვალა საუბრის თემა ფარნავაზმა.

— იცოცხლე, შეგაქეს. მაგრამ არანაკლებ მოსწონებიათ შენთან მოცეკვავე მზეთუნახავი! — უპასუხა ეგრისის მთავარმა. — სიბერის მოახლოებას იმითაც ვგრძნობ, რომ ლამაზი ქალების ამბავს სხვები მატყობინებენ უკვე...

* * *

ბევრი იარა, ვიდრე დათქმულ ადგილს მიაღწევდა. მივიდა. ხის მაღალ ვარჯს თვალი ააყოლა, გულდასმით მოსინჯა მის ირგვლივ მიწა. ხუთყურა იპოვა და იქ ჩამოჯდა, სადაც წინალამით იათა ნახა ხეს მიყრდნობილი. ტყის იდუმალ ჩურჩულს მიუგდო ყური.

დრო მიდიოდა. იათა არ ჩანდა. არ უნაღვლია, არც წყენია იათას დაუხვედრელობა. გრძნობდა, უეჭველად მოვიდოდა ქალი, ისიც იცოდა, რომ ამ ერთხელ მაინც იქნებოდა ბედნიერი და ამ ბედნიერებას იათა ერქვა. ამჯერად აღარ დაიხევდა უკან, რადგან უკანდასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა სრულიად. ზურგს უკან მის მიერ განვლილი ორმოცდაექვსი წელი იდგა, რომელიც თავის წილ სიხარულს მოითხოვდა.

— მოვა, იათა, მოვა! რადგან სიყვარული მოვიდა, იათასაც მოიყვანს იგი...

მზის პირველ სხივს მოჰყვა იათა, სხივივით ნათელი და სასურველი. მიუახლოვდა, წინ გაუჩერდა თავდახრილი, დარცხვენილი და დაბნეული.

პატიების თხოვნა თუ სურდა დაგვიანებისთვის; იმის თქმას თუ აპირებდა მეფისთვის, რომ ერთი უგვარო მეთევზის ქალი ღირსი არ იყო მისი ყურადღებისა; რომ სიყვარულს, რომელიც მის გულში თითქმის ბავშვობიდანვე ჩაისახა, დანაშაულად მიიჩნევს და ღვთაების წინ მოინანიებს მთელი ცხოვრება. ოღონდ, ნუ ინებებს მეფე მისი ოცნების წათამამებას, ნუ გაიმეტებს უფრო დიდი ტანჯვისთვის მის უბედურ გულს.

არც ფარნავაზი იღებდა ხმას.

თავი ასწია იათამ და თვალები მიაპყრო სათაყვანო სახეს.

— ნუ განმირისხდები, მეფეო, დაგვიანებისთვისო, — უნდოდა ეთქვა, მაგრამ ენა ვერ დაძრა გაკვირვებულმა.

ულიმოდა და თან ტიროდა მეფე.

ამ ცრემლიანმა ღიმილმა იათას ბედი გადაწყვიტა. იგი ამიერიდან მხოლოდ ერთს, აი, ამ კაცს ეკუთვნოდა მთლიანად, მთელი არსებით, სიცოცხლით. არა მეფეს, მკაცრ და შეუვალ მბრძანებელს იბერიისას, არც ბრძოლების გმირსა და მტრის რისხვას, როგორც ეძახდნენ, არც გონიერ გამგებელსა და ქვეყნის აღმშენებელს, არამედ ფიქრიან, თმაგაჭაღარავებულ, ბედნიერების ამაო მომლოდინე მარტოსულ კაცს, როგორც მხოლოდ მისთვის გაჩენილი და მოვლენილი.

იგრძნო ფარნავაზმაც, რომ იათამ დაივიწყა მისი მეფობა და შეიყვარა იგი

ისე, როგორც მხოლოდ ოცი წლის ქალიშვილს შეუძლია სიყვარული, — უანგაროდ, თავგანწირვით.

მერე ისხდნენ ერთმანეთის გვერდით უეცარი ბედნიერებით განცვიფრებულები, ხმას არ იღებდნენ და ერთმანეთის გარდა არც არაფერი ახსოვდათ.

ალბათ, ამიტომაც ვერ გაიგონეს, რომ მათგან არც თუ ისე მოშორებით, თავის გაცრუებულ ოცნებებსა და დაკარგულ იმედს მწარედ დასტიროდა ეგრისის მომავალი მთავარი.

მაღალმა ღვთაებამ თუ დაიფარა და არ გააბოროტა იმ დღეს ჭაბუკის გული.

* * *

ანათა ჭიშკართან დახვდა. თვალი გაუსწორა დედობილის ეჭვიან მზერას, შესცინა, გულღიად, მართალი კაცის ალალი ღიმილით. მკერდზე მიიკრა მისი ჭაღარა თავი, მიეფერა, როგორც იცოდა ხოლმე და თავისი აღტაცება გაუზიარა:

— ბედნიერი ვარ, დედილო, ბედნიერი!

ანათამ ფარნავაზის ხასიათი კარგად იცოდა, მაგრამ ასეთი აღტაცებული არასოდეს უნახავს მეფე.

რაც დიდი დედოფალი, ფარნავაზის დედა გარდაიცვალა, ფარნავაზმა კიდევ უფრო დაიახლოვა თავისი გამზრდელი და, როცა ქვეყნის საერისმთავროებში დიდი ხნით სტუმრობდა, მუდამ თან დაჰყავდა დედის მაგიერი. ასეთი იყო მეფის უკანასკნელი სურვილიც. — მუდამ გვერდით გყავდეს ჭირსა და ლხინში, ენდე და გული გაუხსენი, დარდი გაუზიარე; დედის გული შვილის სატკივარს უთქმელადაც გრძნობს... მაინც ჩემგან დაფარული ყოველი შენი ნაბიჯი შიშის ზარსა მცემდა. ჩემთვის გაუმხელელი შენი დარდისა მეშინოდა უპირველესად, რადგან ვხედავდი, გულში ჩაბრუნებული სატკივარი ნაოჭად გაჩნდებოდა სახეზე... ამაოდ ფიქრობ, რომ მეფეს ნაკლებად ეჭირვებოდეს ერთგული მესაიდუმლე, უბრალო ადამიანური განცდების გამზიარებელი. ასეთად იგულვე ანათა და დამპირდი, რომ მასთან შენს პირადულს [illegible] დაჰფარავ!.. — მაშინ, მომაკვდავი მელადეს სარეცელთან მიხვდა ფარნავაზი, თურმე დაუტანჯავს დედა მასზე ფიქრით და, როცა თავის პირად განცდებს უმალავდა, კი არ დაუნდვია, როგორც თავად ფიქრობდა, არამედ დაუდარდიანებია, გაურკვევლობის სიმწარისათვის გაუმეტებია.

ახლაც, როცა ანათასთან გული გახსნა და მონათხრობით ხელმეორედ განიცადა ბედნიერება, მადლობა უთხრა გუნებაში დედას ამ დანაბარებისათვის...

— დედოფალმა არ უნდა გაიგოს ეს ამბავი! — თქვა ანათამ, — იცი შენ, მხოლოდ ეჭვისთვის რომ მოიძულა ჩემი ქალიშვილი. ასე მგონია, არც ადონს მოეწონება შენი საქციელი... ისიც მიჭირს, რომ გთხოვო, ახლაც დასთმე, როგორც მრავალგზის-მეთქი.

— არ მთხოვო! არც მითხრა! — უცებ წამოდგა ფარნავაზი.

უცებ გაახსენდა იათას სიტყვები, ცეკვის დროს რომ უთხრა ქალმა. — ეგრისელები შესძლებენ, რომ არ გიცნონ, შესძლებენ, ეს დღე აჩუქონ თავიანთ მეფესო...

— საკვირველი ისაა, რომ ერს უკეთ ესმის თავისი მეფისა, ვიდრე მის ახლობლებს.

— მიბრძანე და შევასრულებ კიდეც, რასაც ინებებ! — შეიძლება პირველად ინატრა ანათამ, რომ მეფეს ებრძანებინა და განსჯის უფლება არ მიეცა მისთვის. — მეფე ხარ და იმის უფლებაც გაქვს, მეორე ცოლად დაისვა იათა. არ ახალია მრავალცოლიანობა მცირე აზიის მეფეთათვის!

— მე იბერიის მეფე ვარ და ცოცხალი ცოლის გვერდით მეორე ცოლს არ დავისვამ. დედოფლად არ მსურს იათა. ჩემთვის მინდა, მხოლოდ ჩემთვის... დედის მაგიერი ხარ და იმიტომ გიხსნი გულს. უნდა წამოიყვანო მცხეთაში ქალი... ხარჭად რომ მსურდეს, შენ არ შეგკადრებდი მის სიახლოვეს... შენზე უკეთ ვინ უწყის, როგორ შორი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორსა ვართ ერთმანეთისგან მე და დედოფალი იბერიისა... ვერ შევითვისე და შევიყვარე ღვთით ცოლადბოძებული, თუმც კი გულით მეწადა მისი და ჩემი ბედნიერება.

ანათას ცრემლით აევსო თვალი და ფარნავაზი მიხვდა, რომ ყველაზე უმთავრესს მიაღწია. მოუპოვა იათას მეგობარი, თანამდგომელი, კეთილისმსურველი, მოყვარული ადამიანი.

— ქალიშვილიც მებრალება! ძალზე რთულია ფარნავაზის მეწყვილეობა. შესძლებს კი იათა ამას?

— მადლობელი ვარ, დედილო, მადლობელი!

— წავიყვან იათას, ჩემს სასახლეში, არაგვისპირში ვაცხოვრებ. მოვემსახურები. დანარჩენი თავად იცი. ვაჟკაცს არ ასწავლიან, როგორ მოიქცეს. ანოს ვთხოვ, იათას მამა გაააზნაურებინოს ქუჯის. პატივი მიაგოს მის მშობლებს!.. — დაუმატა, წამოდგა და ფანჯარასთან მდგარ ფარნავაზთან მივიდა, ძლიერ მხრებზე დანაოჭებული ხელი გადაუსვა და უთხრა: — ამაოდ გგონია, შენმა ახლობლებმა არ ვიცოდეთ შენი ფასი.

* * *

იბერიის ძლევამოსილი მეფე ყველაზე მეტად ქვეყნის აღმშენებლობაზე ზრუნავდა. ყოველი ახალი ციხე, სახლი, სასახლე, სალოცავი, ახლადგაჭრილი თუ შეკეთებული გზა მისი ზრუნვით და ზედამხედველობით ემატებოდა ქვეყანას.

მუდამჟამს იქითკენ მიისწრაფოდა ფარნავაზი, რომ იბერიის მრავალრიცხოვანი ქალაქები და სოფლები ერთმანეთთან ვარგისი, უმოკლესი გზებით დაეკავშირებინა ლამაზი სახლებითა და სასახლეებით, მდიდრული ტაძრებითა და სალოცავებით დაემშვენებინა, საქარავნო და სავაჭრო გზებზე მოსახერხებელი, სავანეები მოეწყო; მტკვარსა და ფაზისზე სამდინარო გემები გაეშვა, შორეული ქვეყნიდან ჩამოსული ვაჭრისთვის საკუთარი, იბერიული საქონელი შეეთავაზებინა, იბერიული მრგვალი ბერძნულ ფულზე ნაკლებ გასავალში არ ყოფილიყო, მარცვლისა და ღვინის შესანახი დიდი საწყობები და მარნები დაედგა, სკოლები და წიგნთსაცავები გაეხსნა... და ყველაფერი ეს დაცული ყოფილიყო მთავარ გზებსა და ხეობათა იწროებში, დიდი ქალაქის კარიბჭეებთან წამომართული ციხე-სიმაგრეებით.

ყოველ დიდ მშენებლობას თავად მეურვეობდა მეფე. გადასახადიც კი დააწესა ქვეყანაში, რომლის შემოსავალი მხოლოდ მშენებლებს, საშენ-მასალის შესყიდვასა და დამზადებას ხმარდებოდა. ერისმთავრებისაგან კირითხურონი შეისყიდა, ყოველგვარი გადასახადიდან გაათავისუფლა და ზოგიერთ გამორჩეულს და თავისი საქმის კარგ მცოდნეს აზნაურობაც უბოძა, მცირე მამული არგუნა.

გადაწყვეტილი ჰქონდა ადონის სკოლის მსგავსი მშენებელთა სასწავლებელი გაეხსნა, სადაც იბერიულ წესზე გაიწვრთნებოდნენ ახალგაზრდები, რომელთაგან გამორჩეულს უცხო ქვეყნებში გააგზავნიდა უცხოური ცოდნისა და გამოცდილების შესაძენად.

და, აშენებდა თავის ქვეყანას ფარნავაზი, თავის ხალხთან ერთად, მშვიდობით და სიბრძნით. ოცნებობდა ისეთ იბერიაზე, რომელიც აიეტის შთამომავალი სავლაკის კოლხურ სამეფოს მსგავსად ლეგენდასავით გადაეცემოდა შთამომავლობას. კიდეც დაანახა ქვეყნიერებას ფარნავაზმა, რომ ბრძოლით სახელგანთქმული ქართლოსიანები უმეტესად მებრძოლნი კი არა, მშენებლები არიან.

ახლაც, სოანეთიდან მობრუნებულმა მეფემ სარაპანისისკენ აიღო გეზი... ფაზისის ლამაზ ხეობას აუყვა მხლებლებითურთ, არ ჩქარობდა, ხშირად ჩერდებოდა, ყველა ხიდსა და გზაწვრილს ამოწმებდა...

მთავარ გზაზე გასულს ვანის ქალაქიდან მომავალი მხატვართუხუცესი შემოხვდა, რომელსაც კრამიტი, ბერძნული მინა და კოლხური ფერადი სელის ქსო-

ვილი მოჰქონდა ურმებით. საშენი მასალისა და შენობის გასაწყობი ქსოვილის შეძენას ვაჟიკა არავის ანდობდა.

ფარნავაზმა თეთრონი შეაჩერა.

თავი დაუხარა მხატვართუხუცესმა:

— სარკინეთის ტაძრისთვის და მცხეთის ახალი სასახლისთვის მიმაქვს საჭირო მასალა, დიდო მეფეო! სარაპანისშიც მსურს შევიარო. ციხე-სიმაგრე დასრულებული უნდა იყოს უკვე. ამ ათი დღის წინ სარკმელთა პირების თიხით ამოყვანა, გალავნის შეთეთრება და ციხის ეზოს დასუფთავებაღა აკლდა!

— მარცვლეულის შესანახი და ღვინის ქვევრები ჩააშენეთ? — იკითხა მეფემ, დაწინაურდა, თან გაიყოლა მხატვართუხუცესი.

— როგორც გვიბრძანე, ისე მოვიქეცით, წყლის შესანახი დიდი ქვევრებიც მიწაში ჩავფალით... ერთ თვეს ეყოფა წყალი ციხეს... მილებიც მივუერთეთ ქალაქის წყალსაცავს... გალავნის გასწვრივ ღრმა არხს გასდევს წყლის მილი, როგორც დათქმული იყო. არხში წყალს მივუშვებთ და...

— ოთხივე ხიდი დაასრულეს? — კვლავ იკითხა მეფემ.

— მხოლოდ ერთის, წინა ხიდის აგება ვუბრძანე, მეფეო!.. ეგრისში ჩემი თანაშემწე გაახლე, მაგრამ სოანეთში იყავი წასული. დიდოსტატმა მარადამ დაიჩემა, მხოლოდ ერთი მიწისქვეშა გასასვლელი დავაყოლოთ ციხეს უკან, ტყის მხარეს. გვირაბი არხის ქვევით მოვაქციოთ, ამით უცხო თვალისთვის შეუცნობელი გავხადოთო. მეც მომეწონა დიდოსტატის აზრი და ახლა შენს დასტურს ველოდებით, როგორც მიბრძანებ, ისე იქნება...

— შესძლებთ კი გვირაბი ციხე-სიმაგრის დალოცვის დღემდე გაიყვანოთ? არც თუ დიდი დრო დარჩა მანამდე.

— შევძლებთ, მეფეო. დიდოსტატს ციხეში ახლა რჩეული კირითხუროები ჰყავს დატოვებული. თავს არ იზოგავენ არც ისინი და არც ციხის უფროსი... საკუთარი სახლივით დაჰკანკალებენ მარადა და მისი ქალიშვილიც შენობას...

— გაიღიმა ვაჟიკამ. — როგორც ყოველთვის, ახლაც მართალი იყავი, — სარაპანისის სიმაგრის აშენება ჩხარულ დიდოსტატს რომ მიანდე. მუშა-ხელი, საზიდრები და მონები უკვე დავითხოვე, მაგრამ, თუ საჭირო გახდება, სარაპიონისელები მიეხმარებიან ციხეში დარჩენილ მშენებლებს...

— ქალაქის ზღუდესაც უნდა გამაგრება. ციხემდე იოლი სავალი რომ არ გახდეს, ზღუდეს მცირე კოშკებიც უნდა ჩავაყოლოთ სათვალთვალოდ და საისრედ... მომავალ გაზაფხულამდე უნდა გასრულდეს ყველა სამუშაო სარაპანისში...

* * *

შორიდან ჯერ ზეცისკენ ატყორცნილი ოთხკუთხა კოშკი გამოჩნდა, მას მთავარი სათვალთვალო ეწოდებოდა. ქონგურებიდან ხელისგულივით იშლებოდა მთელი ხეობა. მთავარი გზის დიდი მონაკვეთიც კარგად მოჩანდა და სარაპანისისკენ მომავალი გვერდითი, მდინარის გაყოლებაზე გაჭრილი საურმე და საცალფეხოებიც... ფაზისზე გადებული დიდი ხიდიც და მის შენაკადებზე მოწყობილი მომცრო გადასასვლელებიც. მერე კოშკის ირგვლივ შემოხვეული ყველაზე მაღლა მდებარე შენობა გამოჩნდა, ეგრეთწოდებული ზედა ციხე, რომელიც ფუძით მთაში სანახევროდ შეჭრილ, თითქოს ერთი საფეხურით წინ წამოწეულ შენობას ანუ შუა ციხეს ებჯინებოდა. ყველაზე ქვემოთ, თითქმის მთის ძირში, მძლავრი, მკერდგანიერი ქვედა ციხე მყარად დაყრდნობოდა მიწას...

გვერდით მიმავალი ვაჟიკა მეფეს თვალს არ აცილებდა. კვლავაც არ დაინანებდა იგი საკუთარ გრძნობას, ფიქრს, ცოდნას, კვლავაც უშურველად გახარჯავდა საკუთარ ენერგიას, არ იფიქრებდა ბედნიერებაზე, მშვიდ ცხოვრებაზე, ოჯახის შექმნაზე, ოღონდ კი ფარნავაზის სახეზე ასეთივე სიხარული და აღტაცება წაეკითხა ყოველთვის.

— გმადლობ, ვაჟიკა, პირქუშის მემ-

კვიდრეს რომ შეეფერება, სწორედ ისეთი ნახელავია. — თქვა ფარნავაზმა და ცხენი ააჩქარა.

...მხატვართუხუცესი ამჯერად არ მიჰყვა მეფეს, ჩამორჩა, რადგან იგრძნო, რომ მარტო დარჩენა სურდა ფარნავაზს.

სამი წლის წინ ამ მთასთან პირველი თათბირი ბრძანა იბერიის მეფემ. თათბირს მთავარსარდალი, ეგრისის მთავარი, მომავალი ციხის უფროსი — კლარჯეთის ომის მერე მცხეთიდან სარაპანისში ფარნავაზის მიერ გადმოსახლებული მეფის ერთგული ბერძენი ათასისთავი, მხატვართუხუცესი და ჩხარელი დიდოსტატი, მარადა ესწრებოდნენ.

მხატვართუხუცესს მეფისგან ციხის ასაგებად მოწონებული ადგილი წინათაც გულდასმით ჰქონდა შესწავლილი და, როცა მშენებლობის გეგმა დასახა, იმთავითვე მთის წვერის წაკვეთა მოინდომა, რათა მიღებულ ვრცელ მინდორზე ჩვეულებრივი ერთსართულიანი, კოშკებით გამაგრებული ციხე აეგო. ფარნავაზმა ამ აზრის საწინააღმდეგოდ არაფერი თქვა, მაგრამ, ეტყობოდა, არ ეთანხმებოდა ციხეთა გამოცდილ მშენებელს.

მეფის დასტური რომ ვერ მიიღო, ვაჟიკამ თავის მიერ ცოტა ხნის წინ გასრულებული ნეკრესის ციხე-სიმაგრე მოაგონა მეფეს და სთხოვა: — თუ იბერიის მბრძანებელი ეგრისში ყოფნისას სარაპანისის მთასთან წამობრძანებას ინებებს, ვეცდები ჩემი აზრის სისწორეში დავარწმუნოო.

დიდოსტატიც შერჩეული ჰყავდა მხატვართუხუცესს. ეს იყო არა მარტო იბერიაში, არამედ მთელს მცირე აზიაში ცნობილი პართელი მშენებელი, იგი ფარნავაზმა იყიდა ამ ათიოდე წლის წინ. სწორედ მასთან ერთად ააგო ვაჟიკამ ნეკრესი, აღადგინა დანგრეული ზადენციხე და უფლისციხის გზები განაახლა.

როცა ფარნავაზმა თათბირზე ყველასთვის უცნობ მარადას უხმო, არა მარტო მხატვართუხუცესს, ლენესაც ეცვალა ფერი. გამოუცდელი კაცისთვის ამხელა საქმის მინდობა დიდ სიბრძნედ ვერ ჩაუთვალა მეფეს, მაგრამ ვერ კი შეჰკადრა სიტყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ მარადას უნდა ... ახლა ვაჟიკა. სარაპანისის ციხე სხვა ციხეთაგან განსხვავებული და სანაქებო რომ გამოუვიდა. მაშინ, იმ თათბირზე, როცა მხატვართუხუცესი თავისი გეგმის სისწორეში არწმუნებდა მეფეს, მორიდებით თქვა მარადამ: — საცოდაობაა, ასეთი ბუნებრივი სიმაგრე არ გამოვიყენოთო, ხომ არ აჯობებს, სამ სართულად განვალაგოთ სიმაგრე, ერთის უკანა კედელი მეორის წინა კედლის საყრდენად გამოვიყენოთ, მთის გულში შევაჯინოთ. მთაშივე გამოვიყვანოთ სადგომები... საქმე ისე მოვაწყოთ, რომ ციხეს ეზო გარეთ კი არა სართულებს შორის ჰქონდესო. ასეთი მცირე ზომის ციხე შარშან გავასრულე ჩხარის გზაზე, მეფეს იგი ნანახი აქვს და მგონი, მოწონებულიცო.

მთავარსარდალმა შორს დაიჭირა: ციხე მარტო საბრძოლველად კი არა, ჯარის და მოსახლეობის დასადგომადაც მოსახერხებელი უნდა იყოს; თუ იმ აზრს დავეთანხმებით, რაც ოსტატმა მოგვაწოდა, ბრძოლის დროს მეომრებს ცუდი თავდასაცავი ექნებათ... დიდი მოედანი და ეზო აუცილებელია, სხვა შემთხვევაში ციხიდან ლაშქრის უეცარ გაყვანას ვერ შევძლებთო.

მეფემ ვაჟიკას შეხედა. ჩანდა, მხატვართუხუცესზე დიდოსტატის სიტყვებს ძლიერ ემოქმედა და აღეფრთოვანებინა. არც დაუფარავს, მადლობა უთხრა მარადას და ლენეს მიუგო:

— ჯარისკაცთა დასადგომი, სამლოცველო, მოედანი და სხვა დამხმარე დარბაზებიც მთის გულში ამოიჭრება და ციხეც ორჯერ მეტ მებრძოლს დაიტევს, ვიდრე განსაზღვრული იყო!

მეფემ კმაყოფილებით შეათვალიერა თავისი ყმაწვილკაცობის მეგობარი, ყველა ჭირ-ვარამის თანამოზიარე ვაჟიკა და გაიფიქრა: რა პატივსა და დიდებაშიც არ უნდა ჩავარდეს ვაჟიკა, ლენესგან განსხვავებით, მუდამ თავმდაბალი და სხვათა დამფასებელი იქნება.

იმ დღიდან მთვარის სამი მობრუნების სწორზე ვაჟიკამ მარადას თავისი გეგმა გააცნო. და კიდეც დამკვიდრდა დიდოსტატი სარაპანისში. მთის ძირში პატარა ქოხი აიშენა, რათა არც დღე და არც ღამე არ მოსცილებოდა მშენებლობას. მრავალრიცხოვანი ოჯახი დასტოვა, — რვა ქალიშვილი და უმცროსი ვაჟი ცოლს ჩააბარა და თვითონ უფროსი ასული წამოიყვანა. არა მარტო მომვლელად, არამედ ჭკვიან, აზრიან თანაშემწედ.

ქალიშვილს თათუ ერქვა, რადგან მთვარის სავსების ღამეს გაჩნდა. მაგრამ ამ სახელით არავინ იხსენიებდა. ალბათ, ერთი შეხედვით, არაქალური ხასიათის გამო; ცხენისა და ნადირობის მოყვარულს, მობურთალსა და მორბენალს, მშენებლობის საქმის კარგ მცოდნეს, საშენი მასალისა და ლამაზი ქვების მოსაპოვებლად ტყე-ღრეში მოხეტიალეს, რომელიც მუდამ ვაჟის ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, მარადო შეარქვეს თანასოფლელებმა. ბოლო ხმოვანი მხოლოდ იმიტომ შეუცვალეს მამის სახელს, რომ იოლი გასარჩევი ყოფილიყო, ვისზე ლაპარაკობდნენ მამაზე თუ შვილზე.

ქალიშვილიც შეეჩვია თავის ახალ სახელს და კიდეც მოსწონდა, რადგან თავი მამის საქმის გამგრძელებლად მიაჩნდა და სხვაზე არაფერზე ოცნებობდა. უცნაური ხასიათის გამო, საცოლე ჭაბუკები თითქოს უფრთხოდნენ და მასზე უნდილსა და უსახურს ირჩევდნენ გულის სწორად. მარადოსთან თავიანთ სავაჟკაცო საქმეებზე ისე ლაპარაკობდნენ, როგორც თანასწორი თანასწორთან... დიდად არც აწუხებდა ეს ამბავი მარადოს. თავის საფერად არც ერთი ჭაბუკი არ მიაჩნდა ნაცნობთაგან. მაგრამ, როცა მხატვართუხუცესი იხილა, ძალაუნებურად გაახსენდა, რომ მას თაყვანისმცემელი არასდროს ჰყოლია და გული ეტკინა, რადგან ყველასგან დაწუნებული თავი როგორღა უნდა მოეწონებინა. ყველა მამაკაცზე უმჯობესი ვაჟიკასთვის. არადა, მხატვართუხუცესი მის ნათქვამს ყოველთვის ყურადღებით ისმენდა და სწ[illegible]ქცეოდა, როგორც ვაჟკაცი უნდა მოექცეს მშვენიერ ქალიშვილს.

ციხის გასრულება სწორედ იმიტომ უკლავს გულს მარადოს, რომ ჰგონია, მეტად ველარ იხილავს თავისი საიდუმლო ოცნების გმირს. მაგრამ ამჯერად მარადოს სურდა დროზე ადრე არ ჩამოსულიყო ვაჟიკა. საქმე ის იყო, რომ საიდუმლო, რომლის გამხელას სამუშაოს კეთილად დამთავრების მერე ვარაუდობდნენ მამა-შვილი, მხატვართუხუცესის ადრე მოსვლით გამჟღავნდებოდა და ვინ იცის, მოინდომებდა კი ვაჟიკა თავისი ნათქვამის კიდევ ერთხელ შეცვლას? არადა, ძლიერ იყვნენ ორივენი დარწმუნებულნი, რომ ამ მთის შუაგულში, მდინარის გასწვრივ ბუნებრივი წყალსაცავი იქნებოდა. არ სურდათ დაეჯერებინათ სარაკანელი მოხუცისათვის, რომელმაც თქვა, რომ ციხისთვის წყაროს წყალი სანდო არ არის, მისი იმედით ყოფნა არ შეიძლება, მიწაში ჩაიპარება ან კალაპოტს თავის ნებაზე შეიცვლისო და ურჩია, გარედან შემოეყვანათ წყალი მილებით.

ჰოდა, როცა ყველა საქმე მოათავეს, ვაჟიკაც ჯერ არ ჩანდა და მეფისა და მისი მხლებლების ჩამოსვლამდეც ბარე ათი დღე რჩებოდა, როგორ უნდა გაეძლო გულს და არ გამოეცადათ თავიანთი ჩანაფიქრი? მხოლოდ ციხის უფროსსა და დიდოსტატის თანაშემწეს გაანდვეს აზრი და, მიუხედავად მათი ორჭოფობისა, მაინც დაიწყეს მიწის თხრა. სამი დღის მერე ღრმა, ოთხკუთხედად ჩაჭრილ ორმოში წყალი გამოჩნდა.

— ახლა საჭიროა ორმოს ფსკერის გაფართოება და მასში ყველაზე დიდი თიხის ჭურჭლის ჩადგმა. წყლის სადინარი ზევით უნდა დარჩეს და მილით ჭურჭელში უნდა მივუშვათ წყალი. როცა ჭურჭელი აივსება მის სახურავს მეორე მილს მივამაგრებთ, რომელიც ქვედა ციხესთან ამოვა და წყალსაც ამოიტანს.

— ეს როგორღა იქნება! — ძლიერ გაუკვირდა ციხის უფროსს.

— უბრალოდ, — აუხსნა ქალიშვილმა, — როცა წყალს მეტი წასასვლელი არ ექნება, იგი იძულებული გახდება ჩვენს მიერ მითითებულ გზას დაადგესო.

გამოიტანეს წყლის საცავი დარბაზიდან ყველაზე დიდი ქვევრი, ვაივაგლახით ჩადგეს ადგილზე და მარადა წინასწარ გამოჭრილი კიბეებით ჩავიდა ჭაში, რათა მილი ქვევრისთვის მიეშენებინა კვერცხის გულისა და თიხის ნაზავით. მუშაობაში გართულებს ყვირილი შემოესმათ. ციხის უფროსმა სპასალარის მუდმივი თანმხლები ასისთავის ხმა იცნო და გაიცივა.

ჭიშკარი გააღო. სტუმარს თავი მოუდრიკა.

— მეფის შესახვედრად წამოვედი. მითხრეს, ბქეთკენ გადმოუხვევია და მეც სარაპანისისკენ გამოვწიე. როგორ ბრძანდება, მეფე? — იკითხა ლენემ.

როცა გაიგო, ჯერ არ მოსულაო, გაუკვირდა. ერთხანს გაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ მგზავრობით დაღლილს დასვენება ეწადა და იფიქრა, თუ დღეს არა, ხვალ დილით გვეწვევა მეფე, ალბათ გზაში სადმე შეჩერდა, როგორც ჩვევიაო, და მხლებლების დაბინავება უბრძანა ციხის უფროსს. თვითონ ნაგებობის თვალიერებას შეუდგა და ვერც იგრძნო, როგორ შემოაღამდა.

— ასეთ ციხეში გამაგრებულ ჯარს თვით პირქუშისნაირი დევგმირების არ უნდა ეშინოდეს, — გაიფიქრა კმაყოფილმა და ბერძენს ზედაციხეში საწოლის გაშლა უბრძანა. დაწვა, მაგრამ ვერ დაიძინა. იფიქრა, ასისთავს გავაფრთხილებ, მაღალი კოშკიდან უდარაჯოს გზას და მეფის მობრძანება შემატყობინოსო. კარებთან არავინ დახვდა. გაბრაზდა და ქვედაციხეში ჩამავალ კიბეს დაუყვა, რათა მსახური ახლავე დაესაჯა.

კიბის ბოლოში ჩასულს ლაპარაკი შემოესმა. იქითკენ გაემართა და ზედ წამოადგა ორმოზე გადაყუდებულ ორ ადამიანს, რომლებსაც თიხის მილი ეჭირათ ხელში. მიუახლოვდა. ჩააჰველა, და როცა შიშისგან ენაჩავარდნილი ციხის უფროსი წელში გასწორდა. [illegible]ამ შუაღამისას რას აკეთებთ[illegible]

ციხის უფროსმა ძლივს ამოღერღა პასუხი.

როცა გაიგო, რომ თავიანთ ჭკუაზე, უნებართვოდ, საკუთარ წყალსაცავს აგებდნენ — ძლიერ განრისხდა.

უხეშად გამოსწია ციხის უფროსი და მილისკენ გაემართა, რათა ამოექაჩა და დაემსხვრია. ვეფხვივით გადაუხტა წინ მარადო და სანამ სპასალარი რაიმეს მოიფიქრებდა, ფეხი გამოსდო და მიწაზე გაშხლართა.

ციხის უფროსი სწრაფად დაიხარა მისაშველებლად, მაგრამ ლენემ ხელი ჰკრა და წამოდგა.

ხმაურზე პატრონთან მიჭრილ ასისთავს დიდოსტატისა და ჭაბუკის შეპყრობა უბრძანა და ფეხდაფეხ მიმყოლ ციხის უფროსს დაემუქრა: — განანებ დღევანდელ დღესო.

მაინც არ მოსცილდა ბერძენი ლენეს: — ნუ ინებებ ქალის დასჯას, მის მაგივრად მე ჩამაგდე დილეგში დიდოსტატთან ერთად, ხოლო მარადო ისე დასაჯე, რომ შენს დიდებას ჩრდილი არ დაადგესო.

როგორც კი ციხის უფროსის სიტყვების აზრს ჩაწვდა განრისხებული სპასალარი, ნაბიჯი შეანელა:

— მაშ, მე რომ სარმა დამიდო, ქალი იყო და არა ვაჟი?

— სწორედ ასეა, ჩემო მბრძანებელო! — დაუდასტურა ციხის უფროსმა.

— ქალი კი არა, ქაჯი ყოფილა. მერე და რა უნდა ქალს ციხეში, ისიც შუაღამისას და ისიც ორ მამაკაცთან ერთად... ფეხმსუბუქი ხომ არ არის ის შენი... მარადო არა?

— სწორედ მარადო ჰქვია, მბრძანებელო, დიდოსტატის ქალიშვილია, მისი ამბავი იცის მხატვართუხუცესმა...

— წადი და დიდოსტატთან ერთად დილეგში ჩაჯექი, ხვალ მეფე მობრძანდება და იგი თვითონ გადასწყვეტს, როგორ უნდა დასაჯონ ასეთი თავხედობისთვის ქვეშევრდომები, ხოლო ასისთავს უთხარი, ქალი ჩემთან მოიყვანოს. შენ

მართალი ხარ. დილეგში ქალის ჩაგდება უსამართლობაა... თანაც, მიყვარს ლონიერი და მარდი ქალები, თავისი თავისა და ახლობლების დაცვა რომ შეუძლიათ.

— ალბათ ეგონა, მამამისს უპირებდით მილის თავში ჩარტყმას და ამან დააკარგვინა გონი. — ბოდიში მოჰხადა ციხის უფროსმა მარადოს და თავისი საქციელით კმაყოფილი გაეშურა დილეგისაკენ, თან გაიფიქრა: — ბედი უნდა ყველაფერს, ჩვენს მიერ აშენებულ დილეგში პირველნი მე და დიდოსტატი ვხვდებითო.

ასისთავმა მარადო მიუყვანა და, როცა ლენემ საძინებლიდან გასვლა უბრძანა, ულვაშებში ჩაიცინა. კარგად იცნობდა იგი თავის პატრონს. იცოდა, ქალთა მოყვარული რომ იყო ლენე და ისიც, რომ ქალის სურვილი ყველაფერს ავიწყებდა დიდებულ სარდალსა და შესანიშნავ მებრძოლს. უკვირდა ასისთავს. ულამაზესი ცოლი სახლში უზის, თვითონ კი გლეხის უბირ გოგოებს დასდევს და მუდამ გზაზეა გაკრული თავისი მრავალრიცხოვანი ხარჭების მოსანახულებლადო.

დილეგის კართან ჯარისკაცები დასტოვა, თვითონ კი ქვედა ციხეში იატაკზე დაწვა. დალლილს და უკვე ლამენათევს, მკვდარივით ჩაეძინა.

* * *

ფარნავაზმა და ვაჟიკამ ის ღამე აქაური მეთუნის ოჯახში გაათიეს.

გზაზე შემოხვდათ მეთუნე. ვაჟიკას გასაკვირად, მეფე ცხენიდან ჩამოხდა, გადაეხვია მოხუცს და დიდის ამბით მოიკითხა

— თუ ჩემი ოჯახის ამბავი გაინტერესებს, სახლშიც მეწვიევი, როგორც სიტყვის კაცს ეკადრება! — მიწამდე დახარა თავი შემხვდურმა.

წარბი აზიდა ფარნავაზმა.

— შენ ალბათ დაგავიწყდა, ჩემს შვილიშვილებს კი მას მერე ძილი არა აქვთ. დაგვპირდა და აუცილებლად გვეწვევაო... მუდამ გზისკენ უჭირავთ თვალი! — დაასრულა სა[illegible] მეთუნემ.

— აი, ციხეში მი[illegible] გეწვევით! — გაიცინა ფარნავაზმა.

— ციხეში ხვალ მიდით. იქამდე ერთი თვალის დახამხამების გზაა... დილით აბრძანდები და მიხვალ, ხოლო ახლა ჩემი სახლის წინ დგეხარ და ერთი ნაბიჯილა გაკლია ჩემი ოჯახის გახარებამდე.

— ამ კაცს ვერ ვაწყენინებ, ჩემი მასწავლებელია, სწორედ მის სახლში ვისწავლე თიხისა და აყალოს შეზავება და დოქებისა და პატარა ქანდაკებების გამოწვა. — თქვა ფარნავაზმა.

მეფეს მართლაც ძლიერ იტაცებდა მეთუნეობა და თვითონაც შესანიშნავი ოსტატი იყო. თავისუფალ დროს მუდამ გატაცებით მუშაობდა თიხაზე.

ვაჟიკამ მასალით დატვირთული ურმები თანაშემწეს გაატანა მცხეთაში, ფარნავაზმა კი თავისი მხლებელი რამდენიმე კაციც მეთუნის ეზოში შეიყვანა.

გვიან ლამემდე უსხდნენ სუფრას მეფე და მისი სტუმრობით ზეცას ხელმიწვდენილი მასპინძელი. იგონებდნენ მეფის პირველ გაკვეთილებს მეთუნეობაში, მის შეცდომებს, მის წარმატებებს... გაიხსენეს როგორ შემოატყდა ფარნავაზს მთელი ზაფხულის ნალოლიავები ქვევრი გამოწვისას... იცინეს, იმხიარულეს...

მეორე დილით საუზმე მიირთვეს სტუმრებმა და ციხისკენ გაეშურნენ.

გაუკვირდა ვაჟიკას, ჭიშკარი დაკეტილი რომ დახვდა.

მეფემ თავის მსახურს რაღაც ანიშნა, ისიც ცხენზე შედგა და თვალისდახამხამებაში მოექცა ქვის ზღუდეზე, მერე ეზოში ჩახტა და ჭიშკარი გამოხსნა.

ფარნავაზსა და ვაჟიკას ერთგული დიდოსტატის, მისი ქალიშვილისა და ციხის უფროსის დაუხვედრელობა ცუდად ენიშნათ და სწრაფად აირბინეს კიბეები.

სწორედ მათმა ფეხის ხმამ გამოაღვიძა ლენეს ასისთავი. დარბაზიდან გამოსული პირდაპირ შეეჩეხა მეფეს და მის მხლებლებს.

— ვინა ხარ და აქ რა გინდა? — იკითხა ფარნავაზმა. მიწას განერთხო ასისთავი.

— ლენეს ვახლავარ, დიდო მეფეო. გუშინ საღამოს ჩამობრძანდა მთავარსარდალი, შენთან შეხვედრას ესწრაფვოდა...

— ამჟამად სად ბრძანდება ლენე? — კვლავ იკითხა მეფემ.

— ავად შეიქნა შუაღამისას, დიდო მეფეო!

— დიდოსტატი და ციხის უფროსი სადღა არიან? — ვერ მოითმინა ვაჟიკამ.

— ორივე დასჯილია სპასალარის მიერ. დილეგში სხედან!

— გაგვიძეხ ავადმყოფის სანახავად! — ბრძანა მეფემ და ფეხდაფეხ მიჰყვა ასისთავს, ძლიერ ეჩქარებოდა იმის გაგება ასეთი რა დააშავეს მარადამ და ციხის უფროსმა ან ლენეს რა სჭირსო.

ასისთავი პირდაპირ მიეჭრა კარებს, — უხერხულ მდგომარეობაში არ შემოუსწროს მეფემ სპასალარს, შევვარდები და გავაფრთხილებო.

კარები გამოხსნა და მოულოდნელობისგან იქვე ჩაჯდა.

საწოლზე მჭიდროდ გადაკრულ ლენეს პირში საკუთარი თავსახვევი ჰქონდა ჩატენილი და მგელივით აბრიალებდა თვალებს.

გაღებულ კარს ერთად მიადგნენ ფარნავაზი და ვაჟიკა.

თვალებგადმოქაჩული და სიბრაზისგან ერთიანად აჭარხლებულ ლენეს დანახვაზე, რომელსაც ასისთავმა ის-ის იყო პირში თითქმის ნახევრამდე ჩაჩრილი თავსახვევი ამოაცალა, ვაჟიკამ ძლივს შეიკავა თავი და სიცილი რომ დაეფარა, ფანჯარასთან მივიდა.

— ვინ შეჰკადრა იბერიის მთავარსარდალს ასეთი თავხედობა? — იკითხა მეფემ და ტუჩზე იკბინა, რომ არ გაცინებოდა.

ასისთავმა მხრები აიჩეჩა, ხოლო ლენემ ხმაურით გადაყლაპა ნერწყვი.

— მე შევკადრე, იბერიის მხსნელო! — თითქოს მიწიდან ამოძვრა მარადო, — ხოლო რისთვის შევკადრე, თავად მოგახსენოს! — თქვა და მუხლი მოიყარა მეფის წინ.

— ასე პატარა, ამხელა ვაჟკაცს ვით მოერიე? — კვლავ ტუჩზე იკბინა მეფემ.

ცოტა ხანში ფარნავაზმაც დასტოვა ნახევრად ახსნილი სპასალარი, ნაკვთი არ შერხევია სახეზე, მაგრამ ლენემ კარგად იცოდა, რომ სიცილს ძლივს იკავებდა მეფე.

* * *

მეფემ ციხის ყოველი კუთხე-კუნჭული მოიარა, გულით გაიხარა. დიდოსტატი და ციხის უფროსი იხმო. ციხეში გაჭრილ წყლის აუზზე ალაპარაკა, მოიწონა, მადლობა უთხრა, მერე წუხანდელი ამბავი მოათხრობინა ციხის უფროსს და იხარხარა, როცა ბერძენმა უთხრა, მიწაზე გაშხლართა მარადომ თითქმის ორმეტრიანი ლენე.

შემოიყვანეს დამნაშავე.

— ქალი რომ არ იყო, დიდ სასჯელს მიიღებდი თავხედობისთვის. — თვალები ულიმოდა მეფეს. — ხოლო რადგან ქალი ხარ, იმით გსჯი, რომ გართმევ თავისუფლებას. ამიერიდან შენი მამის ყველა შვილი, შენს გარდა, აზნაური იქნება, შენ კი მთავრის მონა გახდები ისევ. თუ ვინმე გამოჩნდება დიდგვაროვანი, რომელიც შენს დახსნას მოინდომებს, თავის წოდებას გაგინაწილებს ან გამოგისყიდის, გაძლევ უფლებას, კვლავ თავისუფალი იყო!

— ამბობდნენ გულმოწყალე და სამართლიანია იბერიის მეფეო! — თავი ასწია, თვალი გაუსწორა მეფეს მარადომ.

წარბი შეკრა ფარნავაზმა.

— სამართლიანი რომ არ ხარ, ვხედავ, რადგან თუ მთავარსარდალი ვერ მიხვდა, შენ ხომ იცი, რომ მართალი ვიყავი... იმიტომ მოვექეცი ასე, რომ ჩვენთვის ხელის შეშლა უნდოდა და ამდე-

ნი ხნის ნამუშევრის განადგურება. არც გულმოწყალე ყოფილხარ, რადგან რაც ყველაზე ძვირფასი იყო ჩემთვის, იმას მართმევ — თავისუფლებას!

ახლა სულ სხვანაირი თვალით უცქერდა მეფე ამ უცნაურ და ამაყ ასულს.

ვაჟიკა წარსდგა მეფის წინ.

— მე მიბოძე, მეფეო, ეს ქალი!.. — ეს სიტყვები რომ წარმოთქვა მასაც ისევე გაუკვირდა თავისი ნათქვამი, როგორც მეფეს და ციხის უფროსს...

— გამოისყიდი? — შეეკითხა ფარნავაზი.

— თუ თავადაც ინდომებს, ცოლად შევირთავ და შენგან ნაბოძებ ჩემს წოდებას გავუნაწილებ! — ერთ ამოსუნთქვას ამოაყოლა სათქმელი ვაჟიკამ და, როცა მარადოს აელვარებულ სახეს შეხედა, მიხვდა, რომ ადამიანი ზოგჯერ ყველაზე უდიდეს გადაწყვეტილებას თურმე უცაბედადაც წინასწარ განუსჯელადაც იღებს.

* * *

ლენეს ისევე სწრაფად გადაუარა, გაბრაზებამ როგორც დაეუფლა. საღამოს თვითონაც გულიანად იცინოდა მეფესთან და მხატვართუხუცესთან ერთად თავის წუხანდელ თავგადასავალზე. გულღვარძლიანი არ იყო იბერიის მთავარსარდალი. ასე განსაჯეთ, — ბოდიშიც კი მოუხადა მეგობრის საცოლეს და ის სთხოვა მხოლოდ, როგორ შემბოჭე და ტახტზე გადამაკარი, არავის არ გაუმხილოთო.

პატიოსნად შეუნახა ეს საიდუმლო მარადომ იბერიის მთავარსარდალს.

* * *

იბერიის დედა მდინარის გაყოლებაზე გაჭიმული დიდი საქარავნო გზა, რომელიც ქვეყანას ჰირკანიასთან და პონტოს ზღვასთან აკავშირებდა, ლიახვისა და მტკვრის შესართავთან მარცხნივ უხვევდა და უფლისციხის ძველ გალავანთან გადიოდა.

ათიოდე წლის წინ დამთავრდა ამ გზის მშენებლობა. საგრძნობლად გაფართოვდა, ჭაობიანი ადგილები ხრეშით ამოივსო და ქვის ფილებით დაფარა, მთელ სიგრძეზე საქარავნო გასაჩერებლები მოეწყო, უცხოელ ვაჭრებისა და მექარავნეთათვის სავანეები აიგო, საჯინიბოები გაჩნდა, რომელშიც მონდომებული კაცი გამყოლსაც დაიქირავებდა და მგზავრობით დაღლილ ცხენს შეასვენებდა, თუ საჭირო იყო, ახალს იყიდდა, დანაყრდებოდა, ღამეს გაათევდა.

დაკვირვებული თვალი მრავალრიცხოვან მგზავრებში უმალ გამოარჩევდა იბერიულ, დაბალ, მკვირცხლ ცხენებზე ამხედრებულ მსტოვრებსა და მეხარკეებს, რომლებიც გამუდმებით მიმოჰქროდნენ ამ გზაზე ამბებითა და მეფისა თუ ერისმთავრებისთვის მისართმევი საჩუქრით დატვირთულები.

გასული წლის ბოლოს მთავარი გზის ყველაზე დაზიანებული და აზონის შემოსევის დროიდან თითქმის გაუქმებული კლდეკარის გამოსასვლელი ჩადგა მწყობრში. ფარნავაზმა ქვეყნის სამხრეთის საზღვართან ახალი ციხე ააგო და ლითონით მოჭედილი, მაღალი ქვის თალი აღმართა, რომლის რკალიდან ზვიადად იცქირებოდა სპილენძის უზარმაზარი ხარის გამოსახულება.

ახლა, როცა პართიასთან და ალბანეთთან დამაკავშირებელი გზა გაასრულა, მეფემ თვალი კლარჯეთს მიაპყრო. სურდა ამიერ-პონტოელთაგან შემოერთებული მხარე მტკიცედ შემოეზღუდა და ქვეყნის მთავარ გზასთან დაეკავშირებინა. უკვე პირველი ნაბიჯიც გადადგა — სარაპინასის ციხე ააგო. მალე ქაჯთა ქალაქშიც გამართავს სიმაგრეს და მერე უმოკლესი სავალით ოძრხესთან დააკავშირებს.

უფლისციხისკენ მიმავალი ფარნავაზი ყურადღებით გასცქეროდა უმაღლესისგან საპატრონოდ ბოძებულ იბერიას და უხაროდა, რომ მის მერმისში საკუთარ ნაფიქრალსა და ნამოქმედარს სჭვრეტდა. იმაზეც ფიქრობდა მეფე, რომ ჯერ კიდევ ბევრი აქვს სამოქმედო და რომ

ჯერ კიდევ საჭიროა იგი თავისი ხალხისთვის.

გამზრდელთან შესახვედრად მიიჩქაროდა ფარნავაზი. პატარა ბიჭობიდან მიილტვოდა იმ წუთისკენ, როცა თავისი უპირველესი საქმე უნდა აღესრულებინა, როგორც მეფეს და როგორც ერისშვილს. იბერიის ტახტზე ასვლის დღიდან ცხრამეტი წელი გავიდა. კაცის ცხოვრებისთვის ეს არცთუ მცირე ხანი ერთ ამოსუნთქვასავით ჩაელია ხელში, მუდამ მოუცლელს და დატვირთულს. მაგრამ, როცა ჭაბუკობაში დასახულ უდიდეს მიზანზე დაფიქრდებოდა, გრძნობდა, რომ დრო არა მარტო თავისი სიჩქარით ყოფილა დაუნდობელი, არამედ ნელი დინებითაც, ზლაზვნით და მდორებით.

უფლისციხის ქალაქს ირგვლივ მჭიდროდ დასახლებული დაბები და მთავარსარდლისა და იბერიის მეფის სახლობის სააგარაკო მამულები ერტყა. მიწას უკვე დამჩნეოდა მოამაგე კაცის ხელი.

მთავარსარდალს სურდა მეფე თავის სასახლეში მიეწვია, მაგრამ რა დაინახა, ფარნავაზმა გეზი უფლისციხის მთავართა უძველესი საცხოვრისისკენ აიღო, სიტყვა ვერ შეჰკადრა. განახლებული საცხოვრისებისა და სასახლის თავზე, უფლისციხელთა სიძლიერის უძველეს დასტურად აღმართულიყო კლდეში ნაკვეთი ციხე-სიმაგრე, კლდე-ქალაქი. განა მარტო იმიტომ უყვარდა მეფეს უფლისციხის მთავართა ეს უძველესი საცხოვრისი, რომ იქ მისი გაზრდილი დასახლდა და ამ იდუმალებით მოსილ პალატებში თავისი სკოლა გამართა? არც მარტო იმიტომ, რომ ამ სკოლაში დამოძღვრილი ჭაბუკები ხვალ მის დაწყებულ საქმეს გააგრძელებენ. არა! ამ კლდეში გაცხადებულ დიდებულებაში ფარნავაზი იბერიული სულის სიძველეს, მის დაუმარცხებლობას, უკვდავებას ჭვრეტდა და ქვეშეცნეულად იმასაც ფიქრობდა, რომ იგი, აი, ეს კლდე-ქალაქი, რომელიც უძველესმა ქართლოსიანებმა შექმნეს და წიგნი დიდი კოლხისა — იბერთა ანბანი, ასწლეულების მერეც გააკვირ[illegible]ნებს.

ბიბლიოთეკა

მხატვართუხუცესი გვერდით ამოუდგა. უფლისციხის ძველი განიერი გალავანი, რომელიც დროთა სრბოლას გვარიანად დაეზიანებინა, მეფის დაუკითხავად შეაკეთეს, ძველი, უკვე დამპალი ხის ჭიშკარი ახლით შეცვალა და საყრდენზე მკვიდრად დაკიდა.

მხატვართუხუცესი გულისფანცქალით მოელოდა მეფის სიტყვას, რადგან იცოდა, ძველის ხელყოფას ვერ იტანდა ფარნავაზი და როცა გალავნის შეცვლაზე ლაპარაკობდა, შიშობდა, ახალმა ზღუდემ კლდე-ქალაქს ძველი დიდებულება არ დაუკარგოსო. ადონმა გააბედვინა ვაჟიკას ეს საქმე მეფის ეგრისში ყოფნის დროს, მანვე ურჩია ხის ჭიშკარი რკინით შეეცვალა. სამუშაო რომ გაასრულეს, ადონი ფრიად კმაყოფილი დარჩა და მხატვართუხუცესი დაამშვიდა, მეფეს ძლიერ მოეწონება შენი ნახელავი და კი არ გაგიწყრება, არამედ შეგაქებსო. ეჭვი ეპარებოდა ამაში ვაჟიკას, რადგან კარგად იცნობდა ფარნავაზს და იცოდა, რომ თვითნებობას ვერ ეგუებოდა იბერიის მეფე. მაგრამ ადონს უარი ვერ შეჰკადრა, მერე კი ისე გაიტაცა საქმემ, რომ ფარნავაზის დაბრუნებამდე ჭიშკარიც ჩამოკიდა და შეღება კიდეც.

ფარნავაზი დიდხანს შეჰყურებდა კლდე-ქალაქს შორიდან და, როცა აღმართისკენ დასძრა ცხენი, მთავარსარდალს უბრძანა:

— მეფის შემდეგ პირველი კაცი მთავარსარდალია იბერიაში, ოღონდ მან თავი მეფეზე აღმატებულად არ უნდა წარმოიდგინოს და ჩემთან შეუთანხმებლად არ უნდა გახარჯოს ახალ ციხეთა ასაგები ძვირფასი საშენი მასალა.

— ლენე უბრალოა ამ საქმეში, მეფეო! მე დამსაჯე. ლენე ალანთა ლაშქრის შესამუსრად იყო წასული, როცა ეს სამუშაო შევასრულე. ხოლო მისი შეკეთებისთვის საჭირო ფული ადონმა მიბოძა, მანვე მომცა ჭიშკრისთვის

სალებავიც, რომელიც ორი წლის წინ შეუძენია ინდოელი ვაჭრისგან.

— მაშ, თავისი გამზრდელი დაურჩებია მეფეს?!

— უბრალოა ადონიც. თავად ვაიძულე, ჩემთვის დაეჯერებინა. — იცრუა ვაყიკამ.

— ხედავ ლენე, როგორ მოგიჭრათ გზა შენც და ადონსაც, მადლობა რომ არ მიგელოთ ჩემგან, — გაიღიმა ფარნავაზმა და ყურებამდე გაწითლებულ ვაყიკას მიუახლოვდა.

— გმადლობ, ჩემო ვაყიკა. შენისთანა თანამდგომთა გამო მიხარია და მეიოლება სიცოცხლე. გმადლობ. მთხოვე, რაც გსურს!

— შენი დღეგრძელობა და სიცოცხლე, დიდო მეფეო, სხვა არაფერი!

საქმის ასე მოტრიალებით გახარებულმა ლენემ მთელი ხმით გადაიხარხარა და ვაყიკას მხარზე ხელი დაჰკრა.

ჭიშკარი მსწრაფლ გაიღო. სტუმრები ვრცელ და საგულდაგულოდ მოვლილ ეზოში შევიდნენ.

* * *

ადონის სკოლა თავდაპირველად ახალგაზრდობისთვის მხოლოდ დაწყებითი ცოდნის შესაძენად შეიქმნა, რადგან საჭირო გახდა ქვეყნისთვის ბერძნულ, სირიულ, ინდურ, სპარსულ ენებზე მეტყველი და წერა-კითხვის მცოდნე ადამიანები, სამეფო კარის მომსახურეები, მსტოვრები, მწერლები, მეხარკე-მეზვერენი, წვრილი მოსამართლენი, სატაძრო სამსახურისთვის საჭირო წვრილი ქურუმები. სკოლაში სწავლობდნენ არა მარტო იბერები, არამედ ქვეყანაში მცხოვრები უცხო ტომის ნიჭიერი ყმაწვილებიც: სირიელები, ბერძნები, ებრაელები, სპარსები...

მოგვიანებით ასეთი სახის სასწავლებლები საერისმთავროთა საქურუმოებთან გაიხსნა, ადონის სკოლა კი მომავალ დიდ-დიდ ქურუმთა და სეფეწულთა აღსაზრდელ ადგილად იქცა.

ადონმა თავის პირვანდელ მოწაფეთაგან ზოგიერთი ბოგანო, მაგრამ ცოდნის სიყვარულით გამორჩეული ახალგაზრდა თავის სკოლაში დასტოვა და მასწავლებლად განამწესა, ხოლო მათგანაც საუკეთესო, ფილოსოფიისა და მათემატიკის ნიჭით დაჯილდოებული ებრაელი იაკობი, ეგვიპტესა და ბაბილონში მიავლინა ცოდნის გასაღრმავებლად, მერე კი თავის მოადგილედ დაადგინა, ერისმთავართა წინააღმდეგობის მიუხედავად. ბოლო დროს ადონის სკოლა იბერიაში ჩამოსულ უცხოელ სწავლულთა და მეცნიერთა მისაღებ ადგილადაც იქცა. აქ სტუმრობდნენ არა მარტო იბერიის გასაცნობად დაძრული უცხოელი ფილოსოფოსნი და გეოგრაფნი, ფილოლოგები და მათემატიკოსები, არამედ სარწმუნოებათა გამოჩენილი მეისტორიენი და ქურუმებიც. ხშირად თავად ადონი მოიწვევდა ხოლმე.

ხუთიოდე დღის წინ ადონთან სტუმრად ჩამოვიდა მისი უწინდელი მეგობარი, სელევკისა და დიდი ალექსანდრეს თანამებრძოლი, ერთ დროს სელევკიანელთა სამეფოს წარჩინებული პირი, კასპიისპირა ქვეყნების განმგებლად განწესებული, აწ მოგზაური და სწავლული გეოგრაფი პატროკლე. ძველ მეგობარს, გარდა იმისა, რომ ადონის ნახვა და მასთან საუბარი ეწადა, სურდა თავის წიგნში, რომელიც კასპიისპირა ქვეყნების ცხოვრებასა და ისტორიას ეხებოდა, იბერიელთა და მისი მეზობელი კავკასიანელთა შესახებაც შეეტანა სანდო ცნობები.

ადონი საპატიო სტუმარს ჩვეული სითბოთი და ყურადღებით შეხვდა და, როცა პატროკლეს თხოვნა მოისმინა, განდეგილის წიგნი მისცა გასაცნობად, ხოლო მთარგმნელად და ამხსნელად იაკობი მიუჩინა.

არავინ იცის, რომელი უფრო დააინტერესა განდეგილის წიგნმა, პატროკლე თუ იაკობი, მაგრამ ერთი კი ცხადი გახდა, რომ იმ დღიდან, რაც წიგნის გაცნობა დაიწყეს, არც ერთს სხვა სალაპარაკო არა ჰქონდა, ხოლო პატროკლემ იბერიის ისტორიის წერას თავი გაანება, მხოლოდ რამდენიმე წინადადება

ამოიწერა და იქვე აღნიშნა, რომ ჩემს წიგნში მთლიანად გადავიტან განდეგილის ნაშრომს და მოვიხსენებ თქვენს მეცნიერს, როგორც მსოფლიოს ისტორიის საუკეთესო მცოდნეს და სხვადასხვა სარწმუნოების წესთა აღმწერელსო. იაკობი, წიგნის გაცნობის მერე, პატროკლეს გარდა თითქმის ყველას გაერიდა და, ეტყობოდა, რაღაცაზე გამუდმებით ფიქრობდა, თუმცა ნაფიქრალის გამხელას ჯერჯერობით აღონთანაც კი ვერ ბედავდა.

ასე გაგრძელდა მთელი ერთი თვე და ბოლოს აღონმა თავად იხმო სასაუბროდ იაკობი, რადგან შეამჩნია, უგულოდ ეკიდებოდა იგი აქამდე მისთვის საყვარელ საქმეს — მასწავლებლობას.

ეს მოხდა ფარნავაზის ჩამოსვლის წინა დღეს. წესად ჰქონდა აღონს, რომ სკოლაში მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი და საზოგადო საქმე განუყოფლად მიჩნეულიყო. ერთის სატკივარი ყველას უნდა სტკენოდა და ერთის წარმატებით ყველას უნდა ეხარა. ამიტომაც იაკობი და აღონი სასაუბროდ სკოლის ყველაზე დიდ დარბაზში შევიდნენ მოსწავლეებთან და აღმზრდელ სწავლულებთან ერთად.

აღონმა ჩვეულებრივად დაიკავა თავისი ადგილი და, როცა დანარჩენებიც დიდი მოძღვრის მაგალითისამებრ დასხდნენ, იაკობს მიმართა:

— გუმანით ვგრძნობ, საფიქრალი რამ გიღრღნის გულს და ამით გაშორებს უმთავრესი საქმიდან. თუ დანარჩენებიც ეთანხმებიან ჩემს ნათქვამს, შევეკითხოთ იაკობს, იქნებ გაგვანდოს თავისი ჭმუნვის მიზეზი. ან იქნებ განმარტოება და საკუთარ თავთან განსჯა ურჩევნია?! მაშინ დავრთოთ ნება დაგვტოვოს საჭირო დროით და გამოვუყოთ საზრდო, რომელიც ჩვენს სალაროში მისთვის ინახება! — მშვიდად წარმოთქვა აღონმა, თუმც კი გასაშვებად არ ემეტებოდა იაკობი.

— მომეცით უფლება, თავად შეგეკითხოთ და თქვენი პასუხებით გადავწყვიტოთ ჩემი ბედი! — თავი ასწია იაკობმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სანამ შენსას იკითხავდე, მიპასუხე, პატროკლეს მიუძღვის თუ არა ბრალი შენს გარდაქმნაში? — შეეკითხა უფლისციხელი ბერი, რომელიც აღონ მცირედ იწოდებოდა მას შემდეგ, რაც უფლისციხის ქურუმად განამწესეს.

— თუმცა კი უდიდეს პატივს ვცემ პატროკლეს განსწავლულობას და გულმოდგინეობას, მაინც გეტყვით, რომ იგი ვერასოდეს შესძლებდა ჩემთვის ჩემი ცხოვრების უმთავრესი მიზანი ეჩვენებინა. ჩემს დიდ მოძღვარს და ბრძენთა-ბრძენ აღონს შევეკითხები: — რა ფიქრები აღუძრა განდეგილის წიგნმა პირველად და გადაახვევინა თუ არა მას ადრევე არჩეული გზიდან?

— უამრავი საფიქრალი გამიჩინა, და უპირველესად გამიღვიძა სიამაყის გრძნობა იმით, რომ მეც ადამიანი ვარ და მეც მასავით მწამს ადამიანის მოვალეობისა. ხოლო არჩეული გზიდან არ გადამიხვევია, რადგან სხვა მიზანი, ჩემი ხალხის სამსახურის გარდა, არასოდეს მქონია.

— მე კი განდეგილის წიგნში წავიკითხე ჩემი ხალხის სხვანაირი ისტორია, ვიდრე ჩვენი დიდი და უძველესი რწმენა მასწავლის. როგორ მიაჩნია ჩემს მოძღვარს: — რომელი სტყუის, ჩემი რწმენა თუ?!. — ვერ გაუსწორა თვალი აღონს მისმა გაზრდილმა.

— თუმცა კი ხალხი თავის რწმენას საკუთარ ისტორიასთან ერთად ჰქმნის, მაინც სხვადასხვაა რწმენისა და ისტორიის მიზანი და დანიშნულება. ებრაელთა სარწმუნოება, ისევე როგორც სხვა მრავალი ხალხის რწმენა, თავის თავში ატარებს უარმყოფელსაც. ხოლო ისტორია თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რა მოჰყვება რწმენის სამსახურს და რა მოაქვს ურწმუნობას. ებრაელთა უძველესი ერი საკუთარი ღმერთის, უზენაესი იაჰვეს მიმართ ურწმუნოებამ დაღუპა. რადგან მოისპო ერთი რწმენა, დაიკარგა კიდეც საერთო საქმისთვის

ბრძოლაში გამარჯვების შესაძლებლობაც.

— და, კიდევ იმან, რომ სამშობლოს ეძიებდნენ და ერთხელ ბოძებულს არ დასჯერდნენ, ხოლო ის, რომ იაჰვემ წაიყვანა ისინი აღთქმული ქვეყნის საძებნელად, მცდარი აზრია. საკვირველია, თავიდანვე რად არ დაასახელა უზენაესმა თავისი რჩეული ხალხი რჩეულ მიწაზე? — ვერ მოითმინა ადონის სკოლის ყველაზე ახალგაზრდა მოსწავლემ, ეგრისის მთავრის უმცროსმა ვაჟმა არტავაზმა.

— ადამიანი, რომელიც სხვის რწმენას და ღმერთს პატივს არა სცემს და არ ცდილობს მასში დიადი დაინახოს, სულით ღარიბია, ხოლო ქურუმი სხვათა განმკითხავი უნდა იყოს და სულით მდიდარი! — წარბი შეიკრა ადონმა.

იაკობმა შეცბუნებულ არტავაზს გაუღიმა, თითქოს გაამხნევა და ის იყო კიდევ უნდა ეკითხა რაღაც, რომ ადონ მცირეს ხმა მოესმა:

— იაკობ, შენ რომელ ქვეყანას თვლი შენს სამშობლოდ, იბერიას თუ პალესტინას?

მკვეთრად შემოტრიალდა მისკენ იაკობი და ერთხანს თვალებში მიაჩერდა შემკითხველს.

— შენ თვითონ, ჩემი მეგობარი და ჩემგან პატივდებული ადონ მცირე, ჭკვიანი და დაკვირვებული კაცი, დიდი მორწმუნე და მეისტორიე, რომელს თვლი ჩემს სამშობლოდ — იბერიას თუ პალესტინას? შენც კარგად იცი, რომ შენს ქვეყანაში, სადაც ჩემი მამა-პაპანი დაიხოცნენ და სადაც უკვე ორ საუკუნეზე მეტია ვცხოვრობთ, ებრაელებს არამკვიდრებს გვეძახიან, რადგან გულუხვი კი ხართ იბერიელნი, მაგრამ სიტყვითაც არ გსურთ თქვენი სამშობლოს შვილებად ჩაგვთვალოთ.

— ეს იმიტომ, რომ, როდესაც საჭირო იყო თქვენი უზენაესი ღმერთის სამსახური სამშობლოს გადასარჩენად, მაშინ ჩვენებური და ბაბილონური ღვთაებები აღიარეთ, აირიეთ ერთმანეთში. ხოლო ახლა, როცა უსამშობლოდ დარჩით და სხვის მიწაზე დასახლდით. გულმოდგინე მოქალაქეები გახდით და ამით თქვენი ახლანდელი მარჩენალი და დამმარხველი მიწისთვისაც უცხოებად იქეცით. თუმცა კი დიდად ვაფასებ თქვენს რწმენას, რომელიც უმაღლეს ღვთაებასთან მიახლოებას და უშუალოდ მის მსახურებას ქადაგებს, მაინც გეტყვი, რომ ალბათ ნაადრევი იყო ადამიანისთვის მცირე და დიდი ღვთაებების უარყოფა და უშუალოდ შემოქმედის წინაშე წარსდგომა... იქნებ უმაღლესთან თანდათანობითი მიახლოება საჭირო?! — ადონ მცირემ ადონს გახედა, მას ძლიერ სურდა ამ კითხვაზე მოძღვრის პასუხი მოესმინა.

ადონმა არაფერი თქვა, ხოლო იაკობი კვლავ თვალებში მიაჩერდა ადონ მცირეს:

— უმთავრეს კითხვაზე არ მიპასუხე, რომელს თვლი ჩემს სამშობლოდ — იბერიას თუ პალესტინას?

— რომ გითხრა, იბერიას-მეთქი, იფიქრებენ საკუთარი თავის გამო გეუბნები, ხოლო თუ პალესტინას დაგისახელებ, იქნებ გეწყინოს და იფიქრო, შენი თავი მეზედმეტება ჩემს მიწაზე. კაცმა თავისი სამშობლო და რწმენა თვითონ უნდა აირჩიოს, თუ ასარჩევად დაუდგება საქმე. სხვა კაცი ამაში ადამიანს ვერ დაეხმარება.

დარბაზში სიჩუმემ დაისადგურა. ყველა მოძღვრისგან მოელოდა სიტყვას, მხოლოდ იაკობმა იცოდა, რომ ადონი მის საბოლოო აზრს უცდიდა და, სანამ მისგან ნათქვამს არ გაიგონებდა, არც არაფერს იტყოდა და არც ადგებოდა ადგილიდან.

— ახლა მე გეტყვით იმას, თუ რაზე ვფიქრობდი მთელი ეს ხანი. — დაიწყო იაკობმა და მისკენ მოპყრობილ ადონის სევდიან მზერას თვალი აარიდა, — ჩემი ხალხის ისტორია და რწმენა ჩემი ოჯახის მუდმივი საზრუნავი იყო. ყველამ იცის, რომ მამაჩემი მდიდარი ვაჭრის შვილი და იბერიასა და არმენიაში ფრიად პატივდებული ადამიანია, იგი თუმცა კი თავისი ხალხის

მოყვარულია, მაგრამ არც თუ დიდად მორწმუნეა ჩვენი უზენაესისა... დედა ჩემი კი დიდად ღვთისმოსავია და სწორედ ამის გამო ბავშვობიდანვე ჩვენებურ სალოცავს დამაკავშირა. მერე კი, როცა მამამ ჩემში ნიჭიერება შეამჩნია, ადონთან წამომიყვანა და დედაჩემის წინააღმდეგობის მიუხედავად, მის მოსწავლედ მაქცია. მადლობელი ვარ ამის გამო, ჩემი მამისა. მერე ადონმა შემიყვარა და თავისი დიდ ცოდნას ისეთი გულუხვობით მაზიარა, როგორც მხოლოდ მას შეუძლია. მე ხელმეორედ შევიყვარე მისი სახით იბერია და ყოველი ქართლოსიანი. მერე, ადონისავე დაჟინებით, ეგვიპტე და ინდოეთი მოვინახულე, იქაურ მათემატიკურ ცოდნას გავეცანი, პითაგორელთა მოწაფეებს ვეწვიე იტალიაში და ბოლოს გავიგე იბერიელთა უბრძნესი წიგნის ანბანის საიდუმლოც, რომელშიც სამყაროს მწყობრში ჰარმონიაა გაცხადებული. ამ წიგნმა უფრო დამაკავშირა იბერიასთან და მის მაღალნიჭიერ ხალხთან. იგი ვიგულისხმე ჩემს სამშობლოდ.

მერე კი წავიკითხე უდიდესი მოაზროვნისა და ფილოსოფოსის — განდეგილის წიგნი, რომელშიც იგი ისევე ადიდებს ებრაელთა რელიგიას, როგორც იბერიულს, ისევე წარმოაჩენს იბერიელთა ხასიათის უარყოფითს, როგორც ებრაელთა და მეგვიპტელთა აუგ საქციელს, ეთაყვანება ებრაელთა, ინდოელთა და მეგვიპტელთა უძველესობას, ისევე როგორც შემერთა და იბერიელთა საფიცარ ღვთაებებს... მოკლედ, ყველა ხალხის კარგსა და ნაკლს წარმოაჩენს და ბოლოს ამბობს, რომ კაცად მხოლოდ იგი ვარგა, ვინც თავის სამშობლოს სამსახურად დაშვრებაო... და მეც ვიწამე ეს სიტყვები, როგორც მიზანი ჩემი სიცოცხლისა. ბევრი ვიფიქრე და ვერ ვპოვე ჩემს თავში რწმენა ვერც თქვენი ღვთაებებისა, რაც ისედაც არ მომეთხოვება, და ვერც იაჰვესი... ხოლო იბერიის გარდა სხვა სამშობლო არა მაქვს და არცა მსურს, რომ მქონდეს. ჩემი მოძღვრის ბაგეთაგან ბევრჯერ გამიგონია, რომ ურწმუნო კაცი უნდო და საშიშიაო, ამიტომაც მეშინოდა ჩემი ურწმუნოების გამხელისა, ხოლო როცა ის წიგნი წავიკითხე, მივხვდი, რომ მე ურწმუნო ვარ ღვთის მიმართ, ხოლო მწამხართ თქვენ, მწამს იბერია, მისი მომავალი, მწამს, რომ აქ დასახლებული ჩემი ხალხი ამ მიწას საფიცრად გაიხდის და მისთვის სისხლს დაღვრის.

განსაჯეთ და გადამიწყვიტეთ: თუ ურწმუნოება უპატიებელ ნაკლად ჩამეთვლება და სკოლიდან დამითხოვთ, მამაჩემის საქმეს მოვკიდებ ხელს და იბერიას ვაჭრობით ვემსახურები, თუმცა კი გამიჭირდება თქვენთან განშორება, შეწყალებას მაინც არ ვითხოვთ!

გვიან საღამომდე ბჭობდნენ და მსჯელობდნენ სკოლის მესვეურები იაკობის ბედზე და ბოლოს დაადგინეს, რომ იგი უნდა დარჩენილიყო სკოლაში.

* * *

ფარნავაზს კლდე-ქალაქში თავისი სამეფო დარბაზი ჰქონდა მოწყობილი, გამზრდელის სამუშაო ოთახის გვერდით. ზაფხულის თვეებში, როცა მცხეთაში ძლიერი სიცხეებისგან სუნთქვაც კი გაჭირდებოდა ხოლმე, მეფე ხშირად ამოდიოდა აქ და არა მარტო სიცხისგან, არამედ ზაფხულობით ჩამოსული უთვალავი სტუმრისგანაც იფარავდა თავს.

სამეფო დარბაზსა და ადონის ოთახს შორის კარი მუდამ ღია იყო და ხშირად ისმენდა ფარნავაზი ადონის საუბარს მისთვის ნაცნობ, თითქოს ყოველმხრივ ამოწურულ თემაზე და უკვირდა, რომ ყურს ვერ აცილებდა თავისი მოძღვრის ლაპარაკს, პირველი სიტყვებიდანვე ტყვე ხდებოდა მისი მართლაც ჯადოსნური ხმისა, რომელსაც უკვე უთვალავჯერ შეჰყავდა იგი ბრძნულ აზრთა ლაბირინთებში და ადამიანის გონების ღვთაებრივ შესაძლებლობებს აზიარებდა.

მეფემ ქვეყნის თავკაცთა შეკრება საღამოსთვის ბრძანა, რადგან ადონის

სტუმარი პატროკლე შუადღისას აპირებდა გამგზავრებას. ასეც არ იყოს, ფარნავაზს ამ თათბირის ჩატარება უარმაზოდ არ სურდა და, რადგან ადონისგან გაიგო, რომ მოძღვარს არმაზი დღეისთვის ჰყავდა დაბარებული, იცდიდა. ისიც კი ჰქონდა გუნებაში გადაწყვეტილი, რომ თუ დღეს არ გამოჩნდა არმაზი, ერთი-ორი დღით კიდევ გადავდებ თათბირსო. გარდა იმისა, რომ ძმადნაფიცი ძლიერ ენატრებოდა, იმის იმედიც ჰქონდა, რომ ახლა მაინც შესძლებდა არმაზი მთავარ ქურუმობაზე დაეთანხმებინა, ქვეყანაში დაემკვიდრებინა და მისთვის ცხოვრების ნორმალური პირობები შეექმნა.

ფარნავაზს ადონის ოთახიდან ლაპარაკი შემოესმა.

— ამბობენ მამაჩემი სწვევია სკოლას. სად არის ამჟამად?

მეფემ საურმაგის ხმა იცნო და წამოიწია.

— სკოლას ეწვია მეფე იბერიისა, ფარნავაზი. სად ბრძანდება მეფე, მე არ ვუწყი. ხოლო, თუ გაკვეთილისთვის შეუფერებელი სხვა კითხვა არ გაწუხებს, მიპასუხე: — რა არის რიცხვი და რას გამოხატავს იგი?

— ეს, ალბათ, ადონის რჩეული ებრაელი იაკობია! — გაიფიქრა ფარნავაზმა და როცა მასწავლებლის კითხვა მოისმინა, კარებთან მისული იქვე ჩამოჯდა. მიხვდა, ადონმა საგანგებოდ მოაწყო ეს გაკვეთილი თავის ოთახში, რათა ფარნავაზისთვის შვილის გაწვრთნა, მისი ცოდნა და გულმოდგინება ეჩვენებინა.

— რიცხვი აღნიშნავს საგნის რაოდენობასა და მორიგეობას ერთმანეთის შემდეგ, ხოლო გამოხატავს ანუ აცხადებს იგი საგანს, რომელიც არის სივრცის ნაწილი. აქედან გამომდინარე, რიცხვი გამოხატავს სივრცესაც. პითაგორელთა მიხედვით, რიცხვი არის ყველაფრის საწყისი და ყველაფრის მომცველი. — პასუხობდა საურმაგი სხარტად და გონივრულად.

ფარნავაზს სიამოვნების ღიმილი ეფინა სახეზე...

ეროვნული

— მე ვიცი, როგორც [illegible]ის ღვთაების მიერ ჩვენს ქვეყანაში მოვლენილი კაცი. დედაჩემი ამბობს, რომ მას არმაზი ჰქვია და იგი მთაში იზრდებოდა თურმე, ისევე, როგორც იბერიის ძლევამოსილი მეფე, ფარნავაზი. — ჩაერთო ლაპარაკში მესამე ხმა, რომელიც საურმაგის ხმაზე უფრო ბავშვური ჩანდა.

— დროა, იბერიის მთავარსარდლის უმრწემესმა ვაჟმა დედისა და ბებიის მიერ მოთხრობილი ზღაპრები და ლეგენდები ნამდვილი ცოდნისგან განასხვაოს. — დინჯად თქვა იაკობმა და გააგრძელა. — ისე კი, მართლაც ჰყავდათ არმაზის თითქმის მოსახელე ღვთაება ქართლოსიანებს უძველეს დროში, ოღონდ მისი სახელი იყო არმასი და მას თაყვანს სცემდნენ, როგორც მთვარის ღვთაებას...

— დღესაც დგას არიან-პონტოში, ქალაქ კაბირაში, არმასის ტაძარი და იგი მთვარის შვილად მიაჩნიათ ახლაც იქაურ ქართლოსიანებს. იქ დიდი განდეგილი ცხოვრობდა, რომლის წიგნიც არმაზმა ჩამოიტანა იბერიაში. — თითქოს გაცხარდა საურმაგი. — დიდი ადონიც ამბობს, რომ არმაზი უფრო ღვთის შვილია, ვიდრე ადამიანის.

— ორივენი მართლები ხართ! — წარმოთქვა მცირე დუმილის მერე იაკობმა. — თუ ღვთაება სიკეთის საწყისი და მომცველია, მაშინ არმაზიც ღვთის შვილი ყოფილა ქვეყნად კაცის სახით მოვლენილი.

— ხალხი იმასაც ამბობს, — გაისმა ისევ ლენეს უმცროსი ვაჟის ხმა, — რომ არმაზი ფარნავაზ მეფის ტყუპისცალიაო, რომ ორივე, მეფეც და მისი ძმადნაფიცი, ღვთაების მიერ არიან გამოგზავნილნი, რათა უმაღლესის საპატრონო იბერია სიკეთით აავსონ და აალორძინონ.

— მართალი ხარ. ყოველი ადამიანი სიკეთისთვის და ქვეყნის სამსახურადაა მოვლენილი მიწაზე... ახლა იმაზე ვი-

საუბროთ, თუ როგორ ცხოვრობდნენ ძველი ფინიკიელები და რომელი ხალხები. განიდევნა ღმერთების მიერ მათი მიწიდან, და იმაზეც, იბერიის მეზობელი არმენები, ალანები და ალბანები როგორ ქმნიდნენ თავიანთ ისტორიას, მეცნიერებას და რწმენას.

კარგა ხანს ლაპარაკობდა მის შემდეგაც იაკობი, რაც არმაზის სახელი ახსენეს და მასზე ისაუბრეს მოძღვარმა და მისმა მოსწავლეებმა, ოლონდ ფარნავაზს უკვე აღარ ესმოდა მათი ლაპარაკი. იგი არმაზზე ფიქრობდა. როცა გამოერკვა, სწორედ იმან გააკვირვა ყველაზე მეტად, რომ მანაც, ისე როგორც თურმე მისმა ხალხმაც, არმაზი ფიქრის დროს კაცად კი არა, ღვთაების მოციქულად წარმოიდგინა.

* * *

უფლისციხესა და მის შემოგარენში მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მოსახლეობა ცხოვრობდა. ქალაქის მარჯვენა მხარე ებრაელთა უბანს ეჭირა, ხოლო მის გვერდით სირიელები სახლობდნენ. ეს ორი ძველთაძველი, არაიბერიული დასახლება ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობის ნდობით სარგებლობდა, რადგან თავიანთი ცხოვრების წესით იბერიელთა ყოფას არ უპირისპირდებოდნენ და მუდამ მათთან იყვნენ საჭიროების დროს, როგორც მეგობრები და როგორც ჭირ-ვარამის თანამონაწილენი. იგივე შეიძლება თქმულიყო იმ არმენებზე, რომლებიც სირიელთა გვერდით სახლობდნენ და ჩინებული ფეიქრები, მღებავები და თერძები იყვნენ.

უფლისციხის ქვეყნის დასავლეთით, გორის ციხემდე, მდინარის მთელ გაყოლებაზე, იბერიაში ჯერ კიდევ უმეფობის დროს ჩამოსახლებული სპარსელები ცხოვრობდნენ, რომლებიც კიროსის მერე გამარჯვებულ დამპყრობლებს მოჰყვნენ და თან მათ მიერ დამონებული სომხური მოსახლეობა მოიყვანეს. იბერიაში დარჩენილი ეს სპარსული ნაწილი ვერაფრით ვერ თანხმდებოდა თავისივე მოყვანილ სომხებთან და მიუხედავად იმისა, რომ ამ სპარსელ სომხებს, როგორც მათ იბერები ეძახდნენ, თავიანთი რწმენა მიაღებინეს, მაინც აწიოკებდნენ, ოჯახებს ურბევდნენ და მშვიდი ცხოვრების საშუალებას არ აძლევდნენ.

ქართლოსიანური მკვიდრი მოსახლეობა ცდილობდა სპარსული უბნისაგან შორს დაეჭირა თავი და, ამიტომ, სპარსელ სომხებსაც არ სწყალობდა ცეცხლის თაყვანისცემის გამო.

იბერიის გაძლიერებამ და არმენიასთან ფარნავაზის კეთილმა მეზობლობამ თითქოს ერთხანად შეანელა სპარსელთაგან სომხების დევნა და სპარსი სომხები როგორღაც დააკავშირა კიდეც თავის თანამოძმეებთან. მაგრამ ერთხელ, როცა უკანა ტყეში ხანძარი გაჩნდა და ტყის გადასარჩენად მოსულ იბერებს სპარსები და ცეცხლის მოთაყვანე სომხები ცულებით, ნაჯახებითა და დანებით დაჰხვდნენ, შეიპყრეს და ცეცხლში ცოცხლად დასწვეს, იბერიის დანარჩენმა მოსახლეობამ მეფეს ქვეყნიდან მათი გასახლება სთხოვა. ფარნავაზმა დასახლების შუაგულში მცირე ციხე ააგო, მასში იბერთა ლაშქარი ჩააყენა და გორის დიდი ციხის უფროსს უბრძანა, თვალყური ედევნებინა ჩამოსახლებულთათვის. ტრაგედიის მოთავენი დასაჯა, ზოგიერთი ოჯახი სპარსეთს გაისტუმრა, ხოლო დასახლება მაინც არ აჰყარა ადგილიდან, არც მთავარსარდალს მისცა მათი სალოცავების მოშლის უფლება.

თავიანთი ცხოვრების ნირი სპარსელებს მაინც არ შეუცვლიათ, ოლონდ ახლა უფრო ფარულად ასრულებდნენ ცეცხლის თაყვანისცემას და იბერთა სიცოცხლის ხელყოფასაც ვერ ბედავდნენ. სამაგიეროდ, სრულიად დაიმონეს და დაიბეჩავეს მათთან მცხოვრები სომხები, გასამართლების საკუთარი წესი შემოიღეს და დამნაშავეს ან დანაშაულში ეჭვმიტანილ სომეხს სიცოცხლით უნდა ეგო პასუხი, ან კიდევ მარჩენალი

პირუტყვი და შვილი გაეწირა მსხვერპლად.

საკვირველი ის იყო, რომ სომხები საოცარი უდრტვინველობით იტანდნენ თავიანთ ხვედრს და სპარსელებზე მეტად ცდილობდნენ იბერიის ხელისუფალთათვის მათი მწვალებლების საქციელი დაემალათ.

მთელი ერთი წელი შიშით მოელოდნენ სპარსი სომხები კერპის მთავარი დღის დადგომას. სწორედ წინა ზეიმზე გამოაცხადა მოგვმა, რომ მათი პატრონი და მფარველი კერპი სომეხთაგან მამა-შვილს ითხოვს მსხვერპლად, ხოლო სპარსთაგან თვითგვემასა და სამთვიან შიმშილს.

ამ სამ თვეში შიმშილით დახოცილი პატარა ბიჭების უმანკო სული ზეცას შეჰღაღადებდა და მშველელს ითხოვდა. მამები კი გულმოდგინედ ლოცულობდნენ და ვერ ამჩნევდნენ, როგორ იხოცებოდნენ მათ გვერდით მათი ცოლები და მოხუცი მშობლებიც. ბოლოს მოგვმა სომეხი მამა-შვილიც აირჩია შესაწირად და დიდი კერპობის დღეც დადგა.

ყოველმა მორწმუნემ თავისი წილი ხე შეუკეთა ცეცხლს და ალი ზეცისკენ აღიმართა. მოგვმა ლოცვა წარმოთქვა და მამამ, თავის სამი წლის ბიჭთან ერთად, ცეცხლში შეაბიჯა. იწივლა ბავშვმა და დედის კივილმა მიდამო ისარივით გაჰკვეთა.

უცებ საიდანღაც მოვარდა მაღალი, ჭაღარაწვერიანი კაცი, ცეცხლისკენ ხელები გაიშვირა და ალი მიწაზე დასცა. ნაკვერცხლებზე მდგარ მამას შვილი მკერდში ჩაეკრა და თვალდახუჭული ელოდა აღსასრულს. ჭაღარაწვერიანი ნაკვერჩხლებზე შედგა, კაცს ხელიდან ბავშვი გამოჰგლიჯა და სწრაფად გასცილდა ცეცხლს. ალი მიწიდან აიკრიბა და, როცა ზევით აიწია, ხის ფერფლთან ერთად ადამიანის ფერფლიც აიტანა ზეცაში.

ახლაღა გამოერკვა მოგვი და თვალი მიაპყრო აღმოსავლეთისაკენ მიმავალ წვეროსანს, რომელსაც კერპის შესაწირი მიჰყავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ რამდენიმე სიტყვა წამოიძახა მოგვმა და მთელი ხალხი მსხვერპლის გამტაცებლისკენ გაეშურა ძახილით, ყვირილით, მუქარით. ჭაღარაწვერიანმა ტყეს მისცა თავი და ისევე გაუჩინარდა, როგორც გამოჩნდა.

— აჰურამაზდას მტერი არმასი! — დაიძახა მოგვმა უცებ და ხალხი შეაჩერა. — საჭიროა არმასის უპირველესი მსახურის სისხლი დაიღვაროს, რათა გამარჯვება ჩვენს კერპს დარჩეს და არა არმასს. კლდე-ქალაქი უნდა დავარბიოთ და აღონის სისხლით შევღებოთ წყალი, ხოლო ძვლები ცეცხლს შევუკეთოთ და კერპის სადიდებელი ვთქვათ, მერე თუ გინდ მოგვაკვდინოს იბერიის მეფემ, ყოველი ჩვენგანი დიდი კერპის მფარველობით ვიქნებით გარემოცულნი. დავარბიოთ უფლისციხე და მოვკლათ აღონი.

ღრიალით მოდიოდა უზარმაზარი ბრბო. შიშით გულგახეთქილი მოქალაქენი სახლებში შეიყუჟნენ, ვერც ჯარისკაცებმა გაბედეს მათთან შებმა...

ერთ საათში ტანშემოხეული, თავდასისხლიანებული და გაავთრებული მლოცველები კლდე-ქალაქს შემოერტყნენ და მის ჭიშკარს მიაწყდნენ.

* * *

ის იყო, პატროკლე გააცილეს და სასაუბროდ ჩამოსხდნენ ფარნავაზი და აღონი, რომ მეფის დარბაზში არმაზი შემოვიდა, მკლავებზე სულმთლად გაწითლებული პატარა ესვენა.

— დამწვრის მალამო, სწრაფად, — თქვა, ბიჭი ტახტზე დააწვინა, დაიჩოქა, პატარას პირი გაუღო და ჩახედა. — გადარჩება! — გამოაცხადა მას შემდეგ, რაც მალამოთი დაზილა და ბიჭმა თვალი გაახილა. — მოგვს მოვტაცე. სომეხია. მამა — ამისი უკვე დამწვარი იყო. ბიჭი მისმა მკლავებმა გადაარჩინა. საშინელება ტრიალებს სპარსთა უბანში.

წამოდგა და უხერხულად მიმოიხედა.

ფარნავაზმა ბავშვის აელვარებულ სხეულს სინანულით დახედა და დამნაშავესავით გაუღიმა ძმადნაფიცს.

— შენ ფიქრობ, რომ ვერ ვპატრონობ ქვეყანას?

— განდევნე მოგვები იბერიიდან, რადგან მათ რწმენის გარდაქმნას შენი სიცოცხლე არ ეყოფა, ძლიერ საშიშია ბნელი გონება ქვეყნისთვის. იგი ნგრევის, ბოროტების, უკეთურების მოწადინე და აღმსრულებელია.

— მე ვფიქრობ, რომ როცა შენ ამომიდგები მხარში, უკეთურების დამარცხებას და ამ უმეცარი ხალხის გარდაქმნასაც შევძლებ. — მიუახლოვდა, მხრებზე ხელი შემოხვია, თვალებში ჩახედა. კვლავ ძველებური სითბო და სიკეთე შემოაგება ძმადნაფიცის მზერამ.

— მიჭირს უშენოდ, არმაზ. — ასე გულახდილი თვით საკუთარ თავთანაც იშვიათად თუ იყო მეფე.

— არ ხარ უჩემოდ. შენ არასოდეს მოგცილებია ჩემი ფიქრი და საქმე. — გაუღიმა.

— მინდა, რომ მუდამ გვერდით მყავდე!

— ირწმუნე, რომ მუდამ შენს გვერდით ვარ!

— ტყუპი შავი ბატკანი გახსოვს, ვაჩემ რომ მოგვიყვანა მე და შენ? მაშინ აი, ამ ბიჭის ასაკისანი ვიქნებოდით. როგორ გვიყვარდა ის შავმატყლიანები, როგორ ვანებივრებდით. გახსოვს? მთელი ჩვენი ბავშვური ბედნიერება სწორედ იმ ორ ბატკანს უკავშირდებოდა. ძალიან მსურდა ერთმანეთისგან მათი გამორჩევა და ვერ ვახერხებდი. შენ კი ახერხებდი. შეუცდომლად ეძახდი ხოლმე სახელებს, ერთს — ფარნავაზს, მეორეს — არმაზს. ბოლოს, ძაღლმა დაგვიგლიჯა ერთი. ჩემი ბრალი იყო. მე გავეთამაშე ძაღლს. საკუთარი სიგულადე თუ მსურდა გამომეცადა. იმან კი ბატკანი დაგვიგლიჯა. მაშინ შენ მითხარი, რომ ძაღლმა არმაზი დაგლიჯა და არა ფარნავაზი. მალე მეორეც მოკვდა, ოღონდ ვერ გავიგეთ რისგან. ახლა ვფიქრობ, რომ იგი ადრე დაღუპულზე დარდს გადაჰყვა. ხშირად [illegible] ბოლო დროს ჩვენი ბა[illegible] ტყუპი შავი ბატკნები და მეჩვენება, რომ მაშინ მართალი არ მითხარი, ძაღლმა შენი კი არა, სწორედ ჩემი მოსახელე დაგლიჯა, ხოლო შენ ჩემს გულისტკენას მოერიდე და უკეთესი ხვედრი მარგუნე. მაშინ ხომ შევეჩვიე შენგან იმაზე მეტის მოთხოვნას, ვიდრე ადამიანი თავისი მსგავსისგან უნდა ითხოვდეს?

— ამაოდ ტანჯავ სულს და გონებას, როცა სხვა დროს ჩემზე ფიქრისთვის მოიცლი, გახსოვდეს, რომ კი არ გამძარცვე, არამედ შემავსე, მიზანთან მიმიყვანე შენი არსებობით, შენი საქმით, შენი გონებით და სიტყვით, — უპასუხა არმაზმა და კვლავ ბავშვისკენ დაიხარა.

ფარნავაზმა ადონს გახედა, რომელიც დაჟინებით გასცქეროდა ფანჯრიდან კლდე-ქალაქისკენ მომავალ გზას.

— ამაოდ ფიქრობდი, მდევრებს გზაკვალი ავუბნიე, როცა საიდუმლო გვირაბში შემოვედით. სკოლისკენ მოდიან სპარსელები. — თქვა ადონმა, როცა გზაზე მომავალ ბრბოში მოგვები შეიცნო. — თუ კი აქამდე მოვიდნენ, ეცდებიან, ჭიშკარიც შემოლეწონ და...

ფარნავაზმა სასწრაფოდ იხმო თავისი მხლებლები და სანამ ბრბო ჭიშკრამდე მოაღწევდა, შემოსასვლელი გაამაგრა. ლენემ გვირაბით თავისი ასისთავი გაისტუმრა და უფლისცხის ათასისთავს უბრძანა: რკალში მოემწყვდია მომხდურები.

— ადონი, ადონი მოგვეცით! — მოადგა ბრბო ჭიშკარს შემოსალეწად. ფარნავაზმა მწარედ ინანა, ადონს რომ დაუთმო და სიმაგრეში ლაშქრის ნაწილი არ ჩააყენა. ცოტა ხნის მერე კი შვებით ამოისუნთქა, მომხვდურთა კვალდაკვალ მომავალი სამეფო ლაშქარი რომ დაინახა.

— ვერც ერთი ცოცხალი ვერ გადარჩება! — თითქოს სინანულით ჩაილაპარაკა.

— ახია მაგათზე, ბევრჯერ გთხოვე,

მოგეცა უფლება, რომ მათთვის ჩვენი ხმლის სიძლიერე გვეჩვენებინა. მაშინ ვერ გაბედავდნენ ამ თავხედობას. — თქვა ლენემ და ეზოში ჩავიდა, რათა თვითონ ეხელმძღვანელა სიმაგრეში მყოფი მეფისა და მისი მომყოლი ორმოციოდე კარისკაცისთვის.

— ადონი, ადონი გამოვიდეს! — მოითხოვდნენ მომხვდურები. ადონი კარისკენ გაეშურა. წინ გადაუდგა არმაზი.

— ნუ დაღვრი, მეფეო, სისხლს. ძმათა სისხლი მძიმე ტვირთია, ნუ დაიმძიმებ სიცოცხლეს ამ ტვირთით, რადგან ჩვენს მიწაზე მცხოვრები ყოველი კაცი მეორის ძმაა. მე შევძლებ ბრბოს შეჩერებას! — უთხრა ფარნავაზს და სანამ მისგან პასუხს მიიღებდა, ეზოში ჩავიდა, ტანთ განიძარცვა, სითხე გალავანზე აიტანა, დაასხა, ცეცხლი წაუკიდა ალში შეაბიჯა.

ფარნავაზს სუნთქვა შეეკრა, ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს თავად იდგა ცეცხლში და იწვოდა.

მომხვდური ბრბო თავდაპირველად გალავნის თავზე ავარდნილმა ცეცხლმა შეაჩერა, ხოლო მერე, როცა ალში გახვეული კაცი ალაპარაკდა, მიწას განერთხა და შიშისაგან გადმოცვენილი თვალები ცეცხლის კაცს მიაპყრო.

— „თავად ვარ აჰურამაზდას გამოგზავნილი, მისი მტერი კი არა, მეგობარი. გამოგეცხადეთ იმიტომ, რომ თქვენთვის მოგვების უმეცრება მეჩვენებინა. ბავშვი მე წავიყვანე, რათა შემდგომში მოგივლინოთ. დიდი კერპისგან მოვლენილს მხარზე მისი ნიშანი ექნება. მანამდე თქვენგან მსხვერპლს არ მიიღებს თქვენი მბრძანებელი. ხოლო მოგვებს ვუბრძანებ, უდაბნოში დაეყუდონ სათითაოდ და ისე გამოისყიდონ თავიანთი სიბრიყვე დიდი კერპის მიმართ.

ერთმანეთი შეიყვარეთ და მომძლავრდით სიყვარულით. ახლა წადით და სათნოებით მოიგეთ აჰურამაზდას განრისხებული გული. მიელტვოდეთ იბერებთან მეგობრობას და შეგეძლოთ მათი მეფის თაყვანისცემა“. — არმაზი შეუმჩნევლად გამოეცალა ცეცხლს, კიბეზე დაეშვა და ადონის მიერ მომზადებული მალამოთი დაიზილა [illegible] ცეცხლი კი ენთო კლდე-ქალაქის გალავანზე და მის წინ მიწაზე განრთხმული ბრბო დიდხანს ვერ ბედავდა წამოდგომას.

მალე ხმა გავრცელდა იბერებში, რომ ღვთაების მიერ მოვლენილი არმაზი ფარნავაზის თხოვნით ცეცხლის მეთაყვანეთა დიდ კერპს შეებრძოლა, დაამარცხა და ქვეყანა და მისი მეფე უბედურებისგან იხსნა.

* * *

საღამო ხანს, როცა კლდე-ქალაქის ვრცელ პალატებში ბინდმა შემოიხედა და მესანთლეებმა ოთხივე კუთხეში დადგმული გრძელი სანთლები აანთეს, ფარნავაზი დარბაზში შემობრძანდა და თავისი ადგილი დაიჭირა. ლენე და ვაქიკა ფეხდაფეხ შემოჰყვნენ იბერიის მეფეს, მაგრამ არ დასხდნენ, სანამ ადონი არ შემოვიდა თავისი მხლებლებით. გრძელი მოსასხამით შემოსილმა თმათეთრმა ადონმა დინჯად შემოაბიჯა, თავი დაუხარა და ეთაყვანა იბერიის მეფეს. მეფეც ფეხზე წამოუდგა ქვეყნის უპირველეს ბრძენკაცს. შემდეგ ადონი გვერდით გადგა და მასთან ერთად შემოსული ადონ მცირე, იაკობი და ქურუმები ისე წარუდგინა მეფეს, თითქოს ამ ორიოდე საათის წინ კერპის მოთაყვანეთა შემოსევით გამოწვეული მღელვარება ერთად არ გადაეტანოთ.

ლენეც კი, რომელიც, თავისი დაუდგრომელი ხასიათის გამო, ფარნავაზის მიერ დაწესებულ მისალმებისა და თაყვანისცემის წესებს ხშირად ვერ იცავდა, მოხიბლული დარჩა ადონისა და მისი მოსწავლეების შემოსვლით. კიდევ ერთხელ ირწმუნა ადონის განსაცვიფრებელი უნარი ყოველი კეთილი საქმისთვის საზეიმო ელფერის მინიჭებისა, უნებურად წამოდგა, ადონს მიუახლოვდა და თავდახრით მიაცილა სავარძლამდე. მეფემ თვალი გააყოლა მთავარსარდლის ძლიერ მხრებს და ბრძანა: — ამიერიდან მხოლოდ იბერიის მთავარსარდალს და ქვეყნის უპირველეს ერის-

მთავარს ვაძლევ უფლებას სამეფოს ტახტის წინ თაყვანი სცეს ქურუმთუხუცესს და მიაცილოს იგი მისთვის განკუთვნილ სავარძლამდე. ეს პატივი გადაეცემა მის შემცვლელსაც.

მოულოდნელობისა და სიხარულისგან შემკრთალმა ლენემ თავი დაუხარა მეფეს და დიდი პატივისთვის მადლობა მოახსენა.

ფარნავაზი მიხურულ კართან დადგმულ სავარძელს მისჩერებოდა. სავარძელი არმაზს ეკუთვნოდა. ადონმა იგი სკოლაში დამკვიდრების პირველ წელსვე დაადგმევინა და, თუმცა არმაზი მხოლოდ ერთხელ დაესწრო ამ დარბაზში გამართულ თათბირს, მაინც არმაზის სავარძლად იწოდებოდა და მასზე დაჯდომის უფლება არავის ჰქონდა.

ბავშვს სიცხემ აუწია და არმაზი მისკენ გაეშურა, ბოდიში წინასწარ მოიხადა დაგვიანებისთვისო, უნდოდა ეთქვა ადონ მცირეს, მაგრამ ამ დროს შემოსული არმაზი დაინახა და სავარძელში დაეშვა.

მოდიოდა ჭაღარა თმა-წვერით დამშვენებული, ამაყი და მშვიდი, უცხო ნათებით გარემოცული. მიუახლოვდა თავის სავარძელს და შედგა.

— მსურს არმაზი ჩემს სიახლოვეს იდგეს! — ბრძანა მეფემ.

არმაზი სამეფო სავარძლისკენ გაეშურა, მუხლი მოუყარა ფარნავაზს.

— მეფის ჩრდილი მის უკან უნდა იდგეს, მეფეო. მომეცი უფლება განგებით ბოძებული ადგილი დავიკავო!

თვალებში ჩახედა მეფემ ძმადნაფიცს, თითქოს კვლავ მოაგონდა ტყუპი შავი ბატკნები. — მაპატიეო, — სთხოვა უსიტყვოდ, რადგან იგრძნო, წელანდელ ფიქრს უთქმელად რომ მიუხვდა არმაზი.

— დიდი საქმე დიდ მსხვერპლს მოითხოვს: ჩემგან — სიცოცხლეს, შენგან — სულსაც. ორივენი შეწირულები ვართ. შენი ხვედრი ჩემსაზე მძიმეა, ამიტომ პატიებას მე ნუ მთხოვ! — უხმოდვე გაეპასუხა ძმადნაფიცი, წამოდგა და ზურგს უკან დაუდგა. უცხო ნათება დააფინა მხრებზე.

ეროვნული

უჩუმრად მოიწმინდა ადონმა თვალებზე მომდგარი ცრემლი. ახლა მან იცის, თუ რა უნდა უთხრას მოთათბირეებს არმაზზე, მაგრამ ისიც იცის, ვერასოდეს აპატიებს ამ ნათქვამს საკუთარ თავს.

— ამიერიდან ერთად მოიხსენიება იბერიაში ფარნავაზი და არმაზი. უმაღლესი ღვთაება და ჩვენი მიწის მფარველი დიდი დედა სამუდამოდ აერთებს იბერიის ძლევამოსილ მეფეს ფარნავაზს და ღვთაებათა თანაზიარს, მზის მოვლენილ არმაზს. ამიერიდან იბერიის ახალ ხანას, ენას და ანბანს, რომელსაც ფარნავაზი დაამკვიდრებს ქვეყანაში, არმაზი ეყოლება მფარველად. აღიმართება სატახტოს მთაზე მისი ქანდაკი, როგორც ნიშანი ფარნავაზის საქმეთა უკვდავებისა და მთას ეწოდება!... — ადონი შეჩერდა, ნერწყვი გადაყლაპა, — მთასაც ეწოდება არმაზის მთა! — დაასრულა მოძღვრის სათქმელი ადონ მცირემ.

დარბაზს დუმილი დაეუფლა. მისკენ მიპყრობილმა თვალებმა უთხრეს არმაზს, რომ მას ამაოდ არ ჰყვარებია ადამიანი და ამაოდ არ უცხოვრია ამ მიწაზე მათ შორის.

მძიმედ დახარა ჭკვიანი თავი იბერთა მეფემ. სულის ტკივილს თუ შეებრძოლა სხვათაგან დაფარულად. მერე, როცა გაიმართა და ვაჟიკას გაუსწორა მზერა, მიხვდა მხატვართუხუცესი, რომ ფარნავაზმა კიდევ ერთხელ აჯობა საკუთარ თავს და აპატია მეფეს არმაზის გამო.

— მართალი ყოფილა ლამზირა, ღვთის მოვლენილად რომ სახავს არმაზს. — ფიქრობდა იბერიის მთავარსარდალი. ირგვლივ რომ უცხო შუქი არ ადგეს, ვიფიქრებდი, ქვეყნის ძლიერებისთვის გაიმეტეს ადონმა და ფარნავაზმა ღვთაების მოსახელე, სიკეთის გამორჩეული კაცი-მეთქი. ხოლო უცხო ნათელი ღვთაებათა ნიჭია და უმაღლესის თვალის შუქი. ცეცხლშიც უშიშ-

რად როდი შევა ადამიანი, თვით უში-შარიც კი. ალბათ მართლაც მზის მოვლენილია არმაზი და ეს იციან მეფემ და ქურუმთუხუცესმა.

სიჩუმე ადონის ხმამ დაარღვია ისევ.

— გამარჯვების თანაზიარო ფარნავაზ, იბერიის მსხნელო და მეუფევ; მთავარსარდალო და უპირველესო ერისკაცო ლენევ; ქურუმთა შორის აღმატებულო ადონ მცირევ; ჩემო გაზრდილებო, ქვეყნის უერთგულესო მსახურნო, ჩემო მოსწავლეებო... მოდის ის დრო, როცა მე, ადონმა, ფარნავაზის ნებით ქურუმთუხუცესად განწესებულმა, თქვენმა მოძღვარმა და მასწავლებელმა, უნდა დაგტოვოთ, განდეგილის და ტიმოზის კვალს გავყვე... განდეგილის სამლოცველოში წასვლის სურვილი არა ერთხელ გამომითქვამს. იცის მეფემ, რომ დიდი ხანია ვესწრაფვი განმარტოებას, იმედი მაქვს, არ დამიშლის წასვლას ამჯერად, მიმძიმს უკვე მასწავლებლობა, რადგან ავადობისკენ მივიდრიკე ხანმოთეული.

ადონის სანთელივით გაფითრებულმა სახემ უფრო მეტი უთხრა მის გაზრდილებს, ვიდრე სიტყვებმა.

— ვთხოვ იბერიის მეფეს, რომ სკოლის წინამძღოლად იაკობი დაადგინოს. იგი ღირსეული მოწაფეცაა ჩემი და იბერიის ერთგული ადამიანიც. ახალგაზრდული ტანმრთელობა, ბრძნული განსჯის უნარი და მოსწავლის სიყვარული მას საუკეთესო აღმზრდელად აქცევს. იგი მეცნიერიცაა და მრავალ ენათა მცოდნეც. შენი და შენი საპატრონო ქვეყნის სიყვარული მის სახელს უკვდავყოფს იბერიაში.

„ადონიც მტოვებს“, — მწარედ გაიფიქრა და კვლავ დახარა თავი იბერიის მეფემ.

— აკი გითხარი, შენი ხვედრი ჩემსზე მძიმეა-მეთქი — კვლავ უხმოდ გაესაუბრა არმაზი. — ხოლო ადონი გაზაფხულამდე შენთან იქნება და წასვლის მერეც არ მოგაკლებს თავის გულისყურს, რადგან ძლიერ ბევრს დაგიტოვებს საფიქრალად და საზრუნავად.

— მანამ კი, — გააგრძელა ადონმა სიტყვა, — იბერიის მეფე ფარნავაზი ქართლოსიანთა უძველესი მიზნის აღსასრულებლად მოემზადება. მე მხოლოდ მოგაგონებთ, რომ ყოველი უძველესი ხალხი თავისი ენის ტკბილხმიანობით, სიმდიდრით და ღვთაებრივი უბრალოებით ფასდება. ასეთივეა ენა ქართლოსიანთა. ენა მდიდარი და ტკბილხმოვანი, ასევე მდიდარ და ამოდსახილველ ანბანს საჭიროებს. ასეთი ანბანი ქართლოსის მოდგმას მისმა სახელოვანმა შვილმა დიდმა კოლხმა შეუდგინა, უმაღლესი ღვთაების ნებით.

იცით ყველამ, რომ წელთა ათვლა ისევე აუცილებელია, როგორც ღვთაების სამსახური, ხოლო ცოდნა იმისა, თუ როგორ ვერთვით სამყაროს ღვთაებრივ ბრუნვას საკუთარი თავის რწმენას აძლიერებს კაცში.

ყოველივე ამას მიგვანიშნებს ანბანის ღვთაებრივი წიგნი. იგი ის ნიჭია, რომელიც განადიდებს ერს.

ახალი წელიწადი ფარნავაზის ერისა დაიწყება მომავალ გაზაფხულზე და იგი იქნება პირველი გაცხადებული მზის წელიწადიც. ანბანი მიგვანიშნებს, რომ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ დიდი დედის სამლოცველოები იბერიაში, ხოლო ოქროს სვეტად აღმართული ნიშნები ანბანისა უნდა გამოხატავდნენ იბერთა სულის სიფაქიზეს და ხატოვნებას. საიდუმლო კი, მათში ჩამარხული, ქურუმთა განსჯის საგანი იქნება მუდამ.

ადონი სავარძლის ზურგს მიეყრდნო და თვალი დახუჭა.

— ის, რაც ადონმა მოგახსენათ, მრავალჯერ განსჯილი გვაქვს მე და ჩემს აღმზრდელს, ხოლო ახლა თქვენს სიტყვას ველი. ვიცი, რომ ძნელია ქვეყანაში, სადაც ასე მრავალ ენაზე ლაპარაკობენ და მრავალ ღვთაებაზე ლოცულობენ, ერთი ენა და ერთიანი რწმენა დაამკვიდრო. მთავარსარდლისგან მოველი პასუხს! — ბრძანა იბერიის მეფემ.

— არახალია ჩემთვისაც, რაც ადონმა თქვა. ბევრჯერაც მიფიქრია ისეთ დროზე, როცა ქვეყნის დასაცავად ლაშქრის

შეკრებას არ შეაფერხებს უთვალავი დღესასწაული და ღვთაებათა თაყვანისცემის მრავალი წესი. ერთი მბრძანებლის ხელში უნდა მოექცეს საქურუმონიც. ალბათ მოვიდა ის დრო, როცა ქურუმთუხუცესობა მარტო საპატიო წოდება კი არა, არამედ მოქმედი, მტკიცე ხელისუფლება იქნება, ვისაც უყოყმანოდ დაემორჩილება ყოველი ქურუმი და ხევისბერი. იქნებ ამისთვის მართლაც საჭიროა ღვთაებათა უფროს-უმცროსობის დაკანონება, ხოლო, როგორ უნდა მოხდეს ეს, უკეთ უწყიან იბერიის მეფემ და მისმა მოძღვარმა ბრძენთაბრძენმა ადონმა. — წარმოსთქვა ლენემ. — როგორც ვატყობ, ამ დიდი საქმის აღსრულებაში მხატვართუხუცესი არც თუ უკანასკნელ სიტყვას იტყვის, მის აზრსაც მოვისმენთ, ალბათ. მე კიდევ იმას გეტყვით, რომ არმაზის ტაძრისა და ანბანის ოქროს სვეტისთვის საჭირო ხარჯის მეოთხედს ამ თვის ბოლოს მივართმევ სალაროთგამგებელს.

— არა ტაძარი, არამედ ხატი უნდა აღიმართოს არმაზისა მცხეთის დიდ მთაზე! — განმარტა ადონმა, — სამეფო ძალის მიმნიშნებელი ასეთი ხატი უკვე დგას ანტიოქიისა და პონტოს დიდ ქალაქებში.

— მეფემ ბრძანა, რომ გაგვიჭირდება ქვეყანაში ქართლოსიანთა უძველესი ღვთაების — მთოვარის თაყვანისცემის დამცირება, ამას არც ჩავიდენთ. ახლა ისაა უმთავრესი, რომ მზირა მთოვარეს გავუთანაბროთ. ხოლო მერე ჩვენი მსახურებით ცხრათვალა მნათობის უპირველესობა ნელ-ნელა ჩავაგონოთ მორწმუნეებს. — თქვა ადონ მცირემ.

— ბრძნულია ადონ მცირის სიტყვა, — ბრძანა მეფემ, — ის, რაც ქვეყნისთვის კეთდება, ხალხის მხარდაჭერას უნდა ჰპოვებდეს უწინარეს!

— დიდი კოლხის ანბანის მცოდნე ქურუმები მრავლად არიან უკვე ქვეყანაში. არა მგონია, ქართლოსიანთა რომელიმე მოდგმამ გაბედოს და არ მიიღოს ქართლოსის საფლავის მცველი იბერების ენა, რადგან თვით ქართლოსი მიგვანიშნებს, რომელ ენაზე უნდა ლაპარაკობდნენ მისი შვილები, — ხმა უთრთოდა უფროსებისა და თავისი სათაყვანებელი მეფის წინაშე მოლაპარაკე არტავაზს.

— ეგრისის დიდი მთავარი დიახაც მოხარულია ქვეყანაში ქურუმთა უფლებების დათრგუნვისა, რადგან, როგორც შორსმჭვრეტელმა გამგებელმა, იცის, რომ სიძლიერე ერთმმართველობაშია. რაც შეეხება ენას, იქნებ არც გაუხარდეს ეგრისულის დაჩაგვრა, თუმცა კი ქართლოსის საფლავის მცველი იბერები მიაჩნია ქვეყნის მეთაურად. — თქვა ფარნავაზმა.

— იბერიის სამსახურში გათეთრებული ეგრისის მთავარი ახლაც შენს გვერდით იქნება, როგორც ყოველთვის! — უპასუხა მეფეს არმაზმა და სიყვარულით გახედა არტავაზს.

მხატვართუხუცესი წამოდგა სალაპარაკოდ.

— იცის ჩემმა მეფემ, რომ უკვე დიდი ხანია ვფიქრობ, თუ როგორ გამოვხატო ოქროს სვეტზე დიდი კოლხის მიერ შექმნილი ანბანი. ნიშნები დამზადებული მაქვს უკვე და მოწონებულიცაა შენს მიერ. ახლა სვეტის გაწყობა და მისთვის საუკეთესო ადგილის შერჩევაა საჭირო. ხოლო რაც შეეხება ახალი ღვთაებრივი ქანდაკის აღმართვას, მომეცი ნება, არმაზს მოვეთათბირო და მერე მოგახსენო პასუხი.

მეფემ ძმადნაფიცს მოხედა.

— ჩვენი თათბირიც ფარნავაზის საქმის სასარგებლოდ გადაწყდება! — გაუღიმა არმაზმა ჯერ ვაჟიკას და მერე ფარნავაზს.

* * *

დიდხანს იყო ჩაფიქრებული ამ თათბირის მერე იბერიის მეფე. გამოცდილებით იცოდა, რომ მსჯელობასა და საქმის აღსრულებას შორის დიდი ზღვარი იყო, რომ გონებით განჭვრეტილი უფრო დამაჯერებლად და იოლად ჩანდა, ხოლო როცა გადაწყვეტილება ხორცს ისხამდა, ჩნდებოდა ადამიანთა გრძნობებზე, მათ შეხედულებებზე და-

მყარებული წინააღმდეგობა, ხშირად უაზროც, მაგრამ ანგარიშგასაწევი და, ბევრჯერ, გადაულახავიც. თათბირის მონაწილეებს დაავიწყდათ, თუ რამხელა ძალაა ჯერაც იმ უთვალავ ქურუმთა ხელში, რომლებიც იბერიის ქვეყანაში დიდ თუ მცირე ტაძრებს, სალოცავებს და სახატოებს მეთაურობენ. . იმაზეც არაფერი თქვეს, რომ ერი მიჩვეულია ყველაფერში ღვთაების მსახურს მიჰყვეს, მის სიტყვას ენდოს და დაუჯეროს. დიდი ხანია ვცდილობთ, მაგრამ ადამიანის მსხვერპლად შეწირვაც კი ვერ აღმოვფხვრით საბოლოოდ. ხოლო მთა?! მთა მოითმენს კი თავხევისბერის დაკნინებას? დაემორჩილება ქურუმთუხუცესს? დიდი უფლებები დაიტოვა მთამ ჩემი მეფობის დროსაც. მეც კი მეურჩებიან ზოგჯერ მთიელები, აკი არ გაჰყვნენ ლენეს ალანთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩვენთვის ალანებს არაფერი დაუშავებიათო, თქვა თავხევისბერმა და მთიელებიც არ ჩამოვიდნენ სალაშქროდ. ვერც ანბანს მიიღებენ ასე იოლად, რადგან უკეთურ ძალთა გამოსახულებად მიაჩნიათ წერა, ენის ტყვეობას ხედავენ ყოველ დაწერილში და ამიტომაც, თუმცა პატივს სცემდნენ, გულით ვერ შეიყვარეს ადონი. ხოლო პირქუშისთანა დიდი კაცები ახლა აღარ არიან მთაში...

ანბანი ჩვენი არც ქვეყანაში მცხოვრებ სირიელებს, სომხებს და სპარსებს მოეწონებათ, რადგან ბერძნულის მაღლმა იბერებთან დამაკავშირებლად სხვა ენა არ მიაჩნიათ საჭიროდ. არადა, თუ დავუშვებ გამონაკლისს, მაშინ ეგრისის მთავარიც მოითხოვს თავისი ხალხმრავალი მხარისთვის იგივე პატივს, სხვებიც მას მიჰბაძავენ...

არა, დათმობა არ შეიძლება, არც გამონაკლისი... ქვეყანაში ერთი ენა, ანბანი და ერთ ნებას დაქვემდებარებული სამლოცველოები უნდა დამკვიდრდეს.

არმაზი? ნუთუ მაჯობა აზრმა, რომელსაც დიდი ხანია საკუთარი ფიქრიდან ვდევნი? განა ცოტაა იბერიაში უძველესი, მივიწყებული ღვთაებები, რომელთა აღდგენა და ქვეყნის სამსახურში ჩაყენება შეიძლებოდა?

საკუთარ ორეულად რად დავსახე არმაზი? მას ხომ იმდენი ადამიანური თვისება აქვს, რომ მრავალ კაცს ეყოფა თავმოსაწონებლად?

იქნებ არის კიდეც ღვთაების მოვლენილი არმაზი. იქნებ არ ცდება ხალხი და სწორედ იგი გვაუწყებს უმაღლესის ნებას? ასე რომ იყოს... ოღონდ ასე იყოს...

ფარნავაზმა მწარედ ამოიგმინა, თავი ასწია და არმაზის თვალებს შეეფეთა.

— არმაზ შენა? არ წასულხარ?

— გიცდიდი. მინდოდა მეთქვა, რომ ტყუილად ადანაშაულებ საკუთარ თავს ჩემს გამო. განგების ნებით წარიმართება ყოველი საქმე ამ ქვეყანაზე და კაცის ბედსაც განგება წყვეტს. ახლა წავალ და თუ ჩემი ნახვა მოისურვო, ვაყიკასთან მომძებნე!

ფარნავაზმა თვალი გააყოლა ძმაზე უძვირფასესს და ლოყაზე დაგორებული ცრემლი მოიწმინდა.

* * *

დალმართზე შედგა ადონი. მოიხედა. დანანებით მიაპყრო თვალი უფლისციხელთა ბებერ საცხოვრისს. ვით ერთგულ მეგობარს, პატიება შესთხოვა სამუდამო განშორებისთვის, მადლობა უთხრა, ფუძე დაუკოცნა და მძიმედ დაუყვა გზას.

მოძლვარს იბერიის მთავარსარდალი და მხატვართუხუცესი შემოეგებნენ თავიანთი მხლებლებით, კარვიან ეტლამდე მიაცილეს. უკან მიჰყვნენ.

სამგზავრო ბალიშზე მიყრდნობილმა ადონმა თვალები დახუჭა და გაირინდა. კვლავ გაახსენა თავი გაფერმკრთალებულმა, თითქმის მივიწყებულმა წარსულმა: ფაზისმა, ზეციდან ზღვაში ჩამოდგმულმა თეთრმა სამლოცველომ, ტიმოზმა, შუქიამ, დედათა ქურუმმა, ალდემ... ახლაც საიდუმლოდ დუდუნებს პონტო, მთვარის ვერცხლისფერ ზოლზე მოქანავე ცვილის პატარა კუბოს დანდობილად მიაცილებენ მისი ტალღები,

ამოდის ზღვის ქაფიდან მზისფერი ალდე, უცხო ძალით ავსებს მის სულს და მაშინ ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი მიზნისკენ მიანიშნებს.

— ალდე! — კვლავ ძველებურად მოუხმობს ადონი სულის ღვთაებრივ ნაწილს, ერთხელ განცდილ სისავსესა და სრულყოფილებას მიელტვის.

— მოძღვრებამ შენმა და შენმა სკოლამ აღამაღლა, უმაღლესთან დააკავშირა მარად მბორგავი სული იბერიისა, ამიტომ არც გიხაროდეს და ნუ გენანება ის, რამაც უკვდავების გზაზე დაგაყენა! — ჩაესმა ადონს მონატრებული ხმა.

— სული გამიწეწა არმაზზე ფიქრმა. სასო წარმიკვეთა სრულიად. ისეთ მამას ვემსგავსები, შვილი გმირად რომ სურს იხილოს და ვერ კი გაუმეტებია სიკვდილისათვის.

— შენ ფიქრობ, რომ გმირობამდე სიკვდილის გზაა გასასვლელი?

— გმირობა უმთავრესის დათმობაა, ხოლო, რაგინდ ამაღლებულიც არ უნდა იყოს ადამიანი, მისთვის მაინც ამქვეყნიური სიცოცხლეა უმთავრესი და უპირველესიც.

— უკვდავებასთან წილნაყარი სიცოცხლე ისევე მარადიულია, როგორც სამყარო.

— ვიცი მე ეს ყოველი, მაგრამ მაინც მიბორგავს სული. ვგრძნობ, გაუსაძლისი ტკივილისთვის მამზადებს უმაღლესი. შევძლებ კი, ღირსეულად აღვასრულო მისი ნება?

თითქოს ჩამოჯდა მის გვერდით ალდე. მხარზე მტრედის ფრთასავით მსუბუქად შეახო ხელი და წაიყვანა ადონი შორს, შორს... მომავალ წელთა მიღმა გადაახედა...

მცხეთის სატახტოს დაჰყურებდა ღვთაებად ქმნილი არმაზი, საამო სახილველი და საშიში თავისი დიდებულებით. მასზე ლოცულობდა ძალოვანი და შეერთებული ერი ქართლოსიანთა. ფარნავაზი, სრულიად დაბერებული და დროთა სიმრავლით დატვირთული, მძიმედ ადიოდა მთაზე... თავისთან წაყვანას შესთხოვდა მონატრებულ ძმადნაფიცს... აიტაცა არმაზმა პირველი მეფე იბერიისა და დაუდგა ფეხ[illegible] დააფინა მხრებზე ღვთაების შუქი.

მიწას განერთხა ჭირგამოვლილი ერი იბერთა და ეთაყვანა ფარნავაზს, ღვთაების რჩეულს.

და, ისევ გარდავიდა დრო ადონის თვალწინ.

ისევ გამოეშურა ძალოვანი, შეერთებული ერი ქართლოსიანთა არმაზის თაყვანისცემად. და, იხილა ადონმა ღიმილი ღვთაების სახეზე, ერთდროულად სევდიანი და ბედნიერიც. თითქოს ემშვიდობებოდა არმაზი თავის საფიცარ ერს და ენანებოდა ეს განშორება...

გასცილდა ალდე... თან წარიტანა ადონის ეჭვიც...

ახლა დანამდვილებით იცის იბერიის ბრძენკაცმა, რომ მის სულს ჭეშმარიტების რთულ გზაზე ამაოდ არ უტარებია თავისი გაზრდილები — არმაზი და ფარნავაზი.

* * *

ვარდისფურცლობის თვე იბერიის სატახტოში მცხეთის პირველი დღესასწაულით შემობრძანდებოდა ხოლმე. ამ ერთ კვირას ქართლოსიანები თაყვანს სცემდნენ თავიანთ ადგილის დედას, მსხვერპლად მიჰყავდათ მასთან ფრთათეთრი ფრინველი და ვარდებით ამკობდნენ სახლებსა და ქუჩებს. იკვებებდნენ მხიარულებას, ბედნიერებას და ერთმანეთს წითელ ვარდებს მიართმევდნენ. დარდსა და მწუხარებას არ იმჩნევდნენ, რადგან სჯეროდათ ადგილის დედის მოწყალე გული ისედაც იგრძნობს მათ სატკივარს და ისედაც შესთხოვს ქვეყნიერების დიდ დედას მისი შვილების ბედნიერებას.

ხოლო ქართლოსის ცოლი რომ იბერთა პირველი დედა იყო, ამაში ეჭვი არ ეპარებოდათ. მიაჩნდათ, რომ იმ უხსოვარ დროს, როცა უმაღლესმა დედამიწა ადამიანებით დაასახლა, დღევანდელი იბერია ქართლოსს უბოძა.

ქართლოსიც გამოეშურა ბოძებულის სახილველად და კავკასიონის მაღალ ქე-

დზე გადმოდგა, თვალით განსჭვრიტა სივრცე დარიალიდან ვიდრე პონტომდე. ხოლო ცოლი მისი ჯერ კიდევ ფეხდაუდგამ მიწაზე დააბიჯებდა, რათა თავისი ოჯახისთვის დასამკვიდრებელი ადგილი თავად შეერჩია; ადგილი იგი უნდა ყოფილიყო შემკული ყოველი სიკეთით: ბარით და მთით, წყლით და ჰაერით, მცენარეთ და ნადირთ სიმრავლით, ფრინველთ სიჭრელით, უნდა დგმულიყო ქვეყნის შუაგულში, რათა დედის თვალსაწიერს არც ერთი შვილი არ გასცდენოდა.

და, აირჩია იბერთა პირველმა დედამ სამოსახლოდ ვაკე ადგილი ორ მდინარეთა შესაყართან და დადგა ქართლოსმა პირველი სახლი ვაკეზე, ხოლო ქალაქს, რომელიც მალე აშენდა, უწოდა მცხეთოს, უფროსი შვილის სახელი. მერე პირველი დედის მადლიანი კალთიდან ამ მიწაზე გადმოაბიჯეს ვაჟკაცებმა და წავიდნენ სხვადასხვა მხარეს... დაესახლა ქართლოსის მოდგმა ქვეყანაზე, რომელიც დარიალიანიდან ვიდრე პონტომდე იყო მთათა შორის მოქცეული და გამრავლდა, ვითარცა ფუტკარი.

მიიცვალა ქართლოსი, დაესვენა იგი ფუძეზე, დიდი მთის ძირში. ხოლო ცოლი მისი ქვეყნიერების დიდმა დედამ შეიფრდომა, კარგი შვილების გაზრდისთვის, და ალამაღლა ზეცას, მარადიული სიცოცხლე არგუნა.

მის მერე განუშორებლად თან დაჰყვება ყოველ ქართლოსიანს დედაშვილობის მარადიული მადლი, იგი მუდამ ეთაყვანება თავისი უპირველესი დედის დალოცვილ კალთას და პირველი სახლისკენ, მცხეთისკენ მიისწრაფვის მარადჟამს.

წლევანდელი დღესასწაული მაინც გამორჩეულია სხვათაგან, რადგან ამ დღეებში ქვეყნიერების დიდი დედის განსრულებული ტაძარი უნდა აკურთხოს იბერიის ქურუმთუხუცესმა და მთავარ საქურუმოდ უნდა გამოაცხადოს.

ტაძრის საძირკველი იმ დღეს გაიჭრა, როცა იბერიის პირველი მეფე ფარნავაზი მცხეთაში გამარჯვებული შებრძანდა და თავზე გვირგვინი დაიდგა, რომელსაც მალე ანტიოქოსის მიერ გამოგზავნილი სამეფო [illegible] მიუმატა. ხოლო, როცა აზონი საბოლოოდ დაამარცხა და მოაკვდინა მეფემ, ტაძრის საძირკვლის ირგვლივ ცხრა ოქროსფერი სვეტი აღმართა, ქართლოსის ცხრა დიდებული შთამომავლის სადიდებლად და გვირგვინს მზის ცხრა შუქისგან დაწნული მესამე რკალიც მიუმატა, ერთმანეთს მიუერთა და ოქროს ბირთვით შეკრა.

ნელა, მაგრამ მკვიდრად შენდებოდა იბერიის სატაძროს მთავარი ტაძარი. მეფემ ინება, რომ მასში გაცხადებულიყო ქართლოსიანთა რწმენის საიდუმლო, სიღრმე და მომავლის იმედიც. ქვეყნიერების დიდ დედას ქართლოსიანთა ღვთით რჩეულება უნდა გამოეხატა. ადგილის დედას ერის კავშირი და ერთიანი სული, მზიras უმთავრესი სათაყვანო მნათობის სახე, ხოლო იბერთა პირველი მამის საფლავზე აღმართულ ოქროს ანბანის მაღალ, ოთხკუთხა სვეტს, ქართლოსის ენის უპირველესობა და ღვთაებრიობა.

ქურუმთუხუცეს ადონის ნებით, ტაძრის კარი პირველად წლევანდელ გაზაფხულზე განიღებოდა და მიიღებდა ერს სალოცავად.

ხუთი წლის წინ ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე, სწორედ იქ, სადაც მზის პირველი სხივი ეცემა შენობას, ოქროს ცხრაისრიანი ბირთვი ჩაეშენა შავ მარმარილოს, ხოლო მთავარი შესასვლელის პირდაპირ, მთელ სიმაღლეზე, ქვეყნიერების დიდი დედის ცვილისფერი ქანდაკი აღიმართა. დარბაზის სამხრეთის კედელზე დატანებული სამი გრძელი, ვიწრო სარკმლიდან დღის შუქი ზოლებად იჭრებოდა, ქანდაკს გარს ეხვეოდა და უცხო ნათებით ასხივოსნებდა.

დიდი დედის საბრძანებელი შავი მარმარილოს პერანგით იყო შემოსილი, კუთხეებში დადგმულ მაღალ სასანთლეებში თითო სანთელი ენთო. დარბაზის მოლაპლაპე სიშავეში წამომართული

ცვილისფერი, უზარმაზარი ღვთაება, რომელიც შესვლისთანავე მზერას მოგაპყრობდა და არ გაშორებდა, მართლაც განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენდა მორწმუნეზე.

დიდი დედის საბრძანებლის გვერდით მწვანე ქვით მოფენილ, შედარებით მომცრო დარბაზში, ვარდების გვირგვინით თავშემკული ადგილის დედა კეთილი ღიმილით ხვდებოდა შემოსულს, თითქოს ამხნევებდა. ამ დარბაზს თაღიანი გასასვლელით უერთდებოდა მზირას ოქროსფერი საბრძანებელი. ცხრათვალა მნათობის მხიარული, პირმცინარი სპილენძის ხატება მლოცველს სიხარულის და ბედნიერების განცდას ჰგვრიდა.

ამ სამი ქალის, სამი დედის ღვთაებრივ სიმაღლეს თითქოს დარაჯად ედგა სალოცავის წინ, თეთრი მარმარილოს მაღალ სადგარზე წამომართული დიდი ქანდაკი იბერიის ძლევამოსილი მეფისა. თეთრონზე ამხედრებული ფარნავაზი ქართლოსივით გადაჰყურებდა ქვეყანას დარიალიდან ვიდრე პონტომდე.

სალოცავი სირიელ და მაკედონელ ხუროთმოძღვრებს ააშენებინა ფარნავაზმა, ხოლო დაასრულებინა ვაჟიკასა და სომეხ დიდოსტატს. თავისი ქანდაკი კი მხატვართუხუცესს მიანდო. ქვის მკვეთელი ათენიდან გამოითხოვა და უბრძანა, ვაჟიკას აზრი გაეცხადებინა თავის ნახელავში. დიდხანს ვერ შეერთდა აზრი და ხელი ერთმანეთთან, რადგან ორ სხვადასხვა კაცს ეკუთვნოდა. ბოლოს მაინც აზრმა აჯობა და დაიმორჩილა ხელი.

ადონი ხშირად ჩამოდიოდა უფლისციხიდან ტაძრის სანახავად, არც ახალი სამეფო ქალაქი აუშენებიათ მის გარეშე, მაგრამ როცა ყველაფერი დასრულებული და გამშვენიერებული იხილა, უფრო უკეთესიც მოეჩვენა, ვიდრე მოელოდა და გაიხარა.

მთის ძირში გადაჭიმული ციხე-სიმაგრე, ფარნავაზის ახალი საბრძანებელი და სეფეწულთა საცხოვრისი ალმოსავლეთის ქვეყნების მეფეთა სასახლეების დარი სიმდიდრითა და ფუფუნებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ახლდა სიმკაცრისა და სიმტკიცის იერი, სრულიად შეხამებული მთის ბუნებრივ დიდებულებასთან, რაიც ერთად აცხადებდა სივრცის დაუფლების იბერიულ ნიჭს, ასე გამორჩეულს და თავისთავადს.

ადონმა თვალი ააყოლა მთას და მის წვერზე შეაჩერა მზერა. — სწორედ აქ უნდა აღიმართოს ახალი კერპი, ხატება მზის მოვლენილისა, — გაიფიქრა, — და, უნდა იყოს იგი უცხოდ სახილველი, მზის შუქი და ქვეყნიერების დიდი დედის იდუმალება უნდა ახლდეს, შიშსა და მოკრძალებას უნდა იწვევდეს, უნდა გიზიდავდეს და გზარავდეს კიდეც ერთდროულად.

რწმენის თათბირის მერე პირველად იყო ასე მშვიდი და ადამიანური სისუსტეებისგან თავისუფალი იბერიის ქურუმთუხუცესი.

— ფარნავაზი იბერიული ძალისხმევაა, ხოლო არმაზი იბერიული სულის ღვთაებრივ სიმაღლეს უნდა მიანიშნებდეს ერს, მის წინ აღმართული ანბანის ოქროს სვეტი კი ჩვენს სიბრძნეს და განსწავლულობას.

დღესასწაულის მერე, სამი თვე ვიმარხულებ ტაძარში. იქნებ ინებოს უმაღლესმა, სამარას და ტიმოზის სულთან შემახვედროს... არც თუ მცირე მაქვს მათთან განსასჯელი.

* * *

ქალაქი ნელ-ნელა ილვიძებდა. მებორნეებს უკვე დაეწყოთ მთიდან ჩამოსული ხალხის გადმოყვანა მდინარის მეორე ნაპირიდან. ჭრიალით მიდიოდნენ მცხეთის ქუჩებში განიერი, მოჩარდახული და თავლია ურმები, ზოგი ნავსაყუდრისაკენ, ზოგი კი სატახტოს მთავარი ჭიშკრისკენ მიეშურებოდა, რათა ქალაქამდე მოტანილი ტვირთის დაბინავებაში მოხმარებოდნენ უცხოელ ვაჭრებსა და ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან წამოსულ, ზეიმში მონაწილე იბერებს.

ადრიანად გაღებული სასტუმრო-სავანეთა კარები. თადარიგიან დიასახლი-

სებს ძოწისფერი ქსოვილითა და ვარდებით მოერთოთ თავიანთი სახლები და ეზოები. სატახტოს დიდი ბაზრის განიერ მოედანზე დახლიდარები უკვე აწყობდნენ გასასყიდ საქონელს.

წინა დღით ჩამოსული, მთის პირველ სხივთან ერთად გაღვიძებული წვრილი ერი თავიანთ ურმებზე და მათთვის მიჩენილ მინდორზე ალაგებდა ხილსა და თაფლს, ნაქსოვსა და ხეზე ამოტვიფრულ ნაკეთობას, თოხს, ბარსა და ცულს, ვერცხლის გულსაკიდებსა და სამაჯურებს, თიხის ხელადებს, დოქებს, სხვადასხვა ზომის ქვევრებს და ჰინჰილებს.

ქარვასლის წინ უკვე ტრიალებდნენ მისი მრავალრიცხოვანი მომსახურენი, უცხო ენათა მცოდნე იბერიელი და სომეხი ახალგაზრდები, ადგილობრივ ვაჭართა და დიდგვაროვანთა მიერ დამოძღვრილნი, გუნებაში წინასწარ რომ ანგარიშობენ სართიანი გარიგებისას საკუთარ გასამრჯელოს.

ქვით მოკირწყლულ განიერ ქუჩაზე, გვერდზე რომ წყალსაწრეტი მოჰიქული თიხის მილი მისდევს, იოლად გამოარჩევს თვალი უცხოელ მოგზაურს და უცხო ქალაქის მკვიდრს, ჩაცმულობით, მიხვრა-მოხვრით, გამომეტყველებით.

— წელსაც ხალხმრავალი იქნება მცხეთობა, — გაიფიქრა ადონმა, როცა გზაზე დალლილი, ღამენათევი მეაბანოენი დაინახა.

განსაკუთრებით ბევრი საქმე ზეიმის წინა დღეებში მეაბანოეთ ჰქონდათ, რადგან დღესასწაულს ყოველი მლოცველი განბანილი უნდა შეხვედროდა, ხოლო ქალაქის სხვადასხვა კუთხეში მდგარი ათიოდე აბანო, მართლაც ვერ აუდიოდა ამდენ მსურველს, ადგილობრივსა და ჩამოსულს.

მცხეთის ძველი სასახლისა და მის უკან მაღლობზე წამომართული შიდაციხის დანახვა ადონს ძველი მეგობრის შეხვედრასავით ესიამოვნა. მაღალი გალავნით შემოზღუდული, აყვავებულ ბაღში ჩადგმული მკვიდრი შენობა ბევრ დაუვიწყარ მოგონებას ულვიძებდა იბერიის ქურუმთუხუცესს. ალბათ ამიტომ ვერ შეუსრულა თხოვნა დედოფლის და ფარნავაზს ახლადაშენებულ სასახლეში გადასვლა აქამდე არ ურჩია. ახლა კი, როცა ფარნავაზის გატაცება ეგრისელი ქალით ყოველგვარ ზღვარს გადავიდა და ერის სალაპარაკო და საზრუნავიც კი გახდა, იძულებულია დედოფლის თხოვნის ასრულებაზეც იფიქროს. თუ აქამდე არასოდეს ჩარეულა თავისი გაზრდილების მამაკაცურ გრძნობებში, ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ ბრძენკაცი ქალის სიყვარულს ვაჟკაცის სულის გაწვრთნაში უდიდეს როლს აკისრებდა. გარდა ამისა, თვითონ ხომ მუდამ შეყვარებული იყო და ვით დაემალა სხვისთვის ის, რაც მას ასე ამაღლებდა, სულიერ წონასწორობასა და ღვთაებრივ ბედნიერებას ანიჭებდა?

არ უმხელდა საკუთარ თავს, მაგრამ გულის სიღრმეში თანაუგრძნობდა კიდეც თავის გაზრდილს. ამ ოც წელიწადში მეუღლე ფარნავაზისა, იბერიის უპირველესი მანდილოსანი და დედოფალი მიამიტ, მიმნდობ, თითქმის უმწეო, მაგრამ სწორედ ამის გამო, საოცრად მიმზიდველი კაფანდარა გოგონადან გადაიქცა მიწიერი დიდებით შეპყრობილ, სიბრძნედაჩემებულ, გულჩახურულ, გაულიმარ არსებად, ისეთ ადამიანად, რომელიც სიყვარულშიც კი მხოლოდ განდიდებას მიელტვის.

არ უკვირს ადონს, რომ ფარნავაზის ვაჟკაცური ბუნება თავგანწირულ, ლამაზ გრძნობას ეძიებს და ისევე უსაზღვროდ მართალია სიყვარულში, როგორც ყოველგვარ საქმეში. საკვირველად ის მიაჩნია მხოლოდ, რომ ერმა მეფის ახალ გატაცებაში უსწრაფესად იგრძნო თავისი სათაყვანო გმირის მარტოობა და დედოფალი შეიძულა. იათას და ღვთაებრივი მეფის სიყვარულზე ბევრი სიმღერა შექმნა, რომლებშიც ბედნიერების გზაზე მიმავალ შეყვარებულებს ურჩხული ელობებათ და უბედურების მაუწყებელ ქვეწარმავალს მეფე მხოლოდ თავისი ხალხის დახმარებით ამარცხებს. ხოლო, თუ ვინ იგუ-

ლისხმებოდა ურჩხულში, კარგად იცოდა ამ სიმღერების შემთხზველმაც და გამგონემაც.

ტედოფლის განაწყენება და შეურაცხყოფა, გარდა იმისა, რომ თავხედობა იყო, კარგს არაფერს უქადდა ფარნავაზისა და აღონის საქმეს, რადგან არც დურძუკნი იყვნენ ულონონი და არც კავკასიანელთ მოსწონდათ იბერიის მეფის რკინის მარჯვენა, დიდ მთაზე მათ დასათრგუნავად დადებული. ისწრაფვოდა აღონი თავის გაზრდილთან სასაუბროდ და, პირველად თავის სიცოცხლეში, არ იცოდა, რას და როგორ ეტყოდა ფარნავაზს.

სასახლის მთავარ ჭიშკართან ეტლიდან გადმოვიდა, მხებლებს დაემშვიდობა და დინჯად შეაბიჯა მის წინ ფართოდ გაღებულ ჭიშკარში.

სასახლის ეზოში მცხეთური დილის სიმყუდროვე და სიმსუბუქე სუფევდა. და თითქოს ახლა მიხვდა აღონი, იბერთა თვალში ფარნავაზს წამებული გმირის შარავანდი რომ აკლდა, ხოლო ეს მოპარული ბედნიერება ამ ნაკლოვანებას ავსებდა და ხალხის წარმოსახვაში სრულყოფდა მეფეს.

მძიმე, ყოველდღიური ყოფა, ქვეყნის პატრონის მოუსვენარი ცხოვრება, მისი მეფური ნიჭი, მტერთა ძლევა და გამარჯვება ხალხის თვალში გმირის ცხოვრების მხოლოდ ერთი მხარეა... ერს ახალი საოცრება სჭირდება და ქმნის კიდეც ზღაპარს თავის რჩეულზე, ხოლო მერე ამ ზღაპრის გაცხადებას სწორედ მისგან მოითხოვს.

აღონი ფიქრებიდან ქალის ბედნიერმა სიცილმა გამოარკვია. კიბის პირველ საფეხურზე მდგარი ფარნავაზი ღიმილით შეჰყურებდა წაბლის მაღალ ხეს, რომლის ძლიერ ტოტზე მეწამულისფერ საცხენოსნო სამოსში გამოწყობილი იათა იდგა.

— უბრძანე ცხენი მომგვარონ. როცა აქედან გაჭენებული ბედაურის უნაგირზე მოვექცევი, მაშინაც იტყვი, რომ ამორძალებში ეგრისელი ქალები არ ერივნენო?

— ყველა ამორძალზე ულამაზესი და უმამაცესი ხარ შენც და ყველაზე ჭკოსელი ქალი, მაგრამ ცხენს მაინც არ მოგგვრი, რადგან დასაკარგავად არ მემეტები! — პასუხობდა ფარნავაზი და თვალს ვერ აცილებდა სატრფოს.

— ერთხელ მაინც ნახე როგორი ცხენოსანი ვარ, განა ტყუილად ვივარჯიშე ამდენი ხანი? — ჯიუტობდა ქალი — თუ ცხენს არ მომიყვანენ, სულაც აქ დავრჩები, ამ მშვენიერ ხეზე!

— დარჩი! — გაიცინა ფარნავაზმა. — მე კი ვუბრძანებ, ის კიბე, ეგერ იმ მაღალ ბალახში შენმა მსახურმა რომ ჩამალა, გადააგდონ და ზედ შენი ბედოვლათი მსახურიც მიაყოლონ, რადგან ბრიყვია და მეფის საუნჯეს ჯეროვნად არ უფრთხილდება.

აღონმა ნაბიჯი შეანელა, შორიახლოს გაჩერდა და ჩაახველა. ფარნავაზმა მკაცრად მოიხედა და ანცობაზე წასწრებული ყმაწვილივით გაწითლდა მოძღვრის წინაშე.

— ჯერ არ გელოდი! — ჩაილაპარაკა დაბნეულმა და კვლავ წაბლის ხეს ახედა სასოებით.

— ადრიანად წამოვედი! — გაუღიმა აღონმა. — სანამ საბუდარიდან იმ ლამაზ ფრინველს ჩამოიყვან, ნება მომეცი შენს სამუშაო ოთახში ავიდე და დაგელოდო!

— მეც წამოვალ, — უპასუხა ფარნავაზმა. — სანამ აქ ვდგევარ, ვერავინ გაბედავს ხეზე კიბის მიდგმას.

— რაც შეეხება ამორძალებს, სრულიად ბუნებრივია, რომ მათ შორის ეგრისელი ქალებიც ყოფილიყვნენ, — წარმოსთქვა ხმამაღლა აღონმა, — ხოლო ეს უფრო სარწმუნოა, როცა შენი რჩეულის სილამაზეს უცქერის კაცი!

— ერთი კვირაა, გაჭენებულ ცხენზე დაჯდომაში ვარჯიშობს თურმე. წუხელ გამიმხილა ეს ამბავი ჩემი თეთრონის მომვლელმა ბესამ, ისიც მითხრა, იგი ისევე უშიშარია, როგორადაც ლამაზიაო. მე კი ამ დილით დავრწმუნდი, რომ ცდება ბესა და გამეხარდა. უშიშრობას იჩემებს და ხეზე ასული კიბის

გარიდებას ბრძანებს. რადგან შიში დაძლეული არა აქვს, ამიტომაც ხიდან ჩამოსასვლელ ყველა სხვა საშუალებას თვითონვე ისპობს. გამბედაობა კი არა, ჩემს წინ თავის მოწონების სურვილი აბედვინებს ამას. უცნაური ხალხია ეს ქალები, ალბათ ისე მოვკვდები, მაგათსას ვერაფერს გავიგებ! — გაიცინა ფარნავაზმა. — მე თუ მკითხავ, იათას ცხენოსნობაზე მეტად ის ამშვენებს, ხეზე ასვლა-ჩამოსვლა რომ არ იცის და ასეთ მარტივ საქმეში სხვისი დახმარება სჭირდება. მას კი სურს, რომ ჩემზე ნაკლები არც ცხენოსნობაში და არც ბრძოლაში არ იყოს. არ უხდება ქალს სამაკაცო საქმე!

— ქალს ყველაფერი ამშვენებს, რამიც ქალური სილამაზე და მომხიბვლელობა ახლავს: ცხენოსნობაც, ბრძოლაც, ცეკვაც, სიმღერაც, სიბრძნეც, დიდებულებაც და მმართველობაც!

მეფე თავის სამუშაო ოთახში შეუძლია იბერიის ქურუმთუხუცესს.

— მერე ვინ მიგაჩნია მაგ თვისებებით შემკულ ქალად, იბერიის დედოფალი ხომ არა? — სახე მოექუფრა ფარნავაზს. — გამინაწყენდა იათას გამო, თუმცა მიჩვეული იყო ჩემგან გულგრილობასა და სიშორეს. ჩვენს ურთიერთობაში არაფერი შეცვლილა, პატივი და დიდება, რომელსაც მიელტვის და ყველაფერზე მაღლა აყენებს, არ დამიკლია მისთვის. არც ის გავიგონე, იათას მეორე ცოლად დასმა რომ შემთავაზეს ვაჩემ და ანათამ, მამა-პაპათა წესიდან არ გადავუხვიე. თუმცა ჩემი უახლოესი მეგობრების მეტს არავისა აქვს უფლება ამ სასახლეში შემაწუხოს, სამი დღის წინ მაინც აქ მეწვია მისი ძმა და თავხედურად გამომიცხადა, რომ არ მოითმენს დის შეურაცხყოფას... ძვირი დამიჯდა თავის შეკავება. ბოლოს კი მან ყველაფერი მოითმინა და როგორც მოსალოდნელი იყო, ფულში გასცვალა ჩემთან მისი გამომგზავნელი. იგი დედოფლის სიტყვებით მელაპარაკებოდა და გული მეტკინა. მერე გავიგე, შენთვისაც უთხოვია ჩემთან შეხვედრა დედოფალს. გთხოვ, არაფერი მითხრა. ნუ მაიძულებთ იგი განვუტევო და იათა ავიყვანო სადედოფლო ტახტზე. ტყუილად ჰგონია ვისმეს, რომ დურძუკნი, ალანნი, თუგინდ დიდონიც, ერთად შეერთებულნი, დაუძლეველნი არიან ჩემთვის. თუ ჩემი მეფობა გსურთ, კიდეც უნდა შეეგუოთ, რომ მე არასოდეს დავთმობ ბედნიერებას, რომელიც ღვთაებამ მიბოძა. არც მაქვს უფლება. ასე ფიქრობს არმაზიც.

ადონი ერთხანს ჩუმად იყო.

— დღესასწაულის ბოლო დღეს დედოფალი უფლისციხის თეატრონს დაესწრება თავისი ამალით. უბრძანე, ლამზირა მოიწვიოს სასახლეში და სპასალარის მეუღლე ღირსეული პატივით ალავსოს! — წარმოთქვა ადონმა.

— სამაგიეროდ ჩემგან იათას განშორებას მოითხოვს: — უპასუხა ფარნავაზმა, — თუმცა კი არც ლამზირასთან იყო მართალი, მაგრამ მაშინ ვაპატიე, რადგან მეგონა, ჩემდამი სიყვარულის გამო ეჭვიანობდა.

— და, შეურაცხყო მართალი ადამიანი, შენგან განწირული და უარყოფილი.

— ლამზირას სიყვარულს იმიტომ მახსენებ, რომ დამანახო ახლანდელი გრძნობის წარმავლობაც? — დაეჭვდა ფარნავაზი.

— იმიტომ, რომ საკუთარი თავი გაგახსენო. უნდა დააბრუნო იათა ეგრისში.

— შეუძლებელს მთხოვ!

— აუცილებელს მოვითხოვ იბერიის მეფისგან. ვფიქრობ, მას არასოდეს ავიწყდება თავისი მოვალეობა და ის ფიცი, რომელიც თავის დიდ წინაპრებს მისცა.

— განა ცუდად ვასრულებ იმ ფიცს?
— წარბი შეიკრა მეფემ.

— განუტევე იათა ეგრისში. ხალხიც აფორიაქდა შენი საქციელის გამო.

— ჩემს ერს ყველა თქვენთაგანზე მეტად ესმის თავისი მეფისა!

— ხოლო მეფეს უკეთ უნდა ესმო-

დეს ერის ფიქრი და დასთმოს პირადი მისთვის!

— რამდენჯერ?

— რამდენჯერაც საჭირო იქნება ქვეყნისთვის!... ჩემგან არ გესწავლება, რომ კავკასიის ხალხებთან კეთილ მეზობლობაშიცაა იბერიის ძლიერება. ხოლო ახლა ჩემს გამო მსურს მოგეთათბირო და იმაზეც, რომ დროა უფლისციხელი ქურუმთუხუცესი ალვაზევოთ ჩემს ადგილზე, ადონ მცირეზე ვამბობ...

ერთი საათი დაჰყო მეფის სამუშაო ოთახში ადონმა, ხოლო ახალ სასახლეში ფარნავაზთან ერთად მიმავალმა უკვე იცოდა, რომ თუმც არ დაჰპირებია თავისი გაზრდილი, მაინც განიშორებდა სატროფოს. სიცოცხლესავით კი უყვარდა იათა ფარნავაზს, მაგრამ სიცოცხლეზე მეტად უყვარდა იბერია.

* * *

შეთქმულთა თათბირს, რომელიც ჰერეთის ყოფილი ერისმთავრის, სარანის სასახლეში გაიმართა, ცხრა მონაწილე ჰყავდა: თვითონ სარანი, სომეხი დიდებული სოტრანი, აშთანის ვაჟიშვილი ვაგანი, აზონის უილბლო მემკვიდრე კილიკე, მთვარის საქურუმოს ყოფილი უფროსი ქურუმი სპიანდრე, პონტოელი ავაზაკი და კაცისმკვლელი დალაი, იბერიელ სპარსთა მოგვი კანუ, პართიის მეფის ვაზირი კაპლე და იბერიის დედოფლის ძმა, დურძუკთა მომავალი მეფე შიქარი. ყოველ მათგანს თავისი გასაყოფი და სადაო ჰქონდა ფარნავაზთან.

სარანი ამ ხუთიოდე წლის წინ დასაჯა იბერთა მეფემ, სამთავროს ნახევარი ჩამოართვა, კუხეთს შეუერთა და ჰერეთის საერისმთავროც გააუქმა. ამის მიზეზი ის იყო, რომ სარანი მეფის ზურგსუკან სამთავროს საზღვრების გაფართოებას ცდილობდა, პართიის მეფესთან კავშირს ჰკრავდა და ანტიოქოზს ებრძოდა მოსაზღვრე სომხეთის მიწების ხელში ჩასაგდებად, მართალია, ამ ბრძოლაში იგი უჩინარი რჩებოდა და მთელი სიმძიმე პართიის სამეფო კარზე გადადიოდა, ფარნავაზმა მაინც ვერ გაუგო სარანს ვერაგობა [illegible] მცირე მამული დაუტოვა და იბერიის სამეფო კარზე ფეხი ამოუკვეთა.

სომეხი დიდებულის სოტრანის მამა ისე მიიცვალა, რომ მეზობელ იბერებთან სადაო არაფერი ჰქონია. სამარასა და დუდეს პატივს სცემდა, მათ მხარდამხარ იბრძოდა სპარსთა ძლიერი მეფის დროშის ქვეშ და თუ ვინმე მიაჩნდა მტრად, მხოლოდ სპარსი დამპყრობლები, ისინი, ვინც არც იბერებს ეხატებოდათ გულზე. სოტრანის მამა ალექსანდრესგან დარიოსის დამარცხებასა და სპარსეთის სახელმწიფოს განადგურებას არ მოსწრებია. ხოლო სოტრანი თავიდანვე ალექსანდრეს ჯარში განემწესა საკუთარი სურვილით, მერე კი, როცა სელევკიმ სომეხ დიდებულებს ალექსანდრეს მიერ დაპირებული დიდება არ არგუნა, პართიაში გადავიდა, იქაურ სამეფო კარს დაუკავშირდა და სელევკიდების დაუძინებელი მტერი გახდა. მთელს მცირე აზიაში ეძებდა იგი ანტიოქიის მოწინააღმდეგეებს და აჯანყებისკენ აქეზებდა. ერთხანს მცირე აზიის მბრძანებელ ანტიგონესაც დაუკავშირდა, მაგრამ ანტიგონეს თავის მეზობლად ახლახან გაძლიერებული პონტოს სამეფო უფრო აწუხებდა, ვიდრე შორეული ასურასტანი და, თუმცა კი იმედს არ უკარგავდა, ეტყობოდა, მაინც არ ფიქრობდა ანტიოქიის გადაკიდებას. ამდენ წოწიალში სოტრანს კუთვნილი მამული მამის ძმამ წაართვა და სომხეთიდანაც გამოაძევა. ახლა ფარნავაზთან გადაწყვიტა საიდუმლო ქსელის გაბმა სოტრანმა, დიდი არმენიის მტკვრის მომიჯნავე მიწები შესთავაზა, სომხეთის დანარჩენი ადგილიდან საკმაოდ მაღალი ხარკის მიცემას დაჰპირდა და სამაგიეროდ სელევკიდთა წინააღმდეგ ბრძოლა და დიდ არმენიაში გაბატონება ითხოვა.

გარდა იმისა, რომ ფარნავაზი ანტიოქოზის მეგობრად სთვლიდა თავს, არმენიის ბერძენი მეფისნაცვლის ნდობითა და პატივისცემითაც სარგებლობდა,

ხოლო ორგულობა და ღალატი არ სჩვეოდა იბერთა მეფეს, ამიტომაც შეიპყრო სოტრანი და ანტიოქოზს გაუგზავნა დასასჯელად. სოტრანმა ფულით და გაიძვერობით თავის გამოსყიდვა შესძლო, სელევკის ერთგულება აღუთქვა და მტრად მოეკიდა იბერიის მეფეს. სწორედ მაშინ მოსძებნა ჰერეთის ყოფილი ერისმთავარი, მისი და მესამე ცოლად შეირთო და ფარნავაზის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება აღუთქვა. ამ საქმეში პართიის სამეფო კარისა და აშთანის უფროსი ვაჟის ვაგანის იმედიც ჰქონდა.

ვაგანი უკვე მეოთხე წელი იყო, რაც პონტოს ახალმა მეფემ თავისი ქვეყნიდან სიხარბისა და გაუტანლობის გამო გამოისტუმრა. ინტრიგებში გამობრძმედილმა აშთანის უღირსმა მემკვიდრემ თვალი ახლა იბერიის სამეფო კარს მოაპყრო, მამის ძველი მეგობრები მოსძებნა და დიდი ქარვასლების გახსნა მოინდომა ფაზის-მცხეთის გზაზე. ფარნავაზმა აშთანის შვილს იბერიაში დასახლება აუკრძალა, მაგრამ ჩამოტანილი საქონლით ვაჭრობის ნება მაინც დართო. გამწარებულმა ვაგანმა სწორედ მაშინ გაიხსენა მამამისის დამსახურება ფარნავაზის გამარჯვებაში და ადონს აშთანის მიერ დახარჯული ფული მოსთხოვა. ბრძენკაცმა შორს დაიჭირა ვაგანის მოთხოვნა. გვარიანადაც გამოლანძღა, კარგი მამის ცუდი შვილი უწოდა და მამამისის წერილი წააკითხა. წერილში აშთანი ვაგანს მოღალატესა და ორგულს უწოდებდა მითრიდატესთან და აზონთან კავშირის გამო. ადონს ატყობინებდა, რომ ფული, რომელიც აზონის წინააღმდეგ იბერთა შეიარაღებასა და განდობილთათვის ჯარის დაქირავებას მოახმარა, იბერთა კუთვნილება იყო, რადგან აზონთან სამსახურის დროს სწორედ ამ მიზნით დააგროვა. წერდა მეგობარს, რომ მძიმედ ავადაა, ალბათ ვერ მოესწრება საძულველი პონტოელის დამარცხებას და სთხოვდა: — თუ რამ სამსახური გამიწევია იბერიისთვის, ჩემს სამშობლოს გადაუხადეთ შენ და შენმა გაზრდილმაო. აფრთხილებდა, ჩემი უფროსი ვაჟი [illegible] არ გაიკაროთ, რადგან მამის ორგული ძმაც თქვენ დაგინდობთო.

ამ წერილმა ვაგანი გააცოფა და პართიაში გაიქცა, სადაც სოტრანს დაუახლოვდა. ორივემ ერთად პართიის მეფის ყურადღება ფარნავაზის შესაძლებელი დამარცხებისკენ წარმართეს, რადგან მთელი მცირე აზია და კავკასიის ხალხები იბერთა მეფის მოწინააღმდეგედ წარმოუდგინეს, მანაც შეთქმულთა მეთაურად თავისი ერთგული ვაზირი კაპლე შეარჩია. სოტრანსა და ვაგანს ის კი არ აწუხებდათ, რომ პართია არმენიის მიწებსაც ედავებოდა ასურასტანსა და იბერიას, არამედ ის, რომ მათი აღზევების უკანასკნელი იმედი ფარნავაზმა დაასამარა.

იბერიის დედოფლის ძმა სულ ცოტა ხნის წინ გადმოიბირეს შეთქმულებმა. პართიელმა ვაზირმა შიქარს იბერიაში გამეფების გზები დაანახა და კიდეც მოიგო მისი გული. დიახაც ეწადა დურძუკთა ბელადის მემკვიდრეს კავკასიაში გაბატონება, ხოლო ამ საქმეში მთავარი დაბრკოლება რომ ფარნავაზი იყო, არც ეს ეშლებოდა. თუ შეთქმულები გაერთიანდებიან, პართიასა და ბაქტრიას ჩააბამენ ბრძოლაში, კავკასიანთა აგულოვნებას წინ არაფერი დაუდგებოდა შიქარის აზრით, და მის ფარულ ოცნებასაც აღსრულება ეწერა. თავდაპირველად მცირეწლოვან საურმაგს აიყვანს იბერიის ტახტზე, მის მრჩევლად და უპირველეს კაცად იქცევა, ხოლო მერე, როცა იბერებს თავს შეაყვარებს, უხერხემლო ყმაწვილის მოშორებით და თავის გამეფებაზე ადვილად არაფერი მიაჩნდა.

სინდისის ქენჯნას დიახაც არ გრძნობდა არც სიძისა და არც თავისი დის წინაშე, რადგან არც ერთი არ ეხატებოდა გულზე. იბერიის დედოფალი ქედმაღლობის გამო, ხოლო ფარნავაზი იმიტომ, რომ მის ახლოს თავს მუდამ ბეჩავად და დამნაშავედაც კი გრძნობდა. ახლა, როცა მისმა სიძემ დედოფლის გვერდით

სატრფო დაისვა და იბერიის მეფისთვის შეუფერებელი საქციელი ჩაიდინა, სწორედ კარგი დროა მის წინააღმდეგ საბრძოლველად, თავის ხალხთანაც და იბერებთანაც სათქმელი აქვს. ის ფული, რაც ფარნავაზს გამოსტყუა, უკვე დახარჯა, საუკეთესო ცხენები შეიძინა ალბანეთში. ხოლო სიმდიდრე და ფუფუნება დიდებასა და გამეფებაზე ნაკლებად როდი უნდოდა შიქარს.

მთელი ღამე გაათენეს შეთქმულებმა ბჭობაში. დალაი უსმენდა ამ დიდგვაროვან კაცებს, რომლებიც მომავალს ისე ხატავდნენ, თითქოს ფარნავაზი უკვე დამარცხებული ჰყავდათ და უფრო და უფრო რწმუნდებოდა თავისი გადაწყვეტილების სისწორეში.

ყველა ლაპარაკობდა დალაისა და კილიკეს მეტი. კილიკეს არც აინტერესებდა და არც ენაღვლებოდა შეთქმულთა ბედი. იგი შეყვარებული იყო და თავისი სიყვარულის საგანზე ფიქრობდა. ხოლო საგანი სიყვარულისა იყო ლამზირასა და ლენეს უფროსი ქალიშვილი, დედასავით ულამაზესი და მამასავით ახოვანი აინანა. დალაისაც იმიტომ დასდევდა კუდში აზონის დამთხვეული მემკვიდრე, რომ იგი იბერიაში გამეფებას დაჰპირდა და აინანას დედოფლობა უწინასწარმეტყველა. მართალი რომ ითქვას, არც ახლა მიილტვოდა კილიკე ტახტისკენ, მაგრამ რა ჰქნას, თუ უამისოდ საყვარელ ქალს ვერ დაეუფლება. ახლა იგი თავის კერპებს ეთაყვანება, დალაის ნაძარცვსა და ნაქურდალს მიირთმევს და კვლავ ელოდება იმ ბედნიერებას, მშვენიერების დასაკუთრება რომ მოუტანს.

დალაიმ ამ თათბირზე კიდევ ერთხელ იწამა ფარნავაზის სიდიადე და იმასაც მიხვდა, რომ ეს თავმომწონე კაცები, თუმცა ბევრს კი ყბედობდნენ, მაგრამ ვერასოდეს გაბედავდნენ იბერიის მეფესთან შებრძოლებას. ყოველ მათგანთან გაამართლა ფარნავაზი გუნებაში და საკუთარი ბედიც დასწყევლა, ასეთ დიდ გმირთან ბრძოლა და არა მეგობრობა რომ არგუნა ცხოვრების გზაზე. ისეთი დანანებით ფიქრობდა ამაზე დალაი, თითქოს ფარნავაზს მისი კუთვნილი ტახტი და [illegible] სებინოს, ამ თათბირზე გადაწყვიტა დალაიმ, რომ ფარნავაზი მოეკლა, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ თავისი ახლანდელი თანამზრახველები იბერიაში არ შემოეშვა.

განთიადისას ესა თქვა მხოლოდ: იბერები ჭკვიანი ხალხი ჩანს, მათ აზონისვე ფულით აზონი დაამარცხეს, ჩვენ კი ლაპარაკში გაგვყავს დრო, ჯარს ვერ ვქირაობთ, ხოლო ფარნავაზი ძლიერდება. მომეცით ოც-ოცი კაცი თვითეულმა და მოვანატრებ მშვიდ ძილს იბერიის სპასალარსა და მეფეს.

გადაწყვიტეს, დალაის წინადადება დროებით მიეღოთ და ჯერჯერობით ვაჟკაცური ბრძოლისგან თავი შეეკავებინათ.

დალაიმ კილიკე აიყოლია და შეთქმულები დასტოვა.

— ჩემს გამეფებაზე რატომ არაფერი თქვეს? — შეეკითხა კილიკე მეურვეს.

— იმიტომ, რომ ბრიყვები არიან და თვითეული იბერიის ტახტის ხელში ჩაგდებაზე ოცნებობს, ხოლო ვინ ავა იმ ტახტზე ფარნავაზის მერე, მხოლოდ დალაიმ იცის, რადგან კერპებმა აუწყეს საიდუმლო! — დაამშვიდა კილიკე.

* * *

მცხეთელები თავიანთ დღესასწაულზე მრავალრიცხოვან სტუმრებს მიჩვეულები იყვნენ, მაგრამ ასურასტანიდან ჩამოსულმა ქალებმა მაინც მიიქციეს მათი ყურადღება. გამჭვირვალე მოსასხამებში გახვეულები, მაღლები, უცხოდსახილველები, იბერიის სატახტო ქუჩებში გამოჩენისთანავე ხალხის ალტაცებას იწვევდნენ. მათ შორის ჩაცმულობითა და მედიდურობით მაინც ორი გამოირჩეოდა: ერთი, ხანშიშესული და უსახური — მბრძანებლობას მიჩვეული გამომეტყველებით, ხოლო მეორე — ზღვისფერი დიდი თვალებით, გრძელი ჩალისფერი თმითა და ლერწამივით მოქნილი ტანის უცნაური რონინით.

ხანშიშესულს ვერცხლით ნაქსოვი მძიმე, გაუმჭვირვალე გრძელი კაბა ემოსა, ხოლო ახალგაზრდას, რომელსაც ხანშიშესული გვერდიდან არ იცილებდა, მარცხენა მხარზე ოქროს ბალთით შეკრული მტრედისფერი ქიტონი, მალალი მკერდის ქვემოთ თეთრი ქამრით რომ იკვრებოდა. ქალი ზღვის ქაფიდან ამოსულ ქალღმერთივით ამოდსახილველი იყო.

ასურასტანელი დედათა ქურუმი უკვე მეხუთე დღეა სტუმრობდა მცხეთას და ეტყობოდა ზეიმის დამთავრებას უცდიდა, რადგან იბერიის მეფესთან და მთავარსარდალთან განმარტოებული საუბარი ეწადა, ხოლო დღესასწაულის დღეებში არც ფარნავაზსა და არც ლენეს გრძელი საუბრისათვის არ ეცალათ.

ჩამოსვლის პირველ დღეს, როცა მეფესთან დარბაზობაზე წარსდგა, საპატიო სტუმარმა თან მშვენიერი ასული იხილა. ფარნავაზს ქურუმის მხლებელმა თავისი ახალგაზრდობა, უკვე მივიწყების ჩრდილად ქცეული ირე მოაგონა და ყურადღებით დააცქერდა მის წინ მტრედის მართვესავით განაბულ ყმაწვილ ქალს.

დედათა ქურუმმა მეფის მზერას თვალი გააყოლა, შეფარვით გაიღიმა და ეს უთხრა ფარნავაზს:

— თუ იბერიის მეფეს თავისი დანაპირები არ დავიწყნია და როგორც მის დიდებულებას ეკადრება, ისე აღასრულა, მე და ფაირე დავრჩებით იბერიაში, რათა აქ გავამრავლოთ დიდი დედის ჭეშმარიტ მსახურთა რიცხვი.

ფარნავაზმა ადონს გადახედა.

— გუგარეთის სამხრეთით, არმენიის საზღვართან, მცირე სამლოცველო უკვე სამი წელია ელოდება თავის პირველ ქურუმ ქალს. — თავი დაუხარა მეფეს ქურუმთუხუცესმა.

— როცა ასურასტანის დიდი მბრძანებლის დანაბარებზე მოვეთათბირები იბერიის მეფეს, დანარჩენ ჩემს მხლებლებს სირიელ ვაჭრებს გავაყოლებ და მე და ფაირე სამლოცველოში გავემგზავრებით. ვაჭრები ორ კვირაში მოადგებიან მცხეთის კარიბჭ[illegible] [illegible]მოაქვთ ანტიოქიის მბრძანებლისგან გამოგზავნილი საჩუქარი ფარნავაზთან, მანამ კი, ჩვენგან ეს მცირე სახსოვარი ინებე, მეფეო. — სთქვა დედათა ქურუმმა და ოქროს მცირე ქანდაკი მიაწოდა ფარნავაზს.

იბერიის მეფემ ქანდაკი ფართე ხელისგულზე დაიდო და ყურადღებით დააცქერდა. მიხვდა, თუ ვინ შეახსენა თავი ამ საჩუქრით.

— ანტიოქიის დედათა ტაძრის უფროსმა ქურუმმა, ასურასტანის უწინდელმა დედოფალმა მოგართვათ ეს მცირე ძღვენი, დიდო მეფეო, მის ქვეყანასთან შენი ძველი მეგობრობის მოსაგონებლად. იმედი გამოთქვა, რომ ოდესმე კვლავ იხილავს იგი შენს დიდებულებას. — წარმოსთქვა ქალმა და თავი დახარა. — მანვე გამომაყოლა ჩვენს ტაძარში გაზრდილი ფაირე. მის მოვლინებას დედამისის სიცოცხლე შეეწირა. იგი ობოლია და მაინც მეფის ასულის შესაფერი განათლება და აღზრდა არგუნა კეთილმა უფროსმა ქურუმმა ქალიშვილს. ამ მიწას ეკუთვნის ფაირე, რადგან დედა მაგისი, სიკვდილის წინ, მადლიერებით და სასოებით იხსენებდა იმ იბერიელ ჭაბუკს, რომლის სიყვარულმა მისი სიცოცხლე შეიწირა.

ფარნავაზი ჩაფიქრდა და კვლავ დააცქერდა ქალიშვილს.

— ერთი კვირის მერე იბერიის დედოფალი თავისი საქალებოთი უფლისციხის თეატრონზე დასასწრებლად წაბრძანდება. იგი პატივად ჩათვლის, თუ მის ამალას ასურასტანიდან ჩამოსული სტუმარიც დაამშვენებს, თავისი მხლებლებით! — გადახედა დედოფალს მეფემ.

— იბერიის მეფის სურვილი აუცილებელი და სავალდებულოა მის ქვეყანაში! — მძიმედ წარმოთქვა დედოფალმა.

დედათა ქურუმმა მადლობა მოახსენა იბერიის მეფეს და დედოფალს და კარისკენ დაიხია.

— არ დაივიწყო მაგ მშვენიერი ასუ-

ლის ხლებაც, როგორც ვატყობ, იგი ძლიერ მოსწონთ იბერ ვაჟკაცებს, ხოლო ქალები ვალდებულნიც კი ვართ მათ ვასიამოვნოთ, — დაადევნა დედოფალმა სიტყვა დედათა ქურუმს. ქურუმი შედგა, ეტყობოდა პასუხის გაცემა სურდა დედოფლისათვის, მაგრამ, როცა ფარნავაზის შეკრულ წარბებს ჰკიდა თვალი, სათქმელი გადაყლაპა და თავაწეული, ამაყად გაემართა გასასვლელისკენ.

* * *

თეატრონის წინა საღამოს ასურასტანელი სტუმრები იბერიის ქურუმთუხუცესმა მიიწვია თავის საცხოვრისში, თავისი ეტლი და მოფარდაგული ურმები აახლა.

მცხეთის ახალი სასახლის ალაყაფთან შემოხვდა ადონი სტუმრებს და, სანამ თავისთან მიიყვანდა, ახალი ტაძრის დათვალიერება შესთავაზა.

— მსხვერპლიც შევწირეთ თქვენებურ წესზე და შენი ქადაგებაც მოვისმინეთ, — მიუგო დედათა ქურუმმა, მაგრამ მაინც სიამოვნებით ვიხილავ იმას, რაიც სიმყუდროვესა და სიმშვიდეში უკეთესი ალსაქმელია.

ტაძრის მეორე მხარეს, მზირას დარბაზიდან გამოსულებმა მათ წინ გადაშლილ მიდამოს გადახედეს და ვერ დაჰფარეს ალტაცება. მართლაც დიდებული სახილველი იყო იბერთა სატახტო...

— ამბობენ, იბერები მომავალ გაზაფხულზე ღვთაებრივი მზის პირველობას დააბრუნებენ ქვეყანაში და მის ბრუნვას მიუსადაგებენ წელთა ათვლასო. — თქვა დედათა ქურუმმა.

— სწორედ ამ მიზნით ავაგეთ ახალი ტაძარი.

— შენს ქადაგებაში კი მხოლოდ შეფარვით ისმოდა მზირას პირველობა.

— ვფიქრობთ, ერთ წელიწადში დავამტკიცოთ და ერს თავად ვათქმევინოთ ის, რაიც ახლა შეშფოთებას გამოიწვევდა.

— იბერები ძლიერ მორწმუნენი არიან, ხოლო ერთი წელი ღვთაებათა პირველობის შესაცვლელად მცირე დროა. ხალხი სასწაულმა უნდა დაარწმუნოს. ამბობენ, უძველეს დროში [illegible] სწორედ ასე მიუღიათ ღამის მნათობის რწმენა. მთვარის მოციქული გამოცხადებია და ამ ღვთაების უპირატესობა უქადაგნია ერისთვის.

ადონნს არმაზი მოაგონდა და მთის წვერს ახედა.

— თუ იბერთა ანბანი ღვთაების ნების გამოხატულებაა და არა ადამიანის ნაცოდვილარი, კიდეც უნდა მოავლინოს ყველა ხალხების უმაღლესმა ღვთაებამ, სამყაროს შემოქმედმა, თქვენს მიწაზე მზირას მოციქული. როგორც გამიგონია, ასეთად მონათლული ჭაბუკი უკვე დააბიჯებს იბერიის მიწაზე. იგი ერთხელ უკვე ყოფილა შეწირული და სწორედ მზირას მორწმუნეს დაუხსნია წყალთა ღვთაებისაგან, მერე ანტიოქიაში და ინდოეთში უცხოვრია ჭაბუკს, სადაც ცეცხლის დამორჩილება უსწავლია. როცა იბერიის მიწას ჩაეშენება, იგი გაცივებული მნათობის საიდუმლოსაც შეითვისებს და მის გულში დაივანებს, მერე ეთერში განიფინება მისი სული, რათა ოთხივე საწყისგამოვლილმა თავისი კუთვნილი ადგილი დაიჭიროს ცათა სამეფოში. — დინჯად საუბრობდა დედათა ქურუმი.

ადონი სასახლისკენ ჩამავალ გზას დაადგა, არაფერი უპასუხა სტუმარს.

— ამას იმიტომ ვიჩემებ, რომ განგების ნება ასე ახსნეს ჩემმა მისნებმა, ხოლო ისინი ყველაზე უკეთ იგებენ დიდი დედის საიდუმლოს.

— სევდა შემომერევა ხოლმე არმაზის გამო. თანდათან ვრწმუნდები, რომ მალე დამტოვებს ჩემი გაზრდილი. ჩემი თავი თუ მეცოდება უმისოდ, — გამოუტყდა ადონი.

— ასე იქნება. გწამთ იმისა, რომ სხეული სულის საპყრობილეა და მაინც ტირით, როცა ამ საპყრობილეს სცილდება იგი. დასტირით იმას, რაც უნდა გიხაროდეთ. ამიტომაც არ მჯერა მე პითაგორელთა მოძღვრებისა, ერთის მხრივ სხეულებრივის სიდიადეს რომ

ამტკიცებს, ხოლო მეორეს მხრივ თავად ქადაგებს მის უკეთურებაზე. და თუ სხეული საპყრობილეა სულისა, მაშ რად მოაქცია კეთილმა და დიადმა ღვთაებამ უკვდავი სული უვარგის სხეულში? ჩვენი მოძღვრებისა კი იმიტომ მწამს, რომ იგი სულისა და სხეულის ჰარმონიას ეტრფის და ვფიქრობ, უფრო ახლოს დგას კიდეც ჭეშმარიტებასთან. ხორცი კი არ უნდა დაჰგმო და გვემო, არამედ სიყვარულითა და მოქმედებით ამაღლო — ისიც ხომ მართალია, რომ ხშირად ხორცი აცხადებს სულის მოძრაობას?

— ეს ვარდისფერი ქალი ცუდ წინათგრძნობას მიღვიძებს, მეჩვენება უკეთურის მიერ სამაგიეროს გადასახდელადაა გამოგზავნილი. — თქვა ადონმა და ფაირეს გახედა.

— იგი კეთილია და ძლიერი, ხოლო უდანაშაულოს სამაგიეროს გადახდისა არ უნდა ეშინოდეს.

— ძლიერ ჩამოჰგავს იბერიის მეფეს თვალთაგაწყობით და თავისდაჭერით, ღიმილიც მისებური აქვს.

— განა იბერიაში უკვირთ, როცა ქალიშვილი თავის მამას ჰგავს? — ჩაიღიმილა დედათა ქურუმმა.

— გულღვარძლიანი ყოფილა ანტიოქიის წინანდელი დედოფალი. სურს იბერთა მეფე შეაშფოთოს და მისი დიდებულება დაამდაბლოს! — ნაბიჯი შეანელა ადონმა.

— განა მამას ქალიშვილის გამოჩენა ამდაბლებს?

— მეფე იბერიისა ღვთაების სიმაღლემდე აიყვანა ხალხმა, ასე მგონია, ახალგაზრდული ცოდვა ფარნავაზისა, რომელიც ასეთი მშვენიერი ასულის სახით გამჟღავნდება, ჩრდილს მიაყენებს მის დიდებას. იბერები წმინდად ვიცავთ მამა-შვილობის ღვთაებრივ გრძნობას.

— არავინ ცდილობს ფარნავაზის საიდუმლო გაამჟღავნოს, თვით ფაირემაც არ იცის თავისი წარმომავლობა. შენც კარგად იცი, მის მერე არ უხილავს ირე ფარნავაზს, რაც საქურუმოში გავიყოლიე, ასე, რომ მან არც იცოდა თუ ფეხმძიმედ იყო ქალი. ეგრისის მთავარს რომ არ დაეჩემებინა, არც წავიყვანდი ირეს. მერე ძლიერაც ვინანე. მისი სიყვარულის წინაშე ყველაფერი უსუსური ჩანდა, თვით ჩემი ჩაგონებებიც. სძულდა სამყარო უფარნავაზოდ და ამიტომაც ბედნიერი შეეგება სიკვდილს. თუმცა კი სიკეთისთვის ილვწის ეგრისის მთავარი ქუჯი, მაინც ცოდვა დაჰყვება მის ნამოქმედარს რატომღაც.

ადონის საცხოვრისს, ახალი სასახლის პირველ სართულზე მარჯვენა მხარის სამი დიდი დარბაზი ეჭირა. ყველაზე დიდ დარბაზს იბერიის ქურუმთუხუცესი თავისად არ თვლიდა, რადგან მასში დიდი წიგნთსაცავი ჰქონდა მოწყობილი და ეს სიმდიდრე ქვეყნის საკუთრებად მიაჩნდა. დედათა ქურუმმა ყურადღებით დაათვალიერა ეტრატები, პაპირუსები, თიხის ფილები და ხის ოთხკუთხედი თხელი ფიცრები, უძველესი და ახალი, იბერიულ და მრავალ უცხო ენაზე დაწერილი წიგნები.

— გასულ შემოდგომაზე მეგვიპტელი ქურუმისგან საჩუქრად მივიღე აი, ეს წიგნი, მასში მათი ისტორია და წელთაღრიცხვის წესია აღწერილი, — თქვა ადონმა და სათუთად დახვეული პაპირუსი აჩვენა სტუმარს.

— დიდი ხნის წინ იწამეს მეგვიპტელებმა მზის ძალა, ოღონდ რთული იყო მათი მოძღვრების მიხედვით დროის საიდუმლოს ათვლა.

დედათა ქურუმმა ფაირეს მოუხმო, რათა მასთან ერთად ადონის სამუშაო ოთახში შესულიყო. ფაირე შორიახლო გაჩერდა, ადონს თვალი გაუსწორა და თავის მოძღვარს მიმართა:

— მეგონა, მეც დამითხოვდი სხვებთან ერთად, რადგან ვგრძნობ, არ მოვეწონე ჩვენს დღევანდელ მასპინძელს. უსიამოვნო სტუმარი ცუდი ასატანია.

— შენმა სილამაზემ შემაშფოთა. ისიც კი ვიფიქრე, კარგს არაფერს მოგვიტანს მისი ჩამოსვლა-მეთქი, — გამოტყდა ადონი. — იქნებ შევცდი. შენმა პირდა-

პირობამ და გულწრფელობამ შენი თავი მომაწონა კიდეც.

— ცუდი რა უნდა მოვიტანო იმ ქვეყანაში, რომელიც უნახავადაც მიყვარდა, ჩემი უფროსი ქურუმისა და ჩემი მოძღვრის გამო? — შეკრთა ფაირე.

— შემეშინდა, იბერ ჭაბუკებს შენ გამო სისხლი არ დაელვარათ. შენი სილამაზე ამის საშიშროებას ბადებს.

დედათა ქურუმმა თვალი აარიდა ადონს. უხეიროდ ცრუობდა იბერიის ბრძენკაცი, ეტყობოდა, გაუწაფავი რომ იყო ამ საქმეში.

ადონმა თავისი სამუშაო ოთახის კარი გამოხსნა და კიდეც შემოვიდა ბიბლიოთეკაში არმაზი. ამაყი, შემართული, შეჭაღარავებული თმა-წვერით დამშვენებული, ღვთაებრივი სრულყოფილებით სავსე.

იბერიის ქურუმთუხუცესის სტუმრები რომ დაინახა, შედგა.

— ჩემი შვილიშვილი და იბერიის მეფე ფარნავაზის ძმადნაფიცი არმაზი, — გამოაცხადა ადონმა.

არმაზმა თავი დაუკრა სტუმრებს, — საღამოს გნახავო, — დაუბარა ადონს და გასასვლელისკენ გაემართა.

ფაირემ თვალი გააყოლა არმაზის ზურგს და სასომიხდილი ჩაიკეცა.

როცა ცოტა ხნის მერე თვალი გაახილა და თვალებით არმაზის მზერას შეეფეთა, უმწეოდ გაიღიმა და მისკენ დახრილ დედათა ქურუმს უთხრა:

— ამაოდ არ ვილტვოდი იბერიისკენ. ჩემი სიზმრები უნდა ახდენილიყო თურმე ამ ქვეყანაში, სწორედ ის არის, ვისკენაც სიყვარულის ქალღმერთი მიმანიშნებდა სიზმრებში... — სთქვა და კვლავ დახუჭა თვალი.

უსიამოდ შეშფოთებულმა ადონმა კარისკენ მძიმედ მიმავალ არმაზს თვალი გააყოლა.

* * *

ფაირეს იმედი ჰქონდა, უფლისციხეში წარმოდგენას არმაზიც დაესწრებოდა და დილიდანვე შეუდგა სამზადისს, ხოლო როცა გამოწყობილი სასტუმროსავანის კიბეებზე დაეშვა, მისმა მხლებელმა ქალებმაც კი ალტაცება გამოფარეს.

ბიბლიოთეკა

ალისფერი, გულამოღებული მოკლე ქიტონი ემოსა ფაირეს. ალისფერივე უძიროები უმშვენებდა ჩამოქნილ ფეხებს. სპილოს ძვლის ყელსაბამი და სამაჯურები მისი კანის ფერს ირეკლავდა. გვირგვინად დადგმულ ჩალისფერ თმას ფირუზისთვლიანი ოქროს დიადემა იმაგრებდა. მისი მზერა სიცოცხლის მზერას ჰგავდა, ხოლო ღიმება — გაზაფხულის ნათელ დღეს.

მათთვის მორთმეულ ეტლში რომ ჯდებოდნენ, დედათა ქურუმმა ფაირე შეათვალიერა და გაიფიქრა:

— თუ ამ ქალიშვილმაც ისეთივე თავგანწირული სიყვარული იცის, როგორც დედამისმა, ტყუილად არ შეშფოთებულა იბერიის ბრძენკაცი. როგორმე უნდა მოვახერხო ფარნავაზთან დროულად შეხვედრა და მალევე გავარიდო მცხეთას ფაირე.

— ვხედავ, უსაფუძვლოდ არ იჩემებენ იბერები, როცა ამბობენ, უმაღლესმა თავისი საგარაკო ადგილი დაგვითმო საცხოვრისადო, — დინჯად გაესაუბრა დედათა ქურუმი იბერიის მხატვართუხუცესს, რომელსაც მათი თეატრში ხლება დაავალა მეფემ, და კვლავ სივრცეს მიაპყრო მზერა.

— ხალხიც ლამაზი და ახოვანია. — გაეპასუხა ფაირე, — სწორედ რომ ბუნების შესაფერისად ლამაზი და ახოვანი.

— ქალებიც პირმშვენიერნი და ნატიფნი. — დაეთანხმა დედათა ქურუმი. — ამბობენ, ყველაზე ლამაზნი მაინც პონტოს სიახლოვეს მცხოვრები ქალები არიანო, — ვაჟიკას მიუბრუნდა დედათა ქურუმი, — ხოლო უმშვენიერესი მათ შორის, ქვეყნის უპირველესი ვაჟკაცის სიყვარულით და თაყვანისცემით სარგებლობსო.

— ყოველ იბერიელ ქალს თავისებური მშვენება ახლავს, ხოლო ყურმოკრულის გამეორებას იბერები ძლიერ ვერიდებით, რათა არ შევურაცხვყოთ

ეგი, ვისაც პატივს ვცემთ. — თვალი გასწორა დედათა ქურუმს ვაჟიკამ.

უფლისციხეში მისვლამდე ხმა არ ამოუღიათ არც სტუმრებს და არც მასპინძელს.

აზონის მიერ გადამწვარი და დანგრეული უფლისციხის თეატრი ფარნავაზმა თავისი მეფობის პირველ წლებშივე აღადგინა, ხოლო უფრო მოგვიანებით ვაჟიკას თავის გემოვნებაზე გადააკეთებინა. გააფართოვა, ხუთიოდე რიგი მოამატებინა, ქვისავე საჩირაღდნეები გამოაკვეთინა, სცენას სამსახიობო ოთახი მიუმატა და რიგებს შორის ორი გასასვლელი გაჭრა. ქვის სავარძლებზე და კიბეებზე დასაფენი ხალიჩები სპარსეთში შეიძინა, სცენას ირგვლივ სპილენძის რკალი შემოავლო და სპილენძისვე მაღალი სასანთლეები ჩამოარიგა მაყურებლის დასაჯდომების ირგვლივ. საჩირაღდნეებში გამუდმებით ენთო ცეცხლი, რომელიც ირგვლივ კედრის სურნელებას აფრქვევდა; ხოლო ცვილის სანთლებს წარმოდგენის დაწყების წინ აქრობდნენ.

თეატრონის ჩრდილოეთ კუთხეში, განცალკევებულად იყო გამოკვეთილი მეფისა და დედოფლის, მთავარსარდლისა და მისი მეუღლის სავარძლები, მათ უკან კი სეფეწულთა და მეფის ახლობელთა დასადგომი ადგილი იყო გამოყოფილი.

სანახაობა ორ მოქმედებად იმართებოდა. თავდაპირველად ამბავი უნდა გათამაშებულიყო, ხოლო მეორე ნაწილში — მელექსეთა და მომღერალთა შეჯიბრი.

მეფის სახლობა თეატრონს წელიწადში ორჯერ ესტუმრებოდა: გაზაფხულზე, მცხეთობის დღესასწაულის ბოლო დღეს და შემოდგომით, მოსავლის ზეიმის დღეს. გაზაფხულზე ტრაგედიის სრულდებოდა, უმეტესად უფლოსისა და ჯავახოსის თავგადასავალს რომ უოცხლებდა მაყურებელს, ხოლო შემოდგომაზე — კომედიური თამაში იმართებოდა და ახლადდაწურული ღვინოც ისმებოდა წარმოდგენის დროს.

დანარჩენ დროს თეატრონს ადგილობრივი მკვიდრები და იბერიაში ჩამოსული სტუმრები ესწრებოდნენ.

დედათა ქურუმი, ფაირე და ვაჟიკა წითელი ხალიჩით დაფენილ კიბეზე დაეშვნენ და მესამე რიგში, მეფის სტუმრებისთვის განკუთვნილ სავარძლებში მოთავსდნენ.

უცხო თვალი უმალვე შეამჩნევდა, რომ დღეს ამ თეატრონში მოსული ხალხი ერთმანეთის მეგობრები, ახლობლები, ნათესავები, კარგი ნაცნობები ან მეფის სტუმრები იყვნენ. ფაირემ მაყურებელი მოათვალიერა და გული დაწყდა, არმაზს რომ ვერ მოჰკრა თვალი.

სიცოცხლის მომნიჭებელი ღვთაების მრავალხმიან საგალობელს შემოჰყვა იბერიის ძლევამოსილი მეფე. ორიოდ ნაბიჯზე ქვეყნის მთავარსარდალი მოჰყვებოდა. ფარნავაზს ოქროს გვირგვინი და მეწამული სამეფო მოსასხამი ამშვენებდა, ხოლო ლენეს — იბერიული დიდებულის სამხედრო სამოსი — ოქროსფერი, მოკლე კვართი და წვივზე ამობნეული უძიროები; ოქროს ქამარზე ძვირფასი ქვებით მოჭედილი ხანჯალი ჰქონდა მიმაგრებული.

მაყურებელი ფეხზე წამოუდგა და თაყვანი სცა თავის მბრძანებელს. ფარნავაზი ღიმილით მიესალმა ხალხს და სავარძელში ჩაეშვა. გვერდით მიდგა იბერიის მთავარსარდალი, რათა დედოფლისთვის თაყვანი ეცა. თეთრი, სადედოფლო სამოსელი, მკერდზე ოქრომკედით რომ იყო ამოქარგული, დედოფლის ტანის სრულ ნაკვთებს უფრო აჩენდა. მთავარსარდალმა დედოფალი სავარძლამდე მიაცილა და კვლავ კარებს მიაპყრო მზერა, რათა ახლა თანამეცხედრეს შეგებებოდა.

იბერიის მთების ლორთქო სიმწვანე გადასულიყო ლამზირას კაბაში. ფართოდ გახელილ თვალებში იბერიული ცის სიღრმე და უსასრულობა ედგა, იბერიული ვარდის ფერი დაჰფენოდა მომღიმარ ბაგეს.

მეფის წინ თავი დახარა მთავარსარდლის ცოლმა. ფეხზე წამოუდგა ფარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავაზი. მოეჩვენა, ისევ ის ტკივილი იწვა ლამზირას თვალებში, ისევ ის, ორივესათვის ახლობელი და მოურჩენელი ტკივილი.

— რა ლამაზია! — წაიჩურჩულა ფაირემ. — აი, თურმე რას ეწოდება ნამდვილი მშვენიერება!

— მისი შემხედვარე კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ განუზომელია ბუნების ნიჭი და შემოქმედის ხელოვნება! -- დაუდასტურა დედათა ქურუმმა და გაიფიქრა: ახლა არ მიკვირს, თუ რატომ იყო იბერიის უპირველესი ვაჟკაცი სიყვარულში მერყევი და რატომ მიივიწყა სილამაზითა და დიდებით აღმატებული ჩვენი დედოფალი, ასე იოლად.

წარმოდგენა დაიწყო, მაგრამ ვაჟიკა ლამზირას ვერ აცილებდა თვალს. თავისი, არმაზის და ფარნავაზის ახალგაზრდობა აგონდებოდა. გული წყდებოდა, მთაში ამოსული ეს უცხო ყვავილი ლენეს რომ არგუნა ბედმა მოსაწყვეტად.

თითქოს მიუხვდა ფიქრს მინდვრის დედოფალი, მისკენ მოიხედა, გაუღიმა, გაბედნიერება თუ მიულოცა თანშეზრდილს და მერე მის უკან, გასასვლელისკენ გადაიტანა მზერა. მიხვდა ვაჟიკა, რომ იქ არმაზი იდგა. ფაირემაც გააყოლა თვალი ლამზირას მზერას და დაინახა მისი სიზმრების გმირი. როგორი სევდით, დანანებით, სიყვარულით და სასოებით უმზერდა იგი ლამზირას.

— მოვკლავ! — წაიჩურჩულა ფაირემ და დედათა ქურუმი შეაკრთო ამ ჩურჩულმა. — იმას, ვინც წინ გადამეღობება! — დაასრულა აზრი ქალიშვილმა.

წარმოდგენა გრძელდებოდა. ფაირე სულმოუთქმელად ელოდა მის დამთავრებას. იმედი ჰქონდა, ამჯერად მაინც შეხვდებოდა თავისი სიზმრების გმირს.

ხოლო არმაზი ჩქარი ნაბიჯით სცილდებოდა უფლისციხეს, ტყის სიღრმისკენ მიისწრაფვოდა, რათა ლამზირას ხილვით აფორიაქებული სული დაეწყნარებინა.

* * *

ის იყო უფლისციხის თეატრონისკენ მიმავალი ხალხის ჟრიამული მიწყდა, რომ ადონს მსახურმა ვაჩეს მოსვლა აუწყა. სკამლოგინიდან მძიმედ წამოდგა ადონი და კარებში შეეგება მეგობარს.

მოტეხილი ეჩვენა ვაჩეს იბერიის ქურუმთუხუცესი.

— შვიდი ათეული წლის მერე ყოველი დღე თითო ნაოჭს უმატებს ადამიანს და მის ხერხემალსაც მიწისკენ რკალავს. — გაიცინა ადონმა. — მხოლოდ მთაში მცხოვრებზე არ მოქმედებს ეს კანონი, როგორც ვხედავ. სიმართლე თუ გინდა, ხალხის გაუთავებელმა ფუსფუსმა დამღალა ზეიმის დღეებში, თუმც კი უფრო მეტს ვშრომობდი სკოლაში, ალბათ სიმშვიდისა და სიმყუდროვის წყალობით მაინც არ ვიღლებოდი ასე ძალიან. — დაუმატა, როცა სტუმარს სავარძელი შესთავაზა.

— მეც ვერ ვეგუები ქალაქის ჩქარ ცხოვრებას და მეც სიბერეს ვაბრალი ამას, ხოლო ანათა ჩამორჩენილს მეძახის. ვერ გაუგია, რომ მიჭირს ცხოვრების წესის შეცვლა და ჩემი საყვარელი მთის დატოვება. — თქვა ვაჩემ.

— მითხრეს, ანათა ჩამოსულა სატახტოში. ველოდი. მეგონა მომინახულებდა.

— სამი დღეა ძველ სასახლეშია უკვე. როგორც მისი ლაპარაკიდან გავიგე, ფარნავაზის სატრფოს წაყვანას აპირებს არაგვისპირში. მეც მიხმობს, დროებით მაინც გაჩერდი საკუთარ სახლშიო, მაგრამ უარი უნდა ვუთხრა. არ ეგების ახლა ჩემი მთიდან წამოსვლა. ძლიერ მღელვარებენ მთიელები. ანათასაც ვერ ვეუბნები ყველაფერს. ამიტომაც შენკენ გამოვეშურე.

— მთიელებს დიდი უფლებები და თავისუფლება დაუტოვა ფარნავაზმა, ამან ხომ არ გაათამამა ისინი? — სახე მოეღრუბლა ადონს.

— ერთხანს ღვთაებათა პირველობის

გამო მღელვარებდა თავხევისბერი. ახლა ანბანის გამო ჰყრის ცოფებს. იცი შენ, მთას სიტყვა ღვთიურად რომ მიაჩნია და მისი ანბანში მოქცევა მკრეხელობად, ღვთაების შეპყრობად. დურძუკიიდან და ჰერეთიდან გადმოსულ უცხო ხალხს ვხედავ, ამ ბოლო დროს, თავხევისბერის სადგომის წინ. ამბობენ დიდი მთვარობის დღეს ხალხს უხმობს ხევის მეთაურიო. ვინძლო ბოროტი არ მოჰყვეს ამ ხმას. სიახლის მოძულეა თავხევისბერი, მეშინია არ აამხედროს მთა, მოუთმენელი საქმე არ ჩაადენინოს და ძმათა სისხლი არ დააღვრევინოს ფარნავაზს.

თავი ასწია ადონმა.

— სამთვიან განმარტოებას ვაპირებდი. რას მეტყვი, მთაში რომ წამოვიდე?

— გამეხარდება. მეფის სახლი და შენი დარბაზი ხელშეუხებლად დგას და თავის პატრონებს ელოდება. — წამოიწია ვაჩე.

— მეც მომენატრა იქაურობა. შენი სიტყვების სისწორესაც შევამოწმებ, მთისთვის სამეთაურო კაცსაც შევარჩევ და ფეხითაც დავივლი მივიწყებულ ადგილებს. ხოლო განმარტოების მერეც მოვესწრები... — უცნაურად აჩქარდა ბრძენკაცი. ძლიერ გაგვიტაცა ბარის შენებამ და ქვეყნის ერთი კედელი რომ გაგვბზარვია, ვერ შევამჩნიეთ. ჩემი ბრალიცაა, ვერ გავიმეტე დასასჯელად მთიელნი, როცა საომრად გაყოლაზე უარი შემოუთვალეს მეფეს და ვთხოვე, დაუთმე იქ გატარებული შენი ახალგაზრდული წლების გამო-მეთქი. მაშინ განაწყენებული ლენე ჯერაც არ შემომრიგებია ხეირიანად, ხოლო მეფემ უარი ვერ მაკადრა და დამითმო. ამასწინეებზე ის მითხრა მხოლოდ, რომ არ მოსწონს ხევის დღევანდელი მეთაური. მისი შემცვლელი მოსაძებნიაო.

— არმაზს ესაუბრა ალბათ, — [illegible]თქვა ვაჩემ და არმაზის [illegible]რი გაქრობა გაიხსენა.

ადონმე უსმინა მონათხრობს და მიუგო...

— ვისთან საუბრის გამო გამოთქვა ფარნავაზმა ეს აზრი, არ ვიცი. ერთი კი ცხადია, ჩემზე უკეთ სცოდნია მეფეს მთის ამბავი და მაინც დაუჯერებია ჩემთვის, ეტყობა თვითონაც ვერ გაიმეტა მთიელნი.

— როდის აპირებ მთაში ამოსვლას? — შეეკითხა ვაჩე, როცა საუბარი დამთავრებულად ჩათვალა.

— თუ ამიმგზავრებ, ერთ საათში გავუდგეთ გზას.

— უფარნავაზოდ?

— მეფე მიხვდება ჩემს განზრახვას. იქნებ იმიტომაც მიხსენა თავხევისბერი, რომ ჩემგან მოელოდა მოქმედებას? ახლა ხომ ხედავ, ვაჩე, რომ დავბერდი და ნათქვამსაც ცუდად ვიგებ თურმე?

— შენ რა იცოდი! — ეცადა ვაჩე მეგობრის გამართლებას.

— უნდა მცოდნოდა. კარგა ხანია მთხოვს მეფე მცხეთაში გადმოსვლას, მე კი ჩემი გამოზრდილი ბარტყების მიტოვება დამენანა და საქვეყნო საქმე მთლიანად ავიცილე თავიდან. როდის აპირებს ანათა გამგზავრებას:

— მე დამელოდება და არაგვისპირამდე ერთად ვივლით, — უპასუხა ვაჩემ, — გაიხარებს, ძლიერ, შენი ნახვით! — დაუმატა და სამგზავროდ აწრიალებულ ადონის მსახურს გააყოლა თვალი.

იმ ღამით მცხეთის ძველი სასახლიდან ორი მანდილოსანი გამოვიდა უჩინრად და მისკენ მიმავალ ადონსა და ვაჩეს აემგზავრა.

გულამოსკვნილი ტიროდა ტაატით მიმავალ ურემზე ანათას მკერდზე თავმიდებული იათა.

□დასასრული იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**რევაზ თვარაძე**

# ლექსები

ერთმა მეგობარმა და მე, სენ-ჟონ პერსის მაგალითით მოხიბლულებმა, ფიცი დავდეთ — ვიდრე სამოცი წლისანი არ შევიქნებით, ჩვენი ლექსები არ გამოვაქვეყნოთო. ჭაბუკნი ვიყავით და თავი უკვდავი გვეგონა, ის არ გვაეჭვებდა, სამოც წლამდე გვეწერა თუ არა სიცოცხლე, არც იმაში გვეპარებოდა ეჭვი, დაბეჭდვის ღირსი რომ იქნებოდა ჩვენი ლექსები.

ჩემმა მეგობარმა საღმრთო ფიცი გატეხა — სამოცს ბევრი არაფერი უკლდა, ლექსთა ის მშვენიერი წიგნი გამოსცა, რომელსაც „მზებუდობა" აწერია სათაურად. მე სიტყვა შევასრულე, ოღონდ იმის მეოხებით კი არა, რომ უფრო პირმტკიცე გამოვდექი, იმის წყალობით შევასრულე, ადრევე მივხვდი — ჩემგან პოეტი არ გამოვიდა-მეთქი.

ასე რომ ამ ლექსთა ბეჭდვას პოეტობის პრეტენზიად ნურავინ ჩამითვლის. ეს ლექსები არ გახლავთ, დღიურებია მხოლოდ და მხოლოდ — ადრეული სიჭაბუკიდან ორმოცი წლის ასაკამდე ჩაწერილი. დღიურს კი, მოგეხსენებათ, ერთი თვისება აქვს: შესაძლოა მხოლოდ ავტორისათვის არ აღმოჩნდეს თავშესაქცევად საკითხავი.

## სიცივე

ხეები ირხევა.
დაბინდდა. აცივდა,
ჩემთვის არც ხალხია,
არც გზა, არც საგანი.
ქუჩა შექანდება
ნასვამი კაცივით,
თითქოს სადგურია
და თითქოს ბაქანი.

მინდა დავივიწყო
რაც რა მიფიქრია,
ისიც — რომ მიყვარდი,
მზეს რომ გადარებდი.
გული დავიმშვიდო,
ხელი ჩავიქნიო
და შორს გავემგზავრო
ჩქარი მატარებლით.

1952

## ღრუბლიანი დღე სამსახურში

ამ შენობაშიაც დამცხრალა ხმაური,
წაშლილა სიცოცხლის კვალი.
შორი ღრუბლებიდან ფერით უცნაურით
ჩამოდგა ამინდი მკრთალი.

ამ ფერით ღრუბელმა კედლები შემოსა.
საოცარს ვიხილავ მგონი:
ისევ მოიგონებს — სხვას ვის უშენოსა —
ამ უკუნეთიდან გონი.

1953

## იქნებ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაუღიმე წარსულს მოოქროვილ დღეთა,
თქვი, რომ სიზმარია მაინც.
დავარდნილი მიწად ხომ ველარას ხედავ,
რაც იყო და არის რაიც.

დაივიწყე, შენ ხომ დაივიწყება გინდა.
გენატრება მცირე ჩრდილი...
იქნებ ავსებულმა დიდი სინათლითა
გაიღვიძო როსმე დილით.

1953

* * *

გახსოვს, მეგობარო, პირი მდინარისა
განვიცადეთ ორთა ძველად,
რომ ვიტყოდით: კმარა,
დასცხერ, ვინ არ იცის —
სიზმარია ესე ყველა.

მოგონება, ყოფნა — სიზმარეულ ითქვა
(უცნაური იყო დილა).
ჩვენ მოვხვეტეთ პეშვით — გართობად და სიტყვად —
წყლისპირს გაბნეული სილა.
და ვუმზერდით: პეშვი ქარმორეულს ჰგავდა,
მისცურავდა როგორ ფრთხილად —
თვალთა წინა, წამით, შეუმჩნეველ თვალთა
განიბნია კვლავად სილა.

თვალთა წინა, წამით, შეუმჩნეველ თვალთა —
დღეებია ჩვენი თითქო...
და თვალებში, ჩვენთა მოგონებათ გარდა,
საშინელი აზრი იდგა.

1953

## უცნობისადმი

მე მსურს, მეგობარო, ფერთა შეხამებად
მოგმართო უცნობ მგზავრს:
გახსოვს ის ცისკარი და ის შეღამება,
ერთად რომ ვიდოდით გზად?

ეხლა რომ ქუჩაში ზრუნვამრავალს გხედავ,
სად იყავ, გიპოვნე რით?
მომყევ, დავივიწყოთ დღევანდელი დღე და
დავთვრეთ ამ მარადი დღით!

ერთურთს ანთებული სიტყვა გაუგონოთ,
სულს რომ ალტაცებით რთავს...
ვაგლახ, ჩაგიქრია მზერა საუკუნო,
ველარ მცნობ საკუთარ თავს.

1957

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქუჩა მაღლიდან

გადევლო ჩრდილი გარინდულ ქუჩას,
ეხლა გაჰქრება ირგვლივ ყოველი
და იქ, შორეთში ჩაგრჩება ყუჩად
ფიქრი — ამ დღისთვის გამოთხოვილი.

ხოლო შორს უფრო — სადაც დუმილით
თურმე მბორგავი ქუჩა ხმიანებს —
ჩანხარ ჩრდილივით — ხვდები, ულიმი
და ემალები ადამიანებს.

1960

* * *

მაშინ შეძრწუნდა სული შენი,
ბნელსა და ნათელ სივრცეებში მიმომქროლავი
შეძრწუნდა სული,
რამეთუ
არსად იყო ნათელი, ალარცა ბნელი,
არსად სივრცე — საზღვარი ან უსაზღვრობა,
არც ყოფნა, ალარც არყოფნა,
არც სიზმარი,
არცა უფალი
და ალარც თავად სული...
მაშინ შეძრწუნდა სული შენი
და მაშინ შეიცან უდიდესი:
„მეცხრესა ჟამსა
ხმა ჰყო იესო ხმითა დიდითა და თქვა:
— ელოი! ელოი! ლამა საბაქთანი? —
რომელ არს თარგმანებით:
ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!
რაისათვის დამიტევებ მე?“

1961

* * *

გაიშვიათდა წყნარი დღეები,
როცა ღრუბლებით მოგრაგნილ ზეცით
ნეტარებდი წვიმის მომლოდინე,
როცა უჭვრეტდი დაგმანულ სივრცეს
და შეყუჟული. შენშივე მყუდროდ
გონს იუნჯებდი და სიმშვიდით
ტკბებოდი დიდით.
როს გეწვეოდნენ ბო ძიუ-ი და ხოკუსაი.
„მშვიდობიანი სიმღერა დების“,
ნეტარი ხილვა
და მეგობართა ლექსები წრფელი...
გაიშვიათდა წყნარი დღეები,
მსუბუქი სევდით
და სიხარულის მოლოდინით
გაუმხელელი.
გაიშვიათდა წყნარი დღეები.

1961

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

თითოც დავლიოთ, თორემ ფხიზელი
სიცოცხლე სიზმარს დაედარების,
ცოტაც და — წავალთ, დავიკარგებით,
უკვე მოგვესმა რეკვა ზარების.

თითოც შევივსოთ ძმაკაცებს ჭიქა, —
უთქვენოდ დარი არ მედარების,
ეს არის იგი — ყოვლისა მჯობი
დღე სიყვარულის და ნეტარების.

1961

* * *

ისიც კაცია, და თანაც აზრი,
ოღონდ ბეჩავი და პაწაწინა —
ღმერთს ჰყვარებია ხუმრობა მკაცრი
და საკუთარი თავის დაცინვა.

ისიც აზრია, როგორც ყოველი, —
ერთთან ახლოა, თუნდა შორია, —

თავადაც აზრთა ბადის მქსოველი
ფუთფუთებს როგორც ფუნაგორია.
თავს რომ ანაცვლებს ვნებას
უთვალავს —
ისიც ის არის, ისიც აზრია...

. . . . . . .

რა საძნელოა წვდომა, უფალო,
რა სიდიადე და სიმკაცრეა!

1962

* * *

შენ მოგეზმანა — იყო ნამდვილად
მზით დაფენილი ქვაფენილები,
იყო ძმაკაცთა დაუვიწყარი
შეყრა, შენდობა და დაცილება.

იყო ნამდვილად...
თუ არასოდეს
არ არსებულა ის დღე ცისმარი? —
ან ეხლა ხედავ საზარელ სიზმარს,
ან ის ზმანება იყო სიზმარი.

1963

* * *

ქალაქში წვიმს
და ქარის ტალღები
თითქოს აზრებია ველური და დაწეწილი.
შოლტებივით გცემს სახეში წვიმა
და ბნელი ფიქრი:
ნუთუ ალალო უფალმა ხელი ქვეყნიერებას
და დედამიწა მიქანაობს განწირულად
საკუთარ უსასოობას
და სტიქიონთა ველურ თარეშს მინდობილი?

1963

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მოდის ამინდი, როდესაც მყუდროდ
ხამს გავირიყო თავის წინარე,
მივხურო კარი და შევიბუდრო,
და გავალვიძო იგი — მძინარი.

იგი — მძინარი, რომლისაც მუდამ
შორეთს მეჩვენა და არ დამინდო...
მე ველოდები, მე შენი მჯერა,
ჩამომხობილი ღრუბლის ამინდო!

1965

* * *

დასავლეთში ალბათ წვიმს —
ქარი ეძალება...
(ამ ფიქრისთვის ხვალ, ზეგ
აღარც გეცალება).

ვინლა გავა სადგურზე,
ვინლა ეწვალება?..
იმერეთში წვიმს, წვიმს, —
ქარი ეძალება.

1967

* * *

ღამით რომ ქარი ამოვარდა, ვინ იყო შენი —
ძმა, მეგობარი, თუ მიჯნური დაბრუნებული?
მისი წუხილი შიშველ ხეებს ისევე შვენის
და შორ-შორს დამდგარ უჩინარ მთებს ღრუბლად ებურვის.

ღამით რომ ქარი ამოვარდა, მყისვე იცანი —
ის იყო, იგი, ვერთქმული და ვერშესალევი!
კვლავ ძველებურად შეგილეწა გულის ფიცარი
და მერე უმალ მიილია ცეცხლის ალივით.

1967

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გივი ალხაზიშვილი

* * *

მე ვიბადები გაზაფხულზე
და ვკვდები გვიან, შემოდგომისას.
ზამთარი ჩემთვის
უაზრობაში დაკარგული მოლოდინია
და მკვდარი დრო.

მაგრამ როგორც კი
წვეთწვეთობით მატულობს შუქი
და გაზაფხულის სუნთქვა ჰაერს
გააფაქიზებს,
მეც ვივსები ისე თანდათან,
რომ ხმა მეცვლება, მეც ვიცვლები,
ვსხვანაირდები,
სხეულში თითქოს იმდაგვარი ძალა
ტრიალებს,
რომ მიშინია, მეც ხესავით არ
გავიფოთლო.
ბედნიერია თურმე მცენარე,
რასაც განიცდის, რომ ვერ მალავს,
ყვავილებად რომ ამზეურებს.

მე კი გრძნობები უნდა მოვთოკო
და ისევ გულში ჩავიბრუნო
ის ერთი სიტყვა —
ზამთრის მკვდარ სეზონს რომ
გადაურჩა.

ბედნიერია თურმე მცენარე...
ისე ჰყვავის, ფოთოლიც არ უჩანს
ალუბალს,
უმზერ და იცი: ამ ყვავილებით
მიწა გიყურებს.
მე კი გრძნობები უნდა ჩავიკლა
და ისევ გულში ჩავიბრუნო
ის ერთი სიტყვა,
რომელიც ისე მოედება ზოგჯერ მთელ
სხეულს,
რომ დამალვის ძალა არ შემწევს.
აი, მაშინ კი უთქმელი სიტყვა
თვალებიდან გამოიხედავს,
როგორც მიწა ალუბლების
ყვავილებიდან.

* * *

დღე რომ ბავშვივით იზრდება თვალწინ,
მზე რომ უფრო დიდხანს რჩება ჩვენთან,
თოვლი რომ ლღვება და გუბეებს აჩენს,
გუბეები რომ ყველაფერს ირეკლავენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაც ხედავენ,
სწორედ მაშინ, ყოველ გაზაფხულის პირას,
ვილაც შეუმჩნევლად ჩამისახლდება გულში და
მღერის, მღერის, მღერის...

ჩიტების ხმაში სითბო რომ მატულობს,
როცა ახლოა მათი დაწყვილების ჟამი,
ხიდან ხეზე რომ დაფრენენ ჟივილ-ხივილით,
მომეჩვენება, რომ ბგერები, სივრცეებში გაფანტულები,
ჩიტებად იქცნენ, უხილავმა დააფრთიანა.
რა ძალიან ჰგავს მათი ფრენა
აკორდების სივრცეში ლივლივს.

ჰაერი, მიწა, მზე, და წყალი —
ყველა საამო მოლოდინით განაზებულა,
რადგან ახლოა დაწყვილების ჟამი
და სიტყვები ისე ტოვებენ ბაგეებს,
როგორც ფუტკრები ნაზამთრალ სკას
ყვავილების საძებნელად რომ მიბზუიან.

დღე რომ ორიოდ წუთით იზრდება,
მზე რომ ორი წუთით მეტხანს რჩება ჩვენთან,
სწორედ მაშინ, ყოველ გაზაფხულზე,
ვილაც შეუმჩნევლად ჩამისახლდება გულში და
მღერის, მღერის, მღერის...

* * *

რა მსუბუქად ჩაიარეს,
რა ლამაზად ილიმებოდნენ.

წამოჩიტული გოგო-ბიჭები
თამამ-თამამად შორდებიან
ბავშვობას,
ისე თანდათან შორდებიან,
როგორც მენავე ზღვასმინდობილი
შორდება ნაპირს
და როდესაც გამოერკვევა,
ორივე მხარეს ზღვა იქნება
და ჰორიზონტის ლურჯი მარყუჟი.

რა მსუბუქად ჩაიარეს,
რა ლამაზად ილიმებოდნენ,
ჯერ კიდევ ბავშვებს —
ბავშვობიდან წასვლა როგორ
ეჩქარებოდათ.

მე ვგრძნობდი მძაფრად,
სიხარულით განათებულ წუთს
ისეთი სხივი შემოჰყავდა
ჩავლილ წლების ჭუჭრუტანიდან,
როგორიც შენი დანახვისას გამიკრთა
თვალში,
როცა პირველად მოვიმატე ერთი წელი
და ამაყად ვთქვი: თოთხმეტი წლის ვარ.

ჩვენც რა მსუბუქად მივდიოდით,
რა ლამაზად ვილიმებოდით,
და ბავშვობიდან წასვლა როგორ
გვეჩქარებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

რა მინდოდა ამ გზაზე?!
ეს ხომ ბედისწერის გზაა.

მაგრამ სხვა გზებზე
მკვდარი ლექსები იბადებიან.

## სამი ნაწყვეტი ერთი წერილიდან

1.

ალბათ შენც მოგწვდა ქაოსის სუნთქვა,
ვინც უფრო უკეთ ამღვრევს გუბეს
ის მეტად ფასობს.

2.

რა ბედენაა ერთი წვეთი თავისუფლება?!
ის მარტოოდენ მონას ხიბლავს
და შეუგნებელ ბრბოს ახალისებს.

„როცა მარტო ხარ,
შენ მაშინ ხარ თავისუფალი".

3.

ახლა ამ სიტყვებს გარკვევით ვწერ,
რომ შენ უკეთ ამოიკითხო,
ვინ იცის,
იქნებ გადაწერა ვერც კი მოვასწრო?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოგი მაისურაძე

# შ ა ვ ტ უ ხ ა

## მოთხრობა

— თქვენ აქ სამუდამოდ დასახლდებით. — მითხრა კომენდანტმა, პირხმელმა, აყლაყუდა კაპიტანმა, როდესაც ჩემი „საქმე“ გადაათვალიერა.

— სასამართლომ ათი წლით პატიმრობა და ხუთი წლით სამოქალაქო უფლებების ალკვეთა მომისაჯა. სამუდამოდ აქ დარჩენა კი არა.

— დადგენილებით ხუთწლიანი ალკვეთა გაუქმებულია, შეცვლილია სამუდამო დასახლებით... თუ ჩვენი წერილობითი ნებართვის გარეშე ალმოჩნდებით ქალაქგარეთ, ნახვალთ ოცწლიან კატორღაში. ახლა მოაწერეთ ხელი, რომ გამოგეცხადათ ეს დადგენილება.

— მესმის! გასაგებია! დიდად მადლობელი ვარ!

— პირველი: ათ დღეში ერთხელ, ესე იგი, თვეში სამჯერ გამოცხადდებით აქ, კომენდატურაში და ამ დავთარში მოაწერთ ხელს; მეორე: დაიქირავებთ თუ არა ოთახს, მაშინვე უნდა გვაცნობოთ მისამართი; მესამე: სასწრაფოდ უნდა დაიწყოთ მუშაობა, მეოთხე: თუ უცოლო ხართ ან ცოლი გაგეყარათ და თქვენთან საცხოვრებლად არ ჩამოვა, უნდა შეირთოთ სხვა, გასაგებია? სასწრაფოდ!

— ოთახის ან სამუშაოს შოვნა გასაგებია, მაგრამ ცოლის სასწრაფო თხოვა?

— ცოლის თხოვა წესდების ერთ-ერთი მუხლია. თქვენ ადგილზე უნდა დაებათ, აქ სამუდამოდ უნდა იცხოვროთ, უნდა დაოჯახდეთ, დაემკვიდროთ. თუ ავად გახდით და ვერ გამოცხადდით, მაშინ ექიმის ცნობას გამოგვიგზავნით. გასაგებია!

— დიახ, დიახ!.. — ვუპასუხე, ყველაფერი ნათელი და გასაგებია-მეთქი, დავთარში ხელი მოვაწერე, მადლობა მოვახსენე. გამოვედი ბნელ დერეფანში. ტომარაში ჩატენილი ლოგინი მხარზე მოვიგდე, ჩემოდანს დავწვდი და ოთხი საფეხური ავიარე. წამდაუწუმ ვჩერდებოდი, უნებურად ირგვლივ ვიცქირებოდი უნუგეშოდ და იჭვნეულად. ჩრდილო ყაზახეთი ჰავით იგივე ციმბირია და მეც თავი გაციმბირებულად ჩავთვალე. ის დღე უხვთოვლიანი იყო. ბაზარს გვერდი ავუქციე. ვაკვირდებოდი მოქალაქეებს, რომელთა შორის უნდა მეცხოვრა. უპირველესად ბინა უნდა მეპოვნა, დამექირავებინა სულ პატარა ოთახი. ქარხანაში რომ მოვწყობილიყავი, ისეთ სამუშაოზე, რომელსაც ექნებოდა საერთო საცხოვრებელი, ათწლიანი „საერთო საცხოვრებლის“ შემდეგ იქ ველარ გავძლებდი. ჩემთვის ძვირფასი იყო სიმყუდროვე. ამ ფიქრებსა და მოქალაქეთა ჭვრეტაში დაბა-ქალაქის მთავარ მოედანზე გავედი, სასტუმროს რუსულად ეწერა „ვოსტოკი“. ჯიბეები მოვიქექე. სასჯელმოხდილ პატიმარს ბანაკიდან ან ციხიდან გამომგზავრებისას ფული თუ ალმოაჩნდებოდა, არ ართმევდნენ, პირად ანგარიშზე დარჩენილ ფულსაც ხელზე აძლევდნენ. ფული დავითვალე, მომჭირნეობამ დამძალა და უარი ვთქვი რესტორანში სადილობაზე.

რესტორნის გასახდელში ხეიბარმა დიაცმა მიმასწავლა დიასახლისი, ვინც ოთახს აქირავებდა. იმ მისამართით წავედი.

— ბინას ეძებთ?

— დიახ, — ვუპასუხე, როცა ტვირთი თოვლზე დავდე. ერთსართულიან, თეთრად შეფეთქილ სახლის კართან შუახნის ქალი იდგა.

— ვინმემ მოგასწავლათ?

— ზინაიდა ივანოვნა მინდა. „ვოსტოკის“ მეგარდერობემ გამომგზავნა.

— შინ შემოდით, მე ვარ ზინაიდა ივანოვნა.

შევედი დიდ ოთახში. რუსული ღუმელი პი-

რეულად ვნახე, ბევრი კი მსმენოდა... ამბობდნენ, ღუმელი რომ არ ყოფილიყო ხერხემლის გასათბობად, ციმბირული ყინვები აქაურ კაცს გააცვედნებდაო.

— მშვიდობა ამ სახლს! — დავილოცე. დიასახლისმა თავი დამიკრა.

— ეს ოთახი ნახეთ.

— მე მერჩია ოთახს დერეფნიდან ცალკე შესასვლელი ჰქონოდა. — ამ სადიასახლისო დიდი ოთახის გავლა მომერიდებოდა.

— კეთილი, მაქვს ეგეთიც, საკუჭნაოდ ვხმარობ.

— ხომ თბება? ერთი საწოლი და ერთი მაგიდა ხომ დაიდგმება?

— აი, ნახეთ, თბება კიდევაც და სკამლოგინიც დაეტევა.

— ჩემთვის ივარგებს, — შევიხედე, შიგ ეწყო საწოლები, მაგიდა, სკამები და სხვა ნივთები. მე და დიასახლისმა ოთახი დავცალეთ, მან იატაკი მორეცხა. გაშრობას აღარ დაველოდე, დავდგი საწოლი, დავაგე ლოგინი და დავწექი. დაღლილი ვიყავი, მაგრამ მალე არ დამძინებია. ბანაკზე ფიქრს ვიშორებდი და ეს მიქმნიდა უნდობლობის განწყობას, როგორც კი ფიქრით ბანაკში გადავბარგდი, უმალვე ჩამეძინა.. გამოღვიძებულს დერეფნიდან დიასახლისისა და, როგორც შემდეგ გავიგე, მისი ასულის ლაპარაკი შემომესმა.

— პატიმრობიდან გამოსულმა წინასწარ ორი თვის ქირა საიდან უნდა გადაგიხადოს: მოგცა? მაშინ ერთი თვისა მაინც დაუბრუნე საარსებოდ.

— ასე ვიზამ. ცუდი ხომ არ მიქნია, კედელს იქით კაცი მაინც იქნება.

* * *

— თქვენ იქიდანა ხართ?

— იქიდან, იქიდან... თქვენც?

— მე აქ სამუდამოდ დასასახლებლად „სტეპბანაკიდან" ჩამომიყვანეს, — ასე უწოდებენ ერთ-ერთ განსაკუთრებულ სპეცბანაკს, ამის გარდა იყო კიდევ „მდელობანაკი", „ქვიშობბანაკი" და სხვა.

— მეც მეორე წელია სტეპბანაკიდან ჩამომიყვანეს. კინგირში ვიყავი. გაგეგონებათ, იქ მამაკაცები და ქალები ერთად არიან. უფრო სწორად, ერთად ვიყავით მავთულხლართს გადაღმა-გადმოღმა, კაცები ახერხებდნენ ამ წინააღმდეგობის გადმოლახვას, მერმე კი შუაში დიდი კედელი აგვიშენეს, დაგვნომრეს და ჩაგვკეტეს. ჟესკაზგანიდანა ხართ?

— დიახ! მაშ, ერთმანეთი გავიცნოთ?

— ოლღა მქვია.

მე ვუთხარი ჩემი სახელი.

— ჩვენთან ქალები არც კედლის გადაღმა არ ყოფილან. ჩვენ თქვენი კაცების გვშურდა... თქვენც გეყოლებოდათ კაცი, ასე არაა?

ოლღამ გაიღიმა, დასძინა:

— იქ ყველას ჰყავდა [illegible]

— მით უმეტეს თქვენც [illegible] ჰყავდათ. ასეთ მშვენიერ ქალს.

— ვერ გაიგებდით ვისი ქალი იყო ლამაზი და ვისი კაცი. ბანაკში რომ მიმიყვანეს, მავთულხლართები მცირეხანს-ღა იყო. სასიყვარულო წერილებს ვწერდით, სახით ერთმანეთს არცკი ვიცნობდით. ვინმეს თუ დავახატვინებდით სურათს, მაგრამ სურათი ყოველთვის უფრო ლამაზია და არასოდეს არა ჰგავს პატრონს. მხატვრები ამით საჭმელს შოულობდნენ. კედლის აშენებამდე მაინც სხვა იყო, ძველები ერთმანეთთან დადიოდნენ... დიდი ვაჟკაცობა უნდოდა იმ კედელზე გადმოსვლას. ვისაც იჭერდნენ, დილეგში სვამდნენ. იმ კედლის თავზე ჯერ ეკლიანი მავთული გაავლეს, მერმე დენი გაუშვეს.

— ვინც გადმოლახავდა კედელს, აღწევდა კი წერილებით გამიჯნურებულ ქალთან, თუ სხვას გადააწყდებოდა?

— დღისით კედელზე გადმოსვლა შეუძლებელი იყო. ღამით კი შინამოსამსახურეთა გარდა, ყველანი ბარაკებში იკეტებოდნენ, ამიტომ ცდილობდნენ, შინამოსამსახურე ქალებს და კაცებს ერთმანეთთან წინასწარ მიმოწერა გაებათ. ღამით ბაგვების საშრობში, საპურეში, სამზარეულოში მცირე სასჯელდარჩენილებს ამუშავებდნენ.

— კი, ასე იყო კაცთა ბანაკშიც.

— ასე იყო. ჯაფისგან დაოსებულ ქალებსა და კაცებს საოცნებოდ წერილობითი ტრფიალი შეეძლოთ. ზოგი ქალი ორ ან სამ კაცს სწერდა წერილებს, ზოგიერთი კაციც ასე იქცეოდა, ეს ხომ უსინდისობაა. ასეთ ქალს ქალები კიცხავდნენ, ზოგჯერ სცემდნენ კიდევაც.

— ეს რა გაუმაძღრობაა!

— ჩვენ ბრიგადაში ერთი ქალი სცემეს, გაფრთხილების შემდეგ, მაინც არ დაიშალა. ზოგ ქალს კარგ საქციელად მიაჩნდა ბევრისთვის წერილების წერა. ასეთები გარეთაც ხომ არიან, ორ-სამს ერთად რომ ეარშიყებიან.

— იმათი მიმოწერა როგორ დაიწყო, ვინც ბანაკში კედლის აშენების შემდეგ მოვიდა?

— ქალი მიწერდა თავის კაცს, ან პირუკუ: კაცი ქალს, — ჩემ ამხანაგს ქალი აურჩიეო. ისიც აურჩევდა: მათ შორის შეიქმნებოდა დავა, ზოგი კი თვითონ ისროდა „პავილოს", მე, მავანსა და მავანს, მინდა ასეთი პიროვნებაო.

— წერილებს კედლის გადაღმა ისროდით?

— ჭინჭში გამოვკრავდით, შიგ ქვას ჩავდებდით, ერთსა და იმავე ადგილას ვისროდით, რომ ვინმეს თავში არ მოხვედროდა. ქალებს არ გვემარჯვება ქვის სროლა. „ბალანდას" ვიხდიდით. იყვნენ მარჯვე მსრო-

ლელები. როცა მკაცრი რეჟიმი დამყარდა, ერთმანეთს ფსევდონიმებით, ანუ ზედმეტსახელებით ვწერდით, წერილი ზედამხედველს ხელში რომ არ ჩავარდნოდა, ადრესატისათვის ვერ მიეკვლიათ. ბანაკს გარეთ მიწერ-მოწერის დროს ქალი და კაცი შეიძლება ერთმანეთთან გულწრფელნი არ იყვნენ, იქ კი შეუძლებელია, რადგან ერთმანეთისთვის არიან ისეთები, როგორიც მათ ჰსურთ იყვნენ, საოცნებონი და სანეტარონი. ყველას ჰგონია, რომ ამ სიყვარულით გაალწევენ გარეთ და ერთად იცხოვრებენ. წერილებს ნომრებს აწერდნენ, რათა წერილის დაკარგვა შეეტყოთ.

— წერილებს ჩხრეკისას გართმევდნენ?

— ჩხრეკიდან ჩხრეკამდე ზოგჯერ ვახერხებდით წერილების დამალვას სამუშაო ადგილზე. ზედამხედველებს ბანაკიდან ტომრებით გაჰქონდათ წერილები ჭიაკოკონას დასანთებად. რამდენი „შედევრი" დაიფერფლა.

— თქვენი კაცი ამჟამად სადაა?

— მიმატოვა.

— კიდევ იქაა?

— არ ვიცი. იქ იქნება. გინდათ მკითხოთ, რატომ მიმატოვა?

— ასე არ გავკადნიერდები.

— მაშინ მე გავთავხედდები და გეტყვით, პატიმრობაში ბავშვი შემეძინა, „პატვაგონში". გოგო ჩემი კაცისაგან არ შემძენია. ნახავთ, აქა მყავს.

— ეტყობა, გაიგო რომ დაორსულდით?

— ჩვენ ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა. მიწერ-მოწერა გვქონდა ყოველდღიური, წერილების უმრავლესობა იკარგებოდა. ის გახლდათ გოჩა გაბური, წერილებში მკაცრად, ვაჟკაცურად ალერსიანი იყო. ჩემმა ბრიგადირმა წამართვა, ქალები შურიანები ვართ. მისწერა, შენ სიყვარულს გეფიცება, სხვასთან კი იმრუშაო. ისიყვარულაო. ორსულადაო. ბრიგადირი ნასწავლი ქალი იყო, ლამაზად სწერდა, ამან თუ მოხიბლა. ჩემმა კაცმა ბრიგადირს მოსწერა: წელიწადში ერთი კაცი თუ გადმოლახავს კედელს და ის ერთიც, მაგას შეხვდაო. ბრიგადირმა მიწერა, თვითონაც არ იცის, ორსულად მაგ კაცისგანაა, კედელი რომ გადმოლახა, თუ იმისგან, გზაზე ქალებისა და კაცების კოლონები ერთმანეთს რომ შეერიაო... მე ბრიგადირის ახლოს ვიწექი. ჩემს გასალიზიანებლად, გულის მოსაკლავად თავისასა და შავტუხას წერილებს ხმამაღლა კითხულობდა. რა მშვენივრად წერდა, რა გრძნობით. ვუსმენდი, ვტიროდი. ამ დროს კი ბრიგადირი ნეტარებდა. სამუშაოზე სულს მხდიდა. მიკვირს, მის სიავეს როგორ გადავურჩი.

— აქ არავინ გყავს?

— არავინ. აქაური კაცები იქაურებს ვერ შეედრებიან.

ჩემი აქ დასახლების ათმა დღემ განვლო და მართლაც ოლლა ამ დაბაქარქში ყველა შემხვედრ ქალს სჯობდა. [illegible] იყო და ამიტომაც გავიფიქრე, რომ ადვილი იქნებოდა მისი გულის მონადირება.

— ცალკე ოთახში რომ ვცხოვრობდე, შინ შეგიყვანდით. აქ თეოზე ვდგავართ მე და ჩემი გოგონა სხვასთან ერთად, წინა ოთახში კი სოფლებიდან ალალით ჩამოსული კოლმეურნეები ათევენ ღამეს.

ჩვენ ალაყაფის კარებთან ვსაუბრობდით. ეზოში სატვირთო მანქანა და მარხილები იდგა. პატარა, აქაური გაბურძგვნილი ცხენები უხეშ თივას ახრამუნებდნენ. შტაბელებად ეწყო დაჩეხილ-დახერხილი შეშა, ეყარა ტომრები, სასოფლო მანქანების ნაწილები. აქ კერძო ფუნდუკიც უნდა ყოფილიყო.

— ეს ეზო-კარი ადვილი დასამახსოვრებელია.

— დიახ, ადვილი, ადვილი.

— თქვენთვის ძნელი იქნება აქ ყოფნა?

— რაც ჩამოვედი, აქ ვცხოვრობ.

— აქ უთუოდ მხიარულება იქნება.

— თითქოს ბაზარში ვცხოვრობ... დიასახლისი კაზაკის ქალია.

— ციმბირელი კაზაკია, არა?

— კი, ციმბირელი, ქმარი მეშჩანია. დიასახლისს მკაცრი წესრიგი აქვს დამყარებული. ესაა რომ ცოლ-ქმარი ყოველდღე კინკლაობენ. ცოლი ქმარს შინგამოხდილი ბრაგის სმას უკრძალავს. სტუმრებზე კი ჭიქაჭიქა ჰყიდის. ზოგჯერ, იმიტომ დაალევინებს, რომ მიბეგვოს. შემდეგ ერთი-ორი დღე სიმშვიდე სუფევს, იმის გამო, რომ თან გაბუტულები არიან.

— ოლლა, მისტუმრეთ ახლა საკომენდატოში გამოვცხადდები, იქიდან შობრუნებული შემოგივლით.

— მაპატიეთ, ასე იყოს, შემომიარეთ, მობრძანდით.

— თქვენ უკვე მოაწერეთ ხელი?

— იქიდან მოვდივარ. დიასახლისს წინასწარ ვეტყვი, სტუმარს ველოდები მეთქი, დიდად პატივმოყვარე ქალია.

* * *

კომენდანტმა მიღრიალა, როცა მოვახსენე, ვერც სამუშაო ვიშოვნე და ვერც ცოლი შევირთე-მეთქი.

— არავითარი ხელობა არ ვიცი. — დავსძინე.

— ვინ გეუბნება, ოსტატად იმუშავეო! მიწა თხარე, მშენებლობაზე ნადი! არცერთ მოქალაქეს არა აქვს უფლება უმუშევრობის, უფრო კი პოლიტიკური მუხლით ნაპატიმრალს და ამჟამად გადასახლებაში მყოფს.

— ამ ერთხელ მაპატიეთ!

— შენი უმუშევრობა მავნებლობაა, საბოტაჟი.

— განზრახვა არა მქონია, რომ...

— წადი, ნადი, წადი!

პატიმრები განთავისუფლებას „გარეთ გასვლას“ ეძახიან. ათი დღის წინ, როცა ვთავისუფლდებოდი, ვიგრძენი, გარეთა ცხოვრება კი არ მენეოდა, უფრო მეტად პატიმრული ყოფა მკრავდა მუჯლუგუნს, გარეთ გამოსაგდებად.

საკომენდანტო არ იყო შორს ოლლას საცხოვრებლიდან. ეზოში დიასახლისს შევეყარე. თავი მდაბლად დავუკარი და ოლლა ვიკითხე, მან ღიმილით მიპასუხა:

— ვიცი, ოლლამ მითხრა, ჩემთან სტუმარი მოვაო. განა მე უცოდინარი ქალი ვარ, არ ვიცი, ვის რა პატივი დავდო? წინააღმდეგი ვიქნებოდი თქვენი სტუმრობის?

— გმადლობთ, ქალბატონო!

ოლლა იჯდა საწოლზე, კერავდა, წამომიდგა. შევატყვე, ეამა ჩემი სტუმრობა. ჯირკო დამიდგა.

— მადლობელი ვარ, რომ მოხვედით.

— გოგონა, ნინო სადაა?

— ჩემმა მეთეობე ქალმა წაიყვანა სასეირნოდ.

— კიდევ კარგი, რომ მეთეობე ქალი გყავთ.

— თუგინდ კაცი ყოფილიყო. ჩვენ ცალკე ვჭამთ, ცალკე გვძინავს. ჩვენ ჩვენს სტუმრებს ცალ-ცალკე ვმასპინძლობთ.

— თეოზე მდგარი უცხო ქალი და კაცი გაბუტულ ცოლ-ქმარს ემგვანებიან, — ვთქვი და გავიღიმე, — ოლლა, მე მალე მოვალ.

— ვიცი, რატომაც მიდიხარ, არ გინდათ, ნუ...

— ახლავე დავბრუნდები..

იქვე ახლოს ფარდულს მივადექი, სარკმელზე მივაკაკუნე. გამყიდველმა ქალმა გამომძახა:

— შიგნით შემოდით.

— მხოლოდ ეს არაყი გაქვთ? სხვანაირი არა?

— სხვანაირი არა გვაქვს.

— ეს რაა, წინვების არაყია? წინვების ნაყენი?

— დიახ, ასე გახლავთ.

— წინვების ნაყენს ჩრდილოეთში, პეჩორასა და კალიმაზე სურავანდიანებს ასმევენ, — ვთქვი და ბოთლი შევათვალიერე. მინახავს ალკოჰოლიან სასმელების ბოთლებზე ზუბრი, ჯიხვი... ადამიანის თავისქალაც კია გამოხატული დენატურატის იარლიყზე. ამ ბოთლის იარლიყზე კი გამოხატული იყო გირჩებით დახუნძლული ფიჭვის ხის ტოტი, ზედ ციყვი შესკუპებულიყო. სასმელს მწვანე ფერი დაჰკრავდა.

— მოგეწონათ კუდფუნჩულა არაყი?

— დიახ, ორი ბოთლი [illegible] მამალი.

ბიბლიოთეკა

გამყიდველმა ურცხვად გადაიკისკისა.

— ასე ის იტყვის, ვინც დედალს დიდხანსაა დანატრებული, ასე არაა?

— მისანი ყოფილხართ.

— საკმარისია, ერთხელ შევხედო ქალს თუ კაცს, იმწუთსვე მივხვდები, ამ პატარა ქალაქში ვინ საიდან და რატომ ჩამოვიდა.

— ალისა! შენ მაგ „ნერუსკისთან“ კეკლუცობ.

სასაუზმეში, მხოლოდ ორნი იყვნენ, არაყს სვამდნენ, ავყიობდნენ, უწმაწურად ლაპარაკობდნენ, მე კართან გავჩერდი.

— მართალია, მე ვარ „ნერუსკი“, მერე რა? მერე კიდევ, ვარ „ტუზემეცი“, მერე რა? შენ ცუდი ინტერნაციონალისტი ხარ. ბანაკში ასე არ ვლაპარაკობდით ნაციონალისტები, მოყვასს პატივს ვცემდით.

— მერმე კიდევ ხარ „ჩერნაჟოპი“, — შავტრაკა!

— შენ შავი სული გაქვს. მაგისთვის კი ცხვირპირს დაგამტვრევ!

გამყიდველი ქალი დახლიდან გამოვიდა, ჩვენს შუა ჩადგა, ამხანაგი უჩუმრად გაიპარა. ქალმა მითხრა:

— ყურადღებას ნუ მიაქცევთ, რომ დალევს ჭკუას კარგავს.

— რუსული ანდაზაა: რაც ფხიზელს ჭკუაში, ის მთვრალს ენაზე აქვსო.

აღშფოთებული წავედი კერძო ფუნდუკისაკენ, სადაც ოლლა მდგმურად იდგა თეოზე. არ მინდოდა ოლლას გაბრაზებული დავენახე, დავაყოვნე, გული რომ გადამეყოლებინა, იქაურობა მოვათვალიერე. წელან არ დავკვირვებივარ, ეზოში საკოლმეურნეო ალალი ალარ იდგა. დიდი ოთახი სტუმრებისთვის განკუთვნილი ხუთი საწოლით იყო გაწყობილი. ცოლ-ქმარი გვერდითა ოთახში ცხოვრობდნენ. კარი დერეფნიდან ჰქონდა, ოლლას ოთახის კარი კი დიდ ოთახში გადიოდა. ოლლა თავის ოთახს საკანს ეძახდა, ხის კარის მაგივრად ჯვალოს ფარდა ეკიდა. ოთახში ორი საწოლი იდგა, შუაში გრძელი მაგიდა და ორი ჯირკო. მეთეობე ქალი დაბრუნებულიყო, ბავშვი მიეყვანა. გოგონას დედამისის საწოლზე ეძინა. თავი დავუკარი მეთეობე ქალს, იგი ფეხზე წამოდგა და თავი დამიკრა.

— დაჯექით, ნუ სწუხდებით.

— ხომ გითხარით, არ გინდათ-მეთქი.

— რაა, მცირედი... ეს თქვენი მეთეობეც დაგვეწვევა. მითხარით რა გქვიათ? — ვკითხე და ნაყიდი მაგიდაზე ამოვალაგე.

— ოქსანა მქვია.

— ოქსანა, თქვენც დაგვეწვევით.

— მადლობთ, მე ვისადილე.

— არა, არა, უნდა დაგვეწვიოთ.

— არსად არ ნახვიდე. აგერ ერთი კვირაა ერთად ვართ და ჯერ ერთად არ გვისადილია. — უთხრა ოლლამ.

— ოქსანა შენი ახალი მეზობელია?

— დიახ ახალია. ოქსანას საწოლი დაქირავებული ჰქონდა ერთ მოხუც ნაპატიმრალ ქალს, რომელიც ამ წინეებზე ავად გახდა და საავადმყოფოში მოვათავსეთ. ვაკითხავ ხოლმე, უალრესად კეთილი ქალია.

— სანახევროდ ცხოვრობთ?

— სანახევროდ ვსარგებლობთ, ამ ოთახის ავეჯით, — გამისწორა ოლლამ, თან მაგიდას აწყობდა. კვლავ განაგრძო, — ამ ოთახში ნახევარი ავეჯი მე მეკუთვნის, ნახევარი — ოქსანას, თითო ჯირკო, ნახევარ-ნახევარი მაგიდა. თითო საწოლი, ნახევარი ჭერი და ნახევარი იატაკი.

— ასევე ნახევარი დიასახლისი, ჰმ, ჰმ! — ჩაიცინა ოქსანამ.

— ჩუუ, არ გაიგონოს...

— გაიგონოს, რა.

— ოქსანა რომ არ გვყავდეს ახლა დაპატიჟებული, ან შინ რომ არ იყოს, მის კუთვნილ მაგიდაზე საჭმელს არ დავალაგებდით, არ დავიკავებდით, თუნდაც მარტო ვიყო, ცარიელ ადგილს ვერ გამოვიყენებდი ჩემთვის, თუ ნახევარზე მეტი მინდოდა, მაშინ მთელი ოთახი უნდა დამექირავებინა. ბავშვი ჩემთან წევს ლოგინში, ამიტომ ოქსანა თუ იხდის ერთ წილს, მე წილნახევარს ვიხდი. ასეთია აქაური ქირაობის წეს-კანონი.

— უფლება მაქვს, სადღეგრძელო რომ დავლიო?

— დაიცათ, დიასახლისი მოვიწვიოთ, — ოლლამ დიასახლისი შემოიყვანა. იგი ოქსანას მხარეს დაჯდა.

— ქალბატონებო, მე ვსვამ ჩვენი შეხვედრისა და გაცნობის სადღეგრძელოს! იყავით ბედნიერად!

ჭიქები მომიჭახუნეს. ყველამ ერთხმად წარმოთქვა სიტყვა, დიასახლისი წამოდგა და თქვა:

— შეგერგოთ, იმხიარულეთ!

— სიცხე აქვს, სეირნობიდან რომ დაბრუნდა, არ მომეწონა, — თქვა ოლლამ, როცა ბავშვს შუბლზე ხელი დაადო, — ნინო, ნინიკო, გაილვიძე, — უთხრა, პირი გაუღო და წამალი ენაზე დააყარა, წყალი მოასმევინა. ბავშვმა წაისლუკუნა, შემომხედა და გაჩუმდა, გამიღიმა, იმ წუთსვე დაიძინა.

— ძილი მკურნალია, როგორც ამბობენ.

— უცხოობა იცის, თქვენ კი გაგიღიმათ.

— ბავშვებსა და ცხოველებს ერთი შეხედვით ვუყვარდები.

— მგონი, მარტო მათ კი არა, დიდ ქალბატონებსაც შეიძლება შეუყვარდეთ, ოქსანა, შენ რას იტყვი?

— მე მინდა, რომ ბატონ[illegible]

— უი, ოქსანა, უი, ოქსანა, ეგ რა თქვი?!

— მე გულწრფელად ვთქვი.

— რადგან მე ოლლას სტუმარი ვარ, ნება მან უნდა დამრთოს.

— მე ნებას გრთავთ.

— მიკერძოება რომ არ გამოვიდეს, ოლლასაც ვაკოცებ.

* * *

ორივე ქალი დათვრა. წავედი შინ, ჩემს დიასახლისს პატიება ვთხოვე დაგვიანებისათვის. გავიფიქრე, უთუოდ ქალებს ჩაეძინათ, გოგონას ვერ მოუვლიან-მეთქი, ალარ დამძინებია, ლამეულ, შვიდ საათზე წავედი გოგონას დასახედად. ოლლას დიასახლისი დამხვდა.

— ბავშვი როგორაა?

— როგორ უნდა იყოს, როგორ იქნება?

— წუხელ სიცხე ჰქონდა.

— სიცხის საზომი არა გვაქვს.

— მოვიტანე, — ოთახში რომ შევედი ორივე ქალს ეძინა. ოლლა იმ წუთსვე წამოდგა, დაბარბაცდა, ხელი შევაშველე.

— გათენდა, თქვენ მთელი ღამე ჯირკოზე იჯექით?

— არა, სახლში ვიყავი და ახლა დავბრუნდი. თერმომეტრი მოვიტანე.

— მადლობთ, რომ ასე გაისარჯეთ!

— გოგონას ნინო თქვენ დაარქვით?

— დიახ, მე დავარქვი. ერთი ბოთლი ციყვი კიდევ დარჩა. ოქსანა, ადექი, მაგიდა გაასუფთავე და საჭმელი გააცხელე.

— ამ წუთს, — ოქსანა წამოხტა, მასაც კაბიანად სძინებია.

— ნინო უთუოდ მამასა ჰგავს, ეს სახელიც იმიტომ დავარქვი, რომ წმინდა ნინომ კავკასიაში იმოციქულა. ამის მამა უთუოდ ქართველია.

— თვითონ არ უთქვამს ვინაა?

— მეტყოდა, მაგრამ ვერ მოასწრო.

— მიამბეთ თუ არ გიმძიმთ.

— არა, რატომ... გიამბობთ. იმის შემდეგ რაც ქალთა და კაცთა ბანაკებს შუა ზღუდე ააგეს, გულადები მაინც ახერხებდნენ ჩვენ ბანაკში გადმოსვლას. მე მაშინ მიმიყვანეს იქ, როცა კაცებს ქალთა ბანაკში ალარ აჭაჭანებდნენ. მცირე სასჯელიღა მქონდა დარჩენილი და ზამთარს ბაგვების საშრობში მამუშავებდნენ. მოსამსახურე ქალებს ლამით ბარაკებში არ გვკეტავდნენ. ამიტომ კედელზე გადმოსული ყველა ვაჟკაცი შინამოსამსახურე ქალებს უვარდებოდა ხელში. ბაგვების საშრობში ორნი ვმუშაობდით. ერთხელ ლამით კარები გაიღო და ერთი შავტუხა ბიჭი

შემოვიდა. კედლის გადმოლახვისას ხელი დაეშავებინა, გარეთ გადიო. ჩემი მენყვილე ქალი შეყოყმანდა, იქნებ შეშურდა, რომ მე მამჯობინა. დაუყვირა, ჩქარა გარეთ გადი. არ გესმის, საცაა ზედამხედველები მომაკითხავენ, შენ კი, ლამაზო, ხელი შემიხვიეო. იმან დამასმინა და მე ტრასაზე გამაგდეს სამუშაოდ.

— შავტუხას რა დამართეს?

— უთუოდ მასაც ტრასაზე სამუშაოდ გააგდებდნენ, მანამდე კი კარცერს მიუსჯიდნენ.

— ჰო, თავისთავად, მასაც იპოვნიდნენ, სულ რამდენი იქნებოდა, ღამით რომ არ კეტავდნენ.

— მართალს ბრძანებთ. ერთი კვირის შემდეგ ასეთი რამ მოხდა ტრასაზე: სამუშაოდან დაბრუნებული ქალთა ბრიგადა გზის მოსახვევში უეცრად ღამის ცვლაში მიმავალ კაცთა ბრიგადას შეეჩეხა. კანვოიმ ველარ შეაკავა, ქალები და მამაკაცები, ყიჟინით შეერთვნენ ერთმანეთს. კანვოიმ ჰაერში გამაფრთხილებელი სროლა ატეხა. ბოლოს იძულებული შეიქნენ საერთო ალყა დაერტყათ ასაშენებელი სახლისათვის, საითაც ქალნი და კაცნი წყვილ-წყვილად მირბოდნენ. მე ერთმა ნამავლო ხელი მაჯაში და წყალსაქაჩი ტუმბოს შენობისაკენ გამაქანა. კარები შიგნიდან ჩაკეტა, რომ სხვა წყვილი არ შემოსულიყო ან კანვოის ადრე არ გამოვეყარეთ იქიდან. სარკმლიდან ჩანდა ქალებსა და კაცებს თუ ვით ელალებოდნენ წყვილ-წყვილად მწყობრში აყენებდნენ. ჩვენ როცა გამოვედით თავშესაფრიდან, გაბოროტებულმა კანვოიმ ძაღლები მოგვისია... ისიც შავტუხა იყო. ჰოო, ყოველთვის წილად შავტუხები მხვდებოდნენ. არც გვარი ვიცი და არც სახელი, უთუოდ ისიც თქვენებური იყო, მხოლოდ ნომერი დამამახსოვრდა — ს. ს. — 469. ნინო გზაში, სტოლიპინის ვაგონში დაიბადა. ძუ ძაღლივით ვტლეკდი და ვასუფთავებდი ახალშობილს.

— არცერთთან მიწერ-მოწერა არ გქონიათ?

— არა, ის მესამე იყო, რომელსაც ვწერდი, მან მომწერა თავისი გვარი და სახელი; გოჩა გაბური, — სოფლელი, ტლუ ბიჭი იყო; ლექსებს წერდა. მაგრამ ეგ არ იყო ნინოს მამა. უამრავი ბედნიერი წუთი განმაცდევინა მისმა წერილებმა. მაგრამ მან გაიგო, რომ სხვისგან ბავშვს ველოდი.

ბავშვს სიცხე არ ჰქონდა. ოქსანა წამოხტა და სამუშაოდ გაიქცა. ჩვენ სასაუზმედ დავსხედით, ოლლას უნდოდა ჩემთან წრფელი ყოფილიყო, არაყს ეძალებოდა. მეც სირცხვილი დავძლიე და პირდაპირ ვკითხე:

— კი, მაგრამ რომელია მამა?

— მამა? — მან თავი გააქნია.

— დავლიოთ, კიდევ, [illegible]

— იცით, კიდევ, რატომ [illegible] გონას წმინდანის სახელი? მაპატიებთ, მაგრამ მამაკაცი... ამას გაიგებს?

— ვეცდები არ გაგაწბილოთ.

— ცივი ვარ. მამაკაცს ვერ ვგრძნობ, ამიტომ მგონია, რომ ნაყოფი თითქოს... უკეთ, რომ ვთქვა... უვნებოდ ჩასახული სუფთაა და მეც თითქოს მათავისუფლებს იმისგან, რომ ბიწიერება ჩავიდინე.

* * *

იმ ზამთარს ოლლასა და ნინოსთან ხშირად დავდიოდი. ბავშვი ადვილად შემეთვისა, ერთთავად მეტიტინებოდა. მეგონა თითქოს გოგონა აგერ-აგერ დედასთვის გაუგებარ ჩვენს ენაზე დამელაპარაკებოდა. ზოგჯერ ოლლას თვალს მოვკრავდი, რომ ნამდვილად უსმენდა ჩვენს „საუბარს".

ბავშვს შავი თვალები და ოდნავ კეხიანი ცხვირი ჰქონდა. ქალი დასავლურ-სლავური კილოკავით ლაპარაკობდა.

— ოლლა, წავალ და ციყვუნიას მოვიტან.

— კიდევ დავლიოთ?

— სხვა რა? რას ყაყანებენ?

— დიასახლისი შინ რომ იყოს, ვერ გაბედავდნენ.

— ასე ეშინიათ?

— ნუ მკითხავ.

— მე თითქოს ზრდილობით მეპყრობა.

— ეტყობა მოეწონე.

— ეს ერთი ვაჟი ჰყავთ?

— ერთიც უფროსია, ცოლშვილიანი. ციმბირში ცხოვრობს.

— მალე მოვალ, — დიდი ოთახი გავიარე, იქ სოფლელები ისხდნენ და სადილობდნენ, არაყს სვამდნენ, ყაყანებდნენ.

— ერთი ჭიქა მიირთვით, — მითხრა დიასახლისის ქმარმა.

— გმადლობთ, — თავი დავუკარი და ოთახიდან გავედი. ქუჩაში დიასახლისი შემხვდა

— გამარჯობათ!

— გამარჯობათ, რა ხანია ალარ გამოჩენილხართ.

— რა ვქნა... საქმე.

— ჩემი ნუ მოგერიდებათ, შემოიარეთ ხოლმე. ნინიკოს თქვენ უყვარხართ, მესმის, როგორ გეტიტინებათ. მიდიხართ?

— მალე დავბრუნდები, — ფარდული ცარიელი იყო. გამყიდველ ქალს თავი დავუკარი — ციყვუნია გაქვთ?

— მაქვს. ცოლი ჯერ არ შეგირთავთ?

— არა. რატომ მეკითხებით?

— კომენდანტი არ გაიძულებთ ცოლის შერთვას?

— როგორ არა. ყოველ მეათე დღეს მაგას

მეკითხება და კიდევ, სამუშაო არ დაგიწყიაო, — ის-ის იყო არაყი და ბავშვისათვის შაქარლამა ჯიბეში ჩავიწყე, რომ ფარდულში დიასახლისის ქმარი შემოვიდა.

— შენ გამოგყევი უკან, ვხედავ, ჩემი ცოლი ეზოში შემოდის, მე ცქაფ და — შეშების უკან გადავხტი. ვერ დამინახა.

— ას-ასი გრამი დავლიოთ? დაგვისხი..

— შინ ერთი ბოთლი არაყი მაქვს. ველოდები, ბიჭი პასპორტის ასაღებად წავიდა.. ჩემს დიასახლისს ლუდი აქვს. დღეობა-დღესასწაულებზე გულუხვია. თქვენც დაგიძახებთ.

— თითოც დავლიოთ?

— არა, ამჯერად კმარა. ჯერ არ მუშაობთ?

— რამდენიმე ხანს ბათქაშზე წავიმუშავე. ძნელია ზამთარში მუშაობა.

— მებათქაშეობა კარგი ხელობაა. ზაფხულში კარგ ფულს იშოვნი.

— არ ვიცი, ვნახოთ.

— ცოლი გყავს? შვილები?

— არა, არ მყოლია.

— პატიმრობაშიც არა?

— არა, ჩვენთან ქალები არ იყვნენ.

— აი, ოლღასთან კაცები იყვნენ, ხომ ხედავ ბავშვი შეიძინა, — თვალი ჩამიკრა და გაიცინა.

— თქვენ აქ რჩებით? — ვკითხე, როცა მან ნაბიჯს შეუნელა.

— შენ წადი, მე ჩემით მოვალ. ვითომ არც შემხვედრიხარ.

ალაყაფის კართან კოლმეურნეობის ფორნები იდგა. ზედ ტვირთს აწყობდნენ. გასამგზავრებელ ფაციფუცს მოეცვა იქაურობა. დიასახლისი იქ იდგა და მეთვალყურეობდა მე ოლღასთან შევედი და ნავაჭრი მაგიდაზე დავაწყე. ბავშვს შაქარლამის დიდი ნაჭერი მივეცი. დედამ გამოართვა და შუაზე გაუჭრა. დიდ ოთახში დიასახლისი შემოვიდა ქაქანით:

— წავიდნენ ძლივძლივობით.

მე ჯვალოს ფარდებში თავი გავყავი.

— დიასახლისო, შეგაწუხეს?

— თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ძუნწები არიან, ერთ კარტოფილს, ერთ პეშვ ფქვილს ვერ გაიმეტებენ. წუწურაქები, ნამდვილი წუწურაქები. ვიცნობ მაგათ, რანიც არიან.

— აბა, კაზაკებს ხომ ვერ შეედრებიან, — ვუთხარი ქათინაური დიასახლისს, შევამჩნიე, რომ ესიამოვნა.

— დიახაც ასეა, მართალს ამბობთ. ჩემი ქმარიც მაგ ბატრაკთაგანია, — ამ დროს ისიც შემოვიდა, — აი, ეს ვაჟბატონო, სად იყავი?

— არსად, აქ ვიყავი.

— რატომ არ გამოხვედი მდგმურების გასაცილებლად. ხომ იცი, რომ თუ დრო იხელთეს რაღაცას აწაპნიან. დაგილევია, ველარ მოითმინე ბიჭის მოსვლამდე, ერთად რომ აგვეღნიშნა მისი სრულწლოვანება.

— ცოტა, ბევრი არ დამილევია... ერთად დავლიეთ ას-ასი, მეტი არა. კითხე და გეტყვის... ასე არაა?

— მაპატიეთ, — შევრცხვი და დავიბენი, — ისე მოხდა, რომ...

— თქვენ რა დამნაშავე ხართ... ვანუშა, რა ჰქენი?! — კარებში მათი ძე იდგა, პასპორტიანი ხელი მაღლა აღემართა.

— ასე, ასე, — თქვა მამამ. — ყოჩაღ, ასე უნდა.

მე და ოლღა „საკანში“ გავედით, რომ თავიანთი ოჯახური ამბავი მათთვის დაგვენებებინა.. დიასახლისმა სუფრა გააწყო და მიგვიწვია. მე წინწვის არაყი გავიტანე. დიასახლისმა სუფრაზე დაკეპილი კომბოსტოს მწნილი, მოხარშული კარტოფილი, ცხელი ბორშჩი და ქაშაყი მოიტანა. თან ლაპარაკობდა.

— მე ციმბირელი კაზაკი ვარ. მამაჩემი იასაული იყო. გიმნაზიაში ვსწავლობდი. ჩემი ოფიცერი ქმარი სამოქალაქო ომში დაიღუპა, წითლების მხარეს იბრძოდა. — ოლღასგან ვიცოდი, რომ დიასახლისს პირველი ქმრისგან ქალიშვილი ყავდა, სადღაც შორეულ აღმოსავლეთში ცხოვრობდა. ივან პეტროვიჩი, ნაპატიმრალი ჩასულიყო დაბაში, შემთხვევით შეხვედრიან ერთმანეთს და შეუღლებულან. ხოლო პირველი ვაჟი ივან პეტროვიჩს პირველი ცოლისგან ყავდა. ივან პეტროვიჩმა ჯერ თავისი თეთრი არაყი დაასხა. პირველად თქვა „ბუდემ“-ო, მერმე, მეორე ჭიქით შვილს მიმართა:

— დღეს შენ მიიღე პასპორტი, ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე მოქალაქე ხარ და სრულწლოვანი. აქამდე გაჭმევდი და გზრდიდი, ახლა ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ღმერთის კურთხევით საითაც გინდა, იქით წადი, შენ გზას დაადექ, გინდა ისწავლე, გინდა იმუშავე. არმიაში წასვლა მოგიწევს, წადი და კეთილსინდისიერად იმსახურე.

— ხომ მუშაობს. რა აქ ვერ შეიძენს ხელობას? — იუარა დიასახლისმა და ქმარს გორროზად მიხედა.

— აქ რომ დავრჩე ამ სასწორების ქარხანაში, რას მივაღწევ. წავალ ურალში ან შუააზიაში.

— უფროსი ვაჟიც ადრე წავიდა სახლიდან, ჯარი მოიხადა. ახლა კარგი მექანიკოსია, უცხოურ მანქანებსაც მაგას ადგმევინებენ.

— სახლში მაგის მეტი აღარავინ გვყავს, — დიასახლისს ჭიქაში არაყი დავუსხი, — მეტს ველარ დავლევ.

— ჩემი ხათრით.

— დიდი სიამოვნებით. როგორ მახსოვს·

ბავშვობაში ჩვენთან სახლში შამპანურებსა სვამდნენ, ძალიან მიყვარდა საცობების ხათქა-ხუთქი.

— კარგია შამპანური, რომ აქაფქაფდება, მსუბუქია და ჰაეროვანი.

კარზე დააკაკუნეს.

— შემოდით, შემოდით! — მიმართა დიასახლისმა და წამოდგომა დააპირა. შინ ტყაპუჭიანი მაღალი კაცი შემოვიდა. — ოჰოო, ნათლია, მობრძანდით, მობრძანდით. ჩვენ დღესასწაული გვაქვს, ყმაწვილმა პასპორტი მიიღო.

— გილოცავ, — მან ხელი ჩამოართვა და მაგიდაზე ერთი ბოთლი არაყი დადგა. დიასახლისმა ტყაპუჭი ჩამოართვა. სტუმარი ჩემს გვერდით დასვეს.

— ნათლიამ მოსკოვიდან ბერლინამდე იომა. ბევრი ორდენი და მედალი აქვს მიღებული, წოდებით უმცროსი სერჟანტია. დალიეთ, ივან პავლოვიჩ!

— დაიცა, ამოისუნთქოს, — გაუწყრა ცოლი.

— ივან პავლოვიჩ! შენ გმირი ხარ, — მან თავი ჩაქინდრა და აბუტბუტდა, — შენ იყავი ევროპაში? ხალხი როგორ ცხოვრობდა?

— მაშინ ომის სიდუხჭირე სუფევდა... მე ჩეხეთში ვიყავი.

— მერმე, იქ როგორ ცხოვრობდნენ?

— ჩანდა, რომ კარგად უნდა ეცხოვრათ.

— მაშ კარგად უნდა ეცხოვრათ?.. — უნმანურად შეიგინა, — „ვოტ სვოლოჩი", ჩვენდა გასაჭირად კარგად ცხოვრობენ, არა?

— საოცარია! — აღმომხდა. — საოცარია, რატომ აბრაზებს ამას სხვა ხალხების უკეთესი ცხოვრება, თითქოს ისინი იყვნენ დამნაშავენი, ეს რომ ცუდად ცხოვრობს. — უკაცრავად, მე მეჩქარება. დიდად გმადლობთ.

— რატომ, ასე ადრე, — მკითხა დიასახლისმა.

— საქმე მაქვს, დიდად გმადლობთ, — ოლღასთან ოთახში აღარ შევბრუნებულვარ, პირდაპირ გავწიე. ახლოს სტადიონი იყო. იქიდან ღრიანცელი ისმოდა. ბილეთი ვიყიდე და შევედი. ბურთიან ჰოკეის თამაშობდნენ სტადიონზე მაყურებელი ცოტა იყო, მაგრამ ყველა ერთხმად ყვიროდა. ყვანჭებს ჩახაჩუხი გაჰქონდათ. მჯდომარე გავიყინე, წამოვდექი და ერთხანს ფეხზე მდგარმა ვუცქირე მალე შინ დავბრუნდი.

ერთხელ მთვრალი ნავედი ოლღასთან ახალწლის წინა დღეებში. გზაზე ყმაწვილი შემხვდა, ხელში ჩემოდანი ეჭირა და ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა.

— საით? — მივაძახე.

— ჰოოო, მივდივარ, — ხელი გამომიწოდა.

— კეთილად იმგზავრე, წარმატება!

— გმადლობთ. თქვენც ასევე.

— საით? ურალი თუ შორეული აღმოსავლეთი?

ბიბლიოთეკა

— კოლის ნახევარკუნძული.

— ასე შორს მიდიხარ?

— სულ ერთი არაა. ჩუკოტკა იქნება თუ სახალინი?

ეზოში შევედი. ოლღა სარეცხს ფენდა. კვირა დღე იყო მზიანი და სუსხიანი.

— ნინოს სძინავს?

— არა, ოთახში თამაშობს.

— დიასახლისის შვილი შემხვდა.

— ადგა და წავიდა. დედასაც არ გააცილებინა თავი.

— სკოლის გეოგრაფიული ცოდნა არ მეყო, ველარ ვივარაუდე დედამიწის გარშემოწერილობის მერამდენედია მურმანსკიდან ვლადივოსტოკამდე ან ჩუკოტკამდე. თავზარი დამეცა.

— რამ დაგცა თავზარი?

— სივრცის შიში მჭირს, — გამეღიმა. ბაგეებზე თოვლი კართან აყუდებული ცოცხით ჩამოვიბერტყე. დიდ ოთახში დიასახლისი მაგიდასთან იჯდა და რაღაც ქაღალდებს ათვალიერებდა, ქმარი ღუმელის თავზე ინვა.

—ჩვენი ბიჭი რომ წავიდა?

— ქუჩაში შემხვდა. გზა დავულოცე.

— წავიდა. თუმცა უკვე სრულწლოვანია...

— იქ ასე არ სცივა. ნახევარკუნძულს ჩრდილოეთიდან თბილი დინება უვლის. გონიერი ბიჭია, არ გაუჭირდება.

— მაგაზე არ ვდარდობ. ჯარშიც იქნებ არ წაიყვანონ, რადგან ბრტყელტერფაა. აქ ამიტომ რცხვენოდა დარჩენა.

ჯვალოს ფარდებში ნინომ გამოყო თავი.

— გამარჯობა, ნინო! — ვუთხარი და ოთახში შევედი. — შენ საოცარი გოგონა ხარ! — ხელში ავიტაცე. ჩემზე ობლები მტანჯავად მოქმედებენ. ნინოც ობოლი იყო, იგი ვერასოდეს ვერ შეხვდებოდა მამას, არც მისი ვინაობა ეცოდინებოდა. ვკითხე:

— ნინო, ვინაა მამა?

— ატ, ტატა, ტა, ტა!

— არ მესმის. რას მეუბნები?

— ტატ, ტა, ტა, ტა, ტა!

— მოდით, — მომესმა ოლღას ხმა, — ვილაც უცნობ კაცს შემოუძლვა. მან თავი დამიკრა და მცირე ხელბარგი კუთხეში დადო. ბამბულს რომ იხდიდა, ზურგზე მუქ სწორკუთხედს მოვკარი თვალი, რომელიც გახუნებისაგან ნომრის ნაჭერს დაეცვა. გარეთ გამოსული პატიმარი ამ ნაჭერს ახვევდა, გაუხუნებელი სწორკუთხედი მარტო ზურგზე კი არა, შარვლის მარჯვენა ფეხზეც ამჟღავნებდა ნაპატიმრალობას, მეც ვერაფერი მოვუხერხე ჩემს ტყაპუჭებს. სტუმარი დაახ

ლოებით ორმოცი წლისა იქნებოდა, სათნო ხმა ჰქონდა.

— როდის ჩამოხვედით? — კითხა ოლლამ.

— ამ დილით გამომიშვეს, — უპასუხა კედელთან აყუდებულმა.

— მე თქვენ სხვანაირი მეგონეთ.

— ასეთი ვარ, პანა ოლლა, — თქვა მან ანურულმა.

— დაჯექით აქეთ, აი, ამ ჯირკოზე.

— გმადლობთ პანა ოლლა, გმადლობთ თქვენც პანე! — თავი დაგვიკრა ცალ-ცალკე და დაჯდა მოკრძალებით, გვერდულად, — მე პანე, იან პოლაკი ვარ, საღმრთო სჯულისა და სიტყვიერების სოფლის მასწავლებელი.

— მოხარული ვარ! ოლლა მე ნავალ.

— არა, გთხოვთ, დარჩეთ.

— კეთილი, თუკი მე...

— იცით, იან პოლაკი...

— ყველაფერს ვხვდები, ვიცი, ვიცი, — მივხვდი, ეს კაცი ის იყო, ვისაც ოლლასთვის გასაგზავნ სამიჯნურო წერილებს გაბური რუსულად აწერინებდა. როცა იმან მიატოვა თვითონ გაუმიჯნურდა. უთუოდ თავის გრძნობასაც დებდა იმ წერილებში, ჯერ კიდევ სხვისი წერილების წერის დროს იქნებოდა შეყვარებული. მინდოდა შემეტყო, როგორ გაიგო იან პოლაკმა, რომ ოლლა აქ ცხოვრობდა, სასჯელმოხდილი შემთხვევით აქ გადმოასახლეს თუ მან მოახერხა აქ გადმოესახლებინათ. ოლლამ სწორედ ეს კითხა:

— აქ როგორ ჩამოხვედით?

— ღმერთმა ინება ჩვენი შეხვედრა, პანა ოლლა!

— თქვენ ჩემი სულიერი მამა იყავით, მადლობელი ვარ თქვენი.

— გმადლობთ, პანა ოლლა, გმადლობთ საკომენდანტოში ვიკითხე თქვენი გვარი, იქ ხომ არაა ასეთი პიროვნება-მეთქი, კომენდანტმა დავთარი გადასინჯა და მიპასუხა, აქააო. მისამართი მომცა და მოგაკითხეთ. მე ამას არ ვიზამდი, იგი რომ ცოცხალი იყოს.

— რას ამბობ, პან იან, შავტუხა აღარაა?

— ის კაცი... — მან თავი ჩაღუნა, — ოლლა, პანა, გთხოვთ მედგრად შეხვდეთ ამ ცნობას... ის მოკლეს, კეტით გაუტეხეს თავი.

— როდის? — ჰკითხა ოლლამ და საწოლზე ჩამოჯდა.

გავიფიქრე: ეს არაა გოგონას მამა-მეთქი, გამეხარდა, თითქოს ნინო ობლობას გადაურჩა. რისთვის უნდა მოეკლათ? იანი წამოდგა, ბოთლიდან ჭიქაში წყალი დაასხა, ოლლას მიაწოდა.

— როდის და რატომ მოკლეს?

— ბანაკში ჯანყი მოხდა. პატიმრები მოითხოვდნენ მცირედ თავისუფლებას, რეჟიმის შერბილებას. მას ბრალი დასდეს სტალინელი ხარო, აქეთაც და იქითაც ათ-ათი კაცი დაიჭრა და დაშავდა, ის კი მოკვდა.

— მაშ იგი ბელადის მხარეს დადგა? — მასეთ კაცად არ ვიცნობდი.

— იქნებ არც იყო სტალინელი.

— ბანაკის უფროსობამ რა ილონა?

— ელოდებოდნენ, რომ ერთმანეთი ამოენყვიტათ.

— დასაჯეს ზოგნი მაინც?

— დიახ, დასაჯეს.

ერთხანს ვდუმდით. თვალი დავადგი პატარა, ნაქარგ ბალიშს. ეს ბალიში ადრეც მენახა, მაგრამ ამჟამად მნიშვნელობა შეიძინა. წითელი ძაფით ამოექარგა: „იძინე ტკბილად, ჩემო საყვარელო". ოლლას ეს ბალიში პატიმრობაში ექნებოდა გამზადებული შავტუხასთვის, ვერ მოახერხებდა გადაცემას. ქალები ბანაკებში ასე ქარგავდნენ, სასიყვარულო წარწერებს უკეთებდნენ.

— გული მომიკლა მაგ კაცის სიკვდილმა.

— პანა ოლლა, გთხოვთ, გთხოვთ, პანა!

— მაგან ბევრი სიამის წუთი მარგუნა. შენ გაწერინებდა წერილებს, ხომ?

— გრძნობებს არ ვეხებოდი, მე მებარა წერილის მართლწერა.

— თქვენ ლესაკი ხართ თუ პოლაკი?

— პანა ოლლა, პოლაკი ჩემი ფსევდონიმია, ამ გვარით ვაქვეყნებდი წერილებს პროვინციულ გაზეთებში. ჩემს საქმეშიც ლესაკ-პოლაკად ვარ ცნობილი, ასეა გეთაყვა. პოლაკი ცუდადა ჟღერს?

— არა, სრულიადაც, არა, — ვუპასუხე მე.

— პანა ოლლა, თქვენაც პან, — მან მარცხნივ და მარჯვნივ ორთავეს თავი დაგვიკრა და ნაყვავილარი პირისახე წამოენთო.

* * *

ოლლასთან დიდხანს არ გამევლო, ვვარაუდობდი, რომ პანი ოლლას ქმრობდა. ქარბუქი იდგა, შემხვდა და სასურსათო მაღაზიას მივაშურეთ. ჯერ ნინო მოვიკითხე.

— რასა იქმს პოლაკი?

— თეოზე დადგა, ოქსანას ადგილი დაიკავა.

— ოქსანა სად წავიდა?

— ქარხნის საერთო საცხოვრებელში.

— შენთან თეოზე ყოფნას, ამ ცთუნებას სალმთოჯულის მასწავლებელი თუ გაუძლებს, მართლაც... პასუხი არ მიგიცია?

— ცოლქმრობაზე? — ჯერ არა. არ ვიცი, როგორ მოვიქცე.

— ეკლესიაში დადიხარ?

— რატომ მეკითხები? — მას თმაზე და წამწამებზე მიკრული თოვლი დაადნა, ლოყებზე ჩამოელვარა. ხელით შევუმშრალე.

— შენ რას მირჩევდი, მითხრა კეკლუცად.

— გირჩევდი, რომ...

— დაიცა, ესე იგი მირჩევ, არა?

— გაყევი, რატომ არ უნდა გაყვე?

— აქ საყდარს დიდი მრევლი ჰყავს, ყველა, ჭეშმარიტი მორწმუნეა, თუ არა, მაინც დადის.

— სწამთ თუ არა ღმერთი, არ ვიცი, მხოლოდ სახლი ვერ ვნახე, რომ ხატი ღვთისმშობლისა კუთხეში არ ეკიდოს.

— ერთადერთი, რაც პოლაკმა მითხრა ჩვენს ცოლქმრობაზე, თუ ნებას მომცემ ბავშვს ჩემს გვარზე დავიწერო. ნინო ვერასოდეს ნამდვილი მამის გვარს ვერ აღიდგენს, ამიტომ სულერთია, ვისი გვარი ექნება.

— მართალი ხარ, მაგრამ შენ შეგეძლო გაგეგო ნინოს მამის ვინაობა ნომრებით. იმისი — ბაგვების საშრობში რომ მოვიდა, იმისიც — წყალსაქაჩში რომ შეყევი.

— არ ვიცი, არ ვიცი.

— შენი ნომერი ორივემ იცოდა, ერთისგან ან ორივესგან გაიგო შენმა წერილობით გამიჯნურებულმა, ანუ გოჩა გაბურმა, რომ მათთან შენ იყავი. ან, როგორც შენ ამბობ, როკაპმა შენმა ბრიგადირმა გააგებინა. მიკვირს, ერთმა მაინც რატომ არ განაცხადა მამობა? ეს ყოველივე ალბათ პოლაკმა იცის. მე კი ვფიქრობ, რომ ორივე შავტუხამ გაიგო, უფლება შეიძლებოდა ორივეს ჰქონოდა ბავშვზე, რომელიც გაჩნდებოდა და რადგან სადავო იყო, თუ ვის ეკუთვნოდა, ორივემ უარი თქვა. ამ საქმეში მეორე კაცის მონაწილეობამ შეურაცხმყოფელად იმოქმედა, შენ მოღალატედ მიგიჩნია.

— განა ბანაკში შეიძლება ქალურ ღალატზე ლაპარაკი. როცა ერთმანეთში ავირიეთ ქალი და კაცი, უდიდესმა შიშმა მომიცვა, მეგონა კანვოი ყველას დაგვხოცავდა, უკანასკნელად ვიქნებოდი მამაკაცთან, ისიც უკანასკნელად იქნებოდა ჩემთან, ნარღვნის წინ.

— ამაზე ნუღარ ფიქრობ. გაჰყევი პოლაკს და დაივიწყებ პატიმრულ ცხოვრებას.

— მე იმას ას წერილზე მეტი მივწერე, არ ვიცი, რამდენი მიიღო, ზოგჯერ დღეში ორსამ წერილს ვწერდი.

* * *

ამ შეხვედრისას ბათქაშზე ვმუშაობდი ხელშეკრულებით ერთ ნაპატიმრალ სომეხთან ერთად, უფრო სწორად, მან მიმიყვანა სამუშაოდ. ერთი წილი სადალალო მიჰქონდა, ერთი საოსტატო, მე მეოთხედს ვიღებდი. მუშაობა კი არა, წამება იყო. კედლებს ცემენტით ვლესავდით, ჭერს კი თაბაშირით. ქვიშას თუნუქის დიდ ფურცლებზე ვაღლობდით, წყალს ვაცხელებდით. ერთ დღეს გავაცდინეთ სამუშაო, რადგან ცემენტი და თაბაშირი ერთად გამოგველია. ძალიან ყინავდა. ფარდულში შევედი არყის დასალევად.

— კიდევ დედალ-მამალი ცოცხები გინდა?

— არა, ჯერჯერობით ასი გრამი.

— რას მიაყოლებ?

— კომფეტი მომეცი.

— გაგიმარჯოთ, ბედნიერი იყავით.

— გმადლობ... მითხარით, თქვენ ივან პეტროვიჩთან და ოლღა პეტროვნასთან დადიხართ, თეოზე ნაპატიმრალი ქალი რომ ჰყავთ, არა? მასაც ოლღა ჰქვია, არკი ვიცი, ვისი ასულია.

— საეჭვოდ რატომ მეკითხები?

— დიდი ხანია მათთან არ ყოფილხარ?

— სამი კვირა იქნება.

— პატარა გოგო მოკვდა.

— რას მეუბნები, — ვიყვირე, — როგორ?

— ფილტვების ანთებით.

— დამისხით, — მან მომაწოდა. დიდხანს ვერ დავლიე. ვიდექი დახლთან ხმაგაკმენდილი. ქალმა რაღაც მითხრა, ვერ გავიგონე, ვიყავი მწუხარებას მიცემული, ჩემთვის, შიგნით, ღრმად. ვილაცეები შემოვიდნენ, აყაყანდნენ. გადავკარი სავსე ჭიქა, დანახარჯი გადავიხადე.

— ცუდი ამბავი გითხარით.

— როდის დაკრძალეს?

— დღეს კრძალავენ, ნადით, მიუსწრებთ.

— ამ წუთს წავალ.

ეზოში დიასახლისი შემხვდა.

— საწყალი ბავშვი, — მივმართე დიასახლისს.

— წმინდად მოვიდა და წმინდად წავიდა.

ბავშვი პატარა კუბოში იწვა, პირისახეზე მაქმანი ეფარა. მივუსამძიმრე, თანაგრძნობა ლოყაზე კოცნით გამოვხატე. არ ძალმიძს ჭირისუფლის სიტყვიერი ნუგეში. მე და ოლღა ორივენი ჩამოვსხედით, ოლღას ძძები ეცვა. ვისხედით მდუმარედ. დიასახლისი შემოვიდა და თქვა:

— ივან პეტროვიჩს ოპერაციას ხვალ უკეთებენ.

— რის ოპერაციას უკეთებენ?

— თიაქარის ოპერაციას, ამბობენ, არაა ძნელიო.

— ექიმები ამბობენ, რამდენი თიაქარიცაა, იმდენნაირი ოპერაციააო.

— შეშა მოიტანა, — თქვა დიასახლისმა.

— ოლღა პეტროვნა, მაგ შეშის ფულს მე გადავიხდი.

— თქვენ რატომ უნდა გადაიხადოთ?

— ხარჯი მოუვიდათ, წავეხმარები.

ეზოში გავედი, მეშეშეს სალირალი გადავუხადე, გადმოყრას მივეხმარე, მწყობრად დავალაგე. მეშეშე წავიდა და დიასახლისი ეზოში გამოვიდა.

— თქვენ რატომ წუხდებით?

— რა შეწუხებაა. იანიკი სადაა?

— ორი დღეა საფლავსა თხრის. მორჩება და საყდარში გამოივლის. მღვდელს მოიყვანს წესის ასაგებად. თვითონ არა აქვს უფლება, რადგან მღვდლად ხელდასხმული არაა. მღვდელს უთქვამს სასაფლაოზე ვერ ვწირავ, სახლში მოვალო. პან იანმა თქვა, მე არც სასაფლაოზე შემეშინდებაო.

— რატომ არ ვიცოდი, საფლავს მარტო მე გავთხრიდი.

— საბრალო გოგონა. თქვენ უყვარდით.

— ოლღას ვერაფერს ვეუბნები, რით ვანუგეშო.

— რას ეტყვით, რით დაიმედებთ.

შეშას ვჩეხდი, პოლაკი და მღვდელი რომ მოვიდნენ. იგი გადაცმულ მღვდლად შევრაცხე. სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა, უთუოდ შესანიღბად, თორემ მღვდელი გაუძლებდა ციმბირული ზამთრის ყინვას. შეშის ჩეხვას რომ მოვრჩი და შიგნით შევედი, მღვდელი წესისგებას მორჩენილიყო, დიასახლისი პალტოს აცმევდა, მღვდელს ანაფორა ეცვა და ვერცხლის ჯვარი ეკიდა.

— რატომ არ მოუსმინეთ ფსალმუნს? — მკითხა დიასახლისმა.

— რა ვიცი, როგორ გითხრათ.

— ნუთუ რელიგიას პატივს არა სცემთ? თქვენ კი ისეთი სათნო ხართ, რომ თქვენში უთუოდაა ღვთიური მადლი.

— ოლღა პეტროვნა, იმდენად უსამართლოა ნინოს სიკვდილი, რომ წესისგება აზრს ჰკარგავს.

— მოყვასი ნინო გავუყენოთ გზას სამარადისო სასუფევლისა! — დაიძახა იანმა.

შევედი ოლღას ოთახში ცხედრის გამოსასვენებლად. კუბო მეშეშის მარხილზე დავდეთ. ქალები აქეთ-იქით მოუსხდნენ, მე და დიაკვანი ფეხით გავყევით. ამლაყი ცხენი მძიმედ აბიჯებდა მოყინულ გზაზე. სასაფლაო შორს, დაბის ბოლოს მდებარეობდა. ფეხი გვისხლტებოდა, რომ არ წავქცეულიყავით მარხილს ვებღაუჭებოდით. შორიდან გამოჩნდა ფერდობზე, თოვლში ნაყარი მიწა. პოლაკს ვკითხე ესაა-მეთქი?

— ესაა, ქვევით კლდე დამხვდა, ძალიან გავწვალდი.

— იქ ცხენი ვერ ავა.

— ვერ ავა. ცხედარს ხელით ავასვენებთ.

— როდის მოხდება თქვენი ხელდასმა?

— მალე ეპისკოპოსი ჩამოვა.

— რას ფიქრობთ მრევლზე?

— ხალხი აქ მორწმუნეა, ოღონდ ეგაა, მღვდელმსახურება მოიკოჭლებს. ეს მღვდელი ოცდაათი წელი გაკრეჭილი იყო, ამ ხნის მანძილზე განა მარტო სამღვდელმსახურო დაივიწყა, სამღვდელო თვისებებიც დაკარგა.

— კოლმეურნეობის კულტურას დაემსგავსა, არა?

— დიახ, ამის მსგავსს.

— ჩემი დაკვირვებით ციმბირში ყველაზე მეტად თაყვანსა სცემენ ღვთისმშობელს, წმინდა მარიამს.

— დიახ, მართალს ბრძანებთ, ასევე ანდრია პირველწოდებულს.

— ვფიქრობ, რომ აქაურ მორწმუნეთაგან უმეტესობა ქენჯნილნი არიან, მათი ღვთისმოშიშობა აქედან წარმოდგება, საგნობრივ, კონკრეტულ დანაშაულიდან და არა ღმერთის აღიარებიდან.

— პირველქრისტიანეთაგან დიდი ქრისტიანენი დიდად ცოდვილნი იყვნენ, ძალა ღმერთისა ამაშია, თორემ უცოდველთა ნათლისღებას წინ რა უდგას.

— სანამდის ხელდასხმული არა ხარ, გინოდო „მამაო"?

— მამაო ამბროსი, როცა მოძღვარი გავხდები, ეს სახელი მინდა დავირქვა.

— თქვენ ხომ კათოლიკე იყავით?

— დიახ, კათოლიკე ვიყავი.

— მართლმადიდებლურ საყდარში თქვენი მღვდლობა რწმენის, რჯულის ღალატი ხომ არ იქნება?

მან ყოყმანით მიპასუხა:

— როგორ გითხრათ? არა, ღალატი, არა.

— ორივე ქრისტიანული სარწმუნოებაა.

— მე, პან, მომხრე ვარ ქრისტიანობის გაერთიანების.

— ჭეშმარიტად ლაპარაკობთ.

— როდესაც ქრისტიანობა ერთიანი იქნება, მისი დამარცხებაც ძნელი იქნება.

მარხილი გაჩერდა. ქალები გადმოვიდნენ. ორივენი პოლაკმა ჩამოსხა. შორიახლო ციმბირული გრძელბეწვა, პატარა ცხენები ფლოქვებით ყინულს ამსხვრევდნენ და ბალახს სძოვდნენ. მე და იანეკმა ავწიეთ პატარა კუბო და ნება-ნებად, გათხრილ სამარესთან, ზევით ავედით. ცივი ქარი უბერავდა თოვლისა და ყინულის მხარეში. შავ, ამონათხარ, თბილ მიწაზე დავდექით.

— შიგნით სამარეში უფრო ეთბილება, — თქვა ჭირისუფალმა.

მემარხილემ ბანარი ამოიტანა კუბოს საფლავში ჩასაშვებად. დედამ კუბო არ დაგვანება, დაჯდა და მოთქმით დაიტირა. მოისურვა კუბოს ახდა. ჩვენ ვერას გავხდებოდით, დიასახლისს დაუჯერა.

— ჩემო გოგო, გეყურება, შენი დანახვა არ შეიძლება.

— პანა ოლღა, იტირე, იტირე. — უთხრა პოლაკმა.

— ვაიმე, ვაიმე!

ისევ დიასახლისმა უთხრა:

— თუ ვერ ითმენ, ნახე!

პოლაკმა კუბოს თავი აჰხადა. ნინო კოპწიათ მორთული ინვა, ცხვირაბზუებული, თითქოს გაგვბუტებოდა. დედა ახლა უსიტყვოდ ტიროდა.

— ახლა შეცივდება, კმარა.

მე და პოლაკმა ბაწარი კუბოს სახელურებში გავუყარეთ და სამარეში ფრთხილად ჩავუშვით. ტყაპუჭი გავიხადე, ავილე ნიჩაბი და მუშაობას შევუდექით. მალე ამოვავსეთ სამარე. ქალები ადრე გავუშვით და მათ ავტობუსის გაჩერებაზე წამოვეწიეთ.

* * *

მასუკან, რაც ბავშვი დავმარხეთ, სამედიცინო ცნობებს ვუსმენდით სულთმობრძავი ბელადის შესახებ. იმ დღეს სამუშაოდან შინ მისვლა დავაგვიანე. დიასახლისმა უწყება გადმომცა, შინიდან ფულს მიგზავნიდნენ. აღარ დავახანე, ფოსტაში მაშინვე წაველი. სარკმლებთან რიგი იდგა. მეც დავიკავე რიგი ფულადი გზავნილობის სალაროსთან. არავინ არ ლაპარაკობდა ზედმეტს, უსაქმოდ. უეცრად ერთმა მოლარემ იწივლა, მას ქვითინით აჰყვნენ ტიხარის მილმიდან. რიგში, კართან ახლოს დაილრიალა მამაკაცმა:

— ბელადი აღარაა! იოსებ ბესარიონის ძე გარდაიცვალა! — მას მეორე მამაკაცი გამოელაპარაკა:

— ჩვენი მამა! ყველა გამარჯვების ორგანიზატორი აღარაა!

ჩემ გვერდით ყავარჯნიანმა კაცმა იატაკზე ბრაგვანი მოადინა. მომეჩვენა, რომ ეს ომის ინვალიდი ამ ათი წლის წინ ბელადის სადიდებელი ძახილით ერთხელ უკვე დაეცა, როცა ნაღმმა ცალი ფეხი მოგლიჯა.

არავის ხმა არ ამოუღია, თითქოს ასეც უნდა მომხდარიყო, მხოლოდ მე ვთქვი:

— დავუძახოთ სასწრაფო დახმარებას, — არავინ ყურადღება არ მომაქცია, მხარი არ ამიბა. ერთერთ სარკმელში მოლარეს შევძახე: — ხეიბარი კაცი წაიქცა, სასწრაფო დახმარებას გამოუძახეთ!

ყველანი დასცქეროდნენ იატაკზე გაშხლართულ ხეიბარს, რომელმაც ბელადის სახელს ხელმეორედ თავი შესწირა. იგი სიცოცხლის ნიშანწყალს არ ამჟღავნებდა. გაუნძრევლად პირქვე დამხობილიყო. მივხვდი, რომ სასწრაფო დახმარების გამოძახების ჩემმა მცდელობამ იქ მყოფნი გაალიზიანა, იქნებ იმიტომ, რომ ამ დიდ მსხვერპლშეწირვას [illegible] იმავ წუთს ყველა იქ მყოფნი [illegible] განგმირულიყვნენ", არცერთ გადარჩენილს ეს საშინელება არ შეძრავდა. ვილაც კაცი შემოვიდა, დახედა ხეიბარს, დააკვირდა, მაჯა გაუსინჯა.

— მოკვდა, მორჩა! — უხერხულობა იგრძნო, ეს ხალხი უჩუმრად რომ იდგა, ყველას სათითაოდ გადაჰხედა. განცვიფრებულმა იკითხა, — რა მოხდა?!

— ბელადი მოკვდა, — ვუპასუხე და გარეთ გამოვედი, ჩემ რიგს აღარ დაველოდე, გადავწყვიტე, ფულს ხვალ ავილებ-მეთქი: სასაუზმეც, სასურსათო მაღაზიაც, სადაც არაყის ყიდვა მინდოდა, დაკეტილი დამხვდა. შევიტყვე, რომ ბელადის სიკვდილთან დაკავშირებით დაუკეტიათ. მე შემეძლო, მივსულიყავი პანა ოლღასთან და პან მამაოსთან, მაგრამ რაც მოხდა, ჩემთვის იმდენად ძვირფასი იყო, რომ არავისთვის მინდოდა მეწილადებინა. გზადაგზა მესმოდა ოხვრა, გოდება და ქვითინი. რეპრესიერებულთა ამ დაბა-ქალაქში ასე განიცდიდნენ ბელადის სიკვდილს და რა უნდა ყოფილიყო სხვაგან. იქ, სადაც დუღდა და გადმოდუღდა ცხოვრება. არავის აზრის გაგება არ მსურდა. მინდოდა მარტოდმარტო ვყოფილიყავი.

— მითხარით, რა იქნება, რა გვეშველება? — ქშუტუნით შემხვდა დიასახლისი.

— არაფერი... იქნება ის, რაც უნდა იყოს.

— რა იქნება ის?

— არ ვიცი... იყო ლენინი, იყო სტალინი...

— ეს ვიცი, მაგრამ... რა იქნება?

— ზინაიდა ივანოვნა, ეს არ ვიცი... თუ გაქვთ მომეცით ერთი ჩაის ჭიქა არაყი. შინიდან რომ ამანათს მივილებ, გადაგიხდით.

— მაგდენი არაყი არ მექნება, ბრაგასაც დაგიმატებ, — კართან მისული გაჩერდა.

— რატომ შედრკით, ზინაიდა ივანოვნა? — სული გინდათ უცხონოთ, არა? მიირთვით. — დიასახლისმა სასმელი რომ მომიტანა, არაყი ჭიქაში დავასხი, გვერდით ლიტრით „ბრაგა" მივუდგი.

— ლამე მშვიდობისა!

— ლამე მშვიდობისა, ზინაიდა ივანოვნა! — დავემშვიდობე და გავიფიქრე: ამაზე განმსჯელი სიკვდილი არსად და არც როდის ყოფილა-მეთქი.

1970 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ეკიზაშვილი

## უდაბნო

არვის აუხსნია ჩემთვის
    იდუმალება უდაბნოსი...
ერთი ეს ვიცი:
    უსასრულო უგზოობაში
    ბედუინთა ქარავანი ქვიშის ოკეანეს
    მიაპობს...
(ყვითელი ფერი... ჩრდილიც ყვითელი...
    მზე ვით ყვითელი თვალი...)
საშინელია უდაბნოში გზააბნეული
    კაცის ბედი...

მაგრამ უარესია სული — უდაბნო,
ვეებერთელა ყვითელი არე,
და შეგრძნება უკიდეგანო თავისუფლებისა...
შეხედე ამ კაცს —
მის თვალებში უდაბნოს თავისუფლება ირეკლება და
    ...სიმარტოვე.

## სიმარტოვე

ავდგები, გავალ,
შაქარს ვიყიდი,
ნამცხვარსაც...
„როგორ მიდის ვაჭრობა?" —
ვკითხავ გამყიდველს...
„რა მიდის კარგად?.." —
კითხვას დამიბრუნებს...
მერე დავბრუნდები,
წყალს გაზქურაზე შევდგამ,
მაგიდასთან დავჯდები,
ადუღებას დაველოდები.
ჩაიდანს გადმოვდგამ,
ყავის კოლოფს გავხსნი
და ორ ფინჯანში ჩავყრი...
ვინ იცის, იქნებ ვინმე მოვიდეს..?!

გაუმარჯოს სიმარტოვეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შიში

— რა დაგვიტოვეთ, სიბნელეში წასულო ძმებო?
— უთქმელი სიტყვა,
დაუცლელი ღვინის ჭიქა
და სინანული...
— რა დაგვიტოვეთ, სიბნელეში წასულო ძმებო?
— ჩვენი ფიქრები,
ხმების სითბო
და გახსენება...
— რა დაგვიტოვეთ სიბნელეში წასულო ძმებო?
— შიში არ-ყოფნის,
— შიში აქ-ყოფნის...
. . . . . . . . . . . .
სიბნელეში წასულო ძმებო, რად დაგვიტევეთ?

## ორფეოსი — 1987

ძმაო, მომეცი ხელი,
გავუყვეთ ამ გზას,
მზემდე თუ ვერ მიგვიყვანს,
სიბნელეს ხომ მაინც გაგვარიდებს?!

## მაიდანი

გადამატარე მაიდანი, გადამატარე
და შემიძეხი დიდი ტაძრის თეთრ სიგრილეში,
სადაც არც სიტყვა, არც ხმაური, არც ყიჟინაა,
და ისმის მხოლოდ
ჯვარს გაკრული ჩვილის ქვითინი...
გადამატარე მაიდანი, გადამატარე.

* * *

ოთახში, კუთხეში
კიდია აბლაბუდა...
ნაცრისფერია ობობას კვალი,
ნაცრისფერია საწვიმრად გამზადებული ცა,
ნაცრისფერია დაფერფლილი ნახშირი,
ერთ დროს რომ წითელი, ან უფრო ზუსტად,
მეწამული იყო...
ნაცრისფერია გუნება გუშინ ნალოთავი კაცისა,
ნაცრისფერია „დედინაცვლის გამომცხვარი კვერი“.

ნაცრისფერია ჰუჰყიანი პერანგი,
ნაცრისფერია ფერი, რომელმაც საკუთარი სახე დაჰკარგა,
ნაცრისფერია ყოველი, როცა წერ
ნ ა ც რ ი ს ფ ე რ ი განწყობილებით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბავშვობა, კალის ჯარისკაცები და ბედი

...ერთხელაც დამწკრივდნენ ჯარისკაცები,
ჩემს ბრძანებაზე ფეხი შემართეს და დოლის ხმაზე —
„მარჯვენა მხარე, ნაბიჯით იარ!:."
ო, რარიგ მწყობრად მიდიოდნენ, მხრებში გაშლილნი, სახეზე ღიმით
და არაფერი არ აშინებდათ...
წინ იყო ომი, მხიარული, ლაღი, აშკარა,
ბაირაღები ფრიალებდნენ დილის ნიავზე,
მზის ელვარება ედებოდა პრიალა ხიშტებს...
დიდხანს ველოდი... მერე დაღამდა... ჯარისკაცები ალარსად ჩანდნენ...
ჩემი მაგიდა მიტოვებულ ველს დაემსგავსა...
ჯარისკაცები არ ბრუნდებოდნენ...
და მაშინ მივხვდი, რომ ერთი ომის წაგებაც გამოუსწორებელი
მარცხია...

ახლა თვითვე ვარ ჯარისკაცი, ბედის მებრძოლი,
მაგრამ ომია სულ სხვაგვარი, უჩინარი, დაძაბული, ყოველდღიური...
და უფრო მეტი დამარცხებაა, ვინემ ყიჟინა გამარჯვებისა...

და ყოველ ღამით, წაგებული ომით დაღლილი, სანამ ბალიშზე თვალს
დავხუჭავ,
ერთს ვიმეორებ მორცხვი ჩურჩულით:
„ხვალაც ომია, ხვალ გავიმარჯვებ"...

* * *

ალავერდობაზე, მოხუცი, გამხდარი ქალი, დოლის ხმაზე,
თავჩაქინდრული უვლიდა წრეს...

გიცეკვია სიცარიელეში?
ძველო მოცეკვავევ, აკი გაგიგონია,
ცეკვა სხეულის მიერ ნათარგმნი სულიაო?!
გიცეკვია სიცარიელეში?
როცა ტანგოს ცეკვავ და გეტირება,
როცა ქვითინია რიტმი ცეკვისა...
გიცეკვია სიმარტოვესა და სიბნელეში?
როცა ბინას ერთი მბჟუტავი ნათურა ანათებს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი მოცეკვავე ნახევარი არ სჩანს...
გიცეკვია სიმარტოვესა და სიცარიელეში?
როცა სხეული შენი და მხოლოდ სხეული შენი ავსებს
მესედ ნაწილს შენივე საკუთარი სიცარიელისა?!

* * *

გურამს

სიტყვა,
სწორედ ის, რომელიც უნდა გეთქვა,
ვერ თქვი...
ველოდით...
და დღეც გავიდა ლოდინში...
მუყაოსფერი მოვიდა ღამე...
რაღაც არ ჩანს განთიადი...
არც დღე ჩანს,
დღე,
რომელიც არ გიყვარდა, გურამ!

## ცნება №

არა იტანჯო!
თუმც ტანჯვაა ცხოვრება შენი;
განა არა ჩემი, განა არა მისი?
არა იტანჯო!
გაძლებაზეა... ასე ინება ჩემმა თაობამ...
სანამდე?
გრძელი ვირი გითამაშია?
ჰე, შემოახტი...
გაძლებაზეა, ჩემო ბიჭო,
არ ჩამოვარდე!

* * *

სიმარტოვის სიდიადეზე რომ მელაპარაკებიან,
მუდამ მახსენდება კუთხეში მიყენებული პატარა ბიჭი,
რომელიც საკუთარი ყურების ჩრდილს ეთამაშება...

ორთქლმავლის განწირული კივილი
ღია ფანჯრიდან იჭრება
და გზააბნეული, ჩემი თეთრი
ბალიშის ქვეშ იდებს ბინას,
რათა, მერე, ერთ დღეს, უკან გამოძვრეს
და სამყაროს ამცნოს, რომ
გარდავიცვალე.

## იანვრის თვე, სამკითხველო დარბაზი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ვუძღვნი იმათ, ვინც კითხულობს, კითხულობს...*

თაროები, კარადები, სტელაჟები...
ფოლიანტები, წიგნები, კიდევ წიგნები...
ძველი აზრები, ახალი მსჯელობანი
(ძველი აზრების გადამღერება, მრავალჯერადი, მრავალგვარი),
სკამებზე რაზმი, არა, ჯარი ცოდნის მოყვარე ჭაბუკებისა,
თუმცა, აქა-იქ, არც თუ ისე იშვიათად,
ქალარა თავიც გამოერევა...
ჰა, კიდევ ერთი, მაგრამ მელოტი,
დიდი ჩანთით მარჯვენაში, მარცხენაში პატარა ფუთა,
(მოხარშული კვერცხი და დილით ნაყიდი პური),
მუხლებთან შარვლის ბორცვები,
ფეხსაცმელები, ვაქსაგაკრული, პრიალა,
(თუმცა, მხოლოდ ერთი, ისიც მარცხენა),
სახე დაღლილი (ეტყობა, გუშინ გვიან წავიდა ამ დარბაზიდან
და მერე, ღამით აქ წაკითხულს „ამუშავებდა“),
გრძელი დარბაზი გამოიარა და გვერდით მომიჯდა...
(კვერცხის სუნი, პურის სუნი, ვაქსის სუნი და კიდევ რაღაცის,
არც თუ ისე საამოს, სუნი),
წიგნი გაშალა, კალამი მოიმარჯვა და დაიწყო სასწაული ქვეყნის
მოხილვა, მაგრამ, როგორ?
უხილავი თვალით და სმენადახშული ყურით...
ტუჩებს აცმაცუნებს და იმაზე ფიქრობს,
სახლში რომ მივა, წყალი არ დახვდება,
სამუშაო ოთახში კი (სადაც სძინავს კიდეც)
სითბოს ნაცვლად, აგვისტოს ხვატში ნანატრი სიგრილე დაიბუდებს...
კიდევ ერთი წელი ივლის, იკითხავს,
მერე, სახლში, სიტყვებს ადგილს მოუნაცვლებს,
წინადადებას, მეოთხე რომ არის ამ გვერდზე, იმ გვერდზე გადაიტანს,
მეათე აბზაცში,
გვარს მოაწერს და სადმე წაიღებს,
ან ჟურნალში, ან რედაქციაში,
ან, შეიძლება (ადამიანის მცდელობას საზღვარს ვინ დაუდებს?!)
დიდ საბჭოზეც გაიტანოს...
მერე...

უცებ, მელოტი თავს იღებს, მწყრალ მზერას მესვრის და მეუბნება:
„ამხანაგო, თქვენ მე ხელს მიშლით!“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით კვიცარიძე

# კახიანაური

მოთხრობა

კედელზე ორი სურათი ჰკიდია, ფანჯრებზე — შეყვითლებულ შეცრეცილი ფარდები. კვირაში ერთხელ, ჰა და ჰა, ორჯერ გაიღება ფანჯრები, გადაიწევა ფარდები და ქვითკირის ძველ სახლში შურიანი მეზობელივით შეიჭვრიტავს სინათლე.

ამაზე ახლა აღარავინ ნაღვლობს, არც არავის აქვს წუხილის თავი.

ვარდენ კახიანს არც მაშინ დასცდენია საყვედური, როცა ეზოში რომელიღაც პატარა წარმოების ბუღალტერი ვარლამ ნემსიწვერიძე ჩაუსახლეს.

საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვთო, — ჰკითხეს ალმასკომის წარმომადგენლებმა.

მიწა სახელმწიფოსიაო, — უპასუხა.

კახიანს ვარლამ ნემსიწვერიძე აქამდე თვალითაც არ ენახა და ბუღალტერი ვარო, რომ გამოეცნაურა, გაუკვირდა, თავიც გადააქნია და მხრებიც აიჩეჩა. ამ არც ისე დიდ ქალაქში საანგარიშო დარგის ყველა მუშაკს ვიცნობ და ეგ როგორ გამომრჩაო.

თავადაც ეკონომისტი გახლდათ.

— დასახლდი, იცხოვრე, ღმერთი შეგეწიოსო, — უთხრა ნემსიწვერიძეს.

— დავსახლდები, ოღონდ არ გეწყინოსო... ჩემი ბრალიც არ არისო, იმათი მითითებით უნდა შეგავიწროვო, ვეცდები არ შეგაწუხო, ეზოს ბოლოში ჩავდგამ პატარა სახლს, მეც თვალში გამოვიხედავ... არ გეწყინოსო, — გაიმეორა, — ანი კეთილი მეზობლობა უნდა გავუწიოთ ერთიმეორესო.

— ასეაო, — დაუდასტურა ვარდენმა.

სამოსახლო მიწის მოსწორება რომ დაიწყეს, კვირა დღე იყო. ვარდენი წინა დღის გაზეთებს ათვალიერებდა და შუადღე ისე წამოეპარა, გარეთ არც გამოუხედავს. მერე იფიქრა, ახალი მეზობელი ასე არ ჩამომართმევსო და ეზოში გამოვიდა.

კიბის სულ ქვედა საფეხურზე ვარდენის მეუღლე იჯდა, თავზე ხელები შემოეწყო და ჩუმად ტიროდა. ვარდენი ცოლს გვერდში მიუჯდა.

— რა გატირებს, ბაბო? — ჰკითხა.

— არაფერი. — მეუღლეს თავი არ აუწევია.

— ბერძნულა ლელვზე ნუ გწყდება გული, ძირეულს თუ ვერ ვიშოვი, თეოფილესთან გადავალ, ლელვის ტოტს არ დამამადლის, ჩავასობ მიწაში და... ადვილად იხარებს ლელვის ტოტი.

— ვისი დარგული იყო ის ხე... ხომ გახსოვს რამოდენა ორმო მოთხარა. შენ ეუბნებოდი: წაუფხიკე ლელვის ტოტს კანი, ჩაასვე მიწაში და ნულარ გედარდება. არ დაგიჯერა, ორმოც გათხარა და შტოს კანიც წაუფხიკა... გულდაგულ მოუტკეპნა ძირი და კი არ მიატოვა, სანამდე წავიდოდა, ყოველ დილა-საღამოს უსხამდა წყალს.

— კი, ასე იყო, არ დამიჯერა... ნუ ტირი, სირცხვილია, კაცი სახლდება.

მეუღლე წელმოწყვეტილი ადგა და სახლში შევიდა.

კახიანების ეზოში ათამდე კაცი ტრიალებდა, თვითონ ნემსიწვერიძეს ხელში ხან გრძელტარიანი წალდი ეჭირა, ხან სასხლავი, მაღალ ბალახს სხეპდა, ყვავილებსაც თან აყოლებდა. ვარდის ბუჩქს თავი რომ წააცილა, ამოძირკვა, ღობის ძირას მიაგდო და მერე ალუჩის ნერგს დაეპანკურა, ვარდენს გული ჩაწყდა... ნემსიწვერიძესთან კეთილი მეზობლობა არ გამოუვიდოდა.

ეზოს ბოლოზე პატარა სახლს ჩავდგამო, არ გეწყინოსო, — თავი მოისაწყლა მაშინ ვარლამ ნემსიწვერიძემ, მაგრამ ბალავერი რომ გაჭრეს, მიხვდა კახიანი, სასახლის აშენებას რომ ეპირებოდა ახალი მეზობელი...

ერთი ფიქრით უნდოდა შედავებოდა, დაეშალა, დათქმისამებრ ცოტა მოშორებით მაინც წამოეწყო მშენებლობა... ასე ახლო თუ წამოჭიმავდა სასახლეს ნემსინწვერიძე, რაღა თქმა უნდა, ვარდენის ბინას დააბნელებდა...

ხელი ჩაიქნია, საყვედურიც არ დასცდენია.

მზე ჩემთვის დიდიხანია დაბნელდაო.

სულ რაღაც თვენახევარში ნემსინწვერიძემ ორსართულიანი სასახლე წამოჭიმა და ეკლარის ქვის ფილებითაც გააწყო.

ვარდენ კახიანს უკვირდა, ბუღალტერს ამდენი რა გააჩნდაო!

მერე და მერე ვარდენის ეზოს სხვებმაც დაუწყეს თვალების პრაწვა. ზოგი ჩუმად უვლიდა ეზოს გარშემო, შელანძღულ ღობეში იჭვრიტებოდა, ზოგიც დაურიდებლად, თავხედურად ათვალიერებდა იქაურობას, სამოსახლოს ირჩევდა და ინიშნავდა.

ერთნიც და მეორენიც განცხადებით მიმართავდნენ ალმასკომს, იქ აკვარახჭინებდნენ საქმეს, ვარდენ კახიანთან მხოლოდ და მხოლოდ დადგენილებით ცხადდებოდნენ.

ერთხელ შევიდა ალმასკომის თავმჯდომარესთან, ნამეტანს ნუ მიზამთ, არ დამიმსახურებიაო...

ნამეტანზე მეტიც უქნეს. ორ წელიწადში ოდესღაც უმშვენიერესი, მთელ იმ უბანში განთქმული, ხეხილით დახუნძლული კახიანების დიდი ეზო დააქუცმაცეს, დააქიაქეს, გადაღობ-გადმოღობეს და შიგ ერთიმეორის მიყოლებით, ერთიმეორის ნახედვითა და ჯიბრით ერთიმეორეზე უკეთესი სახლები ჩადგეს.

ვარდენ კახიანის ძველი, იმ ქუჩაში ოდესღაც ყველაზე ლამაზი ქვითკირის სართულნახევრიანი სახლი საცოდავად მოიბუზა, დაკნინდა, დაპატარავდა.

ვარლამ ნემსინწვერიძემ ვარდენის მხარეზე მაღალი ღობე გაჭიმა და სამეზობლო ჭიშკარიც კი არ დაუტნია.

კახიანმა გადალმა მეზობელს, თეოფილე აბზიანიძეს ბერძნულა ლელვის ტოტი სთხოვა. თუ გინდა სულ მოვთხრი იმ ხეს და შენს ეზოში დავრგავო.

ტოტი არჩია.

კიბის ახლო ჩაასო მიწაში, გაახარა.

სახლის წინ შემორჩენილი მიწის ცოტაოდენ ნაკვეთს ტრიფოლიატის ცოცხალი ღობე შემოავლო, ჭიშკრიდან — კიბემდე გზა-ბილიკი აგურის ნატეხებით მოკირწყლა და ყვავილებიც ჩააყოლა.

თეოფილემ ურჩია, ვენახიც დარგე, გაოცებას ვერ მოასწრებ, ისე მალე გაგახარებსო, ტალავრის ჩრდილით სულს მოიბრუნებო.

კაკლის ჩრდილიც მყოფნისო, — კაკლის ხისკენ მიახედა მეგობარი.

თეოფილე არ დაეთანხმა, იმდენი უჩიჩინა, დაიყოლია. თვითონ მოიტანა [illegible] ნერგები და ჩარგო.

ბიბლიოთეკა

ვარდენს სახლის უკან გახედვას სიკვდილი ერჩია... ველარ იტანდა ბაპუასეულ ეზო-გარემოს ასე გაპარტახებას და იმასაც განიცდიდა, რომ ამდენ დაუპატიჟებელ მეზობელთაგან, არცერთს მადლობა, უბრალოდ ორი ლერი თბილი სიტყვაც არ დასცდენია. სახლის უკანა კიბესთან ბერძნულა ლელვი ხარობდა, ბაბო დღეში ათჯერ მაინც დახედავდა, აცრემლდებოდა.

ვარდენმა გარისკა, ლელვის ხე მოთხარა, წინ გადმოიტანა, საგულდაგულოდ მოუფხვიერა ძირი და წყალიც ბლომად მიუსხა, მაგრამ უცებ შეეშინდა, ვაი თუ ვერ გაიხაროს, ვაი თუ გამიხმეს, რაღა მეშველება, ბაბო მომიკვდებაო...

ლელვმა გაიხარა, დიდრონი ფოთლები დაყურსა და დაიმშვენა, მაგრამ მისმა გახარებამ მეუღლეს ვერ უშველა.

ორად ორი კვირა ივავადმყოფა და ერთხელაც ხმამაღლა არ დაუკვნესია, ვარდენი შეწუხდებაო, იჯავრებსო, არ დაეძინებაო.

ქმარი მთელი ღამე სასთუმალთან უჯდა ავადმყოფს, წამლებს თავის ხელით ასმევდა, ტილოს უსველებდა, უცვლიდა, ჩაის უდულებდა. უთენია სამსახურში წასვლამდე ბაზარსაც მოივლიდა, მეუღლესათვის რიგდარიგები მოჰქონდა.

ვარდენს თეოფილეს ქალიშვილი ცუცა შველოდა.

შვილები?

უფროსი ვაჟი კოტე ცოლშვილით თბილისში ცხოვრობდა, ერთერთი საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი იყო, საკანდიდატო მინიმუმი ჩაბარებული ჰქონდა, დღე-დღეზე ხარისხი უნდა დაეცვა და არ ეცალა...

დედის ავადმყოფობა შემთხვევით შეიტყო და ტელეფონით ელაპარაკა მამას, რა ამბავია და როგორ ხართო?

— ვცოცხლობთო, — უპასუხა ვარდენმა.

— დედა დამალაპარაკეო!

— სძინავსო.

— ხომ არაფერი გჭირდებათო...

— არაო...

ეს იყო და ეს. მერე დაკრძალვაზე ჩამოვიდა და თეოფილეს თქმისა არ იყოს, მგონი დედის გარდაცვალებაზე უფრო დიდი ეზოს ასე განიავება ეწყინა.

კოტეს მომდევნო ძმა შაქრო ომიდან არ დაბრუნებულა.

სულ უმცროსი ქალიშვილი ვარდიკო თბილისელ ბიჭს გაეკიდა, ოთხ წელიწადში სამი გოგო გააჩინა. ქმარს მაინცა და მაინც არც თუ გასამხელი თანამდებობა ეჭირა, არ სდუ-

ლდნენ და გადმოსდულდნენ, მაგრამ მათ ცხოვრებას არც ხელვიწროდ ცხოვრება ეთქმოდა.

ვარდიკო დედის გარდაცვალების წინა დღეს ჩამოვიდა, მამა საყვედურებით აავსო, რატომ ადრე არ შემატყობინეო, ქვეყანას შევძრავდი და რალაც საშველს გავაჩენდიო... ასე იყო თუ ისე, დედამ ქალიშვილის მკლავზე დალია სული.

პანაშვიდებზე კოტე მამის გვერდით იდგა და სამძიმარზე მოსულ ნაცნობ-ნათესავებს მედიდურად ართმევდა ხელს.

ვარდიკოს თმა გაეშალა, ხმაჩაგუდულად ტიროდა. ხალხი რომ მოძალდებოდა, ხმას უწევდა, — შენ შემოგევლე, დედიკო, სული ჩემს მკლავებზე დალიე, ვერაფრით ვერ გიშველეო. — მოთქმაში ომში დალუპული ძმის სახელსაც გამოურევდა, — უბედური და გამწარებული დედაჩემი შაქროს დარდმა იმსხვერპლაო.

გვიან, პანაშვიდი რომ დამთავრდებოდა და ხალხი წავიდ-წამოვიდოდა, სამივე მამაშვილი თავთავიანთ საფიქრალს მიეცემოდა.

ვარდიკო შვილებზე და რუსეთში ფულის საშოვრად ვითომ მივლინებით წასულ ქმარზე წუხდა.

კოტე სამეცნიერო ხარისხის დაცვაზე და მასთან დაკავშირებულ ხარჯებზე ხმამაღლა წუწუნებდა, მამას რბილად საყვედურობდა, ამოდენა ეზო მუქთად არ უნდა დაგეთმოო. ამ მხრივ ეჭვს არც გაუკენწლავს, კარგად იცნობდა მამის ხასიათს, მის ღირსებებს, მამაპაპისეულ ეზო-გარემოთი ვაჭრობას ვარდენ კახიანი არ იკადრებდა.

დედის დაკრძალვის მეორე დღესვე კოტემ და ვარდიკომ მამა შუაში ჩაიჯინეს, დაუტკბნენ, დაუთაფლდნენ, დედის ამაგი და კაიქალობა გაიხსენეს, არც მამის ღვაწლი დაივიწყეს, წაიტირეს კიდეც, ეტყობოდა წინასწარ იყვნენ მოლაპარაკებულნი, ორივე ერთ მიზანს, ერთ წერტილს ალურჯებდა...

— რა უნდა ჰქნა, როგორ უნდა იცხოვრო ანი, მამაჩემო? — მორიდებით და მოგონილი სინანულით წამოიწყო კოტემ... — ცოდვა ხარ, მარტო რა გაგაძლებინებს... სხვა რომ არაფერი, დარდი გამოგჭამს გულს... რალაც უნდა მოვიფიქროთ, მამა... ვარდიკოს სამი შვილი ჰყავს გასაზრდელი, ქმარი და, რაც მთავარია, ავადმყოფი დედამთილიც მაგის მოსავლელია. თან ბინაც არ აქვს შესაფერი... ჩემთან უნდა წამოხვიდე. ღვთის წყალობით ბინა კარგი მაქვს. კი ხარ შენ ერთხელ ნამყოფი... იმ ოთხი ოთახიდან ერთი რომელიც უფრო მოგეწონოს და დაისამხრისო, აირჩიე და იცხოვრე შენ გემოზე...

— სადაა, ჩემი რძალი? — მხოლოდ ახლა დასვა კითხვა ვარდენმა, მაგრამ კოტე მოუმზადებელი არ დახვედრია მამის სამართლიან კითხვას. საყვედურს ელოდა და წინასწარ ჰქონდა გამზადებული პასუხი.

— წევს, მამა. მთელი კვირაა ლოგინიდან ფეხი არ ჩამოუდგამს, თორემ იქ რა გააჩერებდა... სიცხიანი დავტოვე, შენს თავს ვფიცავარ. — ცხვირსახოცი ამოიღო, შუბლიდან ოფლი გადაიწმინდა.

ძმას და წამოეშველა: — თუ ჩვენი სიყვარული გაქვს, წამოდი თბილისში, მამა. კოტესთან იცხოვრე, მეც იქვე გეყოლები, აბა, რა გამაძლებინებს ანი უშენოდო — აფლიკვინდა.

— მე თქვენზე უკეთ ვიცი სად უნდა ვიცხოვრო. — ვარდენმა ჯერ ქალიშვილს შეხედა, მერე ვაჟიშვილს, ორივეს გაუსწორა თვალი და ეს ცოტა ესიამოვნა, წამოდგა და სათქმელი ასე მოამთავრა: — თქვენ თქვენს ოჯახებს მიხედეთ!

წასვლის წინ კოტემ საგულდაგულოდ მუშტრის თვალით გაზომა და გადაწონა სახლკარი და ნეტავი რა ფასად გაიყიდებაო, გაიფიქრა, მამა გადაკოცნა, ჯიუტი ხარ, ჯიუტი და ამიტომაც უფრო მიყვარხარო...

ვარდიკოც მოეხვია და ატირდა: — მაპატიე, მამიკო, დედაჩემის კუბოსთან შვილებიც კი ვერ დავაყენეო, შენი კეთილი გულის ამბავი ვიცი, ყველაფერს გამიგებ და არ დამემდურებიო.

შვილებს ჭიშკართან გამოეთხოვა, კეთილი მგზავრობა უსურვა, გულის ჭეჭკი არ გაუმხილა, გულშივე ჩაიტოვა.

ნელა შემობრუნდა ეზოში, კაკლის ხეს ხელი მიუტყაპუნა და მერე გაახსენდა ჭიშკარი დაუკეტავი რომ დარჩა.

ჭიშკართან თეოფილე აბზიანიძე იდგა.

— შენ ხარ? — ზონარშეუბნეველ ბათინკებიდან — ფაფანაკა ქუდამდე ააყოლა დალლილი მზერა ვარდენმა. მერე ზანტად ჩამოატარა ქვემოთ, ცალბაფთიან ქამარზე და წინდებში ჩატნეულ ხეხეშა შალის შარვალზე შეაყოვნა წამით და ისევ ვიწრო მხრებზე ააცოცა თვალი... საბოლოოდ ოდნავ წინჩამოკეცილ ფაფანაკა ქუდს შეფარებულ წვრილწვრილ ცოცხალ თვალებზე შეჩერდა...

— კი, მე ვარ, — თავის მხრივ შეათვალიერა მეგობარი თეოფილემ, მასაც უნებურად, უკითხავად გაექცა მზერა, თორემ დღეში ორჯერ-სამჯერ მაინც ხვდებოდა მეზობელს, მუდამ აკურატულად რომ ეცვა, უჟილეტოდ და უქუდოდ ეზოშიც რომ არ გაივლიდა.

— წავიდნენ არა? — იკითხა თეოფილემ.

— ის ბიჭი დღეისწორ სამშაბათს საკანდიდატოს იცავს... გოგოს შვილები ავადმყოფი დედამთილის ამარა დაუტოვებია... რა ქნან!

— ჰო, რა უნდა ქნან! — თეოფილეს ასე-

თი ჩვეულება ჰქონდა, სათქმელს ბოლომდე არ იტყოდა, ჩაგრეხდა, ჩალვლერჭავდა, რალაცას დააკლებდა.

შინ შევიდნენ, თეოფილემ სიგარეტს მოუკიდა. კუთხეში მიდგმულ ტახტზე დაჯდა.

კედელზე შაქროს სურათი ეკიდა, თეოფილე იმ სურათს მიშტერებოდა და შაქროზე კი არა, თავის ტყუპ ბიჭებზე ფიქრობდა, იმ დღეზეც ფიქრობდა, ვარდენ კახიანის ეზოში კონია ფოსტალიონმა შავი ქალალდი რომ ჩამოაგდო. კივილზე ყველას მიასწრო, სული ძლივს მიიტანა, ბაბუცა ბალახში თავჩამხობილი ბლაოდა, თმებს იგლეჯდა, ბალახს ორივე ხელით ბდღვნიდა და პირში იტენიდა. ყველას... და თეოფილესაც ეგონა, შეიშალაო.

ვარდენი რომ გამოჩნდა, ცოლი ისევ მიწას ჩაყმუოდა, მეზობლებიც ხმამაღლა მოთქვამდნენ.

ვარდენმა ქალის ახლო ჩაიჩოქა, ბიბინა ბალახს ისე გადაუსვა ხელი, თითქოს წინ შვილის ცხედარი ჰყოლოდეს გაშოტილი. უხმოდ, მამაკაცურად ილმუილა ერთხანს და მერე ცოლს უთხრა; — ადექი, შე საწყალო!

ხალხი გაირინდა, ყველა მოელოდა, რომ ბაბუცა ქმარს შეეკამათებოდა, კივილს, ყვირილს მოყვებოდა, ისე მოიქცეოდა, როგორც შეშლილ თუ ნახევრადშეშლილ ადამიანს მოეთხოვებოდა. მსგავსი არაფერი, ბაბუცა მორჩილად ადგა, მეზობლებს მიაშტერდა და ჩუმად, ძლივს გასაგონად თქვა: — მიშველეთ ხალხო!

მაშინაც, მაშინაც გულზე მდუღარე ესხა თეოფილე აბზიანიძეს და ღმერთო შეგცოდე, შაქრო კი არა, ტყუპი ბიჭები ედგა თვალწინ.

მალე თეოფილეს ოჯახიც დაიქცა, ცოლი ლოგინად ჩავარდა და ახლაც, აუ, რამდენი წლის შემდეგაც, საწოლსაა მიჯაჭვული.

ცუცა ახლად ფეხადგმული იყო მაშინ და რომ ვარდენი და ბაბუცა არა...

სალამოობით დასხდებოდნენ მეგობრები და სდუმდნენ. თეოფილე სიგარეტს ან გაზეთში შეხვეულ თუთუნს ლეჭავდა, ვარდენი ჩიბუხის ტარს.

— თქვი, ბიჭო, რამე! — როდის-როდის იტყოდა თეოფილე.

— რა მეთქმის...

რა მეთქმისო და მართლაც, თეოფილეს შემხედვარეს, მისი ტყუპი ბიჭების, დავრდომილი მეულლის გამხსენებელს, რალა ეთქმოდა!

...შაქროს შავჩარჩოიან სურათს უცქერდა ახლა თეოფილე აბზიანიძე და თავის შვილებზე ფიქრობდა... დიდხანს იფიქრა, სიგარეტი ჩაუქრა, ალარ მოუკიდებია, საფერფლეზე დააგდო.

— მითხარი, შე ულმერთო, რამე? — მოესმა ვარდენის ხმა.

„რა მეთქმისო" კინალამ წამოსცდა, მაგრამ დროზე გატკვირა ენა.

ჩუმად ისხდნენ.

— ბაბუცას სურათიც იქ [illegible] — კედელს გახედა თეოფილემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ა!?

— კი, შვილის გვერდით აჯობებს, ურჩევნია. — უფრო დაბეჯითებით გაიმეორა.

ბაბუცას გადიდებული სურათი ჯერ კიდევ საწოლზე ესვენა.

ვარდენი დაფაცურდა... ლურსმანი და ჩაქუჩი მოიძია. თეოფილე ტახტზე შედგა, კედელზე ლურსმანი მიასო. ვარდენმა ჩარჩოს ზონარი მიამაგრა, სურათს ჩვარი ფრთხილად გადაუსვა და თეოფილეს მიაწოდა.

თეოფილემ სურათი დაკიდა და ვარდენს მოუბრუნდა, — კარგად დაუკვირდი, ხომ სწორად ჰკიდიაო.

— კარგიაო, — თქვა კახიანმა.

თეოფილე ტახტიდან ჩამოვიდა, ოთახის მოპირდაპირე კედელს ზურგით მიეყრდნო, სურათებს გახედა, ხან ერთ მხარეს გადასწია თავი, ხან მეორეს, რალაც არ მოეწონა, თვალში არ მოუვიდა, ისევ შედგა ტახტზე, გაასწორა.

მერე ჩამოსხდნენ, გააბოლეს.

— აბა, იმ სამშაბათს იდგამს მეცნიერების ულელს კოტე, არა?

— წადი ახლა სახლში, თეოფილე! შენს მისვლამდე არ დაიძინებენ შენიანები!

— კი, წავალ. — ადგა. — ჭიშკარს მე ჩავკეტავ.

მეორე დღეს სასაფლაომდე ერთი სამოყვრო გზა ფეხით გაიარა.

— გამარჯობა, ბაბო! — უთხრა საფლავს, ჩამოჯდა და იქაურობა მოათვალიერა. ირგვლივ სულ შავი მარმარილოთი გაწყობილი, თუჯის მესრით შემოღობილი საფლავები შემოჯარულიყო, პატარა ჭიშკრებზე ბოქლომებიც კი ეკიდა და ეს გაუკვირდა ვარდენ კახიანს. ყველაფერი — ყველაფერი, მაგრამ აქ ბოქლომი რალა საჭიროაო...

დედმამისა და მეულლის სამარხი მდიდრულ საფლავთა შორის ნამეტანი საცოდავად გამოიყურებოდა. ასე არ ივარგებსო, სხვა თუ არაფერი, დამზრახავენო და საქმე გაიჩინა. ხელოსნები მოიყვანა, სამარხს ეკლარის ქვა შემოავლო, მოზრდილ ტირიფს, დედ-მამის საფლავთან რომ ხარობდა, გვერდში მეორე ტირიფი ამოუყენა, ყვავილებიც დარგო და მოაშენა.

სასაფლაოს ახლო-მახლო მცხოვრებნი გასაოცარი სიმშვიდითა და გულგრილობით აყოლებენ თვალს მიცვალებულებს, ხანდახან დღეში სამჯერ, ხოლო კვირაში ვინ დათვლის რამდენჯერ რომ ჩაატარებენ ჭიშკართან... შეჩვეულ-შეგუებული აქვთ თვალი და ყური

მოთქმისათვის... და მაინც ბევრმა მათგანმა რატომღაც დაიხსომა მაღალი, აკურატულად ჩაცმულ-დახურული მოხუცი, ყოველ შაბათ-კვირას რომ ჩაივლიდა ქუჩას და დინჯად შეაღებდა სასაფლაოს ჭიშკარს. დარწმუნებული იყვნენ, რომ მოხუცი შვილის საფლავზე დადიოდა და რაოდენ დიდი იყო მათი გაოცება, როცა იგი მეუღლის საფლავთან ნახეს თავდახრილი...

...კედელზე ორი სურათი ჰკიდია, ფანჯრებზე შეყვითლებული, შეცრეცილი ფარდები. კვირაში ერთხელ, ჰა და ჰა, ორჯერ გაიღება ფანჯრები, გადაიწევა ფარდები და ქვითკირის ძველ სახლში შურიანი მეზობელივით შეიხედავს მზის სხივი...

...ვარდენ კახიანს ავადმყოფობა შემოეჩვია, მოეძალა და გაუშინაურდა. ხან რა ატკივდებოდა და ხან რა, მაგრამ ითმენდა, არ იმჩნევდა, თეოფილე აბზიანიძესაც კი არ უძხელდა, დაწოლა კი არა წამოწოლა ეჯავრებოდა, სულ დადიოდა, სულ ეზოში დაბაჩუნობდა, მოძრაობდა.

სიკვდილი ფეხზე მდგომს ვერ შემომბედავსო... თუ მაინცა და მაინც გარდუვალია, მოვიდეს, ბატონო, მომსინჯოს, ან სამსახურში, ჩემს პატარა, თბილ ბიბლიოთეკაში შემომივარდეს, ან ეზოს ტალავერის ქვეშ მოფუსფუსეს გამომეცხადოს, ან კვირა დღეს პირდაპირ სასაფლაოზე მომაკითხოს, ყაჩაღივით დამესხას თავს და გამათავოსო.

ჩემი ჩაწოლა არამც და არამც არ შეიძლებაო, სხვა თუ არაფერი, თეოფილე აბზიანიძე მოცდება ოჯახს, დავრდომილ მეუღლეს მისი თბილი ხელი მოაკლდებაო. თან ვინმე... რალა ვინმე რა... თვითონ თეოფილე დაურეკავს ჩემს შვილებს... მაშინვე გამოიქცევიან.

გამოიქცევიან კი? ეკითხებოდა მეორე გული.

რატომაც არა... ამ სახლკარს ხომ უნდა უპატრონონ, ფულად ხომ უნდა აქციონ აქაურობა...

კი, აუცილებლად ჩამოვლენ.

...აივანზე ზის ვარდენ კახიანი, ფიქრობს:

„რომელი ჩამოასწრებს? ვარდიკო თუ კოტე? იქნებ სულაც სიძემ იმარჯვოს...

საკანდიდატო მოვათავე, უკვე სადოქტოროზე ვმუშაობ, — დარეკა ამას წინათ კოტემ, სულ მალე პროფესორი შვილი გეყოლებაო.

კარგია... დიახაც უნდა იამაყოს მამამ კარგი შვილით, შვილებით...

მაინც რომელი რომელს ჩამოასწრებს, ა?

რალა საკითხავია, კოტე ჩამოვარდება თავქუდმოგლეჯილი... ოჯახსაც მიატოვებს, სადოქტოროსაც გვერდზე გადადებს და კი არ გამოემგზავრება, გამოფრინდება... ო, რა თვალებდაწკურული მიჩერებოდა და ამოწმებდა მაშინ ყოველ კუთხე-კუნჭულს, იქნებ ორმოცამდეც მიაყიდოს აქაურობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვარდიკო?

სიძე-ბატონი?

ვაი თუ წაიკიდნონ, ვაი თუ მიცვალებულსაც დამასხან თავსლაფი!

მე თვითონ ხომ არ გამეყიდა და მოვრჩენილიყავი!

ვითომ დამზრახავდნენ? გამკილავდნენ? რატომ, ბატონო, რას მერჩიან? მოხუცმა, თითქმის დაუძლურებულმა მამამ შვილთან რომ გაატაროს სიცოცხლის ბოლო წლები თუ თვეები... რატომაა ეს დასაზრახი?

თეოფილე რალას იტყვის?

სიგარეტს გალეჭავს, ბაბუცას სურათს შეხედავს, თავს გადააქნევს და მომწამლავს, შენ უფრო იციო!

რა ვიცი მე? რანაირად გინდა შეასმინო და დაარწმუნო თეოფილე აბზიანიძე, რომ მე დიდი არაფერი გამეგება... ერთი ბუზღუნა, მუდამ გაულიმარი და გაუხარელი, საანგარიშო კოჭებს თანგადაყოლილი, ჯიუტი და მიუდგმოელი ბერიკაცი ვარ. ესაა და ეს.

ასეთი ვიყავი მუდამ...

ასეთი ვიყავი მაშინაც, როცა იმოდენა საწარმოს მთავარი ეკონომისტობა შემომთავაზეს, თუმცა ორმოცდამეხუთე წელიწადში კი გახლდით გადამდგარი.

ვერ შევძლებ მეთქი, რომ ვუთხარი დირექტორს, კინალამ გადაირია. დიდხანს, ძალიან დიდხანს მიყურა დაჟინებით, ინტერესით, უთუოდ მარჩიელობდა: თავპატიჟს ვიდებდი, ყასიდად ვამბობდი უარს საპატიო თანამდებობაზე, თუ მართლა არ ვიყავი ჭკუაზე...

მთავარი ეკონომისტობა ასე ადვილი, ასე ხელწამოსაკრავი თანამდებობა ჰგონიათ...

ცოტახანს გაცლი, მოიფიქრეო, — განმიცხადა დირექტორმა, თან მანიშნა, საუბარი დამთავრებულიაო.

მთელი სამი თვე მოვუნდი ფიქრს. ამასობაში დირექტორი ეკონომისტს ეძებდა, ვის არ ურეკავდა, ვის არ თხოვდა, მთავარი ეკონომისტის ვაკანტური ადგილი მაქვს, ჩემიანი, ყოველ მხრივ სანდო კაცი მჭირდებაო..

ეტყობა, ასე ყოველმხრივ „შემკული" ეკონომისტი ვერ გამონახა და კი აღარ გამომიძახა, ბრძანება უკვე ჩემს დაუკითხავად გააშანშალა... რალა უნდა მექნა, ბრძანება ჩავიბარე და შევუდექი დიდ საქმეს...

ეჰ, რა მოვლენებმა არ ჩაიარეს ჩემს თვალწინ, რა არ ხდებოდა ჩემს ირგვლივ, აშკარად და თვალხილულად. როგორ მიტრიალებდნენ და მოწრიალებდნენ დირექტორის სანდო კაცები, რას არ მპირდებოდნენ, ოღონდ მათ შემოთავაზებულ პირობაზე დავთანხმებოდი, წრე-კარუსელში ერთერთ გორგოლაჭად

მეც შევბმულიყავი, მეჭამა, მესვა, ქონება და ფული დამეგროვებინა...

ვერაფერი მომიხერხეს და ისევ დირექტორმა მიმიხმო, დამიყვავა, მომეფერა, შემაქო...

მე წინასწარ ნაგულვები განცხადება სამუშაოდან განთავისუფლების თაობაზე წინ დავუდევი. ახტა და დახტა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. რას ჰქვია სამუშაოდან გაგათავისუფლოო, სხვა თუ არაფერი, რატომ არ გრცხვენია, მაგას რომ მეუბნებიო... შენისთანა სანდოსა და მცოდნე ეკონომისტს სად ვიშოვიო... — თავისი მაგიდიდან გამოვიდა, დივანზე დაჯდა და მეც მიმიწვია.

— მეო, ჩვენო... გვინდა ცოტა მდგომარეობა გამოიკეთოო, შენც შეავლო ფულს ხელიო... კი, პირდაპირ ასე მატაკა: ჩაიცვა და დაიხუროო, შვილებს და მეუღლეს მიხედოო, თავადაც გაიარ-გამოიაროო... ასეა ეს ქვეყანა მოწყობილი და შენ ჯერ ერთი მერცხალი ხარ, ნამეტანიც რომ აფათქუნო ფრთები, გაზაფხულს მაინც ვერ მოიყვანო. — ცოტახანს იყუჩა და განაგრძო:

— ყურები გამოიფხიკე, ვარდენ ჩემო, თვალებში ხელი ამოისვიო, გაიხედ-გამოიხედე, ხალხი რა სახლებს და აგარაკებს იშენებსო... ახლა ისიც გაიკითხე, შვილსა და მომავალს რას უშვებიანო... ზოგი მოსკოვში აწყობს სამედიცინოზე, ზოგი სვერდლოვსკშიო... მერე ჩემი კოლეგა, ცოტა უფრო მორჩილი საწარმოს მთავარი ეკონომისტი მიხსენია, — იმანო, წინა კვირაში ვოლგა — 21 ვითომ ლატარიაში რომ მოიგო, ვინ ჭამს მაგასო... ლატარიის ბილეთი იყიდა და რამდენი გადაიხადა რომ იცოდე, ჭკუას დაკარგავო.

— არ გინდათ, ისედაც ვიცი-მეთქი და საწერ მაგიდაზე გაშლილ ჩემს განცხადებას გადავხედე...

იგი წამოდგა და შემომღლიმა: — წაბრძანდით ახლა, ვარდენ ბატონო, იმუშავეთ, როგორც გენებოთ, იყავით ამ საწარმოში, ამ ქვეყანაზე ასე ღირსეული და თავმომწონეო.

რაღა მექნა, დავლუნე თავი და განვაგრძე ჩემი საქმე.

იმ დღეს მაინც ბევრი ვიფიქრე, ღირდა კი ჩემი იქ დარჩენა? მაგრამ სად უნდა წავსულიყავი? ვის მივდგომოდი? რიგითი ეკონომისტის ადგილის შოვნა ჩემისთანა... სხვა თუ არაფერი, გამოცდილი მუშაკისათვის არ უნდა გაძნელებულიყო საერთოდ... და მაინც სამუშაო და ხელფასი არ იყო მთავარი... მთავარი ის გახლდათ, რომ ყველგან ან თითქმის ყველგან... მიჭირს მე ამის გაფიქრებაც... თორემ მართლა ბრმა და ყურებდავსილი კი არ ვყოფილვარ...

შეუჩვეველს შეჩვეული ჭირი ვამჯობინე და მერეც დიდხანს მედგა მთავარი ეკონომისტის მძიმე უღელი და იმ მოვლენების (ამ) წლებში ვეწეოდი ჩემს ჭაპანს.

ამას წინათ გამომიძახა დირექტორმა და ამჯერად პირდაპირ მომახალა: — თქვენ გადაილალეთ, ბატონო ვარდენ!

პასუხი არ მიმიცია, რადგან ის რაც მან ბრძანა, სულაც არ იყო შეკითხვის სახით თქმული, მის მიერ ნაფიქრი დადასტურებული და ბეჭედდასმული შეფასება მოვისმინე ჩემი ყურით.

მივხვდი, საიდან და რატომ რეკდა ზარს ასე აშკარად და ხმიანად. რევიზია — რევიზიაზე მოდიოდა და აი, სასწაული, მე... მთავარ ეკონომისტს, ახლოს არ მიკარებდნენ, ყოველმხრივ ცდილობდნენ ჩემს იზოლირებას და ახერხებდნენ კიდეც... ის რევიზორებიც სავსებით ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ და მათთან ადვილად პოულობდნენ დირექტორი და მისი თანამდგომნი საერთო ენას...

მაგრამ.

მაგრამ ბოლოს და ბოლოს იმდენ რევიზორებში ერთი ჭკვიანი თუ არა, ცოტა წინ გახედული კაცი თუ ქალი მაინც აღმოჩნდებოდა და იკითხავდა, ამხელა წარმოებას მთავარი ეკონომისტი აღარ ჰყავსო?

თვითონ მე... მეტი არაფერი გეტკინათ, თავს არ გამოვიდებდი, არ შევეჩეხებოდი, თუ გნებავთ იმიტომაც, რომ აქამდე არავის გავხსენებივარ და საერთოდ...

— თქვენ გადაილალეთ, ბატონო ვარდენ! — მატაკა ჩემმა დირექტორმა.

რატომ და რაში შემატყო გადაღლა, წარმოდგენა არ მქონდა...

კაბინეტიდან უხმოდ გამოვედი და სულ რაღაც ათიოდე წუთში პირადი მდივნის ხელით ასეთი შინაარსის განცხადება შევუგზავნე:

„წარმოება გაიზარდა, იგი უფრო გაიზრდება მომავალში, მე უკვე ასაკოვანი ვარ. გთხოვთ გამათავისუფლოთ მთავარი ეკონომისტის მოვალეობისაგან".

ერთი კვირის შემდეგ დამირეკა, თუ გცალია, ჩემთან მობრძანდითო.

ვეახელი.

— გამინაწყენდით, არა? — ჩემს პასუხს არ დაელოდა, — ნუ დამემდურებით, თქვენც ხედავთ, როგორი ვითარებაა ჩვენს ქალაქში, ჩვენს საწარმოში საერთოდ... ყოველ დღე გვამოწმებენ, ბატონო, კრიჭაში გვიდგანან, გვზომავენ, გვწონიან, გვჩხრეკენ, ერთი სიტყვით, დენთით გატენილი კასრია ეს სკამი, ა! — თავის სავარძელს ხელი დაჰკრა. — ამ ახლებს... — თვალი თვალში გამიყარა, შემამოწმა, რა რეაგირება მოვახდინე მის სიტყვებზე, ეტყობა ვერაფერი ამოიკითხა ჩემს სახეზე და განაგრძო! — ახალ ხელმძღვანელებს არ მოვწონვართ და საცაა აგვაყუდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენ კედელზე... მაშინ ცოტა უხეშად გამომივიდა, გადაილალეთ-მეთქი, ბატონო ვარდენ... უხასიათოდ ვიყავი, მე და ჩემმა ღმერთმა ან ამდენ რევიზიებსა და კონტროლების გადამკიდე რანაირად ვიქნები ხასიათზე.

თქვენ კი... არც აციეთ, არც აცხელეთ და ჩვენი დატოვება გადაწყვიტეთ... ვერ მოგიწონებთ ასეთ ნაბიჯს, ბატონო... თუმცა თქვენი საქმე თქვენ იცით, მაგრამ ჩვენ... ამდენი ხნის თქვენნაირ თავდადებულ და პატიოსან მუშაკს, ასე ადვილად ვერ შეველევით... რაღაც საშუალო გამოვნახოთ, არც მწვადი დავწვათ და არც შამფური... მოგაშორებთ ბატონო, მთავარი ეკონომისტის მძიმე ტვირთს, დარჩით რიგით ეკონომისტად, ნუ გაგვიჯავრდებით ამაზე და ნუ ითაკილებთ ერთი საფეხურით ასე ვთქვათ...

— არა, როგორ გეკადრებათ... — სიტყვა უნებურად წავართვი. — დაქვეითება სულაც არ მეწყინება, არც ჩავთვლი თავს... ასე ვთქვათ... შეურაცხყოფილად-მეთქი.

— ცხოვრება კიბეაო, ბატონო... — მისი სახელი აღარ ვახსენე... — კიბეაო... ავდივართ და ჩამოვდივართ, ავყავართ და ჩამოვყავართ... ვითომ გავიღიმე...

გამოვიდა, ისევ ის მანერები, მოახლოება, ნაძალადევი ღიმილი, მხარზე ხელის მოთათუნება.

თხუთმეტი მანეთი დამაკლდა ხელფასზე. განა საქმე ხელფასშია? განა საქმე ფულშია?

მთავარ ეკონომისტად ქალაქის ახალი ხელმძღვანელის ყვავის ჩხიკვის მამიდაშვილი რომ ჰქვია, ისეთი ნათესავი გამოჩხრიკა, ჩემს კაბინეტში დასვა, პერსპექტივა და დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა.

ახალი უფროსი სულ ახალგაზრდა კაცი იყო, მესამე დღეს ორსაათიანი თათბირი ჩაგვიტარა, მთელი ჩვენი საქმიანობა დაიწუნა და მკაცრად გაგვაფრთხილა, დაგვემუქრა, სულ თითი გვიქნია, ანი სხვაგვარად, ახლებურად უნდა ვიმუშაოთ და ვისაც თავის იმედი არა აქვს, ხვალ სამუშაოზე ნულარ გამოცხადდებაო.

იქვე უნდა ავმდგარიყავი და გამოვთხოვებოდი ამხანაგებს, მაგრამ ასეთი რამ ჩემს ასაკსა და პიროვნებას არ ეკადრებოდა, თან... თან რაღა დავმალო და... ნამეტანი მაინტერესებდა თუ რას ნიშნავდა სხვაგვარად, ახლებურად მუშაობა...

ორიოდე კვირაში თავად გაუჭირდა, დაიბნა, ვერცერთ საქმეს თავი ვერ მოაბა, სულ რაღაც რჩებოდა, ხელიდან, გონებიდან უსხლტებოდა, ნერვიულობდა, ბრაზობდა, ჩქარობდა.

შევედი და დახმარება შევთავაზე, ვუთხარი, — გიჭირს, შვილო, შენ, ნუ მოგერიდება, შემკითხე რამე, არ დაგამადლი მე სიტყვასა და რჩევას-მეთქი.

— მართლა ნამეტანი [illegible]ლიარა, კაბინეტის კარები ჩაკეტა და გვერდში მომისვა...

მე ვუთხარი: — დაიხსომე, შვილო, და არც არასოდეს დაივიწყო: საანგარიშო დარგის მუშაკის აჩქარება, ანერვიულება, მით უმეტეს გაბრაზება, არამც და არამც არ შეიძლება-მეთქი.

დიდხანს ვისაუბრეთ. გონებაგახსნილი ახალგაზრდა აღმოჩნდა, ინტერესიანი.

მერე ერთხანს ჩემს დაუკითხავად არაფერს წყვეტდა, დარიგებას, სწავლებას არ თაკილობდა და ეს მომწონდა... ახალგაზრდა კაცი, სპეციალისტი, სხვაგვარად ვერც გაიზრდება.

მერე?

მერე მართლა დამიმძიმა მხრები წლებმა... თუ რამ ვიცოდი, თუ რაიმე კარგი და სასიკეთო შემეძინა ჩემი ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე, დაუშურებლივ გადავეცი ახალგაზრდა მთავარ ეკონომისტს, მანაც ბევრი რამ ისწავლა, გაითავისა, თანდათან მომაგრდა, მომძლავრდა და... ამითვალწუნა.

ისევ დავწერე განცხადება და ისევ პირადი მდივნის ხელით შევუგზავნე დირექტორს... გთხოვთ გამათავისუფლოთ სამუშაოდან, უკვე პენსიონერი ვარ, პენსიით გავიტან თავს-მეთქი.

დირექტორს მთავარი ეკონომისტი გამოუძახნია, დიდხანს ყოფილან ჩაკეტილნი... მერე მეც მიმიხმეს... შევედი, ვესალმე. გამოგიტყდებით და მე ველოდი მის უარს ჩემს განცხადებაზე ან რაღაც ამგვარს... გაგიგონიათ! ვიდექით ასე მუნჯებივით...

— ტექნიკური ბიბლიოთეკის გამგედ გადაგიყვანთო! — თქვა ბოლოს დირექტორმა. მთავარმა ეკონომისტმა შემომღიმა, ეს წინადადება მე ჩავაწოდეო...

ორივეს თავი დავუკარი და გამოვედი.

მას შემდეგ ვარ ჩემთვის მოსვენებული... კვირა ისე ჩათავდება, ბიბლიოთეკაში კაციშვილი არ შემოიხედავს... თუმცა, არა, მთავარი ბუღალტრის მოადგილე, ქალბატონი ვარვარა შემობრძანდება ხანდახან, რომელიღაც წიგნს აირჩევს და ფურცლავს.

ზუსტად დილის 9 საათზე მაინც ღიაა ბიბლიოთეკა.

ამაზეც ირევიან, რა ეჩქარება, რა მოარბენინებს ამ მამაცხონებულსო.

ჰმ!

სირბილის რა მოგახსენოთ და სრულ 8 საათზე კი ვდგები.

— გამარჯობა, ბაბო! გამარჯობა, შვილო შაქრო! — ვეტყვი სურათებს, მერე ლოგინს გავასწორებ. ძველი ჯარისკაცი ვარ მე... მერე

 

გაზქურას ავანთებ, ჩაიდანს შემოვდგამ, ჩაის დავაყენებ, წავისაუზმებ და გავუდგები გზას.

ქარხნამდე თითქმის ერთი კილომეტრია, 35 წუთს ვუნდები ამ მანძილის გავლას. გავაღებ ბიბლიოთეკას, გავაღებ ფანჯრებს, გავანიავებ ოთახს, დავჯდები და ველოდები ტექნიკური ლიტერატურის თაყვანისმცემლებს.

შვილი მალე დოქტორი გახდება, პროფესორის თანამდებობასაც მოიპოვებს, უნარიანი კაცია.

ხშირად მირეკავს, შემახსენებს, მარტო როგორ სძლებო, ხომ არ გადაგიწყვეტია ჩემთან გადმოსვლაო!

— არა, შვილოსან, კახიანების ბუდეს, კახიანაურს არ მოვშლი.

მე არ მოვშლი...

მაინც რანაირად მომეპარა და გამიშინაურდა ავადმყოფობა, ა!

გუშინწინ 45 წუთი მოვუნდი ქარხანაში მისვლას... მეგონა შევცდი-მეთქი და გუშინ საგანგებოდ დავინიშნე დრო, არ ავჩქარებულვარ, ჩემის ფიქრით არც ნაბიჯი შემინელებია, მაგრამ...

50 წუთი გაიტიკტიკა საათმა... წარმოგიდგენიათ?

რა მოხდება ხვალ, ზეგ!

თეოფილე აბზიანიძე მეუბნება, ნამეტანი კარგი სამსახური გაქვსო, ბაბუა შვილიშვილებით ცოცხლობს და ხარობსო, ამასაც ჩამინისკარტებს. ვიცი, ბატონო, ვინ — ვისით ცოცხლობს და არსებობს ამ წუთისოფელში.

რა ვქნა, ვერ შევაყვარე, ვერ მოვანატრე თავი ბავშვებს. ვერ მივეძალე, შორს დამრჩნენ, ნამეტანი შორს...

კოტემ თავის ბიჭს ჩემი სახელიც კი არ დაარქვა, ძველმოდურიაო, ჩემი წრის (ჰმ!) მომერიდაო... ევლო ამ ქვეყანაზე ვარდენ კახიანს!

ძმის ნახედვით ვარდიკომაც ვერცერთი გოგოსათვის დედის სახელი ვერ გაიმეტა...

რალაც დაგაკლდა სიბერეში, ვარდენ კახიანო, ის რალაც შვილებსაც დააკელი უთუოდ. სიბერეში თქვა, ვიძახი, თორემ არც არასდროს ყოფილხარ მომფერებელი, ალერსიანი.

ჩაეძინა.

დილით თვალი ძლივს რომ გაახილა, მიხვდა, დაგვიანებული იყო, ერთბაშად წამოიწია და... ღმერთო დიდებულო! ყველაფერი ყირაზე დადგა... ლოგინი კარუსელივით დატრიალდა, ტახტი, მაგიდა, სკამები იმ კარუსელში შებმულნი აღმოჩნდნენ და წალმაუკულმა ბზრიალებდნენ... კედელზე სურათები აღარ ეკიდა, შავი ფარდა დაშვებულიყო... ასე იბზრიალ-იტრიალა მთელმა ოთახმა ერთხანს და მერე ყველაფერი ერთად იატაკს დაენარცხა.

ხელი გულზე იტაცა და გაყუჩდა. მკერდში რალაც სწიწკნიდა, წვეტიან ნისკარტს სცემდა, უკაკუნებდა. გულს ხელი [illegible] ნამდვილად მოიძია, ჩაავლო [illegible] მოსწია, მოწურა.

ასე ექაჩება და ძირკვავს გლერტა ბალახის ფესვებს გლეხკაცი.

ნელა გადაწვა ბალიშზე, ცნობიერება არ დაუკარგავს, მიხვდა თუ იგრძნო, რომ რალაც დიდ, უსაშველოდ დიდ დარტყმას გაუძლო, თვალები დახუჭა და უარესის მოლოდინში გაირინდა.

კარის გალრჭიალება გაიგონა, უნდოდა დაენახა, თუ ვინ იყო ის ღვთიან-მადლიანი, სიკვდილის წინ რომ გამოეცხადა.

თეოფილეს არამც. და არამც არ ელოდა, თეოფილე აბზიანიძის ფიქრით ვარდენი დიდიხნის მისული უნდა ყოფილიყო ბიბლიოთეკაში.

უთენია დგებოდა თეოფილე, საქმე ჰქონდა თუ არ ჰქონდა, ახალ შეთენებულში ფეხზე იდგა და ეზოში იწყებდა ბორიალს. ქალიშვილის მარჯვენის წყალობით ეზო სულ მოკრიალებულ-მოკასკასებული იყო.

ძაღლს აუშვებდა, მერე ხან ბოსტანში ჩაიხედავდა, ლობეს ხელს შეავლებდა ან თვით ბოსტანში გაიჩენდა საქმეს.

მართლაც ავ თვალს რომ არ დაენახვებოდა, ისეთი ბოსტანი ჰქონდა. რატომაც არა, მესამედ მარგლიდა პამიდორს, ბადრიჯანს...

გულს ბორიალით რომ მოიჯერებდა, ეზოშივე შეისხამდა ცივ წყალს სახეზე. ამასობაში 8 საათიც მოაღწევდა და თეოფილე უკვე აივანზე იჯდა, სიგარეტს ორი თითით არბილებდა, ეთამაშებოდა, თვალი კი ქუჩისკენ ეჭირა, საცაა ვარდენ კახიანს უნდა ჩამოევლო და დილის სალამი ეთქვა.

კაიკაცის დაუმადლებელი სალამი ცოლის ნამზვითს სჯობიაო, იტყოდა თავისივე შესწორებულ-შეკეთებულ ანდაზას თეოფილე აბზიანიძე.

იმ დღეს ვარდენი საერთოდ რომ არ გამოჩნდა, პირველად ეს გაიფიქრა, დასვენების ან უქმე დღე ხომ არ არისო! ხუთშაბათი იყო, არავითარი უქმე.

ათის ნახევარზე ჭიშკართან გაჩნდა, გამოალო, ქუჩაში გაიხედა, იქნებ ჩაიარა და ვერ შევნიშნეო, ვითომ დაიიმედა გული, მაგრამ ეს ვარაუდი იმწამსვე უარყო, ვარდენი აივანზე თეოფილეს თუ ვერ დაინახავდა, თავად შემოაღებდა ჭიშკარს, მოიკითხავდა.

...— გაგიტკბა ძილი? — კარებშივე თქვა თეოფილემ და წინწადგმული ფეხიც გაუშეშდა, ველარ დასძრა, მეორე წამში უკვე ლოგინთან იყო, ყველა უბედურებას მიხვედრილი.

თეოფილე აბზიანიძეც ნაომარი, ჭირნახული კაცი გახლდათ და არიქა მომეშველეთო, კი

არ აყვირებულა, ტელეფონს ეცა, სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახა.

სასწრაფო დახმარება არც თუ მაინცა და მაინც სწრაფად მოვიდა, თეთრთმიანმა ექიმმა და ასევე ხანშიშესულმა ექთანმა მთელი საათი უტრიალეს ავადმყოფს, პირველი აუცილებელი დახმარება აღმოუჩინეს და თეოფილე, როგორც ერთადერთი თავმდგომი, საგულდაგულოდ გააფრთხილეს, ავადმყოფი არამც და არამც არ უნდა გაინძრესო, თუ მდგომარეობა გაუარესდა, მაშინვე დაგვირეკეთო.

თეოფილეს ქალიშვილმა მოაკითხა, კახიანის დანახვაზე ლოყებზე ორივე ხელი იტკიცა, შეწუხდა, ვარდენი მას მამასავით უყვარდა.

თეოფილეს გული საგულეს მაინც არ ჰქონდა, სასწრაფო დახმარების ექიმებს იგი ექიმებად არ სთვლიდა. ქალაქში ყველაზე განთქმულ თერაპევტთან ქალიშვილი აფრინა... ცუცამ ცნობილი ექიმი ტაქსით მოიყვანა. მან ფრთხილად გასინჯა ავადმყოფი, მკურნალობა დაუნიშნა, სასწრაფო დახმარების ექიმის მიერ მიღებული ზომები გადაამოწმა და, თეოფილე აბზიანიძის გასაკვირვებლად, ყველაფერი მოიწონა.

— ადგილიდან არ დაიძრასო, — თქვა ბოლოს, — საღამოს თვითონ გეახლებით, თქვენი მოკითხვა არ მინდაო, ბატონ ვარდენს დიდიხანია ვიცნობ და უაღრესად დიდ პატივს ვსცემო.

ექიმი მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი იყო, ნახევრად მელოტი, ცოცხალი კეთილი თვალებით, მომღიმარი, იმედიანი სახით, ასე რომ უხდებათ და სჭირდებათ მკურნალებს საერთოდ.

საღამოს კახიანმა დაილაპარაკა.

თეოფილე ტახტზე იჯდა და ვარდენის ხმა რომ გაიგონა, ყურებს არ დაუჯერა, პატარა ბიჭივით შეხტა, ლოგინთან მიირბინა და ჩაკითხა, რა თქვიო?

— ცოცხალი ვარო!

— აბა, რა. — იმწამსვე დაუდასტურა, — სულ უბრალო ამბავია, ძმობას გეფიცები, ასე თქვა სიმონ ექიმმა, განაცნობა შენ... განაცნობა კი არა და... გადაღლილია, ბატონი ვარდენიო, ერთ კვირაში, თუ უფრო ადრე არა, ფეხზე დავაყენებო, საჭმელები შერჩევით მიეცითო, არაფერი შემოაკლოთო, ახალი ქათამი ნამეტანი ჩაუხარშეთო, ბულიონი მისწრებააო.

მეორე დილით შეაპარა, თბილისში ხომ არ დამერეკაო...

ვარდენმა მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი გააქნია, არაო.

— ისე გითხარი, თორემ რა საჭიროა დარეკვა, რატომ უნდა შევაწუხოთ ისინი... — შვილებიო არ თქვა. — ახლა, ბაბოს სულს გაფიცებ, შეჭამე რამე, ცუცას ნახელავი კი გიყვარს შენ...

ეროვნული

ნაშუადღევს სიმონ ექიმი მობრძანდა, სახე გაუნათდა, ვარდენი რომ ასე მოხედული დახვდა; გაეხუმრა, სანამ შენს ღიმილს არ დამანახებ, აქედან ფეხს არ მოვიცვლიო...

და ასე, ყოველ დილა-საღამოს მოდიოდა სიმონ ექიმი, ავადმყოფთან ხან ცუცა რჩებოდა, ხან თეოფილე. აფიცებდნენ შვილებს, ომში დაღუპული ვაჟის თუ მეუღლის სულს, აძალებდნენ საჭმელს...

თვის ბოლოს ეზოში გაიარა, კაკლის ხეს ჩვეულებისამებრ ხელი მიუტყაპუნა და თეოფილეს თხოვა, სასაფლაოზე წამიყვანეო.

— ექიმს უნდა დავეკითხოო, — იუარა თეოფილემ.

— გაგეპარებიო!

სასაფლაოსთან ტაქსით მივიდნენ, მანქანა მთავარ ქუჩაზე გააჩერეს, დაგველოდეო, უთხრა შოფერს თეოფილემ, მაგრამ ვარდენმა არ ჰქნა, შეგვაგვიანდებაო.

სასაფლაოს ჭიშკრამდე ვიწრო გზას ფეხით დაადგნენ. ერთერთი სახლის წინ ეზოში ქალებს მოეყარათ თავი, დაურიდებლად უცქერდნენ ვარდენ კახიანს, რომელილაც ხანშიშესულმა დიასახლისმა კარგა ხმამაღლა ჩაილაპარაკა, ცოცხალი ყოფილაო.

ვარდენმა ქალებს მოუხედა, გაუღიმა.

კახიანი ფიქრობდა, მთელი თვეა სასაფლაოზე არ ვყოფილვარ, გლერტა ბალახი დამიღრჩობდა იქაურობასო.

დედ-მამისა და მეუღლის საფლავები მიწკრიალებული დახვდა, ყვაოდნენ ვარდენის დარგული ყვავილები, ხასხასებდა მწვანე ბალახი.

ვარდენი თეოფილეს მიაჩერდა, თეოფილემ თვალი აარიდა.

...მერე ხან იწვა; ხან ოთახში დააბიჯებდა და ეზოშიც გაივლიდა.

ბიულეტენს შვებულება მოჰყვა, შვებულების დამთავრებას აღარაფერი აკლდა, ტელეფონის ზარი რომ გაისმა; ადგილკომის თავმჯდომარე იყო, როგორ ბრძანდებითო, გუშინ თათბირზე დირექტორმაც გაგიხსენათ და მოგიკითხათო... ხომ არაფერი გჭირდებათო.

— გმადლობთ, არაფერიო, — დადო ყურმილი.

იმ ღამეს ისევ ცუდად გახდა და ისევ სიმონ ექიმი მოიყვანა თეოფილემ. ექიმმა არც გასინჯა, არც წამალი დაუნიშნა, რაზე ნერვიულობ ასე მწარედო, ჩაეძია, ვერ ათქმევინა.

— თქვენი ყველაზე დიდი და უებარი წამალი სიმშვიდეაო, — დაუბარა და წავიდა.

ვარდენი ფიქრობდა, ფიქრობდა მთელი ღამე, ფიქრობდა დილით, როცა თეოფილე გვერდით მიუჯდებოდა და ცუცას მომზადე-

ბულ საუზმეს აძალებდა, ფიქრობდა, როცა რამდენიმე წუთით, ჰა და ჰა საათით, მარტო რჩებოდა და ეზოში დააბიჯებდა.

განცხადება სამუშაოდან მთლიანად განთავისუფლებაზე ან თვითონ უნდა მიეტანა ქარხანაში ან თეოფილეს ხელით გაეგზავნა. ეს გარდუვალი იყო.

მერე?

იჯექი ოთხ კედელში გამოკეტილი, ხანდახან გაექეცი საკანს, ეზოში ჩაბობღდი, კაკლის ხეს ხელი მოუტყაპუნე, ნაშუადღევს სასაფლაოზე ნაჩანჩალდი... ცოცხალი ყოფილაო, გაგაგონებენ ქალები...

ერთხელ, მხოლოდ ერთხელ გაუელვა, აქაურობა მართლა ხომ არ გამეყიდაო!

მეცნიერი შვილის ყურადღებით, ყელამდი იყო სავსე. ორჯერ მოიცალა პროფესორმა, დარეკა, როგორ გიკითხო, შე ვეფხვოო.

— ჩვეულებრივადო„

— აბა, შენ იციო...

ვარდიკომაც გაიხსენა (ტელეფონით რალა თქმა უნდა), ბავშვები დამალაპარაკეო, თხოვა ქალიშვილს, სათითაოდ ელაპარაკნენ გოგონები ბაბუას.

ინატრა, ნეტავი ვარდიკო მაინც ცხოვრობდესო ჩემთან. ამაზე ჩამოუარაკა, ჩამოდით შენ და შენი ქმარი, აქაურობას უპატრონეთო. გვიან შეატყობინეს პასუხი, სიძეს სიცილი წასკდომია, როგორც იქნა მეშველა, მგონი მოვიკიდე ფეხი დედაქალაქში და ანი იმ დასაკარგავისკენ რავა გავიხედავო... თუ ჩვენი სიკეთე უნდა, გაყიდოს სახლკარი, ფულზე უარს კი არა, დიდ მადლობასაც ვეტყვიო.

შვებულება დასასრულს უახლოვდებოდა, ყოველ დღეს, საათს, წუთსაც კი განიცდიდა, გაჭირვეულდა, განერვიულდა, სულ უბრალოზე ულრენდა თეოფილე აბზიანიძეს.

ღამე მარტო რჩებოდა. წუხელ განცხადება დაწერა, რამდენჯერმე ჩაიკითხა, ჩაასწორა და გადაწერა. დილით თეოფილეს ქარხანაში გაგზავნას აპირებდა, პირადი მდივნის ხელით უნდა შეეგზავნა ეს განცხადება დირექტორისათვის და პასუხიც აუცილებლად მოეტანა. ერთხელ კიდევ გადაათვალიერა განცხადება, რალაც ისევ არ მოეწონა და მერე მთელი დღე, როგორც კი მარტო დარჩებოდა, იმ განცხადებას უტრიალებდა. როგორც იქნა, ეშველა, ეტყობა, რაც უნდოდა, სწორედ ის დაწერა, თეოფილე მოიხმო და აუხსნა, როგორ მოქცეულიყო.

თეოფილემ თავი დაუქნია, გავიგეო. თუთუნი გააწყო, წავიდა და უკვე ნახევარ საათში ქარხნის დირექტორის მოსაცდელში, პირადი მდივნის წინ იდგა. გოგომ დიდხანს ყურადღება არ მიაქცია შეძველებულ პიჯაკსა და ქუსლებმოქცეულ ბატინკებიან მოხუცს.

აბზიანიძემ ჩაახველა.

მდივანმა გოგომ თავი ასწია, თეოფილემ განცხადება გაუწოდა, თან სთხოვა, დირექტორს ახლავე შეუტანეთ, ამ განცხადების პასუხზეა დამოკიდებული ადამიანის სიცოცხლეო.

— ვისიო! — იკითხა გოგომ და განცხადება ჩაათვალიერა. ვინ ეტყვის უარს, — გაიცინა. — პენსიონერები საერთოდ ჯიუტები და მიუდგომელნი გახდნენ... სანამ... — უნდოდა ეთქვა, სულს არ გააცხებენო, გადაიფიქრა, — სანამ მთლად არ მოფანფალდებიან, სკამიდან ვერ ააგლეჯ, ზოგიერთი მოფანფალებულიც იქაჩება, სჭიმავს ფეხებს, არც დირექტორის ბრძანებას ემორჩილება და არც კოლექტივის აზრს უწევს ანგარიშს... წამოწვეს მხართეძოზე ეს მამაცხონებული და აპლაკუნოს ყალიონი, მით უმეტეს, მაგი... რა უჭირს, შვილი პროფესორი ჰყავს და თვითონაც არ იქნება ხელცარიელი...

— თქვენ... შენ... — ერთბაშად ცუდად შეიქნა თეოფილე, გულმა, რომელსაც არასოდეს უჩიოდა და იკვეხნიდა კიდეც, გულით ვცოცხლობ და ვარსებობო, ახლა შეახსენა თავი და მერე რანაირად... ეტყობა ფერიც ეცვალა ან რალაც ცუდის მომასწავებელი ამოიკითხა მის სახეზე გოგომ, წამოხტა, წყალი დაუსხა, მიაწოდა.

თეოფილემ წყლიანი ჭიქა კი არა განცხადება გამოსტაცა ხელიდან და უკითხავად, უნებართვოდ შეალო დირექტორის კაბინეტის კარები.

სავარძელში ავადმყოფური სახის კაცი იჯდა თვალებგამოშტერებული, არც წერდა, არც კითხულობდა და ალბათ არც აზროვნებდა, უბრალოდ, თვალები ეზოში გამავალი ფანჯრისათვის მიეშტერებინა, გეგონებოდათ თვლემსო. კარის ხმაზე ოდნავ მოაბრუნა თავი, წამში შეაფასა მომსვლელი და ხელი ზარის ღილისკენ წაილო... არ დაურეკავს.

თეოფილემ თავი დაუკრა, რამდენიმე ნაბიჯით წინ წაიწია, საწერ მაგიდას მიუახლოვდა და სანამ დირექტორს განცხადებას გადასცემდა, უკვე საჭიროდ კი არა, აუცილებლად ჩათვალა განმარტება.

— მე ვარდენ კახიანმა გამომგზავნა, ბატონო... განცხადება გაახლათ...

— როგორაა ჩვენი ვარდენი? ყური წავკარი, წაუავადმყოფებია... ხოა ახლა ჯანზე!

— დიახ, კი, ფეხზეა...

— რა ხნისაა ახლა მაგი, თუ კაცი ხარ?

— სამოცდამეჩვიდმეტეშია!

— აუჰ!

— დიდი ავადმყოფობა გადაიტანა, ბატონო. გადაიტანა თქვა, მოგახსენებთ, თორემ... ჯერ სადაა, მძიმე ინფარქტი...

— რას მელაპარაკები, კაცო!

— დიახ, ინფარქტი... ფეხზე კია... დადის

ეზოში, სასაფლაოზეც იყო რამდენჯერმე, მაგრამ... ნამეტანი ნერვიულობს, ბატონო.

— რაზე ნერვიულობს ვითომ?

— სამსახურზე, ქარხანაზე, საქმეზე.

— კარგი ერთი თუ კაცი ხარ, რა საქმე მაგას აბარია, რომ... — ჟღრიალით ჩაიცინა.

თეოფილე შეცბა, ისევ შეინძრა და შეცახცახდა მისი ქებული გული. მუჭში ჩაახველა და განცხადება გაუწოდა.

— ეს რაა, — ახლა დახედა განცხადებას დირექტორმა, — უფასო შვებულებას ითხოვს?

— არა, სამუშაოდან განთავისუფლებას... დიახ... ასეა და არცაა ასე... მისი მდგომარეობა, მისი ნერვიულობა, გული, იცით! — მაგრამ დირექტორი თეოფილე აბზიანიძეს აღარ უსმენდა, კახიანის განცხადებას ჯერ თვალი გადაკრა, მერე სწრაფად ჩაიკითხა და მაშინვე მეუღლის დაჟინებული რჩევა გაახსენდა, ერთი მაღალი თანამდებობის პირის შვილისათვის პროფილით რომ უნდა ემუშავნა, სწორედ ტექნიკურ ბიბლიოთეკას უმიზნებდა და გამოსთხოვდა ცოლი ქმარს. მოიშორე ის გადახრჩუებული ბებერი, სანამ სხვა საწარმოში არ მოუწყვია შვილი იმასო... მოიშორეო, წამლავდა ყოველ დილა-სალამოს.

და აი, წინ უდევს განცხადება, რომელიც სხვა თუ არაფერი, უხერხულობისაგან მაინც ანთავისუფლებს... ახლა ცოტა უნდა წაიარტისტოს, სახეზე მოგონილი სინანული დაიხატოს, თავი გადააქნ-გადმოაქნიოს, ერთი ორჯერ ამოოხვრაც ზედ რომ მიაყოლოს, არ აწყენს საქმეს და მერე წააწეროს განცხადებაზე თანხმობის რეზოლუცია.

ასეც მოიქცა, თავი იმდენხანს აქნია და ატრიალა აქეთ-იქეთ, ისე ამოიოხრა და ჩაიკრუსუნა, საერთოდ ურწმუნო თეოფილე აბზიანიძეც კი ჩააფიქრა. ზარის ღილი რომ მოიძია, ერთხელ კიდევ დახედა თავისივე წაწერილ რეზოლუციას, „ოხ, ოხ, ოხ, ეს რა გვემართება, კაცოო" — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა და ღილს თითი დააჭირა, პირად მდივანს ვარდენ კახიანის განცხადება გადასცა, — გვტოვებს, ბატონი ვარდენი, ჩვენი წარმოების ბურჯი, სვეტი, საძირკველი, გვტოვებს... რა ვიზამთ, ასეთია წუთისოფლის ულმობელობა, სამწუხაროდ რაღა თქმა უნდა, ახლავე დაბეჭდე ბრძანება და გაუგზავნე ამ ადამიანის ხელით — თეოფილეს მიუბრუნდა, — გული მწყდება თქვა, რომ გითხრა, ცოტაა, გული მტკივა, მაგრამ რა უფლება მაქვს უარი ვაკადრო ვარდენ ბატონს, არ შევასრულო მისი თხოვნა... მე ვიცოდე და ჩემმა კაცობამ, ისეთ გაცილებას მოვუწყობ, მთელი ქალაქი ალაპარაკდეს... აბა, როგორ, კაცო. ადამიანმა სიცოცხლის ნახევარი ერთ საწარმოს, ერთ საქმეს შესწირა, შეალია და ტაში და ყვავილები არ გაყვეს უკან? მე [illegible]მმა კაცობამ... თქვენ... შენ, [illegible] ჩემი გულითადი მოკითხვა გადაეცი, მოკითხვაც და თხოვნაც, ამ დღეებში შემოგვიარეთქვა, დაგვხედეთქვა, არ დაგვივიწყოთქვა. — გაიღიმა და თავი დააქნია, რაც საუბრის დამთავრებას ნიშნავდა, როგორც კი თეოფილემ კაბინეტის კარი გაიხურა, მეუღლეს დაურეკა, ტექნიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკის გამგის ვაკანტური ადგილი გამიჩნდაო, მიახარა.

მხრებჩამოყრილი, საცოდავად მობუზული და დაპატარავებული მიაბიჯებს ქუჩაში თეოფილე აბზიანიძე, ხელში დირექტორის ბრძანება უჭირავს, უკვე ზეპირად იცის მისი შინაარსი. ვარდენ კახიანს თავისივე განცხადებით ანთავისუფლებენ სამუშაოდან ამა და ამ წლის, ამა და ამ რიცხვიდან...

ეს ბრძანება უნდა მიუტანოს ავადმყოფ ამხანაგს.

ამას მოელის ვარდენ კახიანი?

აბა რას მოელის, აბა რა სურს?

ამ კითხვების პასუხს თეოფილე აბზიანიძე კი არა და თვითონ ვარდენი ვერ იპოვიდა.

ღმერთმა და იქნებ ღმერთმაც არ იცის რას მოელის, რა სურს, რა ეკუთვნის ვარდენ კახიანს?

აჰა, რა ეკუთვნის?!

ნაბიჯი შეანელა, ესიამოვნა იმ სიტყვას რომ მიაგნო და ისე ჩააფრინდა, ჩაებღაუჭა, მოეფერა და მიუალერსა, თითქოს თეოფილე აბზიანიძეზე ყოფილიყო მინდობილი იმის გარკვევა, დადგენა და დაკანონება, თუ ვის რა ეკუთვნის, ვის რა უნდა მიეზღოს ამ ქვეყანაზე...

„არა, ბატონო, არა და არა... — ჯიუტად გააქნია თავი მან, — ისე ნუ დააკნინებ ქვეყნიერებას, ჩემი ჭკუის გადასაწყვეტი გახადო ამხელა სამართალი...

ვის რა ეკუთვნისო?

ეს თუა მოგვარებული და ასე თუ ისე მოწესრიგებული, რაღა გვიჭირს მაშინ, მარა ჩემზე არ უნდა მიდგეს საქმე... ჩემი პატარა ჭკუით კიდევაც რომ მოვახლაფორთო რაცხა კეთილი აზრი, გამხელას ვერ გავბედავ. მე ბატონო, მკითხე: შენს მეგობარს, მეზობელს, მოკეთეს ვარდენ კახიანს რა ეკუთვნის თქვა და..."

ფრთხილად აიარა კიბე, ასევე ფრთხილად შეაღო კარები. ვარდენი იწვა, თვალები მიელულა, იფიქრებდით მიძინებიაო, ფეხაკრეფით მივიდა ტახტამდე, ჩამოჯდა და კახიანმაც გაახილა თვალი, წამოიწია.

„ღმერთო დიდებულო, რა ფერი ადევს, არა აჰ! არა აჰ! არ გაბედო, არ გარისკო" — შეუძახა საკუთარ გულს, თეოფილემ, შეამაგრა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალიმებაც სცადა, არ გამოუვიდა, თუთუნი გააწყო, ასანთი ამოიღო და მაშინ გაახსენდა, სიმონ ექიმმა მკაცრად რომ აუკრძალა ავადმყოფთან თუთუნის მოწევა. ადგა. კახიანმა ხელი, როგორც შეეძლო, მკვეთრად აიქნია, ანიშნა, ფეხი არ მოიცვალოო.

თეოფილე დაჯდა, თუთუნს მოუკიდა, სანაყლად გახედა მეგობარს, ვითომ გაიხუმრა, ანი მე კი არა და, შენც რომ დოუნაფაზო ხანდახან, არაფერი გიჭირსო.

მერე სიჩუმე ჩამოვარდა, ძნელი, აუტანელი სიჩუმე. აბზიანიძეს თუთუნის ღეჭვა და ტფუ, ტფუს ძახილი აღარ უშველიდა, რალაც უნდა ეთქვა, ეამბნა.

— ნამეტანი მომეწონა შენი დირექტორი, — წამოიწყო როგორც იქნა, — კი აქებდი შენ, ასე და ასეო, მარა მაინც ვერ წარმომედგინა, თუ ამნაირი კეთილშობილი გულის კაცი იყო. განცხადება რომ მივეცი, ერთი კი გადაკრა თვალი და იყვირა, მარა რა იყვირა... ღმერთო კი მომკალი, ეს რავა შემომკადრაო,.. რას ჰქვია განცხადება დაწერა და სამუშაოდან განთავისუფლებას ითხოვსო, ხომ იცის, ხომ მოეხსენება ბატონ ვარდენს, რომ მისებრ დამსახურებულ მუშაკს ასე ადვილად ვერ შეველევითო. მეო, რუსეთში ვიყავი ხანგრძლივი სამსახურებრივი მივლინებით, თორემ ამდენხანს რავა არ ვინახულებდიო, კინალამ დავწყვიტე თანამშრომლები, დავლანძლე, დავთათხე რატომ სასთუმალთან არ უჯექით, ბატონ ვარდენს-მეთქი და ამ განცხადებაზე წავაწერ მე თანხმობასო? დაუწკრიალა ზარი, მოიხმო პირადი მდივანი და აღარ მკითხავ რა დაავალა? ჩემი თვალით რომ არ წამეკითხა მერე ის ბრძანება, ვერ დავიჯერებდი. ტექნიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკის გამგე ვარდენ კონსტანტინეს ძე კახიანი წარმოებისათვის აუცილებელი და გადაუდებელი საქმეების გამო გამოძახებული იქნას კუთვნილი შვებულებიდან... გესმის შენ ეს, ვარდენ ჩემო?

„როდის მიწვა, როდის გამეპარა, როდის მითვლიმა? კარგიც დაგემართოს! იძინე, ჩანყნარდები, ჩანუგეშდები, ჩასიამდები, გამოიშუშებ... მე ჯერ აგერ აივანზე გავალ, ეზოშიც გავიარ-გამოვიარ, მერე წავალ და ჩემს უბედურებსაც მივხედავ.

დილით...

რა მოხდება დილით! უკეთეს შემთხვევაში, რა მოჰყვება თეოფილე აბზიანიძის შეთხზულ ზღაპარს?

ალიონზე ადგება ვარდენ კ[illegible] რექტორის ბრძანებისამებრ... [illegible] ქარხნისაკენ...

ღმერთო დიდებულო! რა მოხდება დილით?

...იმ ღამეს ვარდენ კახიანს, მთელი თავისი ცხოვრება, უქმად, უსარგებლოდ ჩავლილ-ჩათავებული გრძელი წელიწადები, სიკეთენი და შეცდომა-შეცოდებანი, შვილნი და ძირნი, ახლობელნი და შორეულნი გაუცოცხლეს სიზმრებმა.

ხან სად აქროლეს და ხან სად... რუსეთი არ დაჰკლებია და ომის სიმწარე, ლხინიც და გლოვაც, ქორწილიცა და შეტირილიც...

აქეთ იფრინა თუ იქეთ, ქალაქს მიაწყდა თუ სოფელს, ბოლოს მაინც თავის ბუდეს, თავის ეზო გარემოს, თავის კახიანაურს დაუბრუნდა მისი მითვლემილი გონება და სული.

სიზმარშივე შემოათენდა. გადაწია შეყვითლებული, შეცრეცილი ფარდები და მზის სხივმა მის ოთახში კეთილი მეზობელივით შეიხედა.

ყოჩალად ადგა, ლოგინი ჯარისკაცურად გაასწორა, ისაუზმა, მერე კარადიდან დიდი ხნის ჩაუცმელი შივიოტის შავი კოსტიუმი და თეთრი პერანგი გამოიღო, ჰალსტუხიც მარდად გასკვნა, ჟილეტიც მოსჭიმა. ოქროსძეწკვიანი საათის „პავლ ბურეს" ხუფი ტკაცანით გახსნა, მომართა.

40-50 წუთიც რომ გაიტიკტიკოს საათმა, სრულ ცხრაზე ტექნიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკა ღია უნდა იყოს!

...მართლა გათენდა. მზემ სრულიად ჩვეულებრივად დახედა კახიანების ქვითკირის ძველ სახლს, შიგ შეჭვრეტით თავი არ შეუწუხებია...

თეოფილე აბზიანიძე კარგა ხანია ფეხზე იყო. ეზოში დადიოდა, უსაქმოდ, უმიზნოდ დაბორიალობდა, ხან რას მიადგებოდა და ხან რას... ვერც თოხი იგუა, ვერც ბარი, ვერაფერი მისმა ხელმა ვერ გაათბო.

თუთუნი რომ თუთუნია, მისი განწყობაც გაუჭირდა, უთუთუნოდ, უკვამლოდ საერთოდ ვერ სძლებდა და...

ყელში რალაც უჭერდა, სუნთქვას უშლიდა. ახლა თუთუნის ალრჩოლებ მისწრება იყო, უნდა მოეწია, გრძელი ნაფაზები ექაჩა და ელეჭა.

9 რომ დაიწყო, ეზოში ველარ დამაგრდა, კიბეს მოაჯირზე ხელდაბჯენით აჰყვა, იმ ამოჩემებულ ადგილას ტაბურეტი მიიტანა, ჩამოჯდა და ქუჩას გახედა.

იჯდა და ელოდა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ია გოცაძე

## „ვინ არის ჩემი გმირი“

ო, სად არის ჩემი გმირი?
ვინ იქნება ჩემი გმირი?
მღერის ბონი ტაილერი
და არ სჯერა მენიჯერის,
მღერის, ტოკავს, როკავს, ტირის,
ან კი როგორ დაიჯეროს,
რომ ამხელა ქვეყანაში,
დიდ ბრიტანეთში, ინგლისში,
გადაგვარდა კაცის ჯიში?!

თექვსმეტი წლის როცა ვიყავ,
ვინ მჯობნიდა ევროპიდან,
მაგრამ მაინც ვერ ვიპოვე
მე ვერავინ შესაფერი,
შიში მზარავს ჰომოსექსის,
ნარკოტიკის მზარავს შიში,
ნუთუ ამისთანა ბილწი
საქმროსათვის ქვეყნად ვიშვი?
ნუთუ არსად არ შემხვდება
მამაკაცი — ჩემი გმირი,
რომ იცოდეთ ნატვრა ერთი,
ოცნება და გასაჭირი,
როგორ მინდა ქვეყანაზე,
პაწაწინა მყავდეს შვილი.
ჩემი გული, ჩემი სისხლი,
შეუერთდეს სისხლს მეორეს,
შეუერთდეს ცას და მიწას,
მერამდენჯერ ვიმეორებ,
ამიტომაც ვროკავ, ვტირი,
გესმით ჩემი ვაი-ვიში,
ვმღერი, ვეძებ სიყვარულს და
ჟელოდები ჩემს ლამაზმანს,
და სიმღერა გულამოსკვნით
ეხეთქება დიდ დარბაზებს,
ჰარმონია მწველზე მწველი,
დარდიანი თვალი ცრემლით,
აფიშები, ჟურნალები,
სტატიები გრძელზე-გრძელი,
მთელ მსოფლიოს უყვარს ქალი,
დედოფალი — ტაილერი,
ზანზარებენ დარბაზები,
სამახსოვროდ უნდა ყველას
მისი ტანსაცმლის ნაჭერი,
და სცენაზე ავარდნილი ვნების
მსხვერპლი — ტაილერი,
ახლა უკვე მთლად შიშველი,
შეშლილი და ვერ ნაშველი,
როგორც ევა მშვენიერი,
მაინც მღერის, ტოკავს, როკავს,
ტირის ბონი ტაილერი,
ღმერთო, ნუთუ არასოდეს
არ დადგება მისი ჯერი?

---

* ცნობილი ინგლისელი მომღერალი ქალის ბონი ტაილერის სიმღერა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საკანში

ჩაქრა ეს ბოლო სიგარეტიც „ქემელის" ყუთის,
ვარ მომწყვდეული ურდულებში კოშმარულ ხუთვით,
უდაბნოს უგრძეს ქარავანებს როგორ მაგონებს,
ო, ეს აქლემი, ცარიელი „ქემელის" ყუთის!

და მენანება გადაგდება მე ამ კოლოფის,
მას გადაჰყვება აუხდენელ ოცნებათ გუნდი,
ცხელ მირაჟებში გზას მოიკვლევს უდაბნოს მეფე —
„ქემელის" ყუთით, ცარიელი „ქემელის" ყუთით!

ამ ძველ იატაკს, ამ სველ კედლებს გაქლენთილს ფურთხით,
ისე ეჩვევა გონება, ვით ბრალდებას კუთვნილს,
და ვილამაზებ აქ დარჩენილ ცხოვრების წუთებს,
„ქემელის" ყუთით, ცარიელი „ქემელის" ყუთით!

## პოეტის მეუღლეს

ელენე ჭავჭავაძეს

შენ გაანათე პოეტის ბედი,
შენ ერთადერთი მისი მეუღლე,
ხარ უმაღლესი ჯილდო და ღერბი,
მისი მონაც ხარ და ხარ მეუფეც.

გაინაწილე სითბო, სიცივე,
სახლი აავსე ალერსით დედის,
მეუღლე ჯარში რომ გააცილე,
სამშობლოთა — პოეტის ხვედრი.

შვილები ისე დაზარდე, ელენ,
ომის ქარცეცხლში ქვეყნის ერთგულო,
ყველა ბეჩავის დამცველს და
მშველელს,
თავშესაფარი შენთან გვეგულვოს.

უთვლელ სიკეთით ალსავსე ქალო,
წმინდა აჩრდილად მიდგეხარ გვერდით,
უძვირფასესო, ლამაზთაგანო,
სულ ყველა ლექსი, შენნაირს ეთქმის.

ჭალარა გშვენის ჭკვიანი შუბლის,
უკვდავი არის შენგნით კერია,
ასეთი უნდა ჰყავდეს მეუღლე
პოეტს და მაშინ ბედნიერია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ალექსანდრე ტაბატაძე

### მიწის ნოსტალგია

დიდხანს მაწვალებდა ნოსტალგია
მიწის, დაკარგული მიწის...
მიწა ახლა ჩემთვის ბოსტანს ჰქვია,
მე რომ შაბათ-კვირას მიცდის.
მე რომ შაბათ-კვირას ვეფერები
ხელით, ცელითა და თოხით
(ხელებს „მიმშვენებენ“ ბებერები
ბოსტანს მილამაზებს ქოხი),
მე რომ მეძახის და მელოდება,
მე რომ მელანდება ძილშიც
მიწა — მშობლიური მელოდია,
მიწა — საიდანაც ვიშვით.
არა, ხანში შესვლა რასა ჰქვია,
ან რა შუაშია წლები...

მიწის მაწვალებდა ნოსტალგია,
ვიყავ შეპყრობილი სნებით.
მეხრეც ვყოფილვარ და გუთნისდედაც,
ლამე მძინებია ხნულში,
ხსოვნა ასე მიტომ უფრთხილდება
იმას, რაიც იყო გუშინ.
გული ასე მიტომ ეტანება
მიწის ოხშივარს და სურნელს,
თურმე მიწას მოაქვს ნეტარება,
ნალდი ნეტარება, თურმე...
დიდხანს მაწვალებდა ნოსტალგია
მიწის, დაკარგული მიწის,
მიწა ახლა ჩემთვის ბოსტანს ჰქვია,
მე რომ შაბათ-კვირას მიცდის.

### იწყება რაღაც ახალი

ადიდებულა ლიახვი, ადიდებულა ყვირილა,
ისმის შურთხების კრიახი და ქორბუდების ყვირილი.
აფეთქებულან ტყემლები, დაფეთებულან გვრიტები,
ცას სცვივა ბროლის ცრემლები, ცა ცისარტყელას გვპირდება.
მორცხვებს და მუდამ უთქმელებს გაულვიძიათ ენძელებს,
ნექტარს ეძებენ ფუტკრები, მერცხლები ბუდეს ეძებენ.
ხევებში ისმის ჯახანი ბუნების, განახლებულის,
იწყება რაღაც ახალი, სუფთა და ამაღლებული.
დარი დგას უსათნოესი, სიცოცხლეს ხელით ვეხები,
მოფრინავს მტრედი ნოესი, წითლად უელავს ფეხები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნადირობა ჩემებურად

ხვალ კი აუცილებლად
    სანადიროდ წავალ,
წავიყოლებ ძაღლსა და
    ცოტა ტყვია-წამალს.
გადავივლი გორაკებს,
    სადმე ველზე გავალ,
თოფს მივაგდებ ბუჩქებთან,
    შემოვიხსნი ქამარს,
ჩრდილს მოვძებნი პატარას,
    მშვიდად გავიშხლართები,
ვიტყვი, რაში მჭირდება
    კაკბები და ჩხართვები,
მწყრებთან რა მესაქმება,
    იქვითქვითონ ყანებში,
ცხვირწინაც რომ გამწკრივდნენ,
    არცერთს მაინც არ ვესვრი.
ორიოდე მწყრისათვის
    არ წავიხდენ ხასიათს,
— ვერ მოვკალი! — ქალაქში
    დავიჩივლებ ყასიდად.
...ხვალ კი აუცილებლად
    სანადიროდ წავალ,
წავიყოლებ ძაღლსა და
    ცოტა ტყვია-წამალს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ბალათერ არაბული

* * *

კართან მიბია ვრცელი მინდორი
და ფანჯრებს მიმტვრევს ქარის
ტორებით,
ამ წვიმებით და უამინდობით
ღამე ბნელია, როგორც მორევი...

მაღლით დაჰბრუნავს ნისლების ქაფი
და შავად ამღვრევს ღვარი ღრუბლების,
ჭალიდან ისმის მდინარის ხაფი,
ტყიდან კი მგლების ხმა—დამლუპველი...

ამ სიბნელეში ვდგავართ და ვუცდით
მზეს —
შორეული მგზავრობით დაღლილს
და ახლა მინდორს გულივით უცემს
შენი ღიმილით ავსილი სახლი...

* * *

შავად გაფოთლილ ქართლის გორებზე
კვლავ ვილაც გვიხმობს ქარის საყვირით,
თავზე დაგვბრუნავს ზეცის მორევი
და ღამეს უჩანს მთვარის საყელო...

მივდივართ,
    შორით ჩნდება სურამი
ზურაბის სევდით
    და დედის სევდით,
ასე ლამაზი და სასურველი
ცას შემსხვრეული ქედების ხედი...

მივდივართ,
    ქარზე წამოშლილ მინდვრებს
თითქოს ეზრდებათ ფრთები ალვების,
რომ ღამღამობით ცაში აფრინდნენ
მოცულნი უცხო იდუმალებით...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მონმაოში

მოშრიალებდა ღამის ბინდი
ფოთლების შავაში,
სადღაც მოწყენით, კალოთგორზე, უსტვენდა შაშვი...
ჩამავალი მზის
მკრთალი შუქი ეფინა ცის თაღს
და ზეცა მთებზე სიმშვიდეს ცრიდა...
მიზოზინობდა დათვისუ‌რა
ხეობის
გასწვრივ,
მდინარის ირგვლივ ღამის ფერი ღვიოდა ანწლი...
სოფელში მხოლოდ ხუთიოდე ელავდა სახლი
და ერთადერთი უქმად ყეფდა ჯამრულათ ძაღლი...
აღარც მომსვლელი,
არც წამსვლელი არავინ ჩანდა,
რადგან სოფელი სევდით ავსილ
ნასოფლარს ჰგავდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია რურუა

# ზარდახშაში მთვლემარე ლემი

## მოთხრობა

### I

შერგილი სარწეველა სავარძელში იჯდა აივანზე გამავალ, ოდნავ შეღებულ კართან. ხალისიანი გუნება, რომელზედაც დილიდანვე დადგა თითქოსდა საბოლოოდ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, განელებოდა. ახლა უაზროდ, გაუმართლებლად კი ეჩვენებოდა საკუთარი ნება-სურვილით გამოთხოვებოდა ძველთბილისურ ბინას, მისი ფართო ფანჯრების პირდაპირ წამოზიდულ მთაწმინდას, რომლის ლრანტეებიან კალთაზე მიკრული ყოველი სახლის, ხისა თუ ბუჩქის ხილვას დაბადებიდანვე შეჩვეოდა. გულზე მოწოლილ სევდას კიდევ უფრო ულრმავებდა სალამოს ბინდში აცურებული სატელევიზიო კოშკის ლალისფერი ლამპიონების კრთომა-ციმციმი.

ტანში გააჟრჟოლა და საკმაოდ შეცრეცილი ძველებური პლედი ფეხებზე შემოიფუთნა. დალლილი მზერა კვლავ მიმოავლო ვრცელ დარბაზს. შავი ხის მძიმე ავეჯი, წიგნის თაროები და საკონცერტო როიალი მქრქალი, თითქოს ნალვლიანი შუქით იმზირებოდნენ მოძალებული ბინდიდან. ახლა, უბრალოდ წარმოდგენაც კი უჭირდა, რომ კვლავინდებურად ვერ მიუჯდებოდა მწვანე მაუდგადაკრულ ფართო მაგიდას, ვერ მიჩხრიკ-მოჩხრიკავდა მის უჯრებში გაყვითლებული ქაღალდებისა და გაფერმკრთალებული ფოტოსურათების სახით დაუნჯებულ წარსულს; რომ ხელს ვერ შეავლებდა მასიურ კარადებში ჩალაგებულ, ყუაზოვარაყებულ უნიკალურ წიგნებს, გარდასულ ჟამთა ამბებსა და სურნელს რომ ინახავდა; რომ ამიერიდან სიზმარეულ მოგონებებში გადაინაცვლებდნენ ბაგეტის მოოქროვილ ჩარჩოებში ჩასმული ტილოები ცნობილი მხატვრებისა; ანტიკვარის უტყუარი ცოდნითა და გემოვნებით შერჩეული, ხშირად უკანასკნელი ფულით შეძენილი დეკორატიული ვაზები, ოსტატობით ინკრუსტირებული ზარდახშები, იშვიათი კოლექციები ვენზელებიანი ფაიფურისა თუ ბროლისა...

მეუღლის კამოდს მზერას არიდებდა. გრძნობდა, მის წიაღში შენახული საგნები სულის ამოხდომამდე ახლოს რომ უნდა ჰგულებოდა, მაგრამ ის კი არ იცოდა — როგორ, რანაირად. პატარა ოთახში, რომელსაც პერსონალურ პენსიონერთა პანსიონატში მიუჩენდნენ და სადაც მოუხდებოდა დალოდებოდა გარდუვალ აღსასრულს, ალბათ, მხოლოდ მეუღლისა და ომში დაღუპული ერთადერთი ვაჟიშვილის სურათებს თუ უპოვნიდა ადგილს... და კიდევ, დიდი-დიდი, სვანეთის ფერწერულ პეიზაჟს, რომლისათვის თვალშეუვლებლად ყოფნა ვერც კი წარმოედგინა...

„ხომ არ ავჩქარდი?.. ნაადრევად ხომ არ დავყარე ფარ-ხმალი?" — უკვე მერამდენედ ეკითხებოდა თავს, მაგრამ როგორც კი საკუთარ მდგომარეობას გარეშე კაცის თვალით შეხედავდა, სხვა არჩევანს ვერ ხედავდა. მართლაც და სანამდე უნდა ეფრატუნა ფლოსტებით, მარტოდ-მარტოს, ამოდენა ბინაში?... არათუ პატრონი და მიმხედავი, უბრალოდ წყლის მიმწოდებელიც კი არავინ შერჩენოდა... ვისიმე სამადლოდ და სამოწყალოდ ყოფნა კი მის ბუნებას არ ეგუებოდა... ისევ ვაჟკაცურად უნდა გაესწორებინა თვალი სინამდვილისათვის, მაგრამ რაღაც კიდევ აკავებდა. უჭირდა თავს გამოტყდომოდა იმაში, რომ გრძნობის ამგვარი გაორება, ფაქტიურად, ნივთიერ გარემოცვასთან აღმოჩნდა დაკავშირებული. ისიც ესმოდა, რომ ყველაფერი, რაც გარშემო ერტყა ათეული წლების მანძილზე, მის ფიზიკურ და სულიერ არსებობას შეზრდოდა, მრავალ წარუშლელ და ძვირფას მოგონებას აღძრავდა. ისინი ინახავდნენ მრავალი ღირსსახსოვარი საზოგადოებრივი, კულტურული თუ სულიერი ცხოვრების ხსოვნას

და თავიანთი მემორიალურ-მხატვრული ღირებულებითაც წართმეოდათ იმის უფლება, რომ ვისიმე კერძო საკუთრებად დარჩენილიყვნენ; მით უფრო უპატრონოდ და უმეთვალყურეოდ. ამიტომ შერგილის გადაწყვეტილება, მის გულში კარგა ხნიდან რომ მწიფდებოდა, საზოგადოების ხსოვნაში სახელის კეთილად დატოვების სურვილთანაც აღმოჩნდა დაკავშირებული. თავის ზნეობრივ სიმართლეში ღრმად დარწმუნებულ მოხუცებულ ადამიანს ახლა, ალბათ, ამიტომაც აწუხებდა და ტანჯავდა ესოდენ მტკივნეულად მის არსებაში მოულოდნელად გაღვიძებული იჭვი, ბუნდოვანი შიში იმისა, რომ უნებურად რაიმე შეცდომა არ მოსვლოდა...

თითქოსდა მოჯარული ფიქრების გასაფანტავად, წამოდგა და საწერ მაგიდას მიუჯდა. მაშინვე ტორშერის ზონარი ჩამოსწია და ელექტრონის შუქით სიბნელიდან გამოცალკევებულ პატარა სივრცეს შერჩა. სავარძლის საზურგეს მიწოლილი, ერთხანს თვალებგაშტერებული მიაჩერდა შავი მარმარილოს სადგარში ჩამაგრებულ ბროლის მძიმე სამელნეებს შორის წამოზიდულ ბრინჯაოს კლდეს, რომლის ქიმზე ასაფრენად ფრთებგაშლილი არწივი იჯდა. სულიერი დათრგუნვილობა მაინც არ გაეცალა. განძრევას ვერ ბედავდა. არადა მაგიდასთან იმიტომ გადმოინაცვლა, რომ მას უჯრებში ხელის ფათურისათვის ცოტათი გული გადაეყოლებინა.

უსიამოვნო ფიქრები ვერც აქ მოიცილა. გაახსენდა, რომ უკვე რამდენიმე წელია არ ასვენებს აკვიატებული სურვილი საკუთარი არქივის მოწესრიგებისა. ამის საჭიროებას სათანადოდ მაშინ ჩახვდა, როცა გულმა პირველად სერიოზულად შემოუტია და კარდიოლოგიურ ინსტიტუტში მთელი ორი თვე დაჰყო. მაგიდის გრძელ, ღრმა უჯრებში ჩაკეტილი საქმიანი ქაღალდები, განხორციელებული თუ განუხორციელებელი პროექტების დოკუმენტაცია, პირადი მიწერ-მოწერა თუ ფოტოალბომები ინახავდა თითქმის მთელი საუკუნის ამბებს, ჩავლილი დრო-ჟამის სურნელს, ადამიანთა სულიერი არსების ნაწილს, იმედსა და სიხარულს, ტკივილსა და სევდას, ოდესღაც ბობოქარ, შემდეგ კი დამცხრალ ვნებათაღელვას... ესოდენ მდიდარი და საინტერესო არქივი არ უნდოდა მოუწესრიგებლად, ქაოტურად დაეტოვებინა. რამდენჯერმე გადაწყვიტა კიდეც საქმეს შესდგომოდა, მაგრამ უკანასკნელ მომენტში განზრახვაზე, თავისდა უნებურად, ხელს იღებდა... ამის მიზეზსაც მალე ჩახვდა. ისე ეჩვენებოდა, რომ ამ საქმის გასრულებით საკუთარი აღსასრულის დღეს იახლოებდა. მაგიდასთან გაუბედავად შეყოყმანებულსა და გარინდულს, ზოგჯერ ისეთი გრძნობაც გასჩენია, თითქოს სულთამხუთავი უხილავად უკვე თავზე ადგა. ამგვარი სულმოკლეობის დამ[illegible] [illegible] წამოაყენა შერგილი ფეხზე [illegible] წინ და როცა შეატყო, რომ ნებისყოფას მისთვის შეიძლებოდა კვლავ ეღალატნა, მაგიდის ზედა უჯრა უცებ გამოსწია.

ცისფერ აბრეშუმის ყდიანი ალბომის დანახვაზე უნებურად გული აუჩქროლდა, ერთხანს უცქირა, შემდეგ ამოიღო, ზევიდან იდაყვი გადაუსვა და მაგიდაზე დადო... პირველი, რაც თავში მოუვიდა, ალბომის უნიკალობის აზრი იყო. მართლაც ვის შეიძლებოდა ესოდენ სრული კოლექცია „დაისის" წარმოდგენების ბილეთებისა. გაახსენდა ამ ალბომს ერთხელ მისმა მეგობარმა დიმიტრიმ როგორ უწოდა ცოლ-ქმრული სიყვარულის თავისებური, განუმეორებელი პარტიტურა.

მძიმე ყდა სასოებით გადაშალა და პირველ გვერდზე ჩაკრულ ბილეთებს დააცქერდა. დრო-ჟამისაგან გამოხუნებული ასოები აქაიქ კარგად არც კი იკითხებოდა. სამაგიეროდ მეხსიერებაში ერთბაშად აღუდგა დაუვიწყარი დღე „დაისის" პრემიერისა... სოფიო სულ რამდენიმე დღის შერთული ჰყავდა. ახალ შეუღლებულთ მელომანმა ნათესავმა ორი ბილეთი გამოუგზავნა... შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, ერთმანეთს სიტყვა მისცეს — „დაისის" არცერთი წარმოდგენა არ გაეცდინათ... სოფიო ყველა ბილეთს საგულდაგულოდ ინახავდა. შემდეგ ეს ალბომიც გაიჩინა... აღთქმა მართლაც არ დაურღვევიათ. ლოჟაში მუდმივი ადგილი ჰქონდათ... როცა პირმშო საკმაოდ წამოჩიტდა, ისიც აიყოლიეს. საყვარელი ოპერის მოსმენა სულიერ მოთხოვნილებად ექციათ. არ არსებობდა მიზეზი, რომელიც მათ თვალში გაამართლებდა რომელიმე წარმოდგენის გამოტოვებას... ასე იყო, ვიდრე...

ეს მოხდა იმ დღეს, როცა ოთარის ფრონტზე დაღუპვის შავი ქაღალდი მოუვიდათ. გაუბედურებულნი, სასომიხდილნი ისხდნენ ახლობლებისა და მეგობრების გარემოცვაში. სიტყვას არავინ სძრავდა, რადგან არ არსებობდა ნუგეში ერთადერთი შვილის დამკარგავი მშობლებისათვის. თითქოს დროის შეგრძნებაც გაუქრათ იმ წუთიდან, როცა კედლის კურანტებიანი საათი გააჩერებინეს... შერგილმა შეამჩნია, რა დაჟინებით მისჩერებოდა სოფიოს გაყინული მზერა უძრავ ისრებს. ბოლოს ქალი უცნაურად შეტოკდა, მისკენ გადმოიხარა და კაცმა გაიგონა ჩურჩულით წარმოთქმული სიტყვები: „დაისი", „დაისი" დაგავიწყდა?!" შერგილმა ყურს არ დაუჯერა, ხომ არ შეირყაო, გაიფიქრა გულგადაქანებულმა, მაგრამ კვლავ შემოესმა: „როცა დედას ცრემლი გაუშრება, მოზარე უნდა მიეშველოს... მინდა მოვისმინო, როგორ დაიტირებს

დღეს მარო ჩვენს ბიჭს...“ ეს წაიჩურჩულა, მხრებზე მოხურული ლიონური შავი შარფი შეისწორა, წამოდგა და კარისაკენ გაემართა.. „ცოტა ხნით ჰაერზე გავიყვან“ — ჩაილაპარაკა ზღურბლთან შერგილმა ფეხზე წამოშლილი ახლობლების გასაგონად. — ნუ შენუხდებით, არავის გაყოლა არ გვინდა“...

ლოჟაში იმ დროს შევიდნენ, როცა ნიკო ქუმსიაშვილმა მალხაზის გამოსათხოვარი არია წამოიწყო... არც დამჯდარან, ლოჟის კუთხეში მიდგნენ ერთმანეთს აკრულნი. შერგილი გრძნობდა როგორ თანდათან უმძიმდებოდა სხეული ყრუდ აქვითინებულ ქალს და თავადაც მუხლებმოკვეთილი, წაქცევისაგან თავს ძლივს იკავებდა... როგორც კი მაროს ტირილი დამთავრდა, წამოვიდნენ...

მას შემდეგ ოპერაში ისე დადიოდნენ, როგორც წირვაზე; უკვე მხოლოდ ტირილისა და ზარის სცენის მოსასმენად. ცრემლებს არც მალავდნენ... მეზობლები თავდაპირველად გაკვირვებული თვალებით შემოსცქეროდნენ, შემდეგ კი, როცა საქმის შინაარსი გაიგეს, მოწიწებული თავის დაკვრითა თუ დუმილით უერთდებოდნენ მათს მწუხარებას... ასე გრძელდებოდა სოფიოს გარდაცვალებამდე... ორმოცდა შვიდის შემდეგ შერგილი აღარ დასწრებია „დაისს“... პირველ ხანებში, როცა მონატრებას ვერ დაიოკებდა, ოპერის წინ აივლ-ჩაივლიდა ხოლმე და ყურში თითქოს ცხადად ჩაესმოდა საყვარელი ჰანგები... ეს ჩვევაც თანდათან გაუნელდა და სამუდამოდ დაიხურა ცისფერყდიანი პარტიტურა ეულად დარჩენილი სულისა...

შერგილს ახლა გასკდომამდე გაბერილი ფოტოალბომი მოხვდა ხელში. როცა მას ზემოდან გადაჭერილი ზონარი შეხსნა, ალბომიდან ერთი სურათი გამოცურდა და მაგიდაზე დაეცა. სათვალე შეისწორა, დააცქერდა. ფოტოსურათიდან იცქირებოდა ბოშურ ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი — შავკულულებიანი, თვალცეცხლოვანი და ეშხიანი. სურათი გადმოაბრუნა და გაკრული ხელით გაკეთებული წარწერა გადაიკითხა თვალებით:

«Дорогому человеку из сказочной, чарующей Грузии, который своим неожиданным и трогательным вниманием обогрел душу одинокой, забытой всеми старой актрисы, благодарностью»...

რა უნდა უთხრას ამ სამახსოვრო სურათმა გარეშე ადამიანს?.. მხოლოდ ერთი რამ: „რაოდენ დამაბრმავებელი სილამაზის ქალია!.. ნეტავ ვინ არის?..“ ცხადია, ვერც სახელის ინიციალსა და ვერც ბუნდოვან ხელრთვას გაშიფრავს... არადა რა წარუშლელი კვალი დასტოვა შერგილის ხსოვნაში საიდანღაც მეტეორივით შემოჭრილმა და გაელვებულმა ამ ქალმა... სახელმოხვეჭილი ინჟინრის საზოგადოებრივი მდგომარეობით [illegible] გარეგნობით, სრულყოფილ[illegible]ნულად შეთვისებული დახვეწილი მანერებით შერგილი ყოველთვის იზიდავდა ქალების ყურადღებას, მაგრამ თავად არასოდეს გამოჰკიდებია ლოველასის გვირგვინის მაძიებლობას. მიაჩნდა, რომ ყალბი და ფუჭი მამაკაცური პატივმოყვარეობის დაკმაყოფილება ვერასოდეს აუნაზღაურებდა ფუქსავატურად დაკარგულ დროს. თანაც მისი გული თავიდანვე სიყვარულით მიეჯაჭვა ღირსეულ მეუღლეს. ამიტომაც ერთგული და სანდო ქმრის მდგომარეობას იგი არასოდეს დაუმძიმებია, თუმცა ესმოდა, რომ ცდუნებისაგან არც ერთი ადამიანი, მით უმეტეს მამაკაცი, შეუძლებელია სავსებით დაზღვეული იყოს.

ვინმეს რომ ეკითხა, შერგილი ვერც ახლა ეტყოდა, თუ რა მოხდა მაშინ, როცა ერთხელ და ისიც უკანასკნელად შეხვდა ამ მომნუსხველი სილამაზის ქალს, რომლის გამო ორმოციან წლებში მამაკაცები ლამის ჭკუიდან იწეოდნენ. ალბათ ეს იყო „სიყვარულის ელდა“, თუმცა ახლა შეიძლება დაიჩემოს კიდეც: არა, ეს ნამდვილი სიყვარული არ ყოფილა. უფრო, ალბათ, გახლდათ გატაცება, მამაკაცური აფორიაქება, ქალურობის ჯადოთი... უკვე სახელმოხვეჭილი ახალგაზრდა მსახიობი ქალი მაშინ პირველად ჩამოვიდა საგასტროლოდ თბილისში... შერგილი რეტდასხმული გამოვიდა დარბაზიდან. მსგავსი რამ მანამდე არც მოსვლია. ზედმეტად ეგზალტირებულ შთაბეჭდილებას მიაწერა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, არა... ადგილს ვერ პოულობდა, სულ მსახიობი ქალის სახე ედგა თვალწინ, ცეცხლოვან ბოშურ ჰანგებში გადაშვებული მისი მოქნილი ტანის თავბრუდამხვევი რხევა ელანდებოდა... კიდევ უფრო აფორიაქდა, როცა გაიგო — ტურნეს ბაქოში აგრძელებსო... შერგილი, ვითარცა ხიდების მშენებლობის აღიარებული სპეციალისტი, ბაქოში ხშირად დადიოდა ხოლმე. ამიტომ სოფიოს არაფრის ეჭვი არ აულია...

გატაცებული მამაკაცი, თუ მოინდომა, რას არ მოახერხებს. საერთაშორისო ვაგონში მსახიობი ქალის კუპის მეზობლად აღმოჩნდა. გასტროლიორს ვილაც ხანდაზმული ქალი ახლდა. ყურგამახვილებულ შერგილს, ტალანში პაპიროსს პაპიროსზე რომ აბოლებდა, ესმოდა მათი ეგზალტირებული საუბარი ბოშურ ენაზე, თავისი მუზის კაბის შარი-შური, უხილავად ეალერსებოდა მისი დამაბრმავებელი სიმშვენიერის არილი, მაგრამ გარეგნულად არაფერს იმჩნევდა, ღია კუპეს თვალს არიდებდა... ბოლოს, როგორც იქნა, მსახიობი ქალი ტალანში გამოვიდა. იგი წუთით შერგილის გვერდზე შეყოვნდა და გამომც-

დელი მზერით თამამად გახედა. შერგილი თავაზიანი თავის დაკვრით გვერდზე მიდგა, რომ ქალს თავისუფლად გაევლო. თუმცა მან თავისი შავი, ცეცხლოვანი თვალები მაშინვე განარიდა, კაცს შეუმჩნეველი არ დარჩენია ქალის ტუჩებზე გადავლილი ცბიერი ღიმილი... უცებ შერგილს თავში მოულოდნელი აზრი მოუვიდა, მთელი ღამე მის კუპესთან ფეხზე უნდა გავათენოო და ეს ახირებულ სურვილად სულაც არ მოსჩვენებია...

დილით, როცა ქალი მას საკუთარი კუპის კართან შეეჩეხა, სახეზე გაკვირვება არ გამოხატვია. პირიქით, ყველაფრის გამგები ღიმილით მიესალმა, თვალები გააკვესა და სიცილით უთხრა — ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მთელი ღამე აქ იდექით ფეხმოუცვლელადო... დიახ, მშვენიერო ქალბატონო, თქვენს მყუდროებას ვედექი დარაჯადო... ბოშა ქალმა გულიანად ჩაიკისკისა და ხელი მაჯაზე მოუჭირა ნაზად. შერგილს ერთბაშად შემოეგზნო მისი ტანის სითბო და სახე გამოუცდელ ჭაბუკივით აელეწა... ქალმა კიდევ ერთხელ შეანათა შავგვრემან სახეზე აბრიალებული თვალები და მადლიერებაჩალვრილი ხმით განაგრძო: — მეგონა, ასეთი რამ მხოლოდ ჩემი მოდგმის შმაგ მამაკაცებს შეეძლოთ, მაგრამ არ მიკვირს, თქვენ ხომ ქართველი ბრძანდებით... გმადლობთო, მიუგო შერგილმა და ხელზე აკოცა...

უკვე ბაქოში, დამშვიდობებისას, ქალს ნაცნობობის გაგრძელების სურვილი არც დაუმალავს — დიდად მოხარული ვიქნები, თუ მოსკოვში ჩამოსული, ჩვენს თეატრში მესტუმრებითო... შერგილი მტკიცედ დაჰპირდა, მაგრამ მის სიტყვას, თურმე, ახდომა არ ეწერა. მალე ომი დაიწყო.

მძიმე წლებმა, პირადმა უბედურებამ შერგილს თანდათან გადაავიწყა თავისი უეცარი გატაცება. მაგრამ ადამიანის მეხსიერებიდან, თურმე, საბოლოოდ არაფერი იშლება...

ორი თუ სამი წლის წინათ შერგილი საქართველოს ტელევიზიის მიერ მომზადებულ მუსიკალურ გადაცემას უყურებდა. გადაცემამ თავიდანვე დააინტერესა და აალელვა, რადგან იგი ომისწინანდელი ხანის ცნობილი მომღერლებისადმი იყო მიძღვნილი. მრავალ მათგანს პირადად იცნობდა. მათ შორის ის ბოშა ქალიც აღმოჩნდა. საოცრად გაუხარდა, რადგან ცოცხალი არც კი ეგულებოდა. სამაგიეროდ სევდის მომგვრელი იყო სიმშვენიერის დაუნდობელი ფერისცვალება... როგორც გადაცემის ავტორმა თქვა, უთვისტომოდ დარჩენილი მსახიობი, სცენის სხვა, უკვე ჩამქრალ ვარსკვლავებთან ერთად, ცხოვრობდა თეატრალური მოღვაწეებისათვის განკუთვნილ პანსიონატში... სიბერეში შესულს, ძველი ტემპერამენტი კიდევ შერჩენოდა. რეპორტიორს ხალისიანად ესაუბრებოდა, ალტაცებული იყო, ყველასაგან მივიწყებული ბიძია მაინც რომ გაიხსენეს... გულთბილად მოიგონა თბილისი, გარდასული ამბები... მღელვარება მორეულს ცრემლებიც წასკდა... ამის დანახვამ შერგილი შესძრა და რამდენიმე დღის ყოყმანის შემდეგ, მოკლე, გასამხნევებელი წერილით შეეხმიანა... საპასუხო, მადლიერებით აღსავსე ბარათიც მოუვიდა... ეს სურათიც შიგ იდო...

ფიქრებიდან ტელეფონის ზარმა გამოიყვანა.

— დიმიტრი ხარ?.. მადლობა ღმერთს! — ერთბაშად გამოცოცხლდა შერგილი. — ასე უნდა ძველი მეგობრის დავიწყება?.. რას მეუბნები!.. მერე და ახლა როგორა ხარ?.. ეჰ, დავბერდით და ეგაა, ჩემო დიმა... მერედა რას სვამ?. თუ კაცი ხარ, ქიმიას მოეშვი... გუშინ ციციშვილის „კარაბადინს" ვფურცლავდი და, მგონი, შენი სატკივრისათვის გამოწერილ ბალახს წავაწყდი... რა ჰქვია?.. დაიცა, იქნებ მოვიგონო... უმჯობესია, როცა გავიხსენებ, მაშინ დაგირეკავ... თუმცა რა მნიშვნელობა აქვს. მე შენ გეტყვი და იმ ბალახის მცნობი ერთბაშად არ იპოვო... მინას ვწყდებით და ეგაა, ჩემო დიმიტრი, ჩვენი არსებობისა და ეროვნულობის ყველაზე საიმედო საფუძველს... მთელი თბილისი უჯიშო კვარაკუნშხას იას ეძახის, ოხრახუშს კიდევ — პეტრუშკას. ამას წინათ, ბაზარში, ქუთაისელ მემწვანილეს ავუხირდი ამის გამო... გაგიგონია?!. აქეთ შემომიტია — მოცლილი ხარ, ბიძია, ვილაცა ხარო. „ოხრახუში", „ოხრახუში" რო ვიძახო, ვის მივახვედრებ რა მწვანილს ვყიდიო... წარმოგიდგენია?!.

ამ საუბარში არც კი გაუგია მის ზურგს უკან როგორ გაიღო კარი და როგორ შემოვიდა მსუქანი, ფაშფაშა ქალი. ხელში ლანგარი ეჭირა, რომელზედაც ტორტის მოზრდილი ნაჭერი და ყავის ფინჯანი იდო. ქალს სრული, ფართოსახელოებიანი, ბრჭყვიალა ატლასის საშინაო ხალათი ეცვა, ფეხები აღმოსავლურ, ცხვირაპრეხილ მოსირმულ ფლოსტებში ჰქონდა გაყოფილი. კართან წუთით შეყოვნებულმა, მასპინძლის ლაპარაკს მიაყურადა და უცებ, რატომღაც, შტორის უკან მიიყუჟა.

— ჩემი ბინის ჩაბარება არც ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა, როგორც მეგონა, — განაგრძობდა შერგილი ტელეფონით საუბარს. — ჩემს სურვილს კულტურის სამინისტროში ინტერესითა და კმაყოფილებით შეხვდნენ, მაგრამ არც ეს დაუმალავთ — თქვენი ესოდენი მდიდარი კოლექციის მიღებას ჯერჯერობით ვერ შევძლებთ, რადგან ხელოვნების მუზეუმის სათავსები ისედაც გამოტენილი გვაქვ-

სო... ვერც თქვენს ბინაში გავხსნით მუზეუმის ფილიალს, რადგან საამისო საშტატო ერთეულების და შესანახი ხარჯების გამოყოფა გაგვიჭირდებაო... რა?... ა, საგვარეულო რელიკვიაზე მეკითხები?.. იმაზე ძვირფასი არაფერი გამაჩნია, ამიტომ სხვას ვერავის ვანდობ. ალბათ სახელმწიფო მუზეუმს გადავცემ. არადა საქმეების მოგვარების გარეშე პანსიონატში ჩემს გადასვლაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია... ყველაფერს ასე ბედის ანაბრად ხომ არ დატოვებ... ვიცი, როგორ არა!... მართლაც შესანიშნავი პანსიონატი აუგიათ, ჩინებულად მოწყობილი... რამდენიმე ძველ ნაცნობ-მეგობარსაც გადავეყარე... ძალიან კმაყოფილნი არიან... ისინიც კი, რომელთაც საკუთარ ოჯახებში მომვლელები და მზრუნველებიც ჰყავთ... ერთი სიტყვით, ვნახოთ... თუ რამ ახალი იქნა, მაშინვე დაგირეკავ... ნურც შენ დამივიწყებ... აბა, ბედნიერად, ჩემო დიმიტრი!..

— ეს რა მოისმინა ჩემმა დასავსებმა ყურებმა! — გამოსჭექა ქალმა სამალავიდან.

— თქვენა ხართ, ქალბატონო ვარდოფინე? — მშვიდად შეეხმიანა შერგილი. უკან არც კი მოუხედავს, რადგანაც მისი ბინის ერთი გასაღები ქალს მუდმივად ჰქონდა მიბარებული და ამგვარ მეზობლურ სტუმრობასაც შეჩვეული იყო.

ქალმა ლანგარი შერგილის წინ მდგარ დაბალ მაგიდაზე ჩამოსდო ბუზღუნით:

— კარის მეზობლები და მზრუნველები მეტად არ გილირვართ?

— არ მესმის, რაზე მსაყვედურობთ.

ვარდოფინემ ძვირფასი ბეჭდებით მოჭედილი ხელები სქელ, ხალათიდან გამოზნექილ ბარძაყებზე ააპარტყუნა:

— დედა, დედა, რაზე მსაყვედურობო!.. დავიჯერო, ასეთი გაუგებარი ბრძანდებით, შერგილ-ბატონო?!. ამას კიდევ კითხვა უნდა?! კაცი, თურმე, პრიუტში წვები, ჩვენ კიდევ ბაიბურში არა ვართ...

— უკაცრავად, მაგრამ...

— ბინას, თურმე, სახელმწიფოს აბარებ, — გააწყვეტინა ქალმა. — ქონებასაც ვილაც-ვილაცეებს უტოვებ... ჩვენ კიდევ რა, ხვიშტი?!

„ღმერთო, რა ლექსიკაა!" — სახე მოემწყუთრა მასპინძელს, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

„ხედავ, როგორ ჩაუვარდა ენა?!. კიდევ კარგ ბედზე შემოვედი, თორემ ხომ დავრჩებოდით მშრალზე, გაბითურებულები" — გაიფიქრა თავის მხრივ ვარდოფინემ, მაგრამ გაჩუმება და გულისნადების დამალვა მის შესაძლებლობას აღემატებოდა:

— პრიუტში დასაწოლი რა გჭირს, შე კაცო... რაიმეს გაკლებთ, რაიმე განყენინეთ თუ რაი?!. იქნებ ვერ მიგიხვდით, ბატონო, გაუგებრები ვართ... მაშინ პირდაპირ გვითხარი, გვიბრძანე... ყველანი ფეხზე დავდგებით, კისრამდე წყალში ჩავდგებით... ჰმ, პრიუტი!..

— რას ამოიჩემეთ ეგ სიტყვა, ქალბატონო ვარდოფინე? — ბოლოს და ბოლოს გამოჟონა უკმაყოფილებამ შერგილის ხმაში. — პრიუტი კი არა, პერსონალურ პენსიონერთა პანსიონატში გადავდივარ... რა იქ ყოფილხარ და რა სანატორიუმში.

— შეალამაზე, ჰო, შეალამაზე რამფერად! — სულ დაიქოქა მეზობელი. — ამათ, ასე იციან, ბატონო!.. ჩვენისთანა საწყალმა ხალხმა შემთხვევით ნემსის სალირალი თუ გამოიყოლია, ქურდი ხარო... სხვებს კიდევ პაჭკა-პაჭკად მიერთმევათ ფული კაბინეტებში და ხალტურა უყვარსო... ხედავ, თავისთვის რა ლამაზი სიტყვა გამონახეს?!. ახლა კიდევ, ამბობენ, იმაზე უფრო ლამაზი მოიგონესო, პრეზიდენტი თუ რაცხა ჯანდაბა.

— პრეზიდენტი, ქალბატონო ვარდოფინე, — სიცილი ვერ შეიკავა შერგილმა. — ეს უცხო სიტყვაა და ჩვენებურად მოსაკითხს ნიშნავს.

— ნახე, საცინრადაც რომ მიგდებს, — ხმას შეუმაღლა ქალმა, — ამდენი შრომა და ამაგი წყალში უნდა ჩამიყარო, ყველაფერი სხვას უნდა მიაშავო მუქთად და შეუწუხებლად?

შერგილი მხოლოდ ახლა ჩახვდა ქალის გულის წუხილს:

— რატომ გგონიათ, ქალბატონო ვარდოფინე, რომ თქვენი სიკეთე მავიწყდებოდეს... რაკი სიტყვამ მოიტანა, არ დაგიმალავთ... აი ის ვაზა, როიალთან რომ დგას, თქვენთვის მაქვს განკუთვნილი...

— ვინ არის შენი მასხრად ასაგდები! — ითაკილა ვარდოფინემ. — რა შავ ჭირად მინდა შენი ვაზა!.. მაგისთანა და ცოტა უფრო დიდი ბარე ხუთი მიდგას სახლში... რისი მაქნისია მერე?! ფასი, იცოცხლე, ადევს, მარა, რათ გინდა რა, შიგ ყვავილებსაც ვერ ჩააწყობ გემოზე... იმათი ამოღებით მკლავები მაქვს დაღლეტილი.

— ბოდიში, მაგრამ ყველა საგანს თავისი დანიშნულება აქვს... მათ შორის, დეკორატიულ ვაზასაც.

— სხვისი ჭკუის სასწავლი არაფერი მჭირს მე! — დოინჯი შემოიჯგიმა ქალმა ფართო წელზე. — დიდი ამბავი, ამდენი სამსახურის ფასად ერთი გამოწუნებული ვაზა თუ გაიმეტე.

— როგორ გეკადრებათ, — გულწრფელად გაუკვირდა შერგილს. — თქვენს ნაყალბევ ვაზებთან ამის შედარება როგორ შეიძლება... უნიკალური გახლავთ, სუფთა საქსონური...

— არ მჭირდება მაგი მე... მათხოვარი კი არ ვარ!

შერგილს სახეზე სისხლი შემოაწვა:

— ქალბატონო ვარდოფინე, თავს რატომ იმცირებთ?... ანგარიშიანობა რა მოსატანია კარის მეზობლების კეთილ ურთიერთობასთან.

თითქოს ამ სიტყვებმა გასჭრაო, ქალს ერთბაშად ხმა დაურბილდა:

— ბოდიში, თქვენი გულის ჭირიმე... მოულოდნელობამ ტვინი ამირია, აღარ ვიცი რეებს ვროშავ...

— არ მესმის რატომ? — მხრები აიჩეჩა შერგილმა.

ვარდოფინემ საუზმე წინ დაუდგა მოხუცს და სულ დატკბა:

— ჯერ ეს მიირთვით, თქვენი ჭირიმე და დანარჩენზე მერე მოვილაპარაკოთ.

— მოვილაპარაკოთ! რაზე, რა საქმეზე?!

ვარდოფინემ ნაუყრუა:

— მიირთვით, მიირთვით... მანამდე კი, ნუთიით ჩემთან გავვარდები და ევგრაფის დავურეკავ, რომ ახლავე აქ გაჩნდეს.

— ბატონი ევგრაფი განა თბილისშია?!. — გაიოცა შერგილმა. — მთელი წელია თქვენგან მესმის — კაცი რაიონში გადამიკარგეს, თვეში ერთხელაც ვერ ახერხებს ჩამოსვლასო და ახლა ასე უცებ საიდან გაჩნდა?

— კი არ გადაუსახლებიათ, შე კაცო, რომ ოჯახში არ მოესვლებოდეს, — აშკარად მიკიბ-მოკიბა ვარდოფინემ. — ამ დილით დაგვეცა თავზე მოულოდნელად, ორშაბათს საქონელი უნდა მიიღოს ბაზაში.

— მით უფრო!.. არა, არა, ნუ შეაწუხებ, საკუთარ საქმეს მიხედოს.

— ჩვენი საზრუნავი რამ გაყო, პატივცემულო, — სულ შაქრის ყინული დაიდნო ენაზე ვარდოფინემ. — მეზობელი მეზობელს გააჩნია... თქვენისთანა ოქროგულ კაცს დღეს სად იპოვი... ახლავე ცხელ ყავას მოგართმევთ.

პირმოთნეობამ მოხუცი უფრო გაალიზიანა, მაგრამ მაინც თავი შეიკავა:

— კიდევ ერთხელ გთხოვთ, ნუ შეაწუხებთ.

— რა დროს მაგაზე ლაპარაკია? — უკვე კარებთან დაუძახა ქალმა.

შერგილმა კოვზით ტორტის ნაჭერს ძგიდე ჩამოაფცქვნა, პირში ჩაიდო და ყავა მოსვა, მაგრამ ფინჯანი მაშინვე ლამბაქზე დასდო:

— გაციებულა! — შემდეგ ფიქრებში ნასული, მოულოდნელად აბუტბუტდა: Все ж какая фамилярность! რა უფლების ძალით გეთაყვა!.. თუ ასე ყელში ამომიყვან პატივისცემას, სულაც არ დავლევ ამ შენს ყავას! — კოვზი ლამბაქზე მიაგდო და გვერდზე მისწია, — აგეთი რამ გაგონილა?! მეზობლებშიც საჭიროა რიდი... ვის უნახავს სხვის სახლში ნარა-მარა ფლოსტებით ფრატუნი... თანაც ჭიპამდე მოხალვათებული საშინაო ხალათით... В конце концов, я же мужчина, черт побери!..

— აბა, ბატონო, ცხელი ყავა! — [illegible] გაიგონა ქალის ხმა. — ხაჭაპურიც წამოგიძღვანიეთ.

— იცით, ქალბატონო ვარდოფინე, ყოველგვარი სურვილი ჭამისა გამიქრა. — მოხუცმა გულგრილად გადახედა მაგიდას და თავი გვერდზე მიაბრუნა.

— აჰ, არ გამაგონო! — ხელები გაასავსავა ქალმა. — სანამ ყველაფერს არ გაათავებ, აქედან ფეხის გადამდგმელი არა ვარ.

„ღმერთო, რა დავაშავე ასეთი!“ — გაიფიქრა შერგილმა და ხაჭაპურს უხალისოდ დასწვდა.

— ახლა ამით შეიქციე თავი და მერე ერთად ვისადილოთ... ისეთი შებრაწული გოჭი გველოდება, ისეთი ინდოურის საცივი, თითებს წაიტკვერ... ჩემს კაცს თვეში რაცხა ერთხელ ჩამოუცდება ფეხი და არ ვასიამოვნო?!

წყალწაღებულისა არ იყოს, შერგილი ამ სიტყვებს უმალ ჩაეჭიდა:

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მაგრამ მე თავი დამანებეთ, თქვენი ჭირიმე... რაღაც ორი პარასკევი დამრჩენია ამ ქვეყნად და დამაყენეთ ჩემს გემოზე, ჩემთვის.

— შენთვის არა?! — ორაზროვნად ჩაეკითხა თოფის წამალივით აფეთქებული ვარდოფინე. — ვიცი მე, რაც გაწუხებს და რაც გადაგიწყვეტია, მარა არ ჩაგივა ფეხი.

— Без хамства, ради бога!

— რას ილანძღები, რომ ილანძღები!.. ასეა ბატონო, ადამიანს გადაყვები, მოსამსახურედ გაუხდები და ბოლოს, პატივისცემის ნაცვლად, გამოგაპანღურებს.

„ო, ეს დაწყევლილი ინტელიგენტური რეფლექსი თავშეკავებისა, თორემ სულ კინწისკვრით უნდა გააგდო... აშვებულ თავხედობასთან სხვაგვარი მოქცევა არ გაჭრის“. — გაიფიქრა მოხუცმა და მაშინვე ხმა გაუფიცხდა.

— თქვენ ყველა ზღვარს გადადიხართ, ქალბატონო... რა უფლების ძალით მელაპარაკებით ამგვარი ტონით?!. არაერთხელ მითქვამს და ახლაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ ყველაფრისათვის... გთხოვთ, უმორჩილესად გთხოვთ, თავი დამანებოთ, ჩემთვის დამტოვოთ.

— ასე ხომ? — სულ გაიფოფრა ქალი. — ანი აღარ გჭირდება ვარდოფინე და ევგრაფიე... კაი, ბატონო!.. მაგასაც ვნახავთ, ქვეყანა ჩალით თუა დახურული. — ჭურჭელი ხმაურით აკრიფა, ბალიშივით აფუებულ მკერდზე მიიხუტა და კარში გავარდა...

შერგილმა უნგრული ქურთუკის ყაიდაზე

შეკერილი საშინაო ხალათის ჯიბიდან ვალიდოლი ამოიღო და პირში ჩაიდო:

„მადლობა ღმერთს, რომ წავიდა! — გაიფიქრა შვებით. — როგორ ჩამიშხამა მთელი დღე ამ გაფხორილმა ფარშავანგმა... გული დამიმძიმდა, კეფაც... ალბათ წნევა ამივარდა... არა, რაც მართალია, მართალი, მიუტევებელი შეცდომა მაქვს ჩადენილი თავის დროზე, ბინის გასაღები რომ გადავეცი... რას ვიფიქრებდი, სანანებელი გამიხდებოდა!.. შემომიჩნდა, ავადმყოფი კაცი ხარ, დროდადრო დაგხედავ და ზედმეტად რომ არ შეწუხდე, ერთი გასაღები ჩვენთან იყოსო... სულ არ გამიშინაურდა?!.

კარი ისეთი ზათქით გაიღო, თითქოს შემოანგრიესო.

თავზე სახეარეული, გიჟივით აფორიაქებული ევგრაფი დაადგა:

— მლუპავ, არზაყანოვიჩ?!

— გლუპავ?! — უნებურად ფეხზე წამოდგა მასპინძელი.

— კაცს ცალი ფეხი სამარეში გიდგას და ასეთი რამ რამ გაფიქრებინა?

— „რა უტაქტობაა!“

— ოთხმოცი წელი ასეთ ბინაში გაგიტარებიათ და ახლა გინდათ სული პრიუტში ამოგხდეთ?

წრეგადასული უზრდელობით გაოგნებულ შერგილს ენა დაება. ევგრაფი კი არ ცხრებოდა:

— რატომ ხართ ეს ძველი ხალხი ასეთი არაპრაქტიკულნი?

— თქვენ ყოველგვარ წრეს გადადიხართ! — ხმას აუმაღლა მოხუცმა.

— ზრდილობიანი პუტუნისათვის არ მცალია მე... ამ ბინას ცოცხალი თავით არავის დავანებებ.

— მერედა ეგეთი პრეტენზია საიდან გაგიჩნდათ? — თვალები გაუფართოვდა შერგილს.

ევგრაფი მოულოდნელად და აშკარად ნაძალადევ ლიქნზე გადავიდა:

— ბატონო შერგილ, ნამეტანი ბოდიში თქვენთან, ასე რომ ავლელდი, მარა ჩემი მდგომარეობაც წარმოიდგინეთ. უკვე ოცი წელია თბილისში ვცხოვრობ და ცოლშვილი აქამდე ორროთახიან ბინაში მეხრჩობა.

— ჩემი ბრალით ხომ არა?

— სწორედ!

— იქნებ ამიხსნათ, რატომ?

— რამდენჯერ შემოგთავაზე, რამდენი გეხვეწე — მოდი, ბინას მე გაგირემონტებ, მერე რომელ ოთახსაც ხელს დაადებ, იმ ოთახში იცხოვრე-მეთქი... მოვლა-პატრონობასაც სიკვდილამდე არ მოგაკლებ-მეთქი... რავა, ცუდი სიტყვაა?!

— ამის პასუხი თავის დროზე მოგახსენეთ.

— სიამაყე, იცოცხლე, ქა გაქვთ თავზე საყრელად ძველ ხალხს, სხვა თქვენ თუ არა.

— ის, რითაც თქვენისთანებს თავი მოგაქვთ, მე არ მჭირდება. — გაცხარდა მოხუციც. — და საერთოდ, გთხოვთ ამგვარი ტონით ჩემთან ლაპარაკი მოიშალოთ.

— ახლა დიდ გულზე ხარ ხომ, როცა ამდენი მოვლა-პატრონობა მუქთად გაინაღდე?.. აქამდე ჩემს კისერზე იყავი, ახლა სახელმწიფოს გინდა მოაჯდე ზურგზე?!

— როგორ მიბედავ! — აცახცახებული ხელები შერგილმა სკამის ზურგზე დაუშვა უნებურად. მაგრამ უკანასკნელ წამს მაინც თავს მოერია.

— ნიკოლოზის დროინდელი ინჟინრისაგან სხვას რას უნდა ელოდე კაცი!

— ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, დემაგოგიც ყოფილხარ!

შერგილი მიხვდა, ასეთი კაცის აყოლა კარგს რომ არაფერს მოუტანდა და ისევ თავი შეიკავა: ევგრაფიმ კიდევ ერთხელ სცადა თავის მოკატუნება:

— ვაჟიშვილი მყავს მე!.. ოცდახუთის გახდა აგერ და ჯერ ცოლი ვერ მოუყვანია... რატომ გინდათ თვალსა და ხელს შუა ამაცალოთ ის, რაც კანონითა და სამართლით ყველაზე მეტად მე მეკუთვნის.

— რა კანონსა და სამართალზეა ლაპარაკი!.. რამდენადაც ვიცი, სამი სულისათვის ორმაგად საკმარისი ფართობი გიჭირავთ.

— შენთვის კი მეტი არ არის ამდენი დარბაზები, თითივით შიშვლად დარჩენილი კაცისათვის? — კვლავ აბობოქრდა ევგრაფი. — კანონით აქამდე რომ არ ჩამოგართვეს, მაგისთვისაც მადლობელი უნდა იყო.

— ეს სახლი მამაჩემისა და ჩემი პატიოსანი შრომითაა აგებული... სახელმწიფო საბინაო ფონდშიც ჩემი ნებით გადავიდა... ახლა კიდევ, მინდა, აქ მუზეუმი გაიხსნას და ყველაფერი, რასაც ხედავ, ხალხს დარჩეს.

— მაგას კიდევ ვნახავთ ჩვენ! — დაიქადნა მეზობელმა.

— ბატონო ევგრაფი, ვფიქრობ, დავას არავითარი აზრი არა აქვს. — უკვე მშვიდი ხმით მიუგო შერგილმა.

— ევგრაფ გედევანოვიჩი ტყუილ-უბრალოდ სიტყვას არ ხარჯავს, ესეც იცოდე შენ, — გაიფხორა საქმოსანი. — ამდენს ზრდილობა მალაპარაკებს, თორემ, რომ იცოდე, საქმე უკვე მოკვარახჭინებული მაქვს.

— აბა თქვენ იცით! — მიაძახა შერგილმა მეზობელს კარებში და მონწყვეტით სავარძელში ჩაეშვა.

II

მეზობლების მხრიდან მოულოდნელი შე-

მოტევით გამოწვეულ სტრესს უკვალოდ არ ჩაუვლია. შერგილი ორი დღე-ღამე წამლებით უმკლავდებოდა გულის მოვლენებს, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული გახდა სასწრაფო დახმარების მანქანა გამოეძახა.

კვლავ კარდიოლოგიურში დააწვინეს და თავზე ნაცნობი ექიმები დაეხვივნენ.

ვარდოფინე ყოველდღე აკითხავდა, საჭმელ-სასმელითა და ხილით გულუხვად დატვირთული. საათობით ავადმყოფის სასთუმალს არ შორდებოდა, გადამეტებული მზრუნველობით ფუსფუსებდა. ზოგიერთებმა შერგილის მეუღლედაც კი მიიღეს და ჩურჩული გააბეს — ასეთი ახალგაზრდა ქალი რათ უნდოდაო.

ავადმყოფი გაკვირვებული იყო და შეწუხებულიც. შინ განცდილი უსიამოვნო სცენების შემდეგ აუტანელ სიყალბედ ეჩვენებოდა ამგვარი ჭირისუფლური თავგადაგებულობა. რანაირად არ სცადა ვარდოფინეს შემაწუხებელი მზრუნველობიდან თავის დახსნა, მაგრამ არაფერი გაუვიდა. ბოლოს ხელი ჩაიქნია. უბრალოდ, უმადურობის გამჟღავნებისა შერცხვა. თანდათან გულიც მოუბრუნდა. მეზობლებზე, მათი საქციელის გამართლებაც კი სცადა, ალბათ სხვებიც ასე მოიქცეოდნენო...

ერთ თვეში შერგილს ფეხზე წამოდგომის უფლებაც მისცეს. საავადმყოფოს ჰოლში გასვლასაც მოუხშირა, გამოჯანსაღებულ ავადმყოფებთან მუსაიფით ერთობოდა, ჟურნალ-გაზეთებს კითხულობდა, ყველაზე საინტერესო ტელეგადაცემებსაც ნახულობდა. აწეწილი ნერვები თანდათან დაუწყნარდა, გულის შეტევებიც მოეხსნა, მაგრამ ექიმები მის განერას არ ჩქარობდნენ. არც თავად იჩენდა სულსწრაფობას — ვაი თუ ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყოსო... მისი ფიქრი, ძირითადად, ისევ ადრინდელ საზრუნავს უტრიალებდა: რა ვილონოთ წამოწყებული საქმეების ბოლომდე მისაყვანად, რომ ინტერნატში დამშვიდებული გადავბარგდეო...

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, ისე გამოვიდა, სწორედ ამ დროს დატრიალდა მოვლენა, რამაც მთელი რესპუბლიკა ააფორიაქა, აალაპარაკა და მარტოხელა მოხუცის შემდგომ ცხოვრებასაც ახალი შინაარსი და მიმართულება მისცა. მთელი მისი არსება მოიცვა საქართველოს მთებში დატრიალებული სტიქიური უბედურების ამბებმა. შერგილს უკვე ველარავინ ასწრებდა გაზეთის კიოსკში ჩასვლას, ყური სულ „სპიდოლაზე" ჰქონდა მიდებული, უნახავად არ უშვებდა „მოამბისა" და „ვრემიას" არცერთ გამოშვებას...

განსაკუთრებით შემაშფოთებელი ცნობები სვანეთიდან მოდიოდა. დროული ადამიანის არსებაში უჩვეულო ძალით გაიღვიძა ნარმომავლობის გრძნობამ, ოთხი თაობის მიერ მიტოვებული წინაპართა კერის იდუმალმა ძახილმა... საოცრად გაიხარა და გული მშობლიური თანამოლამეობით აუვსო იმის გაგებამ, რომ მისი გვარის ადამიანები, თურმე, კიდევ შერჩენიან სვანეთის მთებს. შერგილს ღრმად მოხუცებული პაპისაგან ჰქონდა გაგონილი თავგადასავალი ძლიერი და ამაყი, დალისთან ნაწოლი მონადირის ციოყის ნაშიერებისა, რომლებიც დიდხანს მედგრად და შეუპოვრად იცავდნენ თავისუფალ სვანეთს და მტერთა მოძალებით, ბოლოს, მოისრნენ. იმ შორეულ სისხლიან ღამეს მხოლოდ ტყუპისცალი ძმები გასხლტომიან ცოცხლად. ერთს, შერგილის პაპას, ბარში ჩამოუღწევია და ბოლოს თბილისში დამკვიდრებულა. მეორე ბიჭის კვალი კი სამუდამოდ დაკარგულა... შერგილს ეჭვიც კი აღარ ეპარებოდა, რომ მისი სახლიკაცები, რომელთაც ამჟერად სტიქია უტევდა შესამუსრავად, პაპის გადარჩენილი ძმის ნაშიერები იქნებოდნენ. მოხუცი მოუსვენრად ბორგავდა, ადგილს ვერ პოულობდა, უნდოდა გასაჭირში ჩავარდნილ მოძმეებს რალაცით მიშველებოდა, მაგრამ საკუთარი უმწეობის შეგნება მის სურვილს ფრთებს უკვეცავდა. ზვავით წალეკილი ოჯახებიდან შემთხვევით გადარჩენილი ადამიანების დაღვრემილი სახეები, ტელეეკრანიდან და გაზეთის ფურცლებიდან რომ იცქირებოდნენ, გულს უკლავდა, ფარულად ცრემლს აღვრევინებდა... გასაოცარი ის იყო, რომ ამდენი განცდისა და მღელვარების დამტევი გული საკუთარ სისუსტეს ახლა არაფრით აღარ ამჟღავნებდა. მოხუცს თითქოს ფიზიკური სიმხნევეც მოემატა, ფიქრთმდინარებაც, სიმძიმილზე მეტად, სულიერი შემართების წყურვილით ავსებდა... როგორც კი სტიქიით დაზარალებული რაიონებისათვის დახმარების გამწევი რესპუბლიკური შტაბის შექმნის ამბავი გაიგო, მის სახელზე მაშინვე დეპეშა გაგზავნა — მზადა ვარ, სვანეთიდან მივილო ყველაზე მრავალრიცხოვანი ოჯახიო. არც ის დაუმალავს — სასურველია ჩემი გვარისა იყვნენო...

შინ დაბრუნებისთანავე შერგილმა დაზარალებულთა დახმარების ფონდში თავისი ანაბრიდან სამი ათასი მანეთი გადარიცხა... შემდეგ ქუთაისში გამგზავრების სურვილიც აეკვიატა, რათა საკუთარ ბინაში ჩასასახლებელი ოჯახი თავადვე შეერჩია, მაგრამ მკურნალმა ექიმმა კატეგორიულად დაუშალა — ფრიად სარისკო იქნება თქვენი ჯანმრთელობისათვისო.

მოუსვენარ მოლოდინში ერთმა კვირამაც გაიარა. შერგილის ყოველდღიური ცხოვრება კვლავ ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა. ძველებურად არც ვარდოფინე აკლებდა კეთილ

მეზობლურ მზრუნველობას, თუმცა მის ქვეყანაში რაღაც შეფარული ზრახვის არსებობასაც გრძნობდა. შერგილის გული საბოლოოდ იმან მოიგო, რომ ქალს მთელი ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ ჩამოუგდია საუბარი ბინის საკითხზე. არც ევგრაფის შემოუხედია. იფიქრა, ალბათ, სინდისი ქენჯნითო და ამან გულწრფელად გაახარა...

ერთ მშვენიერ დღეს ევგრაფი მაინც გამოეცხადა, დამნაშავე კაცის დაბნეული იერით.

— არ ვიცი, საიდან დავიწყო, ბატონო შერგილ, — მის ხმაშიც უჩვეულო გაუბედაობა იგრძნობოდა. — უშველებელი ბოდიში მაქვს მოსახდელი მაშინდელი საქციელისათვის, მარა ნამეტნავად ვიყავი აღელვებული და არ გამემტყუნება.

— მართალი გითხრათ, აქამდე ვერ გამიგია თქვენი.

— ნუ გაგიკვირდებათ, ბატონო... ეხუმრებით მთელი წლების მანძილზე კაცი რაღაც იმედით სულდგმულობდეს და შემდეგ ყველაფერი საპნის ბუშტივით შეასკდეს ხელში?

— მაინც საიდან გაგიჩნდათ ასეთი იმედი, უფრო სწორად — პრეტენზია?!. სხვა თუ არაფერი, მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ ფეხზე ვდგავარ...

— მოდით, ბატონო შერგილ, მოვეშვათ პაერზე ლაპარაკს. — ევგრაფის ხმაში ადრინდებულმა თვითდაჯერებულებამ გამოჟღერა. — არც ისეა საქმე, თქვენ რომ ფიქრობთ. სირცხვილ-ნამუსის ძარღვი მართლა კი არ გამწყვეტია შუბლზე... მით უფრო გაზეთებში გამოქვეყნებული თქვენი განცხადების შემდეგ... გაჭირვებულ ხალხს ხელი უნდა გავუწოდოთ, აბა რავა, მაგრამ არც სხვა გაჭირვებულის დავიწყება ივარგებს... მით უფრო, რომ ამის საშუალება არის, თუ კი მოვინდომებთ.

— არ მესმის, რაზე მელაპარაკებით.

ევგრაფიმ წამიერად სცადა მზერა მასპინძლისათვის გაესწორებინა, მაგრამ მაშინვე თავი დახარა და საქციელწამხდარი კაცის ხმით ჩაიდუდუნა:

— ვიდრე შემოსახლებული სვანები კარზე არ მოგდგომიან, იქნებ მოვრიგდეთ.

— რა მორიგებაზეა საუბარი, გამაგებინეთ.

— ბინები ხომ არ გაგვეცვალა?! — გაუბედავად წარმოთქვა ევგრაფიმ და მაშინვე დასძინა. — თქვენ ჩემს ახლადგარემონტებულ ბინაში გადმობრძანდებით, ჩვენ კიდევ აქ გადმოვალთ, გაურემონტებელში... რა თქმა უნდა ფულს დაგიმატებთ... გაფორმება ჩემზე იყოს, სულ ერთი დღის ამბავი იქნება.

— მაინც ვერაფერი გავიგე!

— ბოდიში, მარა თქვენ მარსიდან ხომ არ ბრძანდებით ჩამობრძანებული, ბატონო შერგილ, — თავს ველარ მოერია ევგრაფი. — რავა, ამისთანა უბრალო [illegible] მართლა არ გსმენია?.. ქვეყანა [illegible] ითბობს ხელს და შენ კვირობ?!.

— აი თურმე რა! — ჩაილაპარაკა მასპინძელმა.

— ჰოდა, კარგი დაგემართოს, — ერთბაშად გამოცოცხლდა ევგრაფი. — შენ ერთბაშად გამდიდრდები, სვანებისათვის კი რა მნიშვნელობა აქვს, რომელ ბინაში ჩავასახლებთ... მე შენ გეტყვი და დვარეცებში ცხოვრებით არიან განებივრებულნი... ყველა ვარიანტში მადლობელი დაგვრჩებიან.

— გესმით რას ლაპარაკობთ? — ცალი წარბი მრისხანედ აზიდა შერგილმა.

— მესმის და მეტი არა?!. აპა პირდაპირ გეტყვი და გული გაიმაგრე... ნახევარ მილიონს გაძლევ და მოვრჩეთ ამ საქმეს.

— ნახევარი მილიონი?!. ძველი თუ ახალი კურსით, თუ გიყვარდე?

— როგორც შენ გაგიხარდება! — სიხარულით აჩქარებული ხმით მიუგო საქმოსანმა და წამიერი ჩაფიქრების შემდეგ სულწასულად დასძინა. — შემსალაროში შევიტან შენს სახელზე. ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს!

— შემნახველ სალაროშიო, ამბობთ? — ჩაილაპარაკა მოხუცმა.

— სულაც ხელზე იყოს... თუ გინდა, სამპროცენტიან ობლიგაციებს მოგართმევ... სახლში რა ეგ გქონია და რა ოქრო.

„აი, შე მართლა გამოჩერჩეტებულო ბებერო ინჟინერო, — გულში ჩაეცინა შერგილს. — დრო იყო, ნახევარ მილიონიან ხიდებს რომ აგებდი, გიკვირდა, ამოდენა ფულის გაღებას სახელმწიფო როგორ ახერხებსო. ახლა კი ნახევარი მილიონი, თურმე, შეგიძლია საკუთარ ანგარიშზე იქონიო ჯიბის ფულივით და არც არავინ შეგეკითხება, საიდან, როგორო... აი, პროგრესი, თუ გინდა!..“

ევგრაფის შემოციცინებულ თვალებს რომ წააწყდა, რატომღაც მისი გათამაშება მოუნდა:

— მერედა, სამსულიან ოჯახს ამოდენა ბინას ვინ დაგიმტკიცებთ, რა კანონის. ძალით?

— ევგრაფი გედევანოვიჩს მიანდეთ ეგ საქმე! — გამარჯვებული კაცის სახით გაილრიჭა მეზობელი და ხელი გაუწოდა. — მოვრიგებულვართ აბა და ეგაა.

შერგილმა უნებურად უკან დაიხია და სიცილი წასკდა:

— ჰა-ჰა-ჰა...

— ვიცოდი, ასე კეთილად რომ დამთავრდებოდა ყველაფერი, აბა არ ვიცოდი?! — ხელები მოიფშვნიტა საქმოსანმა.

— ვერ მიმიხვდით, ვაჟბატონო... იმაზე მე-

ცინება, რომ ჩემი სიტყვები სერიოზულად მიიღეთ.

— გამაპამპულე ხომ?! — წამოიყვირა განბილებულმა ევგრაფიმ. — მაგრამ იცოდე, ჩემი გაცურება არ გამოგივა. არ გინდა და ნუ გინდა!.. როგორმე უშენოდ გავაწყობ მაგ საქმეს... ფულიც შემრჩება.

— ძალიან კარგი! — წამოდგა შერგილი. — მაშასადამე, მოვრჩით საუბარს.

— არა, კიდევ მაქვს ერთი სათქმელი.

— ბრძანეთ!

— ამ დილით ლაპარაკში გიხსენებიათ... რაღაც ოჯახური ის გქონიათ, ისა, რა ქვია იმას...

— რელიკვია.

— ჰო, ჰო!.. ისიც გითქვამს, მაგისი ფასი არაფერი გამაჩნიაო... თუ ნამეტანი საიდუმლო არ არის, რაა ამისთანა?

— შემიძლია დაგამშვიდოთ, თქვენ ნამდვილად არაფერი გამოგადგებათ. მით უფრო, იმ რელიკვიის ფასს ვერასოდეს გაიგებთ.

— ვითომ ასე ბნელები და გაუგებრები ვართ?! ბრილიანტი და თვალი პატიოსანი ჩვენც ქე გვინახავს ცოტა.

— ბრილიანტი იმასთან რა სახსენებელია.

— რა არის ამისთანა უსაშველო?!. ბარემ ამომხადე სული და ის იქნება... ვარდოფინე ამბობს, ალბათ, ქალბატონ სოფიოს გულქანდაა, იშვიათი რამეაო, მეზობლებისაგან ზმენია.

— ის სადღაა, თავდაცვის ფონდში შევიტანეთ ომის დაწყებისთანავე.

— აბა, მაშინ იმის უკეთესი რაცხა ყოფილა... იმასაც ამბობენ, ირანის რკინიგზის გაყვანა რომ გაგისრულებიათ, შაჰს გადასარევი რალაც უჩუქებია თქვენთვის.

— ამ ხნის კაცი ქალების მონაჭორს როგორ უნდა აჰყვეთ.

— გაბითურება არ მაკმარე და ახლა ჭორიკანადაც გამომიყვანე!.. დაგიჯენ მაგას ფასად, თუ ვყოფილვარ ევგრაფი!

გაცეცხლებულმა მეზობელმა კარს მიაშურა, მაგრამ გაბმულმა ზარმა ადგილზე გააშეშა. ხმაურით გალებული კარის ზღურბლზე გალეშილი ჭიჭია აისვეტა, რომელსაც კალთაში დედამისი ჩაფრენოდა. გასალახანებულ დედისერთას ქურთუკის ჯიბეები ამობრუნებული ჰქონდა, პერანგის საყელო სანახევროდ ჩამოხეული.

— პრივეტ, მამილო! — ნაძალადევი სიხარულით შესძახა ჭიჭიამ და დედამისს უკვე მერამდენედ გამოგლიჯა მკლავი.

რაკი არაფერი გაუვიდა, ვარდოფინე დაყვავებაზე გადავიდა:

— წამოდი, დედა გენაცვალოს. წამოდი, ჩემო ბუთხუზა ბიჭო... მაინც სად მოასწარი ასე უთენია!

— შენ გაჩერდი! — ჭიჭიამ ღონივრად ხელი ჰკრა, ოთახში შემოაბიჯა და [illegible] გალაჯა, რომ წონასწორობა შეენარჩუნებინა.

— გეიგონე, რასაც გეუბნებიან! — მიუბღვირა მამამისმა.

— არსადაც არ მივდივარ მე! — ჩაიფრუტუნა მთვრალმა. — ჯერ ეს მითხარით, რაზე ჭუკჭუკობდით აქ... არაფერი გამოგდის, ხომ?

— სუ, სუ! — შვილისათვის ხელის პირზე აფარება მოინდომა ვარდოფინემ. მაგრამ ჭიჭიამ კვლავ წაუბიძგა და მასპინძელს მიუბრუნდა. — ისე, ბატონო შერგილ, ამათ დიდად ნუ ენდობით... თქვენ კიდევ ბევრი რამ არ იცით.

— რას მიედ-მოედები! — ერთბაშად გაფითრდა ევგრაფი.

— წამოდი, დედა გენაცვალოს, სახლში... ახლა შენ დაძინება გინდა და მეტი არაფერი. — კვლავ მკლავში წაეპოტინა ვარდოფინე.

— მეყოფა, დედაჩემო, შენი გაუთავებელი წანა... აქა მაქვს ამოსული თქვენი პატივისცემა! — გაშლილი ხელი დანასავით გაისვგამოისვა ყელზე — ამდენ მაიმუნობას გაძლება არ უნდა?

შერგილმა მშვიდად გადაავლო თვალი კარის მეზობლების კამპანიას და წყნარი ხმით წარმოსთქვა:

— ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ, ალბათ აჯობებდა, თუ თქვენს შინაურ საქმეებს საკუთარ ჭერქვეშ გაარკვევთ.

— ნუ გამომიყვან მოთმინებიდან! — ახლა ევგრაფი მივარდა შვილს, მაგრამ ჭიჭიამ მასაც გამოგლიჯა მკლავი.

— მე მეუბნები მაგას?!. ის გირჩევნიათ, მოთმინებიდან არ გამომიყვანოთ, თორემ მერე გვიანი იქნება! — უცებ ხელი ჩაიქნია და გამოცვლილი ხმით დაუმატა. — ლაპარაკს და ლაილაის მოუკვდა პატრონი... მამაჩემო, დამხოშიანად ჩამოდი ხუთას მანეთს... აი, ასე მჭირია, დო ზარეზა.

— შენ გიჟი ხომ არა ხარ! — წამოიყვირა ევგრაფიმ. — ამ დილით ხომ მოგაშავე... ახლა კიდევ ხუთასი რა ამბავია?

— სვეტი ბარიშნები გვახლავს, მამაჩემო, ხუთას მანეთში თუ გამოვედი, მადლობა მითხარი.

— სადა აქვს, შვილო, მამაშენს ამდენი? — თავი მოისაწყლა ვარდოფინემ.

— შენ გაჩერდი!.. დამიწყეთ ახლა ვაჭრობა!

— ბატონებო! — კვლავ სცადა თხოვნის შეხსენება შერგილმა.

— მიაშავე და მორჩი შენც! — ჩვეულებისამებრ პირველი მოტყდა დედა, მაგრამ ევგრაფი გაჯიუტდა:

— კაპიკსაც ვერ ელირსება.

— მაშ არ იძლევი.

— კი, დედას ჭირიმე, მოგცემს, აბა არ მოგცემს? — მაგან თუ არ დაგამადლა, ისე არ შეიძლება.

— შენი გაფუჭებულია ეს ბიჭი და ახლა შენ მოუარე, როგორც გინდოდეს. — შეუტია ცოლს ევგრაფიმ.

— გაფუჭება მაშინ ნახეთ, გუდას თუ მოვხსენი თავი! — მუქარაზე გადავიდა ჭიჭია.

ვარდოფინემაც მხარი მისცა:

— ევგრაფია, ისედაც მოშლილი ვარ ნერვებზე და დასაბმელი არ გამხადოთ.

— იქნებ ჯობდეს ჩვენი თხოვნა ბოლოს და ბოლოს შეისმინოთ, — კვლავ გაიმეორა შერგილმა.

ჭიჭია ისევ იერიშზე გადავიდა:

— გესმის, მამაჩემო?.. ეს პატიოსანი კაცი ხედავს, ლამაზად რომ ვერ ვიქცევით... რას იტყვის, ყველაფერი რომ დავკაკლო?!.

— ხმა ჩაინყვიტე, ძაღლის გაგდებულო! — კბილები გაახრჭიალა ევგრაფიმ.

— დიდუ-უ, ეს რა მაკადრა! — ხაფი ხმით შეიცხადა ვარდოფინემ. — ვაი ჩემს მოსწრებას, ვაი ასეთი ქმარ-შვილის გადამკიდეს!

— დედაჩემო, ნუ გაახურე ისტერიკა!.. გედევანოვიჩ, იძლევი თუ არა?

— კაპიკსაც ვერ ელირსები!

— ვერა?

— არა-მეთქი.

— მაშინ, აბა, მე მიყურეთ ახლა!

ყველასათვის მოულოდნელად ჭიჭია როიალთან გაჩნდა და მის გვერდზე მდგარი მაღალი ვაზა ხელში აიტაცა.

— შვილო, გაგიჟდი?!. სხვის ქონებას რას ერჩი! — შეგონებაზე გადავიდა ვარდოფინე.

— ხომ გაიგე, რაც გითხრეს! — ბანი მისცა ევგრაფიმაც.

პასუხად ჭიჭიამ ვაზა ასწია და დაიღრიალა:

— როცა კედელს მივაფშვნი, ეს ვაზაც თქვენი გახდება... ზარალის ანაზღაურება მოგიხდებათ.

უცებ აზრზე მოსულმა ვარდოფინემ შეჰკივლა:

— დიდუ-უ, მართლა!.. ეს ვაზა ჩვენია, რომ იცოდე!.. არ დამღუპო!

— მით უკეთესი!

— ჭაბუკო, მაგ ვაზას აგრე რიგად ნუ ეთამაშებით, — შეშფოთდა შერგილიც. — უბრალო არ გეგონოთ, საქსონური ფაიფურია.

— გაიგონე, ჩემო საყვარელო მამიკო? — გამომწვევად გაიცინა მთვრალმა. — ამისი ფასი, სულ ცოტა, სულ ცოტა...

— ათი ათასი მანეთია, — საჭიროდ ჩასთვალა შერგილმა ფასის შეხსენება იმის იმედით, რომ მთვრალი ახირებულ განზრახვაზე ხელს აიღებდა.

— გესმის, მამაჩემო?! თურმე რა იაფად გამოდიხარ... სად ხუთასი მანეთი და სად ათი ათასი!

— დედას ჭირიმე, მართლა არ შემოგემტვრეს, — შეევაჯა ვარდოფინე. — თუ მაინცა და მაინც, დასამტვრევი მაგის მეტი არაფერი ნახე?!

— გთხოვთ, აქ ცირკს ნუ გამიმართავთ! — უკვე გაგულისდა შერგილი.

— ცირკია და მეტი არა?! — რატომღაც უცნაურად გახალისდა მთვრალი და მასპინძელს ეშმაკური ღიმილით გადახედა. — გინდათ, ნამდვილი ცირკი გაჩვენოთ?!. ეს ატრაქციონი, ბატონო შერგილ, თქვენ არ გინახავთ, ჩემი კარენნოი ნომერია.

— ჭიჭია გაგიჟდი?!

— რას როშავ, თუ იცი! — დაფეთდნენ მშობლები.

— არა, ახლა გართობა მომინდა და ეს პატიოსანი კაციც უნდა ვაცინო! — ამის თქმა და მამამისს მბრძანებლურად მიუბრუნდა. — შენ დაუკა!

შიშით ატანილმა მშობლებმა ახლა ხელები აასავსავეს უმწეოდ, მაგრამ ჭიჭია ნამდვილი ქორეოგრაფივით იძლეოდა განკარგულებებს:

— ვასრულებთ „ქართულს", აბა, მამაჩემო, დაუკა!.. დედაჩემო, მოემზადე!..

მის ბრძანებაზე არცერთი რომ არ გაინძრა, ჭიჭიამ ვაზა მაღლა შემართა და დაიჭექა:

— ცეკვავთ თუ არა?!. ჰო, დროზე გაინძერით!

ევგრაფიმ უხალისოდ წამოავლო ხელი იქვე მდგარ ვენურ სკამს, ვარდოფინემ კი ფეხები მოინაცვლა და ხელები ნაძალადევი სიკეკლუცით გაშალა.

— წავიდა-ა-ა! — დაიძახა გახარებულმა ჭიჭიამ და ვაზა ოდნავ გვერდზე მიდგა.

ევგრაფიმ ამასობაში საცეკვაო გაახურა, ვარდოფინემაც სასაცილოდ შეათახთახა ტანი და დაუარა. გახალისებულმა ჭიჭიამ ფეხები შეათამაშა და ტაში დასცხო:

— რიტმი, რიტმი!.. მეტი ცეცხლი, გედევანოვიჩ!.. მეტი სინაზე და გრაცია, ქალბატონო ვარდოფინე...

სინაზითა და გრაციით ვარდოფინე ვერ დაიტრაბახებდა, მაგრამ საცეკვაოს თავისებური სიმღერა კიააყოლა:

— შენ მოუკვდი დედაშენს... შენ მოუკვდი დედაშენს...

— კარგია, კარგი! — სულ გადაირია მთვრალი.

ევგრაფი გახურებულად უკრავდა, ვარდოფინე წრეს-წრეზე უვლიდა და თან მღეროდა:

— შენ მოუკვდი დედაშენს, შენ მოუკვდი დედაშენს!

შერგილი ერთხანს დაბნეულ-გაოცებული შეჰყურებდა ამ უცნაურ სანახაობას, შემდეგ სწრაფად აიტაცა ჭიჭიას ფეხებთან მდგარი, გასატეხად განწირული ვაზა და არაბუნებრივი ხმით დასჭექა:

— ახლავე მიბრძანდით აქედან!

III

შერგილმა მთელი ღამე შფოთიან ძილღვიძილში გაატარა. თავში ათასნაირი ფიქრი უტრიალებდა, ბუნდოვანი მოლოდინის შეგრძნება არ ასვენებდა. მას ხან შეუცნობი სიხარულის განცდა შემოჰქონდა გულში, ხანაც უიმედობა და სასოწარკვეთილება. მაინც ეჩვენებოდა, რომ მის არსებას უფრო ადვილად და სრულად პირველი ეუფლებოდა. იქნებ ამიტომაც არ აჰყოლია ლოგინიდან უგუნებობა და მოთენთილობა, თეთრად გატეხილ ღამეს ჩვეულებრივად რომ სდევს ხოლმე. ქვეშეცნეულად იმასაც გრძნობდა, გუშინ დაწყებულ უსიამოვნო ამბავს რაღაც გაგრძელება რომ მოჰყვებოდა. მაგრამ ესოდენ მოულოდნელად გაკერპებული ნებისყოფა მოხუცი კაცისა თითქოს მზად იყო ყოველგვარი შემოტევის მოსაგერიებლად.

წინათგრძნობა გაუმართლდა. დილის ათი საათი იქნებოდა, რომ ვიღაც ახალგაზრდა კაცი ესტუმრა, ვარდოფინეს თანხლებით. უცნობმა ბოდიშებით დაიწყო:

— ბატონო შერგილ, სულგრძელად უნდა მაპატიოთ, ასე ადრიან რომ შემოვიჭერი და მყუდროება დაგირღვიეთ. თქვენს ტრადიციულ და დიდებულ ოჯახში მოხვედრა, თქვენისთანა პიროვნებასთან საუბრის შესაძლებლობა ყოველი ადამიანისათვის პატივია. თავს ბედნიერად ვთვლი, რომ ამის შესაძლებლობა მომეცა, თუმცა საქმიანი მისია არც თუ ისე სასიამოვნო დამეკისრა.

„ღმერთო ჩემო, რა აუტანლად გადაპრანჭული ლაპარაკი სცოდნია!“ — გაიფიქრა შერგილმა. უცნობი გარეგნულადაც პრეტენზიული კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ნაპატივებ ტანზე ზომიერი სიხალვათით ჰქონდა მომდგარი მოდური, მუქზაფრანისფერი ქურთუკი. უცხოური, გულისჯიბესთან იარლიყმიკერებული პერანგი ვილვეტის შარვალში ჰქონდა ჩატანებული აკურატულად, ფეხზე რბილი „სალამანდრა“ ეცვა, ხელში გაკრიალებული იაპონური „დიპლომატი“ ეჭირა.

— მეც ასე ვიფიქრე, — მიუგო მასპინძელმა აუღელვებლად. — რაკი შაბათ დღეს შეწუხდით, ჩანს, მართლაც რაღაც გადაუდებელი საქმე გქონიათ. გთხოვთ დაბრძანდეთ!

— აგი ჩვენი სახლმმართველია! — დაგვიანებულად წარუდგინა მოსული მასპინძელს ვარდოფინემ, როცა ჩამოსხდნენ.

— უფრო ზუსტად, — ღიმილით დასძინა ახალგაზრდა კაცმა. — საბინაო-საექსპლუატაციო კანტორის უფროსი გახლავართ... სულ ერთი თვეა, რაც ეს საქმე ჩავიბარე, მართალი გითხრათ, ყოველგვარი ხალისის გარეშე.

— ამგვარ ძალად სამსახურს ჩვენში კარგა ხანია შეეჩვია ხალხი, არ მიკვირს, — ჩაიცინა შერგილმა.

— ისე აგიც ინჟინერია, გაიოზა ჰქვია, — კვლავ ჩაურთო ვარდოფინემ და თავი უცნაურად გადააქიცინა.

შერგილმა მხოლოდ ახლა მიაქცია ყურადღება იმას, რომ ქალი, რატომღაც საგანგებოდ გამოპრანჭულიყო. მასაც იმპორტული სამოსი ეცვა, მისი ასაკისათვის აშკარად შეუფერებელი სტილისა. კისერსა და ხელებზე ძვირფასი სამკაულები ჰქონდა აჯორჯლილი. შხამიან-წითლად შეღებილი თმა, ვითომდა, მოდურად დაეხუჭუჭებინა, რაც ისედაც მსხვილ თავს კიდევ უფრო უდიდებდა. შერგილმა ქალს თვალი ფეხებიდან ააყოლა და უნებურად გაეღიმა, რადგან შამპანურის ბოთლის საცობის ასოციაცია გაუჩნდა. შემდეგ მზერა გაიოზზე გადაიტანა:

— გისმენთ!

სახლმმართველმა „დიპლომატი“ სკამზე დადო, ხაზგასმული სიდინჯით გახსნა, რაღაც ქაღალდი ამოქექა და დაიწყო.

— ახლავე, ბატონო, ახლავე!.. პირდაპირ რომ ვთქვათ, ხელმძღვანელ ინსტანციებში შესულია ქალბატონ ვარდოფინეს განცხადება... მასზე არის ერთ-ერთი ფრიად პასუხისმგებელი და პატივცემული ამხანაგის რეზოლუცია ასეთი კატეგორიული მოთხოვნით: „გთხოვთ სასწრაფოდ გაარკვიოთ და შემოწმების შედეგები პირადად მომახსენოთ ორი დღის ვადაში“... ასე, რომ ორშაბათს უკვე პასუხით უნდა ვეახლო.

— აი მესმის საქმიანი სტილი!

— მოკლედ რომ მოგახსენოთ, საქმე ეხება საბინაო პრეტენზიას, რომელიც მოჰყოლია პრესაში გამოქვეყნებულ თქვენს განცხადებას, რომ გსურთ შეიკედლოთ რომელიმე ოჯახი სტიქიური უბედურებით დაზარალებული რაიონიდან.

— ოჰო! — აღმოხდა შერგილს.

— განმცხადებელი, რა დასამალია და, იგივე ქალბატონი ვარდოფინე, წერს, რომ თქვენ არა გაქვთ ამ ბინის გასხვისების არც იურიდიული და არც მორალური უფლება...

— მაინც რატომ?

— იმიტომ, რომ ქალბატონი ვარდოფინე, სამოქალაქო აქტების წარმოების ყველა წესის დაცვითა და ფაქტიურადაც, კანონიერ ქორწინებაში იმყოფება თქვენთან.

— ჩემთან?! — უნებურად ფეხზე წამოიჭრა განცვიფრებული მოხუცი. — დაუჯერებელი რაღაც მესმის.

— მეითმინეთ, ბატონო, მეითმინეთ! — ჩაისისინა ვარდოფინემ და სახეზე ფერი-ფურმა გადაუარა...

ჩამოწვა სიჩუმე, რომელიც, ბოლოს, ისევ შერგილმა დაარღვია:

— ჩემთვის ცნობილია მხოლოდ ის, რომ ქალბატონ ვარდოფინეს ჰყავს საკუთარი, კანონიერი ქმარი, რომელთანაც დიდი ხანია შეხმატკბილებულად და სრული გაგებით ცხოვრობს.

— უფრო სწორად, ყველაფერი ეს ოდესღაც მართლაც ასე იყო! — შეუსწორა გაიოზმა.

— ახლა?

— ახლა ისეა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ.

— შარლატანობა და ისიც ასეთი?! — აღშფოთდა შერგილი.

— მე მოვალე ვარ პირველ რიგში ვერწმუნო დოკუმენტებს, — აპლომბით წარმოსთქვა სახლმმართველმა.

ბოლოს და ბოლოს რა დოკუმენტებზეა ლაპარაკი?

— კი, ბატონო, მივყვეთ მაშინ რიგზე. — გაიოზმა პორთფელიდან ახლა სხვა ქაღალდი იშიშვლა. — ამ დოკუმენტით, კერძოდ, ირკვევა, რომ ქალბატონი ვარდოფინე თავის წინანდელ ქმარს ოფიციალურად გასცილდა ჯერ კიდევ წელიწადნახევრის წინათ... სათანადო აღნიშვნები გაკეთებულია როგორც ქალბატონ ვარდოფინეს, ისევე ბატონ ევგრაფის პასპორტებზე... შემიძლია ასლები მოგართვათ.

— მომეცით აქ! — ხელიდან გამოსტაცა შერგილმა და ფურცლებს ჩააცქერდა.

„ყველაფერი გასაგებია! რაიონში გადასვლაც ამიტომ დასჭირდა ჩვენს პატივცემულ ევგრაფის, თუმცა ამით ფაქტიურად არაფერი შეცვლილა... სამაგიეროდ, ამ ქაღალდების მიხედვით, მდგომარეობა სწორედ ისე გამოიყურება, როგორც სახლმმართველი ამბობს".

— მისტიფიკაცია და ასეთი?!

— არც ამ ქაღალდს ვერწმუნოთ, ბატონო?! — ახლა სხვა ქაღალდს დასწვდა გაიოზი. — ქალბატონ ვარდოფინეს პასპორტის მეთორმეტე გვერდზე შავით თეთრზე სწერია, რომ პირველ ქმართან განქორწინებიდან ერთი თვის შემდეგ იგი კანონიერი კავშირით მეუღლედ შეგეკრათ თქვენ.

— განა რითიმე ვგევარ ცოლიან კაცს?! — უნებურად გაეცინა შერგილს და თვალი თვალში გაუყარა გაიოზს, მაგრამ მან უცებ თავი დახარა. — ესეც არ იყოს, ქალბატონ ვარდოფინეს ელემენტარულად მაინც არ უნდა მიელო ჩემი თანხმობა!

— ახლა ყველაფერი [illegible] იქედნურად გადააქნია ქალმა.

— სხვა თუ არაფერი, ანალოგიური აღნიშვნა ჩემს პასპორტშიც უნდა იყოს. — შერგილმა ქაღალდი დაუბრუნა.

— არის კიდეც! — ნიშნის მიგებით მიუგო გაიოზმა და ახლა სხვა ქაღალდი გაუწოდა.

— ვერაფერი გამიგია! — მხრები აიჩეჩა შერგილმა. — ყოველ შემთხვევაში, ამის შემოწმება მაინც ხომ შეგვიძლია, თუნდაც ახლავე.

საძინებელ ოთახში გასული, მალე უკანვე მობრუნდა, სახტად დარჩენილი სახით.

— მართლაც არის! — პასპორტი კიდევ ერთხელ ხელში შეატრ-შემოატრიალა და მაგიდაზე დააბერტყა.

— აბა რომ უარობდი?! — მიაძახა ქალმა.

— ახლაც ვვარობ და ვამტკიცებ, — აღშფოთებულმა მოხუცმა ხმას აუმაღლა, — ყველაფერი ეს წმინდა წყლის შარლატანობაა და თანაც ჩადენილი რა დროს... არა, კიდევაც რომ შევეწირო, ამ საქმეს ასე არ დავტოვებ... ხედავთ, სადამდე მიდის უსინდისო ხალხის თავგასულობა?! არა, არავითარ შემთხვევაში!... სიცრუე და უსინდისობა დაუსჯელი არ უნდა დარჩეს!

— ამას კიდევ დამტკიცება უნდა, ბატონო შერგილ! — მშვიდად წარმოსთქვა სახლთმმართველმა.

— და დაგიმტკიცებთ კიდეც! — მოხუცი ისევ პასპორტს დაწვდა, გადაშალა და ყურადღებით ჩააცქერდა. — ხედავთ, ჩემი ეჭვი სავსებით გამართლდა. სწორედ იმ ხანებშია ჩადენილი ეს სიყალბე, როცა საავადმყოფოში სიკვდილს წუთი-წუთზე ველოდებოდი. — ახლა ვარდოფინეს მიუბრუნდა. — გეგონათ, ქალბატონო, რომ სულს გავაცხებდი, არა?!.

უცებ, როგორღაც, დაცხრა, თითქოს შვებაც იგრძნო.

„რათ უნდა ლაპარაკი, ეს გეგმა ჯერ კიდევ მაშინ დაბადებულა, როცა ეს პატივცემული ქალბატონი, ვითომ, ქმარს კანონიერად გაეყარა და ევგრაფი სამუშაოდ რაიონში გადავიდა... ალბათ არ ეგონათ, ამდენ ხანს ცოცხალი თუ გავაღწევდი... შემდეგ გარიგება სცადეს, მაგრამ ესეც რომ არ გამოუვიდათ, უკანასკნელ, ყოვლად ულირს სიყალბეს მიმართეს... მაინც ვისი იმედით?!. ნუთუ ამ ხალხისათვის კანონი მართლა აღარ არსებობს, ნუთუ ყველაფერს ფულზე ვყიდით უკვე?!. ო, არადა არა, ამის მოთმენა და პატიება დანაშაულია, უხერხულობაა!.."

აღშფოთება ისევ ყელზე მოებჯინა:

— ეს ყველაფერი კარგი, ქალბატონო ვარდოფინე, მაგრამ ნება მომეცით ცოტა ხნით

კვლავ დავუბრუნდეთ შეწყვეტილ საუბარს.

— ბრძანეთ, ბატონო!

— ასე თუ ისე ჩვენ გავიგეთ, რომ თქვენ ფორმალურად, ქაღალდების მიხედვით, ამ ოჯახის დიასახლისი ბრძანდებით... მაგრამ ქვეყანამ ხომ იცის, რომ თქვენ ფაქტიურად თქვენს კანონიერ და ერთადერთ ქმართან ცხოვრობთ, ერთ ჭერქვეშ... როგორ უთავსებთ ამ ორ მდგომარეობას ერთმანეთთან... ცხადია, მე მხედველობაში მაქვს საკითხის ზნეობრივი მხარე.

— მაგის ჩიტები ვართ ჩვენ?! — ნიშნის მოგებით მიუგო ქალმა. — განქორწინების გაფორმებისთანავე ბინაც გავყავით... აბა რავა!.. ერთი ოთახი, უფრო პატარა, ევგრაფის დარჩა, ზალა ჩვენ, მე და ჭიჭიას.

— კეთილი და პატიოსანი!.. ახლა ეს მიბრძანეთ, როგორ და რანაირად ან როდის აღმოჩნდა თქვენს ხელში ჩემი პასპორტი?

ვარდოფინე მიხვდა, რომ შერგილს წინდაუხედავად აჰყვა გულახდილ საუბარში და თავის დაძვრენა სცადა:

— ჩამიგდე ხელში საწყალი ქალი ხომ?!. — დასტურ სასამართლოზე კი არ ვარ... ბეჩა?!. ანი ხმის ამომღები არა ვარ მე!

— ან რა საჭიროა, — უკვე დამცინავად ჩაიცინა შერგილმა. — ისედაც ნათელია, რა სინდისგარეცხილ ხალხთან მქონია მეზობლობა.

— რას ილანძღები, რომ ილანძღები! — გააფთრებულად წამოიფოფრა ვარდოფინე და შემდეგ გაიოზს მიუბრუნდა. — ხომ გეიგონე შენი ყურით?.. ხომ ხარ მოწმე?.. ჟულიკიც ვყოფილვარ, თურმე.

— მართლაც ნამეტანი შეურაცხმყოფელი სიტყვები აკადრეთ, ბატონო შერგილ... რაც არ უნდა იყოს ქალია... თუ საქმე კანონსამართალზე მიდგება, ადამიანს შეიძლება სხვისი შეურაცხყოფისათვისაც აგებინონ პასუხი.

— გამაგებინეთ, ახალგაზრდავ, თქვენ ვისი ადვოკატი ხართ?..

— კანონისა და სამართლის, ბატონო!

— ვითომ?!. მართლაც კარგ დღეში ვყოფილვართ და ეგაა.

— ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ერთ რამეში ვრწმუნდები. მოპასუხე მხარემ, ესე იგი თქვენ, ვერც ერთი საფუძვლიანი არგუმენტი და საბუთი ვერ წარმოადგინა მომჩივანის პრეტენზიების გასაბათილებლად... მარტო ემოციები კი ასეთ დროს, მოგეხსენებათ, საქმეს არ შველის... მე ჩემს დასკვნას მივართმევ უფროსობას, დანარჩენი იმათ იციან და თუ აუცილებელი იქნა, სასამართლომ... ისღა დამრჩენია, კვლავ ბოდიშის მოხდით დაგტოვოთ, ბატონო შერგილ. — განაწყენებული კაცის სახით წარმოსთქვა გაიოზმა. — იმასაც გეტყვით, ჩემს ოჯახიშვილობასა და პატიოსნებაში ნურავის შეეპარება ეჭვი.

— ნება თქვენია, — მშვიდად უპასუხა შერგილმა. — მაგრამ ერთ რამეს კი მაინც გირჩევთ, მამაშვილურად... არ გამოგადგებათ საეჭვო რეპუტაციის ხალხის ადვოკატობა... შესაძლოა ამით ფული იშოვოთ, მაგრამ ბოლოს მაინც წაგმწარდებათ... ესეც არ იყოს, რატომღაც მაინც მესიმპატიურებით და ცუდი ხვედრისთვის არ მემეტებით.

— რჩევისათვის დიდად გმადლობთ, — თავი დაუკრა გაიოზმა და „დიპლომატს" ხელი წამოავლო.

— მტოვებ თუ რავაა შენი საქმე, — ვარდოფინემ სცადა წინ გადადგომოდა — რომ მიდიხარ, სად მიდიხარ, რა პასუხს მაძლევ?. ეს იყო შენი პირობა?

სახლმმართველმა ქალს უხეშად ხელი ჰკრა და კარში გავარდა.

ვარდოფინე შერგილს უაზროდ მისჩერებოდა. მის არეულ თვალებში თითქოს მავედრებელი მზერაც გამოკრთოდა. სახე ისე დამანჭოდა, ყბაც გვერდზე იმგვარად მოღრეცოდა, იფიქრებდით სხეულში მწვავე, აუტანელმა ტკივილებმა დაუარაო. ტუჩებიც გააცმაცუნა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებსო, მაგრამ მეტყველების უნარიც აშკარად წართმეოდა. ვარდოფინეს ამგვარი სულიერი მდგომარეობა შერგილს სულაც არ გაჰკვირვებია. ხანგრძლივი მეზობლური ურთიერთობით განპირობებულმა დაკვირვებამ დაარწმუნა, რომ ეს ქალი თანდაყოლილი ბუნებით ზნეკეთილი იყო. ეს აზრი, არსებითად, არც უკანასკნელ ხანებში შეცვლია, რადგან ვარდოფინეს გულმართლობა და პრიმიტიული ბუნება გაორებულებას, მით უმეტეს ნიღაბის ტარებას, ვერ შეითავსებდა. ყველაფერი ცუდი, რამაც მის ხასიათში იჩინა თავი, ალბათ თანამეცხედრის გავლენიდან მომდინარეობდა. მართლაც ძნელი წარმოსადგენი იყო ეს გულღია და ხალისიანი, ოჯახსა და ქმარშვილს გადაგებული ქალი ამგვარ თვალთმაქცობამდე დაშვებულიყო. იგი, უბრალოდ, მორჩილ თოჯინად ქცეულიყო სიხარბისა და მომხვეჭელობის მანიით დაავადებული ქმრის ხელში. ახლა, ალბათ, ყველაზე უპრიანი იქნებოდა, ვარდოფინეს პატიება გამოეთხოვა უნებურად, სხვისი ნებით ჩადენილი ულირსი საქციელისათვის, მაგრამ შერგილმა არ იცოდა ქალს აღმოაჩნდებოდა თუ არა საამისო ძალა. უნდოდა კი, გულით უნდოდა, იგი მონანიედ ეხილა თუნდაც ახლა, მოწმეების გარეშე, რათა ვისიმე დასჯის სურვილის სულიერი ტვირთისაგან ერთბაშად განთავისუფლებულიყო და სულგრძელობის გამოჩენის შესაძლებლობა მისცემოდა. ამიტომაც მისჩერებოდა უსიტყვოდ ცრემლმორეულ, თვალ-

სა და ხელს შუა თითქოს დაპატარავებულ ქალს...

ამგვარი მოლოდინით დამუხტულ სიჩუმეში, უცებ რალაცის მსხვრევის ხმა შემოიჭრა ღრიჭოდ დარჩენილ კარებიდან... იგი ზედიზედ განმეორდა. ვარდოფინემ სახედაძაბულად მიაყურადა, შემდეგ შეტოკდა და ძრწოლა ატანილმა, ისტერიული ხმით შეიცხადა:

— დიდუ-უ-უ!.. ჩემი შერცხვენა არ კმაროდა, ახლა ეგეც რომ დამერთო!.. სოჩაში მეგულებოდა და აქ საიდან გაჩნდა ეგ შეჩვენებულ, ეგ უკულმართი?.. არ გაუგზავნე ფული ხომ, ევგრაფიე გაოხრებულო!.. იყავი ახლა!

მსხვრევის ხმა და ლაწა-ლუწი არ წყდებოდა, მაგრამ ვარდოფინეს ეს ახლა თითქოს აღარ აწუხებდა. მისი გულისთქმა მრისხანებასა და შურისგებას დაეპყრო:

— ეგრე, შვილო ეგრე!.. ნურაფერი გინდა მაგ გაუმაძღარისა და გაოხრებულისა... ახლა დედაშენის ჯერია... მიყუროს!.. ძველებურად ველარ მათამაშებს თავის ჭკუაზე, ქვეყნის სამასხროდ ველარ გამხდის... გავაგებინებ, თუ ვყოფილვარ ქალი, რომ მეც ადამიანი ვარ...

ვარდოფინე უცებ შერგილისაკენ მოტრიალდა:

— მაპატიე, ჩემო ბატონო! — წარმოსთქვა მან ცრემლით ადუღებული ხმით. — ნუ გამწირავ, სასამართლომდე ნუ მიმიყვან, თავს ნუ მომჭრი... შემაცდინა, გამაბრიყვა... მუხლებზე დაგიჩოქებდი, შენდობას გამოგთხოვდი, მარა ქალი ვარ და შემიცოდეთ... თქვენ მაინც დამზოგეთ, თქვენი მუხლების ჭირიმე!

ესოდენ მოულოდნელი ალსარებით შეძრულმა შერგილმა ველარაფრის თქმა ვერ შესძლო. წაბარბაცებულ ქალს ხელი შეაშველა და ფრთხილად კარებამდე მიაცილა.

## IV

ხმა, შერგილს ძილში რომ ჩაესმა და რომელმაც გამოაღვიძა, ლომისას ჰგავდა. საწოლში გატვრინული, ქუჩის ფანრების შუქით შეცრიატებულ ფანჯარას მიაცქერდა და სმენა დაძაბა. სავსებით გამოფხიზლებულმა, ყველაფერი ბგერით ჰალუცინაციას მიაწერა, მაგრამ მისდა გასაკვირად, ის ხმა კვლავ ყურში ვიბრირებდა მინელებულად. იცოდა, ადამიანის შინაგანი არსება ათასგვარი ბგერებით რომ არის სავსე, რომ სულის იდუმალი ნებით მისი სილრმიდან ხან ერთი ამოირხევა, ხან მეორე, მაგრამ ლომის ბრდღვინვა მაინც საიდან?!. იქედან ხომ არა, დაძინების წინ მისი ფიქრები „ლემს" რომ უტრიალებდა. თვალი კამოდისკენ გაექცა, რომლის თავზე ჩამოდებული ზარდახშა ღამის სიბნელეში მოცისფრო მიბნედილი შუქით ჭვიალებდა. ნათელმხილველივით, სათითაოდ, ახლა იმ პატიოსან თვლებსაც ხედავდა, რომლებითაც საგვარეულო რელიქვია იყო მოოჭვილი. შიგ ჩაკეცილი ჩალისფერი „ლემიც" ცხადად მოელანდა და ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს ძველი დროშა რალაცაზე სწუხდა. იქნებ ის ბუბუნი სწორედ „ლემის" იდუმალმა სულმა გამოსცა. აკი ამბობენ, იგი უსულო საგნებსაც შეიძლება გააჩნდეთო... რა თქმა უნდა, მისტიფიკაციაა, მაგრამ ისიც ფაქტია — ადამიანებს სჩვევიათ ყოველ არსებასა და საგანში ჩაასახლონ საკუთარი სულის მრავალსახეობა: ლომში — ძლიერებისა და სიამაყის წადილისა, არწივში — სიმაღლეებისაკენ სწრაფვისა, მტრედში — უმანკოებისა და უწყინარობისადმი მიდრეკილებისა, ბულბულში — ბუნების პირველქმნილი ჰარმონიის შეგრძნებისა... იქნებ ჩვენი სულის მიერ გაღებული ისევ უკანვე გვიბრუნდება იდუმლად... თუნდაც, ხომ ყოველთვის ვგრძნობთ სადღაც ჩვენი ბინის ბნელ კუნჭულში მიმალული თაგვის არსებობას, მის სუნს, რომელიც გვძაგს და გულს გვირევს... ფუჰ.. ალბათ იმიტომ, რომ ამ პატარა, მფრთხალ არსებას სორო მხოლოდ კუჭის ამოსაყორით აქვს გამოტენილი და ამის გამო მისი ხარბი სული მუდამ შმორისა და სიდამპლის სუნით ყარს... ზოგჯერ ადამიანებიც ემსგავსებიან მათ, როცა გაუმაძღრობის ვნება ეუფლებათ და თავიანთი დიდი, ფართოკედლებიანი, ჭერმაღალი და სინათლით გაჩახჩახებული სოროებისაკენ ეზიდებიან ყველაფერს, რისი მოხელთება-მიტაცებაც შეეძლებათ და რასაც კბილი მოეჭიდება... ევგრაფი, მაგალითად!...

იქნებ ამიტომ ეხუთება მის ერთადერთ ვაჟიშვილს სული მამისეულ სოროში... ხომ გასალახანებულია, გალოთებული, მაგრამ რალაც ინსტიქტით არ ნებდება ბრმა, უსუსური, მაგრამ მუცელაქორებული თაგვის წრიპინა ხუნდის ხვედრს... ძნელი სათქმელია, საბოლოოდ რა გამოუვა, მაგრამ შერგილს ჭაბუკი რალაცით მაინც მოსწონს... მის საქციელში ზოგჯერ მოჯანყეს ხედავს, რომელიც ვერ შერიგებია მამის ცხოვრების წესს, თუმცა დიდად უკეთესით ვერც თავად დაიტრაბახებს. ჯერჯერობით მაინც...

შერგილს არც ვარდოფინე ჰგონია სულ წყალწაღებული. ამაში ქალის უკანასკნელმა საქციელმაც დაარწმუნა. იმიტომაც შეუნდო შერგილმა სულგრძელად ულირსი საქციელი, ქმრის ჩაგონებით რომ ჩაუდენია... დაბადებით მაინც ზნეკეთილი ზანს. ამას, განსაკუთრებით, სიმღერისას ამჟღავნებს. შერგილს ტანში ყოველთვის სიამოვნების ჟრუანტელი უვლის, როცა ეს ფაშფაშა ქალი გიტარას აახმიანებს, თვალს ბულბულივით მილულავს და გულითადობით მჟღერი ხმით დაიწყებს

უბრალო, მაგრამ საოცრად მშობლიური, ფარული დარდით სავსე სიმღერას — „შორი გზიდან სატრფოს ველი..." შერგილი მაშინ იმასაც გრძნობს, რომ უაზრო ფუფუნებაში ჩაძირულ, სამკაულებით დახუნძლულ ქალს ყელზე რაღაც ტკივილი რომ მობჯენია და რითიმე მის გაქარვებას ცდილობს... რაღაც აუნაზღაურებელი დანაკარგის სევდა, რაღაც საოცრად საყვარელის მონატრება დაბუდებულა მის სასიამოვნოდ ნაზ ხმაში...

ადამიანის, მით უმეტეს ღირსეულის, სული ყოველთვის მღერის, ფრთაგაშლილობას ესწრაფვის.

განა შერგილმა არ იცის, მისი შორეული წინაპარი ციოყი რეალურად არარსებულ არსებასთან — ოქროსდალალებიან დალთან სარეცელს რომ ვერ გაიყოფდა?.. მაგრამ არც ის ეეჭვება, ამ სვან მონადირეს ვაჟკაცური სული რომ ექნებოდა მომადლებული. უთუოდ მურყვამის კედლები ევიწროებოდა, ოცნებით მთებს ზემოთ, ლაჟვარდებშიც დანავარდობდა, სხვა ხილვები ელანდებოდა. ამიტომაც მოიხელთა ციოყის თამამმა ოცნებამ მოვარდნილ მლვიმეში, ყინულის ბროლისფერ სარეცელზე მიძინებული ოქროსთმიანი ასული და შინ მიბრუნებულმა, ნანადირევ ჯიხვთან ერთად, მოიტანა ნამდვილზე უფრო წარმტაცი და შთამბეჭდავი გამონაგონი ღვთაებასთან ხორცითა და სულით შეყრისა... იქნებ ამიტომაც ამაღლდა ერთბაშად მოძმეთა თვალში. უბირი მონადირე იქცა დიდ ციოყად, გვარის იმედად და ბურჯად, ლომის ხევის ბრძენ მახვშად... ჩალისფერი „ლემიც" იმიტომ თუ აირჩია დროშად და შუბის ტარით საგვარეულო კოშკის ქონგურზე აზიდა სულის სიმღერად...

სიმაღლე შურსაც ჰბადებს — გარეშეებშიც, შინაურებშიც... დიდ ციოყს ამის გამჟღავნება ვერ გაუბედეს, მაგრამ მის ჩამომავალთ კი ველარ დაფარეს. პატივმოყვარული მეტოქეობა განსაკუთრებით აზავთებულა ტყუპი ძმების — ასათისა და დადაშის გულებში. დიდი და ძლიერი გვარის ერთიანობა მას შემდეგ დაშლილა, ისედაც ვიწრო ხეობაში საკუთარი კოშკები აღუმართავთ, საკუთარი მომხრენი და თანამოაზრენი შემოუკრებიათ. მეორე, პირველის ორეული „ლემიც" მაშინ გაჩენილა. ისევ ჭკუა-გონებითა და სილამაზით გამორჩეულ სვან ასულს შეუკერავს დარაიისაგან, ოქრომკედის ძაფით მოუქარგავს... ერთმანეთზე შურით აღძრულ ძმებს მტრებიც უფრო თამამად წამოსევიან, საკუთარ კოშკებში მოუგუდავათ და დედაბუდიანად ამოუწყვეტიათ... უკანასკნელ, თავგანწირულ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრილ დადაშს, შერგილის პაპა'ს, ერთი რამ მაინც მოუხერხებია: თავისი მცირეწლოვანი ვაჟიშვილისათვის — შედანისათვის ტანზე „ლემი" შემოუხვევია, ბიჭი სანდო [illegible] ჩაუბარებია და საიდუმლო [illegible]ბია... მრავალ საფრთხესა და განსაცდელს გადარჩენილთ თბილისში ჩამოუღწევიათ. შემდეგ, უკვე დედაქალაქში საიმედოდ დაფუძნებულ შედანს მადლიერების ნიშნად „ლემისათვის" ძვირფასი ზარდახშა მიუჩენია, რომელიც ყველაზე განთქმულ ოქრომჭედელს მოუკაზმავს...

ბავშვობაში შერგილს მამისაგან მეორე „ლემის" გადარჩენის ამბავიც სმენია. ასათსაც მოუხერხებია ალყაშემორტყმული, ცეცხლში გახვეული კოშკიდან საგვარეულო დროშის გაპარება და იგი შემთხვევით ლეჩხუმში, დედულეთს მყოფ მის ვაჟიშვილს მისვლია...

დიდი ციოყის კენტად დარჩენილმა ჩამომავლებმა თანდათან დაჰკარგეს ერთმანეთის კვალი და ასავალ-დასავალი...

შერგილთან დაცული საგვარეულო დროშის საბრძოლო გზა, საბოლოოდ, არზრუმის კედლებთან დასრულდა. „ლემი" შერგილის ძმას ციოყს თან გაუყოლებია ოსმალეთთან ომში და, სხვა მხედრულ დროშებთან ერთად, მასაც უფრიალია ქართული დრუჟინის შემადგენლობაში შემავალ სვან ცხენოსანთა რაზმის თავზე... კარგახანია უმცროსი ციოყის ხმალიც ისვენებს. სიბერემორეული ციოყი ამ ხმალს დროდადრო კედლიდან მაინც ჩამოიღებდა, ხელში გააკრიალებდა და ჟრუოლამოკიდებული ხმით შესძახებდა:

Мы с ним брали Эрзерум!

ეს იყო იმედგაცრუებული, დამარცხებული, მაგრამ მაინც გაუტეხელი მეომრის სულის ყიჟინი... იგი უმრწმესი ციოყის არსებაში მას შემდეგაც ხმიანობდა, როცა ძველი ქართული მიწები ვილაცეების პოლიტიკურმა კონიუნქტურამ შეიწირა და ჭოროხს გაღმა დარჩა... ბათუმის თავზე გადმომდგარი ერთერთ ფორტში ჩამჯდარი ციოყი კარგახანს ელოდა კახაბრის ველზე ლაშქრის გამოჩენას და ხელახლა იერიშზე გადასვლას, მაგრამ საბრძოლო ბუკები საბოლოოდ დადუმებულიყვნენ... დამარცხებასთან ბოლომდე შეურიგებელმა, ზღვისპირა ქალაქიდან ფეხი აღარ მოიცვალა. სხვა რაღა დარჩენოდა: ხმალს შეზრდილ ხელში კაპელმეისტერის წკირი აილო... ბავშვივით უხაროდა ყოველი დღესასწაულის დადგომა. თავისი სასულე ორკესტრით მთელი დღე ქალაქის ქუჩებში დადიოდა და სივრცეს მხნე მარშის ჰანგებით ავსებდა. ყველას, ვისაც კი კომპოზიტორად გაეცნობდნენ, ერთ რამეს ეაჯებოდა მხოლოდ: „გეთაყვა, დამიწერეთ მარში, ომახიანი ქართული მარში, რომ ჩვენი ხმა გაღმა დარჩენილ მოძმეებს გავაგონოთო"... სჯეროდა

კიდეც, რომ მისი ორკესტრის გუგუნი აქე-დან, ამ სიშორიდან სწვდებოდა შავშეთის ნისლიან მთებს, ესმოდათ ტრაპიზუნდსა და ისპორში, ბანასა და თორთუმში...

ეს იყო ციოყის სულის ჰანგი და დროშა მისი!..

„...საბრძოლო გაფრენიდან ვბრუნდებოდი. გულმა არ მომითმინა, კურსს ცოტა-ხნით გადავუხვიე და სვანეთის მთებს გადავუფრი-ნე... დავინახე, ჩემი მიწიდან ამოზრდილი შხარას ელვარე ეშვი, დავინახე უშბას ქათ-ქათა შუბლი და ავმღერდი..."

ეს ოთარის სიტყვებია, კავკასიის ფრონ-ტიდან გამოგზავნილი სამკუთხა ბარათის მი-ერ მოტანილი. ერთად-ერთი შვილის დამკარ-გავი მამის გულში სამუდამოდ ჩარჩენილა ეს სიტყვები, როგორც სადიდებელი სიმღერა მშობელი მიწის სიყვარულისა...

ნუთუ შერგილის გულმა სამარეში უნდა ჩაიყოლიოს სულის ეს სიმღერა, ნუთუ დიდი ციოყის ნაშიერთაგან მას არავინ აიტაცებს?..

ნუთუ ბედმა შერგილს არგუნა ხვედრი გვა-რის უკანასკნელი მოჰიკანისა?..

ნუთუ გაუცუდდა მამისათვის მიცემული აღთქმა?..

თითქოს საძინებელი ოთახის კარს იქით, ელექტროშუქით გაჩირაღდნებულ დარბაზში, ახლაც საზეიმო სუფრას უსხედან სახელო-ვანი ოჯახის უახლოესი ნათესავები და მე-გობრები. სუფრის თავში მსხდომ თმაგათე-თრებულ მურზაყანს იქეთ-აქედან ამოდგომი-ან ვაჟიშვილები: ციოყი — იუნკერის მუნ-დირში, შერგილი — საგანგებოდ ამ დღისა-თვის შეკერილ ქიშმირის აგურისფერ ჩოხა-ში... სტუმრებისათვის მოულოდნელად ქრე-ბა ბროლის უზარმაზარი ჭაღი და საძილე ოთახიდან გამოდის თეთრ ქართულ კაბაში გამოწყობილი ქალიშვილი — უკვე შერგი-ლის საცოლედ მიღებული სოფიო. მას გვე-რდზე, თეთრი პეპლებივით, მოჰყვება ორი გოგონა ვერცხლის შანდლებში ჩამაგრებული თაფლის ანთებული სანთლებით... პარკეტზე დაფენილი შუქის ვიწრო ფიანდაზით მაგი-დისაკენ ნელი ნაბიჯებით მიემართება სო-ფიო, რომლის დაშოლტილ ხელებზე დასვე-ნებულია პატიოსანი თვლებით მოკიაფე ზა-რდახშა... არზაყანი შუბლზე კოცნის მის წინაშე თავდახრით გაჩერებულ სარძლოს, შემდეგ ზარდახშასაც ეამბორება და წინ იდ-გამს. ფეხზე წამოშლილი სტუმარ-მასპინძ-ლები თვალებ-გაფართოებული მისჩერებიან მოულოდნელ სანახაობას. ზარდახშას ირგვ-ლივ ზოდიაქის ერთიანი ოქროს სარტყელი გასდევს. ოქროს ფირფიტებიდან გამოჭრილ-გამოქანდაკებული, ძვირფასი ფერადოვანი თვლებით მოოჭვილი თორმეტი ზოდიაქური ნიშანი ოსტატს, წელიწადის დროთა შესატ-ყვისად, გვერდებზე გაუნაწილებია სამ-სამად. სახურავის შუაგულში [illegible] მინანქრისაგან ჩამოსხმული [illegible] გამოსა-ხულება, მთელ სიგრძეზე კი გაწოლილა მურ-ყვამის ქონგურიდან შუბის ტარით ამოზიდუ-ლი ოქროს „ლემი"... მურზაყანმა ფრაკის ჯიბიდან აუჩქარებლად ამოსწია ვერცხლის ძეწკვი, რომლის ბოლოშიც ოქროს პაწაწა გასაღებია გამობმული... საკეტის ჭრილში შეცურებულმა გასაღებმა ოდნავ გაიწკაპუნა და მოხუცმა ზარდახშას სახურავი ახადა. იქედან ფრთხილად, სასოებით ამოიღო ჩა-ლისფერი დროშა, ნელ-ნელა გაშალა, ვიდრე იგი კამარაშეკრულ ლომს არ დაემსგავსა. მოხუცი ჯერ თავად ეამბორა დროშას, შემ-დეგ ამის უფლება ვაჟიშვილებსაც მისცა, ბო-ლოს კი შერგილს გადაჰფინა მხრებზე.

— ქალბატონებო და ბატონებო, — დაიწ-ყო „ლემის" მაშინდელმა მამამ, როცა სტუმ-რები კვლავ დასხდნენ. — დღეს თქვენ საპა-ტიო სტუმრებად მოგიწვიეთ რიტუალზე, რომლის აღსრულება, თაობიდან თაობამდე, განუწესებია ჩვენი გვარის მამამთავარს... მეც შერგილის ტოლი გახლდით, როცა ეს რელიქვია ჩემებრ მოხუცებულმა მამამ გად-მომაბარა, უფროსი შვილის უფლებით. თან დამმოძღვრა, თვალის ჩინივით გავფრთხილე-ბოდი გვარის ამ მთავარ სიწმინდეს, არ მე-ღალატა კაცური ღირსება-პატიოსნებისათვის, ისე მეცხოვრა, რომ შემძლებოდა ადამიანები-სათვის თამამად გამესწორებინა მზერა... თუ ამ პირობას გადახვალ, იცოდე, „ლემი" ზარ-დახშის სახურავს ღრიალით ამოანგრევს და შენს სირცხვილს ქვეყანას ამცნობსო... წარ-მოიდგინეთ, ესოდენ გულუბრყვილო რწმენით ჩანერგილი პირობისათვის არ მილალატნია. ვერ გეტყვით, ნამდვილად ღირსეულად ვიცხო-ვრე თუ არა, მაგრამ ერთ რამეში შეგიძ-ლიათ მერწმუნოთ: ამ ჭერის მყუდროება, არც ცხადში, არც ძილში, ერთხელაც არ და-ურღვევია „ლემის" გაგულისებულ ბრდღვინ-ვას...

მოხუცმა სუფრას კიდევ ერთხელ გადაავ-ლო თვალი და ღიმმორეული სახით დაას-რულა:

— რა თქმა უნდა, კერპების გაფეტიშების დრო წარსულს ჩაბარდა, იქნებ ყველაფერი ეს, გულის სიღრმეში, სასაცილოდაც გეჩვე-ნებათ, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რა აზრს ვდებთ ჯერ კიდევ შემორჩენილ ამგ-ვარ ტრადიციებში... ისტორია გვიდასტურებს, რომ ადამიანებს, დაუფიქრებლობითა თუ ნა-ჩქარეობით, არაერთხელ ცხოვრების ნაგვსრე-ვისათვის გაუტანებიათ გარდუვალი ზნეობ-რივი ღირებულების შემცველი რამეებიც, რომლებშიც განივთებული ყოფილა წინაპარ-თა ღვაწლის ხსოვნა და გასაფრთხილებელი

სულიერი ფასეულობები... სხვანაირად ეს დროშა, ჩემს უფროს ძეს მხრებზე რომ დავაფინე, უბრალო ჭინჭია და მეტი არაფერი... მინდა მჯეროდეს, რომ ჩემი შვილების გავება აქამდე არ დამდაბლდება... ის კი მწადია, ჩემზე ღირსეულად იცხოვრონ... დე ამის თავდებად „ლემის" სიმბოლური ძლევამოსილება ეგულებოდეთ... იმათაც, ვინც მოვლას შემდგომად ჩვენსა...

„ვინც მოვლას შედგომად ჩვენსა!.."

ყალბი თავმდაბლობის გარეშე, შერგილს ნამდვილად ჰქონდა საფუძველი ეფიქრა — მამის ნდობა არ გამიცუდებია, კაცურად ვიცხოვრეო. მაგრამ ოთარის დაღუპვისა და სოფიოს გარდაცვალების შემდეგ, მარტოობაში, მიუსაფრობისა და განწირულობის შიში მოეძალა. იმის შეგნება, რომ სახელოვანი ოჯახი უმემკვიდრეოდ გადაშენებისათვის აღმოჩნდა განწირული, სიბერეს უწამლავდა. საკუთარ თავს სულ უფრო მეტად ადანაშაულებდა იმისათვის, რომ დროზე, მთელი მონდომებით არ იზრუნა თანამოგვარეთა გამოსანახავად. იმისთვისაც ვერ მოიცალა, თუნდ ერთი კვირით ასულიყო სვანეთში, ყველა სოფელი მოენახულებინა. შორიდან კითხვა-გამოკითხვით კი ვერაფერი გაიგო. ერთი ეგ იყო, ვიღაც მოხუცმა ურჩია — იქნებ ლეჩხუმში ახვიდეთ, გამიგონია, თქვენი გვარის გამონაყოფი ოდესღაც იქ ჩასახლებულაო... ვერც საამისოდ მოიცალა, ამასობაში წლებმაც ხელ-ფეხი დაუმძიმა...

ეს უკანასკნელი, უბედური ზამთარი სრულ მოუსვენრობაში გაატარა. საქართველოს მთიანეთში დატრიალებული სტიქიური უბედურება მწვავედ, მტკივნეულად განიცადა. ამ მძიმე განცდას, რატომღაც, ბუნდოვანი იმედი და მოლოდინიც აედევნა — იქნებ ბუნების ბრმა სისასტიკით აწიოკებულ, ბედეაშლილ ადამიანთა ბანაკიდან ვინმემ დახმარებისაკენ მომწოდებელი ხმა მომაწვდინოსო... ამასობაში სტიქიონებიც დაცხრნენ, ლია ცის ქვეშ დარჩენილნი კვლავ აოხრებულ კერებს დაუბრუნდნენ ან ახალ ჭერს შეეფარნენ, მაგრამ მარტოხელა მოხუცის მოლოდინი არ გამართლდა...

და აი, როცა იმედი თითქოს საბოლოოდ გადაეწურა, დიმიტრის სიძემ, მარნეულში რომ მუშაობდა, ახარა: სვანეთიდან ჩამოსახლებულთა შორის თქვენი გვარისანიც აღმოჩნდნენო. მეორე დღესვე გამოუარა დიმიტრისთან ერთად და საჩუქრებით დატვირთულნი მარნეულში გაჩნდნენ...

შვიდსულიანი ოჯახიდან სამი გადარჩენილიყო: ახალგაზრდა დედა და მისი ქალ-ვაჟი. გეგი — ტანაყრილი, შავთვალ-წარბა, ქოჩორა ბიჭი — თოთხმეტი წლისა იყო. მის ნაკვთებში მოხუცმა საკუთარი გვარის ნიშნები შეიცნო. სიხარულით ატანილს ცოტა დაკლდა, ბიჭის წინაშე მუხლები მოეყარა, მაგრამ ხალხისა შერცხვა. მხოლოდ გულში იმეორებდა სათქმელს: „მადლობა ღმერთს, განწირული არ ვყოფილვართ... გადავრჩით, გადავრჩით, უკვე მერამდენედ!.."

გაუბედურებული ქალი ჯერაც ბოლომდე ვერ გამოსულიყო გადატანილი სტრესიდან. ნანახსა და განცდილზე რომ ჰყვებოდა, ხშირად ჩერდებოდა, სულს ითქვამდა, რათა მღელვარება დაეცხრო. შერგილიც არ ჩასძიებია, მაგრამ ნაწყვეტ-ნაწყვეტად მონათხრობიდან მთავარი მაინც გაიგო:

რამდენიმე მეტრიანი თოვლით ჭერდამძიმებული სახლის დირეებსა და კოჭებს საეჭვო ჭრიალ-ტკაცუნი რომ დაუწყიათ, ოჯახის უხუცესს რძალისა და შვილიშვილების მურყვამში გადასვლა უბრძანებია, თავად კი ვაჟიშვილებთან ერთად სახურავის გადათოვლას შესდგომია... კოშკში ხეირიანად მიხედვმოხედვაც ვერ მოვასწარი, რომ საშინელი გუგუნ-გრუხუნი შემომესმა და ფეხქვეშ მიწა შექანდაო, გაიხსენა ქალმა. კარი რომ გამოულია, ნამქერიდან ავარდნილი თეთრი ღრუბლის მეტი ვერაფერი დაუნახავს, მაგრამ ის კი უგრძვნია, სულ ახლოს რაღაცამ გრიალითა და ლაწა-ლუწით რომ ჩაიქროლა და ზათქით სადღაც ჩაინთქა... როდის-როდის, თეთრ-მეწამული ბურუსი გაფანტულა და სახლისაკენ რომ გაუხედავს, იქ მის მზერას აღარაფერი დახვედრია, გარდა თოვლში არეული, გადაჯიჯგნილი, აქა-იქ პირდაღებული მიწისა... სოფელი თვალსა და ხელს შუა გამქრალიყო... მხოლოდ ძველი კოშკები ასვეტილიყვნენ აქა-იქ... ალბათ ჭკუიდან გადავიდოდი, ამ ბავშვების გნიასს რომ არ გამოვეფხიზლებინეო...

დანარჩენი სხვა ლტოლვილებმა გააგრძელეს:

ვერტმფრენებიდან ჩამოსხმულ მაშველ რაზმს თითქმის ყველა სულდგმული ნაზვავში დახვედრია ჩამარხული. ამოთხრილთაგან, თურმე, ცოტა თუ ითქვამდა სულს და კიდევ უფრო ნაკლების გადარჩენა მოხერხებულა. დანარჩენები საერთო-საძმო სამარისათვის მიუბარებიათ, სვანური ზარითა და მოთქმაგოდებით... გადარჩენილნი ქუთაისში გადმოუყვანიათ ვერტმფრენით, იქედან კი — მარნეულში...

თვალებდანაღვლიანებული ხიზნები გადატანილ კოშმარს რომ იხსენებდნენ, ეტყობოდა, ფიქრით კვლავ მშობლიურ მთებს იყვნენ მიჯაჭვულნი. მათს ხმაში თითქოს ფარული სამდურავიც ჟონავდა. ალბათ აქამდე უჭირდათ იმის გაგება, თუ რად გაიწირნენ ასე თავიანთი ამაყი მთებისაგან, რომელთაც დაბადებიდან შეზრდიან, რომლებითაც თავი

მოჰქონდათ და რომლებითაც ყოველთვის გულმაგრობდნენ... ძნელი იყო ნუგეშის მიცემა ადამიანებისათვის, რომელთა უსაყვარლესი არსებები ახლა უფსკრულში ჩატანილი სოფლის გათოშილ-დასახიჩრებულ მიწაში ინვნენ, ყველასაგან მიტოვებულნი, და რომელთა მარადიულ ძილს ისევ ძველი, ფუძემოურყეველი კოშკები დარაჯობდნენ ჩვეული ნარბშეუხრელობით...

შერგილმა ივლიტას, რომელსაც უკვე რძალოობით მიმართავდა, თავისი სურვილი ფრთხილად გაანდო. გადაჭრილი პასუხი რომ ვერ მიიღო, არ გაკვირვებია. საბრალო დედა ჯერ აქაურობას ვერ შეგუებოდა და თბილისში გადასვლის მოულოდნელმა წინადადებამ სულ თავგზა აუბნია. რაც არ უნდა იყოს, აქ მაინც თავისიანებს შორის გრძნობდა თავს, ჭირისა და ლხინის ნაცადი თანაზიარები ეგულებოდა... არც რამდენიმე დღით გეგის თბილისში გატანებას დათანხმდა. ისევ თანასოფლელებმა გადაათქმევინეს — შენი ბიჭი ბავშვი აღარ არის, ასეთი ღვთისნიერი ადამიანების ხელში რა გაუჭირდება, ცოტას გაივლ-გამოივლის, გახალისდება, გუნება დაეწმინდებაო...

გეგისთან ერთად გატარებულმა კვირამ თვალსა და ხელს შუა გაირბინა. შერგილი ბიჭს ერთი წუთითაც არ მოსცილებია გვერდიდან. დედაქალაქის ძველი და ახალი უბნები მოატარა, მთაწმინდაზე აიყვანა, სახელმწიფო მუზეუმში საგანგებოდ ჰყავდა, რათა იქ გამოფენილი „ლემიც", ეჩვენებინა... კინოფილმების ნახვით ხომ გული აჯერებინა... შერგილს შინ საჭმლის თითხნა-პოტიკი არ დაუწყია, რესტორანში სადილობდნენ. ერთხელ დიმიტრიც შემოუერთდათ...

როგორც კი ახალი ამბავი გაიგო, ვარდოფინემ გაბედა და ისევ გახსნა სამეზობლო კარი... გულაჩუყებული, ცრემლმორეული კოცნიდა, მკერდში იკრავდა სიტყვაძვირ, მისი ყურადღებით შემცბარ ბიჭს... ჩიტის რძეს არ აკლებდა... მადლობა ღმერთს, ნატვრა და გულის წადილი რომ აგიხდაო, ეუბნებოდა შერგილს. თუ გადაგირჩენს ოჯახს, ეს ბიჭი გადაგირჩენს... ჩვენც, შენთან პირშავად დარჩენილთ, ასევე ამოგვიყვანს სირცხვილიდან. ანი მე ვიცი და ჩემმა ქალობამაო... შერგილს უკვე ეჭვი არ ეპარებოდა ქალის საქციელის სიწრფელეში და უსიტყვო მიმტევებლობით ილიმებოდა...

პირობისამებრ, ერთი კვირის თავზე, ჯინსის შარვალსა და მოდურ ქურთუკში გამოწყობილი გეგი კვლავ მარნეულში მიჰგვარა დედას. შვილის გადახალისებულმა იერმა და ნაამბობმა ივლიტაზეც იმოქმედა: მოხუცს პირობა მისცა — ცოტა კიდევ [illegible] მოვრო-ვოთ და სამივენი გესტუმრებით, [illegible]ჩენზე კი მერე ვილაპარაკოთ.

მერე!

მაინც რა იქნება მერე, უკვე მერამდენედ ეკითხებოდა საკუთარ თავს შერგილი. რამდენად მეტს ფიქრობდა, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ მის სიცოცხლესა და ყოფნას კვლავ დაბრუნებოდა აზრი... უკვე რამდენი საზრუნავი გაუჩნდა: სამივეს თბილისში გადმოყვანა, ჩაწერის მოგვარება და დაბინავება, ბავშვების სკოლაში მოწყობა... მათ მომავალზე ფიქრი...

კარგა შეცრიაგებულ ფანჯრიდან უკვე განთიადის შუქმა შემოჟონა... ნელ-ნელა აგუგუნდა გაღვიძებული ქალაქი... შერგილს გაუკვირდა, ფიქრებში გათენებული ღამის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, მოთენთილობას და უგუნებობას რომ ვერ ატყობდა თავს. მისკენ მოულოდნელად მობრუნებულ ყოფნის სიხარულს თან მოეტანა სიცოცხლის განახლებული წადილი, ფიზიკური სიმხნევისა და სულიერი განახლების შეგრძნება. შერგილის არსება სულ უფრო ივსებოდა ნაზი სიყვარულით მშობლიური კუთხისადმი, რომელსაც ფიზიკურად დიდი ხნიდან მოწყვეტოდა, მაგრამ რომელთანაც სულიერად, თურმე, უხილავი ფესვებით ყოფილა ჩაზრდილი...

ო, შენ, მაღალო, ამაყო და დაუმხობელო სვანეთო!

დასაბამითვე შენ დაგიგულა ქართველმა კაცმა ერის საიმედო განძთსამალავად, თავისი ამაყი, უტეხი სულის საყუდრად და სახატედ... ჩვენი ჩალისფერი „ლემიც" ამ სულის დროშაა, მისი სიმღერა... მე ვარ მისი ბებერი მხედარი და გვერდზე მეგულვის ის, ვინც მას წაიღებს შემდგომად ჩემსა... ჩვენ ფიცით და საქმით განვამტკიცებთ ამ ერთგულებას... ამ ზაფხულს, როცა მთები ხელფეხიდან გადაიყრიან ზამთრის ხუნდებს, ჩვენც — გეგი, ნათია, ივლიტა, მე — კვლავ ავალთ სვანეთში, მოვინახულებთ ძველ საგვარეულო სოფელს და დიდი ციოყის დაუქცეველ კოშკზე აზიდულ „ლემს" ფილტვებს გაუვსებთ უშბას კალთებიდან მობერილი ნიავით... მზისა და სიცოცხლის უკვდავ საგალობელსაც შემოვძახებთ, ჩვენებურ „ლილეს"...

შერგილმა დილის ნათელში გახვეული ზარდახშისაკენ გაიხედა და გაიფიქრა:

„რას იტყვის ჩვენი ბებერი, ჩალისფერი „ლემი?..."

„ლემი" სდუმს... მაშასადამე, „ლემი" თანახმაა!"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲤᲠᲝᲡᲢᲘ**

## ᲐᲠᲧᲘᲡ ᲮᲔᲔᲑᲘ

როდესაც ვხედავ აქეთ-იქით გადახრილ არყებს,
უფრო მუქი და ტანმაღალი ხეების ფონზე,
მინდა ვიფიქრო, რომ ისინი ბიჭს ურწევია.
მაგრამ რწევა ხომ ვერ დადრეკდა ისე ძლიერად,
ისე მძიმედ, რომ წელში ველარ გამართულიყვნენ,
როგორც ყინვიან ქარიშხლებში იდრიკებიან.
გინახავთ, ალბათ, ნაწვიმარზე, ზამთრის მზიანი
დილით ყინულის საფარველით დამძიმებულნი
ნიავის ყოველ დაბერვაზე ერთმანეთს როგორ
ეხლებიან და ათასნაირ შეფერილობას
როგორ იღებს და სკდება მათი ბროლის ჭიქური.
მალე მზის სითბო მოელვარე ლამაზ ნიჟარებს
დააყრევინებს, თოვლის ქერქზე ჩამოახვავებს.
ეს ნამსხვრევები მოგროვილი ერთად რომ ნახო,
იფიქრებ, ზეცას ქვედა თალი ჩამოექცაო.
ეს ტვირთი გამხმარ გვიმრებისკენ უბიძგებს ტოტებს, —
ხეები მაინც არ ტყდებიან მათი სიმძიმით,
მაგრამ რადგანაც ერთხელ უკვე გადაიხარნენ
ასე ძლიერად, ასე დაბლა, ასე დიდი ხნით,
ველარ გასწორდნენ. თქვენც გინახავთ, ალბათ, ტყეებში
მათი ტანები თეთრ თაღებად გადარკალული,
წლიდან წლობამდე ფოთლები რომ მიწაზე დასთრევთ
და იმ გოგონებს გაგონებენ, მუხლისთავებს და
ხელისგულებს რომ დაჰყრდნობიან თავჩახრილები
და თმები მზეზე გასაშრობად გადმოუყრიათ.
მაგრამ მე იმის თქმა მინდოდა, — როცა სიმართლე
ყინულოვანი ქარიშხლების რეალურობით
ასე ჯიქურ შემომეფეთა, — მერჩივნა-მეთქი,
რომ ეს ხეები რომელიმე ბიჭს დაედრიკა,
იმას, რომელიც ტყეში თავის ძროხებს ეძებდა
და ქალაქიდან ეზო-კარი ისე შორს ჰქონდა,
რომ ბეისბოლსაც ვერასოდეს ითამაშებდა.
ზამთარ თუ ზაფხულ მარტო იყო ბიჭი თავისთვის
და თამაშობდა, რასაც თავად მოიგონებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანდათანობით მამამისის ტყეში ხეებიც
ასე გახედნა — აჭენებდა და აჭენებდა,
ვიდრე სიურჩე და სიმაგრე არ ამოართვა,
ვიდრე უდრეკი აღარ დარჩა არცერთი ხე და
ყოველი ტოტი მორჩილად არ ჩამოეკიდა.
და ყველაფერი, რისი სწავლაც შეიძლებოდა,
ისწავლა ბიჭმა იმისათვის, რომ მოშვებული
ტოტი ერთბაშად ისევ ცისკენ არ წასულიყო
და არც მიწამდე დახრილიყო მისი სიმძიმით.
იგი ყოველთვის ზედა ტოტებს ატანდა ძალას
და მაღლა-მაღლა მიიწევდა ისევ ფრთხილად,
როგორც, ვთქვათ,ვფრთხილობთ, როცა ფინჯანს ვავსებთ
პირთამდე
და თანაც ვცდილობთ, ერთი წვეთიც არ დაგვეღვაროს.
მერე ერთბაშად ისკუპებდა — მოჰყვება ფეხებს,
წიხლების ქნევით და შხუილით ჰაერს მოაპობს
ისევ მიწისკენ. მეც ვიყავი არყის ხეების
მრწეველი ერთ დროს და ვოცნებობ, იგივედ ვიქცე.
ეს მაშინ ხდება, როცა განსჯით გადავიღლები,
როცა ცხოვრება უბილიკო ტყეს ემსგავსება —
როცა მიდიხარ ულრანში და გეწვის პირსახე,
როცა ობობას ქსელს არღვევ და ბუსუსებს გაყრის,
როცა მოგხვდება ღია თვალში ტოტი უეცრად
და ტკივილისგან ცალი თვალი აგიტირდება. —
მაშინ მინდება, რომ დროებით მოვშორდე მიწას,
მერე კი ისევ დავუბრუნდე და ყველაფერი
დაბრუნებულმა სულ თავიდან დავიწყო ისევ.
მაგრამ ვაი თუ ბედისწერამ ცუდად გამიგოს
და სანახევროდ ამისრულოს გულისწადილი —
გამიტაცოს და მერე უკან არ დამაბრუნოს...
სიყვარულისთვის მაინც ვერსად იპოვის კაცი
დედამიწაზე უფრო მეტად შესაფერ ადგილს.
არ ვიცი, საით წავიდოდი, სად აჯობებდა,
მაგრამ ის ვიცი, რომ ამგვარად მინდა წავიდე:
ავცოცდე მაღალ არყის ხეზე, ავცდე შავ ტოტებს
და ხის თოვლივით ქათქათა ტანს ცისკენ ამართულს
იქამდე ავყვე, სადაც უკვე ველარ გამიძლებს,
გადმოხრის თავის კენწეროს და მიწაზე დამსვამს.
კარგი იქნება ასე წასვლაც და დაბრუნებაც.
მაგრამ, ვინ იცის, უარესიც არსებობს ხვედრი,
მე კი ეს მერგო — არყის ხეებს ვარწევდი მაინც.

ინგლისურიდან თარგმნა **ლია ჯაყელმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიზბარ ჯაველიძე

# ქართული მოთხრობის ხვალინდელი დღე უფრო ნათელი იქნება

(1987 წლის ჟურნალ „ცისკრის" მოთხრობების მცირე მიმოხილვა).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტექნიკის განვითარებამ და მერე მისმა გაფეტიშებამ დაარღვია ბუნების „თავისთავადობა" და მასთან ადამიანის „ბუნებრივი" დამოკიდებულება, რამაც გარკვეულ წილად შეცვალა ინდივიდის ცხოვრების წესი, მისი აზროვნება და მსოფლმხედველობა და, რაც ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა, ესთეტიკური ფენომენის აღქმის კუთხე. ამ რთული პრობლემის საძირკვლის ჩხრეკასაც რომ არ შევუდგეთ, თვალის ერთი გადავლებითაც სარწმუნოა, რომ ჯერ მექანიკური საათის და შემდგომ სწრაფმავალი ტრანსპორტის გამოგონებამ სავსებით გარდაქმნა ადამიანის მიერ დროისა და სივრცის აღქმა. ხომ სულ სხვა იყო შუასაუკუნეებში დროისა და სივრცის კატეგორიების გაგება და ამ განზომილებებთან ადამიანის ზიარება და სულ სხვა არის დღეს! ისიც ჭეშმარიტებაა, რომ რაც უფრო იზრდება „ტექნიკური სიჩქარე", მით უფრო სწრაფმავლობის ელფერი დასდევს ჩვენ სიცოცხლესაც. მაგრამ, ამავე დროს, ამ სწრაფმავლობის ფსიქოლოგიურ განწყობილებას ანელებს ის, რომ დღევანდელი ადამიანის სიცოცხლე უფრო დატვირთულია ათასგვარი უმნიშვნელო თუ მნიშვნელოვანი ინფორმაციით, წვრილმანი თუ მსხვილმანი საქმეებითა და მისთ. ამიტომაც არის, რომ მიუხედავად „სიჩქარის" თითქმის ყოველწამიერი ზრდისა, მას მაინც არ ჰყოფნის „დრო" სივრცის გადასალახავად. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ადამიანს, როგორც წესი, სჭირს დროისა და სივრცის „უკმარობა".

ყოველივე ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ ამ „ხენს" პირდაპირი კავშირი უნდა ჰქონდეს, ერთი შეხედვით, ისეთ სავსებით არამონათესავე და არამომიჯნავე ცნებასთან, როგორიც არის მკითხველის სტრუქტურა. ფაქტია, დღევანდელი მკითხველის დამოკიდებულება მხატვრულ ტექსტთან, მისი განწყობა და ესთეტიკურ ფენომენთან ზიარება მთლიანად შეიცვალა. ყოველ შემთხვევაში, დროის დეფიციტის გამო მკითხველთა უმეტესობა უფრო ეტანება „მცირე" მოცულობის ჟანრებს, ვიდრე დიდტანიან პოემებს და რომანებს. ეს ტენდენცია უცილობლად შეიმჩნევა თანამედროვე მკითხველის ფსიქიკაში და ამ ფაქტს ვერსად გავექცევით. ამიტომ საფიქრებელია, რომ მომავალში, თუ ადამიანის ცხოვრების წესი და, საერთოდ, მისი დამოკიდებულება გარე სამყაროსთან ძირფესვიანად არ შეიცვალა, მთლიანად გაბატონდება ის მხატვრული ფორმები, რომელთა წასაკითხავად გაცილებით მცირე დრო არის საჭირო. ყოველ შემთხვევაში, ამ ტენდენციამ კარგა ხანია იჩინა თავი. ასე რომ, საზოგადოებრივი ცხოვრების ამგვარმა განვითარებამ მოიტანა ნოველის, მოთხრობის და მსგავსი ჟანრების უჩვეულოდ სწრაფი გავრცელება და უკვე მეოცე საუკუნის დასაწყისში ამ ფორმებმა წამყვანი ადგილი დაიკავეს. ამიტომაც ქართულ და, საერთოდ, მსოფლიო ხალხთა ლიტერატურაში ამ ჟანრს, რომ აღარაფერი ვთქვათ მომავალზე და ხვალინდელ ხვედრზე, დღეს ერთ-ერთი განმსაზღვრელი და მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება.

სულაც არ მსურს პოემისა და რომანის მხატვრული მნიშვნელობა და ხვედრითი წონა მივჩქმალო. ეს ჟანრები იყო, არის და იქნება კიდეც, სანამ ლიტერატურა იარსებებს. მაგრამ თანამედროვე მკითხველი საზოგადოების უმეტესი ნაწილი რომ უფრო „მცირე" მოცულო-

ბის ჟანრებს ეტანება, ესეც დადასტურებული და უტყუარი ფაქტია.

ბუნებრივია, მკითხველის ამგვარმა მიდრეკილებამ და მოთხოვნილებამ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „სოციალურმა დაკვეთამ" განაპირობა „მცირე" მოცულობის ჟანრების სწრაფი განვითარება ჩვენში. ამიტომაც, მე სავსებით ბუნებრივად მიმაჩნია ჩვენი თაობის, ე. წ. სამოციანელების, შემოქმედებითი წარმატება სწორედ ამ ჟანრით რომ დაიწყო. სამოციანელებმა, უპირველეს ყოვლისა, თავიანთი ახალი ესთეტიკური კონცეფცია და პოზიცია „მცირე" ჟანრებით გააცხადეს. ეს მეტად რთული პრობლემაა, რომელიც სპეციალურ კვლევას მოითხოვს და ამჯერად მასზე აღარ შევჩერდები.

ჩემი მიზანი შედარებით ნაკლებ პრეტენზიულია: მსურს მოკლედ მიმოვიხილო ის მოთხრობები, რომლებიც ჟურნალ „ცისკრის" 1987 წლის ნომრებში დაიბეჭდა. ამგვარ მცირე შტუდიას მხოლოდ ის გამართლება აქვს, რომ, ჯერ ერთი, ცისკარში ძირითადად ახალგაზრდა პროზაიკოსები იბეჭდებიან, მათი ნახელავი კი გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის იმაზე, თუ რას უნდა ველოდეთ ხვალ ამ სფეროში და, მეორეც, განხილული მოთხრობების ავ-კარგი, არასრულყოფილად, მაგრამ მაინც მეტყველებს ამ ჟანრის განვითარების დონეზე საერთოდ.

მოთხრობათა მიმოხილვა სხვადასხვა პრინციპით შეიძლება განხორციელებულიყო, მაგრამ, მიუხედავად საკითხთა მრავალფეროვნებისა თუ, უარეს შემთხვევაში, გამოუკვეთელობისა, მაინც ვამჯობინე თემატიკური რკალის მიხედვით ანუ სხვაგვარად, პრობლემურ ჭრილში წარმოგვედგინა ეს ანალიზი. ცხადია, ასეთი გამიჯვნა ძალზე პირობითია, რადგან ერთ კონკრეტულ მოთხრობაში შეიძლება არა ერთი არსებითი პრობლემა იყოს წარმოჩენილი და ის მხოლოდ წერილის კომპოზიციით არის განპირობებული.

უპირველეს ყოვლისა, განვიხილავ იმ მოთხრობებს, რომელთაც სიყვარულის თემა ედებათ საფუძვლად. სიყვარულისადმი, ამ უძველესი, მარადცოცხალი და დაუბერებელი თემისადმი ახალგაზრდობის ინტერესი სავსებით გასაგებია. ისიც ბუნებრივია, რომ ეს გრძნობა სხვადასხვა ასპექტშია აღქმული და წარმოსახული. ვის აინტერესებს პრობლემის ზნეობრივი მხარე, ვის — მისი ფილოსოფიური, ვის მისტიკური — რაციონალისათვის მიუწვდომელი საწყისი, ვის კიდევ — მისი ბიოლოგიური საფუძველი, ლიბიდო და მისთ...

ჩემი ღრმა რწმენით, პრობლემა რა კუთხითაც არ უნდა იყოს გააზრებული, მისაღებია, თუკი მხატვრული განსხეულების დონე დამაკმაყოფილებელია და მოსაწონი. ამიტომაც ყოვლად გაუმართლებლად მიმაჩნია, მწერალს ვუსაყვედუროთ პრობლემის წარმოსახვის ასპექტის გამო, სხვაგვარად რომ ვთქვათ, შემოქმედი დავადანაშაულოთ იმის გამო, რომ იგი სქესობრივ მომენტებზე ამახვილებს ყურადღებას და არა ზნეობრივზე. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად კრიტიკოსი წინასწარ შერჩეული ამგვარი სოციალური თუ მორალური პოზიციით კითხულობს ნაწარმოებს და გვაძლევს მის ანალიზს. ასეთი წინასწარ შემზადებული პოსტულატებით თუ თვალსაზრისებით ნაწარმოების შეფასება, რაც არცთუ ასე იშვიათი შემთხვევაა ჩვენ ლიტერატურათმცოდნეობაში, მემკვიდრეობით მიღებულ რეციდივად მიმაჩნია.

მაგრამ მწერლის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად აქვს მას მოფიქრებული და გააზრებული სათქმელი და ის ხერხები, რომლებითაც მას სურს მკითხველამდე დაიყვანოს თავის მთავარი „სატკივარი". ამის წინასწარი განჭვრეტა საჭიროა ნებისმიერი მხატვრული ქმნილების შექმნისას, მით უმეტეს, იგი საშურია და აუცილებელიც ისეთი მცირე მოცულობის ნაწარმოების წერის დროს, როგორიც არის მოთხრობა და ნოველა. ჩემი ღრმა რწმენით, ესთეტიკური ეფექტის მისაღწევად, რაც თავისთავადაა ყოველგვარი მხატვრული ქმნილებისა, ერთ-ერთ ძირითად პირობად სწორედ ზემოთქმული უნდა მივიჩნიოთ. თუ რამდენად ესიტყვება და პასუხობს ამ უმთავრეს პირობას ახალგაზრდა შემოქმედთა ნახელავი, ქვემოთ წარმოდგენილმა ანალიზმა უნდა დაგვანახოს.

ჯუმბერ ტიკარაძეს განუზრახავს, გადმოგვცეს ჩვენი ცხოვრების „უწმაწურობანი", რომელნიც სქესობრივ ურთიერთობას და ლტოლვას მოჰყვება ხოლმე. მოთხრობის სათაურიც „მცირე უწმაწურობანი" („ცისკარი", № 1) თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ მწერალს სურს ჩვენი უკულმართი და უზნეო ცხოვრების მხოლოდ ზოგიერთ, ასე ვთქვათ, „უმნიშვნელო" მხარეზე შეაჩეროს მკითხველის ყურადღება.

ბუნებრივია, მწერალი გულისხმობს, რომ ამ „მცირე უწმაწურობათა" მიღმა დიდი უწმაწურობანიც იმალება, რადგან ტერმინი „მცირე" ამ შემთხვევაში მიუთითებს როგორც ამბავთა, ასევე მათში გადმოცემულ აზრთა მასშტაბებსაც. ამავე დროს, რაც მთავარია, მცირეს ხაზგასმა უკვე თავისთავად გულისხმობს, „დიდის" არსებობასაც, რის აღსაქმელად ქვეცნობიერად მზად არის მკითხველი და სწორედ ამ განწყობით იწყებს კითხვას.

ამთავითვე უნდა შევნიშნო, რომ მწერლის ეს ნაწარმოები მართლაც შედგება მცირე სხვადასხვა დამოუკიდებელი ამბისაგან, რომელთაც აერთიანებს პროლოგი და თემატური რკალი. ამავე დროს, ჯუმბერ ტიკარაძე ამ ჩრდილოვანი მხარეების გადმოსაცემად მიმართავს უმ-

თავრესად ნათელ ფერებს და ლაღ იუმორს, რაც ასეთ ვითარებაში მხატვრული განსხეულების იოლი გზა როდია.

უკვე პროლოგშივე გაცხადებულია მწერლის მთავარი მიზანი, — მას სურს ნილაბი ჩამოგლიჯოს ვითომდა პატიოსან დიაცებსა და მამაკაცებს, ამხილოს მათი უზნეობა.

თუმცა ისიც აქვს გაცნობიერებული, რომ ამით საქმეს არა ეშველება რა, რადგანაც ამის სულ ცოტა ორი მიზეზი არსებობს: ჯერ ერთი, როგორც თავად მწერალი ბრძანებს, ის არ არის „იმ რანგის მწერალი", ვინმემ რომ დაუჯეროს და, მეორეც, „ერის გზის მაჩვენებლობისა თუ მედროშეობა-ბელადობის ფუნქცია კარგა ხანია დაუკარგავს მწერლობას" არა მარტო ჩვენში, არამედ მთელ სამყაროში. იუმორით გაზავებულ ამ მსჯელობაში არის სიცრუეც და ჭეშმარიტების მარცვალიც. სიცრუედ მიმაჩნია ის, თითქოს მწერლობამ დღეს დაკარგა ერის გზის მაჩვენებლობის ფუნქცია. ამ აზრს, თუნდაც იუმორით გაცხადებულს, ვერ მიიღებს მკითხველი, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის უპირველესი ფუნქციაა მკითხველზე ესთეტიკური ზემოქმედების მოხდენა, რაც უკვე თავისთავად ზნეობრივად აფაქიზებს ადამიანს. ამიტომაც მწერლობა, ნებსით თუ უნებლიეთ, ყოველთვის დგას ბალზის და ერის სამსახურში, თუნდაც ის შეგნებულად გაურბოდეს ბაირახტარის როლს.

სიმართლე კი ის არის: ჯუმბერ ტიკარაძემ ვერ შეძლო „მცირე უწმაწურობანი" ისეთი მხატვრული ძალით წარმოესახა, რომ მისი შუქ-ჩრდილები მკითხველის სულს შეხებოდა. ვერც მოვლენათა განვითარებით, ვერც მოთხრობილის ღირებულებებით და მნიშვნელობით, ვერც პრობლემის გააზრების სიღრმით და, რაც მთავარია, ვერც მხატვრული განსხეულების დონით ეს ქმნილება ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, ჩვეულებრივ რომ უყენებენ ამ ჟანრს.

მაინც რას გვაუწყებს მწერალი ამ მცირე ამბებით? მოკლე ეპილოგის შემდგომ გადმოცემულია, თუ როგორ „უგემრიელესად დაარწყულა ქალმა კაცი მონარნარე მამაკში, თავად კი ხახამშრალი — ვნებადაუმცხრალი დარჩა: მერე ამის გამო როგორ წაეკიდა „თანამეძმაკეს" და როგორ მორთო კივილი, რომ მეუღლისა და მეზობლების თვალში თავისი უმანკოება დაემტკიცებინა. ყოველივე ამას მწერალი იუმორით გადმოგვცემს, მაგრამ რასაც მოგვითხრობს, ეს ხომ საყოველთაოდ ცნობილი, მთარული მოტივია ვითომდა ერთგული ცოლის შესახებ, რომელიც გავრცელებული იყო ჯერ კიდევ შუასაუკუნეების აღმოსავლურ თუ დასავლურ ლიტერატურასა და ფოლკლორში. ეს მოდელი ფიგურირებს თანამედროვე მწერლობასა თუ კინოხელოვნებაშიც. ასე რომ, მწერალს იმთავითვე უნდა სჯობდა, რომ გადმოცემული ამბის ორიგინალურობით ვერ მოხიბლავდა მკითხველს. ასეთ შემთხვევაში შემოქმედს ყურადღება უნდა გადაეტანა პრობლემის ახლებურ დანახვასა თუ გააზრების სიღრმეზე, ანდა მხატვრულ-სტილისტურ ხერხთა გამოყენების სპეციფიკურ, განსხვავებულ მეთოდზე. მაგრამ, სამწუხაროდ, მწერალი ამას ვერ ახერხებს და უკვე არაერთგზის გაგონილი ამბის უბრალო მთხრობელად გვევლინება.

სხვა ნოველებში ჯუმბერ ტიკარაძე მოგვითხრობს სასტუმროს ადმინისტრატორის, ლუბას, „შავ-ბნელ მოღვაწეობაზე". მართალია, ის ქმარს არ ღალატობს, მაგრამ ორმოცდაათი მანეთის საფასურით „ვნების წადილს აყოლილ წყვილებს" ათავსებს სხვადასხვა ნომერში. მწერალი გვიხატავს სიდედრის ვერაგ ბუნებას, რომელმაც იმდენი ქნა, რომ ქალიშვილი მეუღლეს გაჰყარა. ქალიშვილი კი მოგეხსენებათ, დედაკაცი იყო და ვერ გაძლო უმამაკაცოდ. მამაკაცებს კი, აბა, „რა დალევს ამქვეყნად" და არწყულებდნენ მას სხვადასხვა რჯულისანი და ასაკისანი... მწერალი სხვა ინტიმურ სიტუაციებსაც აგვიწერს. ის მოგვითხრობს, თუ როგორ გაიჩინა სანდრიკას მეუღლემ ევამ ახალგაზრდა მეგობარი, რომელსაც ჯიბეებს ფულით უვსებდა. თავად სანდრიკაც ერთ „ახალგაზრდა წიწკუნიას ჩაჰფრენია". მაგრამ „სანდრიკას მარტოდენ სახელად" რომ უნდა ის გოგო, ევას მეგობარს ეკურკურება და სხვა ამგვარ მრავალ „უწმაწურობას" გულდაჯერებით და წვრილ-წვრილად გვიყვება მწერალი.

აქვე უნდა დავძინო, იმ ამბებში, რომელთაც მწერალი გადმოგვცემს, უჩვეულო და გაუგონარი არაფერია. ჩვენ აწეწილ-დაწეწილ ცხოვრებაში უფრო დიდ უხამსობებსაც წავწყდომივართ ხოლმე. ამიტომაც მწერალს ვერ ვუსაყვედურებთ, რატომ საზოგადოებრივი ცხოვრების მაინცდამაინც ჩრდილოვანი მხარეების გადმოცემა განიზრახეო. პირიქით, მწერლის ასეთი აქტიური პოზიცია, როცა ის ცდილობს ჩვენი ყოფის თუნდაც „მეორეხარისხოვანი" ნაკლის წარმოჩენას, მისალმებია და მოსაწონი კიდეც. მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, ცალკეული უწმაწურობის შემჩნევა და მერე მათი გადმოცემა თუნდაც ნატიფი იუმორით, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მწერალმა შესძლო პრობლემის ჭეშმარიტ მხატვრულ დონეზე განსხეულება. ან ცალკეულის, მცირე უწმაწურობანის გადმოცემას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, თუ მასში მკითხველმა ჩვენი ცხოვრებისა და ყოფის წაბილწვის და ზნეობრივი დაცემის მიზეზი და განზოგადოებული არსი შეიცნო და ამოიკითხა, თუკი მწერალმა უარყოფითი მომენტის, კერძოდ, ანტიზნეობრივის წინ წამოწევით ზნეობრივის საყრდენ ორიენტირზე დააფიქრა ადა-

მიანი, მისკენ მიმართა კაცის გონება.

აი, სწორედ ეს ვერ მოახერხა მწერალმა: გადმოცემული „მცირე უწმაწურობანი" მცირე ხარისხოვან უწმაწურობად აღიქვა მკითხველმა და ანეკდოტურ სიტუაციებად მიიჩნია, რადგანაც მათ აკლიათ მოვლენათა ხედვის სიღრმე და განცდათა სიმძაფრე. ხოლო იუმორი, რომლითაც სურს მწერალს ადამიანთა სავალალო და ტრაგიკული მოვლენები სხვა სიბრტყეზე გადაიტანოს, ამჯერად ვერ ასრულებს დაკისრებულ ფუნქციას, ხელოვნურად და ხანდახან უადგილოდაც გამოიყურება. ვერც ენობრივი „ექსცესებით" (მაგალითად ხელოვნური კომპოზიტები, უფრო მართებულად, სხვადასხვა სიტყვათა მექანიკური გაერთიანება, რომელსაც მწერალი აშკარად სხვათა მიბაძვით მიმართავს, მიიღწევა სასურველი ეფექტი. ერთი სიტყვით, ამ ნოველების მხატვრული ქსოვილი საგრძნობლად არის დაზიანებული, რაც ექსტრატექსტულ დონეზე სიმპტომატურად ვლინდება კიდეც.

საერთოდ, ეს ნაწარმოები, როგორც თვად ავტორი გვაუწყებს პროლოგში, ბოკაჩოს „დეკამერონის" ერთგვარი მიბაძვაა. მაგრამ, სამწუხაროდ, აქ შეიძლება მხოლოდ „ფიზიკურ" მსგავსებასა და არა „სულიერ ნათესობაზე" საუბარი, მწერალს „დეკამერონის" ის გარეგნული, „ეფექტური" ფაქტურა აღუქვამს, ყრმობის ჟამს რომ ჩვეულებრივ ხიბლავს მკითხველს, ხოლო ის დიდი იდეური საძირკველი, რომლითაც უნიკალურია ეს ქმნილება და რენესანსის პირველ მერცხლად გვევლინება, ვერ იქნა მწერლის მიერ გაცნობიერებული და შესაბამისად გადააზრებული. ყოველ შემთხვევაში, საანალიზო ნაწარმოების გაცნობა სხვაგვარი დასკვნის გამოტანის უფლებას არ გვაძლევს. სწორედ ამიტომაც ჩვენი მწერლის მიერ გაცნობიერებული ეს მსგავსება თუ მიბაძვა მხოლოდ გარეგნულია და „ექსტერიერში" არის გაცხადებული: თუმცა დღევანდელ ისტორიულ სინამდვილეში სხვაგვარად ეს შეუძლებელიც იყო. ბოკაჩომ ხომ სიყვარულის გააზრება, მისი აღქმის კუთხე შეცვალა და ზეციური სიმაღლეებიდან დედამიწაზე დააფუძნა, რაც იმ დროისათვის უაღრესად გაბედული და პროგრესული ნაბიჯი იყო და რასაც მოჰყვა მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკურ კონცეფციათა ძირეული შეცვლა. დღეს კი სიყვარულის ამ ასპექტში წარმოჩენით, ცხადია, ველარავის გავაკვირვებთ. მეტიც შეიძლება ითქვას, დღეს სიყვარულის წარმოსახვას უფრო ამაღლება სჭირდება, ვიდრე გამიწიერება...

საერთოდ უნდა შევნიშნო, რომ ჯუმბერ ტიკარაძე დაჯილდოებულია ხედვის იმ უნარით, რომელიც, „მოკვდავთაგან" განსხვავებით, ჩვეულებრივში უჩვეულოს ამჩნევს. ასეთი ნიჭით იშვიათად აჯილდოებს ბუნება ადამიანს და ამას მოფრთხილება სჭირდება. მწერალი ქართულ ენასაც კარგად ფლობს და შესწევს უნარი ჩანაფიქრის სასურველი [illegible]ცემისა. ოღონდ საჭიროა უფრო მეტი სიღრმე და სიმძაფრე მივანიჭოთ ცალკეულს და ის ზოგადობის სიმაღლემდე ავიყვანოთ. ეს კი, უპირველეს ყოვლისა და უმთავრესად, მხატვრული წარმოსახვის ნიჭსა და უნარზეა დამოკიდებული და მერე მონდომებასა და გარჯაზე. რამდენად შეძლებს მწერალი ამ სიმაღლეების დაპყრობას — ამაზე პასუხს მხოლოდ დრო გაგვცემს.

ქეთევან მელიქიძის მოთხრობაში — „თეთრი ქვების დარაჯი" — („ცისკარი", № 1) სიყვარულის პრობლემა უკვე სხვა კუთხით არის დანახული და გააზრებული. მწერალს აინტერესებს სიყვარულის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „კანონიკური, — „დოგმატური" განვითარება და „დასასრული", როცა ახალგაზრდათა ურთიერთტოლვა ქორწინებით მთავრდება. ეს კი საზოგადოებრივ-მორალური თვალსაზრისით მოსაწონია. ქეთევან მელიქიძემ ისიც კარგად იცის, რომ დღეს სიყვარულის დაგვირგვინებას ანუ ოჯახის შექმნას ბევრწილად განსაზღვრავს ეკონომიკური ფაქტორი, რაც უკვე თავისთავად ამ ამაღლებული გრძნობის დამაგვირგვინებელ აქტს „იდეალურის" საფუძველს აცლის. სწორედ ამ თვალთახედვით წარმოსახავს მწერალი სიყვარულის რაობას და იგი პრობლემას, ნებსით თუ უნებლიეთ, ზნეობრივი კუთხით გვიჩვენებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შემოქმედი ასე სვამს საკითხს: როდის არიან ადამიანები მართალნი, როცა ისინი სხვათა დასანახავად ანუ საზოგადოებაში დამკვიდრებული ეთიკური მოდუსის მიხედვით არ სცოდავენ და მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთი არ უყვართ, „წესიერად ცხოვრობენ, მშვიდ ოჯახურ იდეალს არ არღვევენ", თუ მაშინ, როცა ცდილობენ გამოასწორონ თავისი „დანაშაული", რაც უმთავრესად მატერიალური კეთილდღეობის სურვილმა ჩაადენინათ. ერთი სიტყვით, როდის არის ადამიანი მართალი და სწორ ზნეობრივ პოზიციაზე მდგომი, როცა ის შინაგანად ცრუობს, თავის თავს ატყუებს და ისე იქცევა, როგორც ამას საზოგადოების მორალური კოდექსი მოითხოვს, თუ, როცა ის თავისთავთან, თავის საკუთარ ჩრწამსთან მართალია, ხოლო საზოგადოების მორალის თვალთახედვით — „ცოდვილი".

საკითხის ამგვარი დაყენება ახალი როდი გახლავთ. უძველესი დროიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც ადამიანმა ზნეობრივი იდეალი და ორიენტირი გაიცნობიერა, ეს პრობლემა სხვადასხვა რელიგიურ-მორალურ მოძღვრებებში განსხვავებული თვალთახედვით იყო წარმოჩენილი და გადაჭრილი. იგი ძალზე აწუხებს თანამედროვე საზოგადოებრივ აზრსაც და

ამდენად ხელოვნების თითქმის ყველა სფეროში იჩენს თავს. მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ, რაც უფრო საინტერესო და მიმზიდველია შემოქმედისთვის პრობლემა, მით უფრო ძნელად დასაძლევია იგი.

ვერ ვიტყვი, რომ ახალგაზრდა პროზაიკოსს ეს არ ჰქონდეს გაცნობიერებული. მეტიც, ჩემი აზრით, მწერალი თავის მოთხრობის სიუჟეტად შეგნებულად ირჩევს უკვე არაერთხელ გამოყენებულ პარადიგმატულ სქემას, კერძოდ, ორ ახალგაზრდას უყვართ ერთმანეთი, მაგრამ ქალიშვილი მიჰყვება ცოლად ეკონომიკურად ძლიერ ყმაწვილს, რომელიც მათი (შეყვარებულთა) ბავშვობის მეგობარია. იმედგაწყრული და გულმოკლული ვაჟი ასევე ეკონომიკური მდგომარეობის გამო ირთავს სოფლელ გოგოს. მაგრამ ეს ოჯახი იმთავითვე განწირულია და ინგრევა კიდეც. თუმცა ქალი ახერხებს ოჯახის შენარჩუნებას, ანგარიშს უწევს შვილის მომავალს და ეკონომიკურ ფაქტორს, ის ღალატობს ქმარს და თავის პირველ სიყვარულს ეწაფება. ეს არის ფაბულის A-B სწორი ხაზი, რომლის სპირალური გადაკვეთებით აგებულია ამ მოთხრობის კომპოზიციური სტრუქტურა. როგორც უკვე ვთქვი, ფაბულის ეს მოდელი არაერთგზის არის გამოყენებული ლიტერატურაში. მაგრამ ამ ფაქტს არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება. მთავარი ასეთ შემთხვევაში არის ის, თუ რამდენად ახერხებს მწერალი ამ უკვე „გაცვეთილ“ მოდელს ახლებური სული შთაბეროს და ისეთ მხატვრულ სიმაღლეზე გააცოცხლოს, რომ მკითხველს საკუთარი თვალსაზრისი სავსებით განსხვავებული კუთხით დაანახოს. აი, ეს არის არსებითი მწერლისათვის და არა ის, თუ რამდენად ორიგინალურ ფაბულაზე აგებს იგი თავის ნაწარმოებს. ერთი სიტყვით, მთავარია, მწერლის სიტყვა, რა ფორმაში და რა ხერხებითაც არ იყოს გაცხადებული, მხატვრული სიმართლის დონეზე აღიქვას მკითხველმა და ირწმუნოს. ამისათვის კი დიდი ნიჭი და ძალისხმევაა საჭირო!

მიუხედავად იმისა, რომ საანალიზო მოთხრობას არაერთი ხარვეზი გააჩნია, მაინც ამთავითვე უნდა აღინიშნოს ერთი, ჩემი აზრით, მეტად მნიშვნელოვანი მხარე: თხრობისას გადმოცემულ მოვლენებში ბუნებრიობა და რეალურობის პრიმატი შეიმჩნევა და ალბათ ამიტომაც მკითხველი ენდობა და უჯერებს მწერალს. გარდა ამისა, მკითხველის ეს დარწმუნება იმითაც არის გაპირობებული, რომ მწერალი მოგვითხრობს იმის შესახებ, რაც თვალნახა და საკუთრივ განიცადა. ის გადმოგვცემს თავისი თაობის ცხოვრებას, იმ ყოფასა და ურთიერთობას, აღსავსეს ჩრავალრიცხოვანი წუხილით თუ სიხარულით, რომელიც ასე ახლობელია მისთვის. ერთი სიტყვით, მოთხრობაში აღწერილი გარემო, ამ გარემოში მოქმედი პერსონაჟები, მათი სწრაფვანი, მათი ზრახვანი, მათი დრამატიზებული ურთიერთობა მწერალს კარგად აქვს გათავისებული, რადგანაც, როგორც უკვე ვთქვი, იმავე წვით არის გათანგული და იმავე „ჭირით“ თუ „სენით“ შეპყრობილი. სწორედ ამიტომაც მაშინაც კი, როცა მოთხრობის ისეთ პასაჟებს ვკითხულობთ, რომელთაც შაბლონურობის ელფერი დაჰკრავთ და რომლებიც უკვე აშკარად გაგონილის და ნანახის განცდას ბადებენ, მაინც არ გვრჩება ხელოვნურობისა და სიყალბის შთაბეჭდილება, რამაც ყოველ წამს შეიძლება იჩინოს თავი, თუკი სათქმელი შემოქმედს ჭეშმარიტად გათავისებული და გაშინაგანებული არ აქვს.

აქვე უნდა აღვნიშნო, კიდევ ერთი დადებითი მწერლური თვისება ქეთევან მელიქიძისა. მას ეხერხება დეტალების ხატვა და, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო შტრიხის წინ წამოწევით, გადმოცემულ ვითარებას გაცილებით საინტერესოს და აზრობრივად ტევადს ხდის. აი, თუნდაც ეს პატარა დეტალი, რომლითაც მწერალი სოფლად გამართული ლხინის სურათს ავსებს: „ყველა მაგიდასთან თითქმის ერთნაირ ელასტიკურ და ხავერდის კაბებში გამოწყობილი მხარბეჭიანი მანდილოსნები ცხვირსახოცით იწმენდნენ ოფლიან სახეებს და გაბარჯღულ თითებზე აბრჭყვიალებულ ბეჭდებს ახარბებდნენ ერთმანეთს“, ამ მცირე კონტექსტით, ჯერ ერთი, ჩვენი ყოფის ერთი ნიშანდობლივი მხარე კარგად მიგნებული და ზუსტად დასურათებულია, და, მეორეც, ეს დეტალი სავსებით ნათლად გადმოგვცემს იმ მეშჩანურ ატმოსფეროს, რომელიც სუფევს იმ ნადიმზე და, საერთოდ, იმ საზოგადოებაში. ასეთი დეტალები კი, რომლებიც არცთუ იშვიათად გვხვდება საანალიზო ნაწარმოებში, არის მოთხრობის პოეტიკისთვის ნიშანდობლივი, უმთავრესი სტილისტიკური ხერხი, რითაც ცნაურდება ამ ჟანრის უმთავრესი სპეციფიკურობა — მცირე კონტექსტით დასრულებული და ტევადი აზრის გადმოცემა. ერთი სიტყვით, მოთხრობის სტრუქტურაში დეტალი ფუნქციურად ძალზე მნიშვნელოვანი ელემენტია და მის სრულქმნაზე ბევრად არის დამოკიდებული ამა თუ იმ მოთხრობის მხატვრული სრულყოფილება საერთოდ.

რადგან ამ მოთხრობის პოეტიკაზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ აქვე აღვნიშნავ, რომ ქეთევან მელიქიძე კარგად იყენებს პარალელიზმის ხერხსაც. ის ფსიქოლოგიურად დამაჯერებლად მოგვითხრობს რძალ-დედამთილის, ორი ლამაზი ქალის ბუნება-ხასიათს და ყოფას, რომლებიც თავიანთი სწრაფვით ჰგვანან ურთიერთს, მაგრამ ცხოვრების წესით განსხვავდებიან. მწერალი ამის ჩვენებას ახერხებს პარალელური სცენების ლაკონური გადმოცემით და კონტრასტულ ფერთა შეჯერებით აღწევს ეფექტს. ამავე დროს მას აქვს უნარი რამდე-

ნიმე შტრიხით პერსონაჟის ბუნება-ხასიათზე გარკვეული წარმოდგენა შეუქმნას მკითხველს, რაც აგრეთვე საშური და მოსაწონია. მაგრამ საანალიზო მოთხრობის პოეტიკურ სტრუქტურაში ყველაზე გავრცელებული და მარკირებული ხერხია შედარება. ქეთევან მელიქიძე სხვადასხვა სიტუაციის თუ მოვლენის გადმოსაცემად გამუდმებით მიმართავს შედარებას, რომელთა უმეტესობა პოეტური ხილვით არის ნასაზრდოები. ვერ ვიტყვი, რომ ამ შედარებებს არ გააჩნდეთ ემოციური მუხტი. მიუხედავად იმისა, რომ მათ აშკარად ეტყობათ პოეტიზაცია და „ამაღლებულობა“, ისინი მაინც არ არიან ამოვარდნილნი კონტექსტიდან. თუმცა იმის აღნიშვნაც არის საჭირო, რომ ამ ხერხის გამუდმებული ხმარება და მისი სიჭარბე ერთგვარ ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე. განსაკუთრებით ეს ხელოვნურობა იგრძნობა მაშინ, როცა მას ფსიქოლოგიური დამაჯერებლობის საფუძველი აკლია. ასე, მაგალითად, თემოს გვერდით უწევს ნანატრი ლიზიკო, რომელიც ქმარს გამოეპარა, მას კი ასეთი ფიქრები აწუხებს: „ქალი, რომელზედაც მთელი ცხოვრება ვოცნებობდი, გვერდით მიწევს და ვერაფერს ვეუბნები, რადგანაც ჩემთვის ახლა იგი ბატონების მაგიდიდან მშიერი მგლისათვის გადმოგდებული გამოხრული ძვალია. და მეტი არაფერი“. ვფიქრობ, გადმოცემულ სიტუაციაში ამგვარი შედარება ძალზე ხელოვნურად და ყალბად ჟღერს. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, ეს ხერხი საერთოდ კარგად ესიტყვება საანალიზო მოთხრობის მთლიან მხატვრულ ქსოვილს და ხორცმეტად არ აღიქმება. როგორც ჩანს, იგი მწერლის შინაგანი ბუნებით. მიდრეკილებით არის განპირობებული. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით იუმორზე, რომელიც აქა-იქ ჩართულია მოთხრობაში. მწერლის ყოველი ცდა იუმორისტულ ტონებში გადმოგვცემს ესა თუ ის მოვლენა, მარცხით მთავრდება, როგორც ირკვევა. ამ გრძნობასთან მწყრალად არის მწერალი. ყოველ შემთხვევაში, ამას გვაფიქრებინებს საანალიზო მოთხრობა. ამიტომ, ჩემი აზრით, აჯობებს, რომ მწერალმა ხელი აიღოს მასზე ან უფრო მეტი „სერიოზულობით“ მოეკიდოს იუმორისტული სიტუაციის დახატვას.

ცნობილია, რომ იუმორის გრძნობა თანდაყოლილი ნიჭია ადამიანისა და გარჯით და მონდომებით ვერ მოიპოვებ და, რაც მთავარია, ჭეშმარიტ და ღრმა იუმორამდე ამაღლება ერთობ რთული საქმე და, ვიტყოდი, ერთეულთა ხვედრია. ამიტომაც ჯერ მისი ნიჭი და უნარი უნდა აღმოაჩინოს მწერალმა თავის თავში და მერე გამოჰკრას ხელი.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ქეთევან მელიქიძე თავისი თაობის ცხოვრებას აგვიწერს. ის მოგვითხრობს. ახალგაზრდობის ერთ ჯგუფზე, რომელთაც ბავშვობიდან მეგობრობა აკავშირებდა, აქვე უნდა დავძინო, რომ მეგობართა ეს წრე არ გამოირჩევა რაიმე განსაკუთრებული ნიშნით თავისი თანამედროვეებისაგან. თავად ისინიც არ არიან ურთიერთისგან სიკეთის თუ ბოროტების ნიშან-თვისებით გამიჯნულნი. ერთი სიტყვით, მწერალი ხატავს თავისი თაობის ჩვეულებრივ წარმომადგენლებს; ხატავს ისეთებად, როგორიც არიან ან, უფრო მართებულად, როგორადაც მათ აღიქვამს პროზაიკოსი. ცხადია, ქეთევან მელიქიძე შეგნებულად ხაზს უსვამს მათ „ჩვეულებრივობას“, რათა ამით მიგვანიშნოს ამა თუ იმ მოვლენის ზოგადობასა და ბუნებრიობაზე თუ პერსონაჟების ტიპიურობასა და ორდინალურობაზე. მეტიც, მწერალი არც მათ განსაკუთრებულ თვისებასა და საქციელზე ამახვილებს ყურადღებას, არც ზღვრულ სიტუაციებში გვიხატავს თავის პერსონაჟებს, რათა ამ გზით გაამძაფროს მათი სულიერი სამყარო და გამოავლინოს მათი გასაიდუმლოებული, დაფარული ბუნება. მაგრამ, რადგანაც საზოგადოებრივ ურთიერთობას ზნეობრიობის გაგება მუდამ თან სდევს, მწერალიც თავისი თაობის ცხოვრებას, ნებსით თუ უნებლიეთ, ამ კუთხით აშუქებს. მოთხრობის დასასრულს, მთავარი პერსონაჟი ლიზიკო ერთ-ერთი მეგობრის უმცროს ძმას, რომელსაც თავის უფროსი ძმის ამხანაგები კერპებად გაუხდია, ასე უხასიათებს ხსენებულ მეგობართა წრეს: „მეგობრებს უკეთესს ვერ ინატრებ, თუ ვინმე გააუპატიურე, პირზე დაადგებიან გოგოს, ჩვენთანაც ცხოვრობდაო“... თემომ სიმდიდრის გულისათვის ითხოვა ქალი — აგრძელებს ლიზიკო თავის მეგობრების დახასიათებას — ეს სიმამრმაც კარგად იცოდა, მაგრამ ქალიშვილის სახელის გადარჩენას ლამობდა და ამიტომაც ფული არ დაინანა. თემო რაიონში მუშაობს, ახალ „ვოლგაშია“ გამოჭიმული, „ისეთ ავადმყოფებს ყვლიფავს, დედამისი რომ იყო ათი წლის წინათ“, „თუმცა მეგობარი რომ უკვდებოდეს, თუმანს არ ასესხებს“... ზაზას ძმაც „ხელში უყურებს პაციენტებს. ერთი სული აქვს, როდის გავა პენსიაზე პროფესორი... ყასაბს ეძახის. დაავიწყდა სამსახური რომ უშოვა“. გურამმა კიდევ მანქანა გამოიყვანა და არ უთმობს გაჭირვებულ მეგობარს, რადგან სურს ზედმეტ ფასებში გაყიდოს, სამი-ოთხი ათასი ღირს თურმე ოცი წლის მეგობრობა. გოჩა დედისერთა, ბინიან ქალს ეძებს, რა ქნას, მასაც უნდა კარგი ცხოვრება. სუყველას კიდევ დევი (ლიზიკოს ქმარია — ე. ჯ.) ეზიზღება, რადგან „მაგათზე უკეთესი ოჯახი აქვს... თუმცა ცოლი ღალატობს, სიყვარულში არ გაუმართლა, ეს უთბობს ამათ სუყველას გულს“... დევის კი ისე უყვარს მეგობრები, მათ ღალატს როგორ წარმოიდგენს. „მე კი, მეძავი ქალივით სიყვარულს ვატყუებ — აგრძელებს ლიზიკო

— გაურითაც ვერ ვიყრები, მეშინია, ბავშვს ბევრი რამ მოაკლდება და ბოლოს ისეთი ნაძირალა გაიზრდება, როგორებიც ჩვენა ვართ, ფულის გულისთვის ყველაფერზე ხელს მოაწერს, ყველაფერზე!“

მართალია, როცა ლიზიკოს ეს განაჩენი გამოაქვს, გაგულისებულია, მაგრამ რა?! განა სიმართლეს ადამიანი უმეტეს შემთხვევაში გაბრაზებისას არ ამბობს? ძალზე მძიმე ბრალდებას უყენებს ქალი თავის წრეს, ის არ ინდობს არც სხვას და არც საკუთარ თავს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ მკითხველს კარგად ესმის ლიზიკოს გულისწყრომა, რადგანაც ის ბრალდებები, რომელთაც ქალი უყენებს თავის თანატოლთ, უჩვეულოდ და განსაკუთრებულად არ ალიქმება დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მეტიც, მკითხველისათვის ნაცნობი ვითარება იხატება და ის ასკვნის: ამ წრეშიც, როგორც საზოგადოების თითქმის ყველა ფენაში, ტყუილი და სიცრუე ბატონობს, სულიერ-ზნეობრივი იდეალები სულს ლაფავენ და საზოგადოებას ფული და მატერიალური კეთილდღეობა გაუხდია კერპად.

მაგრამ ყველაზე უფრო საწუხარი ის არის, რომ ჩვენი საზოგადოების უმეტეს ნაწილმა ზნეობრივ ორიენტირად გაიხადა ნაკლები ბოროტება, აღარ აწუხებს ის, რის გამოც წინაპრები სინდისის ქენჯნის ჯოჯოხეთურ ცეცხლში იწვოდნენ. ასეთი შემგუებლური პოზიცია კი თავისთავად მეტყველებს საზოგადოებრივი ცხოვრების გახრწნაზე. მართლაც ის, რასაც ლიზიკო თავის მეგობრებს უყენებს მორალურ ბრალდებად, უფრო ნაკლები ბოროტებაა, ვიდრე კაცისკვლა და ბანდიტობა. ამიტომაც ისინი ვერც კი აცნაურებენ თავის უზნეობას და ეს არ გახლავთ ცალკეული ინდივიდის ცხოვრებისეული კონცეფცია, არამედ განსაზღვრული ეპოქის საზოგადოებრივი ყოფის, მისი ზნეჩვეულების გამომხატველი საერთო თვალსაზრისია. ეს კიდევ უფრო ამძაფრებს საქმის ვითარებას. აი, როგორ პასუხობს გოჩა ლიზიკოს: „ქურდები ჩვენ არ ვართ, ბანდიტები, მორფინისტები და კაცისმკვლელები, რა დაგიშავეთ, მიწასთან რომ გვასწორებ. უჭირს ინტელიგენციას, დაგვეხმარონ ვაჭრები, არაფერი მოუვათ“. გოჩას ეს თავდაცვა და თავის მართლება არ არის შემთხვევითი და ნაუცბათევი. ასეთი პოზიცია, სამწუხაროდ, ინტელიგენციის გარკვეულ წრეში რეალურად არსებობს და მყარი საფუძველიც გააჩნია.

მართალია, ზაზასათვის „თიხის მამალივით დაიფშვნენ ბავშვობის კერპები“, მაგრამ როგორი იქნება ხვალ თავად ზაზა, რას უზამს მას ცხოვრება, ექნება თუ არა უფრო სწორი პოზიცია?! აი, ეს ფიქრი აშუვება მკითხველს და არ ასვენებს. მართალია, ამაზე მოთხრობაში პირდაპირ არ არის გაცემული პასუხი, ოღონდაც გაბატონებული საერთო განწყობილება იმას გვაფიქრებინებს, რომ [illegible] ხვალინდელი დღე უკეთესს [illegible] დებს.

თუმცა მოთხრობის ფინალს დიდი აზრობრივი დატვირთვა აქვს, ის მაინც ხელოვნურის და ნაძალადევად შეთხზულ-შეკოწიწებულის შთაბეჭდილებას ტოვებს: ალბომიდან სკოლის ფორმებში გამოწყობილი მეგობრების სურათების გადმოყრა, თიხის მამლის გატეხვა, ლიზიკოს ვრცელი მონოლოგი. უნიჭო ფილმის არაბუნებრივ კადრებს გვაგონებს, რომლებითაც სურს რეჟისორს მანამდე ვერთქმული სატკივარის ხელის ერთი მოსმით გაცხადება და დაგვირგვინება. ის ცოდვები, რაზედაც ლიზიკო თავის ბოლო სიტყვაში საუბრობს, მოთხრობაში გადმოცემული ამბებით თუ ფაქტებით უმთავრესად უკვე ნათქვამია. ამიტომაც ფინალში მათზე კვლავ ყურადღების გამახვილება, ჩემი აზრით, არ იყო საჭირო. თუმცა ავტორის მეცადინეობაც სავსებით გასაგებია, მას სურს თავისი ჩანაფიქრი უფრო ცხადი გახადოს და ამგვარად საკუთარი კონცეფციაც წარმოაჩინოს.

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ქეთევან მელიქიძის სახით ნიჭიერი პროზაიკოსი გვეზრდება, რომელსაც მახვილი თვალი და ალქმულის ძლიერი განცდის და, რაც მთავარია, ამ განცდილის შესატყვისი ფორმით გადმოცემის უნარი აქვს. ერთი სპეციფიკურობაც ქეთევან მელიქიძისა, როგორც მხატვრისა, ის არის, რომ იგი ახერხებს თხრობის დროს გულწრფელი იყოს, ამიტომაც არ მიმართავს ყალბ, ხელოვნურად დაყენებულ პოზას. ყოველ შემთხვევაში ამ მოთხრობის გაცნობა ამგვარ დასკვნამდე მიიყვანს მკითხველს.

ალეკო გაბელაიას მოთხრობაში „იოსები წასულა“ („ცისკარი“, № 8) კვლავაც სიყვარულის პრობლემაა აღძრული. ოღონდაც მწერალს ამ გრძნობის უფრო ონტოლოგიური საფუძვლის, მისი საწყისის ფილოსოფიური თუ მისტიკური ინტერპრეტაცია აინტერესებს, ვიდრე გრძნობის მორალურ-რაკურსში წარმოსახვა.

უფრო კონკრეტულად, ნაწარმოებში აღძრულია ადამიანის მარტოსულობის, გაუცხოების და ამ განცდის სიყვარულის გრძნობით დაძლევისა და, საერთოდ, ორი ურთიერთისგან რადიკალურად განსხვავებული სულიერი განწყობისა და მდგომარეობის ურთიერთშეჯერების საკითხები. არც ეს საკითხები გახლავთ ახალი, ახალი კი არა, მას შემდეგ რაც ადამი სამოთხიდან გამოაძევეს, ე. ი. მას შემდეგ, რაც ადამიანმა გააცნობიერა თავის დამოკიდებულება გარე სამყაროსთან, ეს პრობლემა სხვადასხვაა თვალთახედვით, სხვადასხვა პოზიციებიდან შუქდებოდა სხვადასხვა რელიგიურ-ფილოსოფიურ თუ მისტიკურ მოძღვრებებში. იგი აქტუ-

ალურია დღესაც როგორც დასავლეთის, ასევე ჩვენს ხელოვნებასა თუ ლიტერატურულ ცხოვრებაში. რადგანაც მას გააჩნია მყარი მსოფლმხედველობრივი საფუძველი. ამიტომაც სავსებით ბუნებრივია ის გაზრდილი ყურადღება, რომელსაც თანამედროვე და, მათ შორის, ახალგაზრდა მწერლები იჩენენ მისადმი. ყოველივე ეს კი დიდი სიძნელეების წინაშე აყენებს მწერალს, აყენებს თუნდაც იმიტომ, რომ ჯერ ერთი, როგორც უკვე ითქვა, პრობლემა რამდენადაც ძველია, იმდენად რთული გადასაჭრელია, მეორეც, მასზე იმდენი ითქვა, რომ ძალზე ძნელია შენი საკუთარი თვალთახედვა შეიმუშაო და რაიმე არსებითი თქვა და, მესამეც: შენი საკუთარი პოზიცია, თუკი ასეთი გამოიმუშავე, ისე მიიტანო მკითხველთან, რომ ამ უკანასკნელმა, გაზიარებას რომ თავი დავანებოთ, ანგარიში გაუწიოს მას. ეს ყოველივე კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული შემოქმედს. ყოველ შემთხვევაში, მას უნდა ესმოდეს, რომ, როცა „მარადიულ" პრობლემას ამოსწევს და თანაც ფილოსოფიურ დონეზე იხილავს, რაოდენ დიდ და მძიმე ტვირთს კისრულობს და როგორ ებმება გოლიათთა ფერხულში. მართალია მწერალს ასეთი საკითხების მხატვრული წარმოსახვისას, შეიძლება არც მოვთხოვოთ მათი ორიგინალური გააზრება, მაგრამ ქმნილება მხატვრულობის ისეთი სრულყოფის სიმაღლეზე უნდა იყოს აყვანილი, რომ მკითხველს სიცარიელის და უკმარობის გრძნობა არ დაეუფლოს და, რაც უფრო უარესია, უნიჭო მიმბაძველობად და სხვათა ბრმა გამეორებად არ „მოეჩვენოს". ახლა კონკრეტულად, თუ როგორ შესძლო მწერალმა ამ რთული პრობლემის მხატვრული განსხეულება?!

მოთხრობაში გადმოცემულია ორი ადამიანის ცხოვრება, სიცარიელესა და მარტოობაში უაზროდ რომ მიიზლაზნება. ერთ სახლში, რომლის გეოგრაფიული მდებარეობის კონკრეტიზაცია არ ხერხდება, ცხოვრობს ევა და მისი მეუღლე. ეს უკანასკნელი მოთხრობაში მოიხსენიება უბრალოდ, როგორც კაცი. ამ შემთხვევაში ავტორის ჩანაფიქრი ადვილი მისახვედრია: ქალი და მისი მეუღლე ადამისა და ევას ანუ კაცობრიობის წინაპრების ერთგვარ სიმბოლოებად გვევლინებიან. ცხადია, ამ ხერხით მწერალს სურს პრობლემის განზოგადება და მისი ზედროულ და უსივრცო, აბსტრაგირებულ სიბრტყეზე წარმოჩენა.

უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, მწერლის აზრებით, ადამიდან და ევადან მოყოლებული დღემდე ასე ყოფილა და ასე არის, რომ ორ ადამიანს შორის სიყვარული იფერფლება და კარგავს ძალას, თუკი გარეშე ფაქტორის, მესამის მეშვეობით არ ხდება მისი „გალიზიანება". ხოლო, თუ ადამიანებს არ უყვართ ურთიერთი, ისინი თოკითაც რომ გადააბათ ერთმანეთს, მაინც ეულად და მარტოდ იგრძნობენ თავს!

მოთხრობის მთავარ პერსონაჟებს ევასა და კაცს, საფიქრებელია, უყვარდათ ოდესღაც ერთმანეთი. მაგრამ მათ არ შეეძინათ ბავშვი. თხუთმეტი წლის მონოტონურმა ცხოვრებამ კი ჯერ დააცხრო „შმაგი განცდები" და მერე თითქმის მთლიანად ჩააქრო ეს გრძნობა. წლების განმავლობაში ერთი და იგივე მეორდება: კაცი მიდის სახლიდან, ქალი კი თავის მარტოობას ქსოვს და ამით ირთობს თავს. საღამოს, განსაზღვრულ დროს კაცი კვლავ ბრუნდება სახლში. ვახშმობენ და, თავიანთ ფიქრებში ჩაძირულნი, იშვიათად ესაუბრებიან ერთმანეთს. არავინ არღვევს მათ მყუდროებას, მათთან არავინ მიდის. ასე და ამგვარად, მათ ცხოვრებაში დამკვიდრდა „რაღაც უცხო", რომელიც ჯერ ჩვეულებრივი მოწყენილობა ეგონათ, მაგრამ მერე გაირკვა, რომ ის რაღაცა „ჩვეულებრივის ფარგლებში" აღარ თავსდებოდა. მათი სახლი თანდათან კიდობანს დაემსგავსა, რომელიც „სიჩუმისაკენ მიიწევს მხოლოდ". მწერალი სხვადასხვა დეტალების თუ შტრიხების გამოყენებით, ხაზგასმით გვაუწყებს, რომ ცოლ-ქმარი მარტოობის ნიჟარაშია გამომწყვდეული და ამ ნიჟარისგან თავის დაღწევა არ არის იოლი საქმე. და, აი, ბედობის ღამეს, როცა გარემო თეთრად არის გადაპენტილი, კარზე ვიღაცა დააკაკუნებს. ეს იმდენად მოულოდნელია მათთვის, რომ ყურს არცკი უჯერებენ. მაგრამ კაკუნი მეორდება და სახლში უცნობი შემოაბოტებს. გახარებული ცოლქმარი სტუმარს წესისამებრ დაპურებს. სინათლეზე თანდათან გამოჩნდება სტუმრის ენით უთქმელი ფიზიკური სიმახინჯე და ისიც ირკვევა, რომ ამ ჯოჯოს იოსები ჰქვია. ცხადია, ეს სახელიც ბიბლიური წარმოშობისა არის და შემთხვევით არ არის მოხმობილი. ოღონდაც, თუ მის ფიზიკურ გარეგნობას მივიღებთ მხედველობაში, ის ბიბლიური იოსების ანტიპოდად უნდა წარმოვიდგინოთ, ასე თუ ისე. მთავარი ის არის, რომ ამ იოსებს აქვს რაღაც მისტიკური ძალა, რომელიც სასწაულებრივ მოქმედებს ცოლქმარზე. ეს უკანასკნელნი საოცარი ვნებით ალინთებიან და მთელ ღამეს ძლიერ სულიერ აღტყინებასა და დაუოკებელ ფიზიკურ ნეტარებაში გაატარებენ. გარეშეს, მესამის გამოჩენამ ჯერ რაღაც სიახლე და სიცოცხლე შეიტანა ორის მონოტონურ ურთიერთობაში, ხოლო შემდეგ გასაოცარი, გონით მოუაზრებელი ძალით განუახლა მინავლებული სიყვარული და, რაც მთავარია, დაუბრუნა რწმენა ამ გრძნობისა და თავიანთ თავისა. თავად იოს[illegible] [illegible] ილმას [illegible] ულოდნელად გაუჩინარდა.

როგორ წარიმართება ცოლ-ქმრული ცხოვრება მომავალში, ამის შესახებ მწერალი არა-

ფერს მიგვანიშნებს და ვერც მკითხველს გამოაქვს რაიმე გარკვეული დასკვნა. ოღონდაც მოთხრობის გმირებს რომ რაღაც იდუმალი სიცოცხლე ეწურებათ, ამას გუმანით გრძნობს.

ცხადია, ალეკო გაბელაია საყოველთაოდ ცნობილი სამკუთხედის გათამაშებით არ ამბობს თავის მთავარ სათქმელს, მას მთელი აზრობრივი დატვირთვა გადააქვს იმ ფილოსოფიურ მსჯელობებსა თუ ზოგიერთ ალოგიკურ, ვიტყოდით, მისტიკური იდუმალებით მოცულ ქცევებზე, რომლებსაც მოთხრობის მთავარი გმირები ავლენენ.

ამთავითვე უნდა განვაცხადო, რომ მოთხრობის სტრუქტურაში განსჯის ელემენტია წინწამოწეული: მწერალი თავის სათქმელს ძირითადად ამ გზით აწვდის მკითხველს და არა პერსონაჟთა ქცევა-მოქმედების და სიტუაციათა ხატვის საშუალებით. ბუნებრივია, მწერალს ამ არჩევანის სრული უფლება აქვს. ვერავინ ვერ უსაყვედურებს მას, რატომ აირჩია მან მაინცდამაინც ასეთი მეთოდი, მაგრამ მთავარი და არსებითი აქ ის არის, თუ რა აზრობრივი სიღრმე და მნიშვნელობა აქვს ამ „ფილოსოფიურ დიალოგებს", რომლებიც მრავლად არიან მოცემულ მოთხრობაში?!

პირდაპირ უნდა განვაცხადო, რომ მოთხრობაში ჭარბად არსებული ეს ფილოსოფიური განსჯანი უმეტეს შემთხვევაში ვერ არიან შესატყვის დონეზე წარმართულნი და ვერ ასრულებენ იმ ფუნქციას, რაც ამ ტიპის ნაწარმოებებში ჩვეულებრივ ეკისრებათ მათ. შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ, პირადად მე, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მწერალი ან ვერ ახერხებს მარტივ ჭეშმარიტებებზე ადამიანური ენით საუბარს, ან, რაც უფრო უარესია, განზრახ რთულად საუბრობს მათზე. საერთოდ, მოფილოსოფოსო ახალგაზრდების (ზოგჯერ ძველგაზრდასაც არ გამოვრიცხავ) ერთ ნაწილს ჰგონია, თუკი რაიმე პრობლემებზე რთულად და ძნელად გასაგებად ვისაუბრებთ, ამით ფილოსოფიური აზროვნების სიმაღლეს ვაღწევთ. ცხადია, „ახსნის ლოგიკის" ამგვარი გართულებით მათ სურთ ფილოსოფიური აზრის სიღრმის იმიტაცია შექმნან. მაგრამ მათ ავიწყდებათ საყოველთაო ჭეშმარიტება, ფილოსოფიური აზროვნების დონეს პრობლემის განსჯის სიღრმე და მასშტაბები ქმნის და არა ამ განსჯის სიტყვაში გაცხადების გართულებული მეთოდი. ის კი არა, თუ ამ ასპექტით შევხედავთ პრობლემას, მეტიც შეიძლება ითქვას: ფილოსოფია არის არა მარტივი და იოლად გადასაჭრელი პრობლემის რთულად გადმოცემა და შეგნებული გაბუნდოვნება, რაც, სამწუხაროდ, ახასიათებს ჩვენ ზოგიერთ „ფილოსოფოსს", არამედ ურთულესი პრობლემების სადა ახსნა და გადმოცემა. ყოველ შემთხვევაში, ფილოსოფიის ისტორია ამ თეზისს უჭერს მხარს. შეიძლება ვინმემ ისიც შემნიშნოს, რომ ამ გართულებული მსჯელობით მწერალი პერ[illegible] მათ ბუნებას [illegible] რამ ეს შენიშვნა არ იქნება მართებული, რადგანაც ეს განსჯანი მოთხრობის ძირითადი სემანტიკის, და არა პერსონაჟის თვისება-ხასიათის გადმოსაცემადაა მოხმობილი.

თუ ზედმეტად მკაცრი არ ვიქნები, მოთხრობის სხვადასხვა კონტექსტში მარკირებული ეს განსჯანი უმეტეს შემთხვევაში უკვე არაერთგზის გააზრებულ და გადახარშულ ჭეშმარიტებებს იმეორებენ და თანაც ისე, მათ არ ახლავთ ახლებური ხედვა და აღქმა პრობლემისა. ზოგჯერ კი ამ მსჯელობებს აკლიათ სწორედ ფილოსოფიური სიზუსტე და აზროვნების დონე. ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვან: „თუ კაცს დაუჩლუნგდა და დაუქვეითდა ქსეროფორმის უნარი, სიცოცხლე კარგავს მშვენიერებას — დამყაყებულ, დალორწილ ჭაობად იქცევა ცხოვრება, ადამიანები კი ქვის ქანდაკებებს ემსგავსებიან"... რამდენადაც მე ვიცი, ქსეროფორმი ყვითელი ფხვნილია, რომელსაც იარების სადეზინფექციო საშუალებად გამოიყენებენ. მწერალი კი განა რა აზრს ანივთებს მასში, რომ უიმისობა ასე ტრაგიკულს ხდის ადამიანის სიცოცხლეს და თავად ადამიანს. ანდა გავიხსენოთ სხვა „განსჯა", კაცი ფიქრობს ცეცხლზე „...ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. ამ მშვენიერების და სილამაზის ავბედითი როკვა უსასრულობის ილუზიას რომ ქმნის. უფრო სწორად ჩვენივე ცნობიერება აყალიბებს მისი უსასრულობის ილუზიას, რადგანაც ცნობიერება უძლურია მისი სახეცვალებადობის იგივეობის დაჭერაში"... ვფიქრობ, კვლავაც ცნებათა განსაზღვრის შეგნებულ გართულებასთან და ამის შედეგად მიღებულ „გაუგებრობასთან" გვაქვს საქმე. პირადად მე, არ მესმის, „მშვენიერების და სილამაზის ავბედითი როკვა" ესთეტიკის რა კატეგორიათა რიგს მივაკუთვნოთ ანდა როგორ შეუძლია მას, შეგვიქმნას უსასრულობის ილუზია. მართალი გითხრათ, მოცემულ კონტექსტში არც სინტაგმა „სახეცვალებადობის იგივეობა" არის მთლად გასაგებად და ზუსტად ნახმარი. კაცმა რომ თქვას, მკითხველმა თუ გაიჭირვა, შეიძლება კიდევაც გაუგოს მწერალს, რის თქმა სურს, მაგრამ რატომ იტკივებს აუტკივარ თავს მწერალი და რატომ არ შეაქვს მეტი სიცხადე ამ მსჯელობაში?! თუკი ამის უნარი არ შესწევს, მაშინ ამგვარ პრობლემებზე საგანგებო მსჯელობას საერთოდ უნდა ერიდოს. ახლა კვლავ მწერლის ფილოსოფიური ჭვრეტის ერთ ნიმუშსაც მოვიხმობ: „...ადამიანი ხერპანტინია მარტოობასა და კომუნიკაციას შორის გაკიდებული, როგორც კი გაწყდება იგი, ნაგლეჯების უაზრო გროვად იქცევა უმალ. დაიშლება მისტიკური დიაგრამა

— ბორობუდური!..“ პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ მოხმობილ კონტექსტის თავსა და ბოლოში დასმული მრავალი წერტილი ხაქმეს ვერ შველის. თუ ეს მსჯელობა სხვათა აზრთა პერიფრაზაა, მაშინ ძალზე ცუდად და ნაკლულად არის გაკეთებული, თუ მწერლის საკუთარი დაკვირვებაა, მრავალ პასუხგასაცემ კითხვას აღძრავს: კარგად ვერ გავიგე, რატომ არის ადამიანი მარტოობასა და კომუნიკაციას შორის გადებული სერპანტინი, რომელიც გაწყვეტის შემდეგ ნაგლეჯების უაზრო გროვად იქცევა? ადამიანის ასეთი განსაზღვრა არცერთ სასოწარკვეთის უკიდურეს ზღვრამდე მისულ ექსისტენციურად მოაზროვნე შემოქმედს არ მოუცია, რადგანაც ადამიანობის არსობას არანაირად არ ესიტყვება. ადამიანი არასოდეს იქცევა ნაგლეჯების უაზრო გროვად, გნებავთ, საზოგადოების მოწყვეტილი და მარტოსულობაში ჩაძირული, გნებავთ საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირში მყოფი. გარდა ამისა, მოცემულ კონტექსტში, რას ნიშნავს ემოციით დამუხტული ფრაზა: „დაიშლება მისტიკური დიაგრამა — ბორობუდური!.. რომელი მისტიკური დიაგრამის დაშლაზეა საუბარი, ან რა შუაშია ამ შემთხვევაში ბორობუდური?! ღმერთო, ნუ მიწყენ და, ხანდახან ისეთი ფიქრიც გამიელვებს თავში, რომ მწერალს ზოგჯერ კარგად არ ესმის გამოყენებულ სიტყვათა თუ ტერმინთა მნიშვნელობა ანდა, უკეთეს შემთხვევაში, მათ, უადგილოდ და არა შესატყვის კონტექსტში იყენებს.

გარდა ამისა, მოთხრობის პერსონაჟები არცთუ იშვიათად მსჯელობენ ყოფნა-არყოფნის, სიკვდილ-სიცოცხლის და სხვა მსგავს პრობლემებზე. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ საკითხების მოაზრების დროს ისინი ახალს ვერაფერს გვაუწყებენ და გვამცნობენ იმას, რაც არაერთხელ თქმულა და დაწერილა გარდასულ საუკუნეთა მოაზროვნეების ნაწერებში. ადამიანი რომ ყოველ წამს კვდება, სიცოცხლე რომ მხოლოდ ილუზიაა და თამაში, ამის შესახებ უკვე წარმართულ ფილოსოფიურ ნააზრევში იყო ჩამოყალიბებული თვალსაზრისი, რამაც განსაკუთრებული სისტემურობით თავი იჩინა დიდი პლატონის არაერთ დიალოგში. ჩემი ღრმა რწმენით, დღეს ამგვარ პრობლემებზე მსჯელობა, თანაც არასაშურ დონეზე, თუ კი ის მხატვრული ქმნილების ლოგიკის აუცილებლობით არ არის გაპირობებული, სხვა რომ არაფერი ვთქვა, ცოტა უხერხულადაც მეჩვენება, მაგრამ თუკი ამას მიზეზთა და მიზეზთა გამო მოვიმოქმედებთ, საამისოდ ერთი ელემენტარული პირობა უცილობლად საჭიროა: პრობლემის ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა!

საერთოდ, ამ მოთხრობაში შეიმჩნევა მწერლის სწრაფვა „გართულებისაკენ“. ის ცდილობს მოთხრობაში ისეთი კოდები მოგვცეს, რომელთა მართებული დეკოდირებაც უჭირს მკითხველს. ამიტომაც მწერლის მიერ დახატული ზოგიერთი დეტალი მხოლოდ და მხოლოდ ძნელად აღსაქმელს ხდის ავტორის ჩანაფიქრს და ხელს უშლის მოთხრობის მთავარი აზრის გაგებას მაშინ, როცა პირუკუ უნდა ხდებოდეს: ესა თუ ის დეტალი მხოლოდ განსაზღვრული საფეხური უნდა იყოს, რომლის შემწეობითაც მკითხველი ეზიარება მწერლის შეფარულ ჩანაფიქრსა და ზრახვებს. ამის საილუსტრაციოდ ერთ ადგილს გავიხსენებ, კერძოდ, მოთხრობის დასასრულში მწერალი გადმოგვცემს: „კაცი მიუახლოვდა, მაგიდაზე გვერდიგვერდ ორი პატარა, პაწაწინა წიგნი დევს: „შავი წყალი და იდუმალი მორევი“ (პიესა უსასრულო მოქმედებად) და „თეთრი წყალი და ალმავალი შეშლილი“ (პიესა უსასრულო მოქმედებად) მოქმედნი პირნი“... ცხადია, ამ პასაჟით რაღაც ამოსაცნობ აზრს აწვდის მწერალი მკითხველს, ისიც ეძლევა ფიქრს, თუ რას ნიშნავს შავი წყალი და იდუმალი მორევი“ ანდა „თეთრი წყალი და ალმავალი შეშლილი“. მაგრამ ამას მკითხველი, თავიც რომ იმტვრიოს, ვერ მიხვდება, თუკი ის კარგად არ იცნობს ჩინურ მისტიკურ მოძღვრებას — დაოსიზმს, საერთოდ, და, კერძოდ, ლაო-ძის სწავლებას და არა აქვს შესწავლილი ამ მოძღვრების მისტიკური სიმბოლო-ნიშნები. გარდა ამისა, მკითხველს კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მისტიკური შემეცნების ზეალმავალი ხაზი, რომელსაც ასრულებს სიხელისა და დუმილის საფეხურები. მაგრამ ყოველივე ამის ცოდნა არათუ უბრალო, საშუალო დონის მკითხველს, არამედ პროფესიონალსაც არ მოეთხოვება. ესეც კარგად უნდა მოეხსენებოდეს მწერალს. არადა, ყოველივე ზემოთქმულის ცოდნის გარეშე, შეუძლებელია ოდნავ მაინც გაიგო ის ჩანაფიქრი, რასაც მწერალი ანივთებს ამ კონტექსტში. ახლა ისიც დავუშვათ, რომ ბედნიერ შემთხვევასთან გვაქვს საქმე და მომადლებული ცოდნის წყალობით ყოველივე გავიგეთ, მაინც რას მატებს ეს კონტექსტი მოთხრობის მთავარ სათქმელსა და სემანტიკას. ჩემი აზრით, არაფერს! პირიქით, იგი მთლიანი კონსტრუქციიდან ამოვარდნილ ნაწილს გვაგონებს და არც ისეთი ქვეტექსტური აზრის მატარებელია, რომ მოკვდავთ ენით არ შეიძლებოდა მისი თქმა და მხატვრული განსხეულება.

არ ვიქნები მართალი, თუ საგანგებოდ არ აღვნიშნავ, რომ ალეკო გაბელაია ცხოვრებაში, საერთოდ, ძალზე მოკრძალებული, მორიდებული და უპრეტენზიო ადამიანია. მე ამიტომაც ვერ ამიხსნია, რა კომპლექსს შეუპყრია იგი, რატომ სურს „გააკვირვოს“ მკითხველი და რატომ სწადია, რომ დელფინი ტყეში

დაგვიხატოს და „გარეული ლორი კი — მლღელვარე ტალღებში".

აქვე იმასაც დავძენთ, რომ, ჩემი ღრმა რწმენით, მწერალს არც განათლება აკლია, არც ნიჭიერება, არც სამყაროს ხედვის უნარი, ოღონდაც კარგი იქნება, თუ მომავალში ემახსოვრება ჯერ კიდევ ორი ათასი წლის ნათქვამი ჰორაციუს ფლაკუსის კლასიკური შეგონება: „საქმე ისაა, რასაც ქმნი, იყოს მარტივი და მთლიანი!".

მანანა ამირეჯიბის ვრცელ მოთხრობაში „სადაც არ უნდა წახვიდე" („ცისკარი", № 5, 6, 7) „მარტოსული" ინდივიდების ცხოვრების ცალკეული ეპიზოდების დახატვით იქმნება ადამიანთა ურთიერთობის რთული პანორამა: ადამიანთა მრავალგვარ ურთიერთობას, მწერლის გაგებით, ასაზრდოებს უმთავრესად მაინც ორი საპირისპირო, მაგრამ, ამავე დროს, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული გრძნობა: სიყვარული და სიძულვილი, ამიტომაც მოთხრობის სემანტიკური ღერძი ამ ორ გრძნობას ეყრდნობა და სწორედ ამ საპირისპირო გრძნობათა ურთიერთმიმართებასა და გარდასახვაში მრავალი საჭირობოტო, თავსატეხი პრობლემა იჩენს თავს, რომელთა გააზრებაც ძირითადად ეთიკურ სიბრტყეზეა წარმოდგენილი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მწერალი გადმოგვცემს განსხვავებული ინდივიდების ხასიათებს და მათ სასიყვარულო თავგადასავალს, უფრო მართებულად, მათ განსხვავებულ დამოკიდებულებას ამ გრძნობასთან, რაც, პროზაიკოსის წარმოდგენით, აპირობებს ადამიანთა სხვადასხვა სულიერ და ფსიქიკურ განწყობას. ეს კი ყოველივე, საბოლოო ჯამში, გამძაფრებულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში იჩენს ხოლმე თავს. ერთი სიტყვით, მანანა ამირეჯიბს სურს ობიექტურად არსებული საზოგადოებრივი ცხოვრება ცალკეულ ინდივიდთა ცნობიერების ჰრილში წარმოსახოს.

მწერალი მოთხრობის კომპოზიციას აგებს „ჩარჩოიან" მოდელზე, რომელიც შუასაუკუნეების სინამდვილეში ფართოდ იყო გავრცელებული მთელ მსოფლიო ლიტერატურასა და ფოლკლორში. მოკლედ, მოთხრობის სიუჟეტური ქარგა ასეთ სქემას ეყრდნობა: მავანი აქვეყნებს განცხადებას და მოწყენილ ადამიანებს „ხელმისაწვდომ ფასში" სთავაზობს თავის ბინას, რომელიც „დედაქალაქიდან არც ისე შორს მდებარეობს". მართლაც ამ ბინაში რამდენიმე უცნობი (ზოგიერთის გამოკლებით) იკრიბება. ისინი სალამოობით ყვებიან თავიანთი ცხოვრების მნიშვნელოვან ეპიზოდებს, რომლებიც უმთავრესად სიყვარულთან არიან დაკავშირებულნი.

ბუნებრივია, მოთხრობის აზრობრივი დატვირთვა სწორედ ამ ეპიზოდებზე მოდის. როგორც უკვე ითქვა, ეს ეპიზოდები, როგორც წესი, გადმოგვცემს სასიყვარულო თავგადასავალს, რომელიც რაღაც, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო მიზეზის გამო „მარცხით" მთავრდება. მწერალს სურს დაგვანახოს, რომ სიყვარულს, ამ ყოვლის შემძლე ძალას, მეტწილად საძირკველს უნგრევს „მეორეხარისხოვანი", უმნიშვნელო რამ. საერთოდ, მანანა ამირეჯიბი ფიქრობს, რომ წვრილმანები ხშირად უფრო მეტს მეტყველებს ჩვენი ცხოვრების არსზე, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ამიტომაც მას სურს, აჩვენოს, რომ ადამიანთა „მარტოსულობის" და მოწყენილობის მიზეზი სწორედ იმ წვრილმანებშია საგულვებელი, რასაც ჩვენ, როგორც წესი, ყურადღებას არც კი ვაქცევთ. აკი, ბრძანებს მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟი, — ბატონი ლუკა: „ჭეშმარიტება ხშირად წვრილმანებიდან უფრო ჩანს". ჩემი აზრით, მანანა ამირეჯიბი ამ თეზისს თავის მხატვრულ კონცეფციად ირჩევს, რადგანაც ის ცდილობს, ერთი შეხედვით, სწორედ „მცირეხარისხოვანი" უმნიშვნელო მოვლენათა აღწერით და დეტალების წინ წამოწევით ადამიანთა ღრმა სულიერი ტკივილები და განცდები დაგვიხატოს. ეს არ გახლავთ იოლი საქმე და საკადრის დონეზე გაცხადება მაღალ ნიჭიერებას მოითხოვს.

ახლა, მოკლედ, რას მოგვითხრობენ ამ მოთხრობის პერსონაჟები: 17 წლის კრავაი თავის მიჯნურს წაეჩხუბება იმიტომ, რომ მან შეუყვავილეს რამდენიმე ყვავილის გამო ვაჟობა დაუწყო. დათომ თავისი კლასელი მოიყვანა, რომელსაც თურმე სხვა ჰყვარებია. კარგი ოჯახი შექმნა, მაგრამ ქალს ძველმა სიყვარულმა თავი გაახსენა და იმის შიშით, რომ ოჯახი არ დაენგრია, ქმარს სთხოვა ოთახში ჩაეკეტა. ქმარმაც სურვილი აუსრულა. მაგრამ მამაკაცი იმას განიცდის, რომ მან ორჯერ გადაურაზა კარი თავის საყვარელ არსებას და ორჯერვე თავის სასარგებლოდ. ჰქონდა კი ამის უფლება მას, რომ ჯერ აემღვრია და მერე დაეშრო სიცოცხლის წყარო ყველაზე ძვირფასი ადამიანისათვის?! აი, რა აწუხებს დათოს. მოთხრობის სხვა პერსონაჟი — მარეხიც, თავისი ოჯახის ისტორიას მოგვითხრობს: ის ოცდაოთხი წელიწადი ცხოვრობდა თავის მეუღლესთან სიამტკბილობაში, მათ ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი, სულ მცირე მიზეზი ანიჭებდათ დიდ სიხარულს, სამი შვილი ჰყავდათ, მაგრამ ბოლო დროს მარეხმა იგრძნო, რომ ის ძველებურად აღარ უყვარდათ, უფრო სწორად, კაცმა ქალი გააჩინა და ისიც გაეცალა იქაურობას. ნესტანიც თავისი უდროოდ გამქრალი სიყვარულის ისტორიას მოგვითხრობს: თურმე მისი მიჯნური დიდთოვლობის გამო ქუთაისში გამოკეტილა მანქანით. ათი დღის შემდეგ წერილი გამოატანა მეგობარს, წუხდა, რომ ვერ ნახულობდა მას. მაშინ ქალი თავად ჩავიდა მატარებლით და საღამოს ჟამს, მატარებლის გასვლის წინ და-

ურეკა თავის მონატრებულ მიჯნურს, უბრალოდ ნახა და მერე წამოვიდა. ეს იყო და ეს. ამით დასრულდა მათი ურთიერთობა. თიკას მონათხრობიც სამიჯნურო თავგადასავალია. ის დამსწრეთ უყვება, თუ როგორ გააგდო მან უზომოდ შეყვარებული მამაკაცი იმის გამო, რომ თხოვნა არ აუსრულა და ახალთახალ ამერიკულ კოსტუმზე ლიქიორი არ გადაისხა. მერე ერთ „ბირჟავიკს" გაჰყვა ცოლად. მაგრამ მალე გაშორდა. შემდგომ თავდავიწყებით შეუყვარდა თავისი მეგობრის ნათესავი. დაბოლოს ეს სიყვარულიც ტრაგიკულად დამთავრდა: — ქალ-ვაჟი მშობლების გამო დაშორდნენ ერთმანეთს. შემდგომ ვაჟი ტრაგიკულად დაიღუპა. მშობიარობის დროს დაიღუპა მისი შთამომავალიც...

ასე ერთიმეორის მიყოლებით უყვებიან ამ მოთხრობის პერსონაჟები თავიანთ სამიჯნურო თავგადასავალს. მაგრამ მკითხველს თავს აღარ შევაწყენთ ამ მოთხრობათა შინაარსის გადმოცემით, რადგანაც, ვფიქრობ, ანალიზისა და მკითხველისთვისაც საინტერესოა არა იმდენად გადმოცემულ ამბავთა შინაარსი (სემანტიკურ პლანში ისინი ერთმანეთს ენათესავებიან), რამდენადაც მათი ფუნქციური არეს ახსნა.

ამ თვალსაზრისით, თუ არ ვცდები, ეს მოთხრობილი ამბები ერთდროულად რამდენიმე ფუნქციას ასრულებენ: ჯერ ერთი, მათ უნდა წამოსწიონ სათავგადასავლო ელემენტი ტექსტში და ამით გაზარდონ მკითხველის ინტერესი სიუჟეტისადმი; მეორე, მათ უნდა შექმნან მოთხრობის ფსიქოლოგიური შრე, რაც ამდიდრებს და amravalferovnebs, ერთი მხრივ, მოთხრობის პერსონაჟთა სულიერ სამყაროს და, მეორე მხრივ, ამ სამყაროსადმი მკითხველის ყურადღებას; მესამე მათივე წყალობით უნდა გამოიკვეთოს პერსონაჟების ინდივიდუალური ურთიერთისგან განსხვავებული ხასიათები, რაც აგრეთვე მხატვრული სტრუქტურისათვის არ გახლავთ მეორეხარისხოვანი, მეოთხეც, მათში ჩვენი ცხოვრების ისეთი მხარეები უნდა იყოს წამოწეული, რომელთა გააზრებაც მკითხველს, ნებსით თუ უნებლიეთ, გარკვეული მორალური ალტერნატივის წინაშე დააყენებს. და, ბოლოს, როგორც ვთქვით, ამ მოთხრობების უმთავრესი დანიშნულება ის არის, რომ თითქოს უმნიშვნელო ამბებით ცხოვრების დიდ სიბრძნეში ჩაახედოს მკითხველი ანუ „წვრილმანებით" აზიაროს ჭეშმარიტებას.

როგორც ირკვევა, ამ პასაჟების ფუნქციური არე ერთობ ფართოა, მაგრამ რამდენად არის ყოველივე ეს რეალიზებული ანუ რამდენად ასრულებენ ისინი თავის ფუნქციას?! ანალიზის კონკრეტულ შემთხვევაში საინტერესო და მთავარია შედეგი და არა ჩანაფიქრი, რაც არ უნდა კეთილ მიზანს გულისხმობდეს იგი!

არ ვიცი, შეიძლება საკამათო იყოს, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს მოთხრობა ვერ არის ისეთ სასურველ დონეზე ხორცშესხმული და განსხეულებული, მწერლის ჩანაფიქრი [illegible]ნს რომ ესიტყვებოდეს და აკმაყოფილებდეს, თუმცა მოთხრობის ზოგიერთი ეპიზოდი ინტერესით იკითხება, აქა-იქ დეტექტივის ელემენტის შემოტანასაც ლამობს მწერალი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ თხრობა მთლიანობაში დუნედ მიედინება, აკლია დინამიურობა და ის „მოულოდნელობის" ეფექტი, რაც ჩვეულებრივ იწვევს მკითხველის ინტერესს და ყიდს სიუჟეტისადმი. ამიტომაც მკითხველი მოთხრობილ ამბავთა მსვლელობას ერთგვარი „გულგრილობით" ადევნებს თვალს. ხშირად მოვლენები და ადამიანთა ქცევები ისეა გადმოცემული, რომ მათ აკლიათ ფსიქოლოგიური სიზუსტე და დამაჯერებლობა, არცთუ იშვიათად პერსონაჟთა ქცევა ამ თვალსაზრისით არ არის მოტივირებული, ამიტომაც მათი ეს „უჩვეულობა" არაფერს ეუბნება მკითხველს მოთხრობილი პასაჟებით. მართალია, ჩვენ გარკვეული წარმოდგენა გვექმნება ამა თუ იმ პერსონაჟის ცალკეულ თვისებებზე, მაგრამ ვერცერთი ეს პერსონაჟი, როგორც საინტერესო ხასიათი და განუმეორებელი პიროვნული დონე, ვერ იზიდავს მკითხველს და ვერ განაწყობს მას თავისადმი სიმპათიისა თუ ანტიპათიის გრძნობით. ადამიანთა ურთიერთობა თუ საზოგადოებრივი ცხოვრება ვერც ზნეობრივი თვალსაზრისით არის ისეთი კუთხით დანახული და მხატვრულად განსხეულებული, რომ მკითხველი დააფიქროს, საკუთარ სულში წამიერად ჩაახედოს და სათანადო დასკვნები თუ არა, შესაბამისი განწყობა და ფიქრები აღუძრას. დასასრულ, რაც მთავარია, ამ მოთხრობაში გადმოცემული „წვრილმანი" ამბები კერძო, შემთხვევითი ხასიათისაა, მოკლებულია „ტიპიურობის" იმ ნიშანს, რომელიც ზოგადის დონეზე აამაღლებდა ამა თუ იმ კერძო შემთხვევას. ერთი სიტყვით, მწერალი ვერ ახერხებს ეს „წვრილმანები" მხატვრულად ისე განასხეულოს, რომ მასში განზოგადოებული ღირებულება ცხადად თუ მალულად გაანივთოს. ამიტომაც ცხოვრების ეს ცალკეული ეპიზოდები ჩვენ სიცოცხლის დიდი საიდუმლოების არსებით მხარეებზე წარმოდგენას ვერ გვიქმნის. ხოლო ზემოთ უკვე მოხმობილი თეზისი („ჭეშმარიტება ხშირად წვრილმანებიდან უფრო ჩანს") შიშველ განცხადებად, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, მწერლის სურვილად რჩება და მოთხრობის მხატვრულ სტრუქტურაში ვერ იჩენს თავს, რაც, ჩემი ფიქრით, საანალიზო ნაწარმოების უმთავრეს ნაკლად უნდა მივიჩნიოთ.

მოთხრობის ამ მთავარ ხარვეზს ვერ ავსებს მრავლად გაბნეული მსჯელობანი, რომლებიც თავისთავად მნიშვნელოვან პრობლემებს წამოწევენ წინ: ცოდვა და სინდისიერება, ერისკა-

ცები და ფულის კაცები, ფიქრის რაობა, სამშობლოს სიყვარული, ბედისწერა, მორალი და იურისპრუდენცია, თანადგომა და მიტევება, ხელოვნება და ლიტერატურა და სხვა... ზემოთაც ითქვა, რომ ყველა ეს პრობლემა უაღრესად მნიშვნელოვანია და მათ გაშუქებას ფილოსოფიური აზრი ოდითგანვე დიდ ყურადღებას აქცევდა. მაგრამ ისიც უდავო ჭეშმარიტებაა, რომ მთავარია არა პრობლემის სიძველე და თავისთავადი მნიშვნელობა, არამედ ამ პრობლემის დროულად წამოჭრა და მისი ანალიზის სიღრმე. ამ თვალთახედვით, თუ გულწრფელი ვიქნები, ეს მსჯელობანი ვერ უწევენ მწერალს კეთილ სამსახურს. ჯერ ერთი, ისინი უმეტეს წილად მოთხრობის მხატვრულ ქსოვილში ხელოვნურად ამოზრდილებს გვანან და, მეორეც, რაც მთავარია, აქ წამოჭრილი მსჯელობის „როგორობა" ვერ აკმაყოფილებს არათუ თანამედროვე, დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნილებას (ვგულისხმობ იმას, რომ თითოეულ ამ პრობლემის გარშემო უმდიდრესი ლიტერატურა არსებობს), არამედ გარდასულ საუკუნეთა, საშუალოზე რომ არაფერი ვთქვათ, ელემენტარულ დონეს. სანიმუშოდ თუნდაც ერთ მაგალითს მოვიყვან, ერთ-ერთი პერსონაჟი ასე აფასებს ცხოვრებას: „ცხოვრება ისეთია, სულ ფელამუში მტერმა ჭამოს, ნიორიც სასარგებლოა ადამიანისთვის. ზოგჯერ მოყრუებაც და თვალის დახუჭვაც აუცილებელია". ახლა უნდა ვაღიარო, რომ მოხმობილ კონტექსტში სწორედ ლოგიკური ძაფია გაწყვეტილი: ცხოვრებაში რომ ზოგჯერ „თვალის დახუჭვა". და მოყრუებაა საჭირო, ეს ლოგიკურად არ უკავშირდება ცხოვრებაში „ფელამუშის" და ნიორის ჭამას. გარდა ამისა, ამ მცირე კონტექსტის აზრი კონკრეტულ შემთხვევაში ვერც უფრო ვრცელი ტექსტით აიხსნება და, დაბოლოს, კაცმა შეიძლება იკითხოს, რა არის ეს ცხოვრების იუმორისტულ ფერებში ახსნა, თუ სერიოზული გააზრება ჩვენი ცხოვრების ერთი არსებითი მხარისა. პირადად მე თუ მკითხავთ, არც ერთი და არც მეორე!

მანანა ამირეჯიბის ვრცელი მოთხრობის მცირე ანალიზი შეიძლება ამით დამემთავრებინა, მაგრამ ერთ პასაჟზე მინდა კიდევ შევაჩერო მკითხველის ყურადღება. ეს არის დეტექტივის მხატვრული პრინციპებით აგებული ეპიზოდი. კერძოდ, იმ სახლში, რომელშიც მარტოობას თუ „უაზრობას" გამოქცეული ოთხი მამაკაცი და ოთხი ქალი შეკედლებია, უეცრივ გამოჩნდება ახალგაზრდა ყმაწვილი — თორნიკე და შემდგომ მოულოდნელად ირკვევა, რომ თორნიკეს დედა, რომელიც ადრევე გაეყარა მეუღლეს, თავდავიწყებით უყვარდა ბაადურს. მაგრამ ქალი შემთხვევით გადაიჩეხა და მისი სიკვდილი მშობლებმა ბაადურს გადააბრალეს. ამ უკანასკნელმა თავი ვერ იმართლა, არც კი ჰქონდა ამის სურვილი და ისიც გადაასახლეს. გადასახლებაში ბაადურმა პატ[illegible]შეირთო და მისგან შეეძინა კრავა[illegible]ბთან ერთად, ამ უჩვეულო სახლს შეჰკედლებია. მაგრამ ბაადური და კრავაია რომ მამაშვილია, ამას მკითხველი რატომღაც მოგვიანებით იგებს. და, აი, როცა ბაადური დაამთავრებს მოყოლას, თუ როგორ ჩააკვდა მას ხელში თორნიკეს დედა, ვაჟი უეცრად იარაღს ამოიღებს და ბაადურის ქალიშვილს მიუშვერს, თან მოკვლით დაემუქრება: შემდეგ იარაღს ბაადურს დაუმიზნებს. იარაღი დაიქუხებს, კრავაია შეჰკივლებს, ბაადური უვნებლად გადარჩება. ყმაწვილს განაიარაღებენ, ის შუაღამისას ტოვებს სახლს. რაც შეეხება კრავაიას, მას დიდ სიცხეს აძლევს და იგი ბოდვას იწყებს.

ყველაფერი, რაც აქამდე მოკლედ გაუწყეთ, ერთობ ხელოვნურ შთაბეჭდილებას ტოვებს და მხატვრული დამაჯერებლობის ძალას სავსებით მოკლებულია. მაგრამ უფრო გასაკვირია, რაც მერე ხდება: კრავაიას ღრმად ჩაეძინება, ის ხედავს საშინელ სიზმარს ყოველ შემთხვევაში, მკითხველი ასე ფიქრობს, რომ კრავაიას სიზმარს გადმოგვცემს მწერალი: გოგონა შუაღამეს ულრან ტყეში უზარმაზარ თოვლში გზას მიიკვლევს ხევგაღმა მდგარ პატარა ეკლესიისკენ, მას ათასი საშინელება ელანდება. ღონე ელევა. მაგრამ მოულოდნელად „დაუჭირა თმა ვიღაცამ და ზევით აქაჩა — მოგვითხრობს მწერალი — ფეხზე დააყენა და ეკლესიის მიმართულებით უბიძგა. უცაბედად რაღაცამ მიწას მოსწყვიტა... რამდენიმე ხანს მიწიდან ოდნავ აცილებული მიჰქროდა და მიკიოდა, ოღონდ კივილი თვითონ არ ესმოდა, თმაზე ისევ ექაჩებოდა ვიღაცა... ცოტა ხანში ისევ იგრძნო ფეხქვეშ მიწა"... ერთი სიტყვით, ასეთი საშინელი მოლანდებებით გამშვენიერებული ეს საშიერო „მოგზაურობა" მთავრდება იმით, რომ ეკლესიიდან თორნიკე გამოეგებება მას და გულწასულ გოგონას ხელში აიყვანს. კრავაიას საძებნელად გამოვარდნილი ადამიანების შესახვედრად დაიძრება.

ამ ეპიზოდის სასწაულების გადმოცემით მკითხველს აღარ გადავლლი, მთავარი აქ სულ სხვა რამ არის. ის რაც, მკითხველს ავადმყოფის ბოდვა და მოჩვენება ეგონა, სინამდვილე აღმოჩნდება. პირადად მე, ამასაც არად ჩავთვლიდი, რომ გამეგო და ამეხსნა, რისთვის მოგვითხრო მწერალმა ავადმყოფის ეს ფანტასმაგორია, ეს რაღაც მაგიური თუ მისტიკური ძალით წარმართული მიწას მოწყვეტილი მოგზაურობა?!

ახლა იმასაც თუ გავიაზრებთ, რომ მოთხრობის მხატვრული კონსტრუქციისათვის და განვითარების ლოგიკისათვის ეს ეპიზოდი აუ-

ცილებელი არ იყო, აუცილებელი კი არა, პირიქით, ის ერთგვარად ამოვარდნილიც არის ნაწარმოების მთლიანი სტრუქტურიდან და ყურით მოთრეულს ჰგავს, მაშინ ძნელად ასახსნელია, თუ რა მიზნები ამოძრავებდა მწერალს, როცა მას თხზავდა. შეიძლება ვცდები, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ახალგაზრდა მწერალს სურდა „მისტიკური სიღრმეები" შემოეტანა მოთხრობაში. ამ ჩემს აზრს ამაგრებს ისიც, რომ ახალგაზრდა მწერლებში იგრძნობა დიდი ლტოლვა და მიდრეკილება მისტიკისადმი, უფრო მართებულად, გონებისათვის მიუწვდომელი მოვლენებისა და ქმედების აღწერისადმი. ეს მიდრეკილება თავისთავად როდია საძრახისი. მაგრამ სავალალოა ის, რომ ახალგაზრდა მწერალთა უმეტესობას ზერელე წარმოდგენა აქვს მისტიკურ მოძღვრებებზე, ისინი ვერ ერკვევიან მის არსში, ყოველგვარი რაციონალური „ულოგიკობა" მისტიკად მიაჩნიათ და წარმოდგენაც არ აქვთ მისტიციზმის „ალოგიკური" ლოგიკის დიდ საიდუმლოებაზე. ამიტომაც არის, რომ „მისტიკურად" მონათლულ ამგვარ ეპიზოდებს, სხვა რომ არაფერი ვთქვა, აკლია ის დამაჯერებლობა და მხატვრული ზემოქმედების ძალა, რომელიც უნდა ახასიათებდეს მხატვრულ დეტალს. ერთი სიტყვით, როგორც უკვე ითქვა, დღეს „მისტიკით" შეპყრობილია ახალგაზრდა შემოქმედთა მეტი ნაწილი. მაგრამ საფიქრებელია, რომ ახაკისა და სიმწიფის დადგომასთან ერთად ეს სენი თავისთავად გაქრება.

□დასასრული შემდეგ ნომერში□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლალი ავალიანი

# გალაკტიონი და ოლია ოკუჯავა

## ლეგენდასთან მიახლოება

აღიარებული თვალსაზრისით, ოლია ოკუჯავა იყო გალაკტიონის პირველი და უკანასკნელი „უკიდეგანო სიყვარული".

რიტორიკული შეკითხვის დარად — „ვინ არის ეს ქალი ასეთი ცისფერი" — პოეტის პირველი მეუღლის კონკრეტული ხატება თითქოსდა ეფემერული გახლდათ.

ოლია ოკუჯავას სახელი მრავალი წლის მანძილზე ჩრდილში იყო, მისი სახება კი — ბურუსით მოცული.

XX საუკუნის უპირველეს ქართველ პოეტს ბედმა მძიმე ხვედრი არგუნა: იგი ორგზის დააშორეს სასურველ მეუღლეს, 1929 წელს — დროებით, 1937 წელს — სამუდამოდ...

ლეგენდა გალაკტიონზე მის სიცოცხლეშივე დაიბადა. ამას, უწინარეს ყოვლისა, პოეტის სიდიადე, მისი გენიალურობა განაპირობებდა. ეს ლეგენდა დღესაც არსებობს და ალბათ მარად იარსებებს.

ლეგენდის ათინათში გალაკტიონის ბედკრული მეუღლეც ინაკვთება.

საბედნიეროდ, ბევრი რამ, რაც ბუნდოვნად მინიშნებული, ანდა სულაც მიჩქმალული იყო, ახლა გამოდის სამზეოზე.

გამომცემლობა „მეცნიერებამ" ქართველ მკითხველს ძვირფასი წიგნი შესძინა — „ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან" (შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, თარგმნეს, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთეს ლეილა სანაძემ და ლამარა მეგრელიშვილმა. რედაქტორი ფილოლოგ მეცნ. დოქტორი გ. შარაძე, თბილისი, 1987 წელი).

ამ წიგნზე „ლიტერატურულ საქართველოში" უკვე დაისტამბა ივანე ამირხანაშვილის სახელდახელო მცირე რეცენზია (1987 წლის 15 მაისს). გასაგებია ავტორის სიხარული ასეთი ნანატრი წიგნის გამო; მაგრამ სასაყვედურო ის არის, რომ რეცენზენტი არ მოიხსენიებს მათ, ვინც თავი შეიწუხა, ეს მშვენიერი წიგნი შეადგინა, წინასიტყვა და შენიშვნები დაურთო.

ქართველი მკითხველი რომ განებივრებული არ არის ამგვარი გამოცემებით, ეს ყველასათვის ცხადია. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოიკვეთება ეს XX საუკუნის მწერლობის მაგალითზე. არადა, ვინ იცის, რამდენი რამ უკვე უკვალოდ გაქრობის, მივიწყების საშიშროების წინაშე დგას! და რომ ეს ლიტონი ფრაზა არ გახლავთ, ამას ზემოხსენებული წიგნის კომენტარებში არსებული ე. წ. თეთრი ლაქების სიმრავლეც გვაფიქრებინებს.

ლ. სანაძისა და ლ. მეგრელიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ თავი გაართვეს უმთავრეს ამოცანას — შეადგინეს ერთობ მიმზიდველი წიგნი, კარგად გააზრებული კომპოზიციით. წიგნის ტირაჟი (15 000), რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებს იმ უზარმაზარ ქართულ აუდიტორიას, „გალაკტიონის ცხოვრების ლეგენდა" (რევაზ თვარაძე) რომ აინტერესებს.

ქართველ მკითხველს დაუბრკოლებრივ შეუძლია გაეცნოს რომელიმე უცხოელი ან რუსი მწერლის ყოფისა და შემოქმედებითი პროცესის უკიდურეს წვრილმანებს. ამასთან, მას ნაკლებად მიუწვდება ხელი ბევრი დიდი ქართველი მწერლის პიროვნული ბიოგრაფიისადმი. ეს პარადოქსი მეტყველებს ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის ხარვეზებზე, რომელთაგან არც წინამდებარე წიგნია დაზღვეული.

„მიმოწერას" მრავალი მკითხველი ჰყავს, სხვადასხვა თაობის, სხვადასხვა დონის,ნაირგვარი ინტერესებისა და განსწავლულობისა. მათ ერთი რამ აერთიანებთ — გალაკტიონის პოეზიის სიყვარული, მოწიწება მისი სახელი-

სადმი, მძაფრი ინტერესი პოეტის მეუღლისადმი.

სადღეისო სულისკვეთებას ეხმიანება რევაზ თვარაძის, ნოდარ ტაბიძის წიგნები გალაკტიონის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე (რ. თვარაძე, „გალაკტიონი“, 1972; ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი“, 1982). დღევანდელობის მონაპოვარია წინამდებარე წიგნის გამოცემაც.

დასაწყისშივე უნდა ითქვას, „მიმოწერის“ საერთო სულისკვეთება ძირითადად ერთობ სევდიანია: გალაკტიონის მეუღლის წერილების (სულ 51 წერილია) ორ მესამედზე მეტი შორეული გადასახლებიდან არის გამოგზავნილი.

მოვუსმინოთ წინასიტყვაობის ავტორებს: გალაკტიონმა „...კარგად იცოდა ოლიას თავგანწირული სიყვარულის ფასი, რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად მხოლოდ წერილების მეშვეობით აღწევდა თავის ობიექტამდე. ამიტომაც იყო, ალბათ, რომ პოეტმა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მოწიწებით შემოინახა არა მარტო ოლიას წერილები და ქაღალდის ნაჭერზე სახელდახელოდ მიწერილი სტრიქონები, არამედ მისი ყმაწვილქალობის დროინდელი დღიურებიც კი, რამაც ჩვენ დღეს საშუალება მოგვცა მკითხველისათვის შეგვეთავაზებინა წინამდებარე წიგნი“ (გვ. 11).

ნებისმიერ მკითხველს სულით ხორცამდე, თხემით ტერფამდე შეძრავს ოლია ოკუჯავას და, შესაბამისად, მისი მოყვარული მეუღლის, უპირველესი სულიერი მეგობრის — გენიოსი პოეტის უმძიმესი ბედი.

ცნობილია გალაკტიონის ჩანაწერი — თვითშეგონება „ჩემი კანონების“ სახელწოდებით, რომლის ერთი მუხლი ლაღადებს: „ნურსად ნუ იქნები მეტისმეტად გულახდილი, რადგან მეტი გულახდილობა სიტიტვლეს გავს, სირცხვილია“ (ციტირებულია ნ. ტაბიძის დასახელებული წიგნიდან, გვ. 188). უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მეტად თავისებური და უცნაური ხასიათის მქონე, უკიდურესად გულჩახვეული „პოეტი-ბავშვი“ მხოლოდ უახლოეს სისხლით ნათესავებთან და, უწინარეს ყოვლისა, უფროს ძმასთან და ძმისწულებთან თუ იქნებოდა გულახდილი. ზემოთქმულის გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნოდარ ტაბიძის ერთ საინტერესო დაკვირვებას: „იმ წლებში, როცა მე უშუალოდ გალაკტიონთან ვიზრდებოდი, ბევრი რამ მსმენია ბიძაჩემისაგან ქუთაისისა და სოხუმის, პეტერბურგისა და პარიზის შესახებ. ჰყვებოდა სერიოზულად, არცთუ იშვიათად, თვალებში ჩამდგარი უდაბნოს სევდით; ჰყვებოდა თანაც იუმორითა და მისთვის ჩვეული ჩაქირქილებით; ჰყვებოდა ზოგჯერ ნაკლებ ნაღდი ჰეროიკული პათოსითაც. იგონებდა ლიტერატურულ ბატალიებს, პიკანტურ ამბებს, ამხანაგებსა და ნათესავებს. მაგრამ არ მახსოვს, რომ სიტყვა დასცდენოდეს ოლია ოკუჯავასთან ურთიერთობაზე, თავის უკიდეგანო სიყვარულზე. ეს ალბათ უმთავრესად იმით აიხსნება, რომ გალაკტიონს ჰქონდა მეორე სამყარო მისთვის ძვირფასი პიროვნებებით და პიროვნებათა მისეული მოდელებით დასახლებული. ამ სამყაროს კარი ყველასათვის დახშული იყო. გალაკტიონმა ოლიას სიყვარულიც ამ მეორე, სანუკვარი სამყაროს ზღუდეებში მოაქცია; მის ცისფერ სასახლეში მხოლოდ ორნი იყვნენ და მესამის თუნდაც შემთხვევითი შესვლა პირველი თოვლის სისპეტაკესა და უბიწოებას დაუკარგავდა მათ გრძნობას. ამიტომაც დუმდა გალაკტიონი. ამიტომაც უფრთხოდა ამ ამაღლებულ სიყვარულზე საუბარს“ (დასახელებული წიგნი, გვ. 207-208).

ვგონებ, აქ კიდევ ერთი გარემოებაც არის გასათვალისწინებელი: სწორედ იმ ხანებში, როცა ძმისწული გალაკტიონთან იზრდებოდა, მრავალტანჯული ოლია ოკუჯავა უკვე გადასახლებაში გარდაცვლილიყო.

გალაკტიონისათვის ოლია ოკუჯავა მუდამ იყო მოუშუშებელი იარა, ლია ჭრილობა, რასაც, საფიქრებელია, ქვეცნობიერად თან ერთვოდა „დანაშაულის“ გრძნობა (თვითონ ხომ გადარჩა!). გალაკტიონის ფსიქიკური წყობის ადამიანს, ცხადია, სულს უწამლავდა ცოლის თავზე დატრიალებული უბედურება, თავისი უუნარობა და უმწეობა — რითიმე შეემსუბუქებინა მეუღლის ხვედრი.

მოვუსმინოთ რევაზ თვარაძეს: „ბედის დაცინვა თუ იყო, რომ ამ ავადმყოფ კაცს, ძლიერ, ძლიერ ავადმყოფს, 1937 წელს ახალი უბედურება დაატყდა თავს: მისი მეუღლე რეპრესიებს ემსხვერპლა. ამ ამბავმა ერთიანად შეძრა მისი არსება. ...ერთობ ცოტა ვინმემ თუ იცის, რა კოშმარული თვეები მოჰყვა ამ ამბავს მის ცხოვრებაში. უამისოდაც სასმელს შეჩვეული რამდენსამე თვეს გონს აღარ მოსულა. ...აპრილამდე (1938 წლისა — ლ. ა.) არ გამოფხიზლებულა. როცა ამ საზარელი სიზმრიდან გამოერკვა, შეძრწუნებულმა წარმოუდგენელი ძალისხმევა იხმარა, სცადა მოეწესრიგებინა პირადი ცხოვრება, უდიასახლისოდ გამოყრუებული ბინის დალაგებას შეუდგა. მაგრამ დიდი ხნით გამობრუნება არ ეწერა იმხანად“ („წერილები. ლეგენდა გალაკტიონის ცხოვრებისა“, 1979 წ. გვ. 267).

1940 წელი. გალაკტიონი წერს გადასახლებაში მყოფ მეუღლეს: „მე ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო ძლიერ სუსტად ვიყავი. თავს სრულიად უიმედოდ და გამოუვალ მდგომარეობაში ვგრძნობდი (ო, შენ გაიგებ, რატომ არ გპასუხობდი შენს წერილებზე), აღარ ვიცოდი რა უნდა მექნა. ყოველივე ამან სრულიად გამომაცალა ძალა. ...სულ მთლად უღონოდ ვიყავი ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო, მაგრამ

ყველაფერმა ამან გაიარა, განადგურებული ვიყავი დარდისაგან, ამანაც გაიარა. დამაბეჩავებელმა უიმედობამ, გაურკვევლობამ — რას იზამ? ყველაფერმა, ყველაფერმა გაიარა.

...ოი, როგორ მინდა შეგიმსუბუქო შენი აბლანდელი მდგომარეობა" („ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან", გვ. 209-210).

სამი წლის შემდეგ ოლია ოკუჯავა გადასახლებაში გარდაიცვალა.

ჩანს, გალაკტიონი ყოველნაირად გაურბოდა მტანჯველ მოგონებებს. ალბათ ამიტომაც, ყველაზე ახლობელთა წრეშიც კი ოლიას სახელზე პოეტს ტაბუ ჰქონდა დადებული.

უკვე შევნიშნე, ოლია ოკუჯავასა და გალაკტიონის მიმოწერას სხვადასხვა თაობის მრავალი მკითხველი ჰყავს-მეთქი. მათ შორის ბევრია სრულიად ახალგაზრდა. სწორედ ამიტომ ხაზგასმით უნდა თქმულიყო, რომ რევოლუციური ტრადიციების ოჯახში აღზრდილი, თავად რევოლუციური რწმენით აღსავსე, სოციალურად უაღრესად აქტიური ადამიანი ოლია ოკუჯავა ორგზის იყო უდანაშაულოდ რეპრესირებული და გადასახლებული. სამცარია, რა გაუგებარი „სიფრთხილით" არის მოწოდებული ეს ფაქტი წინასიტყვაობაში.

„...სამწუხაროდ, ცხოვრება ისე აეწყო, რომ მათ (გალაკტიონსა და მის მეუღლეს — ლ. ა.) ხშირად ერთად ყოფნის საშუალება არ ჰქონდათ" (გვ. 9).

„...განუზომელი იყო ის სევდა და მწუხარება, რასაც მათი განშორება იწვევდა. თითოეული მათგანის საფიქრალი ერთიმეორეზე ზრუნვა იყო, ხოლო ოცნება კი — კვლავ შეხვედრა. მაგრამ ამ ოცნებას ახდენა არ ეწერა" (იქვე).

წინასიტყვაობაში ვხვდებით ოლიას — „პოეტისაგან ასეული და ათასეული კილომეტრებით დაშორებულს" (გვ. 9), „შორეულ რუსეთში უსასოო მდგომარეობაში მყოფს", „გარე სამყაროსაგან იზოლირებულს" (გვ. 10)...

ეს არის და ეს!

რა საჭირო იყო ასეთი „კონსპირაცია?" რატომ უნდა იმტვრიოს თავი საქმეში ჩაუხედავმა მკითხველმა ოლია ოკუჯავას ბედზე. რატომ უნდა გაუჩნდეს რაღაც ეჭვები? რა საჭიროა სიმართლის მიჩქმალვა ან „შელამაზება"? ჩანს, ე. წ. „შინაგანმა ცენზორმა" იმძლავრა, თორემ გალაკტიონის აკადემიური გამოცემის მე-12 ტომში, რომელიც 1975 წელს გამოქვეყნდა, ხომ სრულიად დაუფარავად ეწერა — «...Она была арестована, обвиняли ее в троцкизме.

Никогда она не была троцкисткой. Ленин был знаменем всей ее жизни» — ეს სიტყვები გალაკტიონს ეკუთვნის. დაწერილია მისი ხელით, სახელმწიფო ბლანკზე, დათარიღებულია 1957 წლის 10 დეკემბრით. პირველად გამოქვეყნდა გალაკტიონის [illegible] მე-12 ტომში (გვ. 229). იქვე, იმავე [illegible] კომენტარებში, რომლებიც იოსებ ლორთქიფანიძეს ეკუთვნის, გადმოცემულია ოლია ოკუჯავას (1892-1948) ბიოგრაფია, სხვათა შორის ისიც, რომ „1929 წლის დეკემბერში გადასახლებული იყო უზბეკეთში, საიდანაც თბილისში 1932 წლის ოქტომბერში დაბრუნდა.

1937 წელს იგი დააპატიმრეს, გარდაიცვალა გადასახლებაში (ქ. ვლადიმირის საპატიმროში) 1948 წლის პირველ ნახევარში, რაც დასტურდება პოეტის არქივში დაცული ერთი საფოსტო ბარათით" (გვ. 688).

დასანანი უყურადღებობის გამოვლენად უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ არც წინასიტყვაობაში, არც შენიშვნებში, არც საძიებელში არ არის მითითებული ოლია ოკუჯავას დაბადებისა და გარდაცვალების წლები! თუმცა ნიკოლო მაკიაველის, ერნსტ მეიმანის, ნოვიკოვ-პრიბოისა და სხვა, ამ წიგნისათვის ნაკლებად მნიშვნელოვან პირთა დაბადება-გარდაცვალება საძიებელში წესისამებრ მითითებულია.

ოლია ოკუჯავა თავისი დღიურებითა და წერილებით წარმოგვიდგება როგორც საინტერესო, გამორჩეული, უცნაური პიროვნება (გავიხსენოთ ტიციან ტაბიძის თქმული — «странная» არისო); პოეზიის მოტრფიალე, რუსი მწერლობის ჩინებული მცოდნე; ამაღლებული, ზოგ შემთხვევაში — ეგზალტაციისაკენ მიდრეკილი ახალგაზრდა ქალი. გალაკტიონის დარად, ისიც მარტოსულია: „მე სულ მარტო ვარ, მაგრამ მე ვპოვებ დავიწყებას ხელოვნებაში...", „ვის გავენდო? ვერავის! ვერავის! ხალხი უხეშია, უხეში სულით"..., „მე მეგობრები არ მყავს, ვინც ახლა გარს მახვევია, ისინი ჩემი მეგობრები არ არიან"..., „რა კარგია, რომ მარტო ვარ, ...როგორ მიყვარს მარტოობა"..., „ბავშვობიდანვე ჩემი მეგობრები სიჩუმე და მარტოობა იყო, მრავალთა შორის მე მუდამ ძენტად ვიყავი, ყველგან ობლობას ვგრძნობდი"... და ა. შ.

გალაკტიონის დარად, მასაც უჭირს ადამიანებთან ყოველდღიური ურთიერთობა, ამასთან, თავდადებულია ძვირფას ადამიანთა მიმართ, ნათესავების უაღრესად მოყვარულია; მეუღლესა და უმცროს ძმაზე ნიადაგ დედობრივად მზრუნველია.

შეუპოვარ რევოლუციონერთა ოჯახში აღზრდილი ოლია ახალგაზრდობიდანვე თავისუფლებაზე ოცნებობს და მეგობრებად თავისუფლებისათვის მებრძოლთ მიიჩნევს — „მე მყავს მეგობრები, თავისუფლებისათვის მებრძოლები"... მისი ახალგაზრდული მაქსიმალიზმი და შეურიგებლობა ჩანს დღიურის ჩანაწერში, სხვიტორში აკაკის სამოქალაქო პანაშვიდს რომ ეხება. ეპოქის ძალზე საინტერესოდ ამ-

სახველი, მრავლისმთქმელი დოკუმენტია! დღეს ზოგი რამ იქნებ გაზვიადებულად და დასაგმობადაც მოგვეჩვენოს, დიდად გვეუცხოვოს კიდეც, თუმცა მაშინდელი რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობის საერთო სულისკვეთების უტყუარი გამოხატულებაა:

„პოეტის სახლის ახლოს დავინახე შეწუხებული სახით მიმავალი თავადები — ბატონები და ქალბატონები. მათ სახეზე ეწერა: „ის ჩვენია“. მართალი გითხრათ, მე შემძაგდა ისინი. ღმერთო შეგცოდე და ასე მგონია,ეს ხალხი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება გაატარა თვითკმაყოფილებაში, ქამა-სმასა და მხიარულებაში, რომლებიც მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრობენ, რომელთაც არ გააჩნიათ ამაღლებული სული, ახლა თავს გვაჩვენებენ ისე, თითქოს დარდისაგან განადგურებულნი არიან და, საერთოდ, თავს პოეტის პატრონებად თვლიან. ოი, რა საშინელებაა, როდესაც შავი ყორნები ბატონობენ, როცა ისინი თავს ეხვევიან სინათლეს. ნუთუ პოეტი ეგუებოდა ამ მუქთახორებს? არა და არა! მე ეს მჯერა! სურვილი მებადება, რომ არ მივუშვა ისინი პოეტის ცხედართან.

...ყველა ეამბორა ჯვარს, რომელიც პოეტს გულზე ესვენა. მე არ მიკოცნია, არ მსურს. იქნებ ეს ჯვარი ეკუთვნოდა რომელიმე გახრწნილ მღვდელს, რომელიც მალავდა თავის ზრახვებს და ყვლეფდა და ატყუებდა ხალხს. არა, არ ვაკოცებ ჯვარს. მე მინდა ვაკოცო ამ ნათელ შუბლს, მაგრამ უხერხულია. ჩემს წარმოსახვაში ვკოცნი მას...“ (გვ. 46-47).

ოლია ოკუჯავას დღიურებისა და გალაკტიონთან მიმოწერის უნაზეს ფრაგმენტებშიც კი, აქა-იქ, ვხვდებით ლოზუნგებსა და ამგვარ შეძახილებს:

„გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას!“, „იცოცხლეთ, რევოლუცია იცოცხლებს“, „სირცხვილი და ლაფი თქვენ, საცოდავო მემარჯვენე ესერებო!“. „შორს კაპიტალის ბატონობა!“, „ვაშა! გაუმარჯოს თავისუფალი ქვეყნის თავისუფალ შვილებს!“, „კიდევ დასაპყრობია მსოფლიოს ხუთი მეექვსედი! ვწევ სასმისს და ვსვამ მომავალი მსოფლიო ოქტომბრისა და ზღაპრულად მშვენიერი მერმისის სადღეგრძელოს!“ და ა. შ.

ეს არ არის პოზა, ეს არის ოლია ოკუჯავას მტკიცე მრწამსის გამოხატულება; მრწამსისა, რომელიც ორგზის გადასახლებამ და ძმების რეპრესირებამაც ვერ გაბზარა.

ამიტომაც ერთგვარად გადაჭარბებულად მიმაჩნია „მიმოწერის“ წინასიტყვაობაში გამოთქმული მოსაზრება: ოლია ოკუჯავასათვის „არ არსებობდა არავითარი პირადული, იგი მისი სახელოვანი მეუღლის სიცოცხლით ცხოვრობდაო“ (გვ. 10).

ოლია ოკუჯავამ მართლაც იცოდა თავისი გენიალური ქმრის ფასი, მისი უახლოესი სულიერი მეგობარიც გახლდათ, [illegible] კიდეც მისი ოჯახის მოწესრიგებაზე [illegible] ჯანმრთელობაზე, მაგრამ... ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, ახალი ჯვარდაწერილისათვის, სწავლის გასაგრძელებლად 1916-21 წლები მეუღლისაგან მოშორებით, მოსკოვში გაეტარებინა. თბილისში დაბრუნებულიც მუდამ მსახურობდა, სურდა თავისი წვლილი შეეტანა ახალი ცხოვრების დამკვიდრებაში. მოსკოვში გატარებული წლები ოლიას ჯანმრთელობისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. ერთ-ერთ შაბათობაზე მუშაობისას მან ხელი დაიზიანა და ძლივს გადაურჩა ამპუტაციას. უმძიმესი აღმოჩნდა ეს წლები გალაკტიონის სულიერი სიმხნევისა და სიმშვიდისთვისაც.

1916 წლის დეკემბერი, გალაკტიონი — ოლიას: „მე მთლად ნერვებად ვარ გადაქცეული. ძალიან მწარეა ჩემი ცხოვრება, ძალიან!“ (გვ. 190). 1917 წლის იანვარი: „საქმე ძალიან არეულად მაქვს... ღმერთმანი ყველაფერი მომწყინდა... აქ ცოტა გაჭირვებას ვიტან...“ (გვ. 192).

უსახსრობის გამო გალაკტიონი მოსკოვში სასწავლებლად ვერ წავიდა, ვერც ჩვეულებრივი მოკვდავის ერთი, გაუბედავად გამოთქმული ოცნება აისრულა; 1917 წლის ნოემბერი, გალაკტიონი — ოლიას: „მე ვოცნებობ ჩვენ ერთად ყოფნაზე, პატარა ბავშვზე, განა კარგი არ არის? ამ, ნეტავი კარგად მოვეწყობოდეთ. მე ამისი იმედი მაქვს. ...ცხოვრებას ჭკვიანად უნდა მოპყრობა, ცხოვრება მიდის!“ (გვ. 194).

ყოფისადმი „ჭკვიანად მოპყრობა“, რაშიც, უთუოდ ცხოვრებისეული პრაქტიციზმია ნაგულისხმები, ვერც გალაკტიონმა და ვერც მისმა მეუღლემ ვერ გაამჟღავნა. ჩანს, ყოფით წვრილმანებსა თუ „მსხვილმანებზე“ ზრუნვა ოლიასაც ნაკლებად ეხერხებოდა, თუმცა ყოველ ღონეს ხმარობდა ქმრის კეთილდღეობისათვის.

და მაინც, უმთავრესი ისაა, რომ ცნობილი კონფლიქტი ხელოვანსა და მის ცოლს შორის (სოკრატე — ქსანტიპე, მინდია—მზია და მრავალი სხვა) ამ შემთხვევაში არ ჩანს. გალაკტიონი დიდად აფასებდა ოლიას მაღალ სულიერებას, მის ნატიფ მხატვრულ გემოვნებას და განსწავლულობას, მის პოეტურ ბუნებას.

ზოგიერთი მკვლევარი ერთგვარი საყვედურითაც მოიხსენიებს გალაკტიონის მეუღლეს, რომელმაც ვერ შეუქმნა დიდ პოეტს ოჯახური სიმყუდროვე, თვით სუსტი ჯანმრთელობის მქონემ — ვერ იზრუნა ქმრის ჯანმრთელობაზე და ა. შ. ალბათ, დღესდღეობით მეტი დიდსულოვნება გვმართებს ოლია ოკუჯავას მიმართ, მით უმეტეს, რომ ასეთი სულგრძელობის ნათელ მაგალითს თავად გალაკტიონი გვაძლევს.

მხოლოდ ერთგან, მიუსაფარი, ნერვებდაწე-

წილი გალაკტიონის სულისშემძვრელ ჩანაწერში გაკრთება მწარე საყვედური ოლიას მიმართ. „დედაჩემმა სოფლიდან წყევლით გამომისტუმრა, აბესალომი აქ ჩამოვიდა, ცარიელი ლაილაი გამართა და ისევ წავიდა, ოლია სწორედ მაშინ გაჰქრება, როდესაც ავად ვარ და წყლის მომწოდებელი კაცი არ არის. ამასწინად მთელი ერთი კვირა ვიყავი ავად, ვიწექი საწოლში და კაცი ჩემთან არავინ მოსულა; მშიერი, ავადმყოფი, უპალტოობის გამო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, 24 დეკემბრიდან 28 დეკემბრამდე მარტოდმარტო ვიყავი, კაცი არ იყო ჩემი ამბის მკითხველი" („თხზულებანი თორმეტ ტომად", ტ. XII, გვ. 380). ეს ჩანაწერი 1932 წლის 31 დეკემბრით არის დათარიღებული. ცნობისათვის: ოლია ოკუჯავა ამ დროს ორიოდე თვის დაბრუნებული გახლდათ პირველი გადასახლებიდან. ჩანს, ამ ფიზიკურად სუსტ და მძიმედ დაავადებულ ქალს მეტი არ შეეძლო. ასევე არ შეეძლო მას, ალეკვეთინებინა მეუღლისათვის მავნე ჩვევა — ღვინის სმა.

ვგონებ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ რევაზ თვარაძემ გაითვალისწინა ბრძნული ქართული ანდაზა — კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი არ დამალაო — და პირველმა საჯაროდ და დაურიდებლად მიგვითითა გალაკტიონის მძიმე ავადობაზე — მემთვრალეობის უმძიმეს შეტევებზე. მანვე გვაზიარა თბილისურ ლეგენდას, რომლის თანახმადაც გენიალური პოეტი მხოლოდ სიმთვრალეში თხზავდა ლექსებს: „რადგან არავის გვსურდა იმის დაჯერება, რომ ხშირად ჩვენს გვერდით, კრილოვის ათში თუ ეორესის (აწინდელი მარჯანიშვილის) ოთხში უდრტვინველად ბინადრობდა კაცი, რომლის ცხოვრება გარეგნულად ჩვეულებრივისაგან არაფრით განსხვავდებოდა. ამ კაცის ყოფა რაღაცით გამორჩეული უნდა ყოფილიყო უეჭველად. მაგრამ რით, რით უნდა ყოფილიყო გამორჩეული და უჩვეულო? თავისთავად ის ამბავი, რომ ეს კაცი გენიალურ ლექსებს წერდა, არასგზით არ კმაროდა წარმოსახვის ალსაგზნებად.

...არა, ათასობით უზაკველ ადამიანს სხვა რამით უნდა ესულდგმულა. მათ მითი სჭირდებოდათ, რაღაც უფრო გამორჩეულთან წილნაყარი ლეგენდა. გალაკტიონი სხვებისგან ნამდვილად გამორჩეული პოეტი რომ იყო, ამას ყველა გრძნობდა, ხშირად რომ სვამდა, ესეც კარგად მოეხსენებოდათ. მაგრამ პოეტობით გამორჩეული იქნებ კიდევ მოძებნილიყვნენ; თანაც ცისფერყანწელების შემდეგ მსმელი პოეტის სახელით ვის უნდა გაეკვირვებინა ქართველი კაცი. ცალ-ცალკე ეს ორი ფაქტი ბევრს არაფერს მეტყველებდა. მაგრამ „თუ არ დათვრა, ისე ლექსს ვერ წერსო", — ეს უკვე სულ სხვა რამ იყო. ამგვარი ცნობა მართლაც უჩვეულო ამბავს შეიცავდა. რადგან, თუ ცალკე სიმთვრალე და ცალკე ლექსების თხზვა ჩვეულებრივ რაიმედ მიაჩნდათ, სიმთვრალეში წერა კი არავის სმენოდა. ეს უკვე ლეგენდა გახლდათ". (რ. თვარაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 96-98).

მსგავსი ლეგენდა სხვადასხვა ეროვნების არაერთ გამორჩეულ პოეტზე შექმნილა. ნულარაფერს ვიტყვით ფრანგ ე. წ. „დაწყევლილ პოეტებზე", ზოგიერთ ფრანგ და რუს სიმბოლისტზე და საუკუნენახევრით უკან დავიხიოთ. თვით „რუსული პოეზიის მზე" — პუშკინიც კი ვერ გადურჩა ამ ამბავს. მისი პოეზიის ყველა თაყვანისმცემელს სმენია „ბოლდინოს შემოდგომა": გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში, შემოდგომის ორ-სამ თვეს პოეტი თავის მიკარგულ მამულში ბოლდინოში ატარებდა: განმარტოებული, პეტერბურგში მყოფ მზეთუნახავ მეუღლესა და ოჯახს ნებაყოფლობით მოშორებული, საწერ მაგიდასთან კატორღელივით მიჯაჭვული... „ბოლდინოს შემოდგომა" უალრესად ნაყოფიერი სულიერი და შემოქმედებითი წვის სინონიმი გახდა, „ბოლდინოს შემოდგომაზე" შეიქმნა რუსული პოეზიის მრავალი შედევრი.

როგორ ალიქვა პოეტის ეს საარაკო „პროდუქტიულობა" იმჟამინდელმა მკითხველმა? ჩანს, მანაც ლეგენდა შეთხზა.

1833 წელს ბოლდინოში „დაყუდებული" პუშკინი ჩვეული იუმორით წერდა მეუღლეს:

«Знаешь ли, что обо мне говорят в соседних губерниях? Вот как описывают мои занятия: Как Пушкин стихи пишет — перед ним стоит штоф славнейшей настойки — он хлоп стакан, другой, третий — и уж начнет писать! — Это слава» (Пушкин А., Собрание сочинений, т. x, M., 1962 г., стр. 146).

აშკარა თვითირონიის მიუხედავად, ფხიზელი განსჯით ალჭურვილი პოეტი უზუსტესად აფასებდა ამ გარემოებას — «Это слава».

გალაკტიონი რომ სავსებით ფხიზელი თხზავდა ლექსებს და ტიტანურ შრომასაც ხარჯავდა მათი სრულყოფისათვის — დღეს ეს დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტია და მასზე ყურადღების შეჩერება ღია კარის მტვრევა იქნებოდა.

ღვინისადმი მიდრეკილება, რაც ნელნელა ანადგურებდა პოეტს ფიზიკურად და სულიერადაც, მისი ახლობლების გამუდმებული საწუხარი იყო.

გალაკტიონის მავნე ჩვევა სასოწარკვეთილებაში აგდებდა მის მეუღლეს.

ოლია ოკუჯავას დღიურები და წერილები ალსავსეა ამგვარი ჩანაწერებით: „ძვირფასო გალ, გამოიჩინე სულის სიმტკიცე, მუშაობა რომ შეძლო, ჯანმრთელი უნდა იყო. ამისათვის

კი აუცილებელია კარგად იქცებო, თბილად ჩაიცვა და თავი დაანებო პაპიროსსა და ღვინოს, ისინი გღუპავენ შენ“ (გვ. 67).

„პირველ ყოვლისა უნდა მოიშორო ორი საშინელი მანკი — ღვინო და პაპიროსი, გვეღივით რომ გგესლავენ“ (გვ. 69).

„რა კარგი იყო ეს დღეები... რამდენი იმედი — გალიმ შეიგნო, რომ ღვინო დაღუპავს მას და გადაწყვიტა სახლში სვას ცოტ-ცოტა.

...გალ, როგორ უგონოდ მიყვარხარ! სადა ხარ დღეს? უკვე ღამის 4 საათია და შენ კი არ ჩანხარ, რა ვქნა? სად გეძებო?!“ (გვ. 86).

შუა აზიაში გადასახლებული ოლია წერს მეუღლეს: „გალ, მეშინია! ვაი თუ სვამ! გალ, ნუ იზამ მაგას, ამჯერად მაინც“. (გვ. 115).

ჩანს, უყოყმანოდ მისაღებია ნოდარ ტაბიძისეული სულგრძელი თვალსაზრისი, დაფუძნებული გენიალური ბიძის ჭირვეული და ბავშვურად ეგოისტური ბუნების ცოდნაზე: „არაერთხელ დავფიქრებულვარ ოლიას სიყვარულზე, თვალი მიმიდევნებია მისი ცხოვრების ურთულესი გზისათვის და ყოველთვის მოვხიბლულვარ ამ ქალის სტოიციზმით; ზოგჯერ გაოცებულვარ კიდეც ყოფით მოვლენებზე ამაღლების მისეული უნარით.

მოდი, ნუ შევაფერადებთ სინამდვილეს. ჩვეულებრივ მოკვდავს უთუოდ გაუძნელდებოდა გალაკტიონთან ცხოვრება, რადგან ამ გენიოსის გონება, ნიჭი, სურვილები ერთი კალაპოტით იყო მიმართული. ეს კი ბუნებრივად იწვევდა ყოველდღიური პრაქტიკული საკითხებისადმი გულგრილ თუ დაფანტულ დამოკიდებულებას.

გალაკტიონს შეეძლო მთელი დღე და ღამე ჩაკეტილიყო კაბინეტში და ფიქრადაც არ მოსვლოდა, რომ ოჯახს პური უნდა. შეეძლო საათობით მჯდარიყო გაყინულ ოთახში, რითმებთან შეჭიდებული და არც კი გახსენებოდა, რომ ნავთი დიდი ხანია გამოილია. შეეძლო მთელი ღამე ელხინა ახლადგაცნობილ მეინახეებთან და არ მოგონებოდა ფანჯრის რაფაზე გადმოხრილი მეუღლე.

...ოლია კარგად გრძნობდა, რომ გალაკტიონს სხვაგვარად ცხოვრება არ შეეძლო, ამიტომაც დიდი პოეტის ჩვეულებრივ კალაპოტში მოქცევა კი არ დაუსახავს მიზნად, არამედ მისთვის ფეხის აწყობა. თავისუფლება შეცნობილი აუცილებლობაა. ოლიამაც შეიცნო გალაკტიონის ყოფის აუცილებლობა. ამიტომ წარბშეუხრელად ხვდებოდა ბევრ ისეთ რამეს, რასაც სხვები შეიძლება ტრაგიზმამდე მიეყვანა“ (ნ. ტაბიძე, დასახელებული წიგნი, გვ. 221-222).

ავადობით დაძაბუნებულ, მაგრამ სულით მხნე და გაუტეხელ ქალს ღრმად ჰქონდა გაცნობიერებული ქმრის გამორჩეულობა და განსაკუთრებულობა. სწორედ ეს იყო ცოლ-ქმრის სულიერი მეგობრობის მტკიცე ბალავარი.

ოლია ოკუჯავამ იმთავითვე შეიცნო გალაკტიონის პოეტური გენია. 1916 წლით დათარიღებული ჩანაწერიდან: „რა [illegible] კულტურული საზოგადოება [illegible], რომელიც სამშვენისებზე და ყბედებზე ხარჯავს უზარმაზარ თანხას და ამავე დროს ვერ ამჩნევს დაფარულ დიდ ტალანტებს, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან უდიდესი ზოგადსაკაცობრიო ქმნილებები, თუ მათ ექნებათ მატერიალური ხელშეწყობა. მაშინ მათი დაფარული ტალანტი გაშლის ძლიერ ფრთებს, ფრთებს თვალუწვდენელს, ფრთებს სუფთას, თავისუფალს, ფრთებს, რომლებსაც თავისი რხევით შეუძლია შექმნას დიდებული ქმნილებები“... (გვ. 48-49); 1927 წელი: „ო, როგორ ამაყობს საქართველო შენი გენიით. იამაყე, იამაყე, საქართველოვ, გალა პოეტით“... (გვ. 67); „წლები გავლენ, მაგრამ საუკუნეთა ნალექებში არასოდეს არ შთაინთქმება პოეზიის მონარნარე ხმა. უცხო ადამიანები გრძელ ღამეებში მოისმენენ მას და სულით ამაღლდებიან.

...ათასწლეულების შემდეგ იმღერებენ შენს ლექსებს და სრულიად უცხო ადამიანები, სრულიად უცხო და უკეთეს პირობებში მოგიალერსებენ შენ“ (გვ. 69); „აი მივაბიჯებ კამოს ქუჩაზე, აქ ხომ ყოველდღე დადიოდა იგი — გენიალური პოეტი, იების სევდიანი მზერით. ...იგი მიდიოდა სტამბისაკენ, სადაც იბეჭდებოდა მისი სული, მისი მსოფლიო მნიშვნელობის მარადიული ქმნილებები. ...მიდიოდა იგი მარადისობისაკენ და თან მიჰქონდა უქნობი სურნელოვანი თაიგული“... (გვ. 71-72); 1934 წელი: „არაფერია! გამოჩნდებიან, დაიბადებიან და დაიზრდებიან კრიტიკოსები, რომლებიც შესძლებენ მთლიანად შეიცნონ ჯერეთ შეუცნობელი შემოქმედება გალისა“ (გვ. 84); „ო, შორეულ საუკუნეებში გადაიხდიან გალკის საიუბილეო ზეიმსაც“... (გვ. 94).

ოლია ოკუჯავამ ამაგი დასდო გალაკტიონის ლექსების რუსულად თარგმნას. უკეთებდა პწკარედებს, ეხმარებოდა მეუღლეს წიგნების კორექტურაში, სათუთად ინახავდა მის ხელნაწერებს. მძიმე ავადმყოფი, შორეული გადასახლებიდან ემუდარებოდა გალაკტიონს — თვალის ჩინივით გაფრთხილებოდა ხელნაწერებსა და ძველ ფოტოებს...

ოლია ოკუჯავა რუსულად იყო აღზრდილი. ოკუჯავების ოჯახში, როგორც მიმოწერიდან ჩანს, რუსული ენა იყო გაბატონებული. გავიხსენოთ გალაკტიონის ოლიასადმი მინაწერი — შენი „პაპა“ ვნახე, ან — მიშა ოკუჯავამ ზრდილობიანად მითხრა **«Вас можно выделить»** და მისთანანი. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ოლია ოკუჯავა, რომელიც ხშირად ურჩევდა მეუღლეს ამა თუ იმ წიგნის გაცნობას (ძირითადად უცხოურ ან რუსულ თხზულებებს), მიმოწერაში არ ასახელებს არც ერთ ქართულ მხატვრულ ნაწარმოებს. გალაკტიო-

ნია ერთადერთი ქართველი პოეტი, რომლის პოეტური სახეების ანარეკლი ხშირად გვხვდება მეუღლის წერილებში. დღეს ალბათ უცნაურად მოგვეჩვენება ის ფაქტი, რომ გადასახლებაში მყოფი, მძიმედ დაავადებული და გატანჯული ოლია დაჟინებით სთხოვს გალაკტიონს ათანასე ფეტის ლექსების გაცნობას. გალაკტიონი — ოლიას: „შენ ერთ პოეტზე სწერდი, რა შესანიშნავი პოეტია ის — ფეტი (ასე ხომ?) უნდა ვაღიარო, არასოდეს არ დავინტერესებულვარ მისი პოეზიით. ახლა კი შევიძინე მისი თხზულებები. აუცილებლად წავიკითხავ" (გვ. 209). წერილი 1940 წლით არის დათარიღებული. თუ რატომ არ იცნობდა გალაკტიონი დიდი რუსი ლირიკოსის პოეზიას, ამის ახსნა ადვილია: ფეტის „უიდეო" პოეზია დიდხანს იყო ჩრდილში.

სწორედ იმ წლების ამბავს იგონებს ალექსანდრე მეჟიროვი:

«Предвоенная лекция в Московском университете «Искусство для искусства. Афанасий Фет» завершилась не совсем обычно. Лектора окликнули у двери: «Простите, профессор, если Фет действительно так ничтожен, почему вы через столько лет вспомнили о нем? За что же все-таки его ценят?» Пожилой человек обернулся и чуть испуганно скороговоркой ответил: «За дивные звуки» («Литературная газета», 1987 г., № 20).

მაგრამ დავუბრუნდეთ ოლია ოკუჯავას, შორეთში გადასახლებულ იდეურ კომუნისტს (გ. ტაბიძე:

«Да, ее отличала идейная прямолинейность, коммунистическая»),

„უიდეო" ფეტის წაკითხვას რომ ურჩევდა მეუღლეს (იმ ეპოქის კიდევ ერთი პარადოქსი!).

ოლია ოკუჯავას წერილები და ლექსებიც რუსულად იწერებოდა. შემდგენლებს ისინი ქართულად უთარგმნიათ, ეს მათი ნებაა, მაგრამ მაშინ გალაკტიონის ქართულ წერილებში მოტანილი მეუღლის რუსული ციტატებიც უნდა თარგმნილიყო (გვ. 172, 186, 201).

თარგმანი, მცირედი გამონაკლისის გარდა, აშკარად მოიკოჭლებს. იქნებ აჯობებდა მათი ხელუხლებლად დატოვება და რუსულსავე ენაზე გამოქვეყნება? გალაკტიონის ორი რუსული წერილის (გვ. 196, 206; წერილები 26-ე და 84-ე) თარგმნა კი საერთოდ გაუმართლებლად მიმაჩნია (წინასიტყვაობის ავტორებს უნებლიედ შეცდომაში შეუყავთ მკითხველი: არ მიუთითებენ, რომ რუსულად არის დაწერილი 88-ე წერილიც! იხ. ტ. XII, გვ. 585-86).

ოლია ოკუჯავას ნაწერების თარგმანში არის გრამატიკული, ლექსიკური, სტილისტური შეუსაბამობანი.

ოლია — გალაკტიონს: „წვრილი ხმით ჭყივიან მოუსვენარი გალკები (ჩიტია ასეთი) და სადღაც ყარყარებს ყორანი" (გვ. 140). „გალკები" — ქართული სიტყვა არ არის, «Галка» ქართულად „ჭკა" გახლავთ და ასეც უნდა თარგმნილიყო. ხოლო ის გარემოება, რომ ოლია აქ, ნებსით თუ უნებლიედ, სიტყვათა თამაშს მიმართავს (ამ ჩიტის სახელი ქმრის მეტსახელს აგონებს მას), შენიშვნებში უნდა ახსნილიყო.

ვერადერი შვილი ქართულია: „სალამი შენ", „გკოცნი ძლიერ", „გკოცნით ძლიერ, ძლიერ ყველას" და მისთანანი. ანდა: „ამას გთხოვს (თუმც ვედარასოდეს) — მაგრამ მაინც შენი ოლია" (გვ. 182); „მე სულ მარტო ვარ, მაგრამ მე ვპოვებ დავიწყებას (თუ თავდავიწყებას? — ლ. ა.) ხელოვნებაში და თუ არა"... (გვ. 53); „გიგზავნი ამბორს, დაკოცნილს ჩემსა და ბორჯომის ნათელი დილით" (გვ. 108); „ორლანი" (უნდა იყოს არლანი — ლ. ა.), „სტენკა რაზინს" უკრავს და ვილაც მღერის დაჭანცული ხმით" (გვ. 129); „მაგრამ ფეხზე დგება მილიარდობით და ტრილიარდობით(?!) ჯანმაგარი მშრომელი, ახალი ცხოვრების შემოქმედი" (გვ. 112) და ა. შ.

ბევრი რამ, რაც აუცილებელ კომენტარს ითხოვდა, ან სავსებით უგულებელყოფილია, ანდა — არაზუსტად ან შეცდომით განმარტებული.

სრულიად აუხსნელია კომენტატორთა გულგრილობა თბილისისა თუ ქუთაისის ურბანონიმების მიმართ.

„მე, დედაჩემი და ჩემი ძმა წავედით გორაზე ოთახისათვის"... წერს გალაკტიონი ოლიას ქუთაისიდან 1914 წელს. იქვე: „ლადო (იგულისხმება ლადო მაჭავარიანი — ლ. ა.) რედაქციისკენ წავიდა, მე ზევით გორაზე. ...სიჩქარით დავეშვით გორიდან ქვევით" (გვ. 176-177).

აქ „გორა" მნიშვნელოვანი ქუთაისური ურბანონიმია და არა უსახო და უსახელო ბორცვი ან გორაკი. აქ ალბათ იგულისხმება ე. წ. არქიელის ან დათეშიძის (იგივე გაბაშვილის) გორა.

არც თბილისის ურბანონიმებს ადგათ უკეთესი დღე. დროებით დედასთან მყოფი ოლია ოკუჯავა 1982 წელს წერილს აზვედრებს გალაკტიონს სახლში: „მაპატიე, გუშინ ვერ მოვედი, ტრამვაის ბრალია, ორ საათს ველოდე, ლონე გამომელია.

დღეს აქა ვარ, გელოდები, შენ არ ჩანხარ. ხვალ ვერ მოვალ. ...მოდი პასკევიჩზე" (გვ. 125). კომენტატორებს უნდა განემარტათ: პასკევიჩის (ახლანდელი მაჩაბლის) ქუჩა, სადაც ცხოვრობდა ოლიას დედა, საკმაო მანძილით იყო დაშორებული პოეტის სახლისაგან კრილოვის ქუჩაზე. შეუძლოდ მყოფ ოლიას, რა თქმა უნდა, გაუჭირდებოდა

ტრამვაის გარეშე იქ მისვლა. საძიებელში გატანილი „პასკევიჩის ქუჩა (თბილისში)“ იმაზეც კი ვერ მიანიშნებს დღევანდელ მკითხველს, თუ რა ქუჩაზეა საუბარი.

1934 წლის თებერვალში ოლია ოკუჯავას დღიურში ჩაუნიშნავს: „დღეს გალკი ხელახლა გაემგზავრა სამოგზაუროდ — სამტრედია, ბათუმი, სოხუმი.

მთელი დღის განმავლობაში ქუჩაში დავდიოდით. მიყიდა ყოლოსფერი ბერეტი და ზამშის ქამარი, აგრეთვე აბრეშუმის ჯემპრი, მე მთლად ყოლოსფერი ვარ.

გალკისათვის ჩემოდანი ვიყიდეთ და სტალინის სახელობის კლუბის სასაუზმეში შევედით“ (გვ. 88-89). ასეთი მშვიდი და კმაყოფილი, თითქმის იდილიური ჩანაწერი დღიურში იშვიათია. მით უმეტეს, იქნებ გაერკვიათ შემდგენლებს — სტალინის სახელობის კლუბი, სადაც ისაუზმა ცოლ-ქმარმა, სად მდებარეობდა.

„მიმოწერაში“ მოიხსენიება მოსკოვის შანიავსკის უნივერსიტეტი, რომელშიც ამაოდ ოცნებობდა სწავლას ჭაბუკი გალაკტიონი. ეს უნივერსიტეტი 1918 წლის დამლევს გაუქმდა. დღევანდელ მკითხველთა უმრავლესობას, ცხადია, წარმოდგენაც არა აქვს მასზე. საძიებელში უსათუოდ უნდა გატანილიყო ეს უმაღლესი სასწავლებელი (გენერლის, მეცენატისა და საზოგადო მოღვაწის — ა. ლ. შანიავსკის სახ. მოსკოვის საქალაქო სახალხო უნივერსიტეტი, 1908-1918 წწ.), სათანადო განმარტებითურთ.

საგანგებო მნიშვნელობისაა „მიმოწერის“ ის მონაკვეთები, რომლებიც ეხება ლიტერატურას ზოგადად, ანდა, კერძოდ, რომელიმე მწერალსა და მის თხზულებათ. კომენტატორებსაც, ჩემი აზრით, სწორედ ამ ასპექტზე უნდა გაემახვილებინათ ყურადღება:

1. «Жизнь на радость нам дана!» — ამხნევებს ერთ-ერთ წერილში ჭაბუკი გალაკტიონი საცოლეს (გვ. 170). ეს კი აშკარა ლიტერატურული რემინისცენციაა, პუშკინის ლექსის ერთგვარი ანტითეზაა: «Дар напрасный, дар случайный, жизнь, зачем ты нам дана!» შენიშვნებში ეს ფაქტი უგულვებელყოფილია.

2. გალაკტიონი წერს ოლიას: — „სწერ თუ არა ჩემზე წერილს? უსათუოდ უნდა დამახვედრო, იცოდე. როდესაც ჩამოვალ, ჩემი წიგნი უნდა გამოვცეთ რუსულად“ (გვ. 198). ეს სიტყვებიც უთუოდ საჭიროებდნენ განმარტებას. ცნობილი და ღირსსაცნობი ფაქტია: „გალაკტიონს ხიბლავს ოლიას ანალიტიკური გონება, ფართო განათლება, პოეტური თრთოლვა. შემთხვევით როდია, რომ 1917 წელს სწორედ მას სთხოვს რუსული წიგნისათვის წინასიტყვაობის დაწერას“ (ნ. ტაბიძე, დასახელებული წიგნი, გვ. 201).

3. „ვინ არის, თუ იცი, თეიმურაზ ჭუმბურიძე?“ — ეკითხება გალაკტიონი ოლიას 1927 წელს (გვ. 199). ჩანს, შემდგენლებმაც კი არ იციან მისი ვინაობა. ყოველ შემთხვევაში, სახელთა საძიებელში ეს გვარი არ იძებნება. არადა, თეიმურაზ ჭუმბურიძე (1891-1985 წწ.) 10-20-იანი წლების პუბლიცისტი, კრიტიკოსი და პედაგოგი გახლდათ. ალბათ ძნელი არ იქნებოდა მასზე ცნობების მოძიებაც.

საძიებელში იმდენ წვრილმან თუ მსხვილმან „უცნაურობას“ წავაწყდი, რომ ყველა გაუგებრობის აღნუსხვა შორს წაგვიყვანდა: მოსკოვის ქუჩა „ბრონნაია“ საძიებელში „ბრონსკაიად“ ქცეულა; „სტრასტნოი ბულვარი“ — „სტრანსტნაიად“; მდინარე „ბორჯომკა“ (ასეა გალაკტიონის წერილში) — „ბორჯომულად“, „ლავრენევი“ (იხ. ოლია ოკუჯავას წერილი) — „ლავრენიოვად“; „მერეჟკოვსკი“ — „მერეშკოვსკად“.

გალაკტიონის წერილში (გვ. 190) მოხსენიებულია პოეტის ახლობელი მიშელ (მიხეილ) ბოჭორიშვილი. მეორეგან (გვ. 178) პოეტი მხოლოდ სახელით იხსენიებს მეგობარს. ეს საკმარისი შექმნილა იმისათვის, რომ შემდგენლებს „მიშელზე“ მიეთითებინათ საძიებელში და არა წესისამებრ — „ბოჭორიშვილზე“.

არასწორად არის მითითებული ზოგიერთი პიროვნების დაბადება-გარდაცვალების თარიღები: ონორე დე ბალზაკის, ვალია ბახტაძის, რენე კოტის... მამის სახელები ზოგჯერ მოხსენიებულია, ზოგჯერ არა, გვხვდება შეცდომაც: მაგალითად, პოეტი ლევ მეი ალექსანდრეს ძეა და არა ნიკოლოზისა.

მხოლოდ სახელითა და გვარით არის წარმოდგენილი შამშე ლეჟავა, კატო მიქელაძე და სხვები, თუმცა ადვილად შეიძლებოდა მათი დაბადება-გარდაცვალების თარიღებისა და მამის სახელის დადგენაც.

გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როცა საძიებელში არასწორად არის მითითებული სახელიც და გარდაცვალების წელიც: მაიკოვი ანატოლი ნიკოლოზის ძე (1821-1871). რუსული ლიტერატურის ისტორია ასეთ პოეტს არ იცნობს, უნდა იყოს: მაიკოვი აპოლონ ნიკოლოზის ძე (1821-1897).

სახელთა საძიებელში გამოტანილია ბევრი უცნობი სახელი — მარი, გელა, კუკუშა, სანია, რევეკა, ტოსია, დათიკო, ნატაშა და სხვ.

„რევეკასათვის“ ფრჩხილებში მიუწერიათ — „ვაშაძე“. როგორც წერილის შინაარსიდანაც ჩანს, აქ იგულისხმება კონსტანტინე გამსახურდიას პირველი მეუღლე რებეკა ვაშაძე. შემდგენლებს არ უნდა გასჭირვებოდათ არც ამ ფაქტის აღნიშვნა და არც ამ პიროვნების დაბადება-გარდაცვალების თარიღების დადგენა.

ან კიდევ, მიმოწერაში მოხსენიებულია „ნატაშა“; საფიქრებელია, რომ ეს გალაკტიონის

ახლო მეგობრის თედორე ჩუდეცკის მეუღლე და ოლიას კარგი ამხანაგი ნატაშა კლიმენტის ასული იოსელიანია, დიდი პოეტის ახლობელი და ერთგული ადამიანი. სიტყვა დავუთმოთ ნოდარ ტაბიძეს: „1924 წელს, როცა გალაკტიონი უმძიმეს პირობებში აღმოჩნდა, სწორედ ჩუდეცკების ოჯახმა შეიკედლა და დაიფარა იგი. გალაკტიონს არაერთხელ გაუხსენებია მაშინდელი ეპიზოდი. გამებებულ ვეფხვს გავდა ნატაშა (თედორეს მეუღლე), მზად იყო სისხლიც კი დაეღვარა, შენს თავს არავის დავანებებო" (დასახელებული წიგნი, გვ. 179).

და აი, ეს ამაგდარი პიროვნება რატომღაც არ არის სათანადოდ წარმოჩენილი არც საძიებელში და არც კომენტარებში.

„ვიყავი საავადმყოფოში გელას სანახავად" — წერდა გალაკტიონი ოლიას. ნუთუ ეს ფაქტი თავისთავად (გავიხსენოთ, რა შეთანხმებულად უჩიოდნენ ახლობლები გალაკტიონს უყურადღებობას) არ არის საკმარისი, რომ თავი ვიმტვრიოთ ამ პიროვნების ვინაობის დასადგენად?

აქ კი, ცოტა არ იყოს, შეშფოთებით მინდა მივმართო ჩვენს ლიტერატორებს (არა მარტო ამ წიგნის მესვეურთ): სანამ გვიან არ არის, სანამ ჯერ კიდევ ბევრი რამ ინახება ჩვენს უფროს თანამედროვეთა მეხსიერებაში, სანამ ჯერ კიდევ შესაძლებელია ბევრი რამის აღდგენა — მივხედოთ ჩვენს ახლო წარსულს! მივხედოთ, პირველ რიგში, XX საუკუნის უდიდეს ქართველ პოეტს, ნაბიჯ-ნაბიჯ წარმოვაჩინოთ მისი ცხოვრება, მის ახლობელთა და მეგობართა წრე, ლიტერატურული თუ ყოფითი გარემოცვა... ცხადია, ამ სიტყვებში არ იგულისხმება იოსებ ლორთქიფანიძის, რევაზ თვარაძის, ნოდარ ტაბიძისა და ზოგიერთი სხვა მეცნიერის დიდი ამაგის უგულებელყოფა; ჩანს, ყველაფრის ჩხრეკა-მოძიება და გათვალისწინება აღემატება ცალკეულ პიროვნებათა ძალისხმევას.

ალბათ, უპრიანია, რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის, ინსტიტუტის, მუზეუმის, რედაქციის თაოსნობით, ანდა, რამდენიმე დაწესებულების ბაზაზე, შეიქმნას მთელი ჯგუფი, რომელიც სპეციალურად იმუშავებს გალაკტიონის არეალის აღსადგენად.

დღემდე არა გვაქვს მოგონებათა რამდენადმე სრულყოფილი კრებული გალაკტიონზე, გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსების, მნიშვნელოვანი წერილების კრებულები, იკონოგრაფიული ფოტო-ალბომი. არადა, საბედნიეროდ, ერთ დროს უგულებელყოფილმა მემუარულმა მწერლობამ კვლავ დაიბრუნა პოზიცია. გამომცემლობა „მერანმა" დააარსა შესანიშნავი სერია: „მოგონებები გარდასულ დღეთა", „ხაბეოთა საქართველოში" — „ქართული მემუარული ლიტერატურა".

იმედი ვიქონიოთ, რომ უწინარეს ყოვლისა, გალაკტიონს, შემდეგ კი XX საუკუნის სხვა ქართველ მწერლებსაც ეღირსებათ მემუარული კრებულები.

ჩემს ხელთაა 1978 წელს მოსკოვში, „ნაუკას" მიერ გამოცემული წიგნი: «Литературное наследство, том восемьдесят девятый, Александр Блок, Письма к жене» — ა. ბლოკის ცხოვრებისა და შემოქმედების ცნობილი მკვლევარის ვლადიმერ ორლოვის ვრცელი და საფუძვლიანი შესავალი წერილით, ილია ზილბერშტეინის უაღრესად საინტერესო ბოლოსიტყვაობით.

აქ გამოქვეყნებულია ბლოკის 317 წერილი. აქედან 264 პირველად იბეჭდება. გამოწვლილვით კომენტარებში, რომელსაც დიდი ინტერესით (და ალბათ, „კეთილი" შურითაც) გაეცნობა პროფესიონალი ქართველი ლიტერატორი, მოტანილია ვრცელი ფრაგმენტები ლიდია დიმიტრის ასული მენდელეევას წერილებიდან. წიგნს უმდიდრესი იკონოგრაფიული მასალა ერთვის.

ზემოხსენებულ კრებულთან „ოლია ოკუჯავას დღიურებისა და მიმოწერის" შედარება ქართველ მკითხველს დიდად ვერ აამებს.

კრიტიკაში დიდი ხანია ცნობილია ე. წ. „ლიტერატურული ოცნებანი". დღესდღეობით ალბათ კრიტიკის ამ სახეობას განეკუთვნება ნატვრა — გამოვცეთ გალაკტიონისადმი მიძღვნილი მემუარული კრებული, მიმზიდველი არა მარტო შინაარსით, არამედ — ვრცელი, ამომწურავი, რაც მთავარია, ზუსტი კომენტარებით, მდიდარი იკონოგრაფიული მასალით, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე...

პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია.

უპირველესი, რაც „მიმოწერიდან" გამოსჭვივის, გალაკტიონისა და მისი მეუღლის სულთა თანხმიერებაა, ყოფისაგან ამაღლებაა, ზოგჯერ — მოუწყობელი, ანდა სულაც ტრაგიკული ცხოვრებით გამოწვეული სულის აფორიაქება და მტანჯველი განცდებია.

შემდგენლებმა წინა პლანზე გალაკტიონის მეუღლე წამოსწიეს და არც შემცდარან: გალაკტიონის წერილებს ისედაც კარგად იცნობდა მკითხველი საზოგადოება (იხ. გ. ტაბიძე, „თხზულებანი თორმეტ ტომად", ტ. XII), ოლია ოკუჯავას წერილები კი მხოლოდ ნაწილობრივ იყო გამოქვეყნებული.

და, რაც მთავარია, ოლია ოკუჯავას დღიურებსა თუ წერილებში აირეკლა „ნამდვილი", ჩვენთვის მანამდე უცნობი გალაკტიონი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლომონ ლეკიშვილი

# ილია ჭავჭავაძე—ქართული უნივერსიტეტის მესაძირკვლე

„მოვიცალე სხვათა ყოველთა კეთილთაგან და არა მოვიცალე საქართველოს მსახურებისაგან“.

ანტონ ბაგრატიონი

საყოველთაოდ ცნობილია რაოდენ დიდ ადგილს უთმობდა ილია ჭავჭავაძე თავის მოღვაწეობაში განათლების საკითხებს. მას ყურადღების მიღმა არ დარჩენია არც უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საქმე საქართველოში. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს მისი ინიციატივიდან ფართო საზოგადოების წინაშე დაეყენებინა თბილისში უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის საკითხი. როგორც „დროებაში“ ხელმოუწერლად გამოქვეყნებული ილიას მოწინავე სტატიების შინაარსიდან ჩანს, იგი ჯერ კიდევ 70-იანი წლების დასაწყისში იბრძოდა ამ ჩინებული იდეის დაფუძნებისათვის.[1] სახელდობრ, 1880 წ. იანვარ-თებერვალში გამოქვეყნებულ სტატიების ციკლში „კავკასიის უნივერსიტეტი“ იგი არამარტო ასაბუთებს მისი დაარსების აუცილებლობას, არამედ უთითებს სასწავლებლის შენახვის კონკრეტულ წყაროებს. ი. ჭავჭავაძის აზრით კავკასიის 17 საშუალო ტიპის სასწავლებლებს ყოველწლიურად შეეძლოთ საუნივერსიტეტოდ მოემზადებინა 75-80 მოსწავლე, ხოლო თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკებსა და ამავე ქალაქების თვითმმართველობათა გამგეობებს გააჩნდათ საშუალება მის შესანახად ყოველწლიურად გამოეყოთ 800 ათასი მანეთი.

ილიას წამოწყების პასუხად სულ მალე გადადგმულ იქნა ზოგიერთი პრაქტიკული ნაბიჯი: თბილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა ამ საქმისათვის ერთდროულად გამოეყო 100 ათასი მანეთი, ხოლო ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკმა გადაწყვიტა საუნივერსიტეტო ფონდებში შეეტანა 40 ათასი მანეთი.[1]

მაგრამ მოვლენათა მსვლელობამ სულ მალე ცხადყო ხელისუფლების უარყოფითი პოზიცია ამ წამოწყებისადმი, ვინაიდან იგი რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა მთავრობის მიზნებსა და ამოცანებს ეროვნულ სფეროში. რაც ნათლად გამოხატა ოფიციოზმა, გაზეთმა „კავკაზმა“ ამ საკითხისადმი მიძღვნილ 1881 წ. 18 აპრილს გამოქვეყნებულ მოწინავე წერილში. უნივერსიტეტის დაარსების იდეას მან — „უმწეო და უნიადაგო“ უწოდა, ვინაიდან მისი მტკიცებით ასეთ უმაღლეს სასწავლებელში „პროფესორები მეტი აღმოჩნდებიან, ვინემ განათლების შეძენის მსურველი ახალგაზრდებიო“ და სხვ.

80-იან წლებიდან მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის წინაშე მეტი აქტუალობით დაისვა ამოცანა დასახული მიზნის მისაღწევად, უფრო რეალური გზისა და საშუალებების გამოძებნისათვის.

შემდგომ წლებში ამ დიდმნიშვნელოვანი ჩანაფიქრის ხორცშესხმისათვის ილია სათანადოდ იყენებდა ახლად დაარსებულ გაზ. „ივერიას“. აქ იგი დროდადრო აქვეყნებს როგორც საკუთარ, ასევე მის თანამოაზრე, ქართველ მოღვა-

---

1 ლ. ჭრელაშვილი, გაზ. „დროებაში“ ხელმოუწერელი პუბლიცისტური წერილების ატრიბუცია, მაცნე, ენის და ლიტერატურის სერია, 1985, № 4.

1 „დროება“, 1880 წ. № 17, 18, 40.

წეთა სპეციალურ სტატიებს, ბეჭდავს ინფორმაციებს თბილისში უნივერსიტეტის დაფუძნების სასარგებლოდ ჩატარებული კონკრეტული ღონისძიებების შესახებ.

სტატიებს შორის, რომლებიც ეხმაურებიან საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების საკითხებს, განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ „ივერიის" სამი პუბლიკაცია — ავტორები ი. ჭავჭავაძე, გ. გველესიანი და დ. მიქელაძე (მეველე).

ილია თავის 1888 წ. „ივერია" (№ 192) მოწინავე წერილში, უნივერსიტეტის დაფუძნების აუცილებლობისათვის გამოთქმულ საფუძვლიან მოსაზრებასთან ერთად მოაგონებს საზოგადოებას თბილისის ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე 1888 წლისათვის ასი ათასამდე მანეთის არსებობაზე და შენობის ადგილის უფასოდ დათმობაზე, აგრეთვე, ქუთაისის ბანკის მესვეურთაგან სოლიდური თანხის შეწირვის ფაქტებს და სხვ.

ორი წლის შემდეგ, ამავე გაზეთში გ. გველესიანის სტატიაში: „უნივერსიტეტის დაარსების გამო ჩვენში", სხვათა შორის, ნათქვამია: „ჩვენი სტუდენტების უმრავლესობა ვერ ეგუება ჩრდილოეთის ცივ ჰავას და იქიდან დასნეულებულნი ჩამოდიან... ჩვენის მხრივ პირველი შემზადება და ზრუნვა ის უნდა იყოს, რომ საუნივერსიტეტო ფონდი გავიჩინოთო"... და სხვ.[1]

რაც შეეხება დ. მიქელაძის (მეველე) სტატიის შინაარსს, ვკითხულობთ: „უნივერსიტეტის საჭიროებას ყველა გრძნობს, თუმც საგნის შესახებ ლაპარაკი მივიწყებულია... მხნედ და გულმოდგინედ შეუდგეთ საქმეს და ავღძრათ საკითხი უმაღლესი მთავრობის წინაშეო",[2] ამთავრებს იგი.

საინტერესოა ისიც, რომ „ივერიის" მიერ დღის წესრიგში დაყენებულ იდეას მალე დამცველები გამოუჩნდნენ გაზეთ „ცნობის ფურცლის" ავტორთა შორისაც,[3] ხოლო თვით „ივერია" საუნივერსიტეტო პროპაგანდის ერთგული დარჩა გაზეთიდან ილიას წასვლის (1902 წ.) შემდეგ წლებშიც. „ყოველწლივ, ვკითხულობთ 1903 წ. 4 მაისის მოწინავეში, შუათანა სასწავლებლების კურს-დამთავრებულთა რიცხვი 500 კაცს აღემატება, ხოლო ეს რიცხვი სრულიად საკმაოა უნივერსიტეტის ასავსებად". შემდეგ, მიმართავს რა წინადადებით თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოს, დასძენს: „ყოყმანობა ამ შემთხვევაში სრულიად უადგილო უნდა იყოს", რათა არ განმეორებულიყო 1871 წლის მსგავსი შემთხვევა, როდესაც იმპერატორ ალექსანდრე II-ის საქართველოში სტუმრობისას მას — [illegible] მიმართავს თხოვნით თბილისში უნივერსიტეტის დამაარსების ნებართვის თაობაზე.

ყოველივე აღნიშნულმა, ბუნებრივია, მყარი ნიადაგი მოუმზადა სიტყვის საქმედ გადაქცევას. ილია და მისი თანამოსაზრენი უფრო და უფრო რწმუნდებიან ეროვნული უნივერსიტეტის ჩამოყალიბების რეალობაში. ორი ათეული წლის წინ აღმოცენებული იდეის განხორციელების საქმე 900-იან წლებიდან ახალ ფაზაში შედის.

ვინაიდან მომავალი ქართული უნივერსიტეტის საფუძვლის ჩაყრა განუყოფლად არის დაკავშირებული ე. წ. „ქართული გიმნაზიის" ისტორიასთან, საჭიროდ მიგვაჩნია ცოტა რამ მოვიგონოთ პირველი ქართული ეროვნული სასწავლებლის წარსულიდან, აგრეთვე, გავარკვიოთ ი. ჭავჭავაძის წვლილი ამ მამულიშვილური საქმის განხორციელებაში.

ეს დიდი ეროვნული წამოწყება დაგვირგვინდა 1879 წლის 6 თებერვალს, როდესაც მეცადინეობას შეუდგა დაწყებითი „ქართული სკოლა", ეროვნული კონტინგენტით და ქართულ ენაზე სწავლებით. თანახმად წინასწარგანზრახულისა, სკოლა არ უნდა ყოფილიყო წოდებრივი, იგი უნდა მომსახურებოდა მოსახლეობის ყველა ფენას.

გავიხსენოთ, რომ ეს ის პერიოდია, როდესაც იანოვსკების რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით განსაკუთრებით გამწვავდა შეტევა მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების წინააღმდეგ საქართველოში. თავისი აზრი სკოლის მიზნებისა და ამოცანების შესახებ ილიას შემდეგნაირად აქვს ჩამოყალიბებული: „ეს საშუალო სასწავლებელი შეიქმნება ჩვენი ხალხისათვის სახსარი უფრო მომეტებული სწავლისა და განათლების შესაძენად. ეს სასწავლებელი გამოგვიზრდის ჩვენ საკუთარ ქართულ ინტელიგენციას, ე. ი. იმგვარ პირთ, რომელნიც არიან დედაბოძნი ყოველი ხალხის განვითარებისა ან წარმატებებისათვის".[1]

მოწინავე საზოგადოების დიდი ხნის ოცნების ასრულება — ეროვნული სკოლის შექმნა შესაძლებელი გახდა „სათავადაზნაურო ბანკის" დაარსების (1875 წ.) შემდგომ, ე. ი. მას შემდეგ, როცა ჩამოყალიბდა ორგანიზაცია, რომელიც მის სულისჩამდგმელთა მიზანდასახულობით ყოველწლიური მოგების მნიშვნელოვან ნაწილს მოახმარდა ეროვნული კულტურული წინსვლის საქმეს.

ცნობილია, სათავადაზნაურო ბანკს განუზომელი წვლილი აქვს შეტანილი გასული საუკუნის ბოლო მეოთხედისა და XX ს. ათიანი

1 „ივერია", 1890 წ., 12 ოქტომბერი, № 217.
2 „ივერია", 1894 წ., 11 თებერვალი, № 32.
3 „ცნობის ფურცელი", 1897 წ., № 130, 241, 1900 წ. № 1227.

1 „ივერია", 1879 წ. № 4.

წლების ქართული კულტურის წინსვლა-განვითარების საქმეში, რაც ნათლად გამოიხატა მის მესვეურების ი. ჭავჭავაძის, ივ. მაჩაბლის, ი. გოგებაშვილის და სხვათა დაუცხრომელი ცდით ბანკის მოგების 35%-45% ეროვნული დანიშნულებით გამოყენებაში. იგი რუსეთის იმპერიაში არსებულ ბანკებს შორის ერთადერთი იყო, რომელიც თავის შემოსავალს წოდებრივი დანიშნულებით კი არ იყენებდა, არამედ ერის კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეურნეო ინტერესს ახმარდა. წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ მარტო ი. ჭავჭავაძის თავმჯდომარეობის პერიოდში — 1875-1905 წწ. ბანკმა 3 892 ათას მანეთის შემოსავალი მიიღო,[1] რომლის თითქმის ნახევარი მოხმარდა სხვადასხვა ტიპის სასწავლებლების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რუსეთისა და ევროპის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში ქართველ სტუდენტთათვის სტიპენდიების დანიშვნას, სტიქიურ უბედურებათა, შიმშილობითა და ხოლერით დაზარალებული მოსახლეობის ფულადი დახმარების, წერა-კითხვის, დრამატულ და სოფლის მეურნეობის საზოგადოებებისათვის სუბსიდიების გაცემას, ეკლესია-მონასტრების აღდგენის საჭიროებას და სხვ.

და მაინც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბანკს ყველაზე მეტი თანხა ქართული გიმნაზიის და მისთვის მუდმივი ბინის, მომავალი საუნივერსიტეტო შენობის პირველი კორპუსის მშენებლობისათვის დაუხანდებია. კერძოდ, 1879-1905 წლებში ქართული გიმნაზიის შესანახად 1045830 მან., ხოლო მუდმივი შენობის მშენებლობისათვის 145202 მანეთი იყო დახარჯული, ე. ი. ამ დიდმნიშვნელოვანი საშვილიშვილო საქმისათვის სათავადაზნაურო ბანკს მისი გამგეობის თავმჯდომარის ილია ჭავჭავაძის, ვანო მაჩაბლისა და სხვათა დაუცხრომელი ცდით აღნიშნულ პერიოდში სულ 1191032 მან. გაუღია.[2]

ბანკის ამ განსაკუთრებული ფუნქციის გამო სამართლიანად წერდა ვახტანგ კოტეტიშვილი: „ბანკს უცქეროდნენ როგორც დიდ ეროვნულ დაწესებულებას, იქ ანგარიშის შესახებ უფრო ნაკლებს ლაპარაკობდნენ, ვიდრე მორალზე. ბანკში სამსახური ითვლებოდა ერის სამსახურად და, რასაკვირველია, ასეთ ეროვნულ დაწესებულებაში ყოველ წვრილმანს მიეცემოდა დიდი სახელი და წონაც. ამიტომ იყო რომ ი. ჭავჭავაძემ და ივ. მაჩაბელმა მას შეალიეს

1 ა. თელია, თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო — სადგილმამულო ბანკის მოქმედება ი. ჭავჭავაძის გამგებლობის პერიოდში, თბილისის სახ. ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. 5, გვ. 186.

2 ცსსა. ფ. 478, საქ. 114.

თავისი გონებრივი უნარი და ზნეობრივი ძალა".[1]

ეროვნული

მრავალი ფაქტით დასტურდება, რომ ილია ქართულ გიმნაზიას უყურებდა, როგორც მომავალი უნივერსიტეტის კონტინგენტისა და პედაგოგიური კადრების კერას. ამიტომ იგი დიდ ინტერესს იჩენდა არა მარტო სასწავლებლის მატერიალური უზრუნველყოფის, არამედ მასში სწავლების დაყენების მიმართ. სახელდობრ, იგი პერიოდულად ესწრებოდა გამოცდებს და გაკვეთილებს, საჭირბოროტო საკითხების განსახილველად სასწავლებლის მესვეურებს იწვევდა საკუთარ ბინაზე, მონაწილეობდა „შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარე კომიტეტის" მუშაობაში, ესწრებოდა „გიმნაზიის გამგე კომიტეტის" სხდომებს და სხვ. გავეცნოთ 1879 წ „დროებაში" გამოქვეყნებულ მეტად საინტერესო ცნობას: „შაბათს, მაისის 29-ს, იყო უკანასკნელი ეგზამენი ტფილისის სააზნაურო სკოლაში. სკოლის კომიტეტის წევრთა გარდა, ამ დღეს ეგზამენს დაესწრენ ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ორბელიანი, ლ. მაღალაშვილი, კ. ბარათაშვილი".

საპატიო სტუმრებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მოსწავლეთა კვების არასახარბიელო მდგომარეობა, რის გამოც ილიას შეუტანია წინადადება: „აი, ბატონებო, შევგროვდეთ ერთი თხუთმეტიოდ კაცი, — და დავაწესოთ, რომ თვითეულმა ჩვენგანმა წელიწადში, ორიოდე კოკა ღვინო და თხუთმეტ-თხუთმეტი კოდი პური შეაწიოს ხოლმე ამ სკოლას. ამ წინადადებაზე ყველა იქ მყოფთ ერთხმად თანხმობა გამოუცხადეს... („დროება", 1882, 2 ივნისი, № 112).

სკოლის საჭირო თანხებით დაფინანსებისათვის ილია და მისი თანამებრძოლნი იძულებულნი იყვნენ ყველაფერი ეღონათ, რათა მიეღოთ სათავადაზნაურო საკრებულოს სათანადო სანქცია, რისთვისაც, არც თუ იშვიათად, სამდურავიც კი ხვდებოდათ ამისათვის. ამ თვალსაზრისით, ფრიად საგულისხმოა მეორე ცნობაც იმავე „დროებიდან": „წლევანდელმა კრებამ ამ შკოლისათვის ხმა ამოუღებლივად, ბანკის შემოსავლიდან 18500 მან. შესწირა... მეორე დღესვე ჩვენი თავადაზნაურობა დიდ საყვედურს აცხადებდა დიმიტრი ყიფიანსა და ილია ჭავჭავაძეზე, რომ „იმათ ტკბილმა ლაპარაკმა „მოგვატყუა", არ ვიცოდით, თუ ამ საზოგადოების საშუალებით გლეხებისათვის გაიმართებოდა შკოლებიო, თორემ აბა რას მივცემდით იმ ფულსაო" („დროება", 1879, № 100, 16 მაისი).

1885 წ. ერთობ კრიტიკული წელი აღმოჩნდა სასწავლებლის არსებობის ისტორიაში. სა-

1 ვახტანგ კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1959 წ., გვ. 487.

ქმე შემდეგში იყო: 1884 წელს ბანკმა მოგების ნაცვლად ზარალი განიცადა, ხოლო ვინაიდან სასწავლებლის შენახვისათვის სხვა სახსარი არ არსებობდა, შეიქმნა საშიშროება მისი დახურვისა.

აღნიშნული კრიტიკული სიტუაცია მოხსენდა მაისში გამართულ წლიურ „რწმუნებულთა კრებას", გამოსავალი იყო ერთი — სასწავლებელი იარსებებდა თუ მას გადასცემდნენ ე. წ. ექსტრაორდინალურ თანხას, რომელიც წარმოადგენდა ხელუხლებელ ფონდს და გამიზნული იყო მხოლოდ „დაზარალებულ თავადაზნაურთა შემწეობისათვის". დიდი ბრძოლისა და მუდარის შედეგად ილიამ და ვანო მაჩაბელმა დაითანხმეს „რწმუნებულები" — სასწავლებელს გადასცემოდა მთელი ეს ნანატრი თანხა, 14 ათასი მანეთის ოდენობით, რამაც სასწავლებელი გადაარჩინა გაუქმებას...

დგინდება, რომ ილიასათვის უცხო არ იყო არც სასწავლებელთა არსებული პანსიონის მოსწავლეებთან სტუმრობა, რათა არც მათთვის დაეკლო სათანადო სითბო და ყურადღება. „1886 წ. გაზაფხულზე, — წერდა დამსახურებული ექიმი ნ. ჯანდიერი, — პანსიონში შემოვიდნენ ილია ჭავჭავაძე და ალ. ჭიჭინაძე (დირექტორი). ილია მოგვესალმა, გვითხრა მოკლე სიტყვა და ბოლოს მის სახლში სადილად დაგვპატიჟა..."[1]

როგორც რევაზ გაბაშვილის მოგონებიდან ჩანს, მუდამ მოუცლელი ილია პოულობდა სათანადო დროს გიმნაზიის მოსწავლეებთან სადღესასწაულო დღეებში სტუმრობისათვის: „მახსოვს, წერს იგი 90-იან წლებზე, ილია მოდიოდა ყოველ ახალ წელიწადს სათავადაზნაურო სკოლაში, უკან მოსდევდა ორი მოსამსახურე, ორი ვებერთელა კალათით და თვალდაცეცებულ მოწაფეებს ბლუჯა-ბლუჯად გვირიგებდა კამფეტებს და სხვა ტკბილეულობას. ასე მგონია დღესაც, სიმბოლოდ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ილიას ეს გულუხვობა, თუ როგორ ურიგებდა ქართველ ერს თავის გულისა, გონებისა და სულის ნაწარმოებსა".[2]

როგორც ცნობილია, ქართულ გიმნაზიაში, სახელმწიფო გიმნაზიებისგან განსხვავებით, სადაც წლიური გადასახადი 40 მანეთს შეადგენდა, შეგირდები სწავლებისათვის 12 მანეთს იხდიდნენ წელიწადში. მნიშვნელოვანი ნაწილი საერთოდ განთავისუფლებული იყო ამ მოვალეობისაგან და იმყოფებოდა ბანკის ხარჯზე.

„ბანკის რწმუნებულთა" შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მოითხოვდნენ ამ შეღავათების მოსპობას. 1898 წ. 30 მაისს გამართულ წლიურ კრებაზე თავადი ი. [illegible] რიულად მოითხოვდა სასწავ[illegible] დებას და მუსიკის სწავლებისათვის გადასახადის შემოღებას, აღნიშნულის საპირისპიროდ ი. ჭავჭავაძემ აღნიშნა: „ვინაიდან მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი განიცდის ხელმოკლეობას, ქირა კი არ უნდა გავზარდოთ, არამედ სრულიად უნდა გავაუქმოთო". თუმც ილიას წინადადება არ იქნა მიღებული, მაგრამ ი. ვაჩნაძის წინადადებაც უარყვეს.[1]

თავისი აზრის სამართლიანობაში დარწმუნებულ ილიას იგივე საკითხი 1902 წ. კვლავ წამოუჭრია „შეუძლებელ მოსწავლეთა შემწე კომიტეტის" კრებაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, მისი წინადადება კვლავ განუხორციელებელი დარჩა.

ილიას აქტიური მონაწილეობა ე. წ. კერძო ქართული სკოლის ცხოვრებაში შეუმჩნეველი არ დარჩენია ხელისუფლებას. გავეცნოთ ფრაგმენტს თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის მოხსენებიდან (1894 წ. 1 მაისის თარიღით) პოლიციის დეპარტამენტისადმი: „დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იმ მიმართულების მთავარი ხელმძღვანელი, რომლის მიზანია ეროვნული მოძრაობის გაღვიძება, არის თავადი ი. ჭავჭავაძე, თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის თავმჯდომარე. ამ ბანკის სახსრებით ინახება სათავად-აზნაურო სკოლა..."[2]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბანკის მესვეურებს, აგრეთვე, თავის უშუალო მოვალეობად მიაჩნდათ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების ქართველი სტუდენტებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა. დავასახელებთ ზოგიერთს, რომლებიც შემდგომში ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ქართულ გიმნაზიასა თუ თბილისის უნივერსიტეტში. ესენი იყვნენ ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, ივანე ნიჟარაძე, შიო ჩიტაძე, მიხეილ ქორიძე, გიორგი ყაზახაშვილი და სხვ.

პირველ წელს სკოლა მოთავსებული იყო კუკიაზე, თუმანიშვილის (ამჟამად ბოჭორიძის) ქუჩაზე, თაქთაქიშვილის სახლში, შემდგომ იგი შეხიზნულა ნიკოლოზის (ამჟამად კალინინის) ქუჩაზე, ხოლო მოგვიანებით ბინადრობდა ველიამინოვის (შ. დადიანის) ქუჩაზე, 1892 წელს კი, როგორც პროგიმნაზია, გადავიდა ერმოლოვის (შ. ჩიტაძის) ქუჩაზე. ამავე ბინაზე 1899 წლიდან იგი გარდაიქმნა სრულ გიმნაზიად. საკუთარი ბინის უქონლობა, ბუნებრივია, ხელს უშლიდა სწავლების ნორმალურ წარმართვას. ქართველი საზოგადოების წინაშე მწვა-

1 ს. იაშვილი, მასალები თბილისის ქართული გიმნაზიის ისტორიისათვის, თბილისი, 1956. გვ. 20.

2 მოგონებანი გარდასულ დღეთა, ილია, თბ., 1987 წ., გვ. 236.

1 გაზ. „კავკაზი", 1898 წ., 2 ივნისი.

2 ფ. ლომაშვილი, ი. ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობის ახალი დოკუმენტები, „საისტორიო მოამბე", 1983, № — 48, გვ. 270.

ეროვნული

ვედ დაისვა მუდმივი ბინის გამოძებნის საკითხი.

როგორც ქვემოთ დავინახეთ, ქართული გიმნაზიისათვის შესაფერისი ბინის აშენება ი. ჭავჭავაძეს იმავ დროს მიაჩნდა ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის დაარსების აუცილებელ პირობად. ამიტომ მან საადგილმამულო ბანკში თავის მოღვაწეობის ბოლო შვიდი წელი (1898-1905) ძირითადად დაუქვემდებარა ამ ღონისძიების განხორციელებას.

1898 წელს გიმნაზიის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა. საკმაოდ შეღავათიან ფასად (20 ათას მანეთად) გამოიძებნა. ნაკვეთი ვაკეში, 6 ათასი დესეტინა ოდენობით. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამ ფართობზე საკუთარი შენობის აგების თაობაზე. მშენებლობის ფულადი მეურნეობის გაძღოლა დაევალა ჯერ კიდევ 1879 წელს ჩამოყალიბებულ „ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოებას“, რომელმაც თავისი არსებობის მანძილზე პირნათლად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. 1898 წ. შეიქმნა სამშენებლო კომიტეტი ნ. ცხადაძის თავმჯდომარეობით. 1902 წ. ი. ჭავჭავაძე ერთხმად აირჩიეს ამ კომიტეტის წევრად.[1]

ჩვენ საშუალება მოგვეცა საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდებში მოგვეკვლია ი. ჭავჭავაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი რამდენიმე საყურადღებო დოკუმენტისათვის, რომლებიც ნათელყოფენ იმ დიდ ინტენსიურ მუშაობას, რასაც აწარმოებდა ი. ჭავჭავაძე „ქართული გიმნაზიის“ საკუთარი ბინის, შემდგომში საუნივერსიტეტო შენობის მშენებლობის საქმეში. გავეცნოთ ერთ ასეთ ტიპიურ დოკუმენტს. იგი წარმოადგენს ი. ჭავჭავაძის მიერ შედგენილ პროექტს სათაურით: „მოხსენება თბილისის საადგილმამულო ბანკის გამგეობისა ამავე ბანკის წარმომადგენელთა კრებისადმი 1898 წლის ზოგად სასარგებლო კაპიტალის განაწილების თაობაზე“. „თანახმად ბანკის წესდების № 101 მუხლისა, ვკითხულობთ ამ დოკუმენტში, — 1898 წლის საოპერაციო წელს საერთო მოგების თანხის 85 პროცენტი, რომელიც შეადგენს 83410 მან. და 29 კაპ., განეკუთვნება თბილისის გუბერნიის მიწის მეპატრონე და მიწის შემმუშავებელ მცხოვრებთა ზოგად საჭიროების დაკმაყოფილებას.

ამ საერთო თანხიდან, თანახმად ხარჯთაღრიცხვისა, რომელიც წარმოუდგინა ბანკის გამგეობას ამავე საზოგადოების ზედამხედველმა კომიტეტმა, მიმდინარე წელს პირველ ყოვლისა უნდა გამოიყოს თანხა „თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწე კომიტეტის“ საჭიროების დაკმაყოფილებისათვის, 62682 მანეთის ოდენობით.

შემდეგ იგივე ზედამხედველი კომიტეტი ითხოვს სათანადო დახმარების აღმოჩენას საზოგადოებისადმი (იგულისხმება ზემოთ აღნიშნული „შეუძლებელ მოსწავლეთა შემწე კომიტეტი“, ს. ლ.), „რათა ვერაზე აგებულ იქნეს შენობა, რომელიც განკუთვნილი იქნება ხელმოკლე მოსწავლეთათვის და მათ მოსამზადებლად უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად.

აგება ასეთი შენობისა წარმოადგენს ისეთ გადაუდებელ აუცილებლობას, რომ საჭირო იქნებოდა ზოგადსასარგებლო კაპიტალიდან ამ საქმისათვის გამოგვეყო ყოველი გამონთავისუფლებული თანხები, როგორც უკანასკნელ საოპერაციო წლის მოგების ანარიცხებიდან, აგრეთვე მომავალი წლების იმავე სახის მოსალოდნელ შემოსავლებიდან. გარდა აღნიშნულისა, ბანკის გამგეობას თავის მოვალეობად მიაჩნია წარმომადგენელთა კრების ყურადღება მიაპყროს იმაზეც, რომ დღევანდელ მომენტში აგრეთვე არსებობს სხვა ისეთი საჭიროებანიც, რომელთა იგნორირება ბანკს არ შეუძლია და ზნეობრივად ვალდებულია თუნდაც მცირედი წვლილი შეეწიოს მათ.

ასეთი საჭიროებებია: დიდებული პოეტის ა. ს. პუშკინის, რომლის დაბადების ასი წლისთავს ზეიმით აღნიშნავს მთელი განათლებული და მოაზროვნე რუსეთი, სახელობის დაწესებულების დაარსების, მართმადიდებლობის და კულტურის ჩვენი უძველესი ძეგლის — მცხეთის თორმეტი მოციქულის სვეტიცხოვლის ტაძრის განახლება, აგრეთვე შიმშილობა შიდა გუბერნიებში.

ბანკის გამგეობას საჭიროდ მიაჩნია ზოგადსასარგებლო კაპიტალიდან აუცილებლად გამოყოს: დამშეულთა სასარგებლოდ 500 მან. მცხეთის ტაძრის აღსადგენად 1000 მან. ხოლო დასაარსებლად ა. ს. პუშკინის სახელობის დაწესებულებისა 500 მან. დანარჩენი 81410 მან. და 29 კაპიკიდან 62682 მან. გამოეყოს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის საზოგადოების ხელმოკლე მოსწავლეთა საჭიროებისათვის, დარჩენილი 18728 მან. 29 კაპიკი მოხმარდეს ამავე საზოგადოების შენობის (ამჟამინდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პირველი კორპუსი, ს. ლ.) აგების საქმეს“.[1]

ი. ჭავჭავაძის მიერ შედგენილი ეს მოხსენება წარმოადგენს „თბილისის თავადაზნაურობის წარმომადგენელთა საერთო კრებაზე“ განსახილველად გასატანი საკითხების პროექტს. როგორც გაზეთი „კავკაზი“ გვაუწყებს (1889 წ. 1-2 ივნისი). 30-31 მაისს გამართული წარმომადგენელთა კრების მონაწილეებს გაცხარებული კამათის შემდეგ არსებითი კორექტივი შე-

1 „გაზ. „ივერია“, 1902, № 100.

1 ცსსა, ფ. 394, დოკ. № 11800.

უტანიათ წარმოდგენილ პროექტში. კერძოდ, მნიშვნელოვნად გაუზრდიათ სვეტიცხოვლის ტაძრის რესტავრაციის და ა. ს. პუშკინის ხსოვნისათვის პროექტით ნავარაუდევი თანხები. მათ შორის მოუთხოვიათ პირველისათვის განკუთვნილი ოდენობის ათას ხუთას მანეთამდე, ხოლო მეორის ორმაგად გაზრდა.

კრების წარმომადგენელთა წინადადებით, პროექტს დაემატა ორი ახალი ღონისძიება, საბელდობრ, 3000 მანეთი გადაიდო 1900 წელს პარიზში მსოფლიო გამოფენაში საქართველოს მონაწილეობისათვის, ხოლო ათასი მანეთი გამოეყო ქართული დრამატული საზოგადოების საჭიროებისათვის. კრებამ უცვლელად დატოვა ხელმოკლე მოსწავლეთა დასახმარებლად ნავარაუდევი (62682 მან.) და რუსეთის შიდა გუბერნიებში მოსავლიანობით დაზარალებულთა დასახმარებლად გამოყოფილი თანხა (500 მან).

კრების მიერ ილია ჭავჭავაძის წინადადებაში შეტანილმა ცვლილებებმა, ბუნებრივია, გამოიწვია პროექტის ბოლო პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების, ვაკეში „სათავადაზნაურო გიმნაზიის" მშენებლობისათვის ნავარაუდევი თანხის 8500 მანეთით შემცირება. კერძოდ, კრებამ ე. წ. საზედამხედველო კომიტეტის ამ ღონისძიებისათვის გამოსაყენებლად ნება დართო აეთვისებინა დარჩენილი 10228 მანეთი, ნაცვლად 18728 მანეთისა.

აქვე გვინდა გავიხსენოთ ბანკის ფულადი მეურნეობის წარმოების პროცედურა. თანახმად დებულებისა, „წარმომადგენელთა კრება" იყო ის ზემდგომი ორგანო, რომელსაც ბანკის გამგეობა ყოველი წლის აპრილ-მაისში არამარტო განვლილ წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიშს აბარებდა, არამედ წარუდგენდა მას განსახილველად საანგარიშო პერიოდში შემოსული მოგების დანიშნულებისამებრ განაწილების პროექტს.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გარდა გიმნაზიის ხელმძღვანელობისა, ყოველ წლის საანგარიშო პერიოდში ბანკს მატერიალური დახმარებისათვის მიმართავდნენ სხვადასხვა საზოგადოებები და ორგანიზაციები. გავეცნოთ ერთ საარქივო მასალას, რომელიც 1899 წ. შემოსულ ამგვარ წინადადებათა საფუძველზე შედგენილ დოკუმენტს წარმოადგენს. იგი ნათლად გამოხატავს თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ი. ჭავჭავაძე გიმნაზიის შენობის მშენებლობის საკითხს.

„გამგეობა ბანკის, ვკითხულობთ ილიას ხელმოწერილ ამ დოკუმენტში, სავსებით აქვს რა შეგნებული მთელი სიკეთე და კეთილშობილური მიზნები ჩამოთვლილი დაწესებულებებისა (იგულისხმება 9 დასახელების სხვადასხვა სასწავლო და კულტურული ორგანიზაცია, ს. ლ.), გამოსთქვამს სინანულს იმის გამო, რომ ვერ დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნას. ნაშთი ზოგადსასარგებლო კაპიტალიდან 18728 მან. ოდენობით, როგორც ეს აღნიშნულ[illegible] ზოგადსასარგებლო კაპიტალი[illegible]ობაზე, გამიზნულია ღარიბ მოსწავლეთა სკოლის შენობის მშენებლობისათვის. დაკმაყოფილება თბილისის გუბერნიის მიწისმეპატრონე და მიწის შემმუშავებელი მოსახლეობის ამ საჭიროებისა გადაუდებელია და უმნიშვნელოვანესი. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია წარმოდგენილი თხოვნები არ იქნას დაკმაყოფილებული.

თავმჯდომარე გამგეობისა ი. ჭავჭავაძე".[1]

დადგა დიდი ხნის ნანატრი, გიმნაზიისათვის შენობის საძირკვლის ჩაყრის დღე, 1900 წ. 14 ოქტომბერი. ცერემონიალს დაესწრნენ სამშენებლო კომიტეტის წევრები — ნ. ცხვედაძე (თავმჯდომარე), ე. თაყაიშვილი, კ. ყავრიშვილი, აგრეთვე, გიმნაზიის პედაგოგები და მოსწავლეთა წარმომადგენლები.

თვით ილიას ამ ზეიმში მონაწილეობა არ მიუღია, რაც უთუოდ მისთვის დამახასიათებელ წინდახედულებით უნდა აიხსნას, რადგან არ უნდოდა, რომ თავისი დასწრებით ხაზი გაესვა ამ მოვლენის მნიშვნელობისათვის. ალბათ, ასეთივე მოსაზრების გამო, მის ორგანიზატორებს ამ ფაქტისათვის არავითარი წინასწარი რეკლამა არ გაუკეთებიათ, რის გამოც შემდგომში პრესის ფურცლებზე სამდურავიც კი გამოითქვა: „ჩვენ გადმოგვცეს, წერს გაზ. „ცნობის ფურცელი", რომ გუშინ, ნაშუადღევის 1-ლ საათზე საძირკველი ჩაჰყარეს ტფილისის სათავადაზნაურო სკოლის შენობისა ვერაზე.

უცნაურად მოქცეულან საქმის გამგენი! ნუთუ ამგვარ დიდმნიშვნელოვან შემთხვევაზე გაზეთის რედაქციას მიწვევა არ უნდოდა?!"

ილიას წინდახედულება თვალსაჩინოდ გამოსჭვივის ე. თაყაიშვილის ერთი მოგონებიდან. 1898 წლის შემოდგომაზე, ილიას დაბადების 60 წლისთავის საიუბილეოდ მას გადაუწყვეტია ქართულ გიმნაზიაში (იმხანად იგი აქ დირექტორად მუშაობდა) ჩაეტარებინა ლიტერატურული საღამო, რომელზეც, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, მოწვეული იქნა იუბილარი. მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით ჩატარებულ შინაარსიან საღამოს ილიაზე ერთობ კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია.

„რომ ჩემთვის წინდაწინ გაგემხილათ საღამოს მიზანი და პროგრამა, უთქვამს ილიას ე. თაყაიშვილისათვის, მე არ დავესწრებოდი, რადგანაც შეიძლება ჩემი დასწრებით რაიმე ზიფათი მოსვლოდა ჩვენს გიმნაზიას, რომელზეც, კარგად ვიცი, მთავრობა კბილებს ილესავსო" (ე. თაყაიშვილი, „ლიტერატურის მატიანე", 1958 წ., № 6, ნაკ. ბ. გვ. 84).

სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარემ, თა-

---

1 ცსსა., ფ. 394. საქ. 11800.

ვისი უაირათიანობით ერთობ ცნობილმა ნიკო ცხვედაძემ, კატეგორიულად უარყო შენობის საფუძვლის ჩაყრასთან დაკავშირებით არსებული ტრადიცია — საძირკველში ოქროს ფულის ჩატანება, მისივე წინადადებით შესრულდა უფრო ბევრის მთქმელი აქტი: სხვადასხვა მინის ბოთლში ჩატანებულ იქნა შემდეგი შინაარსის დოკუმენტები: 1. „შენობის საძირკვლის ჩაყრის დროს თბილისში გამოდიოდა გაზ. „ივერია“, რომლის რედაქტორი იყო ილია ჭავჭავაძე“. 2. „შენობის საძირკვლის ჩაყრის დროს საქართველოში დაარსებული იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომლის თავმჯდომარე იყო ილია ჭავჭავაძე“. 3. „შენობის საძირკვლის ჩაყრის დროს თბილისში ჩამოყალიბებული იყო ეთნოგრაფიული საზოგადოება, რომლის დამაარსებელი ექვთიმე თაყაიშვილი იყო“ და სხვ.

საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი. საძირკველში ჩატანებულ აგურთა ერთ ნაწილზე ამოტვიფრული იყო „ქართული გიმნაზია“, ხოლო მეორე ნაწილზე — „ქართული უნივერსიტეტი“.[1]

ამ დღიდან იწყება ნიკო ცხვედაძის საარაკო მოღვაწეობა, რომელმაც 10 წლის მანძილზე დაუფასებელი ამაგი დასდო დიდებულ საერო საქმეს. იგი ათასგვარ ხერხს მიმართავდა, რათა არ გამჟღავნებულიყო საბოლოო მიზანი — შენობის საუნივერსიტეტოდ მზადება. მან ჯერ განაცხადა, შენობა ორსართულიანი იქნებაო, მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ კიდევ ორ სართულს დააშენებდა.

იმის გამო, რომ შენობის საუნივერსიტეტოდ გამოყენების იდეას სამშენებლო კომიტეტის წევრები, მათ შორის ილია, საიდუმლოდ ინახავდნენ, ნ. ცხვედაძე მშენებლობის გეგმას და ხარჯთაღრიცხვას შემცირებულად უჩვენებდა, რის გამოც მას ზოგი „უვიცს“ და ზოგი „წინდაუხედავს“ უწოდებდა. „მე რომ ნამდვილი ხარჯთაღრიცხვა წარმედგინა, ამ შენობას თვალით ვერ ნახავდითო“, უთქვამს შემდგომში ნ. ცხვედაძეს ცნობილ საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ჯაბადარისათვის.[2]

თანამედროვეთა გადმოცემით, ნ. ცხვედაძეს ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა გულგრილობა და ხელშეშლა ზედაფენების რეაქციულ წარმომადგენელთაგან. ეს გარემოება კარგად არის ასახული ჟურ. „კავკაზსკი კრაის“ 1905 წ. მეხუთე ნომერში გამოქვეყნებულ ო. შმერლინგის კარიკატურაში — მშენებლობის ფონზე მდგარ ნ. ცხვედაძეს ქვებს უშენენ თავადები, მღვდლები და ვაჭრები. დოინჯშემოყრილი ნ. ცხვედაძე კი პასუხობს: „თქვენ მესროლეთ, რამდენიც გინდათ! შენობას კი უეჭველად დავამთავრებ“.

ილია, მისთვის დამახასიათებელი თანმიმდევრობითა და პრინციპულობით, ატარებდა დასახული მიზნის ცხოვრებაში გატარებას — საუნივერსიტეტო ბინის მშენებლობისა და ფინანსირებისათვის თანხმობის მისაღებად „წინადაც საგანგებო ბჭობაშიც ვთქვი და ახლაც ვამბობ, — განუცხადა მან 1902 წ. სათავადაზნაურო კრებას, — რომ რაც თანხა გვაქვს, არ უნდა დავანაწილოთ, მით ჩვენ უნდა დავაკმაყოფილოთ მხოლოდ ერთი უმთავრესი საჭიროება და ამ უმთავრეს საჭიროებად კი მე მიმაჩნია სააზნაურო გიმნაზიის შენობის დამთავრება“.[1]

აღნიშნული ჩანაფიქრის განხორციელების საქმე კვლავ აქტიურად დგას დღის წესრიგში მომდევნო წლებშიც. დავიმოწმებთ კიდევ ერთ ფაქტს. „თუ რამ მოგვეპოვება, განა უნდა დავიშუროთ რამე ამ სკოლისათვის? წერს „ივერია“, — აი, ამ სკოლისაკენ უნდა ყოფილიყო მიპყრობილი უპირველეს ყოვლისა კრების ყურადღება, რადგან ამაზე უკეთესი დაწესებულება ჯერ სხვა არ მოიპოვება. მგონი ბევრი არა წაუხდება რა თავადაზნაურობას, რომ ამ ორიოდ წლის განმავლობაში სხვა ხარჯები შეემცირებინა, ზოგი სულაც გადაედო დროებით და 100 000 მანეთი მაინც მიეცა სკოლის ახალი შენობის დასამთავრებლადო“.[2]

საგულისხმოა ისიც, რომ ილია პერიოდულად იწვევდა თავის ბინაზე გიმნაზიის მესვეურებს და, სხვა საჭირბოროტო საკითხებთან ერთად, სთხოვდა, ეცნობებინათ მისთვის საგიმნაზიო ბინის მშენებლობის მიმდინარეობა. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა გიმნაზიის მასწავლებლის, ცნობილი პედაგოგის სეით იაშვილის შემდეგი მოგონება, რომელიც უკავშირდება 1902 წ. ექვთიმე თაყაიშვილსა და სხვებთან ერთად ილიასთან სტუმრობას, მის ბინაში გამართულ ერთერთ „ხუთშაბათობაზე“. „მასპინძელმა, — წერს იგი, — მეტად გულთბილად, საუცხოვო ღიმილითა და გაბრწყინებული თვალებით მიგვიღო და მოგვესალმა. ი. რატიშვილმა (გიმნაზიის ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელი, ს. ლ.) ილიას გააცნო ჩემი თავი — ჩვენი ახალი მასწავლებელიაო. „აბა, აბა, მოგვმართა შემდეგ ილიამ, — რას მეტყვით ჩვენი გიმნაზიის შესახებ? წელს რამდენმა მოწაფემ გაათავა გიმნაზია? იკითხა აგრეთვე ვაკეში ახალი სახლის მშენებლობის მსვლელობაზე და ბოლოს დასძინა — ყმაწვილებო, იცოდეთ, მაგ გიმნაზიას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ამ გიმნაზიაში ახალგაზრდები უნდა აღიზარდონ იმ მიმართულებით, რომელიც შეეფერება ჩვენი ერის მოთხოვნილებას.

---

1 „საბჭოთა ხელოვნება“, 1968, № 9.

2 ალ. ჯაბადარი, მოგონებანი, „მნათობი“, 1934, № 4, გვ. 203-204.

---

1 „ივერია“, 1902 წ., № 206-208.

2 „ივერია“, 1903 წ., 22 მაისი.

ამ სასწავლებელმა უნდა აგვღვიძაროს მხნე, შრომის და მამულის მოყვარე ყმაწვილები"...[1]

ბევრის მთქმელია ილიას ერთ-ერთი თანამებრძოლისა და „ივერიის" აქტიური თანამშრომლის გიგა ყიფშიძის შემდეგი გადმოცემა: „მცირე ამაგი არ დასდო ილიამ ჩვენს სახკოლო კომიტეტს და სათავადაზნაურო სკოლასაც. მაგ. სკოლას ხომ თვით ქართველობა ინახავდა თავისი ფულით. ე. ი. იმ ფულით, რომელსაც ბანკი იძლეოდა თავის წმინდა მოგებიდან... ილიას აზრით, სწავლა უწოდებრივი და საყოველთაო უნდა ყოფილიყო. შესანიშნავია იმის ფორმულა, ტრიადის სახით გამოთქმული: ლოცვა, სწავლა და წამლობა უსასყიდლოდ უნდა იყოს"[2]

გიმნაზია წოდებრივი იყო იმდენად, რამდენადაც მასზე ფინანსური მეურვეობა ვალდებულებად ჰქონდა აღებული თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურობის ბანკს. სინამდვილეში მოსწავლეთა კონტინგენტის მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ „დაბალი წრის" წარმომადგენლები შეადგენდნენ. მოვიშველიებთ სტატისტიკას: თუ 1880-81 წლებში გიმნაზიის 81 მოსწავლიდან 68 თავადაზნაური იყო, ხოლო 13 — სხვა წოდებათაგან, 1898 წელს თავადაზნაური 218, გლეხი — 276, მოქალაქე — 48, სასულიერო — 38, მოხელის შვილი — 29; 1915 წელს თავადაზნაური — 224, გლეხი — 344, მოქალაქე — 165, მოხელის შვილი — 53, სასულიერო წოდება — 65.[3]

როგორც დავინახეთ, ი. ჭავჭავაძე ბანკს ამოცანად უსახავდა ამ საშვილიშვილო საქმისათვის თანხების გამოყოფას შენობის მშენებლობის მთელ მანძილზე, რაც, აგრეთვე, დასტურდება ბანკის მომდევნო წლების ანგარიშებით.

საილუსტრაციოდ მოვიტანთ მარტო 1899-1905 წლების განმავლობაში ბანკის მიერ ამ მიზნით გამოყოფილი თანხების ოდენობას. 1899 წ. 12 ათასი მანეთი, 1900 წ. — 33568 მანეთი, 1901 წ. — 24192 მანეთი, 1902 წ. — 12000 მან. 1903 წ. 30000 მან. 1904 წ. 20 ათასი მან. 1905 წ. 11442 მან. აქედან ჩანს, რომ მარტო შვიდი წლის განმავლობაში ბანკს, მისი დამფუძნებლისა და თავმჯდომარის ი. ჭავჭავაძის არსებითი მონაწილეობით, თბილისის უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის მშენებლობისათვის სულ გამოუყვია 145202 მანეთი.[4]

---

1 ს. იაშვილი, მასალები თბილისის ქართული გიმნაზიის ისტორიისათვის (1879-1923 წწ.), თბ., 1956, გვ. 41.

2 მოგონებანი გარდასულ დღეთა. ილია, თბილისი, 1987, გვ. 99.

3 ნ. შველიძე, საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან, თბილისი, 1967, გვ. 199.

4 ცსსა, ფ. 478, საქ. № 114

ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება აქვე აღვნიშნოთ ისიც, რომ 1904 წლისათვის გიმნაზიის შენობის მშენებლობისათვის დახარჯული იყო სულ 271821 მანეთი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბანკი, პარალელურად აღნიშნულისა, „მშენებელ კომიტეტს" ყოველწლიურად სესხის სახით აძლევდა სათანადო თანხას, ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ სოლიდური იყო დახმარება ბანკის მხრივ მშენებლობის დროულად დამთავრების საქმეში.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამავე პერიოდში თბილისის სადგილმამულო ბანკს ქართული გიმნაზიის პედაგოგიური პერსონალისა და მოსწავლეთა კონტინგენტის შენახვისათვის გადაუცია 507878 მანეთი. ცხადია, ეს ორივე თანხა, მთლიანად 652575 მანეთის ოდენობით, უნდა ჩაითვალოს ფრიად სერიოზულ დახმარებად ისეთი ორგანიზაციისაგან, რომლის უფლება-მოსილება ხელისუფლების მიერ საკმაოდ იყო შეზღუდული.[1]

აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომელიც აშკარად გამოსჭვივის ჩვენს მიერ მიკვლეული საარქივო მასალებიდან. ყოველი საფინანსო საოპერაციო წლისათვის შედგენილი პროექტით ილია ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი თანხა გამოეთხოვა გიმნაზიის შენობისათვის, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ „ზედამხედველი კომიტეტი" მასში უთუოდ შეიტანდა კორექტივს. მაგალითად, 1902 წლისათვის ი. ჭავჭავაძემ, ანტონ ფურცელაძესთან ერთად, გიმნაზიის მშენებლობისათვის კატეგორიულად მოითხოვა 50 ათასი მანეთი, რაც შემდგომში 12000-მდე დაუყვანიათ.[2]

ქართული გიმნაზია თავის სანუკვარ ბინაში მეცადინეობას 1906 წ. 26 ნოემბერს შეუდგა. ილიას არ დასცალდა ბოლომდე მიეყვანა მშენებლობის დამთავრების საქმე, ვინაიდან 1905 წ. სექტემბრიდან იგი თავსანებებს ბანკში მუშაობას. ეს ნაბიჯი განაპირობა ხელისუფლების გადაწყვეტილებით ბანკის მოგების ანარიცხების განაწილებიდან გამგეობის ჩამოცილებამ და ამ ფუნქციის „თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საკრებულოს" კომპეტენციაში გადასვლამ. თანახმად ახალი წესისა, ამ დროიდან მოგება უნდა მოხმარებოდა არა საზოგადოებრივ საჭიროებას, არამედ წოდებრივ ინტერესს, მათ შორის გლეხთა მოძრაობის შედეგად თავადაზნაურობისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას და გლეხთა წინააღმდეგ საბრძოლველად იარაღის შეძენას. „რათ გინდათ, იარაღი რომ აგისხამთ? ვისთვის ამზადებთ თოფებსა, გლეხობისათვის? არ გაბედოთ, ახალეთ თავში ეგ იარაღი მათ, ვინც დაგირიგათ"! — მიუმართავს ილიას გაგულისებული

---

1 იქვე.

2 გაზ. „ივერია", 1902. № 206-208.

თავადაზნაურების წარმომადგენელთათვის, რომელთაც საამისოდ სპეციალური ე. წ. „შავი რაზმიც“ კი ჩამოაყალიბეს.[1]

არანაკლებ მნიშვნელოვანია ქრისტეფორე მამაცაშვილის მივიწყებული მოგონება, რომელიც მან გამოაქვეყნა ილიას დაკრძალვის დღეებში: „...ბანკის შემოსავალი, ვიდრე იგი თავადაზნაურობას გადაეცემოდა, მას განაგებდნენ დამფუძნებლები. ი. ჭავჭავაძე მთელ თავის გავლენას იყენებდა იმისათვის, რომ განათლებისათვის განკუთვნილი სახსრები მცირე გამონაკლისების გარდა არ გაფანტულიყო და მთლიანად მოხმარებოდა მხოლოდ ერთ საქმეს — ქართული გიმნაზიის შენობის დამთავრებას“... შემდეგ იგი სვამს საკითხს, რათა ი. ჭავჭავაძის უკვდავსაყოფად შეკრებილი თანხა მოხმარებოდა „მისი მუდმივი საზრუნავის — ქართული გიმნაზიის შენობის მშენებლობის დასრულების საქმეს“.[2]

თითქოს მოულოდნელია, მაგრამ ფაქტია, არსებობდნენ ისეთი პირები, რომლებიც დიდ შეცდომად უთვლიდნენ ილიას ბანკის მოგების მნიშვნელოვანი თანხით გიმნაზიის შენახვასა და მისთვის ბინის მშენებლობაში „ფულის ჩაყრას“. სახელდობრ, თავის მცირე მოგონებაში ილიაზე ზაქარია გიორგის ძე ერისთავს („ტფილისკი ლისტოკი“, 1907 წ. № 240 (ნეკროლოგი), სხვათაშორის, ნათქვამი აქვს: „მილიონები, რომელიც ეკუთვნოდა ბანკს და რომელსაც ილია განაგებდა, მისი წყალობით გამოუყენებული იყო უსარგებლოდ“. ამის საილუსტრაციოდ იგი უთითებს: „უკანასკნელი გროშები მან მოახმარა სათავადაზნაურო გიმნაზიის შენახვას და მისთვის ვერაზე წამოჭიმა უზარმაზარი შენობა“.

ვერ ვიტყვით, რომ ზ. ერისთავი პატივს არ სცემდა ი. ჭავჭავაძეს და მის ღვაწლს სამშობლოს წინაშე. მთავარი ისაა, რომ მას და კიდევ ბევრ სხვას ისე არ ესმოდათ არსი და საბოლოო მიზანი მშენებლობისა, როგორც ეს გააზრებული ჰქონდათ ქართული გიმნაზიის მშენებლობის ორგანიზატორებსა და, პირველ ყოვლისა, თვით ილიას. დასახანი სწორედ ისაა, რომ ამგვარი სამდურავი ი. ჭავჭავაძეს არაერთგზის მოუსმენია პირადადაც, როგორც საბანკო შეკრებებზე, ასევე სხვადასხვა საზოგადოებრივ თავყრილობებზე. დიდი მამულიშვილი მისთვის ჩვეული მოთმინებითა და სიდინჯით იგერიებდა დაუმსახურებელ შემოტევებს.

ისტორიამ სავსებით გაამართლა ილია ჭავჭავაძისა და მის თანამდგომთა ვარაუდი. ქართული გიმნაზია გადაიქცა ეროვნული ინტელიგენციისა და მეცნიერების სამჭედლოდ — უნივერსიტეტად.

---

1 მოგონებები გარდასულ დღეთა, ილია, თბილისი, 1987 წ., გვ. 568.

2 გაზ. „ტფილისკი ლისტოკი“, 1907, № 240.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ გოილაძე

# ეგრისის ისტორიის ერთი ფურცელი

305 წ. იმპერატორ დიოკლეტიანეს გადადგომის შემდეგ, რომის იმპერიის იდეოლოგიურ ცხოვრებაში არსებითი ცვლილება მოხდა. 311 წ. ნიკომედიაში გამოქვეყნდა იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის მბრძანებლის — გალერიუსის ედიქტი ქრისტიანობის დევნის შეწყვეტის, ხოლო 313 წელს ლიცინიუსის ედიქტი ქრისტიანობის წარმართობის თანასწორ რელიგიად გამოცხადების შესახებ. ცხადი იყო, ამიერიდან, ედიქტის გამომცემლები იმპერიის აღმ. ნაწილში ქრისტიანებსა და ქრისტიანულ ეკლესიას იწყნარებდნენ. 324 წ. სექტემბერში კონსტანტინე დიდი იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილსაც დაეუფლა და მის მიერ 325 წ. ქ. ნიკეაში პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევა, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებას ნიშნავდა.

311 წლიდან იმპერიის იდეოლოგიურ ცხოვრებაში მომხდარ გარდატეხას, პონტო-კაპადოკიისა და ქართლ-ეგრისის ტერიტორიებზე განსახლებული ქართველური მოდგმის ხალხები სხვადასხვა პოლიტიკურ ვითარებაში შეხვდნენ. პონტო-კაპადოკია უშუალოდ იმპერიის პროვინციებს წარმოადგენდა. თანაც, 311 წლისათვის ამ მხარეებში ქრისტიანობას უკვე დიდი ტრადიციები ჰქონდა — მოსახლეობა თითქმის მთლიანად ქრისტიანი იყო. ამიტომ, აღნიშნულმა ედიქტებმა მხოლოდ არსებული მდგომარეობა დააკანონა.

რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ ქართლისა და ეგრისის სახელმწიფოებში? ამ ქვეყნებში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღის დასადგენად გაწეული კვლევა-ძიების შედეგად დადასტურდა ცნობილი ბიზანტიელი საეკლესიო ისტორიკოსის გელასი კესარიელის (გარდ. დაახლ. 395 წ.) ცნობა ქართლისა და ეგრისის მოსახლეობის ერთდროულად მოქცევის შესახებ; გაირკვა, ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების დაწყებისას, ამ ქვეყნების ეკლესიებს უკვე საკუთარი საჭეთმპყრობლები განაგებდნენ.

კაპადოკია-პონტო-ქართლი-ეგრისი, როგორც პროფ. გ. გოზალიშვილი წერს, მართალია, ის „ერთიანი ეთნიკური სამყარო იყო, რომელიც ერთიანი კულტურული ცხოვრებით ცხოვრობდა“, დიდი იყო პონტო-კაპადოკიის უძველესი ქრისტიანული ცენტრების როლი ქართლ-ეგრისში ქრისტიანობის გამარჯვების საქმეში, მაგრამ ამ ბოლო დრომდე ქართველ მკვლევარებს მხედველობიდან რჩებოდათ 298 წ. ნისიბისში, ირანსა და რომის იმპერიას შორის დადებული ორმოცწლიანი ზავის პირობები. ზავის თანახმად, ირანმა სომხეთსა და ქართლზე რომის იმპერიის ზემდგომობა აღიარა (იმპერიის გავლენაში ეგრისის სამეფო უფრო ადრე იყო მოქცეული). ამ დროიდან დასახელებული ქვეყნების მეფეებს სამეფო ნიშნები რომის იმპერატორისაგან უნდა მიეღოთ. ნისიბისის ზავის პირობებიდან გამომდინარე, 298 წ. დიოკლეტიანემ (284-305) სომხეთის ტახტზე თრდატ III დასვა. ჩანს, ამავე წელს დაიკავა სამეფო ტახტი მირიანმა და სამეფო ნიშნები მანაც დიოკლეტიანესაგან მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული ქვეყნები „ნომინალურად იყვნენ დამოკიდებულნი რომზე“ (ლ. ჯანაშია), ფაქტი ერთია — 298 წლიდან სომხეთი, ქართლი და ეგრისი რომის იმპერიის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ორბიტაში იყვნენ მოქცეულნი, რომთან უშუალო ურთიერთობის გამო, ამ დროიდან მათში კულტურული განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო. ამიტომ, ცხადია, 311 წლიდან იმპერიის იდეოლოგიურ ცხოვრებაში მომხდარი გარდატეხა რომის გავლენაში მყოფი ამიერკავკასიის ქვეყ-

ნებშიც ცვლილებებს გამოიწვევდა. მაგრამ იყო მზად იმ დროის ამიერკავკასიის ქვეყნები, რათა მათშიც 311/313 წლის მომდევნო ახლო ხანიდან ქრისტიანობას გაემარჯვა?

პონტო-კაპადოკიაში, როგორც ითქვა, ქრისტიანობას უძველესი ტრადიციები ჰქონდა. პალესტინელი საეკლესიო მოღვაწე და ისტორიკოსი ევსევი კესარიელი (გარდ. 340 წ.) პონტოს ეპისკოპოსებს ჯერ კიდევ II ს. დასასრულისათვის იხსენიებს (წ. V, თ. XXIII). მისივე ცნობით, III ს. შუახანებში კაპადოკიის დედაქალაქის კესარიის (ახლანდ. კაისარი, თურქეთში) ეპისკოპოსის ფირმილიანოსის თანადროულად პონტოს ეკლესიას ორიგენის მოწაფე გრიგოლი განაგებდა (წ. VII, თ. XIV).

ევსევი კესარიელის მიერ დასახელებული გრიგოლი ადრექრისტიანულ სამყაროში ცნობილი საეკლესიო მოღვაწე გრიგოლ სასწაულმოქმედია. იგი პონტოს მთავარი ქალაქის ნეოკესარიის (ახლანდ. ნიქსარი, თურქეთში) ეპისკოპოსი იყო. როგორც მის „ცხოვრებაშია“ ნათქვამი, 270 წელს, გრიგოლის გარდაცვალებისას, ნეოკესარიის მოსახლეობა უკვე ქრისტიანი ყოფილა.

აღნიშნულის შემდეგ, გასაგები ხდება, ქართლსა და ეგრისში ქრისტიანობამ რატომ შემოაღწია პონტო-კაპადოკიის ქრისტიანული ცენტრებიდან. სწორედ „...კაპადოკია რომ იყო ის რელიგიური და სამწერლო ცენტრი, საიდანაც ჩვენში გავრცელდა ქრისტიანობა და რომელმაც თავისი დაღი დაატყო ამ ახალი სარწმუნოების გავრცელებას მთელს საქართველოში“ (ი. ლოლაშვილი).

როგორც ქართლის მოქცევის დათარიღებისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში (წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლისა და ქართლის მოქცევის დათარიღებისათვის, „მნათობი“, 1986, № 2) ვწერდი, ქართლის სამეფო კარმა და მოსახლეობამ ქრისტიანობა 317-318 წელს აღიარა, ხოლო ქართლის ეკლესიის პირველი საეთემპყრობლის იოანეს ხელდასხმა, რაც იმპერიის მიერ ქართლის ეკლესიის ოფიციალურად აღიარებას ნიშნავდა, ნიკეის კრების დაწყების წინ შედგა. მეორე მხრივ, ბიზანტიელი ავტორები ეგრისისა და ქართლის მოქცევას რადგან ერთდროულად მომხდარ მოვლენად მიიჩნევენ, ეგრისში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებაც ნიკეის კრების წინა ხანაშია სავარაუდო.

ბიზანტიელ ავტორთა ცნობები, ასევე, ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე პიტიუნტის (ახლანდ. ბიჭვინთა) ეპისკოპოსის სტრატოფილეს მონაწილეობა, IV-V საუკუნეების ბიჭვინთაში ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის გამოსახულებით შემკული ჭურჭლის ხმარება; წებელდის ნეკროპოლის სამარხებში დამარხვის წმინდა ქრისტიანული წესი პროფ. ნ. ლომოურმა სამართლიანად მიიჩნია იმის დამადასტურებლად IV ს. დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა მყარად დამკვიდრებული რელიგია რომ იყო. ნ. ლომოურის მტკიცებით, ეგრისში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, ქართლის თანადროულად მოხდა (ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, გვ. 112-120).

ქრისტიანობის გამარჯვება ეგრისში რომ 325 წლის წინა ხანებში იყო სავარაუდო, ამას ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ბიჭვინთის ეპისკოპოსის — სტრატოფილეს მონაწილეობაც მოწმობს, მაგრამ საკითხის ასე დაყენებასა და გადაჭრას შემდეგი გარემოებანი ართულებდა: გარდა იმისა, რომ ბიზანტიელი ქრონისტი თეოფანე ჟამთააღმწერელი (VIII-IX სს.) 528 წლის ქვეშ გადმოსცემს ეგრისის მეფის წათეს სპარსელებისაგან განდგომის, კონსტანტინოპოლში ჩასვლისა და იქ მონათვლის ამბავს (გეორგიკა, IV, ნაწ. I, გვ. 77-78), მკვლევართა ერთი ნაწილი ბიჭვინთის ეპისკოპოს სტრატოფილეს ბიჭვინთის ბერძნულენოვანი კოლონიის ეპისკოპოსად მიიჩნევდა (ამის დამადასტურებლად მისი სახელის ბერძნულ წარმომავლობასაც იმოწმებდნენ).

სწორედ ზემოაღნიშნულის გამო, ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ უკანასკნელ ხანებამდე, ეგრისში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღად 523 წელი იყო მიღებული (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია, თბ., ტ. I, გვ. 282-283; ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 229-235; საქ. ისტორია, თბ., 1946, გვ. 112-118; საქ. ისტორია, თბ., 1958, გვ. 99).

დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად ასე დაგვიანებით გამოცხადებას, ეგრისის მეფეთა ანტირომაული ტენდენციების გამოვლენით ხსნიდნენ, თუმცა ითვლებოდა, რომ ეგრისში ქრისტიანობა დიდი ხნით ადრე უნდა ყოფილიყო შესული (იხ. დასახ. ლიტერატურა).

აკად. ს. ყაუხჩიშვილმა ჯერ 1948 წელს (ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, გვ. 42, სქოლიო), შემდეგ 1961 წელს „გეორგიკის“ I ტომში სცადა დაესაბუთებინა 325 წლისათვის ეგრისში ქრისტიანობა გავრცელებული რომ უნდა ყოფილიყო. მისი მტკიცებით, 325 წელს ნიკეის კრებაზე დას. საქართველოს ერთ-ერთი ეკონომიკური და კულტურული ცენტრიდან — ბიჭვინთიდან ეპისკოპოსის მონაწილეობა მოწმობს იმ დროისათვის იქ ძლიერი ქრისტიანული ორგანიზაციის არსებობას. მასში ბერძენ კოლონისტებთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობაც უნდა ყოფილიყო გაერთიანებული. ამიტომ იხსენიება, — დასძენს იგი, — ნიკეის კრებიდან ცოტა ხნის შემდეგ, ადგილობრივ მცხოვრებთა მოთაოსნობით აგებული ტაძრის მოზაიკურ წარწერაში ქტიტორად ქართველი

წარჩინებული „ორელი". მისივე შენიშვნით, მართალია, ბიჭვინთის ეპისკოპოსის სახელი „სტრატოფილე" ბერძნულია. მაგრამ მარტო სახელის მიხედვით ამ ეპისკოპოსის ბერძენად ჩათვლა არ შეიძლება. ჯერ კიდევ ქრისტიანობის შემოსვლამდე, — ასკვნის ზ. ყაუხჩიშვილი, — დას. საქართველოს საბერძნეთთან ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდა და ამ ურთიერთობის შედეგად ადრიდანვე გავრცელდა საქართველოში მრავალი პირთა სახელი ბერძნული ფორმით (გეორგიკა, I, გვ. 6-10).

ამრიგად, საეჭვო არა ჩანს IV ს. დამდეგისათვის ეგრისში ქრისტიანობა საკმაოდ ფეხმოკიდებული რომ იყო, მაგრამ რომელ წელს იქნა იგი აღიარებული სახელმწიფო რელიგიად?

დასავლურ-ქართული სახელმწიფო — ეგრისი წარმოქმნისთანავე, თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, რომის იმპერიის ინტერესთა სფეროში მოექცა. რის გამოც, იგი რომის იმპერიაში მიმდინარე კულტურულ და პოლიტიკურ ამბებში უშუალოდ იქნა ჩართული. აღნიშნულთან ერთად, ეგრისი და უძველესი ქრისტიანული ტრადიციების მქონე პონტო-კაპადოკია ხომ „ერთიანი კულტურული ცხოვრებით ცხოვრობდა". ამიტომ, ცხადია, იმპერიის აღმ. ნაწილის გამგებლის — გალერიუსის მიერ 811 წელს ქრისტიანთა შემწყალებლობის ედიქტის გამოქვეყნების შემდეგ იმპერიაში ქრისტიანობის სასარგებლოდ მომხდარი ძვრები, ეგრისის სამეფო კარისა და მოსახლეობის წინაშეც დასვამდა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საკითხს. სწორედ აღნიშნულის გამოხატულება უნდა იყოს, გელასი კესარიელი „პონტოს გასწვრივ მდებარე მიწაწყალზე მცხოვრები იბერებისა და ლაზების" მიერ ქრისტიანობის მიღებას კონსტანტინე დიდის დროს რომ უკავშირებს (გეორგიკა, I, გვ. 186; 245-246).

გელასი კესარიელის ცნობა V ს. ბიზანტიელი საეკლესიო ისტორიკოსის გელასი კვიზიკელის თხზულებაშია შემონახული (გეორგიკა, I, გვ. 194). რადგანაც სხვა ბიზანტიელ ავტორებს (სოკრატე, სოზომენე, თეოდორიტე კვირელი, ნიკიფორე კალისტოსი) და თვით გელასი კესარიელის ისტორიის ლათინურ ენაზე მთარგმნელს რუფინუსს არ მოეპოვება ცნობა ლაზების იბერებთან ერთდროულად მოქცევის შესახებ, ივ. ჯავახიშვილმა „ლაზების" ტექსტში თვით გელასი კვიზიკელის ჩანართად მიიჩნია. თუმცა, ცნობას იმის დამადასტურებლად თვლიდა, V ს-თვის დას. საქართველო დიდი ხნის გაქრისტიანებული რომ უნდა ყოფილიყო (თხზ., ტ. I, გვ. 269-270). ნ. ლომოურის თანახმად, ცნობა, რომ გელასი კვიზიკელის ჩანამატი იყოს, ამ შემთხვევაშიც, იგი ბევრის მეტყველია, რადგან გელასი კვიზიკელის მოღვაწეობის დროისათვის ეგრისის გაქრისტიანება დიდი ხნის წინათ მომხდარ ფაქტად, ქართლის გაქრისტიანების თანადროულ მოვლენად არის მიჩნეული (ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 120).

გელასი კვიზიკელის მოღვაწეობის დროისათვის დას. საქართველოში ქრისტიანობა მართლაც დიდი ხნის წინათ რომ იყო სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებული, ეს V ს-ის სომეხი ისტორიკოსის აგათანგელოსის „გრიგოლ პართელის ცხოვრებაში" შემონახული ცნობით დასტურდება. ცნობიდან ჩანს, რომ ეგრისის, აფხაზეთისა და ბასიანის (სამხრ.-დას. საქართველო) ეკლესიათა პირველ საჭეთმპყრობელთა დანიშვნა ნიკეის კრების წინ კაპადოკიის კესარიის ეპისკოპოსის ლეონტის მოღვაწეობის ხანაში (314/315-325) თვით ლეონტის ჩარევით მომხდარა. (კრება 325 წ. ივნისში დაიწყო და ლეონტი, როგორც არიანელი გადაყენებული იქნა).

აგათანგელოსის ცნობები ეგრისში ქრისტიანობის გამარჯვების საკითხის გადასაწყვეტად დღემდე არ ყოფილა გამოყენებული. ქვემოთ სწორედ მასზე მექნება საუბარი.

აგათანგელოსის თანახმად, მას შემდეგ, რაც სომეხთა განმანათლებელი გრიგოლი კაპადოკიის დედაქალაქში ლეონტი კესარიელის მიერ სომეხთა ეპისკოპოსად იქნა ხელდასხმული, მან, ლეონტის დავალებით, კაპადოკიის ქ. სებასტიაში (ახლანდ. ქ. სივასი, მდებარეობს მდ. ყიზილ-ირმაქის (ძველი ჰალისი) ზემო დინებაზე, თურქეთში) გამოიარა, სადაც იგი დიდი პატივით მიიღეს. გრიგოლის თან ჰქონდა წერილი ლეონტისაგან სებასტიის ეპისკოპოს პეტრესადმი, რომელშიც იგი პეტრეს სთხოვდა, ისიც წასულიყო მათთან ერთად და „დაესვა ისინი ტახტზე, როგორც ამას საეკლესიო კანონები მოითხოვდა" (არაბული ვერსია, გვ. 181). სებასტიიდან გრიგოლიმ წამოიყვანა მღვდლები და მონაზვნები, რათა ისინი „სომხეთის ეკლესიის მღვდლებად გაეხადა". სომხეთში ჩასული სასულიერო პირები „ეპისკოპოსმა პეტრემ აკურთხა წესისამებრ", ასევე; „ქრისტეს მოწაფეთა ტახტზე კანონის წესით დასვა ნეტარი" (ე. ი. გრიგოლი) და ამით დაამთავრა სომხური ეკლესიის ორგანიზაცია. ამიტომ, „ცხოვრებაში" არსებული შემდეგი ცნობები თითქოს სომხეთში მომავალი გრიგოლისა და პეტრე სებასტიელის შესახვედრად გამგზავრებულ სომეხთა მეფე თრდატს თითქოს თან ხლებოდეს ქართველთა, რუსთა (ე. გარიტის ვარაუდით ლაზთა) და ალანთა მეფეები (არაბ. ვერსია, გვ. 183-185), რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეეფერება. ივ. ჯავახიშვილმა ამ ცნობათა გაანალიზებისას აჩვენა, რომ ძველ წყაროთა მონაცემებიდან გამომდინარე, გრიგოლის მიერ არა თუ სომხეთის მეზობელი ქვეყნების, თვით მთელი სომხეთის მოქცევაც არ დასტუ-

რიდება (ძველი სომხ. საისტორიო მწერლობა, თბ., 1935, გვ. 111-112). უკიდურეს შემთხვევაში, გრიგოლი მხოლოდ ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში, ან მოსაზღვრე სომხეთის ნაწილის განმანათლებლად შეიძლება იქნას მიჩნეული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, „ცხოვრებაში“ არსებულ იმ ცნობებს, რომლებშიც საქართველოს, აფხაზეთის, ბასიანისა და ალბანეთის (რუსეთზე აქ აღარაფერს ვამბობ) ეკლესიათა მეთაურების დანიშვნაზეა საუბარი, სომეხთა განმანათლებლად მიჩნეულ გრიგოლის მოღვაწეობასთან არავითარი კავშირი არა აქვს, გარდა იმისა, რომ დასახელებულ ხელმწიფოთა ეკლესიათა მომავალი მეთაურები, პეტრე სებასტიელის ხელმძღვანელობით გრიგოლთან ერთად მოვიდნენ კაპადოკიიდან.

დასახელებულ ეკლესიათა საჭეთმპყრობლობის დანიშვნა რომ სომხური ეკლესიის კომპეტენციაში ყოფილიყო, როგორც ეს „ცხოვრების“ არაბულად მთარგმნელს გაუკეთებია, რა თქმა უნდა, გრიგოლი ამ თანამდებობებზე სომხებს განაწესებდა. „ცხოვრებაში“ კი ხაზგასმითაა მითითება სასულიერო პირთა კაპადოკიური (ქართული) წარმომავლობისა და სებასტიიდან მათი მოსვლის შესახებ. როგორც ზემოთ ვნახეთ, ლეონტიმ ხომ პეტრე სებასტიელს სთხოვა წასულიყო მათთან ერთად და „დაესვა ისინი ტახტზე, როგორც ამას საეკლესიო კანონები მოითხოვდა“.

ახლა რაც შეეხება თვით ცნობებს. „ერთი ქართველი, იმათთაგან, ვინც მათთან (პეტრესა და გრიგოლთან, ვ. გ.) ერთად, სებასტიიდან მოვიდა, — ნათქვამია „ცხოვრებაში“, — სახელად იბირ-ბ-ზ-ხუა აკურთხა მიტროპოლიტად და გაემგზავრა, რათა მთელი საქართველოსათვის ეპისკოპოსები დაენიშნა. ის იყო ცხოვრების წესით სამაგალითო, ღვთისმოსავი, საეკლესიო წიგნთა მცოდნე. იგი დიაკონი იყო, როცა ორმოც წამებულთა ნეშტი მოიპოვეს.[1] ამ მოპოვების თვითმხილველი ქართით იყო მოსილი. ამიტომ ამაღლა იგი (უნდა ვიგულისხმოთ, რომ ლეონტი [illegible]) ამ ხარისხში. და გაგზავნა აფხაზეთს [illegible] სოფრონიუსი, იგი მღვდელი იყო კაპადოკიიდან. და გაგზავნა მან ევთალიუსი ბასიანთა ქვეყანაში ეპისკოპოსად. ალანთა ქვეყანაში დანიშნა გამორჩეული კაცი თომა, რომელიც პატარა ქ. სატალადან იყო. ესენი იყვნენ იმათგან, ვინც სებასტიიდან მოვიდნენ და წმინდა წიგნების მცოდნე იყვნენ (არაბ. ვერსია, გვ. 187).

„ცხოვრების“ ცნობები, როგორც ვხედავთ, მეტად საინტერესოა ეგრისის, აფხაზეთის, ბასიანისა და ალანეთის (ალბანეთის) ეკლესიათა ორგანიზაციის ისტორიისათვის. რაც მთავარია, ამ მხარეებში ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარების დასათარიღებლად. მსგავსი შინაარსის ცნობები სხვა საისტორიო წყაროებში არ მოიპოვება. ამიტომ აგათანგელოსის თხზულების ბერძნულ, განსაკუთრებით კი არაბულ ვერსიაში შემონახული მონაცემები დას. საქართველოს ეკლესიის ისტორიისათვის უნიკალურია.

დასახელებული ქვეყნების ეკლესიათა მეთაურებად კაპადოკიის სებასტიიდან მოსული სასულიერო პირების დანიშვნას (ეკლესიათა ორგანიზაციას), რა თქმა უნდა, წინ უძღოდა ამ ქვეყნების მოსახლეობაში პონტო-კაპადოკიიდან გამოსული მისიონერების მრავალწლიანი მოღვაწეობა. მართალია, ამ მისიონერთა შესახებ არავითარი ცნობა არა გვაქვს, მაგრამ, ფაქტი ერთია, ეგრისის, აფხაზეთისა, ბასიანისა და ალბანეთის მოსახლეობისათვის ეპისკოპოსთა ოფიციალურად დანიშვნა ლეონტის ეპისკოპოსობის ხანაში მოხდა, რაც ამ ქვეყნებში ოფიციალურად აღიარებული ქრისტიანობის იმპერიის მხრივ დადასტურებას ნიშნავდა.

აქვე უნდა აღვნიშნო, ცნობაში, მართალია, „მთელ საქართველოზეა“ ლაპარაკი, მაგრამ, როგორც ნ. მარი წერს, მასში მხოლოდ დასავლეთი საქართველო იგულისხმება. მეორეც, პეტრე სებასტიელის მიერ იბირ-ბ-ზ-ხუას ეგრისის ეპისკოპოსად ხელდასხმის შემდეგ, ამ უკანასკნელს უნდა დაენიშნა ეპისკოპოსები ეგრისის სხვადასხვა პუნქტებში.

საეჭვო არც ის უნდა იყოს, ეგრისის, აფხაზეთის, ბასიანისა და ალბანეთის ეკლესიათა მეთაურებად დანიშნული სასულიერო პირები, ისევე როგორც გრიგოლი, კაპადოკიის ეკლესიის საჭეთმპყრობლის ლეონტი კესარიელის მიერ რომ უნდა ყოფილიყვნენ ხელდასხმულნი კესარიაში. მართალია, ეს აგათანგელოსის თხზულების ბერძნული და არაბული ვერსიებიდან არა ჩანს, მაგრამ ასეთი რამ მათში იგულისხმება. სომეხთა განმანათლებლისა და პირველი

---

1 „ერის კაცნი ვინმე კაბადოკიაჲსა სოფლისანი“, როგორც ეს ორმოც სებასტიელ წამებულთა ძველქართულ თარგმანშია ნათქვამი, ქრისტიანთა დიდი დევნის დროს (როგორც ჩანს 303 წ.) 9 მარტს იწამენ. „წამების“ ცნობით დგინდება, რომ იმ ხანად სებასტია ქ. კესარიის დუქს ემორჩილებოდა (ისევე როგორც სებასტიის ეკლესია ემორჩილებოდა კესარიის ეპისკოპოსს). კესარიიდან სებასტიაში ჩასული დუქის ბრძანებით სებასტიელი ქრისტიანები ყინვიან ღამეს ტბაში შიშვლები შერეკეს. შემდეგ მათი გვამები დაწვეს და ნარჩენები დამალეს, რომ ქრისტიანებს არ ეპოვათ. 3 დღის შემდეგ ქრისტიანებმა წამებულთა ძვლები იპოვეს და „დაჰკრძალეს ლუსკუმასა“ (ხელნაწერთა ინ-ტის მოამბე, IV. 1962), აი, ამ ამბების თვითმხილველად იხსენიება ეგრისელთა პირველი ეპისკოპოსი.

ეპისკოპოსის გრიგოლის შესახებ „ცხოვრება-ში“ ხომ პირდაპირაა ნათქვამი, რომ იგი კესარიაში აღიზარდა, იქ ეზიარა ქრისტეს მცნებას და იქვე იქნა ხელდასხმული სომეხთა ეპისკოპოსად.

კაპადოკიის დედაქალაქის — კესარიის ეკლესია, სადაც ზემოდასახელებული ქვეყნების ეკლესიათა მეთაურები იქნენ ხელდასხმულნი, იმპერიის აზიურ ნაწილში ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებულ ეკლესიათა შორის ერთ-ერთი უძლიერესი იყო. მას ადგილობრივი — კაპადოკიური წარმოშობის სასულიერო პირები განაგებდნენ. ერთ-ერთი ასეთი იყო ლეონტი. პონტო-კაპადოკიაში ლეონტის დაწინაურებული მდგომარეობა კარგადაა ასახული წერილში, რომელიც სომხეთის მეფეს თრდატს (298-330) კესარიაში ხელდასასხმელად მიმავალი გრიგოლისათვის გაუტანებია. „ცხოვრებაში“ შემონახულ ამ წერილში თრდატი ლეონტის უწოდებს „ჩვენს ბატონს, კაპადოკიისა და პონტოს (ეკლესიათა) თავთა თავს“ (არაბ. ვერსია, გვ. 125).

რადგანაც, ისევე როგორც სომხეთის, ეგრისის, აფხაზეთის, ბასიანისა და ალბანეთის ეკლესიათა მეთაურები კაპადოკიის კესარიაში უნდა ყოფილიყვნენ ხელდასხმულნი, ამ ეკლესიებზე კესარიის ეკლესიის ზემდგომობა დამყარდა (მათზე კესარიის ეპისკოპოსები თავიანთ ხელისუფლებას, როგორც ჩანს, სებასტიის ეპისკოპოსთა საშუალებით ახორციელებდნენ), მაგრამ, რადგანაც თვით კაპადოკიის ეკლესია, თავის მხრივ, ანტიოქიის ეკლესიას ემორჩილებოდა, საბოლოოდ დასავლურ ქართული სახელმწიფოს — ეგრისის ეკლესიის (ისევე როგორც სომხეთის, აფხაზეთისა და ქართლის) უზენაესი მეურვე ანტიოქიის ეკლესია შეიქმნა. ამიტომ არაა მართებული ქართ. საბჭ. ენციკლოპედიაში, IV ს-ის I ნახევარში, ეგრისში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან ერთად, ეგრისის ეკლესია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებულად რომ არის გამოცხადებული (ქსე. სტ. ეგრისის სამეფო).

იმპერიის ახალი დედაქალაქის — კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის დაწინაურება, მართალია, პატარა ქალაქ ბიზანტიონის კონსტანტინოპოლად გამოცხადებისთანავე დაიწყო, მაგრამ, კარგა ხანს, იგი სამწყსოს გარეშე რჩებოდა. კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსმა ანტიოქიის ეპისკოპოსისაგან პონტო და მის მეზობლად, იმპერიის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ხალხებზე ზემდგომობის უფლება მხოლოდ 451 წელს, ქალკედონის მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების 28-ე კანონით მიიღო (მსოფლიო საეკლ. კრებათა კანონები, მოსკ. 1877, გვ. 246). რაც შეეხება თვით კაპადოკიას (ანატოლიის ტერიტორია), იგი ისევ ანტიოქიის ეკლესიის გამგებლობაში დარჩა. XII ს. ცნობილი ბიზანტიელი კანონისტი თ. ბალსამონი [illegible] დასახელებული 28-ე კანონის კომენტარებში წერს, რომ ამ კანონით კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს დამორჩილდა აზიაში პონტოს სამიტროპოლიტოები შავი ზღვის სანაპიროდან ტრაპიზონამდე და მის იქით ქვეყნის შიგნით, ასევე ასია (ძვ. რომაული პროვინცია აზია, ქ. ეფესოს მახლობლად მცხოვრებნი), ლიკია, პამფილია და არა ანატოლიაც, როგორც ზოგი ლაპარაკობს, ანატოლიის ეპისკოპოსებს ანტიოქიელი პატრიარქი აკურთხებსო (იქვე, გვ. 248).

ქართული ეკლესიათა შესახებ ზემომოტანილი ცნობები გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრების“ ბერძნულ და არაბულ ვერსიებშია. მსგავსი ცნობები, რადგან „ცხოვრების“ სომხურ და მისგან მომდინარე ძველ ქართულ თარგმანში (როგორც ი. აბულაძე ამტკიცებს) არ არის, უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი „ცხოვრების“ ბერძნულ ვერსიაში, საიდანაც შემდეგ არაბულად ითარგმნა, დღეისათვის ჩვენთვის უცნობი წყაროდან უნდა იყოს შეტანილი. შესაძლებელია, აგათანგელოსისა და გელასი კვიზიკელის მოღვაწეობის დროისათვის (V ს.) ჯერ კიდევ არსებობდა ისეთი თხზულება, რომელშიც დას. საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლისა და გამარჯვების ამბავი იყო მოთხრობილი. იქნებ ასეთი ცნობების ჩაწერა-ფიქსირება თავის დროზე კაპადოკიურ სამყაროში, თვით იმპერიის ეკლესიის მოთხოვნით ხდებოდა. ისევე როგორც ქართლში ჩამოსულმა ბრანჯმა მთავარდიაკონმა აღწერა ქართლში მომხდარი ამბები და წაიღო ბრანჯეთს, გამორიცხული არაა ასე მოიქცა პეტრე სებასტიელიც. და ამ აღწერილობიდან შევიდა შემდეგ აგათანგელოსის თხზულების ბერძნულ ვერსიაში ცნობები ეგრისის, აფხაზეთისა და ბასიანის ეკლესიათა შესახებ. ვფიქრობ, მხოლოდ ამ მხრივ შეიძლება აიხსნას აგათანგელოსის თხზულებაში არსებული ქართველიზმებისა (მაგ., გოჯი, გონჯი, შლუ (საბას განმარტებით ჭკუა ნაკლები) და სხვა. არაბ. ვერსია. გვ. 150-157) და გეოგრაფიულ სახელთა წარმომავლობა. რაც მთავარია, ამ თხზულებაში ეგრისის, აფხაზეთისა და ბასიანის ეკლესიათა შესახებ არსებულ ცნობათა რეალური ხასიათი.

ახლა ვნახოთ რას უნდა ნიშავდეს ეგრისის პირველი ეპისკოპოსის სახელი იბირ-ბ-ზ-ხუა. ნ. მარის თანახმად, სახელის მეორე ნაწილი ზ-ხ-უა ე. ი. სკუა მეგრული სიტყვაა და ძეს ნიშნავს. იბირ-ბ-ზხუა, იბერებ-ზხუა, დასძენს იგი, — უნდა ნიშნავდეს „იბერის ძეს“ — იბერს და მართლაც, „ცხოვრების“ არაბული ვერსია ხომ გვაუწყებს, ეს მიტროპოლიტი ქართველი, იბერი იყოო (არაბ. ვერსია, გვ. 172. ბერძნულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერსიაში ეგრისელთა პირველი მიტროპოლიტი ირენარხოსად წოდება. გეორგიკა, I, გვ. 72).

ასე რომ, სებასტიიდან მოსული და ეგრისის ეკლესიის პირველ საჭეთმპყრობლად დანიშნული პიროვნების ქართველობა მისი სახელის ანალიზითაც დასტურდება. იქნებ წარმოშობით, ასევე ქართველები იყვნენ აფხაზეთის პირველ ეპისკოპოსად დანიშნული „კაპადოკიელი მღვდელი" სოფრონიუსი და ბასიანის ეპისკოპოსი ევთალიოსი? რაც მთავარია, ამ პიროვნებათა ხელდასხმა კაპადოკიის კესარიაში მოხდა ლეონტი კესარიელის მიერ ნიკეის კრების დაწყებამდე. ეს იმაზე მიგვანიშნებს, ეგრისის სამეფო კარს ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გალერიუსისა და ლიცინიუსის ედიქტების (311/318 წ.) შემდეგ ჩქარა რომ უნდა ეღიარებინა. ეს აღიარება იმპერიის ეკლესიას ნიკეის კრების დაწყებამდე დაუდასტურებია.

როგორც ქართლის მოქცევისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში ვაჩვენე, სომხეთი ქართლის თანადროულად, დაახლ. 818 წ. მოიქცა (იხ. წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლისა..., გვ. 162). მეორე მხრივ კი, ეგრისის ეკლესიის პირველი საჭეთმპყრობელი „იბერის ძე" რადგან სომეხთა ეკლესიის მეთაურად ხელდასხმულ გრიგოლთან ერთად მოვიდა კაპადოკიიდან ეგრისში და პეტრე სებასტიელმა მოახდინა სომხეთის, ეგრისის, ბასიანის, აფხაზეთისა და ალბანეთის ეკლესიათა ორგანიზაცია, „იბერის ძის" ხელდასხმა ეგრისის ეკლესიის მეთაურად (ასევე სოფრონიუსისა — აფხაზეთის, ევთალიუსისა — ბასიანის და თომასი — ალბანეთის), 825 წლამდე უნდა მომხდარიყო (325 წელს ლეონტი, როგორც ითქვა, გადაყენებული იქნა. ამიტომ, ცხადია, მას 825 წლამდე უნდა მოეხდინა დასახელებულ პირთა ხელდასხმა). ამ წლისთვის ეგრისში უკვე რამდენიმე ეპისკოპოსი იჯდა.

ასე რომ, გელასი კესარიელის ცნობა ქართლისა და ეგრისის ერთდროულად მოქცევის შესახებ სწორია. და მართლაც, როგორც ზემოთ ვაჩვენე, 298 წლიდან ამიერკავკასიის ქვეყნები ხომ რომის იმპერიის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ორბიტაში იყვნენ ჩაბმულნი.

ეგრისში ქრისტიანობის გამარჯვებასთან დაკავშირებით ერთი საკითხიც უნდა გაირკვეს. კერძოდ, სად უნდა ყოფილიყო ეგრისის ეკლესიის პირველ მეთაურთა რეზიდენცია?

ნ. მარის თანახმად, ეგრისის ეკლესიის პირველი მწყემსმთავრის სიახლოვე ორმოც სებასტიელ წამებულთან, წამებულთა ნეშთის მოპოვებასა და დაკრძალვაში მისი მონაწილეობა საშუალებას გვაძლევს ავხსნათ სამეგრელოს მნიშვნელოვანი წმინდა ადგილის — მარტვილის მონასტრის სახელწოდება. ყველას კარგად ესმოდა, — დასძენს იგი, — „მარტვილი" ბერძნული სიტყვისაგან „მარტური" (წამება) რომ მომდინარეობდა, მაგრამ მარტვილის ტაძარი ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა და ამიტომ სახელი „მარტვილი" რეალურად გაუგებარი ჩანდა. თავისთავად ცხადია, იბერ-მეგრელთა პირველი მიტროპოლიტი, რომელიც ახლოს იყო გაცნობილი სებასტიელ ორმოც წამებულთა ნეშტთა მოპოვების საქმეს, თავის პირველსავე ეკლესიას სებასტიელ წმინდანთა პატივსაცემად მათ სახელზე ააგებდა (არაბ. ვერსია, გვ. 172).

ნ. მარის მოსაზრება ეგრისის პირველი ეპისკოპოსის მიერ მარტვილის მონასტრის ორმოც წამებულთა სახელზე აგების შესახებ თითქოს ახლოს უნდა იყოს ჭეშმარიტებასთან, მაგრამ ამ ბოლო ხანებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გაირკვა, რომ ეგრისის სამეფოს დედაქალაქ ციხეგოჯში (ძველი არქეოპოლისი, ახლანდ. სოფ. ნოქალაქევი, ცხაკაიას რ-ნი), ჯერ კიდევ IV ს. აუგიათ დიდი ზომის ერთნავიანი ბაზილიკა (დღეისათვის მისი მხოლოდ აბსიდია შემორჩენილი). იმავე ადგილას, შემდეგ, უფრო დიდი სამნავიანი ბაზილიკა ყოფილა. ამ უკანასკნელის დანგრევის შემდეგ, იგი ველარ აღუდგენიათ და VI ს. დასაწყისში უფრო მცირე ზომის ბაზილიკა აუგიათ. ეს უკანასკნელი, რამდენჯერმე გადაკეთებული და ბოლოს გუმბათიან ეკლესიად ქცეული, დღემდეა მოღწეული და ორმოც წამებულთა სახელობისაა (პ. ზაქარაია, ნ. ლომოური..., ციხეგოჯი-ნოქალაქევი, თბ., 1984, გვ. 15, 25-26). ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს, დღემდე მოღწეული ეკლესიის წინამორბედი ბაზილიკებიც ორმოც წამებულის სახელობისა რომ უნდა ყოფილიყო. ეგრისში ქრისტიანობის გამარჯვებისას ციხე-გოჯი ქვეყნის დედაქალაქი იყო და, ცხადია, ეგრისის ეკლესიის მწყემსმთავარიც (ნ. ლომოური ფიქრობს, რომ ციხე-გოჯი ერთ-ერთი საეპისკოპოსო იყო) სატახტო ქალაქში დაიდებდა ბინას. ციხე-გოჯში აღმოჩენილი დიდი ზომის ერთნავიანი ბაზილიკის ნაშთი ეგრისის პირველი ეპისკოპოსის მიერ აგებულ ეკლესიას უნდა ეკუთვნოდეს. იგი ორმოც წამებულთა სახელობისა უნდა ყოფილიყო. თავის მხრივ, ციხე-გოჯში ორმოცი წამებულის სახელზე არსებული ეკლესიის არსებობა აგათანგელოსის ცნობების რეალურობის დამადასტურებლად უნდა იქნას მიჩნეული. რაც შეეხება მარტვილის სახელს, გამორიცხული არაა თავდაპირველად იგიც ორმოც წამებულთა პატივსაცემად რომ აეგო ეგრისის პირველ ეპისკოპოსს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ამბროსი ხელაია**

# „მე შევასრულე ჩემი მოვალეობა“

ამბროსი ხელაიას პიროვნება, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა, ქართველი ხალხის მხოლოდ მცირე ნაწილისთვისაა ცნობილი. სამწუხაროდ, ეს ნაცნობობაც, უპირატესად, მწირი და ზედაპირულია. მისი მემკვიდრეობიდანაც ბევრი რამ არათუ შესწავლილი და გაცნობიერებული, არამედ საერთოდ გამოუვლენელია...

თვით „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ პირველ ტომში წარმოდგენილი მოკლე ბიოგრაფიული ცნობებიც კი (გვ. 345, ავტორი — ბ. ლომინაძე, 1975 წ.) უკვე გარკვეულ ინტერესს აღვიძებს მკითხველში ამბროსის პიროვნების მიმართ:

ამბროსი — ერისკაცობაში ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია (1861-1927 წწ.), საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1921-1927 წლებში... ებრძოდა ცარიზმის რუსიფიკატორულ და შოვინისტურ პოლიტიკას აფხაზეთში. გამოდიოდა პრესაში შავრაზმელი გოლუბცოვისა და ეპისკოპოს არსენის (იზოტოვი) წინააღმდეგ, რომელნიც აფხაზებს ქართველების სიძულვილს უნერგავდნენ და ქართულ ენას დევნიდნენ... ყაზანის სასულიერო აკადემიის დამთავრებისა და ბერად აღკვეცის შემდეგ, 1901 წელს ჭელიშის მონასტრის არქიმანდრიტად დაინიშნა. 1904 წელს თბილისში სინოდური კანტორის წევრად და ფერისცვალების მონასტრის წინამძღვრად გადმოიყვანეს...,

რუსეთის პირველი რევოლუციის დროს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის (ავტოკეფალიისათვის) იბრძოდა, რის გამოც 1905 წელს რუსეთში გადაასახლეს. 1908 წელს ახალი ბრალდება წაუყენეს, — თითქოს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში მიეღოს მონაწილეობა. 1911 წელს გაამართლეს, მაგრამ საქართველოში დაბრუნების უფლება არ მისცეს.

საქართველოში მხოლოდ 1917 წელს დაბრუნდა. ჯერ ჭყონდიდის, შემდეგ აფხაზეთისა და სოხუმის მიტროპოლიტი იყო, 1921 წლიდან კი — საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი.

ამბროსი ინტენსიურად იკვლევდა ქართულ ისტორიულ ძეგლებს.

პეტერბურგის „უწყებებსა“ და ქართულ პერიოდულ პრესაში „ამბერის“ ფსევდონიმით წერილებს აქვეყნებდა საქართველოს პოლიტიკური, კულტურული და საეკლესიო წარსულისა და აწმყო ვითარების შესახებ.

საყურადღებოა მისი „მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, რომელიც ჟურნალებში — „განთიადი“ და „ცხოვრება“ 1915-1917 წლებში იბეჭდებოდა.

ამბროსიმ აღმოაჩინა „მოქცევაი ქართლისაის“ ჭელიშური ვარიანტი, რომლის შესახებ მოხსენება საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე წაიკითხა (იხ. მისი — თხზ. ჭელიშის ვარიანტი „ქართლის მოქცევისა“, ტფ., 1911 წ.).

დასაფლავებულია სიონის საკათედრო ტაძარში...

როგორც ჩანს, გარკვეული მიზეზების გამო ჩვენი ენციკლოპედიის პირველ ტომში ამბროსის ცხოვრებიდანაც რამდენიმე მნიშვნელოვანმა ბიოგრაფიულმა მომენტმა ვერ ჰპოვა თავისი ასახვა. კონკრეტულად მხედველობაში გვაქვს მის მიერ გაგზავნილი წერილი 1922 წელს გენუის კონფერენციისათვის, რომელიც მსოფლიოს მცირე ერების თვითგამორკვევის საკითხებს განიხილავდა. ასევე ვერაფერი ითქვა დღეს უკვე დაგმობილი იმ ყოვლად გაუმართ-

ლებელი ბარბაროსული და უკანონო რეპრესიების შესახებ, მეცნიერული და შემოქმედებითი ინტელიგენციის, პარტიულ მოღვაწეთა და მშრომელთა წარმომადგენლებთან ერთად სასულიერო პირებმაც რომ განიცადეს. ვერაფერი ითქვა ვერც ამბროსისა და სხვა სასულიერო პირთა სასამართლო პროცესის შესახებ, რაც ოფიციალური პრესის ფურცლებზე 1924 წლის თითქმის მთელი თვის (მარტის) მანძილზე შუქდებოდა (ცხადია, რადიკალურად ტენდენციური და ნეგატიური პათოსით ქრისტიანული ეკლესიისა და მისი წარმომადგენლების მიმართ) და რისკენაც „მთელი ევროპის ყურადღება იყო მიპყრობილი"...

გენუის კონფერენციისათვის გაგზავნილი წერილი დაიბეჭდა გაზ. „კომუნისტის" 1924 წლის პირველი თებერვლის ნომერში (ოციანი წლებისათვის ნიშანდობლივი კვალიფიკაციით), ხოლო ამჟამად მიმდინარე გარდაქმნის, დემოკრატიისა და საჯაროობის პოლიტიკის წყალობით შესაძლებლობა გვაქვს, ჩვენი ჟურნალის წინამდებარე ნომერში მცირეოდენი შემოკლებით შემოგთავაზოთ ამბროსის სასამართლო პროცესზე წარმოთქმული საბოლოო სიტყვა" — „მე შევასრულე ჩემი მოვალეობა"* (გადმობეჭდილი თვით ამბროსისეული ხელნაწერიდან. მიგვაკვლევინა მხატვარმა გია ბულაძემ).

აკაკი მინდიაშვილი

სანამ რამეს ვიტყოდე იმ დანაშაულების შესახებ, რომელიც მე მედება, საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ ჩვენ — ღვთისმსახურნი ქრისტიანული სწავლა-მოძღვრების მიხედვით ვალდებულნი ვართ, დავემორჩილოთ „ხელმწიფებასა მას უმთავრესისასა" (რომ. 13, 1), რადგანაც ხელმწიფებასა შინა მყოფნი „მსახურნი ღმრთისანი არიან" (რომ, 13, 6), მათთვის უნდა ვილოცოთ (1, ტიმ. 2, 2) და მათზე არა ვსთქვათ ბოროტი (საქ. მც. 23,5), მაგრამ ბოროტის არა თქმა იმას არ ნიშნავს, რომ მათ მოქმედებას კრიტიკის თვალით არ შევხედოთ, მათი შეცდომები არ აღვნიშნოთ. ამისთვის ჩემს სიტყვაში მთავრობის შეცდომების აღნიშვნის დროს თუ რამე არამართებული წამომცდეს, გთხოვთ, ეს ჩაითვალოთ უნებლიე შეცდომათ, ანუ მიიღოთ უბრალო lapsus linguae-დ და ბოროტ განზრახულების ხასიათი არ მისცეთ. მე სახეში მყავს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

ჩვენ — საკათალიკოსო საბჭოს მთელ შემადგენლობას — ბრალად გვედება ის, რომ არ შევასრულეთ მთავრობის წინადადება, გაგვეგზავნა წარმომადგენელი ყოფილი სამხედრო ტაძრის ჩამორთმევის დროს დასასწრებლად და რომ არ მოვისურვეთ ჩვენის ხელით ჩაგვებარებინა იგი არა სარწმუნოებრივი მიზნებისათვის მოსახმარად. საკ. საბჭომ ეს თავისთვის ჩასთვალა მიუღებლად, რაც მას ჩამოერთვა წინააღმდეგობის გაწევად, მოღალატეობად, აჯანყებისაკენ ხალხის მოწვევად და სხვ. ამნაირი ბრალდების არსებობა მე გავიგე მხოლოდ უკანასკნელი დაკითხვის დროს და ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ვერ გამიგია, საიდან შეიძლება ამნაირი დასკვნის გამოყვანა.

რელიგია არ არის სახელმწიფოსაგან წარმოშობილი და დაწესებული. მას აქვს თავისი დამოუკიდებელი საფუძველი არსებობისა. სახელმწიფო და ეკლესია ამის გამო ორი სხვადასხვა დაწესებულებაა, მათ აქვთ სხვადასხვა სფერო მოქმედებისა. თავისი დანიშნულების ასრულებაში ორივე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია. სახარების დევიზია: „კეისრისა კეისარსა და ღვთის ღმერთსა". სახელმწიფო ეკლესიურ შინაურ ცხოვრებაში არ ერევა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი ერთმანეთისაგან გამოყოფილნი არიან. დიახ, გამოყოფილ ეკლესიას წაართმევს სახელმწიფო ყველა უფლებებს იურიდიული პიროვნებისა, მას მაინც დარჩება ერთი სფერო თავისუფალი მოქმედებისა, ერთი კუთხე, თავისი წმიდათა წმიდა, რომელშიაც სახელმწიფო არ უნდა შეიჭრას. ეს არის მისი შინაური რელიგიური ცხოვრება, რომელიც ექვემდებარება ღვთისაგან დაწესებულ ნორმებს. ვინც ეკლესიის მსახურთაგანი ამას გადაუხვევს, ის მოღალატეა სარწმუნოებისა. ამის გამო ამნაირ შემთხვევებში, როგორც გვეუბნება ქრისტიანული სწავლა-მოძღვრება, ჩვენ ვალდებულნი ვართ ვემორჩილოთ უფრო ღმერთსა, ვიდრე კაცთა (საქ. მოც. 5, 29). ეს ნორმები ეკლესიური ცხოვრებისა, ამნაირი ურთიერთობა სახელმწიფოს და ეკლესიას შორის მიღებულია ყველა საქრისტიანო ქვეყნებში და არ გვეგონა, თუ ჩვენი მთავრობა ამას არ გაუწევდა ანგარიშს. ამ თვალსაზრისით ვსთქვით, რომ წინადადება ჩვენთვის მიუღებელი იყო, ვინაითგან იმისი მიღებით ჩვენ გავხდებოდით ღვთის დადგენილების და სარწმუნოების მოღალატენი ეს არის და ეს. ჩვენ აზრადაც არ მოგვსვლია, რომ ჩვენს ამნაირ კანონიერ განცხადებას მთავრობა მიიღებდა საწინააღმდეგოდ. მით უმეტეს, რომ ტაძარს ჰყავდა თავისი წინამძღვარი, რომლის განკარგულებაში იყო ეკლესიის ქონება და რომელიც თავისთავად იყო სასულიერო მთავრობის წარმომადგენელი. საქართველოში დაიკეტა 1200-ზე მეტი ეკლესია, ზოგი მთლად დანგრეულ იქმნა, მაგრამ არც ერთის

* სათაური შერჩეულია ტექსტიდან.

შესახებ სასულიერო მთავრობისათვის არც კი შეუტყობინებიათ და რაღა ხამს. ტაძრის ჩაბარება არ შეიძლებოდა უკათალიკოსო საბჭოთ?! გვცოდნოდა, რომ ჩვენს. ჩვენის თვალსაზრისით კანონიერ განცხადებას, საერო მთავრობა მიიღებდა საწყენათ, ჩვენ სხვანაირათ გამოვსთქვამდით ჩვენს აზრს და წინაალმდეგობას არ გავუწევდით. ამას წინათ რამდენიმე ჭარისკაცმა-ბაპტისტმა, განაცხადა, რომ მათ სარწმუნოება უკრძალავს ჭარში სამსახურს და ეს განცხადება სამხედრო სასამართლომ სცნო პატივსადებად და გაათავისუფლა ისინი სამხედრო ბეგარის მოხდისაგან. დარწმუნებული ვარ, უზენაესი სასამართლოც ახე შეხედავს ჩვენს განცხადებასაც და ამისთვის ამის შესახებ მეტის თქმა მიმაჩნია საჭიროთ. 1) დანაშაულად მითვლიან იმასაც, რომ მცხეთის და სიონის ტაძრების განძეულობის დამალვა ვიცოდი. ამნაირი ბრალდება მიმაჩნია გაუგებრობად, ვინაითგან ნივთების ქუთაისში წაღების დროს მე ვმსახურებდი სოხუმში და ნივთების დამალვა მოხდა უჩემოდ. 2) არც ჩემი და არც სხვების ჩვენებიდან არ სჩანს, რომ ეს მე ვიცოდი ნივთების აღმოჩენამდე. საიდან და როგორ არის ეს ბრალდება შეთხზული, არ ვიცი. და 3) მართლაც რომ ვყოფილიყავი დამალვის მონაწილე, მაშინაც ვერ ჩავთვლიდი ჩემს თავს დამნაშავედ. ვინაიდგან სამღვდელოება მოვალე იყო, ეზრუნა ეკლესიის ქონების დაცვისათვის და უხსოვარ დროიდან არეულობის და მტრების შემოსევის დროს განძეულობის დაცვისათვის მიმართავდნენ ამ საშუალებას. ამან შევინახა იგი. როდესაც მისი გადატანა მოხდა ქუთაისში, ეს განძეულობა არ შეადგენდა მთავრობის კუთვნილებას. ეს მოხდა ძველი მთავრობის დროს, როდესაც ეკლესიას არ ჰქონდა ჩამორთმეული საკუთრების უფლება. თუნდაც ჩამორთმეული ჰქონოდა, მაშინაც სამღვდელოების მოვალეობა იქნებოდა, რადგან მის ხელში იქნებოდა მისი მოვლა-დაცვის საქმე. ამის შემდეგ განსაცვიფრებლად მიმაჩნია საბრალდებო ოქმში ხმარება სიტყვის „გატაცება“, მეტის თქმას ამის შესახებ არ ვსთვლი საჭიროდ.

უმთავრესი ბრალდება ჩემს საწინააღმდეგოდ წამოყენებული, როგორც საბრალდებულო ოქმიდან სჩანს და როგორც პროკურორის სიტყვიდანაც მესმა, არის კონტრევოლუცია. ჩემი კონტრევოლუციონერობა გამოიხატა გენუის კონფერენციაზე ჩემ მიერ წერილის გაგზავნაში, მაგრამ არ მესმის რა იყო კონტრევოლუციონერული ჩემს წერილში. ნუთუ ის ერთადერთი ძირითადი დებულება, რომ თითოეულმა ერმა თავისი საქმეები მოაწყოს ისე, როგორც ეს მას უნდა. მაგრამ ეს ჩემი მოგონილი ხომ არ არის? უკანასკნელმა საერთაშორისო ომმა ბევრი უბედურება მოუტანა კაცობრიობას, მაგრამ მასვე ამართა დროშა, რომელზედაც მსხვილის ასოებით წააწერა: „მცირე ერების თვითგამორკვევის უფლება“. [illegible] დენად აღმაფრთოვანებელი, [illegible] სიხარული იყო, რომ მისთვის ანგარიში უნდა გაეწიათ. ასეც მოხდა. თვით ნიკოლოზ მეორის მთავარსარდალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ერთადმი თავის მიმართვაში ამბობს, რომ ის იბრძვის ამ ლოზუნგის განხორციელებისათვის. მეტყვით, ეს განცხადება არ იყო გულწრფელი და მეც სავსებით გეთანხმებით, მაგრამ აქ მნიშვნელობა აქვს არა იმას, გულწრფელი იყო ეს განცხადება თუ არა, არამედ იმას, რომ მთავარსარდალი იძულებული გახდა, ანგარიში გაეწია ცხოვრების სინამდვილისათვის, აღიარებია ის, რასაც თვითონაც არ თანაუგრძნობდა. დიახ, ის წამოაყენა ცხოვრებამ და მას ყველაზე უწინ ანგარიში გაუწია სოციალისტურმა მიმართულებამ, მაგრამ სტალინის სიტყვით, მეორე ინტერნაციონალმა და მისმა ლიდერმა კაუცკიმ ეს ლოზუნგი ჩამოაქვეითეს კულტურულ ავტონომიამდე, ხოლო პოლიტიკური და ეკონომიური მხარე დაუტოვეს ისევ გაბატონებულ ერებს. საბჭოთა ხელისუფლებამ კი გააფართოვა ის მცირე ერებისათვის პოლიტიკურად გამოყოფის უფლების მინიჭებამდე.

აი, ეს თვითგამორკვევის უფლება თხოულობს, რომ თითოეულმა ერმა თავისი ცხოვრება და მართვა-გამგეობა მოაწყოს ისე, როგორც თვითონ მოისურვებს და თუ სტალინის სიტყვა შეიცავს ჭეშმარიტებას, თუ საბჭოთა ხელისუფლებამ გააფართოვა თვითგამორკვევის ლოზუნგი და მცირე ერებს უბოძა უფლება პოლიტიკური გამოყოფისა, თავისუფლება-სუვერენობისა, მაშინ ცხადია თვით გამორკვეული და სუვერენული ერისათვის თავისუფლების წართმევა ამ ლოზუნგის დარღვევად უნდა ჩაითვალოს. მეტი არც მე მითქვამს რა.

მე არ ვეკუთვნი არცერთ პარტიას, ჩემთვის სულერთია რომელი პარტიის ხელში იქნება მართვა-გამგეობა, რომელს ექნება ძალაუფლება და რომლის დიქტატურა იქნება დამყარებული. ამის განხილვაში შესვლა ჩემი საქმე არ არის. მხოლოდ მრწამს და სასურველად მიმაჩნია მართვა-გამგეობა დამყარებული იყოს ხალხის ნებისყოფაზე და თვითგამორკვევაზე. ხალხის სურვილი ჩემთვის კანონია. ამ სურვილზე დამყარებული წესწყობილება მარგებელია ხალხის ეროვნული მთლიანობისათვის და მისი კულტურულად წინმსვლელობისათვის. მე არ გამეგონა, რომ მომხდარიყოს ხალხის დაკითხვა ამის შესახებ და ამის გამო, როდესაც პირველი დაკითხვის დროს დამისვეს კითხვა, არჩეულია თუ არა ხალხისაგან ახლანდელი ჩვენი მთავრობაო, მეტი რომ არ მეთქვა, ვუპასუხე: არ ვიცი მეთქი. როდესაც დამკითხველმა საყვედურით მითხრა, როგორ, ინტელიგენტმა კაცმა არ უნდა იცოდე, რომ წარსულ თებერვალს

(ეს იყო 1922 წელს) იყო ყრილობა და მან აირჩია, მე ბოლოში მოვიხადე და მხოლოდ შევნიშნე, რომ მაშასადამე 1921 წ. თებერვლიდან 1922 წ. თებერვლამდის — ერთი წლის განმავლობაში — აურჩევლად უმსახურნია მეთქი. და ახეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდგან ერთი წელიწადი საჭიროც იქნებოდა ხალხის დაწყნარებისა და თვითგამორკვევისათვის. ჩვენ, ექლესიის მსახურნი კი იმ აურჩეველ მთავრობასაც ვცნობდით, ვინაითგან ანგარიშს ვუწევდით ფაქტს — ეროვნული მთავრობის არსებობას და არ შევდიოდით კანონიერება-უკანონობის განხილვაში...

...მახსოვს პუციკოვიჩის გეოგრაფია, რომელშიც თვითეული კუთხის აღწერა დასურათებული იყო ადგილობრივ მკვიდრთა ტიპებით. ველიკორუსი გამოყვანილია: დიდი, ახოვანი, კმაყოფილი სახით და ამაყი გამომეტყველებით და ქვეშ მიწერილი ჰქონდა: „Хозяин земли русской". სხვა ეროვნებათა წარმომადგენელი იყო მონის და დაჩაგრულის გამომეტყველებით. თვით შკოლა აწვდიდა ხალხს ამ დიდმპყრობელობით იდეას და რა გასაკვირია, რომ მის მისწრაფებათ იქცა ყველასათვის ეცქირათ, როგორც მონებისათვის, მათ ქვეშევრდომთათვის. ოცდაათიოდე წლის წინათ მოწმე გავხდი შემდეგი სანახაობისა: ქ. სოხუმის ბულვარი, ზღვის პირად მრავალი მოსეირნე, აქვე დგას ორი რუსი ძალზე შეზარხოშებული. ერთი მათგანი უჩვენებს თოვლიან მთებზე და ეუბნება მეორეს: «Эти горы наши... Все народы там живущие наши подданные и все здесь гуляющие нам подчинены».

და დაამთავრებ იმნაირი სიტყვებით, რომლების მოყვანა აქ არ შეიძლება. 1905 წ. მე ვიყავი დონის ოლქში და, როდესაც გავრცელდა ხმა, რომ კავკასიაში, საქართველოში გამოცხადდა თავისუფლება რუსეთის ბატონობიდან, ხშირი იყო შემთხვევა, რომ მეკითხებოდნენ როგორც ქართველს, ნუთუ მართლა საქართველო გამოეყოფა რუსეთსო. ეს შეუძლებლად მიაჩნდათ. მით უფრო, რომ ადგილობრივი რუსობაც ასე ფიქრობდა. როდესაც 1917 წლის რევოლუციის შემდეგ მართლა დაარსდა საქართველოს რესპუბლიკა, სოხუმის რუსობა ვერ ურიგდებოდა საქართველოს თავისუფლებას. დიდი თუ პატარა, ნასწავლი თუ უსწავლელი, ყველა გაიძახოდა: „როგორ შეიძლება საქართველო იყოს თავისუფალი, ეს დროებითია, მოვა ჩვენი ჯარი და ისევ დავიმორჩილებთო. საქართველოს თავისუფლება სასაცილოდ მიაჩნდათ. მას ასახელებდნენ: «Кукурузная республика» ანუ «Республика на $1^1/_2$ часа". ბატონობის [illegible] დილი ბუნებრივათ გულკეთილი ადგილობრივი რუსი მოხურნე იყო ბატონობისა და თანასწორობას ვერ გუობდა.

...მაგრამ ძნელი სათქმელია ქართველი კომუნისტები, ვისი სურვილის აღმასრულებელნი იყვნენ ერთი კი ცხადია, მათ სურდათ საქართველო შესულიყო დიდი რუსეთის ფარგლებში...

...მათ არ სწამდათ საქართველოს თავისუფლება. გაზეთ „კომუნისტის" ერთ-ერთ შარშანდელ თუ შარშანწინდელ ნომერში ნათქვამია, რომ რევოლუციონერული თვალსაზრისი მოითხოვდა თავის დროზე ტფილისზე დაკვრას და პოლონეთზე გალაშქრებასო. გამოდის, რომ რევოლუცია თხოულობს ერისათვის თავისუფლების წართმევას. იმავე გაზეთის შარშანდელ ნოემბრის ერთ ნომერში (№ 268) ესევე აზრი უფრო ცხადად არის გამოთქმული. იქ ნათქვამია, რომ საქართველოს თავისუფლება კომუნისტური თვალსაზრისით არ იყო მისაღები, საქართველოში თავისუფლად დათარეშობდნენ იმპერიალისტური ჯარები, რაც დიდ საფრთხეს უმზადებდა რუსეთს და სხვა მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებს, ამისათვის რუსეთის წითელი არმიის 11 თებერვლის ისტორიული ნაბიჯი მარქსისტულად გაგებული რევოლუციონერული ომების თეორიის მიხედვით გასამართლებელი ხდებაო".

მე არ ვიცი მარქსისტულად გაგებული რევოლუციონერული ომების თეორია და ამის შესახებ ვერას ვიტყვი, მხოლოდ შევნიშნავ, რომ სახიფათოდ და მოლიპულ გზაზე დადგომად მიმაჩნია იმის მტკიცება, რომ საქართველოს მდგომარეობა საშიში იყო რუსეთისათვის... ეს ერთი. მეორეთ უნდა ავღნიშნო, რომ თავისუფლება თავისთავად არასდროს არ უნდა იყოს დასაგმობი. ის ყოველთვის სასურველია. არ ყოფილა ხალხი, რომელიც მას არ შეხაროდა, არ ეძებდა, რომლის მიღწევა არ მიაჩნდა ბედნიერებად. შესაძლებელია, საქართველოს ყოფილმა მთავრობამ ვერ მოიხმარა იგი, როგორც ამას რიგი მოითხოვდა, მაგრამ აქ თავისუფლება რა შუაშია. თუ ძველი მთავრობის დროს საქართველოში იმპერიალისტური ჯარები თავისუფლად დათარეშობდნენ, დე, ახალ მთავრობამ აილოს ეს თავისუფლება და განა-

ხორციელდეს ის, როგორც საჭიროა, ე. ი. ახალი სუვერენული რესპუბლიკის მთავრობის ხელში ნუ ითარეშებენ იმპერიალისტური ჯარები და საქართველოს თავისუფლება ნუ იქნება საშიშარი სხვა ერებისათვის. ეს იყო ჩემი აზრი და არა ახალი ხელისუფლების უარისყოფა, მაგრამ... აქ დავუსვამ მრავალწერტილს და გავჩუმდები. მხოლოდ არ შემიძლია, არ ავღნიშნო ის გარემოება, რომ საქართველოს თავისუფლება კომუნისტების ერთ ნაწილს მიაჩნდა სასაცილოდ და მასხარად აგდებად, ერთი რუსული ასოებით დაბეჭდილი გაზეთი «Правда Гр»... ამნაირად იხსენიებდა მას: „თავისუფალი, დამოუკიდებელი, სუვერენული და ნეიტრალური ზურნა“. აქ საჭირო არ არის კომენტარები. ყველა ეს სრულიად არაფერში არ ეთანხმება ხალხის თვითგამორკვევის და პოლიტიკურად გამოყოფის უფლებას, პირიქით, პირდაპირი მისი უარყოფაა. შეიძლება ვცდებოდე, რადგან მარქსისტული თეორია ჩემს სპეციალობას არ შეადგენს, მაგრამ არცოდნა არცოდვაა, ნათქვამია და ამისთვის მომეტევება.

მიუხედავად ზემონათქვამისა, მე მეუბნებიან, რომ ჩემი გამოსვლით ვითომ ვულალატე ჩვენს მთავრობას, სახელი გავუტეხე მას, გავაბიაბრუე, არ უნდა მიმემართა გენუის კონფერენციისათვის, რომ ჩემის მიმართვით მე მინდოდა გამომეწვია ინტერვენცია, ევროპის შეიარაღებული ჯარებით ჩარევა საქართველოს საქმეებში, თითქოს ამით მე ხელი შევუშალე ჩვენს იქ წარმომადგენელს მის საქართველოს საკეთილდღეოდ ზრუნვაში. ამნაირი ბრალდება მე მიმაჩნია გაუგებრობის ნაყოფად და ამის გამო უსამართლობად. მე ჩვენი მთავრობის საწინააღმდეგო არა მითქვამს რა...

ჩემი წერილი მიმართული იყო დიდმპყრობელობის წინააღმდეგ და ეს ცხადად არის მასში გამოთქმული. ერთი სიტყვითაც არ დამიგმია ახალი ხელისუფლება საქართველოში, პირიქით, იქ გამოთქმულია, რომ მე არ შევდივარ იმის განხილვაში, როგორი უნდა იყოს მართვა-გამგეობა, რადგან ეს ჩემი საქმე არ იყო. წერილი დაწერილია ახალი ხელისუფლების არსებობის წლისთავზე, ხოლო ჩვენი ქრისტიანული მოძღვრებით ყოველი დამკვიდრებული მთავრობა განუკითხავად უნდა ვიცნათ და ვემორჩილოთ ყოველი სამოქალაქო ხასიათის საქმეებში. ამის გამო, ცხადია, მე მინდოდა დამოუკიდებლობა უკვე დამყარებული მთავრობისათვის. გენუის კონფერენციაზე მე წარმოდგენილი მქონდა, როგორც სახელმწიფოების წარმომადგენლების კრება, მოწვეული მშვიდობიანი მოლაპარაკებისათვის — კრება, რომელსაც საგნად ჰქონდა მცირე ერების პრეტენზიების განხილვა და ამისთვის ვფიქრობდი, რომ ყველას ჰქონდა უფლება მიემართა მისთვის თავისი აზრის გამოთქმით. მე ვიცოდი, რომ იქ იყო ჩვენი წარმომადგენელიც, რომელიც, დარწმუნებული ვიყავი, დაიცავდა ჩვენი ქვეყნის სუვერენობა-თავისუფლებას და რომელსაც ამაში ეჭირვებოდა დახმარება. ამ შემთხვევაში კი ჩემს წერილს შეეძლო რამდენადმე მაინც გაეადვილებია ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. თუ ის იყო საქართველოს წარმომადგენელი მხოლოდ სიტყვით, საქმით კი გამოდიოდა დამატებათ რუსეთის წარმომადგნლისა და დამცველად დიდმპყრობელობისა, მაშინ, რასაკვირველია, წერილი მას სამსახურს ვერ გაუწევდა, მაგრამ ეს უკანასკნელი არც იყო მიზანი წერილისა და, მაშასადამე ამაში არ შემიძლია ვიყო პასუხისმგებელი. ყველა ამის შემდეგ მე კიდევაც მიკვირს, რისთვის მასამართლებს საქართველოს უზენაესი სასამართლო და არა რუსეთისა, მაგრამ ვინც უნდა გამასამართლოს — საქართველომ იმისთვის, რომ მე ვიცავ ეროვნული ეკლესიის და ერის თავისუფლებას, თუ რუსეთმა იმისათვის, რომ ხმა ამოვიღე დიდმპყრობელობის წინააღმდეგ, სულ ერთია, ორივე შემთხვევაში ცხადად მტკიცდება, რომ საქართველო არ არის თავისუფალი რესპუბლიკა და მოქმედებს გარეშე დირექტივებით...

...სანამ კაცი კაცისთვის, როგორც ამბობენ რომაელები, მგელია, ჯარების ყოლა, რასაკვირველია, საჭიროა, მაგრამ ეროვნული თვალსაზრისი მოითხოვს, რომ ჯარი იყოს უსათუოდ ეროვნული.

მქონდა თუ არა უფლება მე, როგორც სასულიერო პირს, შევხებოდი იმნაირ კითხვებს, რომელნიც წამოყენებულნი არიან ჩემს წერილში? მეუბნებიან, რომ ჩემს უფლებებს გადავამეტე, რომ მე არ მქონდა უფლება გავრეოდი პოლიტიკაში და ამომეღო ხმა. არ ვიცი მაქვს თუ არა საბჭოთა ხელისუფლების თვალსაზრისით რაიმე მოქალაქეობრივი უფლება, მა-

ვრამ ის კი ჭეშმარიტებაა, რომ ჩვენ თვითონ ვცდილობთ ცხოვრებაში გავიყვანოთ პრინციპი: „კეისრისა კეისარსა და ღვთისა ღმერთსა" — ამის გამო არ ვერევით სახელმწიფო წყობილებისა და მართვა-გამგეობის საქმეში, მთავრობის უარყოფასა და წინააღმდეგობაში და სხვ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პირში წყალი ჩავიყენოთ და არა ვსთქვათ რა, როდესაც ვხედავთ უსამართლობას, გარეშე ძალების მოძალებას, ხალხის შევიწროებას, ერისთვის საზიანო შეცდომებს და საზოგადოთ არ ვიტვირთოთ ხალხის სამსახური, მისი ინტერესების დაცვა და მისი მწუხარების საგანი არ ვამცნოთ ქვეყანას. ყველა ამას ქრისტიანული მოძღვრება არ გვიკრძალავს. ქრისტეს ებრალებოდა ერი, მას ემსახურებოდა და მასზე ზრუნავდა, ამბობდა ხშირად: „მეწყალის ერი ესეო" (მარკ. 8, 2). „ნუ დაიდუმებთ ერისთვისაო", გვეუბნება ჩვენი მოძღვრება და ამის აღსრულებას პირნათლად მისდევდა სამღვდელოება. გადაათვალიერეთ ისტორია და თქვენ იქ დაინახავთ ამის აუარებელ მაგალითებს. მოიგონეთ ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, იოანე ოქროპირი და მათი გამოსარჩლება ხალხის კეთილდღეობისათვის, მათი ბრძოლა ამ ქვეყნის ხელისუფლებასთან, მის უსამართლობასთან, — მოიგონეთ ამბროსი მედიოლანელი, რომელმაც მრისხანე იმპერატორი თეოდოსი არ შეუშვა ეკლესიაში მისგან თესალიაში მოხდენილი სისხლისღვრის გამო და მრავალი სხვა. გადახედეთ საქართველოს ისტორიას და აქაც დაინახავთ უამრავ მაგალითს, სამღვდელოების ბრძოლას არსებული წყობის და ერის ინტერესების დასაცავად ამქვეყნიურ ხელისუფალთა მძლავრებისაგან. სამღვდელოება ყოველთვის იყო დამცველი საქართველოს თავისუფლების იდეისა. რამდენად მოურიდებელნი იყვნენ მღვდელმთავარნი ამ შემთხვევებში, გვიჩვენებს შემდეგი მაგალითი. იმერეთის მეფე სოლომონ დიდის მემკვიდრე, ალექსანდრე, ურწმუნოებისა და სხვა დანაშაულობებისათვის სამღვდელო კრებამ განკვეთა ეკლესიიდან და, როდესაც ის მიიცვალა, აღუკრძალა მისი ქრისტიანული დამარხვა. ის დაასაფლავეს წესის აუგებლად ეკლესიის და სასაფლაოს გარეშე. თვალცრემლიანი მეფე სოლომონ დიდის მუდარებამ და თხოვნამ ვერ გაჭრა, ვერ შეაშინა მღვდელმთავართა კრებული. მოიგონეთ ანტონ ჭყონდიდელი და მისი გამოსვლა ტყვეთა ყიდვის წინააღმდეგ, რაც იმერეთის მეფეს და გურია-სამეგრელოს მთავრებს [illegible]ჰქონდათ სახელმწიფოს მართ[illegible] როგორც საყვალდებულო ბეგარა. აუარებელი ახალგაზრდა ქალ-ვაჟი იგზავნებოდა სტამბოლში სულტანისათვისაც ყოველწლობით. კრებამ ძალა დაატანა მეფეს და მთავრებს და ხელწერილი დაადებინა ამ სენის მოსპობისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსების დასავლეთ საქართველოში დამკვიდრების ხანა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. ამ დროს ეკლესიის და ერის თავისუფლების დამცველებათ გამოდიან ქუთათელი და გენათელი და ხალხის აჯანყებას სათავეში უდგებიან. ორივე გაამგზავრეს რუსეთისაკენ, მაგრამ მხოლოდ გენათელმა ექვთიმემ ჩააღწია ნოვგოროდში, სადაც ის უნდა დაებინავებინათ. იმპ. ალექსანდრე პირველმა მოისურვა მისი ნახვა, ჩაიყვანეს პეტერბურგში, იმპერატორმა დიდი ზეიმით და პატივით მიიღო, მაგრამ ამისთვის არ მოერიდა ემხილებია საქართველოს ეკლესიისა და ერის თავისუფლების წართმევისათვის და სამშობლოს დამცველების წამებისათვის, მას უწოდა ახალი ნერონი. ეს იყო მიზეზი, რომ ის გააგზავნეს ალექსანდრე სვირის მონასტერში ოლონეცკის გუბერნიაში, სადაც განისვენა და დასაფლავებულია.

ამნაირად როგორც სარწმუნოებრივი, ისე ისტორიული მაგალითები მაძლევდნენ მე უფლებას ხმის ამოღებისას. არა, ეს უფლება არ არის, ეს არის მოვალეობა, და მისი აუსრულებლობა გამხდიდა მე ულირსად ჩემი თანამდებობისა — პასუხისმგებლად ღვთის ეკლესიისა და ერის წინაშე.

მიუხედავად ყველა ამისა, ჩემი წერილი იყო ნამდვილი ეკლესიური აქტი და თუ მან მიიღო გარეგნულად პოლიტიკური ხასიათი, ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაითგან ასეთი თუ ისეთი პოლიტიკური მდგომარეობა, მისგან აღებული გეზის ცვალებადება გვაძლევს შეძლებას, წარმოვიდგინოთ პერსპექტივები ეკლესიის მდგომარეობისა მომავალში. ახალ ხელისუფლებას პირველ ხანებში ხალხი უნდოდ უყურებდა და მეც მაფიქრებდა ეკლესიის მომავალი ბედი, ვინაითგან მთავრობის გეზი ეკლესიურ საკითხში სავსებით უარყოფითი იყო. თუ ხალხს არ მოსწონდა თავისუფლების დაკარგვა, მეც ვფიქრობდი, რომ პოლიტიკური თავისუფლების დაკარგვას მოჰყვებოდა ეკლესიის დევნა და მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლების მოსპობა, რაც სავსებით გამართლდა. ფაქტიურად ეკლესიის თავისუფლება ფეხქვეშ გათელილია. და იურიდიულადაც ცდილობენ მის მოსპობას. შარშანწინ რუსეთში იყო გამართული დიდი კამპანია, ბევრს სწერდნენ ეკლესიური ავტოკეფალიების მოსპობის საჭიროებაზე, რადგან რუსეთის მთავრობას სურდა ეკლესიურ ცხოვრებაშიაც შემოეღო ისეთივე ცენტრალიზაცია, როგორიც იყო დამყარებული პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამნაირი იყო მისწრაფება მთავრობისა საქართველოშიაც. ამ მიზნით უნდოდა მას საქართველოში დამყარებულიყო ცხოველი ეკლესია და ამის პროპაგანდას ეწეოდა სამღვდელოებაში. ზოგიერთნი წევრნი სამღვდელოებისა გაებნენ დაგებულ მახეს და ერთი მათგანი კიდეც ჩაეწერა მთავარ კომიტეტში. ამ მიზნით მეც მომეცა წინადადება, დამეწყო მიწერ-მოწერა ცხოველ ეკლესიასთან, დავმორჩილებოდი მას, ხოლო ერთ საბჭოს წევრთაგანს შეაძლიეს საპატიო თანამდებობა, ჩადგომოდა ცხოველ ეკლესიას სათავეში, მაგრამ ეს, რასაკვირველია, უარყოფილ იქნა, როგორც ცდა ეკლესიური თავისუფლების მოსპობისა და ეკლესიური ცენტრალიზაციისა. ეს იყო მიზეზი, რომ საქართველოს ეკლესიის მმართველი აპარატის წევრები ჩითვლილ იქმნენ კონტრევოლუციონერებად, რეფორმების შემოღების მოწინააღმდეგედ, თუმცა საკათ. საბჭოს უკვე დაწყებული ჰქონდა საქმე ფართე რეფორმების შემოღებისა ეკლესიურ ცხოვრებაში. მაგრამ საქმე შეაფერხა საბჭოს თავმჯდომარისა და წევრების დაპატიმრებამ, ხოლო იმ პირებმა, რომლებიც მოწინავედ და პროგრესულად სთვლიდნენ თავიანთ თავს და დარჩნენ თავისუფლად სამოქმედო ასპარეზზე, რომელთა ლიდერის თავმჯდომარეობით სარეფორმო კომისიაც კი იყო არჩეული, ვერაფრის გაკეთება, როგორც მოსალოდნელიც იყო, ვერ შეძლეს. საქმე იმაშია, რომ საკათ. საბჭოს უნდოდა რეფორმების შემოღება ეროვნულ ნიადაგზე, ადგილობრივი პირობების მიხედვით, ხოლო „მოწინავე“ სამღვდელოების წრე, რომელსაც შეერჩია მოქმედების ასპარეზი, ფიქრობდნენ რეფორმების მოხდენას რუსეთის ეკლესიის ტრაფარეტით იმ მიზნით, რომ საქართველოს ეკლესია გაებათ მონობის უღელში, დაემორჩილებიათ ისევ რუსეთის ეკლესიისათვის.

რადგანაც ამნაირი უარყოფითი იყო მთავრობის გეზი სარწმუნოებრივ საკითხებში და მოველოდი ამნაირ შედეგებს, მე, როგორც ეკლესიის თავი, ვეძებდი საშუალებას ეკლესიის ინტერესების დაცვისათვის და ამ მიზნით მივმართე გენუის კონფერენციას.

აქ თავისთავად ისმება კითხვა, აქვს თუ არა ეკლესიის თავს უფლება ეკლესიის თავისუფლებასთან ერთად თქვას რამე ეროვნული თავისუფლების შესახებაც და, თუ აქვს, იქნება თუ არა ეს პოლიტიკურ სფეროში შეჭრა? ჩემის რწმენით, ამის უფლებას ჩვენ გვაძლევს ქრისტიანული სწავლა-მოძღვრება. ის გვეუბნება, რომ კაცი ღვთისაგან თავის სახედ და მსგავსად შექმნილია. ღვთის სახეობა და მსგავსება აღბეჭდილია მის სულიერ თვისებებში, რომელთა შორის უმთავრესი თვისებაა თავისუფლება. პავლე მოციქული გვეუბნება, რომ ჩვენ წოდებულ ვართ თავისუფლებისათვის. ქრისტემ მოგვანიჭა ეს თავისუფლება და მტკიცედ უნდა შევინახოთ იგი. ერთხელ განთავისუფლებულებმა არ უნდა დავიდგათ ისევ მონობის უღელი. (გალ, 5, 1); გვეტყვიან, რომ მოციქული ამბობს ინდივიდუალურ და სარწმუნოებრივ თავისუფლებაზე და ხალხის თავისუფლებას არ ეხებაო, მაგრამ ვინც ჩაუკვირდება მოციქულის სიტყვებს, დარწმუნდება, რომ ის გულისხმობს კოლექტიურ ინდივიდუმებს — ერებს და მათს ამქვეყნიურ ურთიერთობას. ამას მოციქული ცხადად გვიმარტავს, როდესაც გვეუბნება, რომ თავისუფლება უნდა გვქონდეს არა „საფარველად უკეთურებისა“ (1 პეტ. 2, 16), არა „მიზეზად ხორცთა“, არამედ ძმათა სიყვარულისათვის, ხოლო უკეთუ „ურთიერთას იკბინებოდით და შეიჭამებოდით, იხილეთ ნუუკუე ურთიერთას განილინეთ“, ამბობს იგი (გალ, 5, 13-15). ე. ი. თუ ერთმანეთში უთანხმოება და ბრძოლა გექნებათ, ვაითუ ამოწყდეთო. ცხადია, აქ ნათქვამია ადამიანების კრებულთა და ხალხთა შორის ურთიერთობებზე. ამის გამო თუ მე ჩემს წერილში შევეხე ერის თავისუფლების საკითხს, ამის უფლებას მაძლევდა სახ. წერილი და ჩვენ, სასულიერნო პირნი ამ მოვალეობის ასრულებას გვერდს ვერ ავუხვევთ. ეს ერთი.

მეორეს მხრით, როგორ გინდა არ შეეხო ხალხის ცხოვრების საკითხებს, და ამან არ მიიღოს პოლიტიკური სახე, როდესაც ეკლესიის და პოლიტიკური ერთეულის შემადგენლობა ერთი და იგივეა — ეკლესიის წევრნი იმავე დროს არიან სახელმწიფოს წევრნი. ამის გამო ყოველ ჩვენს მოქმედებას, ყოველ სიტყვას შეიძლება მიეცეს პოლიტიკური ხასიათი, თუ ამის სურვილი გვექნება. ეკლესიის და სახელმწი-

ფოს ერთმანეთისაგან გამოყოფა მე ისე მესმოდა, რომ გამოყოფილ ეკლესიის შინაურ საქმეებში სახელმწიფო არ ჩაერეოდა, მაგრამ სინამდვილე გვიჩვენებს, რომ ვსცდებოდი. 1922 წელს ერთი პროვინციული ქალაქის ეკლესიაში ხალხს მივმართე სიტყვით, რომელშიდაც ვეუბნებოდი მას, რომ ის იყოს ერთგული ეკლესიისა, რომ ასრულოს ქრისტიანული მოთხოვნილება, რომ ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოდან, რომ მთავრობა ამის გამო არ ერევა მის შინაურ საქმეებში, მორწმუნეებს არ უკრძალავს იქონიოს თავისი სარწმუნოება, სინდისის თავისუფლება და სხ. თურმე ეს სიტყვაც ადგილობრივ ხელისუფალთ მოეჩვენათ საწინააღმდეგოდ და უთქვამთ, როგორ გაბედა ამის თქმაო. იყო შემთხვევა, მქადაგებელმა თავის სიტყვაში მოიყვანა ქრისტეს სიტყვები: „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევიან" ეკლესიასო. აბა, ჯოჯოხეთი გვიწოდაო. დასაბამიდან ქრისტიანობისა ეკლესიაში მიღებულია ლიტანიობა, მაგრამ ამასაც სთვლიან კონტრრევოლუციონერულ დემონსტრაციად და სხვა.

საქართველოს ეკლესია და სამღვდელოება არას დროს არ ყოფილან კონტრრევოლუციონერული მიმართულების. თუ მათზე მსჯელობენ რუსეთის ეკლესიის ანალოგიით, ეს დიდი უსამართლობა იქნება. ჩვენმა ეკლესიამ და ერმა 120 წელიწადი გაატარა მონობაში. დიდი და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ დაიბრუნა თავისუფლება და სურს შეინარჩუნოს ის. სამღვდელოების ზრახვები ამის იქით არ მიდის. სულ სხვაა რუსეთის ეკლესია. პირველსავე საეკლესიო კრებაზე (1917-18 წლები) იყო გამოთქმული, რომ რუსეთის ხსნა მხოლოდ თვითმპყრობელ მეფეშია, მასზე მსჯელობდნენ და ოცნებობდნენ, ხოლო ამ კრების გაგრძელებაზ (ვარლოვიცში) კიდევაც დაადგინა, მოწვეულ იქნას რუსეთის ტახტზე ერთერთი წევრი რომანოვების სახლისა და ამ დადგენილებას 87 დელეგატთაგან ხელს აწერდა 86 (როძიანკომ შეიკავა თავი), ერთმა მღვდელმთავარმა (მიტრ. პლატონი), როგორც გამოქვეყნებული იყო, შეადგინა სალმრთო რაზმი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად, — აბა, გვიჩვენეთ ამნაირი რამ საქართველოს ეკლესიის კრებების ან კერძო სამღვდელო პირის ისტორიაში? მიუხედავად ამისა, რუსეთის ეკლესია გაცილებით უფრო კარგ პირობებშია, ვიდრე საქართველოსი. რაშია საქმე? თუ აქ ჩემი წერილია მიზეზი, ხალხი და სამღვდელოება რა შუაშია? ის ჩემი დაწერილია ეკლესიური და ეროვნული ინტერესების დაცვის თვალსაზრისით და მევე მეთხოვება პასუხი.

როგორ არის დაყენებული ეროვნული საკითხი? პირველად საბჭოთა ხელისუფლებას არც კი ჰქონდა თავის პროგრამაში ეროვნული საკითხი, ის უარყოფილი და [illegible] იყო ინტერნაციონალურ მიმართ[illegible]-ობით (ის ემსახურებოდა მხოლოდ დიდმპყრობელობის იდეას). შემდეგ ამ საკითხს მიექცა ყურადღება. სტალინი ამბობს, რომ ნიკოლოზ მეორის დროს მხოლოდ და მხოლოდ ერების გარუსებაზე ფიქრობდნენო. ამაში მეც სავსებით ვეთანხმები, რადგანაც ჩემი 37 წლის მსახურების განმავლობაში ამ ბოროტებას ვებრძოდი ბეჭდვითის სიტყვით (ადგილობრივ და სატახტო პეტროგრადის ჟურნალ-გაზეთებში) და საქმით, რის გამო დევნა, ტანჯვა და მწუხარების მეტი არა დამიმსახურებია რა. მაგრამ განაგრძოს სტალინმა, როგორია ახლა ამ საკითხის მდგომარეობა. ახლა სულ სხვააო, ამბობს იგი, საბჭოთა ხელისუფლება არ ცდილობს ყველა ერები ალაპარაკოს ერთ ენაზე. რაც უნდა პატარა იყოს ერი, ის სცდილობს შეუქმნას მას წერა-კითხვა და მწერლობა. მე-X ყრილობამ დაადგინა: 1. საბჭოთა ხელისუფლება ყველა ერებში მოეწყოს ადგილობრივი პირობების, ზნე-ჩვეულების და მიდრეკილების მიხედვით და შეფარდებით. 2. საქმის წარმოება და მიწერ-მოწერა უსათუოდ უნდა იქნეს ადგილობრივ ენაზე. და 3. შკოლებში სწავლების ენად უნდა იქნას უსათუოდ ადგილობრივი ენა. მე-XII ყრილობამ კიდევ უფრო გააფართოვა ეროვნული საკითხი. ამნაირად საბჭოთა ხელისუფლება ეროვნული საკითხის უარყოფიდან გადაიხარა მის ცნობამდი, მისი სამსახურისაკენ (თუმცა ეს ჯერ, სავსებით არ არის განხორციელებული). ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ამას თხოულობდა ცხოვრება და ამისთვის ძალაუნებურად ანგარიში უნდა გაეწიათ.

მიუხედავად ამისა, ყველა რუსი კომუნისტი ამას არ თანაუგრძნობს. ლენინმა სთქვა: „გაფხიკეთ ზოგიერთი კომუნისტი რუსი და თქვენ დაინახავთ წითელ პატრიოტსა და შოვინისტსაო". მათში ბევრია დიდმპყრობელობის იდეის მიმდევარნი — იმ დიდმპყრობელობის, რომელსაც ლენინმა უწოდა **РУСОТЯПСТВО.** X ყრილობაზე აღნიშნული იყო, რომ რუსი კომუნისტები განაპირა ქვეყნებში ამაყობენ თავის რუსობით, მათ სწამთ არა ფედერაცია, არამედ განუყოფელი რუსეთი. უკრაინის წარმომადგენელმა კომუნისტმა ზატონსკიმ აღნიშნა X კრებაზე, რომ პოლონეთის და გალიციის წინააღმდეგ მიმავალ ჯარს ამხნევებდნენ რუსული პატრიოტიზმით, რუსეთის განუყოფლობით. თვით სახელწოდება „საბჭოთა რუსეთში" ზატონსკი ხედავს იმავე დიდმპყრობელობით იდეას და ამბობს: გერმანიაც რომ შემოგვიერთდეს, ნუთუ მაშინაც დარჩება სახელი „საბჭოთა რუსეთიო".

როგორც რუსეთის დიდმპყრობელობას, **русотяпство**-ს, წითელ პატრიოტიზმს, და რუსეთის განუყოფლობას, ისე ზატონსკის პროტესტს აქვს თავისი საფუძველი. აქ ნათლად მოსჩანს ბუნება ადამიანისა, სიყვარული თავისი ერისა და სამშობლოსადმი, — პატრიოტიზმი, მართალია, პირველ შემთხვევაში ზოოლოგიური, მაგრამ მაინც პატრიოტიზმია. ამნაირ მიმართულებას, რასაკვირველია, ლენინი და საუკეთესო კომუნისტები გმობენ, მაგრამ მისი არსებობა მაინც ფაქტია. ერთმა ჩვენმა უმაღლესმა ხელისუფალთაგანმა ერთ თავის სიტყვაში გამოსთქვა, რომ რუსეთის დიდმპყრობელობას უნდა ვებრძოლოთო. მაშ რაშია საქმე? მარტო ჩემთვის ხომ არ უნდა იყოს დანაშაული დიდმპყრობელობის წინააღმდეგ ხმის ამოღება. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ის დებულებანი, რომელნიც დაედვა ჩემს წერილს, არ ყოფილან უმნიშვნელო. ამნაირ ვითარებისათვის უნდა მიექციათ ყურადღება და მიექციეს კიდეც.

ეროვნულ ცხოვრების მიმდინარეობაში დეფექტების მაჩვენებელი ფაქტებით, მკითხავენ. არ ვიცი საჭიროა ფაქტების მოყვანა თუ არა. ამბობენ, რომ მდგომარეობა ახლა უარესია, ვინემ იყო იმ დროს, როცა ჩემი წერილი იგზავნებოდა გენუის კონფერენციაზე. უარესობისას მე ვერას ვიტყვი, რადგან უკანასკნელი წელიწადი პატიმრობაში მყოფობისა გამო მოწყვეტილი ვარ საზოგადოებრივ ცხოვრებას, მაგრამ თუ ეროვნული ცხოვრების მდგომარეობის უარესობა სინამდვილეა, მაშინ საჭიროა გამოირკვეს, სად არის ამის მიზეზი, ჩვენი კომუნისტების ენერგია. შრომის მოყვარეობა და ქართველი ერის საკეთილდღეოთ ზრუნვა მრწამს და ამისთვის, ვფიქრობ, ამის მიზეზები უნდა ვეძიოთ გარეშე პირობებში. — ჩვენში მოქმედ გარეშე ძალების სიძლიერეში. მჯერა ჩვენი მუშაკების ენერგია შეებრძოლება ამ ხელის შემშლელ პირობებსაც და დაძლევს მათ ერის საკეთილდღეოდ. ამხელად კი მაინც მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

ა. დაწესებულებებში ყველაზე უკეთ მე ვიცნობ საგანგებო კომისიას, რადგან ორ წელიწადზე მეტი ჩემი ცხოვრება მასთან იყო დაკავშირებული. ჩემი პირველად ამ დაწესებულებაში შესვლის დროს თავმჯდომარის კაბინეტის კარებთან მჯდომ დარაჯს ვკითხე ქართულად რაღაც ხოლო მან მიპასუხა: **«Я по грузински, не знаю»**. მე, რადგან ვიცოდი რუსული, მივიღე დაკმაყოფილება, მაგრამ რა ქნას რუსულის უცოდინარმა? მას მეკარესთანაც მოენე სჭირდება.

აფხაზეთიდან ჩამოვიდა გლეხი, შვილი ჰყავდა დაპატიმრებული ჩეკაში, და მისი ნახვა უნდოდა. იარა მთელი ორი თვე და ვერავის გააგებია თავისი სურვილი, რადგან ჩეკაში წამყოლი მოენის შოვნა ძნელია. მერე ურჩიეს და თხოვნით მიმართა ჩეკის თავმჯდომარეს, რამაც გასჭრა, მიიღო დაკმაყოფილება. მაგრამ რამდენი დაუჯდა საწყალ გლეხს შვილის ნახვა? წამოსვლის დროს გაყიდა ხარ-კამეჩები სახარჯოდ და დაჰკარგა ორი საუკეთესო თვეების (მაისი და ივნისი), რომლესაც აფხაზეთში წარმოებს ხვნა-თესვა სიმინდისა (სოფლის მუშაობა).

დააპატიმრეს ჩემთან მყოფი მღვდელმონაზონი ეფრემი, გავუგზავნეთ სადილი ქართულად დაწერილი ბარათით, დამიბრუნეს უკან, არ მიიღეს, ბარათი რუსულად უნდა იყოს დაწერილიო.

იქვე მოპასუხე ემუდარება გამომძიებელს, მომიყვანეთ მოენე და მალაპარაკეთ ქართულადო, გამომძიებელმა არ დაუკმაყოფილა თხოვნა და დაასაბუთა ამნაირად: **«Всё равно и по грузински также будет врать, как и по русски»**...

ბ. ფოსტა. იმ ხანებში, როდესაც გავგზავნე წერილი გენუაში, ჩემმა კანცელარიამ გაგზავნა საქმის წერილი დუშეთის მაზრაში, დააბრუნეს ამანათზე რუსული წარწერით, რომ მისამართი რუსულად უნდა იყოს დაწერილიო. ერთმა დიდმა ხელისუფალმა თავის სიტყვაში გამოაქვეყნა შემდეგი: „ერთის ფოსტის უფროსისაგან შემოვიდა მოთხოვნილება: რადგან საქართველოს რესპუბლიკაში ქართული ენა სავალდებულოა, მოგვაშორეთ რუსი მოხელე ქართულის უცოდინარი, რომელიც ვერ ასრულებს მოვალეობას. ეს საკითხი მშვენიერათ გადავწყვიტეთ. რუსულ ენაზე მოსული ტელეგრამა რუსმა მიიღოს, ხოლო ქართულ ენაზე ქართველმაო. მხოლოდ არ იყო მოხსენიებული, იმ ფოსტის განყოფილებაში არსებობს თუ არა მოხელეთა მორიგეობა და თუ არსებობს, რას იზამს რუსი ქართულის უცოდინარი, როდესაც მისი მორიგეობის დროს მოვა დეპეშა ქართულ ენაზე. არის თუ არა ამნაირი პრივილეგია ქართველისათვის რუსეთში. მაგალითად მოსკოვში, პეტროგრადში, ვლადიკავკაზში და სხვაგან, სადაც ქართველობა ბლომადაა.

გ. რკინის გზა. უკანასკნელ დრომდე იქ ქართული ენა განდევნილი იყო. ერთმა ხელისუფალმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ მთავრობას უსაყვედურებენ, რომ რკინის გზაზე საქმის წარმოება არ არის ქართულად. ახლა მუშავდება კანონ-პროექტი. ორის კვირის შემდეგ გამოვა, რომლის შემდეგ ქართველ გლეხს შეეძლება მოგზაურობა ქართული ენის

საშუალებითო, ამ განცხადებამ სიხარული დატაში გამოიწვია. გამოქვეყნდა ეს სასურველი კანონი, რომელიც გვეუბნება, რომ რკინის გზის სამმართველოში საქმე უნდა სწარმოებდეს რუსულ და ქართულ ენაზე, რუსი — თუნდაც ქართული ენის უცოდინარი მოსამსახურენი საჭირონი არიან, რადგან საქართველოს რკინის გზა შესულია რუსეთის რკინის გზათა ცხრილშიო. და სხვ. იმის გამო, რკინის გზა შეუერთდა რუსეთის რკინის გზებს. ქართველს, რუსულის მცოდნეს, არ შეუძლია არაქართულ რესპუბლიკის ტერიტორიაში საპასუხისმგებლო ადგილები დაიკავოს რკინის გზის სამმართველოში, ალბად იმისთვის, რომ ქართველს ნდობა დაკარგული აქვს. ამას წინათ გაზეთში გამოცხადებული იყო, რომ რკინის გზაზე მომხდარ რაიმე გაუგებრობის შესახებ პრეტენზიები უნდა განასაჩივრონ სარკინიგზო ცენტრალურ დაწესებულებაში, რომელიც იმყოფება მოსკოვში. ნუთუ არ შეიძლებოდა აქ, თბილისში დაარსებულიყო ამნაირი დაწესებულება ანუ განყოფილება მაინც, სადაც ყველა ქართველს თავის ენაზე შეეძლებოდა მიემართა საჩივრით.

დ. ამბობენ, რომ უმთავრეს საფინანსო დაწესებულებაში — სახელმწიფო ბანკში — ქართველის სამსახური იშვიათია და თუ ვინმე მსახურობს, უკავია სულ დაბალ მოსამსახურის ადგილი.

ე. განათლების კომისარიატში მხოლოდ შარშან გადავიდნენ საქმის ქართულ წარმოებაზე. 1923 წლის მაისის თვეში გამოვიდა კომისარიატის ბრძანება ამის შესახებ.

ვ. რაღაც სამედიცინო დაწესებულებაში უნდოდათ აერჩიათ პასუხისმგებელი მდივანი ქართული ენის უცოდინარი. კრების დამსწრეთაგანმა განაცხადა, რომ საქართველოს ფარგლებში მოსამსახურისათვის ქართული ენის ცოდნა სავალდებულოაო, და ამისათვის მას «Раб. Правда»-მ უწოდა შოვინისტი და პურიშკევიჩი.

სხვა მაგალითების მოყვანას მე არ შევუდგები, მაგრამ არ შემიძლია გვერდი ავუხვიო იმ შეკითხვებს, რომლებსაც აძლევდნენ ყოფილი მენშევიკები ხელისუფალთ 1923 წლის აგვისტოს ყრილობის დროს, რადგან ეს შეკითხვები ხალხის სურვილების მაჩვენებელნი არიან:

ზ. თქვენ ამბობთ, ეუბნებიან ყოფილი მენშევიკები კომუნისტებს, რომ რუსეთის პროლეტარიატი არავის მისცემს ნებას, რომ ქართული ენა იქმნეს დაჩაგრულიო. თუ ჩვენი რესპუბლიკა დამოუკიდებელია, რისთვის ჩვენმა პროლეტარებმა, კომუნისტებმა და ხელისუფლებამ არ უნდა იზრუნოს და მიიღოს ზომები ამის შესახებო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. როდესაც ქართველი მსახურობს ქარხანაში, ვალდებულია ის უყვარდეს თავისი სამშობლო თუ არაო.

თ. რა საჭირო იყო საქართველოს დაყოფა ავტონომიებად, განსაკუთრებით რა საჭირო იყო ოსეთის და აჭარის რესპუბლიკების დაარსება. საჭიროა თუ არა ყველა მაზრას, თემს და სოფელს ჰქონდეს ავტონომიური უფლებებიო.

ი. როდის გავა რუსეთის ჯარი საქართველოდანო.

კ. როდესაც ქართველი გლეხი — რუსულის უცოდინარი — მიდის რომელიმე დაწესებულებაში, ვალდებულია თუ არა ის თავისთვის მოენე თვითონ იშოვოსო.

ლ. მიაქციეს ყურადღება ტფილისში ხალხის გამრავლებას და ცრემლში ამოვლებულ ირონიით ამბობენ: „მარქსმა სთქვა, ყველა ქვეყნის პროლეტარებო შეერთდით და არას დროს, არსად არ უთქვამს, ყველა ქვეყნის ბეჟენცებო ტფილისში შეგროვდითო“ და სხვ.

ჩაუკვირდით ამ შეკითხვებს და თქვენ დარწმუნდებით, რომ ხალხი რაღაცით არ არის კმაყოფილი, რაღაც აწუხებს მას და ვერ გრძნობს თავს ბედნიერად. ჩაუკვირდით და თქვენ იმასაც დაინახავთ, რომ მე იმისთანა არაფერი მითქვამს, რაც სინამდვილეს ეწინააღმდეგებოდეს და მომაკვდინებელ ცოდვად შეიძლებოდეს ჩამეთვალოს.

შეიძლება ვინმემ მომცეს შენიშვნა, რომ ამდენს ვლაპარაკობ ეროვნული კითხვების შესახებ და თითქმის არაფერი მითქვამს ეკლესიის მდგომარეობაზე, მაგრამ განა საჭიროა რაიმეს თქმა ეკლესიის მდგომარეობაზე? თითოეული ჩვენთაგანი, რომელიც ხალხის ცხოვრებას უკვირდება, ნათლად ხედავს ეკლესიური ცხოვრების სინამდვილეს, ხოლო ვისაც ისტორია უსწავლია ან გაცნობია ოდნავ მაინც, იმან იცის, რომ ამნაირი დევნულობა, როგორც ჩვენში მოხდა, ისტორიამ არ იცის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ქრისტიანობის პირველ საუკუნეებს, როდესაც მორწმუნენი იძულებულნი იყვნენ თავიანთი სარწმუნოებრივი მოვალეობების აღსასრულებლად ჩამძვრალიყვნენ კატაკომბებში. იმნაირი სისასტიკე, როგორიც ჩვენში გამოიჩინა კომუნისტურმა ხელისუფლებამ, არ ყოფილა არც რუსეთში და არც სხვა საბჭოთა ფედერაციის რესპუბლიკებში. რუსეთიდან ჩამოსულები განცვიფრებაში მოდიან, როდესაც გაიგებენ ეკლესიის მდგომარეობას საქართველოში. ამას წინათ გაზეთ „კომუნისტში“ (30 ნოემბერი, 1923 წელი № 276) მოყვანილი იყო ცნობა, რომ განჯის მუსულმანურ სასულიერო წოდების წარმომადგენლე

ზმა დიდი ბრიტანეთის აღმოსავლეთში ძალადობაზე მოხსენების მოსმენის შემდეგ გამოაქვეყნეს წერილი, რომელშიაც კიცხავენ ინგლისის იმ აგენტებს, რომელნიც არამუსულმან ქვეყნებში ავრცელებენ უმეცრებას და ცრუმორწმუნებას, სდევნიან სამღვდელოებას, საღმრთო უფლებებს და შეურაცხყოფენ მუსულმანთა წმინდა ადგილებს. ყველა ამისთვის კიცხავენ ბრიტანეთს და მადლობას უცხადებენ საბჭოთა ხელისუფლებას სამართლიანი მოპყრობისა და მისგან დამყარებული რწმენის თავისუფლებისათვის. ბედნიერი მუსულმანი მორწმუნენი! მათში არ ყოფილა დევნა სარწმუნოებისა! ბედნიერი მუსულმანური სამღვდელოება, რამდენად წინ წასულა იგი სამი წლის განვლობაში, რამდენად გაუსწრია ჩვენი ქართული სამღვდელოებისათვის!!! ვაი, ჩვენი ხირისვილი! არც სომხების რესპუბლიკაში დაკეტილა არამც თუ იმდენი ეკლესიები, რამდენიც საქართველოში, არამედ მისი მეასედიც. დიახ, მარტო ჩვენშია დევნა სარწმუნოებისა, მაგრამ იმედია, მომავალში ჩვენც მოგვეცემა რწმენის თავისუფლება. ამის ნიშნები უკვე არის (მთავრობის ინსტრუქციები იხ. „კომუნისტი“, № 294 და 295).

რად იყო ამ სისასტიკის მიზეზი? ამბობენ, რომ ამის მიზეზი იყო თვით ხალხი. მას არ უნდოდა ეკლესიები, სამღვდელოება და სარწმუნოებამო, მაგრამ მართალია ეს? სასულიერო მთავრობის წარმომადგენლის თანდასწრებით ეკითხათ ხალხისთვის ფარული ხმის მიცემის საშუალებით, თორემ პირდაპირ გამოთქმას ხალხი ვერ ბედავს, რომ ამან არ გამოიწვიოს რეპრესიები ან რაიმე ბუგეულში მომხდარი უბედურების მსგავსი. თუ ფარული დაკითხვის შემდეგ მორწმუნეთა რიცხვი მცირე აღმოჩნდებოდა, მაშინ ჩვენ თვითონ დავკეტავდით ეკლესიას და მორწმუნეთ მივაწერდით სხვა სამრევლოს.

გადმოგვცემენ, რომ ერთ სოფელში (სამეგრელო) ეკლესიის დაკეტვის და მღვდლისათვის ღვდელ მოქმედების აკრძალვის შემდეგ ერთ ღამეს მოგვარეს მღვდელს სამოცი მოსანათლი ბავშვი, რამდენი ყოფილა ამ სოფელში მორწმუნე? თითო ოჯახში ხუთი სული რომ ვიანგარიშოთ, გამოვა სამასი სული მორწმუნე. ახლა რამდენი მორწმუნე ოჯახი იქნებოდა, რომელსაც მოსანათლავი არ ეყოლებოდა. აი ეს და ამნაირი სოფლები ურწმუნოებად არიან გამოცხადებულები. მე ხელში მქონდა და შეიძლება ახლაც მქონდეს, აღწერილობა აბაშის ეკლესიის დანგრევის ისტორიისა. ბუგეულის ეკლესიის დაკეტვის ისტორია სასამართლოს კარგად მოეხსენება და სხ. სამეგრელოდან, ამბობენ, მოსანათლავი ბავშვები მიჰყავდათ და ჯვარსაწერში მიდიოდენ იმერეთში, აფხაზეთში და სხვაგანაც. ყოფილა მაგალითი ტფილისშიაც ნამოყვანისა. მიცვალებულებს წესის აუგებლად მარხავდნენ, ხოლო წესის ასაგებად და წირვის გადასახდელად საწყლები მიდიან [illegible] ადგილებში. ამდენად დიდია შეწუხებამო, ამბობენ, მაგრამ შეიძლება ეს ხალხისათვის სასარგებლო იყოს სარწმუნოებრივად და ეკონომიურადაც? რას გვეუბნება ამნაირი მაგალითები?

როდესაც ხალხის ურწმუნოების მტკიცება არ გამოდგა საკმარისად, დევნულობის მიზეზად გამოაცხადეს ჩემი გენუის კონფერენციისადმი მიმართვა და დაიწყეს მტკიცება, რომ მანამდის არ ყოფილა სარწმუნოების დევნაო. თუ ეს ჭეშმარიტებაა, მაშინ ხალხის სურვილი აქ არა შუაშია და თუ ხალხის სურვილი იყო ეკლესიების დაკეტვა; უჩემწერილოდაც მოხდებოდა ის, რაც მოხდა. მეორეს მხრით, საკადრისი იქნებოდა მთავრობისათვის ჩემი დანაშაულისთვის ხალხის დასჯა სარწმუნოებრივად? მაგრამ ვიკითხოთ, მართალია ის მტკიცება, რომ ჩემი წერილის გაგზავნამდის არ ყოფილიყოს ვითომ დევნა სარწმუნოებისა? როდესაც ახალი ხელისუფლება მყარდებოდა საქართველოში, მე განვაგებდი სოხუმის ეპარქიას. რა ვნახე? სოხუმში ახალი მთავრობის თითქმის პირველი აქტი იყო ქართველებისა და აფხაზებისათვის საკათედრო ტაძრის ჩამორთმევა და გადაცემა რუსებისათვის, რომლებიც რაოდენობით სოხუმის მკვიდრთა ერთ მეოთხედსაც არ შეადგენდნენ და რომელნიც არ ემორჩილებოდნენ საქართველოს ეკლესიას. მეორე, ეკლესიისათვის საკეთილო ზომა იყო სამღვდელმთავრო სახლის ჩამორთმევა, ჩემი იქიდან ძალით გამოგდება, ბარგების ქუჩაში გამოყრა, ჩემი კომისარიატიდან კომისარიატში შეიარაღებული მილიციონერების საშუალებით ტარება და ჩემი ხუთი თვის განმავლობაში ხან ვისთან და ხან ვისთან თავის შეფარება. მე-3. კარის ეკლესიის დანგრევა, 4. კანცელარიისა და ისტორიისათვის ძვირფასი არქივის სანახევრო განადგურება და ნაშთის სამზარეულოსთან ნესტიან ოთახში შეყრა, სადაც სისტემატურად ნადგურდებოდა. 5. საეკლესიო სახლების ჩამორთმევა და მღვდელ-მსახურთა შევიწროება, რის გამო ზოგიერთი მღვდელთაგანი იძულებული გახდა, სოფელში შეეფარებია თავი და თავის რიგის შესასრულებლად იქიდან ეარა ქალაქში და სხვ. ყველა ეს მოხდა ახალი მთავრობის დამყარების პირველ თვესავე.

იგივე მოხდა ფოთში, რის გამოც მღვდელმთავარი, რომელსაც ბინა წაართვეს, იძულებული გახდა სამსახურისათვის თავი დაენებებინა. საკათ. საბჭოს შუამდგომლობით შინაგან საქმეთა კომისარიატმა გასცა განკარგულება ფოთის სამღვდელმთავრო სახლის

დაბრუნების შესახებ, მაგრამ ადგილობრივმა მთავრობამ უყურადღებოდ დასტოვა ცენტრალურ მთავრობის განკარგულება. რუსეთის ცენტრალიზაციის სისტემას მტკიცედ ვიცავთ და ვემორჩილებით და შინ კი ვერ განგვიხორციელებია ეს სისტემა. შინაგან საქმეთა კომისარიატმა შეიმუშავა პროექტი, რომ ის შენობები მაინც დარჩნენ ხელუხლებელი, რომლებიც იმყოფებიან ეკლესიის ეზოებში. პროექტი დამტკიცებულ იქმნა ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტისაგან, მაგრამ სისრულეში მოყვანას ვერ ეღირსა. საკათ. საბჭოს საქმეებში ბევრია მაგალითები პროვინციის დაბა-სოფლებში სახლების ჩამორთმევისა და სამღვდელოების შევიწროებისა. ცხადია, ახალ ხელისუფლებას თავიდანვე ეტყობოდა, თუ რანაირი იქნებოდა მისი გეზი საეკლესიო საქმეებში და ტყუილია იმის მტკიცება, რომ ყველაფერი წერილის ბრალი იყოს, მე ამას ვერ დავუშვებ, იმდენად ვერ დავამცირებ მთავრობას, რომელსაც პატივს ვცემ.

გარეშე ამისა უნდა ავღნიშნო ერთი რამ. ისტორია გვიმტკიცებს, რომ დევნულობა უძლურია მოსპოს სარწმუნოება. პირიქით, შენიშნულია რომ დევნულობა აძლიერებს მას. მეცნიერთა აზრით, პირველ საუკუნეებში რომ არ ყოფილიყო სასტიკი დევნულობა, შეიძლება ქრისტიანობას არც კი გაემარჯვა, ჩამქრალიყო, მაგრამ ბრძოლამ მისცა მას ძალი არსებობის განმტკიცებისა. სარწმუნოება არის ხალხის სულიერი მოთხოვნილება. დევნულობა ამ მოთხოვნილებას უფრო აძლიერებს. ის ღრმავდება, იკუმშება და გუბდება და ამოხეთქავს გაძლიერებულის ძალით. ასე იყო ყველგან, ასე იქნება ჩვენშიც, საქართველო არ იქნება გამონაკლისად საზოგადო კანონებიდან. მაშინ ხალხს დასჭირდება ეკლესიები, სამკაულები და შესამოსლები. ვინ აღუდგენს მას დანგრეულ ეკლესიებს, დაუბრუნებს შესამოსლებს და ეკლესიურ აუცილებლად საჭირო სამკაულებს? მიზანშეწონილად და მოფიქრებულად შეგვიძლია ჩავთვალოთ ჩვენი მთავრობის პოლიტიკა ეკლესიის შესახებ? მე მესმის მხოლოდ იდეური ბრძოლა, მაგრამ მოწინააღმდეგე მხარესაც უნდა ჰქონდეს უფლება თავისი რწმენის დაცვისა. მაგრამ კმარა ამის შესახებ, ვინაითგან ახლა თვით მთავრობა მიმხვდარია, რომ მისი მოქმედება გადაჭარბებული იყო, შეცდომა მოუვიდა. ეს ბეჭდვითაც კი გამოაქვეყნა მან, რაც მომასწავებელია გეზის შეცვლისა.

ჩვენ მოვიხსენიეთ, რომ ხელისუფლებამ აღიარა თავისი შეცდომები. აგრეთვე ყოფილი მენშევიკების ყრილობის დროს და სხვა შემთხვევებშიაც კომუნისტურმა პარტიამ განაცხადა, რომ მას ბევრი შეცდომები მოუვიდა, მაგრამ ამის აღიარების მას არ რცხვენია. დიდად სასახელო თვისებაა. ყოველი ადამიანი შეცდომის შვილია, შეცდომები მას თან სდევენ, მისი თანდაყოლილი თვისებაა, მაგრამ, როდესაც ადამიანი არ ჯიუტობს, როდესაც გულახდილად მისი აღიარებისა არ რცხვენია, ეს მომასწავებელია გასწორებისა და წინმსვლელობისა. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი კომუნისტების დაყოფა ორ ბანაკად — ცენტრალისტებისა და უკლონისტებისა — შედეგია უკანასკნელთაგან ეროვნულ საკითხში თავის შეცდომების შეგნებისა და ეროვნული პრინციპების მიღებისა. პირველმა პარტიამ გარეშე ხელშემწყობლებისა გამო გაიმარჯვა, ხოლო უკლონისტები გარიყულ იქნენ იმის გამო, რომ დიდმპყრობელი ერისთვის საჭირო და მარგებელი იყო ცენტრალიზმი. ზინოვიევი თავის იმ წერილში, რომელმაც გამოიწვია დისკუსიები, ამბობს: „ისეთი ქვეყნის მმართველს, როგორიც ჩვენი ქვეყანაა, რ უ ს ე თ ი ს (ხაზი ჩემია) კომპარტიას არ შეუძლია არ იყოს ცენტრალისტურ ორგანიზაციად" — („კომუნ". 9 დეკემბერი, 1923 წელი, № 284). როგორც ამ სიტყვებიდანაც სჩანს, კომუნისტურ ხანაში სუყველა ერებისათვის არ არის საჭირო და სავალდებულო ცენტრალისტური წესწყობილება, ხოლო არ არის გამორკვეული საკითხი, არის თუ არა მარგებელი საქართველოსთვისაც ცენტრალიზმი და, ჩემის აზრით, ქართულ დისკუსანტებისათვის საჭირო იყო მიექციათ უმთავრესი ყურადღება ამ საკითხის გამორკვევისათვის.

საკავშირო ცაკის მესამე ყრილობაზე მოსკოვში ჩვენი მთავრობის წარმომადგენელმა წარადგინა დებულების პროექტი სადირექტივო კომისარიატის დაარსების შესახებ და ამის საჭიროების დასასაბუთებლად სთქვა შემდეგი: „კლასობრივი მხრით ჩვენ ვართ აბსოლუტურად ცენტრალისტები". მაგრამ იმავე დროს ანგარიში უნდა გაუწიოთ სსრ კავშირის ხალხთა ნაციონალურ თავისებურებებს და შევიტანოთ ეს ჩვენს კონსტიტუციაში. ცენტრალიზაცია, საერთო საკავშირო კომისარიატები, შეეფერებიან საბჭოთა ხელისუფლების კლასობრივ საფუძველს. მეორე მხრით, ჩვენ გვაქვს კომისარიატები, რომლებიც გამოხატავენ ნაციათა მისწრაფებებს და შეეფერებიან ცალკე რესპუბლიკების კულტურულ-ისტორიულ და ყოფა-ცხოვრების თავისებურებებს. ეს კომისარიატები აბსოლუტურათ ავტონომიური არიან („კომუნ". 10 ნოემბ. 23 წ. № 259). აქედან ცხადია, რომ ჩვენ გვაქვს მხოლოდ კულტურული ავტონომია, მაგრამ ისიც არ ვიცით დანამდვილებით. ამ სფეროშიც ვართ თუ არა სრულიად თავისუფალი და ის სადირექტივო კომისარიატი, რომელიც უნდა დაარსდეს, ალბათ საჭი-

რია ამ ავტონომიურ ფარგლების ვითარებისათვის. ბეჭდვით სიტყვას არც კი დაუსვამს საკითხი, გამოერკვია, აქვს თუ არა ქართველ ერს რაიმე საქმეებში დამოუკიდებლობა, არსებობს თუ არა რაიმე თავისუფლება. ეს კითხვა შეიძლება დაისვას ფორმალური მოსაზრებით, ხოლო ნამდვილად კი ზემოთ ნათქვამის შემდეგ ცხადია, რომ საქართველოში არ არსებობს ეროვნული თავისუფლება. კომუნისტური მოძღვრება წინააღმდეგია სახელმწიფოებრივობის არსებობისა და ხელს უწყობს მის სრულიად მოსპობას. სტალინი ამბობს ამის შესახებ შემდეგს: „1917 წელს, როცა ჩვენ წინ, ოქტომბრისაკენ მივდიოდით, ჩვენ საქმე ისე წარმოგვედგინა, რომ გვექნება კომუნა, რომ ეს იქნება მშრომელთა ასოციაცია, რომ ბიუროკრატიზმს დაწესებულებებში მოეღებათ ბოლო და რომ სახელმწიფოს, თუ უახლოეს პერიოდში არა, ორი-სამი ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში მაინც, გადავაქცევთ მშრომელთა ასოციაციად. პრაქტიკამ კი დაგვანახა, რომ ეს არის იდეალი, რომლიდანაც ჩვენ კიდევ შორს ვართ, რომ იმისათვის, რათა სახელმწიფო განთავისუფლდეს ბიუროკრატიზმის ელემენტებისაგან, იმისათვის, რომ საბჭოთა საზოგადოება მშრომელთა ასოციაციად გადაიქცეს, საჭიროა მოსახლეობის მაღალი კულტურული დონე, საჭიროა გარშემო სრულიად უზრუნველყოფილი მშვიდობიანი პირობები. იმისათვის რომ საჭირო არ იყოს ჯარების დიდი კადრები, რომლებიც მოითხოვენ აუარებელ ხარჯებს და მძიმე უწყებებს, რომლებიც თავის დაღს ასვამენ სხვა სახელმწიფო დაწესებულებებსაც („კომ". 14 დეკ. 28 წ. № 288). დიახ, თვით კომუნისტები დარწმუნდნენ, რომ კომუნიზმის განხორციელებაზე ფიქრი ძალიან ნაადრევია. განხორციელება კომუნიზმისა მოხდება მაშინ, როდესაც დადგება ის დრო, როდესაც გახდება შესაძლებელი დავინახოთ „თხა და მგელი ერთად ძოვდეს", როდესაც, როგორც წინასწარმეტყველი ამბობს, საომარი იარაღები სახნისებად იქნებიან გადაკეთებული, როდესაც კაცი კაცისთვის არ იქნება მგელი, ერთი სიტყვით, როდესაც ადამიანის ბუნება გარდაიქმნება. მართალია ეს დრო ხანატრელია, მაგრამ ეს არის ოცნება, მართალია ძალიან ტკბილი, მაგრამ მაინც მხოლოდ ოცნება. დავუშვათ, რომ ეს ოცნება შეიძლება იქცეს სინამდვილედ და მისთვის საჭიროა მზადება, თანდათანობით განხორციელება ამ იდეალისა, მაგრამ ვერ გაგვიგია, რისთვის უნდა დაწყებულ იქნას უსათუოდ საქართველოდან, მისი დამოუკიდებლობის გაუქმებიდან. დაიწყოს თვით დიდმპყრობელმა და საქართველო — ცნობილი თავისი წამბაძველობითი თვისებით — უსათუოდ მიყვება მის მაგალითს. უამისოდ ცენტრალიზაცია — წვრილ ერებისაგან თავისუფლების დაკარგვა [illegible] მომხდარი, — მარგებელი [illegible] დიდმპყრობელი ერის ძლიერება-ბატონობის განმტკიცებისათვის. იტყვიან, ეს საჭიროა იმ კავშირისათვის, რომელიც არსებობს და მარგებელია პატარა ერების ფიზიკურად შენახვისათვისო, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ თავისუფალ, დამოუკიდებელ ერებს შორის უფრო სამართლიანობა იქნება, ვიდრე ბატონსა და მონათა შორის.

ერთმა ჩვენმა ხელისუფალთაგანმა ერთ თავის სიტყვაში სთქვა: „1921 წლის განმავლობაში მე კიდევ მესმოდა საშიშროება ქართული ერის ეროვნულად განადგურებისაო". შესანიშნავი ეროვნული თვალსაზრისის გამომხატველი სიტყვებია. ბევრი რამეს გამოყვანა შეიძლება ამ სიტყვებიდან, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებისა გამო ამ ხელად ამის ტვირთვა არ შემიძლია. შევნიშნავ მხოლოდ, რომ თუ მას მოუვიდა ამნაირი საშიშროება, სხვებსაც და მათ შორის მეც მქონდა უფლება, დამბადებოდა იგივე საშიშროება და თუ დამებადა იგი, გეკითხებით თქვენ, ვიყავი მოვალე ამომეღო ხმა თუ არა? როდესაც სახლს ცეცხლი ეკიდება, ნუთუ გულგრილად უნდა ვუცქიროთ იმ იმედით, რომ ის თავისთავად ჩაქრება. მე ვფიქრობ და იმედი მაქვს თქვენც დამეთანხმებით, რომ თუ ვხედავდი ხალხის ეროვნულად მოსპობის საშიშროებას, მოვალე ვიყავი, ხმა ამომეღო, ხოლო ახლა ამ მოვალეობის ასრულებისათვის ვსდგავარ საქართველოს უზენაეს ეროვნულ სასამართლოს წინაშე, რომელიც მასამართლებს, როგორც დამნაშავეს.

ერთმა არა ქართველმა პასუხის მგებმა კომუნისტმა (და გაზ. „Раб. пр."-მაც № 20, 1924 წ.) მითხრა, რომ მე ჩემის გამოსვლით გადავიკიდე ერის მშრომელი ნაწილი, მაგრამ რომელ ერს გულისხმობს?! ნუთუ ჩემი გამოსვლის წინააღმდეგი იქნება ქართველი ერის მშრომელთა უმრავლესობა, რომლის ინტერესებისათვისაც მინდოდა შემეწირა ჩემი თავი და ჩემი პირადი ინტერესები კიდევაც შევსწირე. არა, არ დავიჯერებ. გლეხობა, რომელიც შეადგენს ქართველი ერის 90% მეტს, რომელიც მუდამ დაჰყურებს დედამიწას და რწყავს მას თავისი ოფლით, რომელიც მისგან მოელის თავის საზრდოს, რომლის წინაპრების სისხლით მორწყული და ძვლებით გაპოხიერებულია სამშობლოს ველ-მინდვრები, ეს გლეხობა, მწამს, მუდამ იქნება თავის სამშობლოს მოსიყვარულე და მისი თავისუფლების იდეის დამცველს არასდროს არ შეიძულებს და არც გადაეკიდება.

დარწმუნებული ვარ, იმ ქართველ მშრო-

მელთ, რომელნიც ქალაქებში მუშაობენ, დროგამოშვებით მაინც აუძგერდება გული სამშობლოს ბედილბლის და მდგომარეობის მოგონებით. ქართველი მუშის დამახასიათებელია ის თვისება, რომ ის იშვიათ შემთხვევაში წყვეტს კავშირს სოფელთან, შრომობს და ნაშრომის გადანარჩენი უმეტეს შემთხვევაში მიაქვს თავისი მამაპაპეული ოჯახის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ჩვენში ძალიან ცოტაა ეგრეთ წოდებული ბოგანო მუშა. ის, დარწმუნებულია, რომ მისი ინტერნაციონალური და კოსმოპოლიტური მსოფლმხედველობა არ არის თავის სამშობლოს სიყვარულის წინააღმდეგი. ამა თუ იმ ერისთვის ზრუნვა არ უშლის და არ ეწინააღმდეგება მის კოსმოპოლიტურ შეხედულებას. პირიქით, მან იცის, რომ ქართველი ერისთვის ზრუნვა იმავე დროს არის კაცობრიობის სამსახური, ვინაითგან ქართველობაც არის ამ კაცობრიობის ნაწილი. მართალია, ინტერნაციონალური მიმართულების განვითარების პროცესში არის ერთი პერიოდი, რომელსაც უძახიან სანტიმენტალურ კოსმოპოლიტობას, რომლის შინაარსს შეადგენს ოცნებობა მთელი ქვეყნიერების ბედნიერებაზე და იმავე დროს მისი მიმდევარნი არ აქცევენ ყურადღებას თავის ოჯახს, თავის ხალხს, თავის სახელმწიფოს, თავისას ყველაფერს უცხოელზე დაბლა აყენებენ და აღფრთოვანებულია ყველა იმით, რაც სხვისია. მხოლოდ იმისთვის, რომ ის სხვისია. არ ვიცი, გავლილია თუ არა ეს ხანა ჩვენი ერის ცხოვრებაში. მხოლოდ ვიცი, რომ ამნაირი მიმართულება იყო ჩვენში და ახლაც არიან ზოგიერთები, რომელნიც მზად არიან დიდმპყრობელ ერთან დაკავშირებას შესწირონ ქართველი ერის თავისუფლება და ეროვნული ინდივიდუალობა. ამისთვის გასაგებია ზემოთ მოხსენებული შეკითხვა: „ქართველი, როდესაც ის მუშაობს ქარხანაში, არის თუ არა მოვალე უყვარდეს თავისი სამშობლო“. 1904 თუ 1905 წელს ჩვენი სამშობლოს რომელიღაც კუთხეში იყო შიმშილობა და გაზეთებმა გამართეს ფულის შეგროვება დამშეული ქართველებისათვის დასახმარებლად. ერთმა ქუთაისურმა სოც. დემოკრატიულმა გაზეთმა გამოსთქვა, რომ ის თანახმაა აგროვოს შეწირულობა მხოლოდ იმ პირობით, თუ შეგროვილი ფული გაეგზავნება გერმანიის მუშებს. ამ განცხადებამ გაათცა საზოგადოება. შეეკითხენ ამის შესახებ ბებელს, რომელმაც განუმარტა შემკითხველს, რომ გერმანიის მუშებს იმ დროს არ ეჭირებოდა ქართველების შემწეობა და ურჩია, რომ იზრუნონ თავის ერისთვის, მისი კულტურულად ამაღლებისათვის, რომ ის გახდეს ღირსეული წევრი ინტერნაციონალურ ოჯახისა და ეს უკანასკნელი იქნება სამსახური კაცობრიობისა. იმედია, ახლა ამნაირ სანტიმენტალურ კოსმოპოლიტობას ჩვენს მუშებში არა აქვს ადგილი, რომ მათ შეგნებულად უყვართ თავისი სამშობლო და მაშასადამე არც იქნებიან წინააღმდეგი ჩემი გამოსვლისა, რომელსაც საგნად ჰქონდა თავისუფლების და ეროვნული ინტერესების დაცვა, მით უმეტეს, რომ მე არასდროს არ ვყოფილვარ კონტრევოლუციური მიმართულების და არსად არ მითქვამს მუშათა დიქტატურის წინააღმდეგ. ამის გამო მე გავსცემ პასუხს მუშებს და იმედი მაქვს ქართველი ერის მშრომელი ნაწილი არ შეასრულებს ამ გაზეთის „Раб. Пр.“ რჩევას და არ „დამასამარებს“. არ მწამს, რომ მას ჰქონდეს ამნაირი გადაწყვეტილება, რადგან მე არას დროს არ ვყოფილვარ კონტრევოლუციონერული მიმართულებისა.

ჩემი 37 წლის სამსახური მე მოვანდომე გარუსების პოლიტიკასთან ბრძოლას. ვიბრძოდი როგორც მოქმედებით, ისე პრესის საშუალებით, რამაც შემძინა აუწერელი დევნულობა და ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს ტკბილი და მყუდრო დღეები. ორჯერ განვიცადე სამშობლოდან ექსორიობა. ორჯერ ვიყავი გადასახლებული რუსეთში და ორჯერვე სამშობლოში დამაბრუნა რევოლუციამ (1905-1907 წ.). განსაკუთრებით სასტიკი იყო ჩემთვის მეორე გადასახლება, რომელიც მოხდა 1907 წლის იანვარში: წართმეული მქონდა ზოგიერთი უფლებები — არ მქონდა ნება წირვალოცვისა და მღვდელ მსახურებისა ისევე, როგორც ახლა — ამ ერთის წლის განმავლობაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ ეს უფლება წამართვა სათანადო მთავრობამ, ხოლო ახლა საერო მთავრობამ, რომელსაც ამის უფლება არ უნდა ჰქონოდა. ჩემი ცხოვრების უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში მე აღვნიშნავ სამ მომენტს, რომელიც დამახასიათებელია ახლანდელი ჩემი მდგომარეობისა. მეორე ექსორიობის დროს, მთელი 1909 წლის განმავლობაში, ჩემი საქმე ჰქონდა ხელში გენერალპროკურორს, ყოფილ იუსტიციის მინისტრს, ცნობილ შეგლოვიტოვს, მაგრამ მანაც ვერ სცნო შესაძლებლად ის გადაეცა სასამართლოსათვის. შესაძლებელია, ამ არარუსების მოძულესაც ეკლესიური თავისუფლების საკითხი მიაჩნდა იმდენად ნაზ და პატივსაცემ საკითხად, რომ მისი სასამართლოსათვის გადაცემა შეუფერებლად მიაჩნდა. ამის გამო საქმე მოსპო და მე დამიბრუნეს უფლებები, გარდა სამშობლოში დაბრუნებისა.

2. 1917 წლის რევოლუციამ მომისწრო ქ. სტარაია რუსაში, ნოვგოროდის გუბერნიაში, სადაც მე ვიყავი დანიშნული მონასტრის წინამძღვრად. რევოლუციის პირველ ხა-

ნებში სტ. რუსაში იყო არეულობა, სახლების რბევა, ძარცვა. და ჩემი მონასტერიც განსაცდელში იყო ჩავარდნილი, მას მოელოდა დიდი საშიშროება და არ ვიცოდი, რა საშუალებებისათვის მიმემართა. ახალმა რევოლუციონურმა მთავრობამ სრულიად მოულოდნელად დამიბარა თავის ერთ კრებაზე და შემეკითხა, თანახმა ვარ თუ არა, რომ მთავრობამ იკისროს მონასტრის დაცვაო. მე, რასაკვირველია, თანხმობა განვუცხადე და მადლობაც გადავუხადე მზრუნველობისათვის. და მართლაც ამის შემდეგ მონასტერს არა ჰქონია არავითარი საშიშროებები. ამის გამო, როდესაც პეტროგრადში გამიწვიეს მონაწილეობის მისაღებად იმ დელეგაციაში, რომელიც საქართველოდან იყო გაგზავნილი ეკლესიის თავისუფლების რუს. მთავრობისგან დადასტურებისათვის, სამი თვის განმავლობაში იქ ყოფნის დროს სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რადგან მონასტრის დაცვის საქმე უზრუნველყოფილად მიმაჩნდა, რასაც დაადასტურებს აქ მყოფი დელეგაციის ერთი წევრთაგანი. რა იყო მიზეზი მონასტრისთვის რევოლუციონერული მთავრობის ამნაირი ყურადღებისა? რასაკვირველია არა ჩემი თვალების სიმშვენიერე, ჩემდამი სიყვარული, არამედ ღრმა სარწმუნოება და სიყვარული მონასტერ-ეკლესიებისადმი, რადგან სტარაია რუსის რევოლუციონერები თითქმის ყველა არა ქრისტიანები იყვნენ, არამედ ის გარემოება, რომ მე ვიყავი დასჯილი და ექსორიაყოფილი საქართველოდან თავისუფლების ძიებისათვის.

მესამე შემთხვევა, რომლის აღნიშვნა მინდა, ეხება საბჭოთა ხელისუფლების ხანას. პირველი დაკითხვის დროს, 1922 წლის ივნისში, დამკითხველი მაძლევს კითხვას: ნიკოლოზ მეფის დროს ვიყავი მე დასჯილი თუ არა. პასუხზე, რომ მთელი ჩემი სამსახური გავატარე დევნულობაში და ორჯერ რუსეთშიაც ვიყავი გადასახლებული, მაგრამ ნუთუ ესეც პლუსია ჩემს ცხოვრებაში-მეთქი. მიპასუხა: „არა, ეს უცილობელი პლიუსი არისო“.

როდესაც ამ სამ მომენტს ვითვალისწინებ ახლა, ვერ მომიხერხებია ისინი შევუთანხმო ერთმანეთს. საქმე იმაშია, რომ მიზეზი დევნულობისა ერთი და იგივე იყო როგორც ნიკოლოზ მეფის დროს, ისე შემდეგაც და ვერ გამიგია, როდის ვიყავი დამნაშავე, მაშინ, როდესაც შჩეგლოვიტოვმაც კი ვერ მიმცა თავისუფლების ძიებისათვის სამართალში, თუ ახლა, იმავე დანაშაულისათვის, თუ ეს დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს. თუ 1917 წ., როგორც თავისუფლების მძებნელს, პატივით მეპყრობოდნენ რევოლუციონერები, ახლა უაღრესი სოციალისტური მიმართულების დროს, როდესაც გამოცხადებულია მცირე ერების თვითგამორკვევის უფლება ფართო [illegible], თავისუფლებისაც, ვერ გამიგია [illegible] ვიდევნებოდე და ვიდგე ეროვნულ სასამართლოს წინაშე, როგორც დიდი დამნაშავე.

თუ მე ვიცავდი ჩვენი ერის თავისუფლებას, თუ ამის უფლებას მაძლევს ჩვენი სარწმუნოებრივი მოძღვრება, თუ საბჭოთა ადგილობრივი მთავრობის საწინააღმდეგო არა მითქვამს რა და მხოლოდ ვიცავდი მის დამოუკიდებლობას, თუ მე ხმა ამოვიღე რუსეთის დიდმპყრობელობის საწინააღმდეგოდ, იმ დიდმპყრობელობისა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლას გვირჩევს ერთი ჩვენი უმაღლესი ხელისუფალთაგანი, თუ საბჭოთა ხელისუფლება აღიარებს ერთა თვითგამორკვევას, გაფართოებულს პოლიტიკურად გამოყოფამდის, მაშინ მე ვერ გამიგია, რისთვის უნდა ჩამომერთვას დანაშაულად ეკლესიის და ერის თავისუფლების დაცვა და დიდმპყრობელობის დასაგმობად ხმის ამოღება.

ვათავებ და ვიტყვი, რომ მე შევასრულე ჩემი მოვალეობა და როგორის თვალით შეხედავს ეროვნული უზენაესი სასამართლო ჩემგან ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეს, ამას დაგვანახებს ის განაჩენი, რომელიც გამოტანილი იქნება. ესევე განაჩენი დაგვანახებს იმასაც, საბჭოთა ხელისუფლება მართლა იზიარებს მისგან აღიარებულ ლოზუნგს ერთა თვითგამორკვევისას, თუ ეს მხოლოდ იდეალია, რომლის განხორციელებას უნდა ველოდოთ შორეულ მომავალში. ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩვენს წინაპრებს ტკბილად მიაჩნდათ სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის ტანჯვის მიღება, აგრეთვე ჩემთვის ტკბილი იქნება ის სასჯელი, რომელსაც მომისჯის უზენაესი სასამართლო მშობლიურ ეკლესიის და ერის თავისუფლების დაცვის მიზნით ხმის ამოღებისათვის. ეს იქნება დაგვირგვინება იმ ჯვარისა, რომელიც ჩემგან ნატვირთია და ვატარებ ჩემი ცხოვრების უკანასკნელ თითქმის 37 წლის განმავლობაში.

ჩემგან ეროვნული ინტერესების დასაცავად ამაღლებული ხმა და მსჯავრი, რომელსაც მომისჯის უზენაესი სამსჯავრო, მონახავენ თავის ადგილს ყოველის ქართველის გულში, — იმ ქართველისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სარწმუნოება და სამშობლოს სიყვარული. ამითაც ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს. როგორც მორწმუნე ვიტყვი — იყოს ნება ღვთისა! — და მოგმართავთ ქრისტეს სიტყვებით: „ასულნო იერუსალემისანო, ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ თავთა თქვენთა სტიროდეთ და შვილთა თქუენთა“ (ლკ. 23, 28).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგი დურმიშიძე

# დაფერფლილი გული

(უშანგი ჩხეიძის დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით)

1

ერთ კვირა დღეს, როდესაც მართა ჭუმბურიძე-გეგელაშვილისა წირვიდან დაბრუნდა, ოჯახში დახვდა ზესტაფონელი აზნაური ვიქტორ ჩხეიძე. მას თან ახლდა 9 წლის ვაჟი — უშანგი, რომელიც სათავადაზნაურო გიმნაზიაში სწავლობდა. პატარა უშანგიზე, როგორც შემდეგში ქალბატონი მართა იგონებდა, დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ეზოს და ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ დიასახლისს: „ჩემი ახალი დედობილი დედაჩემს ჰგავს, ხოლო ეზო ხომ მთლად ჩვენი ეზოსნაირია". უშანგი სიამოვნებით დარჩენილა ახალ საცხოვრებელ ბინაში. მამა მეტად კმაყოფილი გაბრუნებულა, „ლაღად გაზრდილი ბავშვია და ვშიშობდით, ვაი თუ არ გაჩერდესო".

გეგელაშვილების კარ-მიდამო ქუთაისში ლამაზად და კარგად მოვლილი იყო. თეთრი ხიდის გაღმა, ინგინრის ქუჩაზე იდგა მართა და პეტრე გეგელაშვილების ერთსართულიანი კრამიტით დახურული ხის სახლი. სახლს წინ ჰქონდა ფართო შუშაბანდი სადარბაზოთი. უკანა მხრიდან მიედგათ ქვის ვიწრო კიბე. ერთ მხარეს ამშვენებდა ტალავერი, გრძელი მაგიდით, მოპირდაპირე მხარეზე იყო სამზარეულო, საქათმე და ბოსტანი. დიდი ეზო შემოღფარგლათ ხის ცისფრად შეღებილი მესრით. ალაყაფის კარებს ამაყად დასცქეროდა ვეება მიმოზა. ღობის გასწვრივ უამრავი თხილი ხარობდა. ეზო სავსე იყო ბლებით, ტყემლებით, კომშით, ღეღვის ხეებით. ქუჩის მხარეს ამშვენებდა ყვავილნარი, მწვანე მოლით.

პეტრე გეგელაშვილი ქ. ქუთაისის სასამართლოს მდივნად მუშაობდა; მართა, სემინარიელი მღვდლის სიმონ ჭუმბურიძის ქალიშვილი, ოჯახის დიასახლისი გახლდათ. პეტრე ადრე გარდაიცვალა. ოცდაათი წლის ქვრივს გასაზრდელად დარჩა ექვსი შვილი — ხუთი ვაჟი და ერთი ქალი. მართას ხელისუფლებამ დაუნიშნა პენსია თვეში 80 მანეთის ოდენობით. დედას თავის შვილებისათვის არ ულალატნია. თავის ბინაში მოსწავლეთათვის გახსნა სრული პანსიონატი. თითოეული ბავშვის ბინა, კვება, მოვლა თვეში 8 მანეთად ფასობდა. ექვსოთახიანი ბინიდან სამი მათ დაუთმო. ყოველთვის ყავდა 8-10 გიმნაზიელი.

მართას ქალაქის მოსახლეობაში კარგი სახელი ჰქონდა დამკვიდრებული; იცნობდნენ როგორც პატიოსან, მშრომელ, თავმოყვარე ქალს. მართას პანსიონატმა მალე მიიქცია ყურადღება და მასთან ბავშვის მოწყობა არც ისე იოლი იყო. მან ყველა შვილს მიაღებინა უმაღლესი განათლება, მისი შვილები ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ადამიანები გახდნენ.[1]

პანსიონატში იმ დროს ცხოვრობდნენ მართას ძმისშვილები — დომნა და დიდიმ ჭუმბურიძეები. დიდიმი რამდენიმე წლით უშანგიზე უფროსი იყო, მაგრამ ისინი მალე დამეგობრდნენ. ამ მეგობრობისათვის მათ არც შემდეგში ულალატნიათ; თბილისშიაც ერთხანს ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიაც ერთსა და იმავე დროს სწავლობდნენ.

შემდგომში რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი დიდიმ ჭუმბურიძე იგონებდა: უშანგი მეტად ცოცხალი, კუნთმაგარი, უშიშარი, სწრაფი აზროვნების, ემოციური ბავშვი იყო. პანსიონატის ბავშვებს შორის თავისი მტკიცე ხასიათით გამოირჩეოდა.

დიდიმი ჩემი მეუღლის ბიძა იყო და ჩვენ ხშირად ვსაუბრობდით უშანგის ბავშვობასა და სტუდენტობაზე. უშანგისთან ერთად ქუთაისში გატარებული წლებიდან განსაკუთრებით ცხადად ახსოვდა რამდენიმე ეპიზოდი.

---

1 ცნობების მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებ მათ შვილიშვილს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს გიორგი ლიჩელს.

პანსიონატის ერთ მოსწავლეს მეზობლის მტრედებისათვის ფრთები დაეჭრა — ამათმა ფრენამ გული წაიღოო. ვაი შენს მტერს, უშანგიმ მას დღე დააყენა. მამიდაჩემმა ძლივს გამოგლიჯა ხელიდან ყმაწვილი.

— მე უსინდისო, თუ იცი რა ჰქენი, მტრედი უფრთოდ ხომ იგივე ადამიანია უფეხოდ. ჩვენ კიდევ რა დაგიშავეთ, მტრედების ცაში ფრენის სილამაზე რომ წაგვართვი?! — მიმართა უშანგიმ ონავარ ბიჭს. დიასახლისმა შეკრიბა თავისი შვილობილები და უშანგი გაამართლა.

მართას ყველა ოჯახი თავის დროზე ვერ უხდიდა ბავშვების შესანახ გასამრჯელოს და იძულებული იყო ქუთათური ებრაელებისაგან ესესხა ხოლმე ფული. ერთხელ, როდესაც სესხის დაბრუნების დრო დადგა, მამიდაჩემი საგონებელში ჩავარდა. რით დაეფარა ვალი არ იცოდა. ორი ებრაელი სახლის აივანზე იდგა. მართა ოთახიდან არ გამოდიოდა, ბავშვებიც მას შემოხვეოდნენ, არ ვიცოდით რა უნდა გვექნა! მევახშეები იდგნენ და დიასახლისის გამოსვლას ელოდნენ. უეცრად უშანგი მოწყდა ამხანაგებს, გამოვიდა აივანზე და ებრაელებს მიმართა:

— ბატონებო, იქნებ გვიშველოთ, დიასახლისი მუცლის ტიფით გახდა ავად, ჩვენ აქაურობა სასწრაფოდ უნდა დავტოვოთ; გაგვიწიეთ დახმარება, გვირჩიეთ სად გადავიდეთ საცხოვრებლად.

მდგომარეობა სწრაფად შეიცვალა. ებრაელი ვაჭრები შეშინდნენ და იქაურობა დაუყოვნებლივ დატოვეს. ჩვენი დედობილი გაჯავრდა: ეს რა ჰქენი, უშანგი, ახლა როგორღა უნდა მოვიქცე?! უშანგიმ მართას ხელი მოხვია, მოეფერა და დაამშვიდა:

— ამ დღეებში ბიჭები ფულს უეჭველად მოიტანენ, თქვენ მათ ვალს გადაუხდით და ტიფისგანაც განიკურნებით.

უშანგის უყვარდა დიალოგებიანი ნაწარმოებების კითხვა: აიჩემა რომელიმე ქართული პიესა დავდგათ, მთავარ როლს მე შევასრულებო. იმ დროს, როგორც ცნობილია, ქუთაისში ქართული თეატრის გავლენა მეტად ძლიერი იყო და ახალგაზრდობაც განიცდიდა ამ ზემოქმედებას. პიესა ჩვენ ვერ დავდგით, მაგრამ მრავალი ადგილი დავიზეპირეთ აკაკის ნაწარმოებებიდან, შევეჩვიეთ დიალოგების კითხვას.

ჩვენი დიასახლისი ყველაფერს თავისი ხელით აკეთებდა, მაგრამ დამხმარე გოგოც ჰყავდა, რომლის ერთ-ერთი მოვალეობა იყო დილით ჩაის გამზადება. რამდენიმეჯერ ცივი ჩაი მოგვიტანა. გიმნაზიელები აჯანყდნენ. ჩვენი უკმაყოფილება უშანგიმ მართას მოახსენა და ცხელი ჩაი ისეთივე ფორმით მოითხოვა, როგორც ეს მაშინ, გაღიცვებისას ქუთაისში ხდებოდა. დიასახლისმა წყნარად მოუსმინა, მოუწონა მოთხოვნა და ამის შემ[illegible] ჩაი ყოველთვის ცხელი და ტკ[illegible] თან დაკავშირებით მეორე ინციდენტიც მახსოვს, — განაგრძო დიდიმ ჭუმბურიძემ.

მამიდაჩემი ბავშვებს ნორმალურად კვებავდა, საკვებიც შეძლებისდაგვარად სხვადასხვაგვარი იყო ხოლმე, მაგრამ სადილზე შედარებით ხშირად გადაზელილი ყველით გვიმასპინძლდებოდა. ამ გარემოების გამო ზოგიერთი მოსწავლე უკმაყოფილებას გამოთქვამდა:

— რა ამბავია, დილას ჩაიზე ყველი, საღამოს ჩაიზე ყველი, ახლა კიდევ სადილზე ყველი?! „აჯანყებას“ ნიკო ლ-ძე მეთაურობდა. მართა იმ დღეს დილიდანვე უხასიათოდ იყო, ასეთ რეაქციას არ მოელოდა. დაძაბული მდგომარეობა მეორე დღეს უშანგიმ გააქარწყლა.

— პურს ხომ ყოველდღე მიირთმევთ, რატომ უარს არ ამბობთ, არ მოგწყინდათ?! გადაზელილი ყველი პიტნით განა უბრწყინვალესი კერძი არაა! იმერული ყველი, რომელიც ჩვენ საუზმეზე გვაქვს, და გადაზელილი ყველი პიტნით ერთი და იგივეა? გადაზელილი ყველი პიტნით სუფრის დედოფალია! ქალბატონო მართა, ნიკოს ნუ დაეთანხმებით, ჩვენ ყველანი აღტაცებული ვართ თქვენი ფაქიზი გემოვნებით! — ამის შემდეგ მოსწავლეთა კვებასთან დაკავშირებით არავითარი გაუგებრობა აღარ მომხდარა.

დიასახლისს კვირა დილით ყველა ეკლესიაში მივყავდით ხოლმე. ერთ კვირა დღეს უშანგიმ წირვაზე წასვლაზე უარი განაცხადა. ყველას გაუკვირდა, რა მოხდაო. უშანგიმ მართას მიმართა: — თქვენ ყოველთვის ლამაზად ხართ ჩაცმული, როგორ გიხდებათ ჩიხტიკოპი, ქართული კაბა; როდესაც ასე გამოეწყობით ხოლმე, დედაჩემი მგონიხართ. ჩაიცვით ისე, როგორც სხვა დროს იცვამთ, და ყველა წაგყვებით ეკლესიაში. მამიდაჩემი ლამაზი ქალი იყო და ქართული ტანსაცმელი ძლიერ შვენოდა. მართამ უშანგის თხოვნა უსიტყვოდ შეასრულა და ყველანი წავედით წირვაზე.

დასვენების დღეს ზოგჯერ ბაგრატის ტაძრის ნანგრევებზე ავდიოდით. ერთ-ერთი ასეთი ექსკურსიიდან დაბრუნების შემდეგ უშანგის ახლო ამხანაგმა ლევანმა ჯიბიდან სხვადასხვა ზომის ქვები ამოალაგა, გარეცხა, გაამშრალა და მაგიდაზე დააწყო — ჩვენი სახელოვანი ძეგლის ნაშიერიაო. იმ დღეს უშანგი ჩვენთან არ იყო, მეორე დღეს, როდესაც ამ „ნადავლს“ შეხედა, გაჯავრდა: ყველა რომ ასე მოიქცეს, რამდენიმე წლის შემდეგ ბაგრატის ტაძრიდან რაღა დარჩებაო. თავის მეგობარს მოსთხოვა, ეს ქვები მაშინვე უკან დაებრუნებინა და საიდანაც აიღო, იქვე დაელაგებინა. ლევანი გაჯიუტდა: რა შენი საქმეა, ვინ გკითხავსო. ორი-

ვეს ჯიუტი ხასიათი ჰქონდა და ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. უშანგის ლევანი შემოელახა. საჭირო გახდა საქმის გარჩევა. ჩვენმა დედობილმა უშანგი უხეშობისათვის სასტიკად დატუქსა, ლევანს კი ბაგრატის ნანგრევებიდან წამოღებული ქვები იმავე დღეს უკანვე გორაზე აატანინა.

მართას პანსიონატი მე უფრო ადრე დავტოვე, ვიდრე უშანგიმ; გიმნაზია, როგორც ახაკით უფროსმა, რამდენიმე წლით ადრე დავამთავრე. შემდეგში გავიგე — გიმნაზიაში სწავლის ბოლო წლებში უშანგი მგონი ნათესავებთან გადასულა საცხოვრებლად,.. — დაამთავრა თხრობა დიდიმ ქუმბურიძემ.

ქუთაისში გატარებულ წლებს უშანგი ყოველთვის ტკბილად იგონებდა.

„ჩემი ბავშვობის მეგობარი ქუთაისია,
მიყვარს იმისი ეზოები თეთრი ტყემლებით,
ასე მგონია ამ ქალაქში სულ მაისია
და დილის ცვარიც მე მგონია ვარდის
ცრემლები“.

⁂

გავიდა წლები და დიდიმი და უშანგი კვლავ ერთად შეიყარნენ, ორივენი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები გახდნენ. საცხოვრებლადაც ერთმანეთის მეზობლად დასახლდნენ.

1921 წელს სასტუმრო „იტალია“, რომელიც ნიკოლოზის ქუჩაზე (ახლანდელი კალინინის ქუჩა) იყო, გააუქმეს, საცხოვრებელ სახლად გადააკეთეს და ნაწილი გადასცეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. სტუდენტებმა დიდიმ ქუმბურიძემ და უშანგი ჩხეიძემ მეორე სართულზე მიიღეს ორი პატარა, 16-17 კვადრატული მეტრი ფართობის ოთახი. ოთახები ერთმანეთთან შუა კარით იყო დაკავშირებული. სართულის ამ ნაწილში სულ ოთხი ოთახი იყო. ერთ ოთახში ცხოვრობდა დიდიმი, მისი მეუღლე ანასტასია ჯაფარიძე და დიდიმის და მათიკო. მეორე, მეზობელი ოთახი, უშანგი ჩხეიძეს, გრიშა ვაშაძეს და შალიკო ტყავაძეს ეკავათ. დანარჩენ, მესამე და მეოთხე ოთახებში სხვა მდგმურები ბინადრობდნენ.

იმის წარმოსადგენად, თუ როგორი მეზობლობა ჰქონდათ და როგორ ცხოვრობდნენ ახალგაზრდები აქ, მოვუსმინოთ ანასტასია ჯაფარიძეს და რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს მათიკო ქუმბურიძე-არეშიძისას.

ანასტასია ჯაფარიძე: „ჩვენ ერთი ოჯახივით ვიყავით, ჩვენი ოთახების შუა კარები არასოდეს არ იკეტებოდა; მე და დიდიმი ახლად შეუღლებული ვიყავით, ბავშვი ჯერ არ გვყავდა და მთავარი დიასახლისობა მე დამაკისრეს. მათ სტუდენტურ ცხოვრებას მალე შევეწყვე. ჩვენი ერთად გატარებული წლების ზოგიერთი ეპიზოდი ახლაც კარგად მახსოვს.

ერთხელ ზესტაფონიდან [illegible] ჩამოგვიტანეს. ყმაწვილებმა ითათბირეს [illegible] საცივი გამეკეთებინა, გამაფრთხილეს სტუმრად დოდო ანთაძე გვეყოლება და აბა შენ იცი, არ შეგვარცხვინოო. საერთო სამზარეულო მესამე სართულზე იყო და მეც იქ შევუდექი სადილის მომზადებას. მაშინ ყველაფერს ნავთქურაზე ვაკეთებდით. მოვხარშე ინდაური, დავნაყე ნიგოზი, შევუდექი წვენის შეკმაზვას. ყველაფერი გავამზადე. ძმრის დამატებაღა იყო საჭირო. მეც ჩავასხი ძმარი გულუხვად და ვაი შენს ტასიკოს: თაროზე ვიღაცას ნავთის ბოთლი შეედგა, შემეცვალა და საცივში ძმრის ნაცვლად ნავთი ჩავასხი... რა მდგომარეობა შეიქმნებოდა?! ეს იყო ახალგაზრდა პატარძლის პირველი „გამარჯვება“, ამდენი ხალხი მშიერი დავტოვე. სწრაფად მივატოვე სამზარეულო, შევწიქი ლოგინში, გადავიფარე საბანი და ავქვითინდი. ამ უჩვეულო მდგომარეობიდან უშანგიმ გამომიყვანა. მიბრძანა ავმდგარიყავი და სუფრა გამეშალა, რაც გვაქვს, იმით ვიქეიფოთო. მოვაგროვეთ წინა დღის ნარჩენები და, ჩემდა გასაოცრად, შეიქნა, მაგრამ რა ქეიფი შეიქნა! უშანგი, გრიშა და შალიკო შესანიშნავად მღეროდნენ. დაასვენა უშანგიმ „საცივით“ სავსე ქვაბი მაგიდაზე და სულთათანა უმღერა. ისეთი დრო გაატარეს, თითქოს სუფრას ჩიტის რძეც კი არ აკლდა. უშანგიმ დაიკავა ანთებული სანთლით შანდალი და სულთათანა ახლა დოდო ანთაძეს უმღერეს. არავინ არ დაუტოვებია, ყველას აუგო წესი. ამ უჩვეულო პურის ჭამას შემდეგშიაც ხშირად იგონებდნენ ხოლმე. უშანგისთან ხშირად მოდიოდნენ დოდო ანთაძე, შალვა ღამბაშიძე, ვასო არაბიძე, დავით ჩხეიძე, პეტრე ოლენტი. მათ ერთმანეთთან დიდი სიყვარული, მეგობრობა აკავშირებდათ.

მე უკვე ბავშვი მყავდა, როდესაც ჩემმა ნათესავმა, ანდრო ბუაჩიძის მეუღლემ კოტე ფოცხვერაშვილის კონცერტზე ბილეთები გამომიგზავნა. ამ დროს დიდიმი სალამოობით მუშაობდა. ბავშვი ვისთვის უნდა დამეტოვებინა. ბილეთები უშანგის და გრიშას შევთავაზე. უშანგიმ თეატრში წასვლაზე უარი განაცხადა. სპექტაკლზე მე და ჩემი მული მათიკო გაგვისტუმრა, ბავშვი მოხავლელად კი თვითონ დაიტოვა.

უშანგისათვის დილა ჩვეულებრივ სიმღერით იწყებოდა. გარიჟრაჟზე ის უკვე ღიღინებდა. შესანიშნავი ხმა ჰქონდა გრიშა ვაშაძესაც. ხშირად მღეროდნენ რომანსებსაც. უშანგის უყვარდა რომანსი „ვნახე სიზმარი“. მათი ოთახიდან, სიმღერისა და სიცილის გარდა, ზოგჯერ ოტელოს მონოლოგიც ისმოდა. ჩვენც უკვე ზეპირად ვიცოდით:

„ჩემგან გამოვლილ ჭირთათვის მან მე
შემიყვარა,
მე შევიყვარე ჩემთა ჭირთა
თანაგრძნობისთვის,
არ მიხმარია ამის მეტი ჯადო-თილისმა!
აი, აქ მოდის დეზდემონა, ჰკითხეთ მას
თითონ".

უშანგი ჩვენი ახალგაზრდული ცხოვრების გული და სული იყო".

მათიკო ჭუმბურიძე-არეშიძისა: „მე ახლა 87 წლისა ვარ. ბევრი რამ შემხვედრია. მრავალ ადამიანთან მქონია ურთიერთობა, მაგრამ უშანგისთანა ნაზი სულის ადამიანი არ მინახავს. დავამთავრე თუ არა ქუთაისის ეპარქიალური ქალთა გიმნაზია, სწავლის გასაგრძელებლად თბილისში ჩამოვედი. დავბინავდი ჩემ ძმასთან, ნიკოლოზის ქუჩაზე. აქ გავიცანი უშანგი, გრიშა და შალიკო. სამივენი ძმებივით მექცეოდნენ, მპატრონობდნენ. თბილისში პირველად ვიყავი და მათი დახმარება ხშირად მჭირდებოდა. ერთ დღეს ჩემდა უნებურად წამომცდა, რომ რუსთაველის თეატრში ჯერ არ ვყოფილვარ, ქუთაისის თეატრის კი ხშირი სტუმარი ვიყავი-მეთქი. მეორე დღეს უშანგიმ ბილეთი მომიტანა და ამიხსნა, თუ გოლოვინის პროსპექტზე სად იყო ეს თეატრი. მოსაღამოვდა. ჩემი ძმა სამსახურშია, ტასიკო ბავშვთანაა, მე კი თეატრში ვერ მივდივარ, მარტო წასვლის მეშინია. უშანგი მიხვდა ჩემს გაჭირვებას. — ეს რომ მცოდნოდა, ორ ბილეთს ავიღებდი, მაგრამ არა უშავს, მე მიგიყვან და მე წამოგიყვანო. მართლაც, მიმაცილა თეატრამდე და დამითქვა, თუ სად უნდა შევხვედროდი სპექტაკლის შემდეგ. დაპირება ზუსტად შეასრულა, სახლში მომიყვანა. მე ამ დროს ოცი წლის ვიყავი და არავის, გარეშეს ასეთი ყურადღება ჩემს მიმართ არ გამოეჩინა. უშანგის იმდროინდელი ძმური ხელი ახლაც მათბობს.

ჩვენი ორი ოთახის გვერდით, მესამე ოთახში ახალგაზრდა ლამაზი ქვრივი ცხოვრობდა; ისეთი კარგი ქალი იყო, რომ თვალს ადვილად ვერ მოაშორებდი. უშანგი და მისი ამხანაგები ყოველდღე მღეროდნენ. მღეროდნენ შესანიშნავად. ერთ ხანს აიჩემეს და ყოველ სიმღერას რეფრენად მიაყოლებდნენ ხოლმე:

„ქვრივი აგებს ლოგინსა,
ჩვენ დაგვიწყებს ლოდინსა".

მათი სიმღერა, რა თქმა უნდა, იმ ქვრივსაც ესმოდა. აივანი საერთო გვქონდა. ერთხელ საღამოს, როდესაც ჩვეულებრივი „კონცერტი" უნდა გამართულიყო, უშანგიმ განაცხადა: — მეგობრებო, დღეიდან ჩვენ სიმღერებს ქვრივის ალერსით აღარ დავამთავრებთ. გუშინ ის ეზოში დამხვდა, სულ კანკალებდა და მთხოვა: — როგორც ჩემ ძმას ისე მოგმართავ. სიმღერაში მე ნულარ შემეხებით, მთელი [illegible] და, თუ გიფიქრიათ, რა დღეში [illegible] ბოლოში მოვუხადე ჩემსა და თქვენს მაგიერ და შევპირდი, რომ ასეთ საქციელს ჩვენ აღარ ჩავიდენდით. ამის შემდეგ, მართლაც, ჩვენ მომღერლებს სიტყვა ქვრივი სიმღერებში აღარ უხსენებიათ. უშანგი ნამდვილი ჯენტლმენი გახლდათ".

უშანგის სიყრმის ამხანაგს დიდიმ ჭუმბურიძეს განსაკუთრებით უყვარდა მოგონებებიდან შემდეგი ეპიზოდის გახსენება. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტებს პურ-მარილი ჩამოუვიდათ. მაშინ უშანგიც აგრონომიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. შაბათ საღამო იყო და გვიანობამდე შევყევით. შუაღამე გადასული იქნებოდა, ქუჩაში რომ გამოვედით. ჩავუარეთ ჩვენს საყვარელ უნივერსიტეტს და ვერის აბანოსკენ გავწიეთ. ჩასახვევს რომ მივუახლოვდით, უეცრად უშანგი გამოგვეყო. ქუჩის ამაღლებულ ნაპირზე შედგა და ოტელოს მონოლოგი დაიწყო. განწყობილება ყველას ზეაწეული გვქონდა და უშანგის აფეთქებას ტაშით შევხვდით. წუთიერად მივწყნარდით თუ არა, უშანგიმ კედლისაკენ მიგვახედა და თეატრის აფიშა წაიკითხა: ოტელო, დადგმა დოდო ანთაძის, ოტელოს როლში უშანგი ჩხეიძე, იაგო შალვა ღამბაშიძე, დეზდემონა? — შეხედეთ დოდო, შალვა, აქედან არ ჩანს აფიშაზე ვისი გვარი აწერია. მიაკარნახეთ. ყველა მოვემზადეთ გვარის წასაკითხად და... კედელზე არავითარი აფიშა არ იყო, ქაღალდის ნაგლეჯიც არ ჩანდა. უშანგი უცნაური ღიმილით დაგვაცქერდა და გადაიხარხარა. — რას გაღენჩდით, დღეს თუ არა, ხვალ ხომ იქნება! დადგება დრო და შენ, დოდო, თეატრის მთავარი რეჟისორი იქნები, მე და შენ კი, შალვა, ცნობილი მსახიობები გავხდებით. შენ კი, დიდიმ, ხალხმრავალი აუდიტორია ხარ, უნდა ელოდე, მოთმინებით ელოდე ჩვენი ამობრწყინების დღეს. და როცა ეს დრო დადგება, ტაში არ მოგვაკლო. უშანგი ზომაზე მეტად თავმდაბალი, მორიდებული ახალგაზრდა იყო და სამთავეს გაგვიკვირდა მისი ასეთი ძლიერი შინაგანი რწმენის გამომჟღავნება. ეს იყო 1921 წელს, როდესაც მსახიობ უშანგი ჩხეიძეს ხალხი ჯერ კიდევ არ იცნობდა.

ქალბატონები ანასტასია და მათიკო ჩემი ახლო ნათესავები არიან და მე მათ ვთხოვე ეჩვენებინათ კალინინის ქუჩაზე ის ოთახები, სადაც ისინი ახალგაზრდობაში უშანგი ჩხეიძის მეზობლად ცხოვრობდნენ. წელს, 18 მარტს, ვესტუმრეთ ყოფილ სასტუმრო „იტალიას" კალინინის ქ. № 24-ში. იმ ორ ოთახში, რომლებშიც დიდიმი და უშანგი ბინადრობდნენ, ახლა ცხოვრობს ვალიკო მიხეილის ძე ელქანიშვილი, მეუღლით და პატარა ქალიშვილით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ შესანიშნავად მიგვიღეს, მიხვდნენ, თუ რატომ ვესტუმრეთ და ოთახები დაგვათვალიერებინეს. თანაც გვიამბეს: „ბატონი უშანგი ჩხეიძის გარდაცვალების შემდეგ თითქმის ყოველ წელს, მისი დაბადების დღეს აქ, ჩვენთან, მოდიოდა შავებში ჩაცმული შუახნის ქართველი ქალი; გვთხოვდა ცოტა ხნით უშანგის ყოფილ ოთახში მარტო დაგვეტოვებინა. ჩვენ მის სურვილს, რა თქმა, უნდა, ვასრულებდით. მეორე ოთახში, სადაც ჩვენ ვრჩებოდით, გარკვევით ისმოდა მისი მოთქმით ტირილი, ხშირად გაიგონებდით: „ჩემო უშანგი", „ჩემო ძვირფასო, სადა ხარ ახლა"... გულს მოიოხებდა თუ არა, უსიტყვოდ დაგვტოვებდა. ეს „რიტუალი" რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდებოდა. თავისი ვინაობა მას არ გაუმხელია; მხოლოდ ერთი განმასხვავებელი ნიშნით გამოირჩეოდა: მეტად ფართოფარფლებიანი ქუდი ეხურა, ქალაქში კი იმ დროს ასეთი მოდა არ იყო".

8

სასწავლო წლის დასასრულს, 1926 წელს, ქიათურის საშუალო სკოლაში დიდი სამზადისი იყო; ზაფხულზე ქიათურის თეატრში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრს ელოდნენ. ჩვენი ქართული და რუსული ენების მასწავლებლები იპოლიტე ვართაგავა და მარგარიტა ვაშაძე გაკვეთილებზე გვაცნობდნენ ქართული თეატრის ისტორიას და გასტროლების დროს მოსალოდნელი სპექტაკლების შინაარსსა და მნიშვნელობას. მოსწავლეები მოუთმენლად ველოდით „ჰამლეტის" ნახვას. ჰამლეტისადმი ჩვენი ინტერესი კიდევ უფრო მეტად გააძლიერა მარგარიტა ვაშაძემ. მას უმაღლესი განათლება გერმანიაში ჰქონდა მიღებული, ევროპის მრავალ თეატრს იცნობდა და მიმზიდველად გვიყვებოდა დანიის პრინცის ცხოვრების ამბებს. ისიც გაგვანდო, რომ ჰამლეტის როლს შეასრულებდა მისი ბიძის, ივანე ვაშაძის შვილიშვილი, 26 წლის უშანგი ჩხეიძე. როგორც ქალბატონი მარგარიტა გვიამბობდა, უშანგი სანახევროდ ქიათურაში გაზრდილი და თეატრალური ხელოვნებით აქვე დაკოდილი ჭაბუკი იყო. სკოლაში ჰამლეტის შესახებ გვესაუბრა აგრეთვე ქიათურის თეატრის რეჟისორი სოსო მებურიშვილი. ქართული ენის გაკვეთილზე ბატონმა იპოლიტემ წაგვიკითხა ნაწყვეტები „ჰამლეტიდან". ერთი სიტყვით, რუსთაველის თეატრის გასტროლებს მოწაფეები საკმაოდ მომზადებულნი შევხვდით.

ახლაც თვალწინ მიდგანან ჰამლეტი — უშანგი ჩხეიძე, ოფელია — ვერიკო ანჯაფარიძე, კლავდიუსი — აკაკი ვასაძე; ზოგჯერ მესმის კიდეც მათი რეპლიკა თუ მონოლოგი. ღრმად შეიჭრა ჩემში ჰამლეტის, ოფელიას, კლავდიუსის გამძაფრებული ვნებები, მათი ცხოვრებას ავი და კარგი. დანარჩენი შემსრულებლები, ბოდიშს ვიხდი მათ წინაშე, ამ სამოცდაორი წლის განმავლობაში თანდათან [illegible]ნენ თვალსა და ყურს.

სპექტაკლის ღამე მე და ჩემმა მეგობრებმა მდინარე ყვირილის პირას გავათენეთ, წარმოდგენის შემდეგ ქიათურიდან ფეხით წავედით სარხერეში. ჩემი ბავშვური ფანტაზია სოცრად გააფართოვა „ჰამლეტმა". ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა კიდევ ერთმა „დეტალმა": ჰამლეტი — უშანგი ჩხეიძე, როდესაც ოცნებაში მამის აჩრდილს ესაუბრებოდა, დარბაზში მას ახოვანი, ქართულ ჩოხა-ახალუხსა და ქამარ-ხანჯალში ჩამჯდარი ბრმა ბაბუა — ივანე ვაშაძე უსმენდა...

რუსთაველის თეატრის სპექტაკლების შემდეგ ჩემს სულიერ სამყაროს მტკიცედ დაეუფლო თეატრალური ხელოვნების სიდიადე. ამ დროიდან ახმეტელისა და მარჯანიშვილის დადგმების თითქმის მუდმივი მაყურებელი გავხდი. უშანგი ჩხეიძე 12 როლში ვნახე.

რუსთაველის თეატრში იგი ასრულებდა ინკუბუსის (ს. შანშიაშვილის „ლატავრა"), ჰამლეტის (უ. შექსპირის „ჰამლეტი"), არადეას (ა. გლებოვის „ზაგმუკ") და გოდუნის (ბ. ლავრენიევის „რღვევა") როლებს.

მარჯანიშვილის თეატრში მან შეასრულა კარლ ტომასის (ე. ტოლერის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ"), კვეენაძის (შ. დადიანის „კაკალ გულში"), ურიელის (კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა"), ბეგლარის (კ. კალაძის „როგორ"), უვარუვარეს (პ. კაკაბაძის „უვარუვარე თუთაბერი"), გულბაათის (კ. კალაძის „ხატიჯე"), ფრანჩესკო ჩენჩის (პ. ბ. შელის „ბეატრიჩე"), იაგოს (უ. შექსპირის „ოტელო") როლები. ყველა ეს სახე, როგორც ცნობილია, თითქმის ზედიზედ შექმნილი შედევრებია. ჰამლეტი და უვარუვარე, ურიელი და კვეენაძე, იაგო და გოდუნი, ბეგლარი და ჩენჩი, კარლ ტომასი და გულბაათი ხომ სრულიად განსხვავებული ტიპებია. თითოეულ მათგანს თავისი დამოუკიდებელი სამყარო აქვს, მაგრამ ყველას აერთიანებდა ერთი — უშანგი ჩხეიძე, მისი ქართული სულის ენერგია და ნიჭი, ქართული მიწა და ქართული ჯიში. ერთი უშანგი ჩხეიძე იყო მათი სულის ჩამდგმელი, ამმეტყველებელი. ყოველ როლს მოჰქონდა ჩვენამდე, მაყურებლამდე, უშანგის სულიერი ენერგიის ნაწილი.

ქუთაისის პირველ სეზონში კოტე მარჯანიშვილმა რვა ახალი დადგმა განახორციელა. ძნელი, ძალზე ძნელი და თანაც დიდებული იყო ჩემი თაობის ხვედრი. გიგანტური ნაბიჯებით მიისწრაფოდა ქართული თეატრალური ხელოვნება დიდების მწვერვალისაკენ და ჩვენც მაყურებლები ფეხდაფეხ უნდა მივყოლოდით მას, უნდა შეგვესისხლხორცებინა მისი აზრის სიღრმე, სიდიადე და ჩვენც სულით ხორცამდე

ვიყავით, ჩართული ხელოვნების ღელვათა აწ მეცხრე ტალღაში; ვინ არ იყო მაშინ კოტეს, უშანგის, ვერიკოს, აკაკის... შემოქმედების თაყვანისმცემელი. მათ გაზარდეს იმდროინდელი მაყურებლები, მათ გაასპეტაკეს მთელი თაობა, ჩაუნერგეს რწმენის სილამაზე და სიძლიერე, დამოძღვრეს: „დაე, საბოლოო სარწმუნოება იყოს გონება, მხოლოდ გონება".

ამბობენ პიესის სრული განახლება არ შეიძლებაო. ასევე, ალბათ, არ შეიძლება პირველი ხილვით გამოწვეული შთაბეჭდილებების აღდგენა. რაღა გვახსოვს კიდევ მაყურებლებს ექვსი ათეული წლის შემდეგ? აღარ არიან თეატრალური ხელოვნების კორიფეები... საგრძნობლად შეთხელდა ჩვენი რიგებიც, უშანგი ჩხეიძის დროის მაყურებელთა რიგებიც...

გავიხსენოთ განახლებული ქართული თეატრის პირველი ნაბიჯების შემოქმედებითი ატმოსფერო. თეატრმცოდნეები აღნიშნავენ, რომ დიდმა კოტემ ყოფითი თეატრის ნაცვლად სინთეზური თეატრი დაამკვიდრაო. მართლაც ერთ კონად შეიკრა სიტყვა, მხატვრობა, მუსიკა, პლასტიკა, შუქჩრდილი. ყოველ ვითარებაში წინ მაინც აქტიორი იყო წამოწეული, ბატონობდა სიტყვა, სპექტაკლში ყველაფერი ემსახურებოდა აქტიორულ შემოქმედებას.

კოტე მარჯანიშვილმა თეატრის ირგვლივ შემოიკრიბა გამოჩენილი მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები. სპექტაკლების მხატვრული გაფორმება ეკუთვნოდათ ირაკლი გამრეკელს, ელენე ახვლედიანს, პეტრე ოცხელს, ლადო გუდიაშვილს, თამარ აბაკელიას, დავით კაკაბაძეს, ვალერიან სიდამონ-ერისთავს, ევგენი ლანსერეს, იოსებ შარლემანს და სხვ.

თეატრალური დადგმებისათვის მუსიკას სწერდნენ თამარ ვახვახიშვილი, იონა ტუსკია, კოტე მეღვინეთუხუცესი, ანდრია ბალანჩივაძე, შალვა მშველიძე და სხვ.

ქართულ თეატრს თავს დასტრიალებდნენ პოეტები და მწერლები: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი, არისტო ჭუმბაძე, შალვა აფხაიძე, სანდრო შანშიაშვილი, შალვა დადიანი, კარლო კალაძე, პოლიკარპე კაკაბაძე, ირაკლი ანდრონიკაშვილი, გრიგოლ რობაქიძე და სხვ.

არც მეცნიერებს ჰყავდათ თეატრი მივიწყებული; ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, გიორგი ახვლედიანი, შალვა ნუცუბიძე, ანგია ბოჭორიშვილი, სერგო ელენტი და სხვები აქტიურად მონაწილეობდნენ თეატრალურ ცხოვრებაში.

თეატრში ფართოდ იყო დანერგილი დუბლიორული სისტემა. ერთმანეთს ცვლიდნენ, მაგალითად, „ჰამლეტში" უშანგი ჩხეიძე და გიორგი დავითაშვილი, ნიკო გოცირიძე და ალექსანდრე თაყაიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე და ბაბო გამრეკელი, ელენე დონაური და ცაცა ამირეჯიბი და სხვ. დუბლიორობა კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა სპექტაკლს მაყურებლისათვის, საშუალებას გვაძლევდა ღრმად აღგვექვა პიესის მთავარი აზრი, მისი ლეიტმოტივი, მხატვრული ჭეშმარიტება. ანტრაქტებზე და სპექტაკლების შემდეგ მაყურებელთა შორის გაცხარებული კამათი იმართებოდა დუბლიორთა გამო.

ყოველ სპექტაკლში ყოველთვის ნიჭიერი შემსრულებლები მონაწილეობდნენ, ანსამბლი მთლიანად იყო ძლიერი. სანიმუშოდ ორ დადგმას გავიხსენებ. „ურიელ აკოსტაში" მთავარ როლებს ასრულებდნენ: ურიელი — უშანგი ჩხეიძე, ივდითი — ვერიკო ანჯაფარიძე, დესანტოსი — ალექსანდრე იმედაშვილი, დესილვა — შალვა ღამბაშიძე, ბენ-აკიბა — ალექსანდრე ჟორჟოლიანი, დედა — ელენე დონაური. „ლამარაში": მინდია — გიორგი დავითაშვილი, ლამარა — თამარ ჭავჭავაძე, მურთაზ — აკაკი ვასაძე, თორღვაი — უშანგი ჩხეიძე, იჩო, ლამარას მამა — აკაკი ხორავა, ავტორი — პლატონ კორიშელი.

რესპუბლიკის თეატრალურ ცხოვრებაში პრესა აქტიურად იყო ჩაბმული. თითოეულ სპექტაკლზე, შემსრულებელ მსახიობებზე რამდენიმე სხვადასხვაგვარი რეცენზია იბეჭდებოდა. რეცენზიების ავტორებად ხშირად გვევლინებოდნენ ჩვენი გამოჩენილი მწერლები და პოეტები.

ასეთ გარემოში ვყალიბდებოდით ჩვენ როგორც მაყურებლები. სცენაზე ბატონობდა სიცოცხლე თავისი მრავალფეროვნებით. თეატრალობა, მისი ფერადოვნება ისე გვიტაცებდა და გვაღელვებდა, როგორც სინამდვილე. ყოველი სპექტაკლის დასასრულს შემოქმედებითი სიხარული აერთიანებდა სცენას და პარტერს, მსახიობებს და მაყურებლებს. თეატრიდან ყოველთვის გამოვდიოდით გაწმენდილნი, ამაღლებულნი, განახლებულნი.

კითხვაზე, თუ რა შეგვრჩა მეხსიერებაში ჩვენ, მაყურებლებს, ქართული განახლებული თეატრიდან დღემდე, ალბათ, სწორი იქნება თუ ასე ვუპასუხებთ: იმ ექვს წელიწადში, როდესაც ვულკანივით ამოხეთქა უშანგის ნიჭმა, როდესაც უშანგი ქართული თეატრის დედაბოძად იქცა, ჩვენც ავენთეთ თეატრალური ხელოვნების ძლიერი ცეცხლით, ჩვენც შევიცვალეთ და უხვად ვეზიარეთ მისი დიდი რწმენის სილამაზესა და სიძლიერეს.

უშანგის მიერ შესრულებულ ცალკეულ როლებზე იმდენი დაიწერა და ისეთი ავტორიტეტების მიერ, რომ ჩემნაირი ჩვეულებრივი მაყურებელი აბა მას რაღას შემატებს?! მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდს გავიხსენებ იმის წარმოსადგენად, თუ რა პატივს სცემდა უშანგის მაყურებელი.

ოპერის თეატრში მარჯანიშვილის თეატრის გასტროლების დროს, ყოველი სპექტაკლი, რო-

გორც ცნობილია, დიდი ოვაციებით მთავრდებოდა. ეს ოვაციები ქუჩაშიც გრძელდებოდა და მაყურებლებს მსახიობები ხელში აყვანილი დაჰყავდათ რუსთაველის გამზირზე. ხელჩართული ბრძოლა იყო ჩვენს შორის, რომ უშანგის ტანსაცმლისათვის ხელი შეგვეხო, ფიზიკურადაც შეგვეგრძნო მისი რაინდული პიროვნება. მეორე დღეს სტუდენტები ერთმანეთს ვუამბობდით, თუ რომელმა ჩვენთაგანმა რა მანძილზე გაატარა ჰაერში ატაცებული ჩვენი კერპი.

1930 წელს სტუდენტებში ხმა გავრცელდა მარჯანიშვილის თეატრში გამოჩნდა ზესტაფონელი ახალგაზრდა ვალოდია კალანდაძე, რომელიც უშანგისთან ცხოვრობსო. ერთ-ერთი სპექტაკლის შემდეგ ჩავუსაფრდით, გავიცანით და „მოვიტაცეთ". მალე დავუახლოვდით, უშანგისა და თეატრის სიყვარულმა დაგვამეგობრა. ვალოდია კეთილი, განათლებული, მეოცნებე ახალგაზრდა აღმოჩნდა. ჩვენს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ერთ საღამოს მოიტანა ფოტო, რომელშიაც უშანგი და ვალოდია ერთად იყვნენ გადაღებულნი. ზოგჯერ ჩემთან ბინაზე გათენებამდე რჩებოდა ხოლმე, ღამეებს თეთრად ვათენებდით. მასთან საუბრის თემა მუდამ ერთიდაიგივე იყო: როგორია უშანგი ცხოვრებაში — რა არის მისი გატაცება, რომელი მწერლები და პოეტები უყვარს, ვინ არის მისი ყველაზე ახლო მეგობარი, როგორ ამზადებს როლებს, ცხოვრებაშიც ისე ამაყია, როგორც სცენაზე, მისი თვალები სახლშიაც ანათებენ, რომელი კომპოზიტორებითაა გატაცებული, მართლა ხშირად მღერის, ვინ მიაჩნია ყველაზე დიდ მსახიობად, რა ფერებზეა შეყვარებული, როდესაც მარტონი რჩებით რაზე საუბრობთ?.. და ვინ იცის რა შეკითხვას არ ვაძლევდით. ვალოდიასთან ჩვენს შეხვედრებს ბიჭებმა „უშანგის საღამოები" დაარქვეს. „უშანგის საღამოები" თითქმის მთელი წელიწადი გრძელდებოდა, ვალოდია შევიკალით ხელში. ჩვენს შეკითხვებს საზღვარი არ ჰქონდა, უშანგისადმი ინტერესი დღითიდღე იზრდებოდა. ყველაფერი, რაც მასთან იყო დაკავშირებული, იდუმალებით მოცული ოცნების სამყაროს წარმოადგენდა ჩვენთვის.

უშანგის ტალანტი რომ ზენიტში იყო, მოულოდნელად ხმა გავრცელდა: უშანგი გადაიქანცა, საჭიროა მისი ხანგრძლივი დასვენება, დროებით სცენა უნდა დატოვოსო. გლოვის ზარი მთელ საქართველოს გადაწვდა...

1931 წლის ოქტომბერში გამოცხადდა: „ურიელ აკოსტაში" ურიელის როლს პიერ კობახიძე შეასრულებსო... 16 ოქტომბერს შედგა პირველი სპექტაკლი პიერის მონაწილეობით. დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით, ყველა ღელავდა. დამსწრეთა შორის კამათს ბოლო არ უჩანდა. უჩვეულო ხმაურის გამო სპექტაკლის დაწყება გვიანდებოდა, როდესაც ჩვენს დაწყნარებას არაფერი ეშველა, პარტერის პირველი რიგიდან ვიღაც ჭაღარათმიანმა ქალმა მოგვმართა: — თქვენ იცით თუ არა, რომ ფარდის უკან უშანგია! ამ მრავლისმეტყველმა სიტყვამ ელვისებურად გადაიარა და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, დარბაზი გაირინდა, გაიყინა... სპექტაკლი დაიწყო... ყოველმხრივ ძნელი იყო ამ დღეს პიერ კობახიძის ხვედრი. მე და ჩემი ამხანაგები ვუსმენდით ურიელს. მაგრამ ოცნებაში „ფარდის უკან" ვიყავით.

ამის შემდეგ გავიდა საუკუნის მეოთხედი, უშანგი ჩხეიძე აღარ იყო ცოცხალთა შორის. მე, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, ამომრჩევლებს ვხვდებოდი საჩხერის რაიონში. ნდობით აღჭურვილმა პირმა, არსებული წესის მიხედვით, დამსწრეთ გააცნო ჩემი ბიოგრაფია და დაიწყო შეკითხვები. სოფ. კორბოულის საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელმა სიმონ მაჭარაშვილმა მომმართა წინასაარჩევნო კრებისათვის უჩვეულო შეკითხვით:

— ამხანაგო სერგო, თუ იცნობდით უშანგი ჩხეიძეს, თუ გინახავთ იგი სცენაზე, რა აზრისა ხართ მასზე, როგორც უდიდეს ხელოვანზე, გვითხარით ამ საკითხებზე ორიოდე სიტყვა და ჩვენ მივხვდებით, ჩვენი დეპუტატი იქნება თუ არა ქართველი ხალხის წარმომადგენელი ჩვენი ერის უმაღლეს ფორუმში. — ამომრჩევლებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ჩემი სიტყვა, მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ უშანგი უკვე ლეგენდად იყო ქცეული.

4

უშანგი ჩხეიძე ოც წელზე მეტ ხანს იყო მოწყვეტილი სცენას, მაგრამ შემოქმედებითი ცხოვრება მაინც არ შეუწყვეტია. მის გამოჯანმრთელებაში განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანა ექიმმა ლილი ნაკაშიძემ, ცნობილი აგრონომისა და საზოგადო მოღვაწის ერმილე ნაკაშიძის ქალიშვილმა. უშანგის სიცოცხლის უკანასკნელ ათწლეულში ლილისა და უშანგის შორის დიდი მეგობრობა დამყარდა. უშანგის დის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ნინოსა და ლილი ნაკაშიძის ქალიშვილების, მეია და მაია ყუბანეიშვილების ნებართვით გავეცნოთ უშანგისა და ლილის მიმოწერის მხოლოდ ორიოდე ნიმუშს.

ქალბატონო ლილი!

რამდენადაც თქვენ გულუხვი იყავით თქვენს წერილში, მე სიძუნწე გამოვიჩინე. მაგრამ მაინც მინდა მადლობა გადაგიხადოთ წერილისათვის. ეს ისეთი სასიამოვნო იყო ჩემთვის — თითქოს პირადად მენახეთ.

თქვენმა სიტყვებმა თითქოს იმედი ჩამინერგეს. ძალიან სუსტი, შორეული, მაგრამ მაინც იმედი. უიმედოდ ცხოვრება კი ძალიან ძნელია.

საშინელებაა, როდესაც ყველაფერი წარსულშია და წინ კი მხოლოდ სიცარიელეა. თქვენი მკურნალობა ისეთივეა ჩემთვის, როგორც სასოწარკვეთილი მოცურავისათვის შუქურის დანახვა. შუქის დანახვა მატებს მას სიმხნევეს, გამძლეობას. შეიძლება მან ვერც კი მიაღწიოს ნაპირს, მაგრამ მის ბრძოლას მიზანდასახულობა აქვს და იმედიც უკანასკნელ წუთამდე. ბევრი რამ მინდა მოგწეროთ, მაგრამ სამწუხაროდ არ შემიძლია. თქვენ არავის არ შეუცვლიხართ ქალბატონო ლილი. სამწუხაროდ ჩემდა არც ისე ადვილია თქვენი შეცვლა.

ხაჭაპურისათვის დიდი მადლობელი ვარ. თქვენი ნაწერი და ხაჭაპურის ალნაგობა ძალიან გავდნენ ერთმანეთს, ერთი ხელი იყო, მაგრამ რა დასაშვებია — თქვენ და დიასახლისი. თქვენი წერილები მინდა სიგრძისად გადავაბა ერთმანეთს და დღეში რამდენიმეჯერ აუარჩაურო. თქვენი გამამხნევებელი სიტყვებიც თვალწინ მექნება და ხეირნობითაც მე მგონია იკმარებს. ჩემი გულითადი სალამი და კარგი სურვილები ბატონ გიგლას და ქალბატონებს (მაიას და მეიას). ვრცლად თინიკო მოგწერთ. თუ ადამიანის ნაწერი გამოხატავს მის ხასიათს, ვეჭვობ, რომ გეყოთ მოთმინება ჩემი მკურნალობისათვის.

უშანგი

1944 წელი, 15 აგვისტო, თბილისი.

ბატონო უშანგი!

ვერ წარმოიდგენთ, როგორი მოულოდნელი და სასიამოვნო იყო თქვენი წერილის მიღება. მართალი უნდა გითხრათ, ცნობიერების რომელიღაც პატარა კუნჭულში იყო პატარა აზრი, რომ თინიკოს წერილზე რამდენიმე სიტყვას მიაწერდით. ამაზე მეტს ჩემი წარმოდგენა არ ცილდებოდა. ასეთ სრულყოფილ წერილს — დაწყებულს მომართვით და დამთავრებულს თარიღით არ მოველოდი. არ მეგონა თუ ამდენი გამძლეობა გეყოფოდათ, ანდა ამდენის ნებას მოგცემდათ თქვენი იჭვიანი სპაზმები. შინაარსის მხრივ, ბატონო უშანგი, ასეთი გულუხვი არასოდეს არ ყოფილხართ. თქვენი წერილი უტყუარი საბუთია იმისა, რომ რუბიკონი უკვე გადალახულია. თქვენ გჯერათ, იმედი გაქვთ (პატარა, მაგრამ მაინც იმედი) — ეს დიდი ფაქტია და, რაც მთავარია, ეს არ არის მხოლოდ ფაქტი. ისე როგორც თქვენ უიმედობას გარკვეული ორგანული დასაბუთება და დასაყრდენი ჰქონდა, ასევე დღევანდელი იმედიც — ზოგადი ორგანული მდგომარეობის ნაკარნახევია. ეს გრძნობა უთუოდ მრავალგზის შემოწმებული გექნებათ, თორემ ასე ადვილად ამ სიტყვებს არ გაიმეტებდით. იწერებით, რომ ჩემი შეცვლა სამწუხაროდ არავის შეუძლია. თუ ეს კომპლიმენტი არ არის! რატომ წუხართ? განა მე თქვენ მოგეცით საბაბი იმის საფიქრებლად, რომ დავიღალე, მომბეზრდა ჩემი როლი და შემცვლელი მესაჭიროება? მე ბედნიერი ვარ იმით, რომ თქვენ გჯერათ ჩემი და არც ისე დაუსრულებლად შორს არის ჩემი მიზანი. მე მჯერა, რომ მალე გამოხვალთ ნაპირზე და ისიც ვიცი, — რომ ეს ნაპირი მეტის მზით და დიდებით მოგელით — ვიდრე ის — საიდანაც თქვენ ასე ზანტად მოდიხართ, გზადაგზა ილლებით — და საშინელი სიყვარულით და სინანულით უკანუკან იყურებით. ჩემს მოთმინებაზე და გამძლეობაზე — ძალიან გთხოვთ ასეთი არაპირდაპირი საბუთებით, როგორც ხელთნაწერია — ნუ მსჯელობთ. ჯერ ერთი იმისათვის, რომ თქვენ პირდაპირი საბუთები გაქვთ — საწინაალმდეგო აზრისათვის და მერე იმისათვის, რომ თქვენ არა გაქვთ უფლება ხელთნაწერზე ასეთი დასკვნა იქონიოთ. ადამიანის ნაწერსა და ხასიათის თვისებებს შორის რომ პირდაპირი დამოკიდებულება იყოს, თქვენზე უფრო დამდგარი ხასიათი და მტკიცე ნებისყოფა ძნელად თუ ვინმეს ექნებოდა. როგორც ჩანს, მე და თქვენი ხელნაწერი ხასიათთან საწინააღმდეგო დამოკიდებულებაში ვართ.

ბატონო უშანგი, წევხართ ისევ თქვენ დიდებულ პოზაში, რომის პატრიციევით წამოწოლილი ტახტზე თუ ფეხზე დადიხართ? მე ბევრი მინდა მოგწეროთ, მაგრამ მეშინიან — ჩემი წერილების სიგრძე ანგარიშები არ დამახვედროთ, თუმცა თუ მართლა ამას აპირებთ, წინასწარ გაფრთხილებთ, რომ არ იქნებით მართალი — რადგან საბოლოო ჯამში საკმარისად დაგასვენეთ. თინიკო როგორ არის, იცინის თუ არ იცინის.

ჩვენი ამბებით არ შეგაწუხებთ, მოკლედ მოგწერთ. გიგლა მუშაობს ძლიერ ზანტად, მაგრამ მაინც წინ მიდის. მეია დედამისივით მარცხიანია, ხშირად ვარდება. მაია სულ გაცეტდა. ათში ვაპირებთ ლეჩხუმიდან ქუთაისში წასვლას და იქედან პირდაპირ თბილისში, და ცხადია ჩვენი პირველი სტუმრობა იქნება თქვენთან. გიგლა და ბავშვები გითვლიან გულთბილ სალამს.

თქვენი ლილი ნაკაშიძე

სოფელი დერჩი

1944 წელი.

ლილი ნაკაშიძეს

დღეს აივნიდან ვუცქერდი ფერდობს
და ზედ შეფენილ ალუჩის ბუჩქებს,
ეს მზემ სხივებით ამოუქარგა
ზაფხულის ტრფობა სახსოვრად მინდვრებს.
რუხი ფერდობი, ტყე, ყვავილები,
ოქროს ცვარ-ნამით დაჩითულია,

ყოველი ბუჩქი ისე ელვარებს,
თითქოს კოცონად ანთებულია.
ო, შემოდგომა საქართველოში,
შემჭკნარ ფოთლებში მტევნები ქარვის,
სიტურფე სევდით შენელებული
ვით მიმავალი მშვენება ქალის,
და მე მომინდა, დღეს შენთან ერთად,
რომ ავირბინო ფერდობზე მაღლა,
ეს მთები ხელით შემოვატარო,
და გულმაც ერთ წუთს არ იგრძნოს დაღლა.
ფეხქვეშ ვით ფარჩას, გიფენდე ფოთლებს
და გიკოცნიდე მაგ მართალ თვალებს,
მინდა შენსავით სპეტაკი გული,
რომ ჰქონდეს ყველა ჩვენ ქართველ ქალებს.
დღეს მსურს დასავით მოგეალერსო,
ხან სულ სხვაგვარად გიცქერის თვალი,
ეს, ჩემო კარგო, შენი ბრალია,
რადა ხარ ხოლმე ხანდახან ქალი?
მე შენს სანუკვარ მეგობრობაში
ვგრძნობ შენი გულის უნაზეს თრთოლვას,
მე ვერასოდეს ვერ დავივიწყებ
შენით გამთბარი დღეების ხსოვნას.
შენა ხარ ჩემი უკანასკნელი,
უკანასკნელი სიმღერა გრძნობის,
უშენოდ ჩემში წყვდიადი მეფობს,
გადაულებლად წვიმები მოდის.
მე შენი სიტყვა მინდა ვიწამო,
რომ განვახლდები, კვლავ ქვეყნად ვივლი,
ო, რამდენ გრძნობებს, რამდენ სახეებს
გავაცოცხლებდი, ძვირფასო ლილი.
დღეს მოგელოდი, სჩანს აღარ მოხვალ,
მზე უკვე მწვერვალს გადაეფარა,
მე შენზე ფიქრში ვერც კი გავიგე
მთელი დღე ისე გამომეპარა.[1]

უშანგი ჩხეიძესთან, როგორც ლილი ნაკაშიძის წერილიდან ჩანს, მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა მის მეუღლესაც, გიგლა ყუბანეიშვილს, მათ მთელ ოჯახს. მოვუსმინოთ ლილისა და გიგლას ასულებს — მეია და მაია ყუბანეიშვილებს, ფილოლოგსა და ექიმ-ფსიქიატრს.

„არიან ადამიანები, რომელთა პიროვნება სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცევა. ერთ-ერთი ასეთი იყო უშანგი ჩხეიძე. ჩვენს თაობას ის არ უნახავს სცენაზე, არც მისი ხმა იყო ჯერ ჩაწერილი და მაინც ვიცოდით, რომ არის ასეთი მსახიობი — დიდი მსახიობი — უშანგი ჩხეიძე. უფროსები კი ხშირად იხსენებდნენ მას, გატაცებით გვიამბობდნენ თეატრალური თბილისის შესახებ. გვესმოდა: მარჯანიშვილი, რობაქიძე, უშანგი, ლონდა, მალშტრემი, ურიელი, ჰამლეტი. ვერიკოს ოფელია... ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ გრძნობებს დედა-მამა, დეიდები, მამიდა. ვისმენდით მათ საუბრებს, ხშირად ნაწყვეტებსაც ამბობდნენ რომელიმე გმირის მონოლოგიდან, ერთმანეთს ასწრებდნენ მიზანსცენებისა და სხვა დეტალების გახსენებაში და ამ ზღაპრული სამყაროდან ჩვენ, პატარებს განსაკუთრებით გვხიბლავდა უშანგი ჩხეიძის სევდიანი ამბავი, მისი უდროოდ წასვლა სცენიდან და უცნაური ავადმყოფობა. სწორედ მისი პიროვნება იწვევდა ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს და ხშირად ვთხოვდით უფროსებს, კიდევ ეამბნათ, როგორ შემოდიოდა ჰამლეტი — უშანგი ჩაბნელებულ სცენაზე და გაისმოდა მისი ჯადოსნური ხმა „ყოფნა-არყოფნა, საკითხავი აი ეს არის“. ჩვენ ისიც ვიცოდით, რომ ტრაგიკული როლების შემსრულებელს, შემთხვევის გამო ისეთი პერსონაჟის თამაშიც მოუხდა, როგორიც არის ყვარყვარე თუთაბერი. ჩვენი ოჯახი თეატრალური სულით იყო გაჟღენთილი, ეს არ იყო გარედან მოტანილი რამ. ერთმანეთს მარჯანიშვილის პიესების ენაზე ესაუბრებოდნენ „ჩემო ურიელ“ — „ჩემო იორიკ“.

ჩვენი მშობლები ექიმები იყვნენ. ერთხელ ისინი მიიწვიეს უშანგი ჩხეიძესთან და იმ დროიდან ჩვენი ოჯახი დაუკავშირდა მას. გავიდა ხანი და ბავშვებს გვითხრეს — ხვალ უშანგისთან წაგიყვანთ, უნდა გაგაცნოთო. ავღელდით, მოუთმენლად ველოდით მეორე დღის მოსვლას. ახალი წლის დღეები იყო. თოვდა, ცვახსოვს, მაშინ უშანგი და მისი დები — თინიკო და ნინიკო მათი ბიძაშვილის, მსახიობ დათიკო ჩხეიძის ბინაზე ცხოვრობდნენ, მოსკოვის ქუჩაზე (ბუნდოვნად გვახსოვს — დიდი ოთახი, ორი ფანჯარა, ავანი, რომელიც ქუჩაზე გადიოდა, პატარა ეზო...). შევედით, მოგვეგებნენ უშანგის დები. და გაისმა ხმა — საოცარი, ჯადოსნური ხმა „მოვიდნენ პატარა ქალბატონები“ — მივიხედეთ იქით, საიდანაც ეს ხმა მოდიოდა. კუთხეში, სავარძელზე მიწოლილი იყო შავგვრემანი კაცი, ფეხებზე პლედი ეფარა, კეხიანი ცხვირი, გადაბმული წარბები, თვალები, ახლაც გვახსოვს, დარდით სავსე. მივუახლოვდით. წამოიწია, მოგვეფერა. ეს იყო უშანგი ჩხეიძე. ჩვენ „დავუმეგობრდით“ მას, ასე ამბობდა თვითონ, რაც მთავარია, აღარ ვუფრთხოდით და ხშირად დავდიოდით მოსკოვის ქუჩაზე. აქ ბევრი საინტერესო პიროვნება გვინახავს — მსახიობები, რეჟისორები, მწერლები... (შესანიშნავი ლექსი უძღვნა უშანგი ჩხეიძემ გრიშაშვილს; ზეპირად ვიცოდით, სულ დაგვავიწყებია, სამწუხაროდ. იქ ხაზგასმული იყო მისი მეცნიერული ინტერესები, გრიშაშვილი — მკვლევარი იყო თემა ამ ლექსისა).

კარგად ვიცოდით, რომ დედა და მამა ფსიქიატრები იყვნენ. ბევრი ფსიქიკური ავად-

1 წერილები და ლექსები ამოღებულია ნინო ჩხეიძის ხელნაწერი მოგონებიდან: „უშანგი“, 1982 წ., გვ. 390-392, 320. უშანგი ჩხეიძის სახლმუზეუმი.

ყოფი გვინახავს ჩვენს სახლში. მაგრამ ჩვენს გონებაში ის პაციენტები უშანგი ჩხეიძის გვერდით სრულიად წარმოუდგენელნი იყვნენ. ამოუხსნელი იყო, როგორ შეიძლება უშანგი ავადმყოფი იყოს, თუ ავადმყოფია, როგორი? სულით ავადმყოფი? ჩვენ არაერთხელ ვყოფილვართ მომსწრენი დედასა და უშანგის საუბრისა. საუბრობდნენ უშანგის ავადმყოფობაზე, მის პროფესიაზე, თეატრზე (რომელიც დედას გაგიჟებით უყვარდა). უშანგი კითხულობდა ლექსებს, იუმორით უყვებოდა თავის თავგადასავალს. მაშინ არ გვესმოდა და ახლა კი ვხვდებით, რომ სწორედ ეს საუბარი, დარწმუნება, შთაგონება იყო მკურნალობა, სწორედ ასეთმა თავდადებულმა საქციელმა დაამლევინა უ. ჩხეიძეს ის ბარიერი, რომ ქართველ ერს შერჩენოდა მისი ხმა — ჩაწერილიყო უშანგი ჩხეიძე. ეს არ იყო ადვილი და ეს გააკეთა ლილი ნაკაშიძემ.

ერთხელ ჩვენც ვახლდით დედას ჩაწერის დროს. შეიძლება ჩვენ ვცდებით და ეს იყო რეპეტიცია და არა უშუალოდ ჩაწერა... კარგად მახსოვს ის დღე. ბევრი ხალხი დაგვხვდა. პატარა სკამი დაგვიდგეს და კუთხეში დაგვსვეს. უშანგი, ეტყობა, ძალიან ღელავდა, დადიოდა ოთახში, მაღალი, ლამაზი, აღელვებული კაცი, იფშვნეტდა ხელებს. გამომეტყველება ეცვლებოდა — ხან იმედიანი, ხან ლაღი, უცებ მოიქმუხნებოდა, და იყო ნაღვლიანი, უიმედო. დედა ლაპარაკობდა მშვიდად და ამავე დროს, ალბათ, დიდი შინაგანი ძალით, ექსპრესიით, არწმუნებდა, აიმედებდა. ის უსმენდა, იკრეფდა ძალას, უნათდებოდა სახე... და ისევ ქრებოდა, ეკარგებოდა რწმენა, ხდებოდა სევდიანი. და ყველაფერი იწყებოდა თავიდან.

ახლა, ამდენი წლის შემდეგ, როდესაც ვიგონებთ იმ დღეებს, ვხვდებით რა ტიტანური შრომა გასწია დედამ იმისთვის, რომ ჩვენ, ქართველ ხალხს შემოგვრჩენოდა თუნდაც მეათედი იმისა, რასაც უშანგი ჩხეიძე ჰქვია. მაშინ ჩაიწერეს „ჰამლეტი“, „ურიელ აკოსტა“, ვაჟა-ფშაველას „ბაკური“, ნ. ბარათაშვილის ლექსები, „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“ და სხვ. ვისაც უშანგი სცენაზე უნახავს, ისინი იმასაც ამბობენ, რომ შედარება არ შეიძლება ამ ჩანაწერისა და უშანგის ბუნებრივი ხმისა, მაგრამ ჩვენ ამითაც კმაყოფილნი უნდა ვიყოთ, რომ უკვალოდ არ გაქრა ისეთი ფენომენი, როგორიცაა დიდი მსახიობის გამორჩეული ხმა. და არა მარტო ხმა. თავისთავად, ეს ჩანაწერები უტყუარი ნიშანია მისი განუმეორებელი აქტიორული ტალანტის, მისი ინტელექტის (პირველად მაშინ გავიაზრეთ ნ. ბარათაშვილის ლექსის ხათაური „ფიქრნი მტკვრის პირას“. უშ. ჩხეიძე კითხულობს ამ ლექსს, და ამავე დროს ფიქრობს. ეს არის განსჯა, მედიტაცია).

1953 წლის 1 დეკემბერს მოვდიოდით სკოლიდან. იყო ცივი, ქარიანი [illegible] ლხი ირეოდა. შეწუხებული [illegible] ნენ. ზოგს ცრემლებიც კი შევნიშნეთ. უცნობნაცნობები ერთმანეთს სალმის ნაცვლად კითხვით მიმართავდნენ — გაიგეთ, უშანგი მომკვდარა! ასეთი ავადმყოფი კაცი მაინც მოულოდნელად გარდაიცვალა. მისი სიკვდილი მთელმა საქართველომ დაიტირა. კაცი, რომელიც 30 წელი არ უნახავს მაყურებელს, ისევე ახლობელი და საყვარელი იყო მათთვის.

ასე დასრულდა ჩვენი ბავშვობის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და სევდიანი ეპიზოდი.

ჩვენს ოჯახში ინახებოდა უშანგი ჩხეიძის ბევრი ფოტოსურათი, სადაც ის აღბეჭდილი იყო სხვადასხვა როლში. ერთ-ერთი გვახსოვს — უშანგი — ჰამლეტი, დაძაბული, ტრაგიკული სახე; მთელი სახე, კორპუსი გამოხატავს საბედისწერო კითხვას: „ყოფნა? არყოფნა? საკითხავი აი ეს არის“. ჰქონდა ასეთი წარწერა: „ქ-ნო ლილი! მე რომ მქონოდა ბედნიერება თქვენი ადრე გაცნობის, ჩემს მიერ განსახიერებული გმირები იქნებოდნენ უფრო მეტად ადამიანურნი“.

∴

1957 წლის 7 მაისს ოპერისა და ბალეტის თბილისის სახელმწიფო თეატრში შედგა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, საბჭოთა თეატრალური კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ვერიკო ანჯაფარიძის დაბადების 60 წლის და სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ქართული თეატრის უხუცესმა მოღვაწემ, მწერალმა და დრამატურგმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა შალვა დადიანმა. მოხსენება ვერიკო ანჯაფარიძის შემოქმედების შესახებ გააკეთა პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა. იუბილარს მიესალმნენ აკად. ა. ბოჭორიშვილი, პროფ. ს. ჟღენტი, კომპოზიტორი კ. მეღვინეთ-უხუცესი, სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე, არტისტი გ. დავითაშვილი, რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი და სხვ. საიუბილეო სხდომაზე ვერიკო ანჯაფარიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნა ნაწყვეტები ა. დიუმას „მარგარიტა გოტიედან“ და კასონას პიესიდან „ხეები ზეზეულად კვდებიან“.

ბედნიერი იყო იუბილარი, ბედნიერი იყვნენ მისი თაყვანისმცემელნი. დამსწრეთა აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. დარბაზი ზანტად იცლებოდა. ახლობლებმა ქალბატონი ვერიკო შეაცილეს საკაზმულოში და უცდიდნენ რომ გაეცილებინათ. ამ დროს ყველასათვის მოულოდნელად მოხდა საოცრება.

ცნობილი თეატრმცოდნე პროფ. ნათელა ურუშაძე ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: „ის იყო

ქალბატონმა ვერიკომ შვებით ამოისუნთქა, რომ საკაზმულოში ორი უცნობი პირი, ქალ-ვაჟი შემოვიდა და იუბილარს პლასტმასის ქილით რაღაც მიართვეს. დამსწრეთაგან ვერავინ ვერ გაერკვა, თუ რა უნდა ყოფილიყო! ვაჟმა მიმართა ვერიკოს: „ეს უშანგი ჩხეიძის გულია, აქამდე მიხეილის სააკადმყოფოს კაბინეტ-მუზეუმში ინახებოდა, ამიერიდან თქვენ გეკუთვნით“. ამის გაგონებაზე ქალბატონმა ვერიკომ გონება დაკარგა და უგრძნობლად დაეცა იატაკზე. ახლა ძნელი წარმოსადგენია ის მდგომარეობა, რაც მაშინ იქ შეიქნა! მე გავვარდი დარბაზში, იქნებ ვინმე ექიმი მენახა დამსწრეთა შორის. ბედზე ჩვენ გამოჩენილ ექიმს პეტრე სარაჯიშვილს მივუსწარი, დარბაზიდან გადიოდა. მან ყველანაირად ილონა და ვერიკოს გონება დაუბრუნდა... ამ სათცარი ჩანაფიქრის ავტორები ამ დროს იქ აღარ იყვნენ“.

მეორე დღეს უშანგის გული მისი სახელობის სახლ-მუზეუმში დააბინავეს. ამ ახალმა „ექსპონატმა“ მუზეუმის ატმოსფერო ძირფესვიანად შეცვალა. ყოველი დამთვალიერებელი მიდიოდა უშანგის გულთან და ტიროდა... სახლ-მუზეუმში უშანგის გულის დატოვება შეუძლებელი გახდა. რამდენიმე თვის შემდეგ პროფესორმა დავით მამამთავრიშვილმა უშანგის გული უკანვე, მიხეილის საავადმყოფოს კაბინეტ-მუზეუმში გადაიტანა.

გაიარა საუკუნის მეოთხედმა და, პათანატომთა დაუწერელი წესის მიხედვით, უშანგის გული სპირტის ალზე დაწვეს...

ჰყვაოდნენ ტყემლები, უშანგის საყვარელი ტყემლები... ჰაერში სიცოცხლის განახლების სურნელი ტრიალებდა, მინდორი მოჩითულიყო იებით, ენძელებით, ყოჩივარდებით. ბრწყინავდა დილის ნამი ირგვლივ. იწვოდა უშანგის გული, იწვოდა ვინ იცის მერამდენჯერ, იწვოდა ცისფერ ალში... უალერსებოდა ველის მარგალიტებს გულის ფერფლი, გათავდა... დაიფერფლა ჰამლეტისა და ურიელის დაუოკებელი გრძნობის სავანე... „სხვა რაღა დარჩა? საუკუნო სიჩუმე მხოლოდ“.

„სავალალოა, რომ დიდ ხელოვანთან ერთად კვდება მისი ნიჭის მომხიბვლელობა, საიდუმლოება, რომელიც მხოლოდ ამ ხელოვანის ნიჭის თვისებას შეადგენს“ (უშანგი).

და მაინც: „უშანგისთანა მსახიობები მუდამ ცოცხლობენ, მათი ხელოვნება მარადიულია“ (ვერიკო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხაყანის ახალი თარგმანები

მე-12 საუკუნის სპარსულენოვანი აზერბაიჯანელი პოეტის, შარვანის ლიტერატურული სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენლის ხაყანის (1120-1199) სახელი პირველად გასული საუკუნის სამოციან წლებში გაეცნო რუსი მკითხველი, როცა გეოგრაფმა და ეთნოგრაფმა ნ. ხანიკოვმა შარვანშაჰებზე მასალების შეგროვებისას ყურადღება მიაპყრო ხაყანის შემოქმედებას. მან თავის გამოკვლევას ხაყანის შესახებ პოეტის ოთხი ლექსის თარგმანი დაურთო.

ამას მოჰყვა კ. ზალემანის დაინტერესება ხაყანის პოეტური მემკვიდრეობით, რომელმაც 1875 წელს ღრმა მეცნიერული ნაშრომი მიუძღვნა შარვანელ პოეტს და თარგმნა მისი რობაიები.

და აი, დიდი ხნის დუმილის მერე, 1959 წელს ბაქოში გამოიცა ვლ. დერჟავინის მიერ ნათარგმნი ხაყანის ლირიკულ ლექსთა კრებული, რომელსაც 1967, 1980, 1981 წლებში მოსკოვსა და ისევ ბაქოში მოჰყვა სხვადასხვა მთარგმნელთა მიერ ხაყანის ლირიკული კრებულების გამოქვეყნება.

როგორც ვხედავთ, ბოლო სამი ათეული წლის მანძილზე, რუსმა მთარგმნელებმა შეუნელებელი ინტერესი გამოიჩინეს ხაყანის პოეტური მემკვიდრეობის მიმართ.

1986 წელს კი, კიდევ ერთხელ ხვდა წილად ბედნიერება რუს მკითხველს, ხაყანის პოეზიასთან ზიარებისა. გამოვიდა ხაყანის ლირიკული ლექსების კიდევ ერთი ახალი კრებული, რომელშიც შემავალი ლექსების პწკარედი თარგმანი, წინასიტყვაობა, კომენტარები და შენიშვნები ეკუთვნის ცნობილ ირანისტს მ.-ნ. ოსმანოვს, ხოლო მხატვრული თარგმანი მ. სინელნიკოვს.

ალბათ იშვიათად მოიძებნება სპარსულენოვან ლიტერატურაში მეორე პოეტი, რომლის შემოქმედება ასე ბიოგრაფიული იყოს. ხაყანის ბედკრული ცხოვრება მის მხატვრულ სტრიქონებშია მიმობნეული.

ხაყანი, რომელიც ბატონს ნიშნავს, მეორე ფსევდონიმია პოეტისა, ხოლო პირველი ფსევდონიმი — ჰაყაიყ — ჭეშმარიტების მოყვარული, ნამდვილი სახელი კი შემოკლებით — აფზალადინია.

ხაყანი ხელოსანთა წრიდან იყო გამოსული, მამა დურგალი ჰყავდა, დედა ქრისტიანი იყო, რომელმაც შემდგომ მიიღო ისლამის რჯული. მამის სურვილის წინააღმდეგ, რაიმე ხელობის შესწავლას, ხაყანიმ არჩია მუზას გაჰყოლოდა.

პოეტს მამა ადრე გარდაეცვალა. მისი მეურვეობა ბიძამ იკისრა, რომელიც საკმაოდ განათლებული იყო. მას ბიძაც მალე გარდაეცვალა.

ხაყანიმ პოეტთა მეფის, აბულ ალა განჯავის ყურადღება მიიპყრო, ვისი მფარველობითა და მეშვეობით ფართოდ გაელო შირვანშაჰთა სასახლის კარი. მაგრამ იმ დღიდან, რა დღიდანაც იგი შაჰის ელიტაში შევიდა, დაიწყო მის ირგვლივ ინტრიგების ხლართვა.

თუ ახალგაზრდა პოეტი სიხარულით მივიდა შარვანშაჰების სამეფო კარზე, მას თანდათანობით გული გაუტყდა მასზე...

სალხის წიაღიდან გამოსულმა შემოქმედმა, საბოლოოდ ვერც სხვა მმართველებთან ჰპოვა თავშესაფარი...

ხაყანიმ სცადა სასახლიდან განდგომა, მაგრამ ეს არც მთლად ადვილი აღმოჩნდა.

1156 წელს ხაყანიმ მიაღწია იმას, რომ მოსალოცად წასულიყო მექაში, საიდანაც ერთი წლის მერე შემოქმედებითი ნადავლით დატვირთული დაბრუნდა.

გარკვეული ხნის მერე პოეტმა კიდევ ითხოვა მექაში წასვლის უფლება, მაგრამ უარი მიიღო. მაშინ მან გაქცევა სცადა. იგი შეიპყრეს და საპყრობილეში ჩასვეს, სადაც რამდენიმე წელი გაატარა. პოეტმა პატიმრობაში შესანიშნავი „ციხის ელეგიები“ შექმნა.

მხოლოდ ერთმა შემთხვევამ იხსნა იგი ციხიდან. შარვანში ჩამოვიდა ბიზანტიის მომავალი იმპერატორი ანდრონიკ კომნინი, რომელსაც ხაყანიმ ოდა უძღვნა. ამ სახოტბო ლექსმა, სადაც ჩანს პოეტის ღრმა განსწავლულობა ქრისტიანულ რელიგიაში, პატიმრობიდან იხსნა იგი.

ეს ლექსი იმდენად იყო გაჟღენთილი ქრისტიანული სულისკვეთებით, რომ ეჭვიც კი შეიტანეს ხაყანის მუსლიმანობაში.

პოეტმა მეორედ მოინახულა მექა. არის ვარაუდი, რომ მას ეს თავისი გაქრისტიანების ეჭვის გასაფანტად დასჭირდა.

სიცოცხლის ბოლო წლებში ხაყანიმ მოიპო-

* Хакани. Ветер в руке. «Налка». 1986.

ვა ნანატრი თავისუფლება და საცხოვრებლად თავრიზში გადავიდა, სადაც მარტოობაში დალია სული.

თითქმის მისთვის მოიცალა ყველა უბედურებამ. ჯერ მამა გარდაეცვალა, მერე მფარველი ბიძა, შვილები, ცოლი, მეგობრები...

ყველას სამგლოვიარო ლექსებით გამოეთხოვა პოეტი, რამაც ელეგიური ნაკადი კიდევ უფრო გაამძაფრა მის შემოქმედებაში.

ხაყანი სპარსულ ლიტერატურაში ითვლება უდიდეს მეხოტბე პოეტად. მიუხედავად ამისა, მას არასოდეს შეულახავს თავისი ღირსება. საგულისხმოა, რომ ამ დროს ოდა, როგორც ლიტერატურული ჟანრი, საკმაოდ ბატონობდა და მოდაში იყო.

მოვუსმინოთ ავტორს: — დიდად ვაქებ შენს დიდსულოვნებას, მაგრამ არა ლუკმაპურისთვის, არამედ სახელისთვის. — მიმართავს იგი ქების ობიექტს.

მერე და მერე პოეტი სინდისის ქენჯნასაც განიცდის იმის გამო, რომ სახოტბო ლექსები უწერია. მან ზიზღით დაწერა ლექსი პურზე, რომლის გამოც დამცირება მოუხდა: — მე საკუთარ სისხლს დავლევ, ვიდრე პურს შევჭამ არაკაცის გამოწვდილს...

ხაყანი, როგორც ხალხის წიაღიდან გამოსული შვილი, თავისუფლების მოყვარე, ჰუმანური იდეების მატარებელი იყო. მის კონფლიქტურ ხასიათთან ერთად, ალბათ ესეც იყო უმთავრესი მიზეზი სამეფო კართან მისი განხეთქილებისა.

შეუდარებელ ყასიდებთან ერთად ხაყანის მშვენიერი ყაზალები, ყითები, რობაიები უწერია.

ხაყანიმ გაამდიდრა სპარსული წყობილსიტყვაობა ახალი პოეტური ტროპებითა და მეტაფორებით.

სინელნიკოვის თარგმანის კითხვისას, უპირველესად საგრძნობია აღმოსავლური სურნელების შენარჩუნება. მთარგმნელი მოწიწებით ეპყრობა სპარსულ ლექსთწყობას, იცავს გარითმვის წესს, რაც არც თუ ისე ადვილი მისაღწევია. მაგალითად, ძნელია ერთ რითმზეააწყო ყასიდა, რომლის სტრიქონთა რაოდენობა ასზე მეტია. ასევე რთულია შეინარჩუნო აღმოსავლური ლექსთწყობისთვის დამახასიათებელი ფორმა რედიფი, რასაც საჭირო შემთხვევაში მშვენივრად ახერხებს მთარგმნელი.

რა თქმა უნდა, მთარგმნელი ვერ შესძლებს გაიმეოროს დედნის საზომი, ენათა ბუნების შეუსაბამობის გამო, მაგრამ იგი ცდილობს მშობლიურ ენაში გამოძებნოს შესაბამისი საშუალებანი ორიგინალის აზრის გამოსახატავად.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აღნიშნული კრებულის მხატვრული თარგმანი ეყრდნობა ზუსტ მეცნიერულ პწკარედ თარგმანს, მაშინ ეჭვი არ უნდა შევიტანოთ დედანთან მის მიმართებაში, მაგრამ თუ მაინც დაგვძლევს ცნობისმოყვარეობა, დავრწ[illegible]დის მთარგმნელის ღრმა [illegible]ში.

ხაყანის შემოქმედება რთული გასაგებია. სირთულეს ჰქმნის მეცნიერულ თუ პროფესიულ ტერმინთა სიუხვე და აღმოსავლური რეალიები, რომლებიც ზოგჯერ აბუნდოვანებენ რვა საუკუნის წინ დაწერილ სტრიქონებს. მართლაც დიდი ერუდიცია და შრომა გაუწევია ამ მხრივ მ. ნ. ოსმანოვს.

ლექსების მხატვრულად მთარგმნელი, პწკარედზე დაყრდნობით ცდილობს და აღწევს კიდეც ტევადი აფორისტული სტრიქონების სურნელი გვაგრძნობინოს.

მკითხველი თანაზიარი ხდება ჩვენგან საუკუნეებით დაშორებული შემოქმედის განცდების, შინაგანი დრამატიზმის, რისი მიღწევაც მხოლოდ მთარგმნელის ნიჭსა და ოსტატობაზეა დამოკიდებული.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ წინასიტყვაობაში ნახმარი ეპითეტიები ხაყანის მიმართ მშრალ დეკლარაციად არ რჩება და მართლაც მკითხველი გრძნობს, რომ ერთ-ერთ უდიდეს სპარსულენოვან პოეტთან აქვს საქმე.

გვექნება ორიოდე არაარსებითი სახის შენიშვნა:

სპარსულ ლექსიკონებში სიტყვა — თორქ განმარტებულია 1. თურქი. 2. ლამაზი. პოეზიაში თორქ-ლამაზის მნიშვნელობით იხმარება და არა თურქის — ეთნიკური ერთეულის.

რატომღაც ეს ევროპულ თარგმანებში უგულვებელყოფილია. თორქ-თურქის, თურქი ქალის მნიშვნელობით გადმოდის. მაგალითად ჰაფეზის ცნობილი ყაზალის პირველი სტრიქონი — აგარ ინ თორქე შირაზი... რუსულ თარგმანებში ასეა: Если Ширазская Тюрчанка... ასევეა თარგმნილი გერმანულად: Ween der schiraser Türke...

მინდა ხაზი გავუსვა, რომ ქართულ თარგმანებში განსხვავებული სურათია — თორქ — მეორე მნიშვნელობით გადმოდის: — ამ შირაზელ ლამაზმანმა... (ვ. კოტეტიშვილი).

ხაყანის ეს კრებულიც ამ მხრივ ევროპულ ტრადიციას აგრძელებს: **Тюрчанка, откуда ты к нам прышла на погибель сердец?** (გვ. 84).

კრებულში შესული ლექსები დაყოფილია ჟანრობრივად, სალექსო ფორმების მიხედვით — ყასიდები, ყაზალები, ყითები, რობაიები და „მადაიანას სასახლენი".

„მადაიანას სასახლენი" ხაყანის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის, მადაიანა სასანური ირანის სატახტო ქალაქის, ქტესიფონის არაბული სახელწოდებაა, რომლის ნანგრევების ხილვამ სევდიანი განწყობის ლექსი დააწერინა პოეტს.

ამ ლექსის შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. უმეტესად მას ოდას უწოდებენ. „ოდა საზეიმო განწყობილების ლირიკული ხასიათის ლექსის აღმნიშვნელი ტერმინია. იგი ხშირად სახოტბო ლექსის (ყასიდის) მნიშვნელობით იხმარება. ხაყანის „მედაინი“ თუ „მედაინის ნანგრევები“ სრულებითაც არაა საზეიმო ლექსი, იგი არც ხოტბაა. ლექსი საზეიმო განწყობილებას კი არ ქმნის, არამედ სევდიანს. ამიტომ მას ელეგია უნდა ვუწოდოთ და არა ოდა ან ყასიდა“. — წერს პროფ. დ. კობიძე.

თუ ცნობილი ირანისტის ამ აზრს გავიზიარებთ, რომელიც, ვფიქრობ, მისაღებია, მაშინ ეს ლექსი უმისამართოდ არ დარჩებოდა კრებულში.

აქვე შევნიშნავთ, რომ „მადაიანას სასახლენი“ წინასიტყვაობაში „მადაიანას ნანგრევებად“ იხსენიება. საერთოდ ორივე სათაური მიღებულია, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა ერთ-ერთს მინიჭებოდა უპირატესობა.

კრებულს უძღვის შინაარსიანი წინასიტყვაობა და დართული აქვს აუცილებელი მეცნიერული განმარტებანი და შენიშვნები, რითაც მკითხველი საჭირო ინფორმაციას იღებს ამა თუ იმ ტერმინსა თუ აღმოსავლურ რეალიაზე.

გვინდა შევნიშნოთ, რომ ზოგან აუცილებელი არ იყო ამა თუ იმ სახელის განმარტება. მაგ: ნ ო ე — ბიბლიური წინასწარმეტყველი, მ ე ს ი ა — იესო ქრისტე, ე დ ე მ ი ს ბ ა ღ ი — სამოთხის ბაღი. ესენი ისედაც ნათელია მკითხველისთვის, მითუმეტეს ქრისტიანულ საზოგადოებისათვის.

მთარგმნელს, ზოგჯერ, აღმოსავლური სურნელების შენარჩუნების მიზნით უთარგმნელად გადმოაქვს უცხო ლექსიკა: жир пыщы, сладость питания на досторхане бытя... (გვ. 175). დ ა ს თ ა რ ხ ა ნ ნიშნავს სუფრას. არ ვიცი, როგორ გაიგებს ამ სიტყვას რუსი მკითხველი თუ შენიშვნებსა და განმარტებებშიც ვერ იპოვის მის მნიშვნელობას. თანაც ამაოდ გაირჯება, თუ მას რუსულ ლექსიკონებში დაუწყებს ძებნას. მსგავსი სიტყვები აბუნდოვანებენ თარგმანს და გადაჭარბებული სპარსული კოლორიტის საფრთხეს ჰქმნიან.

კარგი იქნებოდა, წინასიტყვაობაში, პოეტის დაბადების თარიღთან ერთად გარდაცვალების თარიღიც ყოფილიყო აღნიშნული.

მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა შარვანს საქართველოსთან, თუმცა მათი ძირითადი მოსახლეობა სხვადასხვა რელიგიის მიმდევარი იყო. არის ცნობები, რომ მეფე დიმიტრი I ყოველ პარასკევს მოინასულებდა მეჩეთს. ასევე შარვანშაჰებიც, თავიანთ მხრივ, ვალში არ რჩებოდნენ ქრისტიანული ეკლესიების წინაშე შემახაში. რა თქმა უნდა, ამას პოლიტიკური მოსაზრება ედო საფუძვლად.

ეჭვგარეშეა, ხაყანი ახლოს იყო საქართველოსთან. აკი თვითონაც ამბობს ერთ ლექსში: — (ჩემთვის) აფხაზეთის (საქართველოს) კარი ღიაა... არ შეიძლება მას პირადი ურთიერთობა არ ჰქონოდა ერის წარჩინებულ პირებთან...

ჯერაც მრავალ საიდუმლოს ინახავს ხაყანის შემოქმედება ქართულ ლიტერატურასა და ისტორიასთან მიმართებით. ამას მოწმობს თუნდაც ახლახან პროფ. მ. თოდუას მიერ ირანის წიგნსაცავებში მიკვლეული ხაყანის წერილები ქართველი მეფეებისადმი.

სამწუხაროდ, აღმოსავლეთის ამ ერთ-ერთი უდიდესი პოეტის შემოქმედება უცნობია ქართველი მკითხველისთვის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში რამდენიმე ასეულ სტრიქონს, რომელთა თარგმანი ეკუთვნის ა. ჰელიძეს, მ. თოდუას, ალ. გვახარიას და ამ სტრიქონების ავტორს.

საკავშირო გამომცემლობა „ნაუკამ“ ხაყანის ახალი კრებული «Ветер в руке» გამოცემით, კიდევ უფრო მახლობელი და შთამბეჭდავი გახადა ჰუმანური იდეების მატარებელი დრამატიზმით სავსე პოეტის განცდები და ნააზრევი ყველა მათთვის, ვისთვისაც მისაწვდომია რუსული ენა.

რა თქმა უნდა, ხაყანის შემოქმედება კვლავ და კვლავ მოელის რუს მთარგმნელს, რამეთუ, რაც დღემდე გაკეთებულა ამ მხრივ, მაინც მცირეა იმ მასალასთან, რომელიც დაგვიტოვა პოეტმა.

ვისურვებდით, რუს მთარგმნელთა დაინტერესება ხაყანის შემოქმედებით, ერთგვარი სტიმული გამხდარიყო იმ მიწაწყლის შვილთათვის, ვის მეფეებს ოდებს უძღვნიდა პოეტი და ვის ენასაც ისე ფლობდა, რომ უცხო, ქართულ სიტყვებს სპარსულ ლექსში ურევდა.

ნოშადი ბართაია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

●
რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

●
ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 93-55-11, მთ. რედაქტორის მოადგილის 93-55-15, პ/მგ მდივნის — 93-55-13 და განყოფილებების — 93-55-15; 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 25. 08. 88 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. 10. 88 წ. ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58. უე 09458. ტირაჟი 30.000. შეკვ. 2188. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

ფასი 80 კაპ.

52762

ინდექსი
76128
ეროვნული
ბიბლიოთეკა

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ